უაკ (UDC) 947.922(075.8)
ს 323

ნინამდებარე სახელმძღვანელოში გაშუქებულია XX საუკუნის საქართველოს ისტორია. ნაშრომი დაწერილია თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის უახლესი ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის მიერ შემდეგი შემადგენლობით:

ვახტანგ გურული – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი);
მერაბ ვაჩნაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
დიმიტრი შველიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ნესტან კირთაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ავთანდილ ნონკოლაური – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;
პაატა ფირანიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

განკუთვნილია სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. **ვახტანგ გურული**

რეცენზენტები: პროფ. **ვახტანგ ჯანჯღავა**
დოც. **მიხეილ ბახტაძე**
გიორგი ახვლედიანი

ს $\frac{0503020906}{608(06)-03}$

ISBN 99940-13-68-8
ISBN 99928-991-9-0

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003
© გამომცემლობა „არტანუჯი", 2003

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სწავლებას ბოლო ათწლეულში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. სასწავლო პროგრამით საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიას (XIX-XX საუკუნეებს) ორი სასწავლო სემესტრი ეთმობა. ცხადია, დღეს საბჭოთა ეპოქაში შექმნილი მონოგრაფიებით, ნარკვევებითა და სახელმძღვანელოებით შეუძლებელია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სწავლება. საქმე ეხება როგორც ისტორიისადმი ზოგად მეთოდოლოგიურ მიდგომას, ისე იმ ახალ დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გასაიდუმლოებული იყო. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიისადმი მიძღვნილი სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დამდეგს გახდა ნათელი. იმხანად ქართული ისტორიოგრაფია ამისათვის მზად არ იყო. მომდევნო ათწლეულში ბევრი რამ გაკეთდა: სხვადასხვა არქივში გამოვლინდა მეტად საყურადღებო უცნობი მასალა, ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთ გამოცემული ლიტერატურა, დაიწერა უამრავი სტატია და მონოგრაფია, იყო სახელმძღვანელოსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის ცდებიც. რაც მთავარია, ქართული ისტორიოგრაფია გათავისუფლდა იდეოლოგიური დოგმებისაგან. ყოველივე ამის გამო საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის (XIX-XX სს.) შესწავლამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ. ამ დიდ ეროვნულ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტსა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის კათედრას. რამდენიმე წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე შეიქმნა **უახლესი ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი,** რომელსაც დაევალა „საქართველოს ისტორიის (XX საუკუნე)" სახელმძღვანელოს შექმნა.

წინამდებარე სახელმძღვანელო ემყარება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებს. მასში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ის პოზიტიური მოვლენები, რაც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის, ასევე ემიგრანტულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა. XX საუკუნის საქართველოს ისტორიის კვლევა დღესაც დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს ის, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ახალი მიღწევების კვალობაზე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ზოგიერთი დასკვნა თუ დებულება მეორე გამოცემაში დაზუსტდეს ან ნაწილობრივ შეიცვალოს.

* * *

XX საუკუნე აღსავსეა ისეთი მოვლენებით, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს ქართველი ერის ისტორიაზე, ფაქტობრივად განსაზღვრეს საქართველოს მომავალი. XX საუკუნეში ქართველმა ერმა გამოიარა რუსეთის 1905-1907 წლებისა და 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციები, პირველი (1914-1918 წლების) და მეორე (1939-1945 წლების) მსოფლიო ომები. **XX საუკუნე, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულია იმით, რომ ამ ასწლეულში ქართველმა ერმა ორჯერ (1918 წელსა და 1991 წელს) შეძლო დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა**. სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენები დაედო ძირითად საფუძვლად XX საუკუნის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას.

XX საუკუნის საქართველოს ისტორია შეიძლება ხუთ ძირითად პერიოდად დაიყოს. ეს პერიოდებია: **პირველი.** 1900-1917 წლები, ანუ პერიოდი, რომელმაც მოამზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; **მეორე.** 1917-1918 წლები (უფრო ზუსტად — პერიოდი 1917 წლის თებერვალ-მარტიდან 1918 წლის მაისამდე), ანუ პერიოდი, როდესაც პრაქტიკულად აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; **მესამე.** 1918-1921 წლები, ანუ პერიოდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა; **მეოთხე.** 1921-1991 წლები, ანუ პერიოდი ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დაპყრობილი საქართველოს იძულებითი ყოფნისა; **მეხუთე.** 1991 წლიდან, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენიდან.

ცხადია, სახელმძღვანელოს თავებად დაყოფისას ზემოხსენებულ პერიოდიზაციაზე დაყრდნობით უნდა გამოგვეყო გაცილებით ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოს მომცველი პერიოდები. ასეთ პერიოდებად ჩვენ მივიჩნიეთ შემდეგი:

პირველი. 1900-1904 წლები, ანუ პერიოდი, რომელიც წინ უძღოდა დიდი სოციალური კატაკლიზმების ეპოქას – რევოლუციას. ეს პერიოდი მეტად საინტერესოა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

მეორე. 1905-1907 წლები, ანუ რევოლუციის პერიოდი. ამ წლებმა ძირფესვიანად შეცვალა ქართველი ერის ცხოვრება, განსაკუთრებული დაღი დაასვა სოციალურ ურთიერთობებს, ახალი მიმართულება მისცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, ეროვნულ მოძრაობას. ეროვნული საკითხი სულ უფრო პოპულარული გახდა, დაიწყო ბრძოლა საქართველოს ავტონომიისათვის.

მესამე. 1907-1917 წლები, ანუ პერიოდი, როდესაც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში შინაგანი წინააღმდეგობა უკიდურესად გამწვავდა, გამწვავდა ეროვნულისა და კოსმოპოლიტურის დაპირისპირება. საქართველოს ავტონომიის იდეა ეროვნული მოძრაობის ძირითად მიმართულებად იქცა.

მეოთხე. 1917-1918 წლები, ანუ პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ შესაძლებელი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

მეხუთე. 1918-1921 წლები, ანუ პერიოდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა.

მეექვსე. XX საუკუნის 20-იანი წლების პირველი ნახევარი (1921-1925 წლები), ანუ პერიოდი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებისა და მისი ტრანსფორმაციისა, საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის დამკვიდრებისა, ეროვნული მოძრაობის დაწყებისა.

მეშვიდე. XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარი – 40-იანი წლების დამდეგი (1925-1941 წლები), ანუ პერიოდი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ინტეგრაციისა.

მერვე. 1941-1945 წლები, ანუ პერიოდი გერმანია-საბჭოთა კავშირის ომისა, რომელსაც შეეწირა უამრავი ქართველის სიცოცხლე, ქვეყნის მატერიალური რესურსები.

მეცხრე. 1945-1953 წლები, ანუ პერიოდი, როდესაც საქართველოს ეკონომიკა საბოლოოდ იქცა საბჭოთა კავშირის (რუსეთის) ეკონომიკის ნაწილად.

მეათე. 1953-1965 წლები, ანუ საბჭოთა სისტემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის გამოვლინების პერიოდი.

მეთერთმეტე. 1965-1985 წლები, ანუ პერიოდი საბჭოთა სისტემის საყოველთაო კრიზისის გაღრმავებისა.

მეთორმეტე. 1985-1991 წლები, ანუ პერიოდი საბჭოთა სისტემის მწვავე კრიზისის ფონზე ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღგენისა.

მეცამეტე. 1991 წლიდან ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ისტორიაში. ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდი.

სახელმძღვანელოს ყოველი თავი შედგება რამდენიმე საკითხისაგან, რაც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესების ერთობლიობაში გაშუქების საშუალებას იძლევა.

* * *

ავტორთა კოლექტივი შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს პროფესიონალი ისტორიკოსების, სტუდენტებისა და, საერთოდ, ფართო საზოგადოების ყოველგვარ შენიშვნასა თუ სურვილს.

ავტორთა კოლექტივი გამოთქმული შენიშვნებისათვის გულწრფელ მადლობას უხდის პროფ. **ვახტანგ ჯანჯღავას**, პროფ. **სერგო ვარდოსანიძეს**, პროფ. **ავთანდილ არაბულს**, პროფ. **მიხეილ ქურდიანს**, პროფ. **ლევან მგალობლიშვილს**, დოც. **ბაკურ ბაქრაძეს**. საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ბატონ **გიგა ლორთქიფანიძის**, ბატონ **გოგი დოლიძისა** და ქალბატონ **მარინე ქავთარაძის** ღვაწლი ქართული კულტურის საკითხების დამუშავებაში, ასევე დოც. **ბონდო კუპატაძის** წვლილი, რომელმაც მოგვაწოდა მასალა ქართული სპორტის ისტორიისათვის.

სახელმძღვანელოს ტექსტის რედაქტირებისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით დოც. **ჯაბა სამუშიასა** და დოც. **ბონდო კუპატაძეს**. დიდი მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ გამომცემლობა „არტანუჯის" დირექტორი **ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე, ლევან თაქთაქიშვილი** და **თამარ გეგია**, რომელთაც მოიძიეს, დაამუშავეს და გადმოგვცეს სახელმძღვანელოში მოთავსებული ფოტომასალა.

საქართველო XX საუკუნის დამდეგს (1900-1904 წწ.)

§ 1. საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა XX საუკუნის დასაწყისისათვის

XX საუკუნის დამდეგისათვის (1903 წლისათვის) საქართველო რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სისტემაში წარმოდგენილი იყო **ორი გუბერნიისა** (თბილისის, ქუთაისის) და **ოთხი ოკრუგის** (სოხუმის, ბათუმის, ართვინის, ზაქათალის) სახით. თავის მხრივ ეს ადმინისტრაციული ერთეულები შედიოდა **კავკასიის მხარეში,** რომელსაც სათავეში ედგა **კავკასიის მთავარმართებელი**. 1896-1904 წლებში კავკასიის მთავარმართებელი იყო გენერალი გოლიცინი. 1905 წელს გაუქმდა მთავარმართებლის და აღდგა **კავკასიის მეფისნაცვლის** თანამდებობა. მეფისნაცვლად დაინიშნა გრაფი **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი** (1905-1915). კავკასიის უკანასკნელი მეფისნაცვალი იყო დიდი მთავარი **ნიკოლოზი** (1915-1917).

თბილისი. მეიდანი და მეტეხის ციხე (1900 წ.)

კავკასიის მეფისნაცვალთან არსებობდა **საბჭო,** რომელშიც ხელისუფლების უმაღლესი პირების გარდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. **გუბერნატორები** ინიშნებოდნენ **მეფისნაცვლის** მიერ, მაზრის უფროსები კი – გუბერნატორების მიერ **მეფისნაცვალთან** შეთანხმებით.

თბილისის გუბერნია, რომლის ტერიტორია შეადგენდა 38000 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა – 1400000 კაცს (1914 წლის მონაცემებით), შედგებოდა **ცხრა მაზრისა** (თბილისის, გორის, დუშეთის, თიანეთის, სიღნაღის, თელავის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს) და ერთი **ოკრუგისაგან** (ზაქათალის). **ზაქათალის ოკრუგის** (საინგილოს) ტერიტორია შეადგენდა 38000 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 85000 კაცს (1914 წლის მონაცემებით).

ქუთაისის გუბერნია, რომლის ტერიტორია შეადგენდა 20000 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა – 1000000 კაცს (1914 წლის მონაცემებით), შედგებოდა **შვიდი მაზრისა** (ქუთაისის, ლეჩხუმის, რაჭის, შორაპნის, სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის) და სამი **ოკრუგისაგან** (სოხუმის, ბათუმის, ართვინის). ეს სამი ოკრუგი 1903 წლამდე უშუალოდ შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში. 1903 წელს შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელიც შედგებოდა **ბათუმისა და ართვინის ოკრუგებისაგან.** მართალია, ბათუმის ოლქი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული იყო, მაგრამ იგი ქუთაისის გუბერნიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ასე რომ ქუთაისის გუბერნიაში შვიდი მაზრის გარდა, შედიოდა **ბათუმის ოლქი** (ბათუმისა და ართვინის ოკრუგებით) და **სოხუმის ოკრუგი.** ოლქს სათავეში ედგა ოლქის უფროსი, ოკრუგს – **ოკრუგის უფროსი.**

1904 წელს საქართველოს ადმინისტრაციულ დაყოფაში მოხდა ცვლილება. **სოხუმის ოკრუგს** (აფხაზეთი) ჩამოაცილეს მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (გაგრის რაიონი სოჭითურთ) და ეს ტერიტორია **შავი ზღვის გუბერნიას** შეუერთეს.

ქუთაისი

საქართველო ამ სახით იყო წარმოდგენილი რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ სისტემაში იმპერიის აღსასრულამდე, 1917 წლამდე.

§2. ეკონომიკური განვითარება

1. **მრეწველობა**. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის ეკონომიკა არნახულ აღმავლობას განიცდიდა. შედეგი გამოიღო, ერთი მხრივ, XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმებმა, მეორე მხრივ კი, იმპერიის ფინანსთა მინისტრის გრაფ ვიტტეს მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა პროგრამამ. იგი გულისხმობდა მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას, პროტექციონიზმს, ფინანსურ რეფორმას, რომელმაც უზრუნველყო რუსული მანეთის სტაბილურობა და უცხოური კაპიტალის მოზიდვა. ყოველივე ამან გაანაპირობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სამრეწველო აღმავლობა. ამიერკავკასიასა და საქართველოს მნიშვნელოვანწილად შეეხო პოზიტიური ეკონომიკური ძვრები.

საქართველო **აგრარულ-გლეხურ** ქვეყანას წარმოადგენდა. ამიტომ ოჯახური წარმოებისა და ხელოსნობის პროდუქციის ხვედრითი წილი კვლავ მნიშვნელოვანი რჩებოდა, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებისაგან მოშორებულ რეგიონებში. მსხვილი მრეწველობის განვითარება და უცხოური პროდუქციის შემოჭრა ავიწროებდა წვრილი და მანუფაქტურული ტიპის საწარმოებს, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ არსებობას. წვრილი კაპიტალისტური საწარმოები მყარად ინარჩუნებდნენ წამყვან მდგომარეობას ისეთ დარგებში, რომლებიც ნაკლებად მოიცვა **საფაბრიკო მრეწველობამ**. კერძოდ, სამშენებლო მასალების, არყის, სპირტის, საპნის, საკონდიტრო, პოლიგრაფიული, ეტლების, საღვინე კასრების, ნავთობის საექსპორტო კასრების, ჰურის საცხობების, სამკერვალოების და სხვ.

სრულიად რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II და ბიძამისი კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზი

1902 წელს საქართველოში დაახლოებით 1340 წვრილი კაპიტალისტური საწარმო იყო.

წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებთან თანაარსებობის პირობებში ვითარდებოდა **მანქანური წარმოება**, რომელმაც ზოგიერთ დარგში გაბატონებულ მდგომარეობას ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს მიაღწია. საფაბრიკო-საქარხნო წარმოება საქართველოში, როგორც კოლონიურ ქვეყანაში, სპეციფიკურად ვითარდებოდა და მოკლებული იყო დამოუკიდებელი ქვეყნისათვის დამახასიათებელ შესაძლებლობებს. შედარებით დაუბრკოლებლად ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც პირველადი მოხმარების საგნებსა და პროდუქტებს ამზადებდნენ.

საწარმოო იარაღებისა და სამეურნეო დანიშნულების მოწყობილობის დამამზადებელ და შემკეთებელ წარმოებას ემსახურებოდა ლითონდამმუშავებელი საწარმოები. ტექნიკურად კარგად მოწყობილ და ორთქლის ძალით მოქმედ საწარმოთა შორის აღსანიშნავია რუქსის მექანიკური ქარხანა, აგანოვისა და ზრიუდლოვსკის თუჯსასხმელი და რენკვისტის მექანიკური ქარხნები. ლითონგადამმუშავებელი მრეწველობის საგრძნობი განვითარების მიუხედავად, იგი ვერ გარდაიქმნა ინდუსტრიულ მანქანათმშენებლობად, რომელიც ადგილობრივ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნები უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ აღჭურვილობას უცხოეთიდან და რუსეთიდან იღებდნენ.

მრეწველობის აღმავლობაში გადამწყვეტი ფაქტორის როლი **სარკინიგზო ქსელის** მშენებლობამ შეასრულა. 1900 წელს საქართველო რუსეთის სარკინიგზო ქსელს შეუერთდა. სარკინიგზო მშენებლობას ამიერკავკასიაში თან მოჰყვა მისი მომსახურე საწარმოების – **ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების** გაფართოება. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები საქართველოს უდიდეს კაპიტალისტურ საწარმოდ იქცა. თბილისის გარდა დეპოები მოქმედებდა აგრეთვე **ხაშურში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ყვირილასა (ზესტაფონსა)** და **ბორჯომში**, სადაც მიმდინარეობდა ორთქმავლებისა და ვაგონების შეკეთება.

თბილისის შემდეგ ქვეყნის უმსხვილეს სამრეწველო ცენტრს **ბათუმი** წარმოადგენდა. ბათუმი იყო ბაქოს ნავთობის ძირითადი საექსპორტო ნავსადგური, გადამმუშავებელი და საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელი ძირითადი პუნქტი. რკინიგზა უკვე ვეღარ აუდიოდა ნავთობის გადაზიდვას. ნავთობის გადაზიდვის გაზრდის მიზნით 1900 წელს ძირითადად დამთავრდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა, ხოლო 1906 წლისათვის ნავთობსადენი სრული დატვირთვით მუშაობდა.

ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოებამ უმაღლეს დონეს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიაღწია. 1901 წლისათვის ბათუმში ნავთობის ჭურჭლის 9 ქარხანა მოქმედებდა. ბაქოს ნავთობის ექსპორტმა ბათუმიდან ყველაზე დიდ აღმავლობას 1903 წელს მიაღწია. განსაკუთრებით გაძლიერდა ნავთობის გადამუშავება-ექსპორტთან დაკავშირებული ქარხნების მშენებლობის ტენდენცია. ბათუმში თავს იყრიდა 15 ათასამდე მუშა.

ბათუმის, როგორც ნავთობის საექსპორტო ნავსადგურის, ზრდა-განვითარება შეაფერხა 1905 წელს დაწყებულმა რევოლუციამ. რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ბათუმის ნავსადგურის მუშაობა თითქმის მთლიანად შეწყდა. ნავთობის გასატანად ჩამომდგარი გემები უტვირთოდ ბრუნდებოდნენ უკან. აღმოსავლეთის ქვეყნებ-



ბოზარჯიანცის ქარხანა

ში რუსეთის ნავთობის ადგილი ამერიკულმა დაიკავა. ზედიზედ დაიხურა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნები, ხოლო ჭურჭლის წარმოება ბათუმიდან საზღვარგარეთ იქნა გადატანილი. რევოლუციის პერიოდიდან ბათუმმა დაკარგა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრის მნიშვნელობა. ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით, „გაფიცვებთან თამაშის" წყალობით, „მოკლეს ქათამი", რომელიც ბათუმის რეგიონის მოსახლეობისათვის „ოქროს კვერცხებს დებდა".

მსხვილი სამრეწველო დარგების გარდა, საქართველოში წარმატებით ვითარდებოდა **ხეტყის, სამშენებლო მასალების, საფეიქრო, სპირტიანი და მინერალური წყლების, თამბაქოს, მინის, საპნის, სანთლის, ზეთსახდელი, პოლიგრაფიული** და სხვა წარმოებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე საწარმო, რომელიც თავის პროდუქციას მთელ რუსეთის იმპერიაში ყიდდა. მაგალითად, ადელხანოვის საწარმოების მიერ გამოშვებული ფეხსაცმელი მთელ რუსეთში ვრცელდებოდა.

ბათუმის ნავსადგური

ერთ-ერთ დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა **სპირტისა და სპირტიანი სასმელების** წარმოება. გამოჩენილი ქართველი კაპიტალისტისა და ქველმოქმედის — **დავით სარაჯიშვილის** უნარიანმა მოღვაწეობამ შთამბეჭდავი წარმატება მოუტანა ამ დარგს. დავით სარაჯიშვილის ფირმამ მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა სპირტისა და კონიაკის წარმოებაში არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის მასშტაბითაც. ფირმა დაახლოებით 60 დასახელების ალკოჰოლიან სასმელს ამზადებდა. ქართველი კაპიტალისტის ფირმამ ფრანგულ ფირმებთან საკონკურენციო ბრძოლაში გაიმარჯვა და რუსეთის ბაზარი დაიპყრო. დავით სარაჯიშვილი იყო რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოების პირველი დამფუძნებელი. საერთაშორისო გამოფენებზე მისი ფირმის სპირტიანმა სასმელებმა არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ქართულ სასმელებს აღიარება მოუტანა.

მინერალური წყლების წარმოებამ XX საუკუნის დასაწყისში ფართო ხასიათი მიიღო. ბორჯომის წყალი უკვე ამ პერიოდში გაჰქონდათ არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. ხელოვნური წყლების წარმოებაში სამამულო ბაზარზე პირველ ადგილზე გამოვიდა **მიტროფანე ლაღიძის** მეთოდით დამზადებული უალკოჰოლო სასმელები, რომელმაც ვენაში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში გამართულ გამოფენებზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში განსაკუთრებით განვითარდა **სამთო-მეტალურგიული** მრეწველობა. ამ დარგში უმნიშვნელოვანესი იყო ალავერდის სპილენძის საწარმოები, რომელიც ფრანგულ სააქციო საზოგადოებას ეკუთვნოდა. საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა **ტყიბული**. 1900 წლიდან მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა „ნახშირტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოებამ". ამ საზოგადოების აქციონერები დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შეძლებული ზედაფენების წარ-

დავით სარაჯიშვილის სარეკლამო განცხადებები

მომადგენლები იყვნენ. „ნახშირ-ტყიბულის" საზოგადოება წარმატებით აფართოებდა საწარმოო სიმძლავრეებს. საქართველოში ტყიბულის ქვანახშირის მოხმარებას ზღუდავდა ბაქოს ნავთობი და რუსეთიდან შემოტანილი ქვანახშირი. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება წინ ალუდგა კავკასიაში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას, რომელიც ადგილობრივ ქვანახშირს მოიხმარდა. ამის გამო ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება აღარ გაზრდილა. ყველაზე დიდ მასშტაბებს საქართველოს მრეწველობის დარგებს შორის **ჭიათურის** მარგანეცის მოპოვებამ მიაღწია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის უკანასკნელ წლებში ჭიათურის მანგანუმის მოპოვება მსოფლიო მნიშვნელობის დარგად იქცა. ქართული მაღალხარისხოვანი მანგანუმი წარმატებით აკმაყოფილებდა მეტალურგიის მზარდ მოთხოვნილებას.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას გარკვეული თავისებურება ახასიათებდა. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და მასზე ვრცელდებოდა „რუსული კაპიტალიზმის" ყველა ნეგატიური მხარე. სახელმწიფო ზემოქმედებას ახდენდა მრეწველობის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებაზე. ამ სტრატეგიას კი განსაზღვრავდა არა ქვეყნის ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სისტემის განმტკიცების ინტერესები და დასავლეთის ქვეყნებთან კონკურენცია. კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა საშინაო ბაზრის სივიწროვე, მოსახლეობის ღარიბი უმრავლესობის დაბალი მსყიდველუნარიანობა. ადგილობრივი რესურსების მეორე მომხმარებელი უცხოელი კაპიტალისტები იყვნენ. შემოსავლის დიდ ნაწილს, რომელსაც საქართველოში განვითარებული მრეწველობის დარგები იძლეოდა, უცხოელი კაპიტალისტები ფლობდნენ. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას არ შეიძლებოდა ქვეყნისათვის სარგებლობა არ მოეტანა.

დავით სარაჯიშვილი

XX საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ გამოიკვეთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების კაპიტალისტური ხასიათი. მსოფლიოს სამრეწველო-ეკონომიკური სისტემა მეტროპოლიურ რუსეთთან ერთად თავის ბრუნვაში საქართველოს ეკონომიკასაც ითრევდა.

ლაღიძის წყლის ეტიკეტი

2. სოფლის მეურნეობა. მრეწველობის აღმავლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. XX საუკუნის დამდეგს გაიზარდა სოფლის მეურნეობაში ტექნიკური სიახლეების, მანქანა-იარაღების გამოყენების მოთხოვნილება. უცხოეთიდან დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ქარხნული წარმოების გუთნები. მსხვილ მეურნეობებში იყენებდნენ სათეს, სათიბ, სალეწ და სხვა სახის მანქანებს. ჯერ კიდევ იშვიათი იყო ტრაქტორი. ტექნიკური სიახლეები ამ დროისათვის მასობრივად არ დანერგილა.

სოფლის მეურნეობაში **მარცვლეულის** წარმოებას წამყვანი ადგილი ეკავა. მიუხედავად ამისა, თუ XIX საუკუნის ბოლოს საქართველოდან სხვა ქვეყნებში უფრო მეტი რაოდენობის მარცვლეული გაჰქონდათ, XX საუკუნის ოცწლეულში მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა – მარცვლეულის შემოტანამ გადააჭარბა გატანას. მარცვლეულის წარმოება თანდათან ნაკლებმომგებიანი ხდებოდა. მწარმოებელი მოსახლეობა სულ უფრო ინტენსიურად გადადიოდა მეურნეობის რენტაბელურ დარგებზე, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნილება რუსეთის ბაზარზე საკმაოდ დიდი იყო.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სოკოვანმა დაავადებებმა და ფილოქსერამ დიდად დააზარალა საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველაზე ტრადიციული დარგი – **მევენახეობა-მეღვინეობა.**


საქართველო XIX საუკუნის ბოლოს
პირობითი აღნიშვნები
რუსეთის იმპერიის საზღვარი თურქეთთან
გუბერნიებისა და ოლქების საზღვრები
ოკრუგებისა და მაზრების საზღვრები
გუბერნიისა და ოლქის ცენტრი
ოკრუგის ცენტრი
მაზრის ცენტრი
თბილისის გუბერნია
ქუთაისის გუბერნია
ყარსის ოლქი
რუსეთი
თურქეთი
შავი ზღვა
© M Shokiladze, 2003

საჭირო იყო ფილოქსერით დაზიანებული ვენახის შეცვლა ახალი ნამყენი ვენახით. ვაზის ამერიკულ საძირეზე დამყნობა და ვენახის მოვლის ახალი რაციონალური მეთოდების გამოყენება ქვეყნის მხოლოდ ზოგიერთ კუთხეში მიმდინარეობდა (იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი). არასახარბიელო მდგომარეობაში იყო აგრეთვე ქართული ღვინის მოყვანა და გასაღება – ღვინის რუსეთის ბაზარზე გატანას მხოლოდ მსხვილი მეურნეობები ახერხებდნენ.

განსაკუთრებით დაწინაურდა **მეაბრეშუმეობა.** ხელისუფლება აბრეშუმის პარკის წარმოების გაუმჯობესებას ხელს უწყობდა, რადგან მეტროპოლიის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები დიდი რაოდენობის ნედლეულს საჭიროებდნენ.

ქართველი თავადაზნაურობის გარკვეულმა ნაწილმა კაპიტალისტურად გარდაქმნა მეურნეობა და გააფართოვა საკუთარი მამული. სანიმუშო და მსხვილ მეურნეობათა შორის გამოირჩეოდა სალომე დადიანი-მიურატის, გიორგი მუხრანბატონისა და რომანოვების მეურნეობები.

საქართველოში ყველაზე მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობების ორგანიზატორი იყო საუფლისწულო მამულების უწყება. ქართლ-კახეთში ამ უწყებამ შექმნა მევენახეობა-მეღვინეობის, ბორჩალოს მაზრაში – მებამბეობის, მესაქონლეობის, აჭარაში – მეჩაიეობის სპეციალიზებული მეურნეობები. საუფლისწულო მამულების უწყების ინიციატივით დაიწყო ქართული ღვინის დაყენების ევროპულ წესზე გადაყვანა. ამ მიზნით წინანდალში აშენდა ცენტრალური მარანი-ქარხანა. სწორედ აღნიშნულმა უწყებამ შექმნა ევროპული წესით დაყენებული ქართული სუფრის ღვინოების თითქმის ყველა ძირითადი მარკა: „ნაფარეული", „წინანდალი", „მუკუზანი", „თელიანი". საერთაშორისო გამოფენებმა ცხადყო, რომ სუფრის ღვინის წარმოების რაიონებიდან კახეთი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში.

§ 3. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ახალი სოციალური სტრუქტურა. ქართული საზოგადოება გარდამავალ ხასიათს ატარებდა და ბატონყმური სისტემის ნაშთების ლიკვიდაციიდან კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე იდგა. საზოგადოების გამრავალფეროვნებასთან ერთად სხვადასხვაგვარი გახდა საზოგადოების შემადგენელი სოციალური ფენების, ჯგუფებისა თუ კლასების ინტერესებიც. ყველა მათგანს საკუთარი მისწრაფებები გაუჩნდა და ცდილობდა ისინი სხვადასხვა გზით დაეკმაყოფილებინა.

დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსახლეობის დიფერენცირებულ ინტერესებს პოლიტიკური პარტიები გამოხატავენ. მაგრამ რუსეთის იმპერია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ისეთ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც თვითმპყრობელური მონარქიის დესპოტიზმი მძვინვარებდა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს გასაქანს არ აძლევდა. ამგვარ პირობებში, პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი რუსეთშიც და საქართველოშიც რამდენიმე ათეულ წელიწადს გაჭიანურდა. მხოლოდ საუკუნეთა მიჯნაზე, ე. ი. XIX საუკუნის 90-იან წლებსა და XX საუკუნის დამდეგს შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისათვის ჯერ არალეგალური, მოგვიანებით კი – ლეგალური მოღვაწეობის მეტ-ნაკლებად შესაფერისი პირობები.

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა. პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოში სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: 1. დასავლეთევროპული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი „მესამე დასი"; 2. რუსული სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციის მქონე ჯგუფები. 1898-1900 წლებში მიმდინარეობდა მესამედასელთა და მათი მეთაურის **ნოე ჟორდანიას** თანდათანობით გადასვლა რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციებზე. 1901-1903 წლებში გაზეთი „კვალი" და მის გარშემო დარაზმული მესამედასელები საბოლოოდ მოექცნენ რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ. თუ ადრე ნოე ჟორდანია უშვებდა კლასობრივი თანხმობის მიღწევის შესაძლებლობას, ახლა იგი კლასობრივი ბრძოლის გაღრმავების აუცილებლობის პოზიციაზე დადგა.

XX საუკუნის დამდეგისათვის ქართული სოციალ-დემოკრატიის სახეს განსაზღვრავდნენ: **ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, ისიდორე რამიშვილი, ირაკლი წერეთელი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** და სხვ. თავდაპირველად ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ფილიპე მახარაძე და ალექსანდრე წულუკიძე. რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე გადასვლის მიუხედავად, **„მესამე დასი"** ცდილობდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. სრულიად საპირისპირო პოზიცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან დამოკიდებულებაში დაიკავა ქართველი სოციალ-დემოკრატების მეორე მიმდინარეობამ – **„რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასმა"** (1901 წ.), რომელსაც ფაქტობრივად თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია წარმოადგენდა. მასში შედიოდნენ: **იოსებ ჯუღაშვილი, ვასილ ცაბაძე,**

გიორგი პლეხანოვი

ვიქტორ კურნატოვსკი, გიორგი ყარაჯევი, სევერიან ჯულელი, მიხეილ ბოჭორიძე, გიორგი თელია და სხვ. თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ჭარბად იყვნენ არაქართველი სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული რევოლუციონერები.

1901 წლის მარტში დააპატიმრეს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მთელი ბირთვი. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციას არსებობა არ შეუწყვეტია. პირიქით, დაპატიმრებას გადარჩენილებმა გადაწყვიტეს სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ჯგუფების საერთო ხელმძღვანელობისა და გაერთიანებისათვის ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმა – **თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი** შეექმნათ. საქალაქო ორგანიზაციის შექმნისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც **იოსებ ჯუღაშვილი** ხელმძღვანელობდა, 1901 წლის შემოდგომის ბოლოს დასრულდა. 1901 წლის ნოემბერში აირჩიეს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კომიტეტი. მასში შევიდნენ: **ვასილ ცაბაძე (თავმჯდომარე), იოსებ ჯუღაშვილი, სევერიან ჯულელი, გიორგი ყარაჯევი, ზაქარია ჩოდრიშვილი და გიორგი ჩხეიძე.** 1901 წლის დეკემბრიდან თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტად გარდაიქმნა.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ორგანიზაციული განმტკიცება და გაფართოება მხოლოდ თბილისით არ შემოიფარგლებოდა. 1901 წლის ნოემბერში თბილისის კომიტეტმა ბათუმში მიავლინა თავისი წევრი **იოსებ ჯუღაშვილი.** მისი ენერგიული მუშაობის შედეგად ბათუმში ჯერ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, ხოლო 1902 წლის **დასაწყისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი** შეიქმნა. ბათუმის კომიტეტთან არსებობდა სოფლის მუშების კომისია, რომელიც გურიაში გლეხთა მოძრაობასთან კავშირისა და მისი წარმართვის მიზნით შეიქმნა.

თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ინტერნაციონალურ ორგანოს წარმოადგენდა. მასში ქართველებთან ერთად არაქართველი სოციალ-დემოკრატებიც შედიოდნენ. ასეთივე შერეული ეროვნული შემადგენლობისა იყო კომიტეტისადმი დაქვემდებარებული სოციალ-დემოკრატიული წრეები და ჯგუფები.

1901 წლის დასაწყისში ევროპულ ემიგრაციაში მყოფი რუსი სოციალ-დემოკრატების ჯგუფმა გიორგი პლეხანოვის, ვლადიმერ ლენინის, იული მარტოვის, პავლე აქსელროდისა და სხვათა მონაწილეობით ჟენევაში გამოსცა გაზეთი „ისკრა". გაზეთის მიზანი იყო პროპაგანდა გაეწია საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად. რუსული სოციალ-დემოკრატიის ბელადები სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საიმპერიო მასშტაბის პოლიტიკურ ორგანიზაციად წარმოიდგენდნენ, რომელშიც ადგილობრივი კომიტეტების სახით უნდა გაერთიანებულიყვნენ განაპირა მხარეების ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ეს იყო ფაქტობრივად ველიკოდერჟავული პოლიტიკის გადმოტანა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში.

რუსული სოციალ-დემოკრატიის ველიკოდერჟავულ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდნენ იმპერიის იმ განაპირა მხარეების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებშიც მაღალი იყო ეროვნულ-

ვლადიმერ ლენინი

პოლიტიკური თვითშეგნება. ქართული სოციალ-დემოკრატია ორიენტაციის არჩევისას თავიდანვე ორ მიმდინარეობად გაიყო. თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ (შემდგომში რსდმპ თბილისის კომიტეტმა) ჩამოყალიბებისთანავე რუსული ორიენტაცია დაიკავა. თბილისის კომიტეტის პრორუსულ ორიენტაციას არ ზიარებდა „მესამე დასი", რომელიც არც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნაში იღებდა მონაწილეობას და თავდაპირველად არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შესულა. მესამედასელთა ორგანიზაციის სახით ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილი – ეროვნული ფრთა – 1901-1902 წლებში ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ორი მიმდინარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანების შესახებ ღია პოლემი-

კას ერიდებოდა. მათ შორის ფარულმა წინააღმდეგობამ ამ საკითხთან დაკავშირებით პიკს 1903 წელს მიაღწია.

კავკასიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც პრორუსულ ანუ ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე იდგნენ, გაერთიანება გადაწყვიტეს. მათ მოქმედებას კოორდინირებას უწევდა გაზ. „ისკრის" რედაქცია. გიორგი პლეხანოვმა და ვლადიმერ ლენინმა წამოაყენეს **რსდმპ კავკასიის კავშირის** შექმნის იდეა, რომელიც გააერთიანებდა კავკასიურ ორგანიზაციებს და გააადვილებდა მათ შერწყმას საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

იოსებ ჯუღაშვილი

ნოე ჟორდანია და მისი მესამედასელი თანამოაზრენი, მართალია, საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გათქვეფის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ამ წინააღმდეგობას პრინციპული ხასიათი არ ჰქონდა, მას საფუძვლად არ ედო მყარი ეროვნული თვითშეგნება. 1903 წლისათვის მესამედასელები იდეოლოგიურად უკვე გადასულნი იყვნენ რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე. ამიტომ მათ თითქმის პრინციპული წინააღმდეგობის გაუწევლად ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და მონაწილეობა მიიღეს რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნაში.

1903 წლის მარტში თბილისში არალეგალურად გაიმართა **რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობა.** ყრილობამ დააფუძნა რსდმპ კავკასიის კავშირი. ყრილობაზე ნოე ჟორდანია დაუპირისპირდა ვლადიმერ ლენინის მიერ წამოყენებული პარტიის აგების ე. წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპს და მოითხოვა რსდმპ კავკასიის კავშირი შექმნილიყო „ფართო დემოკრატიული პრინციპის" საფუძველზე. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა ადგილობრივი ორგანიზაციების (კომიტეტების) ავტონომიას. ყრილობამ ნოე ჟორდანიას წინადადება უარყო და ვლადიმერ ლენინის „დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპი დაუდო საფუძვლად რსდმპ კავკასიის კავშირის საორგანიზაციო წესდებას. რუსული სოციალ-დემოკრატია თანდათანობით იმაგრებდა პოზიციებს საქართველოში.

ჯერ კიდევ 1901 წლის სექტემბერში თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა გამოსცა გაზეთი „ბრძოლა", რომელიც არალეგალურად იბეჭდებოდა ბაქოში მოწყობილ საიდუმლო სტამბაში. რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობის გადაწყვეტილებით ქართული „ბრძოლა" და სომხური „პროლეტარიატი" გაერთიანდა „პროლეტარიატის ბრძოლის" სახელით და ქართულ-სომხურ-რუსულ ენებზე გამოვიდა. ყრილობამ აირჩია **რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი** 9 კაცის შემადგენლობით: **ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე ნულუკიძე, მიხა ცხაკაია, დიომიდე თოფურიძე, მიხეილ ბოჭორიძე, არშაკ ზურაბოვი, ბოგდან კნუნიანცი.** რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: **იოსებ ჯუღაშვილი, მიხეილ დავითაშვილი, დიმიტრი პოსტოლოვსკი, სტეფანე შაუმიანი, პროკოფი ჯაფარიძე და სხვ.**

რსდმპ კავკასიის კავშირის შემადგენლობაში ყრილობის შემდეგ მალე შევიდნენ ახალშექმნილი გურიისა და იმერეთ-სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები.

რსდმპ კავკასიის კავშირის საშუალებით რუსულმა სოციალ-დემოკრატიამ დიდ წარმატებას მიაღწია – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები სერიოზული გართულების გარეშე შეერწყნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. **„მესამე დასმა", როგორც დამოუკიდებელმა ეროვნულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, არსებობა შეწყვიტა.**

ქართული სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან სრული ინტეგრაციის საბოლოო იურიდიული გაფორმება რსდმპ II ყრილობაზე შედგა.

1903 წლის ივლის-აგვისტოში გაიმართა რსდმპ II ყრილობა. მისი მთავარი მიზანი იყო რუსეთის იმპერიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად. ყრილობის ორგანიზატორებმა ვლადიმერ ლენინმა, გიორგი პლეხანოვმა, იული მარტოვმა, პავლე აქსელროდმა და სხვებმა მიზანს მიაღწიეს.

ყრილობას თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებიდან ორ-ორი გადამწყვეტი ხმით ესწრებოდნენ: **დიომიდე თოფურიძე (კარსკი)** და **არშაკ ზურაბოვი,** ხოლო სათათბირო ხმით – **ნოე ჟორდანია (კოსტროვი).** ქართველმა დელეგატებმა ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა კი მიიღეს, მაგრამ თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს. მათ საბოლოოდ ლენინ-პლეხანოვის ცენტრალისტურ-ინტერნაციონალისტური პრინციპები გაიზიარეს.

რსდმპ II ყრილობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატია ორ – მენშევიკურ და ბოლშევიკურ –



ფილიპე მახარაძე

ფრაქციად გაიყო. ეს ფაქტობრივად განხეთქილება იყო, თუმცა ისინი ერთ პარტიაში მოღვაწეობას განაგრძობდნენ და ყრილობაზე მიღებული რეზოლუციები, პროგრამა და წესდება სავალდებულოდ ითვლებოდა ორივე ფრაქციისათვის.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ კავკასიის კავშირში ბოლშევიკებმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში უპირატესობას მიაღწიეს. რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობაზე (1903 წ. ოქტომბერი) კომიტეტის არჩევნებშიც ბოლშევიკებმა უმრავლესობა მოიპოვეს. იგივე სურათი განმეორდა კავკასიის კავშირის III ყრილობაზეც (1904 წ. მაისი).

დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, 1903-1904 წლებში, მენშევიკები და ბოლშევიკები საქართველოში ერთად მუშაობდნენ. მწვავე პოლემიკა მხოლოდ პარტიულ ელიტას შეეხო.

2. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნა. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ XX საუკუნის დამდეგისათვის ეროვნული ინტელიგენციის ახალი თაობა პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობამდე მიიყვანა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში სამი ძირითადი ეროვნული მიმართულება მოღვაწეობდა: გაზეთ „ივერიის" ძველი თაობა; „ივერიის" რედაქციის გარშემო 1895 წლიდან ჩამოყალიბებული „ახალგაზრდა ივერიელების" ეროვნულ-რადიკალური მიმდინარეობა და ჟურნალ „მოამბის" ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობა. 1900 წლის დეკემბერში ყოფილი „ახალგაზრდა ივერიელები" და „მოამბისტები" გაერთიანდნენ და თავი მოიყარეს ახალშექმნილ გაზეთ „ცნობის ფურცლის" გარშემო. „ცნობის ფურცლელთა" უმთავრესი იდეალი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. **ძველი თაობისაგან განსხვავებით, „ცნობის ფურცლელებს" მიაჩნდათ, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საჭირო იყო პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციას – პარტიას – შეეძლო ეწარმოებინა.** მიუხედავად ამისა, „ცნობის ფურცელი" პარტიის შექმნას არ ჩქარობდა. მათ უფრო მიზანშეწონილად ცნეს ჯერ საზღვარგარეთ გაზეთის გამოცემა და მისი მეშვეობით ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამის შემუშავება და პროპაგანდა. 1901 წლის შემოდგომაზე „ცნობის ფურცლის" ჯგუფმა პარტიის ორგანიზაციისათვის შექმნა **მთავარი კომიტეტი**, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: **არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი** და **ანდრია დეკანოზიშვილები** და **ვლადიმერ ლორთქიფანიძე.**

1902 წელს მთავარმა კომიტეტმა თავისი ორი წევრი – **არჩილ ჯორჯაძე** და **გიორგი დეკანოზიშვილი** – არალეგალური გაზეთის გამოსაცემად საფრანგეთში გაგზავნა. მათი თაოსნობითა და იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ქართველი პატრიოტი მოღვაწეების მონაწილეობით 1903 წლის 1 მაისს პარიზში გამოვიდა ეროვნულ-პოლიტიკური მიმართულების თავისუფალი ორკვირეული გაზეთი

ალექსანდრე წულუკიძე

„საქართველო". გაზეთი არალეგალური გზით ვრცელდებოდა საქართველოში. გაზეთმა დიდი მუშაობა გასწია ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციისათვის. ამ მიზნით „საქართველოს" რედაქციამ ითავა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობების გამაერთიანებელი კონფერენციის მოწვევა. კონფერენციის მიზანი იყო გაერკვია: 1. რას ფიქრობდნენ ქართული პოლიტიკური ძალები ეროვნულ საკითხზე; 2. შესაძლებელი იყო თუ არა ამ ძალების გაერთიანება ეროვნული იდეის ქვეშ. პოლიტიკურ ძალებში იგულისხმებოდნენ: გაზეთ „საქართველოს" წარმომადგენლები, სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ჯგუფები, ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და ეროვნული მოღვაწეები, რომლებიც არც ერთ პარტიულ მიმართულებას არ ეკუთვნოდნენ.

1904 წლის 1 აპრილს **ჟენევაში** გაიხსნა საზღვარგარეთ მყოფი ეროვნულ-პოლიტიკური და რევოლუციური მიმდინარეობების წარმომადგენელთა, ან როგორც მაშინ უწოდებდნენ, **„ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენცია"**. კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ერთ კვირას გაგრძელდა, მონაწილეობას იღებდნენ: „საქართველოს" რედაქციის წარმომადგენლები: **არჩილ ჯორჯაძე** (საბუელი), **გიორგი დეკანოზიშვილი** (ქართლელი); **ანარქისტები: ვარლამ ჩერქეზიშვილი** (მანაველი),

ჟენევის კონფერენციის მონაწილენი: დგანან (მარცხნიდან): სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი; სხედან (მარცხნიდან):არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, მიხაკო წერეთელი

კომანდო (გიორგი) გოგელია (ორგეიანი), **მიხეილ (მიხაკო) წერეთელი** (თერგელი), **ალექსანდრე გაბუნია** (ვერმიცანიძე); **ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები) და ეროვნულ-დემოკრატები,** რომლებიც ფსევდონიმებით არიან კონფერენციის ოქმებში მოხსენიებულნი და მათი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. თავდაპირველად კონფერენციაზე გამოცხადდნენ **ქართველი სოციალ-დემოკრატებიც: ნოე ჟორდანია** (დევიანი) **და მისი ოთხი თანაპარტიელი.** მათ იდეური მოსაზრებით მეორე დღესვე დატოვეს კონფერენცია. სულ კონფერენციას 26 კაცი ესწრებოდა. კონფერენციამ რვა საკითხი განიხილა და მიიღო შესაბამისი რეზოლუციები. ამათგან მთავარი იყო, თუ რა ლოზუნგით უნდა ებრძოლათ ეროვნულ ძალებს, რა ფორმით უნდა მომხდარიყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. კონფერენციაზე იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენიც, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას იმხანად არსებულ ვითარებაში შეუძლებლად მიაჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვება. ისინი თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო უფრო რეალური პოლიტიკური მიზანდასახულობისათვის (საქართველოს ავტონომიისათვის) ბრძოლა. **ჟენევის კონფერენციამ მიიღო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, მომავალი დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში.** აგრარულ საკითხში მიიღეს მიწების სოციალიზაციის მოთხოვნა, რომელიც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის პროგრამიდან იყო აღებული. სოციალიზაცია გულისხმობდა მიწების განსაზოგადოებრიობასა და მათ სასოფლო თემებისათვის გადაცემას. სპეციალური რეზოლუციით კონფერენციის მონაწილე ფრაქციებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის იმპერიის ყველა ოპოზიციურ და რევოლუციურ პარტიას, რომლებიც მონარქიის დამხობისათვის იბრძოდნენ.

ჟენევის კონფერენციის უმთავრესი შედეგი იყო **„ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“** შექმნა. კონფერენციის მონაწილე პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა: ავტონომისტ-„საქართველოისტებმა“, ანარქისტებმა, ესერებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა გაერთიანების შედეგად შექმნეს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც ბლოკისტურ ხასიათს ატარებდა. **გაერთიანება საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის ნიადაგზე მოხდა.** მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით ახალშექმნილ პარტიას საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია ეწოდა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია საქართველოში პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. მის მიზანდასახულობასა და მოღვაწეობაშიც უმთავრესს ყოველთვის ეროვნული პრობლემატიკა წარმოადგენდა. ამავე დროს, ფედერალისტები სოციალისტურ პარტიას წარმოადგენდნენ. ფედერალისტების სოციალიზმი დემოკრატიული ხასიათისა იყო, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების ევოლუციური განვითარების შედეგად უნდა განხორციელებულიყო. ქართველი ფედერალისტები ევროპული ტიპის დემოკრატიული

გიორგი ლასხიშვილი

სოციალიზმის მომხრენი იყვნენ. ამავე დროს, ისინი ესერული და ანარქისტული სოციალიზმის გავლენასაც განიცდიდნენ. **ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისათვის უმთავრესი ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო.**

3. ესერთა (სოციალისტ-რევოლუციონერთა) ორგანიზაციები საქართველოში. ესერთა წინაპარი – ნეოხალხოსნური მცირერიცხოვანი წრეები XIX საუკუნის 90-იან წლებში არსებობდნენ საქართველოში. მათ უმრავლესობას რუსი ნეოხალხოსნები შეადგენდნენ. 1902 წელს შეიქმნა რუსეთის სოციალ-

ისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელიც ცდილობდა იმპერიის განაპირა ქვეყნების ნეოხალხოსნური ჯგუფები შეეერთებინა და საერთო-სარუსეთო მასშტაბის ცენტრალიზებული პარტია შეექმნა. ამ მიზნით საქართველოში ზედიზედ ჩამოვიდნენ ესერთა ლიდერები.

საქართველოს ნეოხალხოსნურ მოძრაობაში ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ინტერნაციონალისტები, რომლებიც რუსულ პარტიასთან გაერთიანების მომხრენი იყვნენ და ეროვნული მიმართულების ნეოხალხოსნები, რომლებიც დამოუკიდებელი ქართული პარტიის შექმნას ცდილობდნენ. ეს უკანასკნელნი ის ყოფილი ქართველი ხალხოსნები იყვნენ, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჯერ „ახალგაზრდა ივერიელთა", შემდეგ „ცნობის ფურცლელთა" მოღვაწეობაში, ხოლო ბოლოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამაარსებლადაც მოგვევლინნენ.

ინტერნაციონალისტური მიმართულების ნეოხალხოსნური წრეების გაერთიანების შედეგად 1901 წლიდან საქართველოში ჩამოყალიბდა ესერთა ორგანიზაცია. მასში უმთავრესად შედიოდნენ ჩამოსახლებული ან ადგილობრივი ნეოხალხოსნური მოძრაობის მონაწილენი: ალექსანდრე კალუჟნი, ლევ ბეკი და სხვ. ეს ორგანიზაცია არ ქცეულა რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად საქართველოში.

XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში ესერები ნარმოდგენილი იყვნენ რუსეთის ესერთა პარტიის ადგილობრივი ჯგუფებითა და ორგანიზაციებით. ესერთა სისუსტის მიზეზი იყო სოციალ-დემოკრატიის, სოციალიზმ-ფედერალიზმისა და ქართული ეროვნული მოძრაობის სიძლიერე. სოციალ-დემოკრატებმა კონკურენციაში დაამარცხეს, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტებმა სოციალური ბაზის გარეშე დატოვეს რუსეთის ესერთა პარტია.

4. ანარქიზმი საქართველოში. ანარქიზმი ერთ-ერთი სოციალისტური მიმდევრობათაგანია, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა ევროპაში. ანარქიზმის ქვაკუთხედი სახელმწიფოს უარყოფაა. ამას მოსდევს ადამიანური ყოფის შემზღუდველი სისტემებისა და ნორმების უარმყოფელი შეხედულებანი, რომელთა დასაბუთებაც ანარქიზმის ფუძემდებელთა და მათ მიმდევართა ნააზრევში აისახებოდა.

სხვა სოციალური მოძღვრებებისაგან განსხვავებით, ანარქიზმი საქართველოში რუსეთიდან არ გავრცელებულა. ანარქისტული იდეები საქართველოში, ევროპის ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა ანარქისტებმა შემოიტანეს. XX საუკუნის დამდეგს ანარქისტული მოძრაობის ხანმოკლე ბუმი საქართველოში დაკავშირებული იყო ევროპიდან ჩამოსული მოღვაწეების: **ვარლამ ჩერქეზიშვილის, კომანდო (გიორგი) გოგელიასა და მიხაკო წერეთლის** სახელებთან.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპაში ემიგრაციაში მყოფი ვარლამ ჩერქეზიშვილი საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი იყო. იგი პეტრე კროპოტკინთან, ელიზე რეკლიუსთან, ჯეიმს გილიომთან და სხვებთან ერთად მიეკუთვნებოდა ევროპული ანარქიზმის ელიტას. პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული მისი ნაშრომები: „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან" (1896 წ.) და „ინტერნაციონალის წინამორბედნი" (1899 წ.), მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა და XX საუკუნის დასაწყისში არაერთხელ გამოიცა ინგლისში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, ჩინეთში, იაპონიაში და სხვ. ნაშრომში „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან", რომელიც რუსეთში მრავალჯერ გამოიცა, ვარლამ ჩერქეზიშვილი დასა-

ვარლამ ჩერქეზიშვილი

ბუთებულად ამტკიცებდა, რომ მრავალი თეზისი, რომელიც აღმოჩენად მოინათლა, კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა გადმოიღეს დასავლეთევროპელი მოაზროვნეებისაგან, ხოლო მათი განთქმული „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" წარმოადგენდა ფრანგი ფურიერისტის ვიქტორ კონსიდერანის ერთ-ერთი ნაშრომის პლაგიატს. ამ საშინელი ბრალდების გამო ქართველ ანარქისტს პერმანენტულად ეკამათებოდნენ საერთაშორისო და რუსული მარქსიზმის ავტორიტეტები: კარლ კაუცკი, ვილჰელმ ლიბკნეხტი, გიორგი პლეხანოვი, იოსებ სტალინი და სხვ. უფრო დაბალი რანგის სოციალისტები ვარლამ ჩერქეზიშვილთან დავას ერიდებოდნენ.

XX საუკუნის დამდეგს დასავლეთ ევროპაში სწავლობდა და რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა მეორე ქართველი ანარქისტი კომანდო (გიორგი) გოგელია. 1903 წელს კომანდო გოგელიამ ჟენევაში გამოსცა პირველი რუსულენოვანი ანარქისტული გაზეთი „ხლებ ი ვოლია". სწორედ ამ გაზეთმა დაუდო სათავე რუსეთში ანარქიზმის აღმავლობას, რის გამოც კომანდო გოგელია რუსული ანარქიზმის ერთ-ერთ აღიარებულ ავტორიტეტად იქნა მიჩნეული.

XX საუკუნის დამდეგიდან ანარქისტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: წერილებს აქვეყნებდნენ პრესაში, ეხმარებოდნენ გაზეთ „საქართველოს" საფრანგეთში, ქართველ მოღვაწეებს აკავშირებდნენ ევროპის რევოლუციურ-პოლიტიკურ წრეებთან და ა. შ. განსაკუთრებით მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მათ ჟენევის კონფერენციაში (1904 წ.), რომლის შემდეგაც ქართველი ანარქისტები სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდნენ ბლოკის პრინციპით.

5. ეროვნულ-დემოკრატები. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილი მოღვაწეები „ცნობის ფურცლის" ჯგუფში გაერთიანდნენ. ეს იყო ჟურნალ „მოამბის" ყოფილი ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმდინარეობა. ეროვნულ-დემოკრატები „ცნობის ფურცლელთა" მემარჯვენე ფრთას შეადგენდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული ფსიქოლოგია იმდენად ძლიერი იყო ჯგუფში, რომ 1901-1902 წლებში „ცნობის ფურცლელებმა" პროკლამაციები **„ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის"** სახელით გამოსცეს. 1904 წელს ეროვნულ-დემოკრატები სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში შევიდნენ და აქაც მემარჯვენე ფრთა შეადგინეს. ეს იყო ერთადერთი პოლიტიკური მიმდინარეობა საქართველოში, რომელიც არც ერთ სოციალისტურ იდეოლოგიას არ იზიარებდა და წმინდა ეროვნულ მიმართულებას განასახიერებდა. ეროვნულ-დემოკრატები იცავდნენ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპს და ცდილობდნენ ზეკლასობრივი, ზოგადქართული ტიპის პოლიტიკური პარტიის შექმნას. ეროვნულ-დემოკრატები ილია ჭავჭავაძის ერთადერთ ჭეშმარიტ მიმდევრებად მიიჩნევდნენ თავს და სხვებისაგან განსხვავებით უკრიტიკოდ აღიარებდნენ მის უნივერსალურ ავტორიტეტს. **ეროვნულ-დემოკრატები მოითხოვდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას**

გიორგი გვაზავა

ავტონომიის ფორმით. 1905 წლის სოციალური მოძრაობის აღმავლობამ ეროვნულ-დემოკრატები მიიყვანა დასკვნამდე, რომ წმინდა ეროვნულ მიმართულებას საქართველოში დამოუკიდებელი **პოლიტიკური პარტია უნდა შეექმნა. თავის ახალგაზრდა მიმდევრებს მხარში ამოუდგა** ილია ჭავჭავაძე. ეროვნულ-დემოკრატები განსაკუთრებით 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოსვლის შემდეგ გააქტიურდნენ. 1905 წლის მიწურულს შედგა ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილი ინტელიგენციის შეკრება, რომელმაც **ილია ჭავჭავაძის** წინადადებით მიიღო პარტიის შექმნის გადაწყვეტილება. ინიციატორთა შორის იყვნენ: **ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გვაზავა, პაველ თუმანიშვილი, ნიკოლოზ (ნიკო) თავდგირიძე** და სხვ. 1906 წლის დასაწყისში დაიბეჭდა და ბროშურის სახით გავრცელდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და წესდება. ოფიციალურად ახალ პარტიას ქართული დემოკრატიული პარტია ეწოდა. ილია ჭავჭავაძემ, ენერგიული მონაწილეობის მიუხედავად, ახალი პარტიის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა და ამ პოსტზე **ივანე ზურაბიშვილის** კანდიდატურა წამოაყენა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფორმირება იმხანად აღარ გაგრძელებულა. რევოლუციის დამარცხებამ, ავტონომიის იდეისა და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის გააფთრებულმა ბრძოლამ, დაბოლოს, ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა აღსასრულმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური პოლიტიკური საქმიანობა რამდენიმე წლით შეაფერხა.

ილია ჭავჭავაძე

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოში რამდენიმე სხვა პარტიაც არსებობდა. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა **ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია** და **რადიკალური პარტია.** მათი საქმიანობა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან იყო დაკავშირებული.

საქართველოში მოქმედებდა რამდენიმე არაქართული პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია: რუსული პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციები; სომხური პარტიები: დაშნაკცუტიუნი და ჰნჩაკი. აზერბაიჯანული მუსავატის ფილიალი და სხვ. მათგან სიძლიერით გამოირჩეოდნენ სომეხი დაშნაკები, რომლებსაც სერიოზული გავლენა ჰქონდათ თბი-

ლისში და სომხებით დასახლებულ საქართველოს სხვა რეგიონებში.

§4. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. სოციალური მოძრაობა

1. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. საქართველოს კოლონიურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მარტო კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებაზე, არამედ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაზეც.

1897 წლის აღწერით **თავადაზნაურობა** საქართველოს 1 მილიონ 919 ათასიანი მოსახლეობის 5,6%-ს შეადგენდა. ამ წოდების წარმომადგენლებს პირობითად შეიძლება ეწოდოს პრივილეგირებული. მათ დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ ე. წ. „შემოდგომის აზნაურები" ანუ წვრილი, მცირემიწიანი, გალატაკებული აზნაურები. თავადაზნაურობის მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობდა ვრცელ მამულებს, უმაღლეს მდგომარეობასა და თანამდებობებს. კაპიტალიზმის აღმავლობის პირობებში ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი ჩალის ფასად ყიდდა თავის მამულს, რომელსაც ძირითადად უცხოტომელი, განსაკუთრებით სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები ყიდულობდნენ. სომხური ბურჟუაზია ათიათასობით დესეტინა მიწას ფლობდა საქართველოში. პატრიოტული ინტელიგენცია შეშფოთებული იყო იმით, რომ ქართველობას ხელიდან აცლიდნენ ყველაზე ძვირფასს – მშობლიურ მიწაწყალს და მას უცხოტომელებს უგდებდნენ ხელში. თავადაზნაურთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო თავის მამულებში მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაექმნა.

მოსახლეობის მეორე შეძლებული ფენა **ბურჟუაზია** იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმის განვითარება ბუნებრივი გზით წარიმართა, ყალიბდებოდა ეროვნული ბურჟუაზია. კოლონიურმა მდგომარეობამ განაპირობა კაპიტალიზმის ერთ-ერთი უარყოფითი თავისებურება ჩვენს ქვეყანაში – საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა ეროვნული ბურჟუაზია, რომელსაც შეეძლო მოხვეჭილი სიმდიდრის ნაწილი უკუგებით მოეხმარებინა საკუთარი ქვეყნისათვის.

საქართველოს ეკონომიკას თავიდანვე დაეპატრონა არაქართული ბურჟუაზია – დასავლეთევროპელები, რუსები, სომხები, ბერძნები, თურქები... მათ ხელში იყო ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზა, ნავთობის ტრანზიტი, მადნეულის მოპოვება და ექსპორტი და სხვ. 1900 წლისათვის ბათუმში მოქმედი ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის ქარხნები როტშილდის, ნობელის, მანთაშევის, ხაჩატრიანცის, სიდერიდისისა და სხვათა ფირმების ხელში იყო. ხე-ტყის მრეწველობის ქარხნებს ფლობდნენ: სერებრიაკოვი, მაქსიმოვი, ტერ-ასატუროვები, ზეზემანი, ავშაროვი და სხვები. შალის, ქეჩის ქსოვილების, ტყავისა და ფეხსაცმლის წარმოებას ადელხანოვი ფლობდა. სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოზიდვას აუფერმანის, აკოფოვის, ბახტამიანცისა და სხვათა ფირმები აწარმოებდნენ. უცხოტომელ კაპიტალისტთა მასაში აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა ორიოდე ქართველი მეწარმის გვარი: **დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლაღიძე.** რუსულ სახელმწიფოსთან ერთად, უცხოტომელი ბურჟუაზიის სახით, ქართველ ხალხს მეორე ექსპლოატატორი გამოუჩნდა. ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს კაპიტალიზმის ამგვარი სახით

ექვთიმე თაყაიშვილი

განვითარება, ქვეყნის საბოლოო ეკონომიკური დაკაბალების წინაპირობად მიაჩნდათ.

ვაჭრები საქართველოს მოსახლეობის 0,3%-ს შეადგენდნენ. ისინი ხელოსნებთან და დაქირავებულ შრომაში ჩაბმულ მოქალაქეებთან ერთად წარმოადგენდნენ ე. წ. „მეშჩანებს" და მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის 6,5%-ს შეადგენდნენ.

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (83,6%) **გლეხობა** იყო. XX საუკუნის დამდეგს ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა დროებითვალდებული გლეხების მიერ ნადელების გამოსყიდვის პროცესი. 1904 წლისათვის დროებითვალდებულთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარმა გამოისყიდა ნადელი და მიწის მესაკუთრე გახდა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. გლეხის მიწის მესაკუთრედ გადაქცევის პროცესს არაერთი ფაქტორი უშლიდა ხელს: უფულობა, მემამულეთა წინააღმდეგობა, ბიუროკრატიული ფორმალობები. არანაკლებ ამძიმებდა გლეხთა მდგომარეობას უკიდურესი მცირემიწიანობა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფო გლეხობას საშუალოდ 2 დესეტინამდე მიწა გააჩნდა დასავლეთ საქართველოში, ცოტა მეტი – თბილისის გუბერნიაში. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იყვნენ **ხიზანთა** კატეგორიაში მყოფი გლეხები. ერთი **სტყვით, საქა**რთველოში მცხოვრები ყველა კატეგორიის **გლეხ**ობა – ე. ი. ქვეყნის მთავარი მწარმოებელი **ბ**ოსახლეობა – მწვავედ განიცდიდა უმიწობასა თუ მცირემიწიანობას. არსებუ-

ლი სისტემის პირობებში ამ პრობლემის გადაჭრას პერსპექტივა არ გააჩნდა. ამგვარ ვითარებაში ქართველი გლეხკაცობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა საქართველოში რუსეთის გუბერნიებიდან მოსახლეობის ჩამოსახლების უწყვეტი და XX საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო გაძლიერებული პროცესი. ჩამოსახლებულებს რუსეთის ხელისუფლება სწორედ ქართველობის ხარჯზე უხვად ურიგებდა სახნავ-სათესად ვარგის საუკეთესო მიწას.

XX საუკუნის დასაწყისის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში მუშათა კლასის საბოლოო ჩამოყალიბება იყო. საქართველოს მუშათა კლასი ეროვნული შემადგენლობით მრავალეროვნული იყო. მრეწველობაში ჩაბმული მუშების ძირითად უმრავლესობას (56%) ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ ზოგიერთ ქარხანაში არაქართველი მუშები სჭარბობდნენ. კავკასიის კოლონიური ხელისუფლება ინტენსიურად უწყობდა ხელს რუსეთიდან მუშების ჩამოსახლებას. ქართველი მუშების უმრავლესობა კავშირს ინარჩუნებდა სოფელთან და ცდილობდა მთლიანად არ მოწყვეტოდა მიწას. შეიძლება ითქვას, ეს გარემოება ქართველი პროლეტარიატის თავისებურება იყო. ქართველი მუშების სიახლოვე სოფელთან თავის მხრივ განაპირობებდა გლეხობის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

მცირე ხვედრითი წილი გააჩნდათ სხვა სოციალურ ფენებს, მაგალითად, **ინტელიგენციას, მოსწავლე-ახალგაზრდობას,** თუმცა მათი პოლიტიკური აქტივობა განუზომლად მაღალი იყო სხვა სოციალურ ფენებთან შედარებით. ინტელიგენციამ, მოსწავლე და სტუდენტმა ახალგაზრდობამ XX საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ დაიმკვიდრა არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ლიდერის როლი, რაც მას ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გააჩნდა, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური ავანგარდის რთული და საპატიო მისიაც იკისრა.

2. მუშათა გამოსვლები. XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლება ადვილად უმკლავდებოდა იმპერიის სხვადასხვა მხარეში მომხდარ სოციალური ხასიათის გამოსვლებს, რომლებსაც სპონტანური და სტიქიური ხასიათი ჰქონდათ. სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებამ სოციალურ მოძრაობას XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულსა და განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისში სრულიად ახალი, ორგანიზებული და, რაც მთავარია, პოლიტიკური ელფერი შესძინა. სოციალური მოძრაობა ხელისუფლებისათვის უაღრესად საშიში გახდა.

მუშათა მოძრაობის აღმავლობისათვის რუსეთის იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოში საკმარისზე მეტი მიზეზი არსებობდა. საქართველოში ახალწარმოქმნილ პროლეტარიატს მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთში არ არსებობდა მუშათა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, პროფკავშირული მოძრაობა და ა. შ. სოციალური გარანტიების სრული უქონლობა და სრულიად უნუგეშო მდგომარეობა მუშათა შორის ნერგავდა ბუნებრივი პროტესტის განწყობას, რომელიც ქარხნის მეპატრონის და საბოლოოდ არსებული სოციალური სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამგვარ ვითარებაში, სოციალისტური იდეები ადვილად იპყრობდა მუშათა ფსიქოლოგიას. იმპერიის საერთო სურათის ანალოგიურად, საქართველოს მუშათა კლასის ერთადერთ მოკავშირედ და მეთაურად პოლიტიკური პარტიები იქცნენ.



საოქრომჭედლო დუქანი

საქართველოში მუშათა მოძრაობის სადავეები ყველაზე პირველად სოციალ-დემოკრატებმა იგდეს ხელთ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში მუშათა მოძრაობა საქართველოში სოციალური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს და წამყვან ძალად იქცა. უკვე ამ პერიოდში ფაბრიკა-ქარხნებში სოციალ-დემოკრატები აქტიურად მოქმედებდნენ, უკავშირდებოდნენ მუშებს. მიუხედავად ამისა, 1899 წლამდე თბილისში სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ ვერ გვევლინებოდნენ მუშათა გამოსვლების ორგანიზატორებად. **გაფიცვებს წმინდა მუშური ხასიათი ჰქონდა.** მაგრამ უკვე 1899 და 1900 წლების მაისობების აღნიშვნის დროს მუშათა გამოსვლებს სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობდნენ. 1901 წლის 22 აპრილს თბილისის ქუჩებში დაახლოებით 2000 მუშა გამოვიდა და პირველი მაისის საერთაშორისო დღესასწაული პოლიტიკური დემონსტრაციით აღნიშნა. ეს იყო სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით მოწყობილი ფართომასშტაბიანი **პოლიტიკური გამოსვლა.** 1900-1901 წლებში თბილისში მოწყობილ მუშათა გაფიცვებსა და გამოსვლებში სისტემატურად მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატები. თბილისის მუშათა გამოსვლების ცენტრს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი

საქართველოს
პარლამენტის

სახელოსნოები წარმოადგენდა. 1901-1902 წლებში მუშათა გაფიცვები თბილისის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა.

განსაკუთრებული შეუპოვრობით გამოირჩეოდა ბათუმის მუშათა გამოსვლები 1902-1903 წლებში, რომლებმაც მთელს იმპერიაში პოვა გამოძახილი. 1902 წლის 9 მარტს მოხდა გაფიცულთა შეტაკება პოლიციასა და ჯარის ნაწილებთან, რომლის დროსაც 13 მუშა დაიღუპა. მუშათა დაპატიმრებებს, რეპრესიებსა და 9 მარტის ტრაგიკულ მოვლენებს მოძრაობის აღმავლობა მოჰყვა. მოეწყო დალუპული მუშების დაკრძალვა. ეს იყო დიდი **პოლიტიკური დემონსტრაცია.** მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ მრავალი აქტიური მუშა და სოციალ-დემოკრატი დააპატიმრა, გამოსვლები დიდხანს გრძელდებოდა.

ბათუმის მუშათა 1902-1903 წლების მოძრაობას რსდმპ ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი მეთაურობდა. ბათუმის მუშათა ორგანიზებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს: **იოსებ ჯუღაშვილმა, კარლო ჩხეიძემ, ისიდორე რამიშვილმა** და სხვ. კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ მუშათა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სახით მას სერიოზული პოლიტიკური მონინააღმდეგე მოევლინა. მუშათა მოძრაობის უკან იდგა და მას ფარულად წარმართავდა მთელი იმპერიის მასშტაბით მოქმედი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ამ დროისათვის სოციალ-დემოკრატებს უკვე შეეძლოთ მოძრაობაში მოეყვანათ და იმპერიის ხელისუფლებისათვის დაეპირისპირებინათ მუშათა მნიშვნელოვანი მასები. სისტემატური რეპრესიების მიუხედავად, რსდმპ თბილისისა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები უწყვეტად ფუნქციონირებდნენ და სათავეში ედგნენ მუშათა მოძრაობას.

3. აგრარული მოძრაობა. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს გლეხობაში გაძლიერდა საპროტესტო მოძრაობა, რომელიც აგრარულ ხასიათს ატარებდა. გლეხთა მოძრაობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: 1) გლეხობის ნაწილი დარწმუნდა, რომ მემამულეები არავითარ შემთხვევაში არ გაუმჯობესებდნენ მათ მძიმე მდგომარეობას; 2) ხელისუფლება ყველა შემთხვევაში მიწის მფლობელთა ინტერესებს დაიცავდა; 3) არსებული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში გლეხური მოსახლეობის უმრავლესობას მხოლოდ სილატაკეში ცხოვრება და შიმშილი ელოდა.

საქართველოს გლეხობამ გადაწყვიტა გამოუვალი მდგომარეობიდან ძალის გამოყენებით ეპოვა გამოსავალი. გლეხთა საპროტესტო განწყობილების მომწიფებას დიდად შეუწყეს ხელი მუშებმა, რომელთა დიდი ნაწილიც, როგორც აღვნიშნეთ, სოფელთან იყო დაკავშირებული (მიწა, ოჯახი). გლეხობის რადიკალიზაციაზე დიდი გავლენა მოახდინეს ქალაქიდან სოფლებში ხელისუფლების მიერ იძულებით დაბრუნებულმა საგაფიცვო მოძრაობის მონაწილე მუშებმა. დაბოლოს, გლეხებს გამოსვლებისაკენ აქეზებდნენ და ხელისუფლების წინააღმდეგ რაზმავდნენ სოციალ-დემოკრატები. ყოველივე ამან გამოიწვია გლეხთა აგრარული მოძრაობის არაჩვეულებრივი სიძლიერე და შეუპოვრობა ქართულ სოფელში.

გლეხთა გამოსვლებმა ინტენსიური აგრარული მოძრაობის ხასიათი 1902 წლის გაზაფხულიდან მიიღო. აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული სოფლების გლეხები მიტაცებულ საძოვრებს ედავებოდნენ მემამულეებს, არ ერიდებოდნენ შეტაკებას მემამულეებთან და ჯარის ნაწილებთან, არბევდნენ მემამულეთა სახლ-კარს, ბოიკოტს უცხადებდნენ მემამულეებს და სხვ. განსხვავებით ქართლ-კახეთისაგან, სადაც მოძრაობას ცალკეული გამოსვლების სახე ჰქონდა, დასავლეთ საქართველოში გლეხთა გამოსვლებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებული სიმძლავრითა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა გურიის გლეხთა მოძრაობა. 1902 წლის მაისში სოფელ ნიგოითში მოხდა გლეხების შეტაკება მემამულეებთან. მალე მღელვარება მთელ გურიას მოედო. გლეხები სასოფლო ყრილობაზე იკრიბებოდნენ, გამოჰქონდათ მემამულეებთან სადავო პრობლემების შესახებ დადგენილებები. როდესაც თავადმა გურიელმა ქუთაისის გუბერნატორს ურჩთა დასაწყნარებლად ჯარი მოსთხოვა, გურიელი და რამდენიმე მემამულე გლეხებმა მოკლეს. ხელისუფლებამ მღელვარების მოთავენი დააპატიმრა, მაგრამ ისინი გლეხებმა გაათავისუფლეს. არ გასჭრა სხვა ღონისძიებებმაც. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა თავად ჩამოიარა გურიის სოფლები და მორჩილებისაკენ მოუწოდებდა გლეხებს, თან სასჯელით ემუქრებოდა მათ. გლეხებმა ბოლომდე ბრძოლა განიზრახეს. მათ ყოველგვარი ურთიერთობა განყვიტეს ხელისუფლებასთან, მემამულეებთან, ადგილობრივ მოხელეებთან. გურია თითქოს თვითმმართველ რესპუბლიკად იქცა. ხელისუფლება უპრეცედენტო დაუმორჩილებლობას დიდხანს ვერ მოითმენდა. გურიაში სამხედრო წესები გამოცხადდა. მხარეში კბილებამდე შეიარაღებული პოლკი შეიყვანეს, სოფლებში ეგზეკუციები ჩააყენეს. გურიაში დაიწყო კაზაკთა განუკითხავი თარეში: ძარცვა, აწიოკება, გაუპატიურება, რეპრესიები. ასეულობით გლეხი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. გურიის გლეხობის შეუპოვარმა და ორგანიზებულმა ბრძოლამ მთელი იმპერიის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. მის შესახებ წერდნენ ევროპის პრესაში. მიუხედავად ვაჟკაცური ბრძოლისა,

გურიის გლეხობამ შედეგად ექვსთვიანი აწიოკება და რეპრესიები მოიმკო.

გლეხთა მღელვარებები მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ გლეხთა მოძრაობისათვის პოლიტიკური შინაარსი მიეცათ, გლეხთა მოძრაობა XX საუკუნის დამდეგს არ გასცდენია ეკონომიკურ მოთხოვნებს.

1900-1904 წლების სოციალურმა მოძრაობამ ვერც ერთი მწვავე საკითხი ვერ გადაწყვიტა. ვერც მუშათა გამოსვლებმა, ვერც გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ მიზანს ვერ მიაღწია. არც ხელისუფლებამ მოიმოქმედა რაიმე საკუთარი მოსახლეობის მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

წინააღმდეგობა რადიკალური დაპირისპირების ტენდენციით განვითარდა, რაც რევოლუციისაკენ მიაქანებდა რუსეთის იმპერიასა და მის შემადგენელ ნაწილს – საქართველოს.

§5. ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი

1. ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის . 1901 წელს შესრულდა რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების 100 წელი. კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ და მისმა მხარდამჭერმა ქართულმა არისტოკრატიამ ზარ-ზეიმით აღნიშნა „იუბილე". რუსული ოფიციალური პრესა ხოტბას ასხამდა ქართველობას, რომელმაც „ნებაყოფლობით" გაუხსნა კავკასიის კარი რუსეთის მხედრობას. 1901 წლის სექტემბერში თბილისში სტუმრად ჩამოვიდნენ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, საბერძნეთის დედოფალი სოფია, კიევის, პეტერბურგის, მოსკოვისა და სხვა გუბერნიების თავადაზნაურობის მარშლები. ოფიციალურმა თბილისმა ყველაფერი იღონა, რათა დღესასწაული ჩაეტარებინა, მაგრამ პატრიოტულად განწყობილმა ქართულმა ინტელიგენციამ არამცთუ მონაწილეობა არ მიიღო ზეიმში, არამედ მტკიცე პროტესტით შეხვდა სამარცხვინო „იუბილეს". დაგეგმილი დღესასწაულის დღეებში თბილისში, თელავსა და სხვა ქალაქებში „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტის" ხელმონერით გაავრცელეს ოთხი პროკლამაცია. „ნაციონალ-დემოკრატები" გმობდნენ რუსეთის ბატონობას საქართველოში. „ნაციონალ-დემოკრატების" სახელით „ცნობის ფურცლის" ჯგუფის მთავარი კომიტეტი მოქმედებდა და ერთ-ერთი პროკლამაციის ავტორი არჩილ ჯორჯაძე იყო. „ქართველებო," – ამ სახელწოდებით გავრცელებულ მეორე პროკლამაციაში ვკითხულობთ: „ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს ქონებაშეძლების უთანასწორობის მოსპობას და დემოკრატიული საზოგადოების დაფუძნებას. ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების აღდგენას, რადგან უმთავრესი მიზეზი ჩვენი დაქვეითებისა არის რუსეთის მთავრობის გაბატონება საქართველოში, იმ მთავრობისა, რომელიც ქართველი ხალხის მოსპობას ლამობს. ქართველობამ მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს ეს და ემზადოს ხალხურ-ეროვნული ინტერესების დასაცავად".

„ცნობის ფურცლელთა" მთავარი კომიტეტის პროკლამაციები მოწმობდა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი ხალხის ეროვნულმა მოძრაობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა.

1903 წლის მაისში პარიზში გამოსულმა გაზეთმა „საქართველომ" წამოაყენა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა. ავტონომიისათვის ბრძოლა თავის უმთავრეს მიზნად დაისახა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტურმა პარტიამ (1904 წ.). ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველმა ერმა ავტონომიის მოთხოვნით ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა დაიწყო.

ეროვნული ძალები შეეცადნენ სოციალური ბაზის გაფართოებასა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეით მოსახლეობის ფართო ფენების დაინტერესებას. გიორგი ლასხიშვილის აზრით, აუცილებელი იყო ჯერ კიდევ ქართველ სამოციანელთა მიერ წამოყენებულ ეროვნულ იდეებს ფართო ნიადაგი მოეპოვებინა, გავრცელებულიყო და გამხდარიყო მთელი ერის საკუთრება.

XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა ეროვნული ბრძოლის პროგრამასთან ერთად წამოაყენეს სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლის პროგრამაც. მომავალი საქართველო უნდა ყოფილიყო „ეკონომიკურად გათანასწორებული ხალხის" ეროვნული სახელმწიფო.

XX საუკუნის დასაწყისშივე ქართულმა პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა სცადეს შეექმნათ ეროვნული იდეოლოგია და ამ გზითაც დაპირისპირებოდნენ არა მარტო მეტროპოლიას, არამედ ქვეყანაში შემოჭრილ და გავრცელებულ ანტიეროვნულ იდეოლოგიებს (სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება, ესერული სოციალიზმი, კოსმოპოლიტური ანარქიზმი, იმპერიული შოვინიზმი და სხვ.). 1901-1904 წლებში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში საფუძველი ჩაეყარა ეროვნული მიმართულების ორ თეორიას: „საერთო მოქმედების ნიადაგისა" და სოციალიზმ-ფედერალიზმის იდეოლოგიას.

1901 წელს გამოქვეყნებულ წერილებში **არჩილ ჯორჯაძემ** თავი მოუყარა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვა ქართველი მოღვაწეების ნააზრევს და **„საერთო მოქმედების ნიადაგი“** ერთიანი თეორიული სისტემის სახით ჩამოაყალიბა. არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია შედგებოდა ხუთი პუნქტისაგან, ანუ ხუთი საერთო-ეროვნული მიზნისაგან, რომელიც ქართველ ერს უნდა განეხორციელებინა: 1. ქართული ენისა და საერთოდ ეროვნულ-კულტურული ღირებულებების დაცვა; 2. ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და განვითარება; 3. ქართული მინების, მეურნეობის ქართველთა ხელში დარჩენა; 4. ინტელიგენციის სახალხო-კულტურული მოღვაწეობა; 5. ქალაქთა თვითმმართველობებში ქართველთა ჩარევა და მომძლავრება. ამ ხუთი უმთავრესი მიზნის განსახორციელებლად არჩილ ჯორჯაძემ „საერთო ნიადაგზე“ ერთობლივი მოღვაწეობისაკენ მოუწოდა საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და მიმდინარეობას. „ენა და ლიტერატურა, მრეწველობა და მეურნეობა, თვითმმართველობა და სახალხო მოღვაწეობა, – აი, ის ფართო ასპარეზი, რომელზედაც ყველასათვის მოიპოვება ადგილი, ვისაც კი მართლა შესტკივა გული საქართველოს წარმატებისათვის“ – წერდა არჩილ ჯორჯაძე.

„საერთო მოქმედების ნიადაგი“ იყო ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათის იდეოლოგია. ერთი მხრივ, იგი წარმოადგენდა საქართველოს ევროპულ-კაპიტალისტური განვითარების კონცეფციას, ხოლო, მეორე მხრივ – ეროვნული კონსოლიდაციის ილია ჭავჭავაძისეული იდეის თეორიული დასაბუთების ცდას.

1903-1904 წლებში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში გამოცემულ წიგნებში, არჩილ ჯორჯაძემ საფუძველი ჩაუყარა მეორე ეროვნულ მიმართულებას და, ამავე დროს, სოციალისტურ იდეოლოგიას – **სოციალიზმ-ფედერალიზმს.** თავად არჩილ ჯორჯაძის შეფასებით, „ქართული სოციალიზმ-ფედერალიზმი“, რომელსაც საძირკველი გაზეთ „საქართველოში“ ჩაეყარა, „ორი მცნების, ორი ფორმულისაგან“ შედგებოდა. ეს ორი ფორმულა – სოციალიზმი და ფედერალიზმი – წარმოადგენდა ახალი პოლიტიკური მოძრაობის მიზანს. სოციალიზმის დანიშნულება იყო ერის შიგნით მოეწესრიგებინა სოციალური ცხოვრება, დაემყარებინა სოციალური თანასწორობა. ფედერალიზმის მიზანი იყო ეროვნულ ურთიერთობათა მოგვარება, ეროვნული თავისუფლების მოპოვება. გაზეთმა „საქართველომ“ მომავალი საქართველო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტრიადის ფარგლებში წარმოიდგინა: **საქართველოს ავტონომია, კავკასიის ფედერაცია, რუსეთის კონფედერაცია.**

სოციალიზმ-ფედერალიზმი არსებითად წარმოადგენდა ეროვნული სოციალიზმის ქართულ ნაირსახეობას – „ქართულ სოციალიზმს“. არჩილ ჯორჯაძისეული სოციალიზმი, ამავე დროს, ევროპული სოციალიზმის ნაირსახეობა იყო, რაც გულისხმობდა ჯერ ბურჟუაზიული სისტემის გამარჯვებას საქართველოში, ხოლო შემდეგ მის ევოლუციურ ტრანსფორმაციას ევროპული ხასიათის სოციალისტურ სისტემად.

ეროვნულ-პოლიტიკურ წრეებში საქართველოს დამოუკიდებლობის აზრიც ტრიალებდა. გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი ავტორი, „სეპარატისტის“ ფსევდონიმით რომ წერდა, საერთაშორისო ვითარების გართულების შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობას ასაბუთებდა. „სეპარატისტის“ აზრით, თავისუფალი საქართველო

ქართველი თავადაზნაურობის დელეგაცია პეტერბურგში, 1901 წელი.

ორგვარად უნდა ყოფილიყო სასურველი ევროპისათვის: პირველი, იგი იქნებოდა ბარიერი რუსეთისათვის სამხრეთისაკენ გაფართოების გზაზე; მეორე, საქართველო მომგებიანი ბაზარი და გასასვლელი იქნებოდა ევროპისათვის აზიის ქვეყნებში.

ეროვნული მოძრაობის ძირითად მიზნად, ჯერ-ჯერობით მაინც, ავტონომიის მოპოვება რჩებოდა.

1901-1904 წლებში საქართველოს ეროვნული მოძრაობა როგორც იდეოლოგიურად, ისე პოლიტიკურად დაუპირისპირდა ანტიეროვნულ ძალებს და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ენერგიულად ამოქმედდა.

2. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მომხრენი და მოწინააღმდეგენი (ავტონომისტები და ანტიავტონომისტები). ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ უპირველეს მიზანს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საქართველოს პოლიტიკური ძალებისა და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის გაერთიანება და შეთანხმება წარმოადგენდა. გაზეთმა „საქართველომ“ ავტონომიის იდეის გარშემო გაერთიანებისაკენ მოუწოდა ყველა კლასს, ქვეყნის მთელ მოსახლეობას.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეას მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ძალებმა დაუჭირეს მხარი. ავტონომიას თანაუგრძნობდა ეროვნული ინტელიგენციის ძველი თაობა, საერთოდ ინტელიგენცია, ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი და ა. შ. ობიექტურად, ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას ხელს უწყობდა სოციალური მოძრაობის აღმავლობაც.

ავტონომისტური მოძრაობის სათავეში ჩადგომასა და ეროვნული მოძრაობის ჰეგემონიას ცდილობდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, რომელმაც ბლოკისტური პარტიის შექმნით მიიზიდა ეროვნულ-დემოკრატები, ქართველი ანარქისტები,

არჩილ ჯორჯაძე

პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის სხვა ჯგუფები.

საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის უპირველეს მტერს, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად რუსეთის იმპერია წარმოადგენდა. ინტელიგენციის ძველი თაობა ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობით უპირისპირდებოდა ანტიეროვნულ ძალებს. **ეროვნული მოძრაობის რადიკალური ბანაკი კი XX საუკუნის დამდეგს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის გზას დაადგა.**

სამწუხაროდ, ქართველი ხალხის ეროვნულ მოძრაობას მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობა არ ებრძოდა. მეტროპოლიას ანტიქართულ ბრძოლაში აღმოაჩნდა მძლავრი მოკავშირე – რუსეთის სოციალ-დემოკრატია და მისი ქართველი მიმდევრები.

რუსული სოციალ-დემოკრატიის ქართველი მიმდევრები, როგორც ცნობილია, პირველ რიგში ქართველ სამოციანელთა თავკაცს **ილია ჭავჭავაძეს** დაუპირისპირდნენ. უკვე 1899-1900 წლებში ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძისა და, საერთოდ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ძირითად მიმართულებად იქცა ბრძოლა ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის" ბანაკის წინააღმდეგ. ნოე ჟორდანიას შეფასებით, „ივერია" ფეოდალური წარსულის მეხოტბე, „ცოცხალ-მკვდარი", „დახავსებული", „ჩლუნგი", „რეაქციის" მხარდამჭერი გაზეთი იყო. ქართველი სოციალ-დემოკრატები ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევდნენ **ფეოდალურ-თავადაზნაურული** კლასის, კონსერვატიზმის, რეაქციის დამცველად და მედროშედ.

XX საუკუნის დამდეგს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კლასობრივი ბრძოლის ფრონტი გააფართოვეს და ეროვნული ინტელიგენციის ახალ თაობას შეუტიეს. ამჯერად, მათი სამიზნე **არჩილ ჯორჯაძის** „საერთო მოქმედების ნიადაგი" აღმოჩნდა. არჩილ ჯორჯაძის თეორია მწვავედ გააკრიტიკეს ნოე ჟორდანიამ, ფილიპე მახარაძემ, ალექსანდრე წულუკიძემ და მასში ბურჟუაზიის გამოსარჩლების ცდა დაინახეს. ამასთან, ქართული სოციალ-დემოკრატიის მეთაურებმა ქართველ მუშებს მოუწოდეს შეურიგებლად ებრძოლათ ეროვნული ბურჟუაზიისა და მისი „ბაირახტარის" არჩილ ჯორჯაძის წინააღმდეგ.

1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობამ უარყო ავტონომიისა და ფედერალიზმის პრინციპები და მხოლოდ ცენტრალიზმის პრინციპი აღიარა. ყრილობის მიერ მიღებული ეროვნული პროგრამა უშვებდა მხოლოდ საოლქო თვითმმართველობის შესაძლებლობას განაპირა მხარეებისათვის. **რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ახალი იარაღი მისცა მის ქართველ მიმდევრებს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მომხრე ეროვნულ-პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.** ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კი ბრმად იწამეს რსდმპ ყრილობის რეზოლუციები და საბოლოოდ დაუპირისპირდნენ ახლა უკვე არა ცალკეულ ეროვნულ მიმდინარეობებს, არამედ მთელ ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

1904 წლის 1 აპრილს ხუთი ქართველი სოციალ-დემოკრატი ჟენევის პოლიტიკურ ფრაქციათა კონფერენციაზე გამოცხადდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მასში მონაწილეობის მისაღებად, არამედ კონფერენციის მონაწილეებისადმი მტრული დამოკი-

სამსონ ფირცხალავა

დებულების სადემონსტრაციოდ. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა „ქართველობაზე" მაღლა „პარტიულობის" პრინციპი დააყენეს. მათი პარტია კი ამ დროს უკვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია იყო. **ჟენევის კონფერენციის სხდომათა დარბაზის დატოვებასთან ერთად**

ილია ჭავჭავაძე

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ზურგი აქციეს საქართველოს ეროვნული მოძრაობის ბანაკს.

1903 წლიდან ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორივე ფრაქცია – მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც – მკვეთრად დაუპირისპირდნენ ეროვნულ მოძრაობას.

1904 წელს **ნოე ჟორდანიამ** ჟენევაში გამოსცა ნაშრომი **„ქართველი ნაციონალისტები“**, რომელიც მიმართული იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა და, საერთოდ, ქართველი ავტონომისტების წინააღმდეგ. 1904 წელს თბილისში გამოქვეყნდა **იოსებ ჯუღაშვილის** ნაშრომი – **„როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“**. ავტორმა სოციალ-დემოკრატიის პოზიციებიდან მწვავედ გააკრიტიკა ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები, ანარქისტები და საერთოდ ყველა, ვინც ეროვნულ ავტონომიას უჭერდა მხარს. იოსებ ჯუღაშვილმა ქართველ პროლეტარიატს მოუწოდა შეურიგებლად ებრძოლათ ყველანაირი „ნაციონალისტების“ წინააღმდეგ, მხარი დაეჭირათ რუსეთის პროლეტარიატის ერთიანობისათვის.

ამრიგად, XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ორ ბანაკად გაიყო – ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობას მკვეთრად დაუპირისპირდა

ნოე ჟორდანია

ქართული სოციალ-დემოკრატია, რომელმაც უარყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა და ფაქტობრივად ანტიეროვნულ გზას დაადგა.

თავი II

საქართველო 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში

§1. რევოლუციის დასაწყისი და მიმდინარეობა

XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთში სოციალური კრიზისი სულ უფრო მწვავდებოდა. ხელისუფლება ნელა და უშედეგოდ ცდილობდა მოახლოებული სოციალური აფეთქების თავიდან აცილებას. უფრო მეტიც, შექმნილი კრიზისული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა 1904 წლის დეკემბერში დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა. პირველი ხანებიდანვე აშკარა გახდა, რომ ომი რუსეთისათვის მარცხით დამ-

„სისხლიანი კვირა" პეტერბურგში

თავრდებოდა. წარუმატებელმა საომარმა მოქმედებებმა, რომელსაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა, საბოლოოდ შეარყია ხელისუფლების ავტორიტეტი. გაიზარდა მასების სოციალური აქტივობა.

1905 წლის 9 იანვარს, კვირას, პეტერბურგში მოეწყო მუშათა მრავალათასიანი მშვიდობიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტებს სურდათ პეტიცია წარედგინათ იმპერატორისათვის. ხელისუფლების ბრძანებით პოლიცია და ჯარი სროლით გაუმასპინძლდა დემონსტრანტებს. „სისხლიანმა კვირამ" რუსეთის საზოგადოების უკმაყოფილო ფენებს მოთმინების ფიალა აუვსო. ისინი დარწმუნდნენ, რომ იმპერიაში გამეფებული ყველა უსამართლობის დამცველი მონარქია იყო.

რუსეთში რევოლუცია დაიწყო. საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოძრაობის დაწყებას, როგორც ნიშანს, ისე ელოდნენ.

1905 წლის იანვარში დაიწყო თბილისის მუშების პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებმა წამოიწყეს. ბათუმის მოედანზე ხალხმრავალი მიტინგი შედგა. გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე პოლიტიკური დემონსტრაცია მოეწყო. დემონსტრანტები მოითხოვდნენ „სისხლიანი თვითმპყრობელობის" დამხობას. თბილისის მოვლენებს გაფიცვებით გამოეხმაურნენ: ქუთაისი, ფოთი, ტყიბული, სოხუმი, ყვირილა (ზესტაფონი), შორაპანი. ჭიათურაში დიდი დემონსტრაცია პოლიციელებმა ვერ დაშალეს.

რადიკალურ ხასიათს ატარებდა გლეხთა გამოსვლები, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაიწყო. გლეხთა გამოსვლები სპონტანურად და განუწყვეტლივ მიმდინარეობდა საქართველოს უმრავლეს რაიონებში. ზოგ ადგილებში მოსახლეობა აღარ ემორჩილებოდა ხელისუფლების ორგანოებს. განსაკუთრებით შორს წავიდა ამ მხრივ გლეხთა მოძრაობა გურიაში, რომელიც მოწინავედ ითვლებოდა მთელ რუსეთის იმპერიაში. გურიის გლეხთა მოძრაობას დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რუსეთის როგორც რევოლუციური, ისე ოპოზიციური პარტიები, ხელისუფლება და საზოგადოება. 1905 წლის თებერვალში ოზურგეთის მაზრაში შეიქმნა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც აუქმებდნენ სოფლის ადმინისტრაციულ დაწესებულებებს და თვითონ ილებდნენ ხელში ხელისუფლების ფუნქციებს. კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ ოზურგეთის მაზრაში

გენერალი ალიხანოვ-ავარსკი

სულთან კრიმ-გირეი

სამხედრო წესები გამოაცხადა და ურჩი გურიისაკენ დაძრა დამსჯელი რაზმი გენერალ **ალიხანოვ-ავარსკის** მეთაურობით. გურია დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მთელი საქართველო აღუდგა წინ კავკასიის ადმინისტრაციის **გადაწყვეტილებას. კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელ გენერალ** მალამას წარუდგა ქართველი საზოგადოების დეპუტაცია და გურიის დარბევის განზრახვაზე ხელის აღება მოსთხოვა. ხელისუფლებამ სიფრთხილე არჩია და მეამბოხე გლეხობასთან მოსალაპარაკებლად კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი **სულთან კრიმ-გირეი** გაგზავნა. მეორე მოხელე **ვეიდენბაუმი** გორისა და დუშეთის მაზრების გლეხობასთან გაგზავნეს. კრიმ-გირეიმ გურიის სოფლები მოიარა და ყველგან ერთსა და იმავე მოთხოვნებს ისმენდა: მეფის მთავრობა უძლურია შეამსუბუქოს გლეხობის მდგომარეობა. ქართველი გლეხობა დემოკრატიული მართვა-გამგეობის შემოღებას მოითხოვდა. ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მეამბოხე გლეხობის მოლაპარაკება არ შედგა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ ჯერჯერობით მაინც შეიკავა თავი სამხედრო რეპრესიებისაგან.

საქართველოში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობა თან ერთვოდა რუსეთის იმპერიის სივრცეზე განვითარებულ რევოლუციურ პროცესებს. გაფიცვები და დემონსტრაციები კიდევ უფრო გახშირდა 1905 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში.

§2. ხელისუფლება და რევოლუცია

XX საუკუნის დამდეგს საქართველო იმ იმპერიის შემადგენლობაში შეხვდა, რომელმაც ასი წლის წინ მისი სახელმწიფოებრიობა მოსპო. რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფო კვლავინდებურად, როგორც პეტრე I-ისა და ეკატერინე II-ის ეპოქაში, **შეუზღუდავ მონარქიას** წარმოადგენდა. რომანოვების დინასტია და ცენტრალური ხელისუფლება ეყრდნობოდა თავადაზნაურობას და მისივე ხელით ახორციელებდა სახელმწიფოს მართვას. სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას მხოლოდ ფორმალურად ახორციელებდნენ **სახელმწიფო საბჭო** და **მინისტრთა საბჭო,** რომელთა შემადგენლობასაც უმაღლესი **არისტოკრატიის** წრეებიდან ნიშნავდა იმპერატორი. **ზემოაღნიშნული** უმაღლესი ხელისუფლების ორგანოები, **სენატთან** ერთად, მხოლოდ **იმპერატორის** თვითმპყრობელური ხელისუფლების სათათბირო ფუნქციებს ასრულებდნენ და უმაღლესი ნების უსიტყვო აღმსრულებლებს წარმოადგენდნენ. **რუსეთის** საიმპერატორო კარის ნების უსიტყვო აღმასრულებელი იყო კავკასიის კოლონიური ადმინისტრაცია **და** მისი მეთაური – **მთავარმართებელი.**

1896-1904 წლებში კავკასიაში მთავარმართებლობდა გენერალი **გიორგი გოლიცინი.** თვით ოფიციალური რუსეთის წარმომადგენელთა შეფასებით გოლიცინი ბევრად უფრო რეაქციონერი და რუსიფიკატორული პოლიტიკის უხეში გამტარებელი იყო, ვიდრე მისი წინამორბედები. ერთი მხრივ, იგი მკაცრად ებრძოდა სულ უფრო აღმავალ რევოლუციურ მოძრაობას; მეორე მხრივ, ასევე მკაცრად დევნიდა ეროვნულ მოძრაობას, ხოლო, მესამე მხრივ, აქტიურად ატარებდა რუსიფიკატორულ კურსს. თვით იმპერიის ცნობილ მოღვაწეთა აღიარებით, კავკასიის ადმინისტრაციაში გამეფებული იყო კორუფცია. უხეშ რუსიფიკატორულ პოლიტიკას იმდენად სარგებლობა არ მოჰქონდა ხელისუფლებისათვის, რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთი წარ-

მთავარმართებელი
გიორგი გოლიცინი

მომადგენელი ცდილობდა მეტ-ნაკლებად ლოიალური კურსის საჭიროებაში დაერწმუნებინა გოლიცინი. 1902 წელს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრად და ჟანდარმთა შეფად დაინიშნა **პლევე**, რომელმაც აქტიურად დაუჭირა მხარი კავკასიის მთავარმართებელს. გოლიცინის მმართველობა კიდევ უფრო რეაქციული და შოვინისტური გახდა.

1904 წელს გოლიცინი სომეხმა ტერორისტებმა მძიმედ დაჭრეს. განსაკურნავად რუსეთში წასული მთავარმართებელი კავკასიაში აღარ დაბრუნებულა. მთავარმართებლის მოვალეობას დროებით გენერალი **მალამა** ასრულებდა.

1905 წლის გაზაფხულიდან მეფის ხელისუფლებამ კავკასიაში გაძლიერებულ რევოლუციურ

მოძრაობასთან ბრძოლისა და მხარის „დამშვიდების“ მიზნით საგანგებო ზომების მიღება გადაწყვიტა. აღდგენილ იქნა **კავკასიის მეფისნაცვლის** თანამდებობა. მეფისნაცვალს ფართო სამხედრო-ადმინისტრაციული ავტონომიური უფლებები მიენიჭა. კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა გრაფი **ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი.** ვირონცოვ-დაშკოვი რუსეთის არისტოკრატიის უმაღლეს წრეს მიეკუთვნებოდა. თბილისში ჩამოსვლამდე იგი იყო იმპერატორის სასახლის მინისტრი. ნიკოლოზ II-ის კარს იმედი ჰქონდა, რომ სასახლის გაქნილი დიპლომატი აღელვებულ კავკასიას როგორმე დააშოშმინებდა. ახალმა მეფისნაცვალმა მანიფესტით მიმართა კავკასიის ერებს, დაჰპირდა მათ რეფორმებს. მიუხედავად ამისა, რევოლუციურ და ეროვნულ მოძრაობასთან ბრძოლა კვლავინდებური სიმკაცრით გრძელდებოდა.

მეფისნაცვლის ჩამოსვლამ მონარქიის ერთგული ძალები აღაფრთოვანა. ახალ მეფისნაცვალს წარუდგნენ მონარქისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები და სპეციალური ადრესით რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა ალუთქვეს. შავრაზმული ორგანიზაციებიდან გამოირჩეოდნენ ვოსტორგოვისა და გოროდცევის მიერ დაარსებული **„წესრიგის მომხრეთა პარტია“** და **„რუს მუშათა პარტია“**. რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ხელისუფლებასთან ერთად იბრძოდა პრომონარქისტულად განწყობილი ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილიც. ეს იყო ან მემამულე, ან ადმინისტრაციულ-სამხედრო სისტემაში, ჯარსა და პოლიციაში მომსახურე ქართველი თავადაზნაურობა. გორელმა თავადებმა ამილახვარმა და აბდუშელიშვილმა შეადგინეს **„შავი რაზმი“**. ეს შეიარაღებული ბრბო დაძრწოდა ქართლის სოფლებში და მშვიდობიან მოსახლეობას არბევდა.

გენერალი მალამა

1905 წელს ბაქოში ხელისუფლების მხრიდან წინასწარგანზრახული პროვოკაციების შედეგად ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დაიწყო სომეხთა და აზერბაიჯანელთა შეჯახება, რომელიც მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა. შეიქმნა იმისი საშიშროება, რომ თბილისში მცხოვრებ სომეხთა და აზერბაიჯანელთა შორისაც დაიწყებოდა დაპირისპირება. თბილისში ხოცვა-ჟლეტა თავიდან იქნა აცილებული **ნოე რამიშვილისა** და სხვა ქართველ მოღვაწეთა საზრიანი და გაბედული მოქმედების შედეგად. პროვოკატორებმა სცადეს ბათუმში მცხოვრები სომხების დარბევა. უამრავი სომეხის სიცოცხლე დიდი თავგანწირვის ფასად იხსნა **მემედ-ბეგ აბაშიძემ**.

მემედ-ბეგ აბაშიძე

1905 წლის 6 აგვისტოს ნიკოლოზ II-მ **„უმაღლესი მანიფესტით“** რუსეთის ხალხს არჩევითი სათათბირო ორგანო უბოძა. ეს იყო ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოებრივი სისტემის რეფორმირებას ისახავდა მიზნად.

დემოკრატიულმა ძალებმა სათანადოდ შეაფასეს დემოკრატიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი. 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის გამგეობის დარბაზში სოციალ-დემოკრატი მენშევიკების ინიციატივით პარლამენტარიზმის დამკვიდრების მხარდასაჭერად დაინიშნა კრება. გამგეობის შენობაში დიდძალი საზოგადოება მივიდა, მათ შორის ბევრი მუშაც. ბოლშევიკმა აგიტატორებმა კრება ჩაშალეს, ხოლო მონარქისტულმა ელემენტებმა კრების მონაწილეთა პოლიციასთან შეტაკება გამოიწვიეს. მოხდა დიდი სისხლისღვრა. მოკლეს 60 კაცი, დაჭრეს – 200.

მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი

გრაფი სერგეი ვიტტე

1905 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მთელი იმპერია მოიცვა **საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ.** მძიმე ვითარებაში იმპერიის ხელისუფლების რეალისტურად განწყობილი მოხელეები ნიკოლოზ II-ს ურჩევდნენ აღელვებული მასების დასაშოშმინებლად რეფორმების გატარებას. ერთ-ერთი მათგანი, გრაფი **ვიტტე,** იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. ვიტტეს ინიციატივით 1905 წლის 17 ოქტომბერს ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს „სახელმწიფოებრივი წესრიგის სრულყოფის შესახებ". 17 ოქტომბრის მანიფესტით ფაქტობრივად დასრულდა აბსოლუტური მონარქიის ეპოქა რუსეთში. დოკუმენტი ხალხს ანიჭებდა „სამოქალაქო თავისუფლების" ძირითად გარანტიებს: პიროვნების ხელშეუხებლობას, კავშირების, სინდისის, სიტყვის, კრებების თავისუფლებას. საზოგადოების ყველა ფენას უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. სათათბიროს მიერ მოწონების გარეშე რუსეთის იმპერიაში არც ერთი კანონი არ დამტკიცდებოდა. რუსეთის იმპერია კონსტიტუციური მონარქიისაკენ ევოლუციის გზას დაადგა.

17 ოქტომბრის მანიფესტთან დაკავშირებით თბილისში მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები დაიწყო. 22 ოქტომბერს მონარქისტულმა ორგანიზაციებმა მშვიდობიან ხალხს გოლოვინის პროსპექტზე სროლა აუტეხეს. სისხლისღვრა განმეორდა. ხელისუფლებისა და რევოლუციის მომხრეთა შორის წინააღმდეგობა დრამატულ ფაზაში შევიდა.

ვლადიმერ სტაროსელსკი

1905 წლის დეკემბერში მოსკოვში შეიარაღებული აჯანყება მოხდა. ეს იყო რევოლუციის კულმინაცია. აჯანყება დამარცხდა. იგი არც იმპერიის სხვა ცენტრებში გავრცელებულა. შეიარაღებული აჯანყება არც თბილისში მომხდარა, მაგრამ მოსკოველთა მხარდასაჭერად აქაც ჰქონდა ადგილი პოლიციასა და ჯართან შეტაკებას. თბილისის რამდენიმე უბანი (ნაძალადევი, დიდუბე) რევოლუციური მუშების ხელში გადავიდა. 17 დეკემბერს ნაძალადევს ჯარებმა ალყა შემოარტყეს. მცირერიცხოვანმა შეიარაღებულმა მუშებმა ვერ გაუძლეს ჯარის შეტევას და გაიფანტნენ. მუშებსა და ჯარისკაცებს შორის სალდათის მოედანზეც მოხდა შეტაკება. ჯარის ნაწილებმა იერიშით აიღეს დიდუბე, სადაც შეიარაღებული მუშები გამაგრებულიყვნენ.

საქართველოს სხვა ადგილებშიც ჰქონდა ბრძოლებს ადგილი. შორაპნის, ჭიათურისა და ყვირილის რკინიგზელებმა და წითელრაზმელებმა ხელში ჩაიგდეს ზემო იმერეთის ტერიტორია სურამის უღელტეხილიდან სადგურ აჯამეთამდე. მალე რკინიგზის მთელი მონაკვეთი თბილისიდან ნატანებამდე რევოლუციონერების ხელში აღმოჩნდა. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიქმნენ პატარა „რესპუბლიკები", სადაც ხელისუფლებას მცირე ხნით რევოლუციური ძალები და სახალხო წარმომადგენლები ახორციელებდნენ (გორი, ჭიათურა, ყვირილა, ზუგდიდი, გურიის ზოგი სოფელი და ა. შ.).

ალექსანდრე ყიფშიძე

1905 წლის შემოდგომაზე გრძელდებოდა საქართველოს გლეხობის უაღრესად ენერგიული ბრძოლა სოციალური უფლებებისათვის, განსაკუთრებით გახშირდა მებრძოლი გლეხების – წითელრაზმელებისა და ტყის ძმების თავდასხმები მემამულეებზე, პოლიციაზე, მაზრების ადმინისტრაციულ ცენტრებზე. დასავლეთ საქართველოში ჯარის ნაწილებთანაც არ ერიდებოდნენ ბრძოლას. 1905 წლის 20 ოქტომბერს გურიაში, სოფ. **ნასაკირალთან,** წითელრაზმელებმა ბრძოლა გაუმართეს კაზაკთა მრავალრიცხოვან რაზმს და დაამარცხეს იგი. ხელისუფლება განარისხა ნასაკირალის ამბებმა. ოზურგეთის მაზრაში გაიგზავნა გენერალ **ალიხანოვ-ავარსკის** დამსჯელი რაზმი. ქართველი საზოგადოება კვლავ აღდგა გურიის დასაცავად. ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ წავიდა დათმობაზე – გურიისაკენ მიმავალი დამსჯელი რაზმი გზიდან დააბრუნა.

საყოველთაო მღელვარება იყო გამეფებული საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორად ხელისუფლებამ დანიშნა **ვლადიმერ სტაროსელსკი,** რომელიც რევოლუციურ მოძრაობას თანაუგრძნობდა. სტაროსელსკი მთელს იმპერიაში გახდა ცნობილი, როგორც „ნითელი გუბერნატორი". იგი ხშირად იწვევდა სათათბიროდ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და მათი რჩევით წყვეტდა საკითხებს. სოციალისტ-ფედერალისტების რჩევით სტაროსელსკიმ თავის მოადგილედ და ვიცე-გუბერნატორად დანიშნა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ილია ჭავჭავაძის ძველი თანამებრძოლი **ალექსანდრე ყიფშიძე.**

მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, საქართველოში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება არ განხორციელდა. შეიარაღებული წინააღმდეგობანი, რომლებიც ლოკალურ ხასიათს ატარებდა, ყველგან რევოლუციური ძალების დამარცხებით დამთავრდა. რევოლუცია დაღმავლობის გზას დაადგა.

§3. პოლიტიკური პარტიები რევოლუციაში

1. **სოციალ-დემოკრატია.** რევოლუციის დასაწყისში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებს შორის შიდაპარტიული ბრძოლით იყო მოცული. სოციალ-დემოკრატები, ისევე როგორც სხვა პარტიები, რევოლუციას „გეგმავდნენ", მაგრამ რევოლუციის დასაწყისი მათთვის მოულოდნელი იყო. 1905 წლის 9 იანვრის მოვლენების შემდეგ რამდენიმე თვის მანძილზე სოციალ-დემოკრატები ვერ ახდენდნენ რევოლუციის მსვლელობაზე მათთვის სასურველ გავლენას. რევოლუციის მსვლელობის პერიოდში აღმოცენდნენ მუშათა მოძრაობის თვითმმართველი ორგანოები: საგაფიცვო კომიტეტები, ბიუროები, მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოები, რომლებშიც სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ ხელმძღვანელი როლის შესრულებას.

საქართველოს მუშათა კლასის აბსოლუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატი მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. **განსაკუთრებით ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატების გავლენა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების, თბილისის დეპოს, ბათუმის, ჭიათურის მუშებში, გურია-იმერეთის გლეხობაში, წვრილ მოხელეთა, ვაჭარ-ხელოსანთა შორის, მოსწავლე-ახალგაზრდობაში და სხვ.** მენშევიკი სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებულ გაძლიერებაში დიდი იყო **ნოე ჟორდანიას** წვლილი, რომელიც 1905 წლის თებერვალში დაბრუნდა საქართველოში. ჩამოსვლისთანავე ნოე ჟორდანიამ გამოსცა გაზეთი „სოციალ-დემოკრატი". რევოლუციის წლებში სოციალ-დემოკრატები ერთმანეთის მიყოლებით სცემდნენ გაზეთებს: „სხივი", „გზა", „გრიგალი", „ლამპარი", „სიმართლე", „დილა", „ლახვარი", „საყვირი" და სხვ. უფრო მცირე იყო ბოლშევიკური გამოცემების რაოდენობა („პროლეტარიატის ბრძოლა", „ახალი ცხოვრება", „ჩვენი გზა", „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ").

1905 წლის დასაწყისიდან რსდმპ თბილისის მენშევიკურმა კომიტეტმა საბრძოლო რაზმების შეიარაღების ორგანიზებისათვის შექმნა **სამხედრო-ტექნიკური კომისია,** რომელსაც **ნოე რამიშვილი** მეთაურობდა. მებრძოლ რაზმებს ქმნიდა და ხელმძღვანელობდა **სამხედრო საბჭო.** ქართველი სოციალ-დემოკრატები ხელისუფლებასთან შეიარაღებული შეჯახებისათვის ემზადებოდნენ და ტერორსაც არ უარყოფდნენ, როგორც თავდაცვის საშუალებას. ბოლშევიკები ტერორსა და ექსპროპრიაციებს უფრო აქტიურად მიმართავდნენ.

ქართველი ბოლშევიკები ერთგულად იცავდნენ რუსი ბოლშევიკების, კერძოდ, ვლადიმერ ლენინის შეხედულებებს. რევოლუციის დაწყებამ კიდევ უფრო გაალრმავა წინააღმდეგობა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის საქართველოში. 1905 წლის აპრილიდან პარალელურად არსებობდა ორი სამხარეო ორგანო: ბოლშევიკური **რსდმპ კავკასიის კავშირის**

მიხა ცხაკაია

კომიტეტი და მენშევიკური რსდმპ კავკასიის ბიურო.

ქართველი ბოლშევიკები აქტიურად მონაწილეობდნენ რსდმპ III ყრილობის მუშაობაში (ლონდონი, 1905 წლის აპრილი), რომელსაც მხოლოდ ბოლშევიკები ესწრებოდნენ. რსდმპ III ყრილობას ორი ქართველი დელეგატი ესწრებოდა: **მიხა ცხაკაია (ბარსოვი)** და **პროკოფი ჯაფარიძე (გოლუბინი).** მენშევიკებმა პარალელურად რსდმპ კონფერენცია ჩაატარეს ჟენევაში. მიმდინარე რევოლუციისადმი დამოკიდებულებასა და მიზნების განსაზღვრაში რსდმპ ლონდონის ყრილობითა და ჟენევის კონფე-

რენციით ჩამოყალიბდა ორი (მენშევიკური და ბოლშევიკური) ტაქტიკა.

ქართველი მენშევიკები შეიარაღებულ აჯანყებასთან ერთად შესაძლებლად მიიჩნევდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ საპარლამენტო ბრძოლას. ისინი აჯანყების ინიციატივას ელოდნენ მასისაგან. ბოლშევიკები აუცილებლად თვლიდნენ ხელისუფლების მხოლოდ ძალდატანებითი გზით დამხობას და მასებში შეიარაღებული აჯანყების იდეის ხელოვნურად დამკვიდრებას. 1905 წლის ზაფხულ-შემოდგომის მოვლენებმა ნათელი გახადა მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის პოპულარობა საქართველოს მუშებსა და გლეხობას შორის. **მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში ქართველი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მენშევიკები ედგნენ სათავეში სახალხო მოძრაობას გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში.** სახალხო მოძრაობას თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონებში ხელმძღვანელობდნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები: **ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, სევერიან ჯუღელი, ვლასა მგელაძე, ბენია ჩხიკვიშვილი** და სხვ. თბილისის საგაფიცვო ბიუროს სათავეში ედგა **ისიდორე რამიშვილი.**

პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე

1905 წლის დეკემბერში ტამერფორსში (ფინეთი) გაიმართა რსდმპ I კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევის შესახებ. 1906 წლის დასაწყისში ამიერკავკასიაში ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციები ფაქტობრივად გაერთიანდნენ, რის შედეგადაც რსდმპ კავკასიის კავშირმა არსებობა შეწყვიტა.

რსდმპ გამაერთიანებელი IV ყრილობა გაიმართა 1906 წლის აპრილში, სტოკჰოლმში. ყრილობას 18 ქართველი დელეგატი ესწრებოდა, რომელთაგან ბოლშევიკი მხოლოდ ერთი იყო – **იოსებ ჯუღაშვილი.** დანარჩენი დელეგატები მენშევიკები იყვნენ. კერძოდ, ქართველი მენშევიკებიდან ყრილობას ესწრებოდნენ: **ნოე ჟორდანია, გრიგოლ ურატაძე, ვლასა მგელაძე, ისიდორე რამიშვილი, ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე, ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე** და სხვ. ყრილობაზე ფრაქციების გაერთიანება ოფიციალურად შედგა, მაგრამ მას უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე რეალური.

ამიერკავკასიელი მენშევიკებისა და ბოლშევიკების ფორმალური გაერთიანება მოხდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობაზე (1906 წ.). აირჩიეს **რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი,** რომლის უმრავლესობასაც მენშევიკები წარმოადგენდნენ. ბოლშევიკებმა დათმეს ყოველგვარი პოზიციები საქართველოში. აღარც ერთი კომიტეტი საქართველოში 1921 წლამდე ბოლშევიკების ხელში აღარ გადასულა.

სერიოზული მარცხის მიუხედავად, ბოლშევიკებმა კიდევ სცადეს საქმიანობის გაგრძელება საქართველოში. მათ შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი ცენტრი, ე. წ. **„თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო“.** მასში შედიოდნენ: **იოსებ ჯუღაშვილი, ფილიპე მახარაძე, სტეფანე შაუმიანი, პროკოფი ჯაფარიძე, მიხეილ დავითაშვილი, სურენ სპანდარიანი** და სხვ. ბიურომ თბილისში ფეხი ვერ მოიკიდა. 1907 წლიდან საქართველო დატოვა ყველაზე თანმიმდევრულმა ქართველმა ბოლშევიკმა – **იოსებ ჯუღაშვილმა.**

1907 წლის აპრილ-მაისში ლონდონში გაიმართა რსდმპ V ყრილობა. საქართველოდან ყრილობაში 33 მენშევიკი და 5 ბოლშევიკი მონაწილეობდა. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია. ყრილობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები სულ უფრო ძლიერ გავლენას ახდენდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე.

გრიგოლ ურატაძე

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართულმა მენშევიკურმა სოციალ-დემოკრატიამ საბოლოოდ დაიმკვიდრა საქართველოს რევოლუციურად განწყობილ მუშათა კლასისა და გლეხობის ლიდერის ადგილი.

2. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია. სოციალისტ-ფედერალისტები განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდნენ ქართველ ინტელიგენციაში, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის, მოსახლეობის წვრილბურჟუაზიულ ფენებში. გან-

საკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ფედერალისტურმა პრესამ. 1905 წელს შეწყდა გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა პარიზში. კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ გაბედულად იბრძოდა ქართული ეროვნულ-პოლიტიკური პრესის ფლაგმანი – გაზეთი „ცნობის ფურცელი“. გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის მიერ გურიაში ჩადენილი სისასტიკის გაბედული მხილებისათვის „ცნობის ფურცლის“ აკრძალვის შემდეგ, მისი ტრადიცია გააგრძელეს ფედერალისტური პრესის ორგანოებმა: „შრომამ“, „მიწამ“, „მეგობარმა“, „ისარმა“ და სხვ.

თედო სახოკია

ქართველი ფედერალისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ სხვა ოპოზიციურ, რევოლუციურ და ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებთან. 1905 წლის ოქტომბერში ფედერალისტებმა სოციალ-დემოკრატებთან, ესერებთან და დაშნაკებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სასტუმრო „პურ-ღვინოში“ შემდგარ რევოლუციური კომიტეტის სხდომაში. ამ სხდომაზე მიაღწიეს შეთანხმებას საყოველთაო აჯანყების საკითხში. ფედერალისტები შედიოდნენ აგრეთვე თბილისში შექმნილ საგაფიცვო ბიუროში, რომელიც ინტერპარტიულ ორგანოს წარმოადგენდა.

ფედერალისტურმა პარტიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი რევოლუციური აქციაც განახორციელა. განსაკუთრებით დიდი რეზონანსი ჰქონდა იარაღის შემოტანას საქართველოში. 1905 წლის შემოდგომაზე საზღვარგარეთ მყოფმა ფედერალისტებმა შვიდი ათასი თოფით დატვირთეს მათ მიერვე შეძენილი ჰოლანდიური გემი „სირიუსი“. გემის ეკიპაჟი შედგებოდა ფრანგი და ჰოლანდიელი ანარქისტებისაგან, რომლებსაც მეთაურობდა ვარლამ ჩერქეზიშვილის მეგობარი ჰოლანდიელი ანარქისტი **ქრისტიან კორნელისენი.** 1905 წლის ნოემბერში იარაღით დატვირთული „სირიუსი“ ფოთს მოადგა. იარაღის ნაწილი, მართალია, პოლიციას ჩაუვარდა ხელში, მაგრამ დიდი ნაწილი რევოლუციურად განწყობილ მოსახლეობას დაურიგეს. ამ აქციას ხელმძღვანელობდა ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი თავკაცი **გიორგი დეკანოზიშვილი,** მასში მონაწილეობდნენ **თედო სახოკია, გიორგი სიხარულიძე** და სხვ. 1906 წლის აპრილში სოციალისტ-ფედერალისტებმა დუშეთის მაზრის ხაზინის ექსპროპრიაცია მოახდინეს და 315 000 მანეთი გაიტაცეს. ფედერალისტები ზოგჯერ რევოლუციურ ტერორსაც მიმართავდნენ. 1905 წლის ივლისში ფედერალისტთა მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწყო თავდასხმა თბილისის პოლიცმაისტერზე. პოლიცმაისტერი დაჭრეს, მაგრამ გადარჩა, ხოლო ტერორისტ **ლევან ხერხეულიძეს** კაზაკები დაედევნენ და ხმლით აკუწეს.

რევოლუციის წლებში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტია დაიშალა. 1906 წელს პარტიის II კონფერენციაზე პარტიიდან გავიდნენ ეროვნულ-დემოკრატები. როგორც აღვნიშნეთ, იმხანად ეროვნულ-დემოკრატები ცალკე პარტიის შექმნას აპირებდნენ. ფედერალისტები გაემიჯნენ არასოციალისტ ეროვნულ-დემოკრატებს. განცალკევებისა და ზოგჯერ დაპირისპირების მიუხედავად, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლაში მაინც თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. ცოტა უფრო გვიან წინააღმდეგობამ იჩინა თავი ფედერალისტებსა და ქართველ ანარქისტებს შორისაც.

1907 წლის ოქტომბერში თბილისში შედგა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის III კონფერენცია. ამ დროისათვის ანარქისტების გავლენა შესუსტებული იყო. ფედერალისტურ პარტიაში ტრადიციულმა ავტონომისტურმა ხაზმა გაიმარჯვა. ამის გამო ანარქისტებმა თავად მიიღეს გადაწყვეტილება ფედერალისტური პარტიიდან გასვლის შესახებ. ანარქისტებმა ეს გააკეთეს იმისათვის, რომ თავიანთი მაქსიმალიზმით ხელი არ შეეშალათ ფედერალისტებისათვის ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ანარქისტების წასვლის შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ დაკარგა ბლოკისტური ხასიათი და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია. III კონფერენციამ მიიღო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამა, ხოლო თვით კონფერენციას ეწოდა „დამფუძნებელი“. პროგრამის მე-14 პუნქტი კატეგორიულად მოითხოვდა **„სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე, დღესვე, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას“.**

3. ესერები. რევოლუციაში მონაწილეობა მიიღეს სოციალისტ-რევოლუციონერებმაც. 1905 წლის იანვრიდან ესერთა შედარებითი გააქტიურება მოჰყვა რუსეთიდან რამდენიმე ესერი მოღვაწის ჩამოსვლას. 1905 წლის თებერვალში შეიქმნა **რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის კავკასიის კავშირი,** რომელშიც გაერთიანდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტები. 1905 წლის ივლისში ესერთა კავკასიის კავშირი რსდმპ კავკასიის კავშირთან, სოციალისტ-ფედერალისტებსა და

სომეხ დაშნაკებთან ერთად თანხმდებიან საყოველთაო აჯანყების საკითხში. ესერებს ჰყავდათ **საბრძოლო რაზმი,** ხოლო ტერორისტულ საქმიანობას წარმართავდა ესერთა პარტიის **თბილისის სამხედრო ორგანიზაცია.** 1905 წლის ივლისში თბილისში სასტუმრო „გრანდ-ოტელში" დააპატიმრეს ესერი ტერორისტების ჯგუფი, რომელიც კავკასიის პოლიციის უფროსზე, გენერალ შირინკინზე აპირებდა თავდასხმას. შირინკინს ესერთა პარტიის თბილისის სამხედრო ორგანიზაციამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ერთი წლის შემდეგ ესერთა პარტიის კავკასიის სამხედრო ჯგუფმა თავდასხმა მოაწყო თბილისის პოლიცმაისტერ მარტინოვზე. ტერორისტების დევნისას კაზაკები სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეავარდნენ, იქაურობა დაარბიეს, რამდენიმე პედაგოგი დააპატიმრეს და მოკლეს სრულიად უდანაშაულო, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე **შიო ჩიტაძე.**

რევოლუციის პერიოდში ესერთა პარტიამ თბილისში ჯერ ადგილობრივი ორგანიზაციის კონფერენცია მოაწყო, შემდეგ – ამიერკავკასიის საოლქო ყრილობა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები საბრძოლო ჯგუფების შექმნის, ასევე სახაზინო-საკრედიტო დაწესებულებებზე თავდასხმის შესახებ. გადაწყდა დაეწყოთ პოლიტიკური ტერორი, რომლის პირველი მსხვერპლი უნდა ყოფილიყო მეფისნაცვალი.

საქართველოში ესერებს სურვილი უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე უნარი და შესაძლებლობა. ესერთა რეალური გავლენა საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაზე სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებთან შედარებით უმნიშვნელო იყო.

4. ანარქისტები. პრაქტიკული თვალსაზრისით კიდევ უფრო მოკრძალებული იყო ანარქისტების საქმიანობა საქართველოში. სამაგიეროდ, დიდი აღმავლობა განიცადა ანარქისტების იდეურმა და პროპაგანდისტულმა საქმიანობამ. რევოლუციის წლებში თბილისში ზედიზედ გამოდიოდა ანარქისტული ჟურნალ-გაზეთები: „მუშა", „ნობათი", „ხმა", „ქარიშხალი", „ცის ნამი". გიორგი (კომანდო) გოგელიას შეფასებით, თუ ქუთაისი კავკასიაში ანარქისტული ჯგუფების მოღვაწეობის ცენტრსა და თავშესაფარს წარმოადგენდა, **თბილისი იყო ანარქიზმის თავისებური თეორიული და ინტელექტუალური ცენტრი კავკასიაში.** ზემოაღნიშნული გამოცემების ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ანარქიზმის ცნობილი თეორეტიკოსების: ელიზე რეკლიუს, პეტრე კროპოტკინის, ენრიკო მალატესტასა და სხვათა ნაშრომები; ასევე ვარლამ ჩერქეზიშვილის, კომანდო და შალვა გოგელიების, მიხაკო წერეთლის ნაწერები, რომლებიც შემდგომ ბროშურების სახით გამოიცემოდა.

ნაყოფიერ პუბლიცისტურ-ლიტერატურულ და საგამომცემლო საქმიანობასთან ერთად ქართველი ანარქისტები ცდილობდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ რევოლუციაში. მათ ჰქონდათ საკუთარი სტამბა, სცემდნენ პროკლამაციებს, ახდენდნენ ექსპროპრიაციებს. ანარქისტების გავლენა მნიშვნელოვანი იყო სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის საქმიანობაზეც. საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში **კომანდო გოგელია** ახალი მიმართულების – **ანარქო-სინდიკალიზმის** პოზიციებზე დადგა და გაემიჯნა ყოფილ თანამოაზრე **ანარქისტ-კომუნისტებს.**

მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტებს საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, პოლიტიკური პარტია არ შეუქმნიათ, მათ გააჩნდათ ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულ კოორდინირებას უწევდა აქაიქ შექმნილ ჯგუფებს.

ორგანიზაციულად ანარქისტები კიდევ უფრო სუსტნი იყვნენ, ვიდრე ესერთა მიმდინარეობა საქართველოში. მიუხედავად ამისა, მათ პროპაგანდას სოლიდური რეზონანსი ჰქონდა. ანარქისტულმა პრესამ არამარქსისტული სოციალიზმის იდეების პროპაგანდისათვის მნიშვნელოვანი ღვაწლი გასწია, საზოგადოებას გააცნო ევროპის სოციალისტური მოძრაობის წარსული და თანამედროვე მოვლენები, რითაც თვალსაწიერი გაუფართოვა მკითხველს. საგულისხმოა, რომ ანარქისტული გაზეთები ადგილობრივ მოვლენებზე მეტად საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის შესახებ წერდნენ.

რევოლუციის დამარცხებასთან ერთად დიდი ხნით თითქმის შეწყდა ანარქისტების როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული და პროპაგანდისტული მოღვაწეობა საქართველოში. ქართული ანარქიზმის ლიდერები (ვარლამ ჩერქეზიშვილი, კომანდო გოგელია) სამოღვაწეოდ კვლავ დასავლეთ ევროპაში გადაიხვეწნენ, ხოლო ზოგიერთმა ანარქისტმა (მაგალითად, მიხაკო წერეთელმა) თავი ანება ანარქიზმს და ეროვნული მოძრაობის ბანაკში გადავიდა.

§4. საქართველოს ავტონომიის საკითხი რევოლუციაში

1. ავტონომიის იდეა. რევოლუციის პერიოდში ეროვნული მოძრაობა საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. ეროვნულ პარტიებთან ერთად ავტონომიის მოთხოვნას მხარს უჭერდნენ: ქართველი ინტელიგენცია, წვრილბურჟუაზიული ფენები, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, ლიბერალური თავადაზნაურობა და ბურჟუაზია.

1906 წელს ცნობილმა ეროვნულმა მოღვაწემ, სოხუმის ქალაქის თავმა **ნიკოლოზ (ნიკო) თავდგი-**

რიძემ მოსკოვში მონვეულ საერობო და საქალაქო წარმომადგენელთა ბიუროში წარადგინა მოხსენება, რომელშიც დაყენებული იყო **საქართველოსათვის ეროვნული ავტონომიის** მინიჭების საკითხი. ავტორის აზრით, ავტონომია საქართველოს ეკუთვნოდა „ისტორიული უფლებითაც". **ქუთაისის საქალაქო საბჭოს განსაკუთრებული კომისიის** მიერ მიღებული რეზოლუცია მოითხოვდა მმართველობის დეცენტრალიზაციასა და **საქართველოს ავტონომიას.** 1905 წლის აპრილში თბილისში შემდგარმა **სათავადაზნაურო კრებამ** ხმების დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირა **საქართველოს ავტონომიის** მოთხოვნას.

ყველაზე ამომწურავად ქართველი ლიბერალური თავადაზნაურობის მოთხოვნების ხასიათი აისახა რუსეთის იმპერატორისადმი მირთმეულ ადრესში, რომელშიც „უქვეშევრდომილესი თხოვნის" სახით იყო წამოყენებული საქართველოს თვითმმართველობის პრინციპებზე მონყობის თხოვნა, თუმცა სიტყვა „ავტონომია" არ იყო ხსენებული. ქართველი ხალხის კულტურული განვითარება, – ვკითხულობთ ადრესში, – მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, „თუ საქართველოს მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქნეს ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულის მთელი საქართველოს მცხოვრებთა მიერ".

ქვეყანაში მიმდინარე მუშათა და გლეხთა სოციალურ მოძრაობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათიც ჰქონდა. ქართველი გლეხობა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, ბიუროკრატიის თავგასულობის აღკვეთასა თუ მემამულეთა მიწების კონფისკაციასთან ერთად მოითხოვდა: სკოლებში ქართული ენის სწავლებას, ქართული სკოლების გახსნას. გორის მაზრის გლეხებმა მოითხოვეს თბილისში უნივერსიტეტის გახსნა. თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები მოითხოვდნენ ახალმიღებული მუშებისათვის რუსულ ენაში გამოცდის მოსპობას, საქმის წარმოებას ქართულ ენაზე.

სამწუხაროდ, ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ კვლავ ილაშქრებდა რსდმპ და მისი ნაწილი საქართველოს სოციალ-დემოკრატია.

რევოლუციის დაწყების შემდეგ განახლდა ქართველი სოციალ-დემოკრატიის შეტევები ეროვნული მოძრაობისა და მისი მთავარი წარმომადგენლის – ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. 1905 წლის 10 აპრილს ფილიპე მახარაძის ჟურნალმა „მოგზაურმა" „ვ. ნ"-ს ფსევდონიმით გამოაქვეყნა უაღრესად ცილისმწამებლური მასალა სათაურით: **„საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება".** ილია ჭავჭავაძის პასუხს მოჰყვა ფილიპე მახარაძის შეურაცხმყოფელი წერილი: „თავის გამართლებაც ასეთი უნდა!" **ილიას წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების ახალი გალაშქრება მიზნად ისახავდა ილია ჭავჭავაძის პიროვნების კომპრომეტაციასა და მისი სახით მტრის ხატის შექმნას მშრომელი მოსახლეობის – ექსტრემისტულად განწყობილი მუშებისა და განსაკუთრებით გლეხობის თვალში.** ეს ჩანაფიქრი სოციალ-დემოკრატებმა წარმატებით განახორციელეს.

არ შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქართული სოციალ-დემოკრატია ნიჰილისტურად უყურებდა ეროვნულ საკითხს. ბევრი ცნობილი სოციალ-დემოკრატი გულწრფელად თანაუგრძნობდა ეროვნულ მოძრაობას (ვლადიმერ დარჩიაშვილი, ივანე გომართელი და სხვ.). რსდმპ IV გამაერთიანებელ ყრილობას ისიდორე რამიშვილი მიმართავდა: „მით უარესი ასეთი სოციალ-დემოკრატიისათვის, თუ ის კავკასიის ყველა ეროვნებათა შორის ვერ ამჩნევს ძლიერ

ილია ჭავჭავაძე

ეროვნულ მოძრაობას... ყრილობას ვთავაზობ გადასინჯოს II ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება... მოხდენილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი დროის შესაბამისად". რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რჩეულ ელიტას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია ქართველი დელეგატის რჩევისათვის. პირიქით, რსდმპ V ყრილობამ ეროვნული საკითხი, ყოველგვარი დებატების გარეშე, დღის წესრიგიდან საერთოდ ამოიღო. ეს იყო ეროვნული პრობლემის სრული უგულებელყოფა.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების IV ყრილობაზე ქუთაისელ სოციალ-დემოკრატთა ერთი ჯგუფი **ეროვნულ-კულტურული ავტონომიის** მოთხოვნით გამოვიდა, რამაც ბოლშევიკთა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ცალკეულ სოციალ-დემოკრატთა გამოსვლები მაინც არ ცვლიდა საერთო სურათს. **მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგნი იყვნენ და მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ეროვნულ მოძრაობას.**

საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას ენერგიულად დაუჭირა მხარი თერგდალეულთა ძველმა თაობამ და მათმა აღიარებულმა ლიდერმა ილია ჭავჭავაძემ. ილიას თავკაცობით იყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური პარტიის

დაარსების ცდა, რომლის უმთავრეს მოთხოვნას **საქართველოს ავტონომია** წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-პოლიტიკურ მოღვაწეობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავტონომიის მომხრე ძალების კონსოლიდაციისათვის.

2. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში. 1906 წლის აპრილში ილია ჭავჭავაძე, როგორც თბილისის გუბერნიის თავადაზნ-



რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭო

აურობის წარმომადგენელი, **რუსეთის სახელმწიფო საბჭოში** აირჩიეს. დემოკრატიულმა პროგრამამ და ილიას კოლორიტულმა პიროვნებამ პეტერბურგის პრესისა და საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ილია ჭავჭავაძისაგან ინტერვიუ აიღეს პეტერბურგის გაზეთებმა. ილიამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ სახელმწიფო საბჭოში მთელი საქართველოსა და ქართველი ხალხის დამცველი იქნებოდა და არა რომელიმე კლასისა. გაზეთ „პეტერბურგსკი ლისტოკისადმი" მიცემულ ინტერვიუში ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „მე ვარ საერთოდ – კავკასიელს და, კერძოდ, საქართველოს ფართო თვითმმართველობის მომხრე, ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით... ქართველი და კავკასიელი თავადაზნაურობა ყოველთვის წავა აგრარულ საკითხში ყოველგვარ დათმობებზე, თუ მიწების ჩამორთმევა მიჩნეული იქნება დიდი საერთო-სახალხო მნიშვნელობის საქმედ". პეტერბურგის გაზეთები აღნიშნავდნენ ილია ჭავჭავაძის მტკიცე პოზიციას, მის მიერ გადახდილ მწვავე ბრძოლას სახელმწიფო საბჭოში. გაზეთი „პეტერბურგსკი ლისტოკი" იუწყებოდა, რომ დედაქალაქში გამართულ სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე მთავარი საკამათო საკითხი ყოფილა – მიკუთვნებოდა თუ არა ადგილი სახელმწიფო საბჭოში ბალტიისპირეთს, დონის სამხედრო ოლქსა და კავკასიას, რომლის საჭიროებასაც „დაჟინებით ითხოვდნენ ამ მხარეთა წარმომადგენლები". გაზეთი „პეტერბურგსკიე ვედომოსტი" აღნიშნავდა, რომ წინასაარჩევნო კრებების დროს ილია ჭავჭავაძე დაბეჯითებით მოითხოვდა განაპირა მხარეებისათვის ადგილების მიცემის აუცილებლობას, რაც მიღწეულ იქნა კიდეც.

ილია ჭავჭავაძის ეროვნული და სოციალური პროგრამა, მისი ნახევარსაუკუნოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, კარგად იყო ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. მაგრამ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ავტორიტეტულ სიტყვას, რომელიც მთელი რუსეთის გასაგონად იქნებოდა თქმული. ამგვარი სიტყვა ოფიციალურად ილია ჭავჭავაძემ პირველად თქვა, როცა მოითხოვა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს თვითმმართველობა. ილია ჭავჭავაძის მიერ გაცხადებული პოლიტიკური კრედო, შესაძლოა, უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩენილიყო სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობისათვის, მაგრამ აქ უკვე თავისი სიტყვა პეტერბურგის დემოკრატიულმა პრესამ თქვა. მან რუსეთის ფართო საზოგადოების ყურამდე მიიტანა ილიას ეროვნული და სოციალური პროგრამა და, ამავე დროს, საქვეყნოდ გამოხატა თავისი სიმპათია დიდი ქართველი მოღვაწის მიმართ.

ილია ჭავჭავაძემ გაბედულად გამოთქვა თავისი აზრი იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის დაღმავლობის პერიოდში გამეფდა ქვეყანაში. მანვე მიუთითა, რომ მხოლოდ განაპირა მხარეების ინტერესთა დაკმაყოფილებას შეეძლო დაემყარებინა ქვეყანაში სიმშვიდე.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად ქართველ სამოციანელთა ძველი თაობის წარმომადგენლები და მათ გარშემო შემოკრებილი უპარტიო პატრიოტთა დასი რევოლუციის პერიოდში მთელი ქართველი ერის ინტერესების დაცვის ლოზუნგით გამოდიოდა. ისინი ეროვნულ პრობლემას უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, თუმცა სოციალურ საკითხსაც მათ მოთხოვნებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. **ეროვნული ავტონომიის მომხრე ქართველ სამოციანელების მიერ აგრარული საკითხის სამართლიანად გადაჭრის მოთხოვნის წამოყენება მათ პროგრამას ფართო დემოკრატიულ ხასიათს აძლევდა.**

მეორე დიდმა ქართველმა სამოციანელმა აკაკი წერეთელმა მხარი დაუჭირა სახალხო მოძრაობას. რევოლუციის პერიოდში თარგმნა მან ეუენ პოტიეს სახელგანთქმული „ინტერნაციონალი". აკაკის ლექსები: „ხანჯალს", „ძირს", „თქვენი ჭირიმე", „ნატვრა" და სხვ. სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას.

ქართველი სამოციანელები, როგორც მთელი მოღვაწეობის მანძილზე, რევოლუციის წლებშიც გულწრფელი დემოკრატები იყვნენ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი წერდა: „მთელს ჩვენს სიცოცხლეში გულწრფელი მომხრენი ვიყავით თანასწორობისა და ყოველგვარი ბა-

აკაკი წერეთელი

ტონობა გვძულდა და ვეწინააღმდეგებოდით მას. გვძულდა ბატონობა თავადაზნაურობისა, ბიუროკრატიისა, ბურჟუაზიისა... მშრომელი ხალხის სრულ განთავისუფლებას კი ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით, და რაც შეგვეძლო ვეხმარებოდით".

3. საქართველოს საკითხი ევროპაში. მთელი XIX საუკუნე ისე მიიწურა, რომ საქართველოს პოლიტიკური ტკივილების შესახებ ევროპის საზოგადოებრიობამ თითქმის არაფერი უწყოდა. ევროპაში გამოქვეყნებული ორიოდე წერილი, რომელიც საქართველოს ეხებოდა, ზღვაში წვეთი იყო. XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს შესახებ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა **ნიკო ნიკოლაძემ.** 80-იანი წლებიდან საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას ინტენსიურად აცნობდა ევროპელებს ვარლამ ჩერქეზიშვილი, მაგრამ ეს საერთო მდგომარეობას ვერ ცვლიდა.

ევროპისაგან საქართველოს სრული პოლიტიკური იზოლირების კედლის გარღვევა პირველად გაზეთმა „საქართველომ" სცადა. **„საქართველოს" დიდი დამსახურება იყო ის, რომ მან პირველად გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი.** ქართული პრობლემის პოპულარიზაციისა და ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით **არჩილ ჯორჯაძემ, გიორგი დეკანოზიშვილმა** და მათმა თანამებრძოლებმა პარიზშივე გამოსცეს გაზეთ „საქართველოს" ფრანგული დამატება **„ლა ჟეორჟი".** მასში „საქართველოდან" გადაბეჭდილ და ქართულიდან თარგმნილ მასალებთან ერთად, ქვეყნდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოხმაურებანი. „საქართველოს" ფრანგული დამატების რედაქტორი იყო ქალბატონი **რენო,** ხოლო მის გამოცემასა და მასალების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა გიორგი დეკანოზიშვილის მეუღლე, ფრანგი **ჰანრიეტა ფრენუა.** ევროპის დემოკრატიულმა და სოციალისტურმა პრესამ ყურადღება მიაქცია „საქართველოს", გამოეხმაურა მის გამოსვლას და თანაგრძნობა გამოუცხადა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ევროპულ გამოხმაურებებში განსაკუთრებით ესმებოდა ხაზი ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების კანონიერ სტატუსს, საქართველოს ეროვნული ავტონომიის უფლებრივ-იურიდიულ მხარეს, რაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატიდან გამომდინარეობდა.

გაზეთ „საქართველოს" ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მასალები: „როგორ მიეგებნენ „საქართველოს" გამოსვლას ევროპის პრესა და ევროპული საზოგადო მოღვაწენი". ფრანგულ გაზეთ „ეროპენში" გამოქვეყნებულ წერილში „ცარიზმი და საქართველო" **პიერ კიარო** წერდა: „იმათ უნდათ 1783 წლის ხელშეკრულებას დაუბრუნდნენ, რომლის ძალითაც საქართველო საშინაო საქმეებში სამუდამო რუსეთისაგან დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო". მაგრამ, მიუხედავად „სამუდამოობისა", ხელშეკრულებამ 18 წელიწადს „ძლივს გასტანა". ფლანდრიული სამეცნიერო ჟურნალი მისასალმებელ წერილში წერდა, რომ „საქართველო" თხოულობდა თავისი ქვეყნის აღიარებას „ადმინისტრაციულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, როგორიც უნდა ყოფილიყო 1783 წლის შეერთების ძალით".

გაზეთ „საქართველოს" გამოსვლას ვრცელი წერილით „ქართველი ერი" გამოეხმაურა სახელგანთქმული დანიელი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე **გეორგ ბრანდესი.** მას მიაჩნდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარმა მოტყუებითა და ძალით ჩაიგდო ხელში საქართველო. საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობას ბრანდესი უკავშირებდა რუსეთში მიმდინარე პროცესებს.

ნიკო ნიკოლაძე

გაზეთ „საქართველოსა" და ქართველ ერს თანაგრძნობას უცხადებდა დიდი ფრანგი მეცნიერი, გეოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე **ელიზე რეკლიუ.** „კარგა ხანი გავიდა უკვე, რაც ერთმა თქვენმა თანამემამულემ და ჩემმა მეგობარმა გამაცნო ქართველი ხალხის მდგომარეობა და საქართველოს ისტორიიდან ზოგიერთი ცნობები" – წერდა ელიზე რეკლიუ „საქართველოს" რედაქციას. ფრანგი მოღვაწე თავის მეგობარში გულისხმობდა ცნობილ ქართველ ანარქისტს ვარლამ ჩერქეზიშვილს,

რომელთანაც ორ ათეულ წელზე მეტი ხნის იდეური და სულიერი ახლობლობა აკავშირებდა. „ყოველ ღონისძიებას ვიხმარ და ჩემს ხმას თქვენს პროტესტს შემოვუერთებ“ – აღუთქვამდა წერილის დასასრულს „საქართველოს“ რედაქციას ელზე რეკლიუ.

გარდა აღნიშნულისა, გაზეთ „საქართველოს“ ეროვნულ მოთხოვნებს თანაგრძნობით გამოეხმაურნენ: საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი **ანტიდ ბოიერი,** საფრანგეთის აკადემიის წევრი **ანატოლი ლერუა-ბოლიე,** ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **იორკ პაუელი,** ინგლისური გაზეთი **„ტაიმსი“,** რუსი ლიბერალების ორგანო **„ოსვობოჟდენიე“.** ფრანგული გაზეთი **„ეროპენი“** წერდა, რომ საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის ჯერ კიდევ 1892 წელს შეიქმნა **„საქართველოს თავისუფლების ლიგა“,** რომლის დაწყებულ საქმეს, გაზეთის აზრით, აგრძელებდა პარიზში დაარსებული ორგანო **„ლა ჟეორჟი“.**

1907 წელს ქართველი ეროვნულ-პოლიტიკური ძალები შეეცადნენ საქართველოს ავტონომიის საკითხი ევროპული პოლიტიკური წრეების წინაშე დაესვათ. ამ მოძრაობის ყველაზე დიდი გამოხატულება იყო **„საქართველოს ხალხის მემორანდუმი“,** რომელიც მოძრაობის მესვეურებმა წარუდგინეს **ჰაგის სამშვიდობო კონფერენციას** 1907 წელს. კონფერენცია მოწვეულ იქნა რუსეთის მთავრობის ინიციატივით. რამდენიმე ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი **ვარლამ ჩერქეზიშვილის** მეშვეობით მიიღო ლონდონში იმჟამად არსებულმა **„საქართველოს დაცვის საზოგადოებამ“,** რომელმაც დოკუმენტი გადასცა ჰაგის კონფერენციის მუდმივი ტრიბუნალის წევრს პროფესორ **ნისს.** ამ უკანასკნელმა მემორანდუმი კონფერენციის მონაწილეებს გააცნო. „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ ჰაგის სამშვიდობო კონფერენციას სთხოვდა: „ჩვენი უფლებები აღდგენილ იქნენ 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას

რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II (1894-1917)

იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისათვის და ეროვნულ ავტონომიისათვის“. „მემორანდუმის“ ტექსტი და მის შესახებ ინფორმაციები გამოქვეყნდა ბელგიურ, ჰოლანდიურ, ფრანგულ, ინგლისურ და ამერიკულ პრესაში.



რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო

სამწუხაროდ, ევროპის ყურადღება თანაგრძნობას არ გასცილებია. ჰაგის კონფერენცია ევროპის განიარაღებისა და დიდ სახელმწიფოთა ორ დაჯგუფებას შორის დაძაბულობის ნორმალიზაციის საკითხებით იყო დაკავებული და ქართველი ხალხის ეროვნული სატკივარისათვის არ ეცალა. მიუხედავად ამისა, **„საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ მნიშვნელოვანი იურიდიულ-ისტორიული ღირებულების დოკუმენტი იყო, რომელმაც საერთაშორისო კონფერენციისა და ოფიციალური ევროპის ყურადღება მიიპყრო და საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა მათ წინაშე დასვა. ამასთან ერთად, „მემორანდუმმა“ ნათელყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ზრდა, ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიემართებოდა.**

§5. ქართველი დეპუტატები რუსეთის I და II სახელმწიფო სათათბიროებში

1906 წლის აპრილში იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ **„რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების“** ახალი რედაქცია დაამტკიცა. ძირითადი კანონების 86-ე მუხლი იუწყებოდა, რომ „არც ერთი კანონი არ შევა ძალაში სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მონონებისა და ხელმწიფე იმპერატორის მიერ დამტკიცების გარეშე“. მეფის ხელისუფლების „შეუზღუდველ“ ძალაუფლებას თანახელისუფალი გამოუჩნდა სახელმწიფო სათათბიროს სახით.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1906 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა. 27 აპრილს პეტერბურგში პირველმა სახელმწიფო სათათბირომ მუშაობა დაიწყო. საქართველოში სათათბიროს არჩევნები გვიან გაიმართა. პოლიტიკური პარტიებიც ერთგვარი გაურკვევლობით შეხვდნენ ამ მოვლენას. რადიკალური განწყობილების გავლენის ფონზე არა მარტო ბოლშევიკებმა, სო-

ისიდორე რამიშვილი

ისტ-ფედერალისტებმაც კი თავდაპირველად ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს. საქართველოში არჩეული 8 დეპუტატიდან 5 სოციალ-დემოკრატი იყო. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები გახდნენ: **ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, სერგო ჯაფარიძე და სვიმონ წერეთელი.** თბილისის სადგურიდან ამომრჩევლებმა რევოლუციური სიმღერებით გააცილეს სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. „ჩვენ ბევრი მოვითმინეთ, – მიმართა ამომრჩევლებს ისიდორე რამიშვილმა, – მაგრამ ბოლოს და ბოლოს გავიმარჯვეთ. ჩვენი პლატფორმა უნდა იყოს დამფუძნებელი კრება, რომლის გარეშეც შეუძლებელია მშვიდობა და წესრიგის დამყარება".

ქართველი დეპუტატები მხოლოდ 1906 წლის 8 ივნისს გამოჩნდნენ სახელმწიფო სათათბიროში და მაშინვე მიიპყრეს ყურადღება. **ნოე ჟორდანია** აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარედ. სოციალ-დემოკრატების გარდა საქართველოდან სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ იქნა ცნობილი ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტი **იოსებ ბარათაშვილი.**

ივანე გომართელი

პირველი სათათბირო მეტისმეტად რადიკალური შემადგენლობისა და განწყობილების აღმოჩნდა. იგი ანტისამთავრობო მიტინგს დაემსგავსა, სადაც მოურიდებლად აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას. სოციალ-დემოკრატებიც სათათბიროს რაიმე პოზიტიური შედეგების მიღწევის მიზნით კი არა, არამედ სოციალური ბრძოლის ინსტრუმენტად იყენებდნენ.

ქართველ დეპუტატთა უმრავლესობა, კერძოდ, სოციალ-დემოკრატები მხოლოდ პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაციისა და სოციალური ხასიათის პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი. მათ საზრუნავში ეროვნული საკითხი არ შედიოდა. ქართველ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებსა და ეროვნულ ძალებს შორის ერთი მნიშვნელოვანი კომპრომისის მიღწევა მაინც მოხერხდა. ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და დავით სარაჯიშვილის დახმარებით შემდგარ შეხვედრაზე ქართველმა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა ვალდებულება იკისრეს, რომ საქართველოს ავტონომიის საკითხის დაყენებას სათათბიროში, მართალია, ხელს არ შეუწყობდნენ, მაგრამ არც მის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ.

იოსებ ბარათაშვილი

ქართულმა ეროვნულმა ძალებმა სცადეს პირველი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნა ავტონომიის მოთხოვნის წამოსაყენებლად გამოეყენებინათ. როგორც აღვნიშნეთ, პირველ სათათბიროში დეპუტატად აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წარმომადგენელი იოსებ ბარათაშვილი. ფედერალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი კანდიდატის პრინციპულობისა და კარგი ორატორული მონაცემების გამო მოახერხებდნენ სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხის დასმას.

პირველ სათათბიროში შეიქმნა ავტონომისტთა კავშირი, რომელშიც შედიოდნენ პოლონეთის, უკრაინის, ბალტიისპირეთის, სომხეთის, მაჰმადიანთა წარმომადგენლები, სულ 63 კაცი. ეს კავშირი მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის ფართო დეცენტრალიზაციას და სათანადო კანონპროექტს ამზადებდა სათათბიროში განსახილველად. იოსებ ბარათაშვილი პეტერბურგში ჩასვლისთანავე შეუერთდა ავტონომისტთა კავშირს. იგი ფრაქციის აგრარულ კომისიაშიც იქნა არჩეული. იოსებ ბარათაშვილის მონაწილეობით შემუშავდა ავტონომისტთა ფრაქციის საპარლამენტო პლატფორმა,

რომლის მესამე პუნქტში ეწერა: „ავტონომისტთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციას აუცილებლად მიაჩნია სახელმწიფო მმართველობის სრული დეცენტრალიზაცია. ეს დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს დემოკრატიულ საწყისებზე და რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონით დამყარებული ცალკეული ოლქების ფართო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე". ავტონომისტთა კავშირმა ჯერ კიდევ ქართველი დეპუტატების პეტერბურგში ჩასვლამდე შეიტანა სათათბიროს კომისიაში **„განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ"**, მაგრამ ამის იქით საქმე აღარ წასულა. პირველ სახელმწიფო სათათბიროში ქართველ დეპუტატებს ერთი თვეც კი არ დასცალდათ მუშაობა, ხოლო მეორე სახელმწიფო სათათბიროში სოციალისტ-ფედერალისტებმა საკუთარი დეპუტატის გაყვანა ვეღარ შეძლეს. საქართველოს ავტონომიის საკითხი კი მეორე სახელმწიფო სათათბიროს ქართულ სოციალ-დემოკრატიულ წარმომადგენლობას არ აწუხებდა.

ირაკლი წერეთელი

ხელისუფლება გაღიზიანებული ადევნებდა თვალს პირველი სახელმწიფო სათათბიროს მუშაობას. „შრომის ჯგუფის" მიერ განსახილველად შემოტანილი აგრარული კანონპროექტი ითვალისწინებდა მემამულეთა მიწების კონფისკაციას. არ იყო გამორიცხული, რომ მსგავსი რადიკალური კანონპროექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი სისტემის საფუძვლებს, მოწონებული იქნებოდა სათათბიროს მიერ.

1906 წლის 9 ივლისს ნიკოლოზ II-მ პირველი სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილად გამოაცხადა და ახალი სათათბიროს არჩევნები დანიშნა. დათხოვნილი დეპუტატები შეიკრიბნენ ქალაქ ვიბორგში და აირჩიეს კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საპროტესტო მიმართვა სათათბიროს დათხოვნის გამო. ექვსკაციანმა კომისიამ, რომელშიც სოციალ-დემოკრატები **ნოე ჟორდანია** და **სერგო ჯაფარიძეც** შედიოდნენ, შეიმუშავა მიმართვა: **„ხალხს სახალხო წარმომადგენლებისაგან"**, რომელიც **„ვიბორგის მანიფესტის"** სახელითაცაა ცნობილი. „მანიფესტი" რუსეთის მოსახლეობას პასიური წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებდა. ყველაფერი იმით

კონსტანტინე კანდელაკი

დამთავრდა, რომ ხელისუფლებამ „ვიბორგის მანიფესტის" ხელმომწერ 167 „სახალხო წარმომადგენელს" სამი თვის პატიმრობა მიუსაჯა, რაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც ართმევდა მათ. ნოე ჟორდანიამ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლით დააღწია თავი პატიმრობას.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1907 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა, ხოლო მისი სხდომები 20 თებერვალს დაიწყო. მეორე სახელმწიფო სათათბიროშიც უმრავლესობა მემარცხენე ძალებს ჰქონდათ.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატების გამარჯვება რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. საქართველოდან არჩეული რვა დეპუტატიდან ყველა სოციალ-დემოკრატი იყო. ამჯერად სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები გახდნენ: **ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე, ჭოლა ლომთათიძე, კონსტანტინე კანდელაკი, ნიკოლოზ კაციაშვილი, გერასიმე მახარაძე, სევერიან ჯუღელი, არშაკ ზურაბოვი.** სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად არჩეულ იქნა **ირაკლი წერეთელი,** რომელმაც სახელი გაითქვა როგორც ბრწყინვალე ორატორმა.

ხელისუფლება კვლავ უარყოფითად განეწყო ახალი სათათბიროს მიმართ და საბაბს ეძებდა მის დასათხოვნად. საბაბიც მალე გამოჩნდა. ჟანდარმერიას მიუვიდა ინფორმაცია, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები არალეგალურად ხვდებოდნენ პეტერბურგის გარნიზონის ჯარისკაცებს. ხელისუფლებამ განზრახ თუ შიშით გამოიტანა დასკვნა, რომ მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება. 1907 წლის 2 ივნისს დააპატიმრეს რამდენიმე სოციალ-დემოკრატი დეპუტატი, მათ შორის ირაკლი წერეთელიც, რომელიც სხვა ქართველ დეპუტატებთან ერთად ციმბირში გადაასახლეს.

1907 წლის 3 ივნისს ნიკოლოზ II-მ მეორე სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილად გამოაცხადა. ამ სათათბიროს დათხოვნასთან ერთად დასრულდა რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციაც. დაიწყო რეაქციის, ანუ როგორც მაშინდელ ქართულ პრესაში მოიხსენიებდნენ, „რევოლუციის ლიკვიდაციის" ხანა.

თავი III

საქართველო 1907-1917 წლებში

§1. პოლიტიკური რეაქცია საქართველოში (1907-1910 წწ.)

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რუსეთისა და, ცხადია, საქართველოს შემდგომი განვითარება – პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები. რევოლუციის ცალკეული კერების განადგურება ერთბაშად არ მომხდარა. 1906-1907 წლებში რევოლუცია დაღმავლობის გზით მიდიოდა, თუმცა მუშათა და გლეხთა გამოსვლები კვლავ გრძელდებოდა. ამავე პერიოდში სხვადასხვა სოციალური ძალის პოლიტიკური ბრძოლის არენად რუსეთის სახელმწიფო სათათბირო იქცა. მონარქია და ბურჟუაზიული პარტიები (კადეტები, ოქტიაბრისტები), მათ შორის არსებული ზოგიერთი წინააღმდეგობის მიუხედავად, ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ გლეხთა და მუშათა წარმომადგენლების წინააღმდეგ. პირველ და მეორე სახელმწიფო სათათბიროში ხელისუფლების წინააღმდეგ მემარცხენე ძალების (გლეხთა და მუშათა დეპუტატების) გაერთიანებას ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. პირველ სახელმწიფო სათათბიროში (1906 წლის აპრილ-ივლისი) ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალების გამოსვლას ისეთი მწვავე ხასიათი არ მიუღია, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროში. მეორე სახელმწიფო სათათბიროს მუშაობაში განსაკუთრებული სიმწვავე შეჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომლის მუშაობას უნარიანად ხელმძღვანელობდნენ **ირაკლი წერეთელი და არჩილ ჯაფარიძე.** განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა ირაკლი წერეთლის გამოსვლები. ფაქტობრივად, ირაკლი წერეთელი იყო არა მარტო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, არამედ მთელი **მემარცხენე ბლოკის** ლიდერი. მის ბრძოლას რუსი შოვინისტების წინააღმდეგ დიდი გამოხმაურება ჰქონდა მთელს იმპერიაში. ამავე დროს, ირაკლი წერეთელი თავგამოდებით ებრძოდა მემარცხენე ექსტრემიზმის ყველაზე საშიშ გამოვლინებას – **ბოლშევიზმს.** პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის ერთადერთ გზად მას საპარლამენტო წყობილების დამკვიდრება მიაჩნდა. **ირაკლი წერეთლის ეკონომიკური და სოციალური პროგრამა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათისა იყო.** რუსეთში პოლიტიკური წყობილების ლიბერალიზაციასა და საპარლამენტო წყობილების დამკვიდრებას აგრარული რეფორმა და სხვა შესაბამისი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის გარდაქმნები უნდა მოჰყოლოდა. საბოლოოდ რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილება უნდა დამკვიდრებულიყო. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციური ძალების გამოსვლა მისი უფლებების ხელყოფად მიიჩნია და, როგორც აღვნიშნეთ, 1907 წლის 3 ივნისს მეორე სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შეწყვიტა. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით დააპატიმრეს და გაასამართლეს. 1907 წლის 3 ივნისი ითვლება 1905-1907 წლების რევოლუციის დასასრულად. რუსეთში დაიწყო პოლიტიკური რეაქციის ხანა.

კარლო ჩხეიძე

მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები უკვე ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩატარდა. არჩევნები საქართველოში 1908 წლის იანვარ-თებერვალში მიმდინარეობდა. ამჯერად საქართველოდან არჩეულ იქნა სამი დეპუტატი: **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** (სოციალ-დემოკრატი), **ევგენი გეგეჭკორი** (სოციალ-დემოკრატი), **პროკოფი შერვაშიძე** (მონარქისტი). მესამე სახელმწიფო სათათბირომ უფლებამოსილების ვადა ბოლომდე ამოწურა – 1912 წლამდე იმუშავა.

პოლიტიკურ რეაქციას რუსეთში ძალზე ფართო მასშტაბები ჰქონდა. 1907-1908 წლებში რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გაასამართლეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს 5 ათას კაცს. სულ 1905-1912 წლებში ციხეებსა და გადასახლებაში 30 ათასზე მეტი კაცი დაილუპა. მეორე სახელმწიფო სათათბიროს კატორღამისჯილი დეპ-

ეპისკოპოსი კირიონი

უტატები **არჩილ ჯაფარიძე, სევერიან ჯუღელი და ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე** სასჯელის მოხდის დროს გარდაიცვალნენ. თითქმის ათი წელი ციმბირის გადასახლებაში გაატარა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ **ირაკლი წერეთელმა.**

საქართველოს ყველა კუთხეში მოქმედებდა სამხედრო-საველე სასამართლო. მოსახლეობის რბევა-დაწიოკებაში განსაკუთრებით აქტიურობდა ე. წ. „შავი რაზმი" („რუსი ხალხის კავშირი"), რომელიც ყოველგვარი სასამართლოსა და განაჩენის გარეშე სიკვდილით სჯიდა ხელისუფლებისათვის არასასურველ პირებს. რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად დამატებით შეიქმნა **რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვის კავკასიის რაიონული განყოფილება (კავკასიის ოხრანკა).** თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან მარტო 1907 წელს ადმინისტრაციული წესით (სასამართლოს გარეშე) გაასახლეს რამდენიმე ათასი კაცი.

რევოლუციის მონაწილე მუშათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან მათი დათხოვნა, სამუშაო ადგილების შემცირება და ხშირ შემთხვევაში საწარმოთა დახურვა.

რეაქცია თავს დაატყდა პოლიტიკურ პარტიებსა და ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეებს. მრავალი პოლიტიკური მოღვაწე (ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, გიორგი გვაზავა, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, იოსებ ჯუღაშვილი და სხვ.) იძულებულნი გახდნენ ან არალეგალურ საქმიანობაზე გადასულიყვნენ, ან სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ. დაიხურა მრავალი პერიოდული გამოცემა, გამკაცრდა ცენზურა, თავისუფალი აზრი შეიზღუდა. ხელისუფლების მხრიდან მკაცრ რეპრესიულ ღონისძიებებს პოლიტიკურმა პარტიებმა (სოციალ-დემოკრატებმა, ესერებმა) ტერორით უპასუხეს. ყოველ ტერორისტულ აქტს ხელისუფლების მხრიდან ახალი რეპრესიები მოჰყვებოდა ხოლმე.

პოლიტიკური რეაქცია თავს დაატყდათ **ქართველ ავტოკეფალისტებს.** 1908 წელს თბილისში მოკლეს თავისი ანტიქართული საქმიანობით ცნობილი ეგზარქოსი **ნიკონი.** რუსი ეგზარქოსის მკვლელობა პოლიტიკური მოსაზრებით ქართველ სამღვდელოებას – ავტოკეფალისტებსა და მათ ლიდერს ეპისკოპოს **კირიონს (გიორგი საძაგლიშვილს)** – გადაებრალეს. პასუხისგებაში მისცეს და დასაჯეს რამდენიმე ათეული ავტოკეფალისტი.

პოლიტიკური რეაქცია, ცხადია, რევოლუციური მოძრაობის განადგურებასთან ერთად ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგაც იყო მიმართული. ეროვნული მოძრაობის მრავალი ცნობილი მოღვაწე იძულებული გახდა საქართველოდან გადახვეწილიყო.

1907 წლის 30 აგვისტოს დღემდე ბოლომდე ამოუცნობ საიდუმლო ვითარებაში სოფელ წინამურთან მოკლეს ნახევარი საუკუნის მანძილზე ეროვნული მოძრაობის უცვლელი ლიდერი, ერის სულიერი მამა, ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის მუხლჩაუხრელი მებრძოლი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, საქართველოს უგვირგვინო მეფე – **ილია ჭავჭავაძე.** ილიას სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ქართველი ერისათვის. ეს ფაქტი იყო მკვლელობა არა ერთი პიროვნებისა, თუნდაც დიდი მოაზროვნისა და პოლიტიკური მოღვაწისა, არამედ ეს იყო შეთქმულება მთელი საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ. **ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გამიზნული იყო იმ პროცესის შეწყვეტისათვის, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო და რომელიც უნდა მისულიყო**

ილია ჭავჭავაძე

ლოგიკურ დასასრულამდე – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

1910 წლიდან პოლიტიკური რეაქცია თანდათან შენელდა. თუმცა როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების დევნა მაინც გრძელდებოდა.

§2. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება (1907-1914 წწ.)

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, შეუძლებელი იყო რუსეთის ძველი სოციალ-ეკონომიკური სისტემის ხელუხლებლად დატოვება. რევოლუციამ რუსეთის საიმპერატორო კარს ცხადად დაანახა, რომ თუ სოფლად აგრარუ-

ლი ურთიერთობები არ მოგვარდებოდა, ახალი რევოლუციური აფეთქება გამორიცხული არ იყო. ხელისუფლება იძულებული გახდა 1905 წელს სანახევროდ შეემცირებინა, ხოლო 1907 წელს სრულებით გაეუქმებინა სანადელო მიწების **გამოსასყიდი გადასახადი.** ცხადია, ეს დათმობა გარკვეულწილად ამსუბუქებდა გლეხთა მდგომარეობას, მაგრამ სოფლად სოციალური ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შემორჩა მიწაზე **სათემო** საკუთრება. გლეხს უფლება არ ჰქონდა მის სარგებლობაში არსებული მიწა გაესხვისებინა (გაეყიდა, გაეჩუქებინა), ხოლო თემიდან წასვლის შემთხვევაში მიწაზე ყოველგვარ უფლებას კარგავდა. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის **პეტრე სტოლი-**

პეტრე სტოლიპინი

პინის აზრით, შექმნილ ვითარებაში სასოფლო თემი თავის დანიშნულებას ველარ ასრულებდა, იგი უნდა დაშლილიყო და მიწაზე სათემო საკუთრებაც გაუქმებულიყო. თემში შემავალ ყოველ ოჯახს მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებაში უნდა გადასცემოდა. პეტრე სტოლიპინის ინიციატივით შემუშავებულ იქნა 1906 წლისა და 1910 წლის კანონები, რომელთა ძალითაც გლეხობამ უფლება მიიღო სასოფლო თემიდან გასულიყო და სანადელო მიწა კერძო საკუთრებაში დაემტკიცებინა. **აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრება სოფლად.** მისი არსი გამოიხატებოდა სასოფლო თემის ძალდატანებით დაშლასა და გლეხობისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემაში, რაც ფერმერული მეურნეობის განვითარების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

პეტრე სტოლიპინის აგრარული რეფორმის ძირითადი ნაწილი საქართველოს არ შეეხებია. 1912 წლის კანონით საქართველოში მცხოვრებმა დროებით ვალდებულმა გლეხებმა უფლება მიიღეს გამოესყიდათ თავიანთი მიწები. მართალია, გლეხს ნადელის გამოსყიდვა ადრეც შეეძლო, მაგრამ მაშინ ეს მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული, 1912 წლის კანონით კი გამოსყიდვა **სავალდებულო** გახდა.

1912 წლის კანონის ცხოვრებაში გატარება ძალზე გაჭიანურდა. მოსამზადებელი სამუშაოები მხოლოდ 1913 წელს დაიწყო. დროებით ვალდებული გლეხების მიერ მიწების გამოსყიდვა შეაფერხა 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა. საბოლოოდ საქართველოში ნადელების გამოსყიდვა დროებით ვალდებული გლეხების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა.

1913 წელს ხელისუფლებამ განიზრახა **ხიზანთა** ფენის ლიკვიდაცია. ხიზნები თავისუფალ გლეხობასთან უნდა გაეთანაბრებინათ. ამავე დროს, სავალდებულოდ უნდა ქცეულიყო ხიზნების მიწების გამოსყიდვა. ხიზნების შესახებ კანონპროექტის მიღება გაჭიანურდა, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საკითხის განხილვა საერთოდ შეწყდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოში აგრარული რეფორმის შეზღუდული სახით გატარებასთან ერთად სხვა მხრივაც ართულებდა აგრარულ ურთიერთობებს. საქართველოში გაძლიერდა უცხოტომელთა ჩამოსახლება და ისედაც მცირემიწიან ქვეყანაში დამატებითი სირთულეები შეიქმნა. **1908-1915** წლებში საქართველოში ჩამოსახლებულ იქნა 66 ათასი რუსი, რომელთაც დიდი რაოდენობით მიწები გამოუყვეს. 1912 წლამდე საქართველოში შეიქმნა ასამდე ახალი რუსული დასახლება. ხელისუფლება რუს კოლონისტებს დიდ დახმარებას უწევდა მეურნეობის მოწყობის საქმეში.

საქართველოს მრეწველობის განვითარების საქმეს რევოლუციის შემდგომ წლებში დიდი ცვლილება არ განუცდია. ნელ-ნელა აღდგა ფაბრიკებისა და ქარხნების ნორმალური მუშაობა. განსაკუთრებით ეს შეეხება **თბილისსა** და **ბათუმს.** თბილისში მთელი სიძლიერით ამოქმედდა ამ-

თბილისი

იერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, თამბაქოსა და ფეხსაცმლის ფაბრიკები, ბათუმში – ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები. გარკვეული ძვრები მოხდა ჭიათურის მანგანუმისა და ტყიბულის ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოებში, ასევე ალავერდისა და ახტალის მაღაროებში. გამოცოცხლდა

სარკინიგზო ტრანსპორტი. სამრეწველო საწარმოების სრული დატვირთვით ამოქმედებას გარკვეულწილად აფერხებდა პროფესიონალი მუშების დეფიციტი. მათი ნაწილი რევოლუციის დროს დაიღუპა, ნაწილი ციხეებსა და გადასახლებაში იმყოფებოდა. მრეწველობის განვითარებას სხვა მიმართულება მისცა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ.

§3. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა განლაგება რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ეროვნული მოძრაობა (1907-1914 წწ.)

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა განლაგება ასეთ სურათს იძლეოდა: ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალას კვლავ **სოციალ-დემოკრატები** წარმოადგენდნენ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოში ძალზე შესუსტდა ბოლშევიკების გავლენა. ყველა მნიშვნელოვანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მენშევიკების ხელში გადავიდა. ასე გაგრძელდა 1917 წლამდე. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატებიდან (მენშევიკებიდან) აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას აგრძელებენ: **ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი** და სხვ. ქართველი მენშევიკები კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი დიდ როლს თამაშობდნენ რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს (1907-1912 წწ.) მუშაობაში. მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები (1912 წ.) საქართველოში ისევ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით დამთავრდა. სულ არჩეულ იქნა სამი დეპუტატი: **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** (სოციალ-დემოკრატი), **აკაკი ჩხენკელი** (სოციალ-დემოკრატი), **ვარლამ გელოვანი** (სოციალ-ისტ-ფედერალისტი).

კიტა აბაშიძე

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა **საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია.** რევოლუციის დამარცხების შემდეგ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას აგრძელებდნენ: **არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ზდანოვიჩი, გრიგოლ რცხილაძე, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, კიტა აბაშიძე** და სხვ. ეროვნულ საკითხზე დაპირისპირება, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის რევოლუციის წლებში დაიწყო, კიდევ უფრო გამწვავდა მომდევნო წლებში. კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ უფრო მეტ ძალას იკრებდა **ეროვნულ-დემოკრატიული** მიმდინარეობა. 1909-1910 წლებში ეროვნულ-დემოკრატთა ერთი ჯგუფი აქტიურ მოღვაწეობას აჩაღებს. ამ ჯგუფში შედიოდნენ: **იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ფილიპე გოგიჩაიშვილი** და სხვ. ზემოთ ხსენებული მოღვაწეები შემოკრებილნი იყვნენ ჟურნალ „ერის" გარშემო, რომელსაც **პეტრე სურგულაძე** რედაქტორობდა. 1910 წელს **„ერის"** გარშემო შემოკრებილი ეროვნულ-დემოკრატები ხელისუფლების მხრიდან მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცნენ. პეტრე სურგულაძე იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. იმავდროულად აქტიურ მოღვაწეობას აჩაღებს ეროვნულ-დემოკრატთა მეორე ჯგუფი. 1912 წელს **რევაზ გაბაშვილის, დავით (დათა) ვაჩნაძისა** და **შალვა ქარუმიძის** ინიციატივით დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ჟურნალი **„კლდე"**. ჟურნალის რედაქციაში თავი მოიყარა მომავალი პარტიის ბირთვმა. დაიწყო საპროგრამო საკითხების დამუშავება.

გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი)

რევოლუციის დამარცხების შემდეგ **ქართველი ანარქისტები** ორად გაყოფილნი აღმოჩნდნენ. ერთი ჯგუფი (კომანდო გოგელია, შალვა გოგელია და სხვ.) **კოსმოპოლიტიზმის** პოზიციაზე დარჩნენ, ხოლო მეორე ჯგუფი (ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხეილ წერეთელი და სხვ.) კვლავინდებურად მხარს უჭერდნენ **საქართველოს ავტონომიის** მოთხოვნას. ამავე პერიოდისათვის უმნიშვნელო ძალად რჩებოდნენ **ქართველი ესერები** (რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ქართული ფრაქცია).

ეროვნული საკითხი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ძალზე პოპულარული გახდა. ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა და პარტია ცდილობდა ეროვნული საკითხისა და მისი გადაჭრის გზებზე საკუთარი პოზიცია გამოემუშავებინა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია **არჩილ ჯორჯაძის** წერილების სერია სათაურით „სამშობლო და მამულიშვილობა" (1908

აკაკი ჩხენკელი

წ.), **ნოე ჟორდანიას** „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი" (1908 წ.), **მიხეილ (მიხაკო) წერეთლის** „ერი და კაცობრიობა" (1910 წ.), **აკაკი ჩხენკელის** „კაცობრიობა თუ ერი?" (1912 წ.), **იოსებ ჯუღაშვილის (სტალინის)** „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (1913 წ.). სამწუხაროდ, ეროვნულ საკითხში პოლიტიკურ მიმდინარეობათა და პარტიათა შეთანხმება ვერ მოხერხდა. მართალია, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების შეხედულება საქართველოს ავტონომიის საკითხზე ძირითადად ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების დაახლოებას ხელს უშლიდა ამ უკანასკნელთა ერთგულება სოციალისტური დოქტრინისადმი. ეროვნულ საკითხზე უთანხმოება დაიწყო თვით ქართველ სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) შორის. ცნობილმა ქართველმა სოციალ-დემოკრატმა **ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილმა** 1908 წელს საჯაროდ გაილაშქრა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ. ვლადიმერ დარჩიაშვილის აზრით, რსდმპ ეროვნული პროგრამა მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირერიცხოვანი ერებისათვის. ნოე ჟორდანია და ქართველი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა გაემიჯნა ვლადიმერ დარჩიაშვილს. მიუხედავად ამისა, ვლადიმერ დარჩიაშვილს პოზიცია არ შეუცვლია. მალე სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული საკითხის ტრადიციული გაგების წინააღმდეგ გამოვიდა **აკაკი ჩხენკელი.**

ეროვნულ საკითხში საქართველოში არსებული პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების შეთანხმება სცადა **არჩილ ჯორჯაძემ**. 1909 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი **„შეთანხმების იმედი"**. არჩილ ჯორჯაძე ავითარებდა იმ აზრს, რომ დაპირისპირების მიუხედავად, ეროვნულ საკითხში შეთანხმება მაინც შესაძლებელი იყო. არჩილ ჯორჯაძის ცდას შედეგი არ გამოუღია. **ქართულმა ეროვნულმა და სოციალურმა მოძრაობამ ერთიანი პროგრამა ვერ შეიმუშავა.**

საქართველოს საკითხი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. 1912 წლის 10 დეკემბერს მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა **აკაკი ჩხენკელმა** მწვავედ გააკრიტიკა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა. აკაკი ჩხენკელმა საქართველოსათვის **ეროვნულ-კულტურული ავტონომიის** მინიჭება მოითხოვა. 1912 წლის 13 დეკემბერს სოციალისტ-ფედერალისტების დეპუტატმა **ვარლამ გელოვანმა** სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვაში წამოაყენა **საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის** მოთხოვნა. აკაკი ჩხენკელისა და ვარლამ გელოვანის გამოსვლები რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ეროვნული მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა.

1912 წელს ეროვნულმა ძალებმა შექმნეს **ორგანიზაცია „ქართველი ხალხის უფლებების დაცვის კავშირი"**. მისი მიზანი იყო გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) პირობებზე დაყრდნობით ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ისტორიული უფლებების პროპაგანდა ევროპის ქვეყნებში და ამ გზით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ხელის შეწყობა. „ქართველი ხალხის უფლე-

ვარლამ გელოვანი

ბების დაცვის კავშირის" შექმნის ინიციატორები იყვნენ: **არჩილ ჯორჯაძე, გერონტი ქიქოძე, კიტა აბაშიძე, პეტრე სურგულაძე** და სხვ. კავშირის წარმომადგენლები, საზღვარგარეთ მყოფი **მიხაკო წერეთელი** და **ვარლამ ჩერქეზიშვილი** აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში და ცდილობდნენ საქართველოს საკითხი დიდი სახელმწიფოების წინაშე დაესვათ.

§4. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი და საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე (1914-1916 წწ.)

კრონ-პრინცი ფრანც-ფერდინანდი

პირველი მსოფლიო ომი (1914-1918 წწ.) დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა წარმოშვა. ეს წინააღმდეგობები კანონზომიერი შედეგი იყო მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა.

უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან დაიწყო სახელმწიფოების გაერთიანება სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში. 1879 წელს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაიდო გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. 1882 წელს ამ ხელშეკრულებას შეუერთდა იტალია. ასე შეიქმნა ევროპაში პირველი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი – სამხედრო ბლოკი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია), რომელსაც **„სამთა კავშირს“** უწოდებდნენ. იმავდროულად მიმდინარეობდა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოება. 1891-1892 წლებში დადებული ხელშეკრულებებით გაფორმდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. ეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1904-1907 წლებში დაიდო ინგლის-საფრანგეთისა და ინგლის-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებები. ასე შეიქმნა ევროპაში მეორე სამხედრო-პოლიტიკური კავშირი – სამხედრო ბლოკი (საფრანგეთი, ინგლისი, რუსეთი), რომელსაც **„ანტანტას“** (გულითად კავშირს) უწოდებდნენ. მოგვიანებით სამთა კავშირს შეუერთდა თურქეთი. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს – 1915 წელს – იტალია სამთა კავშირიდან გამოვიდა და ანტანტას შეუერთდა, ხოლო 1917 წელს ამერიკის შეერთებული შტატებიც ანტანტის მხარეზე ჩაება ომში. სამთა კავშირის ქვეყნების ინტერესები უპირისპირდებოდა ანტანტის ქვეყნების ინტერესებს და, პირიქით.

საკმაოდ ხანგრძლივმა პერიოდმა პირველი მსოფლიო ომის წინ ცხადი გახადა, რომ დიდ სახელმწიფოებს ერთმანეთს შორის არსებული წინააღმდეგობების მოგვარება მშვიდობიანი გზით არ სურდათ. ომი გარდუვალი გახდა. ომისათვის ყველაზე უკეთ გერმანია მოემზადა. გერმანიის საიმპერატორო კარი თვლიდა, რომ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში სამთა კავშირი შეძლებდა ანტანტის დამარცხებას.

პირველი მსოფლიო ომის საბაბი გახდა ქ. სარაევოში ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრის **ფრანც-ფერდინანდის** მკვლელობა, რასაც შედეგად მოჰყვა ე. წ. „ბოსნიის კრიზისი“ და ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბიისათვის ომის გამოცხადება. ავსტრია-უნგრეთის მხარეზე ომში ჩაება გერმანია, ხოლო სერბიის მხარეზე – რუსეთი. რუსეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომში 1914 წლის 1 აგვისტოს ჩაება.

ევროპაში სამთა კავშირსა და ანტანტას შორის გაჩაღებული ომის პარალელურად საომარი ოპერაციები დაიწყო ამიერკავკასიაში. 1914 წლის აგვისტოში თურქეთმა ომში ნეიტრალიტეტის შესახებ დეკლარაცია გამოაქვეყნა, მაგრამ ეს მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო. სინამდვილეში თურქეთი გამალებით ემზადებოდა რუსეთთან ომისათვის. 1914 წლის ოქტომბერში თურქეთის სამხედრო ფლოტმა სევასტოპოლი და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე რუსეთის სხვა ქალაქები დაბომბა. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. საქართველო ფრონტისპირა ქვეყნად იქცა.

ომის დაწყებისთანავე ამიერკავკასიიდან დასავლეთ ფრონტზე გადაყვანილ იქნა ორი საარმიო კორპუსი და კაზაკთა ხუთი დივიზია. მათი ადგილი სათადარიგო ნაწილებმა დაიკავეს. ამ ნაწილების საბრძოლო მომზადების დონე დაბალი იყო. ეს გარემოება ძალზე ასუსტებდა კავკასიის არმიას. არადა, კავკასიის არმიას უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანა უნდა შეესრულებინა – მას უნდა დაეცვა **ბაქო-ვლადიკავკაზის** რკინიგზა და **თბილისი-ვლადიკავკაზის** სამხედრო გზა. თურქეთის არმიის შეტევა სწორედ ამ მიმართულებით იყო მოსალოდნელი.

საომარი ოპერაციები კავკასიაში თურქეთის მიერ ომის გამოცხადებისთანავე დაიწყო. 1914 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა შეუტიეს **ერზრუმის, ოლთისისა** და **ერევნის** მიმართულებით. სამივე ფრონტზე რუსებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს, თუმცა მალე გაირკვა, რომ რუსეთის არმიის შეტევა ჯეროვნად არ იყო მომზადებული. ზურგის ნაწილები მოწყდნენ შეტევაზე გადასულ ჯარებს, რითაც ისარგებლა თურქეთის სარდლობამ და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ძლიერი შეტევა განავითარა. თურქთა მოწინავე რაზმები **ბათუმის** სანაპირო რაიონებშიც კი შეიჭრნენ. რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ ბათუმის მიმართულებით შეტევაზე

გადმოსული თურქეთის ჯარების შეჩერება შეძლო. თურქეთის სარდლობამ ერზრუმში დიდ ძალებს მოუყარა თავი. აქ დისლოცირებული თურქეთის მესამე არმიის სარდლობა თვით სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ იკისრა. ენვერ-ფაშა ვარაუდობდა ძლიერი შეტევის დაწყებას **სარიყამიშის** რაიონში და ბათუმის მიმართულებით. სარიყამიშის ბრძოლები 1914 წლის დეკემბერში მიმდინარეობდა. თურქეთის ჯარებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. უფრო მეტიც, თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ რუსეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და თურქეთის მესამე არმია მთლიანად გაანადგურეს. სარიყამიშის ბრძოლებში თავი ისახელა კორპუსის სარდალმა გენერალმა **ვასილ გაბაშვილმა.**

რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგობა თურქეთმა ვერც 1915-1916 წლებში გატეხა. 1916 წლის დასასრულისათვის შექმნილი ვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურმა გეგმებმა საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში მარცხი განიცადა.

§5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა პირველი მსოფლიო ომის წლებში. ეროვნული საკითხი

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა ცდილობდა შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში გარკვევას და, შესაბამისად, სამოქმედო გეგმის დასახვას.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის აქტიურობა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შეინიშნებოდა. პოლიტიკური დევნის გამო ემიგრაციაში წასულმა ეროვნულ-დემოკრატებმა ჟენევაში გააგრძელეს მოღვაწეობა. **პეტრე სურგულაძემ, ლეო კერესელიძემ, გიორგი კერესელიძემ, ნესტორ მაღალაშვილმა და სხვებმა 1913 წელს ჩამოაყალიბეს ჯგუფი „თავისუფალი საქართველო“** და გამოსცეს ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“. ამავე ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ **გიორგი მაჩაბელი** და **მიხეილ (მიხაკო) წერეთელი.** ჟენევაშივე ჩაეყარა საფუძველი **„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“.** პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ 1914 წელს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ თავისი მოღვაწეობის მიზნად თვლიდა: ა) საქართველოსთან დაკავშირებას, ქართული პოლიტიკური ძალების მისწრაფების გაცნობას; ბ) დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას სამშობლოში; გ) იარაღის შემოტანას საქართველოში; დ) გერმანიაზე ორიენტირებული პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას ევროპაში; ე) ქართული ლეგიონის ჩამოყალიბებას თურქეთში შემდგომში მისი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოყენების მიზნით.

ლეო კერესელიძე

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ 1915 წელს საქართველოში მოავლინა თავისი წარმომადგენელი **გიორგი მაჩაბელი** და ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებს გერმანიის დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა შესთავაზა. სპეციალურად გამართულ თათბირზე **გიორგი მაჩაბელი** შეხვდა წამყვანი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს: **ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს** (სოციალ-დემოკრატები), **გრიგოლ რცხილაძეს, სამსონ ფირცხალავას** (სოციალისტ-ფედერალისტები), **რევაზ გაბაშვილსა** და **შალვა ამირეჯიბს** (ეროვნულ-დემოკრატები). გიორგი მაჩაბელმა თათბირის მონაწილეებს გააცნო „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთსა და თურქეთთან დადებული ხელშეკრულებები. ეს სახელმწიფოები ქართველების აჯანყებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას კისრულობდნენ. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გერმანიის დახმარებით საქართველოდან რუსეთის განდევნა არარეალურად მიიჩნიეს. ნოე ჟორდანია აჯანყების დაწყების წინააღმდეგ შემდეგ მოსაზრებათა გამო გამოვიდა. ჯერ ერთი, არ არსებობდა არავითარი გარანტია იმისა, რომ მსოფლიო ომის ფრონტზე შექმნილი ვითარება გერმანიას საქართველოსათვის დახმარების გაწევის საშუალებას მისცემდა; მეორეც არ

გიორგი მაჩაბელი

არსებობდა არავითარი გარანტია იმისა, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების განდევნის შემთხვევაში თურქეთი არ მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" გეგმა გერმანიის დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისა ვერ განხორციელდა.

ეროვნული მოძრაობის საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა **მიხაკო წერეთლის** მოხსენება **მცირერიცხოვან ერთა III კონგრესზე** ქ. ლოზანაში (შვეიცარია), 1916 წლის ივლისში. მოხსენების თემა იყო **„ქართველი ერის უფლებანი"**. მიხაკო წერეთელმა განათლებულ კაცობრიობას მოუწოდა, დახმარებოდა ქართველ ერს რუსეთის მიერ დარღვეული 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენაში.

მიხაკო წერეთელი

სოციალ-დემოკრატების მსოფლმხედველობამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ომის წლებში ძალზე პოპულარული გახდა ლოზუნგი ერთა **თვითგამორკვევის (თვითგანსაზღვრის)** შესახებ. მრავალეროვანი სახელმწიფოების პირობებში ერთა თვითგამორკვევა პრაქტიკულად ნიშნავდა შემდეგს: ა) ყველა ერის სრულ თანასწორუფლებიანობას; ბ) ცალკეული ერებისათვის ავტონომიის შექმნის უფლებას; გ) მრავალეროვანი სახელმწიფოებიდან ერების ცალკე გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის უფლებას. **ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას.** აქვე უნდა აღინიშნოს, **რომ** ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრით, საქართველო ვერ იქცეოდა უშუალოდ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ერთეულად. საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უნდა შეექმნათ **ამიერკავკასიის ავტონომია,** რომელიც შევიდოდა რუსეთის სახელმწიფოში ცალკე ავტონომიურ ერთეულად. ამავე დროს, 1917 წელს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს საიდუმლო გადაწყვეტილება: ხელსაყრელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შექმნის შემთხვევაში, მხარი დაეჭირათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. ამ გადაწყვეტილების საიდუმლოდ დაცვა მოტივირებული იყო იმით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის საჯარო პროპაგანდა რუსეთის მხრიდან საპასუხო რეაქციას გამოიწვევდა – რუსეთი საქართველოს დასჯას არ დააყოვნებდა.

სოციალისტ-ფედერალისტები პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგაც ერთგულნი დარჩნენ თავიანთი საპროგრამო მოთხოვნებისა. რუსეთთან დამოკიდებულებაში ისინი წინააღმდეგნი იყვნენ რადიკალური პოლიტიკური კურსისა. რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება მათაც ავანტურად მიაჩნდათ და არჩევდნენ პარტიის სამოქმედო გეგმა შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე შეემუშავებინათ.

პირველმა მსოფლიო ომმა საქართველოს დიდი სამეურნეო ნგრევა მოუტანა. სოფლად შემცირდა ნათესების საერთო რაოდენობა, დიდად დაზარალდა მესაქონლეობა. ნედლეულის უქონლობის გამო გაჩერდა ზოგიერთი საწარმო, მოიშალა სარკინიგზო ტრანსპორტი. სურსათის ნაკლებობის გამო ძალზე გაძვირდა ცხოვრება ქალაქებში. მიუხედავად ამისა, მუშათა და გლეხთა მღელვარებები და ჯარისკაცთა გამოსვლები დიდ სოციალურ აფეთქებაში არ გადაზრდილა.

თავი IV

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918 წწ.)

§1. პოლიტიკური ვითარება საქართველოში რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელსაც მოჰყვა იმპერიის ნგრევა, ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიაში მცხოვრები „ნებაყოფლობით" შეერთებული თუ დაპყრობილი ერების თვითგანსაზღვრისათვის. ამავე დროს, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას რამდენიმე ფაქტორი ართულებდა.

ა) მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი არ შეიძლებოდა იმის პროგნოზირება, თუ როგორ შეიცვლებოდა სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია, როგორ განვითარდებოდა საომარი ოპერაციები მსოფლიო ომის ფრონტებზე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო რამდენადმე რეალური საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შემუშავება, საიმედო, ძლიერი მოკავშირის პოვნა, რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ბ) რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები რუსეთის იმპერიის ნებისმიერი სამართალმემკვიდრისაგან (კონკრეტულ შემთხვევაში – რუსეთის დროებითი მთავრობისაგან) აუცილებლად მოითხოვდა კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში პოზიციების დაცვას. კავკასიის დაკარგვით რუსეთის სახელმწიფო კარგავდა პოზიციებს მახლობელ აღმოსავლეთში.

გ) კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში თავისი სასიცოცხლო ინტერესები ჰქონდა ორ ისლამურ სახელმწიფოს – თურქეთსა და ირანს. ირანი 1917 წლისათვის არ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას (თუმცა საქართველოსათვის მაინც საშიში იყო). რაც შეეხება თურქეთს, მსოფლიო ომის სამმა წელმა აშკარა გახადა მისი აგრესიული მისწრაფებანი ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. ცხადი გახდა ბრძოლის ის ფორმებიც, რომლითაც თურქეთი აპირებდა რეგიონში დამკვიდრებას.

რუსეთის დროებითი მთავრობის პირველი თავმჯდომარე გიორგი ლვოვი

დ) მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში ვერ ერეოდნენ, ამ დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტად ვერ გამოდიოდნენ. მეორე მხრივ, საქართველოს წონასწორობის დარღვევის არც ერთი ვარიანტი (რუსეთის ან თურქეთის სასარგებლოდ) არ აძლევდა ხელს. რუსეთის წასვლა ამიერკავკასიის რეგიონიდან თურქეთის უცილობელ და საფუძვლიან დამკვიდრებას ნიშნავდა, ხოლო თურქეთის პოზიციების შესუსტება, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთს აქტიური პოლიტიკის წარმოებისათვის.

რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრე კერენსკი

ე) მოვლენათა იდეალური სცენარით განვითარების შემთხვევაშიც კი (რუსეთისა და თურქეთის ერთდროული წასვლა ამიერკავკასიიდან) საქართველო დიდი სიძნელეების წინაშე დგებოდა. დიდი სახელმწიფოების წასვლა რეგიონიდან დაუყოვნებლივ ბიძგს მისცემდა აქ მცხოვრები ერების ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარე-

ბლობის ხალხების დაპირისპირებას – პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ კონფლიქტებს, სეპარატისტულ მოძრაობებს. ყველა ერი შეეცდებოდა თავისი ისტორიული ტერიტორიის საზღვრების მოხაზვას, რაც უმეტეს შემთხვევაში, თუ შეუძლებელი არა, წარმოუდგენლად ძნელი იყო, რადგან რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ დემოგრაფიული სიტუაცია აქ კარდინალურად შეიცვალა. ძნელი იქნებოდა იმ კრიტერიუმების შემუშავებაც, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა კავკასიაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გამიჯვნას.

3) შეუძლებელი იყო იმისი პროგნოზირებაც, თუ საბოლოოდ როგორ დამთავრდებოდა ომი, რა სახეს მიიღებდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, როგორი იქნებოდა ომის შემდგომი პოლიტიკური სიტუაცია.

კიტა აბაშიძე

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვებით არსებობა დაასრულა კავკასიის სამეფისნაცვლომაც. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ – რუსეთის დროებითმა მთავრობამ (თავმჯდომარე **გიორგი ლვოვი**) ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა ჩააბარა სამხარეო ხელისუფლების ორგანოს – **ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომი),** რომელიც დაკომპლექტდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კავკასიელი დეპუტატებით. ოზაკომის თავმჯდომარედ დაინიშნა კადეტი ვ. ხარლამოვი. ოზაკომის ქართველი წევრები იყვნენ სოციალისტ-ფედერალისტი **კიტა აბაშიძე** და სოციალ-დემოკრატი **აკაკი ჩხენკელი**. ოზაკომი თბილისში პრაქტიკულად მოღვაწეობას 1917 წლის 18 მარტს შეუდგა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ თბილისში ფუნქციონირებდა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები: თბილისის მუშათა (ცოტა მოგვიანებით მუშათა და ჯარისკაცთა) დეპუტატების საბჭო (თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია**), ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია**) და რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭო (თავმჯდომარე **დიმიტრი დონსკოი**).

რუსეთში კანონიერ (დროებით მთავრობას) და რევოლუციურ ხელისუფლებას (სხვადასხვა დონის დეპუტატთა საბჭოებს) შორის მუდმივი დაპირისპირება და კონფლიქტი არსებობდა, რაც დამთავრდა **1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებით.** ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ოფიციალური და რევოლუციური ხელისუფლების (ოზაკომისა და დეპუტატთა საბჭოების) დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, უთანხმოებები, როგორც წესი, მშვიდობიანი გზით გვარდებოდა. კონფრონტაციის თავიდან აცილებაში დიდი როლი შეასრულეს ნოე ჟორდანიამ, აკაკი ჩხენკელმა, ევგენი გეგეჭკორმა და სხვა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა.

თბილისში 1917 წლის აპრილის დამდეგიდან ფუნქციონირებას იწყებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახი – **„საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“** (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი). თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეებთან სწორედ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო იდგა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში აშკარად შეიმჩნეოდა **ანტირუსულ განწყობილებათა შესუსტება,** რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, რუსეთის იმპერიის აღსასრული გარკვეული შვება იყო იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ერებისათვის; მეორეც, რუსეთის დროებითი მთავრობა – თავის ხასიათით დემოკრატიული მთავრობა – სულაც არ აპირებდა კოლონიური მხარეების ძველი პრინციპებით მართვას. ამის მაგალითს საქართველოში ცხადად იძლეოდა ოზაკომი, რომლის შედარება კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციასთან მართლაც არ შეიძლებოდა. წარსულს ჩაბარდა ჟანდარმერიისა და ოხრანკის თარეში, საგანგებო მდგომარეობებისა და

ირაკლი წერეთელი

დამსჯელი ექსპედიციების ხანა. წარსულს ჩაბარდა რუსიფიკაციაც მრავალნაირი გამოვლინებით. გაუქმდა ცენზურა. საქართველოში ანტირუსულ განწყობილებას გარკვეულწილად ისიც ასუსტებდა, რომ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე დიდ როლს ასრულებდნენ **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** და

კარლო ჩხეიძე

ირაკლი წერეთელი. კარლო ჩხეიძე არჩეულ იქნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ცოტა მოგვიანებით სრულიად რუსეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ (1917 წლის ივნისი) იგი აირჩია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. რაც შეეხება ირაკლი წერეთელს, იგი რუსეთის კოალიციური დროებითი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მინისტრი იყო. **ყველაფერი ეს ქმნიდა იმის ილუზიას, რომ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის სახით დარჩენა შესაძლებელი იყო.** დაახლოებით იგივე მდგომარეობა და განწყობილება იყო თითქმის ყველა ყოფილ კოლონიურ ქვეყანაში. სწორედ ასეთ სიტუაციაში იწყებდა მოღვაწეობას საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა ნებაყოფლობითი გაერთიანება **საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. ინტერპარტიული საბჭო იყო პირველი პოლიტიკური გაერთიანება (ორგანიზაცია), სადაც ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის წარმომადგენლები, შეიკრიბნენ და საჯაროდ, არა ჟანდარმერიისა და ოხრანკისაგან მალულად, არამედ საქვეყნოდ დაიწყეს მსჯელობა საქართველოს ბედზე.**

* * *

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველი კრება 1917 წლის აპრილის დამდეგს გაიმართა. კრებას თავმჯდომარეობდა **აკაკი ჩხენკელი.** დამსწრეთა პერსონალური შემადგენლობა ცნობილი არ არის, ცნობილია მხოლოდ, რომ პირველ კრებას დაესწრნენ სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმებას. კრებაზე განხილულ საკითხთა შორის უმთავრესი იყო **„ეროვნულ საკითხში შეთანხმება“.** ეროვნული საკითხი ორად იქნა გაყოფილი: ა) საქართველოს ტერიტორია, ბ) ეროვნული სეიმის კომპეტენცია. პირველ საკითხზე – საქართველოს ტერიტორია – მსჯელობა პირველსავე კრებაზე დასრულდა. მეორე საკითხი – ეროვნული სეიმის კომპეტენცია – მეორე კრებისათვის გადაიდო.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველ კრებაზე საქართველოს ტერიტორიის შესახებ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები ძირითადად შეთანხმდნენ – ზოგადად მოიხაზა საქართველოს საზღვრები, თუმცა მისი ყველა ნაწილი ჩამოთვლილი და განსაზღვრული არ ყოფილა. საქართველოს ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო: უდავო და სადავო ტერიტორია. უდავო ტერიტორიად მიჩნეულ იქნა ის ტერიტორია, **სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენდა.** სადავო ტერიტორიად აღიარებულ იქნა ის ტერიტორია, სადაც ქართველობა უმრავლესობას არ შეადგენდა. კრებამ აზრი გამოთქვა საქართველოს სადავო ტერიტორიის საკითხის გადაჭრის თაობაზე. სადავო ტერიტორიის საქართველოში შესვლის საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. ქალაქ თბილისის შესახებ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შეთანხმდა: **ქალაქი თბილისი უდავო ტერიტორიის საზღვრებში იქნა შეტანილი.**

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველი კრების მიერ საქართველოს ტერიტორიის საკითხის დასმა, ანუ საქართველოს საზღვრების მოხაზვის ცდა, შემთხვევითი არ ყოფილა. საქართველოს საზღვრების დადგენა ყველა შემთხვევაში აუცილებელი იყო. **თუ საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას დააპირებდა, წინასწარ უნდა ყოფილიყო დადგენილი მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრები, უნდა განსაზღვრულიყო ის ტერიტორია, რომლის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასაც აპირებდნენ.** საქართველოს საზღვრების დადგენა აუცილებელი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველო რუსეთში ფედერაციული ან ავტონომიური ერთეულის სახით დარჩებოდა. მაგრამ რა პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრას? **საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც საქართველოს ე. წ. სადავო ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა-არშესვლის საკითხის გადასაწყვეტად რეფერენდუმის გზა აირჩია.** საერთოდ, შეცდომა იყო საქართველოს ტერიტორიის ორ ნაწილად – უდავო და სადავო ტერიტორიად გაყოფა. საქართველოს, ანუ ქვეყნის, რომელსაც სახელმწიფოებრივი

აკაკი ჩხენკელი

დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, საზღვრების დადგენისას, ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველ კრებას ისტორიული პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა, სხვა სიტყვებით – **საქართველოს საზღვრებად მიეჩნია ის საზღვრები, რომლებიც არსებობდა სამეფო-სამთავროებად დაშლამდე – XV საუკუნის მეორე ნახევრამდე.** რა თქმა უნდა, ამ პრინციპის დაცვას თავისი სირთულეები ჰქონდა, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში ასამოქმედებელი იყო. არსებობდა საქართველოს საზღვრების დადგენის მეორე პრინციპიც – საფუძვლად რუსული ადმინისტრაციული დაყოფის მიღება: საქართველოს ტერიტორიად უნდა ჩათვლილიყო ის ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა თბილისის გუბერნიისა და მისდამი დაქვემდებარებული ზაქათალის ოკრუგის, ქუთაისის გუბერნიისა და მისდამი დაქვემდებარებული სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის, ყარსისა და არტაანის ოლქების სახით, აგრეთვე შავი ზღვის გუბერნიის ნაწილი. ორივე შემთხვევაში საქართველო არც ერთი სხვა ხალხის ინტერესებს არ შელახავდა – **ქართველ ერს პრეტენზია მხოლოდ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ექნებოდა.** საწინააღმდეგოდ ამისა, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ საქართველოს ტერიტორია, როგორც ითქვა, უდავო და სადავო ნაწილებად გაყო, რითაც არაქართველ მოსახლეობას ფაქტობრივად **სეპარატიზმისაკენ** უბიძგა.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრილს. კრებას დაესწრნენ: **ეროვნულ-დემოკრატები**: გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, დავით (დათა) ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპიძე (ვეშაპელი), სპირიდონ კედია, ბ. ასათიანი; **სოციალისტ-ფედერალისტები**: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ ბარათაშვილი, სიმონ მდივანი, სამსონ ფირცხალავა, სამსონ დადიანი, შალვა მესხიშვილი; **სოციალ-დემოკრატები**: აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, გიორგი (გოგიტა) ფალავა, გრიგოლ გიორგაძე, პავლე საყვარელიძე. კრებაზე აგრეთვე იმყოფებოდნენ მ. მაჩაბელი და ვ. თუმანიშვილი. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრებას თავმჯდომარეობდა **აკაკი ჩხენკელი**, მდივნობდა **პავლე საყვარელიძე**.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრებას უნდა განეხილა საკითხი – ეროვნული სეიმის კომპეტენცია. კრების გახსნისას აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხი, კამათის ნაყოფიერების მიზნით, შეიძლებოდა სამ ქვესაკითხად გაყოფილიყო: ა) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია; ბ) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ტერიტორიულ ერთეულებთან; გ) საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულების დამოკიდებულება სრულიად რუსეთის ცენტრთან. **ეროვნულ-დემოკრატების** (გიორგი გვაზავა) აზრით, საქართველოსა და რუსეთს შორის დამოკიდებულებას განსაზღვრავდა თვით რუსეთის სახელმწიფოს შინაარსი: 1) თუ რუსეთში ფედერაციული წყობილება დამყარდებოდა, მაშინ საქართველოს უნდა მოეთხოვა ფართო ეროვნული ავტონომია; 2) თუ რუსეთი უნიტარულ რესპუბლიკად გამოცხადდებოდა, მაშინ საქართველოსა და რუსეთს შორის დამოკიდებულებას საფუძვლად უნდა დასდებოდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები. რუსეთის სახელმწიფოს, ასევე საქართველოსაც ეყოლებოდა თავისი პრეზიდენტი. უფლებები მათ შორის მკაცრად გაიმიჯნებოდა. **სოციალ-დემოკრატები** (ნოე რამიშვილი) არ დაეთანხმნენ ეროვნულ-დემოკრატებს. მათ მხარი დაუჭირეს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველოს ფართო **ეროვნული თვითმმართველობის** შექმნას. ამასთან, ამიერკავკასიის ერები უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ ფედერაციულ ერთეულად საკუთარი **სეიმით,** რომელიც აღჭურვილი იქნებოდა სამეურნეო საკითხებში გარკვეული ავტონომიური უფლებებით. რაც შეეხება კულტურის საკითხებს, იგი ამიერკავკასიის სეიმის კომპეტენციაში არ შევიდოდა. კულტურის საკითხები ცალკეული ერების (ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები) თვითმმართველობებს უნდა გადაეწყვიტათ.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს არც პირველ და არც მეორე კრებაზე (1917 წლის აპრილი) **საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა.**

§2. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მომზადება

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო პოლიტიკურ პარტიათა ნებაყოფლობითი გაერთიანება იყო. იგი ქართველი ერის მიერ არ ყოფილა არჩეული და, ამდენად, იურიდიულად უფლება არ

ჰქონდა ერის სახელით გამოსულიყო. სიტუაციიის თავისებურებას კარგად გრძნობდნენ თვით ინტერპარტიული საბჭო და მისი თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი. გარდა ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო, საერთოდ, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, რომელიც უაღრესად რთული იყო. ყველაფერი ეს აუცილებელს ხდიდა ისეთი უფლებამოსილი ორგანოს შექმნას, რომელიც ქართველი ერის სახელით იმოქმედებდა. ასე ჩაისახა **საქართველოს ეროვნული ყრილობის** მოწვევის იდეა.

საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში იყო აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობის დელეგატები აერჩიათ ინტერპარტიული საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონის საფუძველზე. ამ შემთხვევაში **ეროვნული ყრილობა სავსებით უფლებამოსილი იქნებოდა ყოფილიყო ქართველი ერის ბედის გამგებელი, როგორც დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული ორგანო.** მაგრამ, სხვადასხვა მოსაზრების გამო, ინტერპარტიულ საბჭოს საარჩევნო კანონი აღარ მიუღია და საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა თავს იდო უშუალოდ ინტერპარტიულმა საბჭომ.

1917 წლის ზაფხულის ბოლოდან ეროვნული ყრილობის მოწვევისათვის მზადება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. ნოე ჟორდანია, რომელიც ინტერპარტიული საბჭოს მუშაობაში აქტიურად არ მონაწილეობდა, პოლიტიკურ პარტიათა თხოვნით სათავეში ჩაუდგა ყრილობის მოწვევის საქმეს. მანვე შეიმუშავა ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი, განსაზღვრა საარჩევნო კვოტები და ა. შ. ინტერპარტიულ საბჭოში შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობა აირჩევდა ეროვნულ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებდა საარჩევნო კანონს საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის. ქართველი ერის წინაშე მდგარი ყველა მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ **დამფუძნებელ კრებას** უნდა გადაეწყვიტა. დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეას თავგამოდებით იცავდა **აკაკი ჩხენკელი**, რაც შეეხება **ნოე ჟორდანიას**, იგი დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ თვლიდა, რომ ამ იდეას რეკლამირება ჯერჯერობით არ იყო მიზანშეწონილი.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გახსნის წინა ხანებში პოლიტიკური სიტუაცია რუსეთში კარდინალურად შეიცვალა, რამაც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი პოლიტიკოსები. **1917 წელს 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს კანონიერი დროებითი მთავრობა** (თავმჯდომარე **ალექსანდრე კერენსკი**). საქართველოს სამმა ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ (სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა) არ ცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ბოლშევიკური რეჟიმი ასევე არ ცნეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ ცნო არც რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭომ და არც კავკასიის არმიის სარდლობამ.

რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – **ოზაკომმა**.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა შეეცდებოდა თავისი ძალაუფლება გაავრცელებინა ამიერკავკასიაზეც. ამ პირობებში, ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა დაასწრეს საბჭოთა რუსეთს – 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – **ამიერკავკასიის კომისარიატმა (მთავრობამ)**.

ამიერკავკასიის კომისარიატი შემდეგი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: **ე. გეგეჭკორი** – ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, შრომისა და

ევგენი გეგეჭკორი

საგარეო ურთიერთობათა სამინისტროების კომისარი; **ა. ჩხენკელი** – შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარი; **დ. დონსკოი** – სამხედრო და საზღვაო სამინისტროების კომისარი; **ხ. კარჩიკიანი** – ფინანსთა სამინისტროს კომისარი; **შ. ალექსი-მესხიშვილი** – სახალხო განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების კომისარი; **მ. ჯაფაროვი** – ვაჭრობისა და მრეწველობის კომისარი; **ხ. მელიქ-ასლანოვი** – გზათა სამინისტროს კომისარი; **ა. ნერუჩევი** – მიწათმოქმედების სამინისტროს კომისარი; **გ. ტერ-გაზარიანი** – სურსათის საქმეთა სამინისტროს კომისარი; **ა. ოგანჯანიანი** – მზრუნველობის სამინისტროს კომისარი; **ხ.-ბ. ხას-მამედოვი** – სახელმწიფო კონტროლის კომისარი.

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა პოლიტიკურად სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო – **ხელისუფლების ახალი სამხარეო ორგანოს შექმნით ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს.** ამავე დროს გამოცხადდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ხელისუფლების სამხარეო ორგანოს როლში გამოვიდოდა რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, ე. ი. ხაზი გაესვა იმას, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა. შექმნილ სიტუაციაში ესეც სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში რუსეთის კავკასიის არმია ფრონტის ხაზიდან მოიხსნებოდა. უკეთეს შემთხვევაში რუსეთის არმია ამიერკავკასიას დატოვებდა, რაც ხელ-ფეხს გაუხსნიდა თურქეთის აგრესიულ მისწრაფებებს; უარეს შემთხვევაში კი იგი თავად მოახდენდა ამიერკავკასიის ოკუპაციას. მოვლენათა განვითარების ორივე მოსალოდნელი ვარიანტი ხელს აძლევდა საბჭოთა რუსეთს – ამიერკავკასიის ერების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის დიდი ხნით შეფერხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ორიენტირება საკმაოდ ძნელი იყო. ქართველი პოლიტიკოსები, ისევე როგორც ბევრი ცნობილი მოღვაწე მთელს მსოფლიოში, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა წყობილება რუსეთში მალე დაემხობოდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრება, როგორც რუსი ხალხის ნების გამომხატველი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თავის ხელში აიღებდა ძალაუფლებას და რუსეთიც დემოკრატიზაციის გზით განვითარდებოდა. **სწორედ ამიტომ არ გადაზრდილა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ანტიბოლშევიკური და ანტისაბჭოთა განწყობილება ანტირუსულ განწყობილებაში.** ამ ნიშნით ჩაიარა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წლის 19-24 ნოემბერი).

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში. ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 19 დელეგატი სათათბირო ხმით. 324 დელეგატიდან პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელი იყო 67 დელეგატი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი – 15, ქალაქების თვითმმართველობების – 33, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების – 89, ქართული ჯარის – 20, კოოპერატივების – 8, მასწავლებელთა კავშირის – 9, ქართული პრესის – 9, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების – 35, ვაჭარ-მრეწველთა და ბანკების – 26, თავადაზნაურობის – 20, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული საზოგადოებების – 6, საქართველოს **საკათოლიკოსო** საბჭოსი – 1, სხვადასხვა დაწესებულებათა – 8, ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ **კ**ათოლიკეთა – 7, საქართველოში მცხოვრები ებრაელების – 3, აფხაზებისა – 2. ყრილობას **და**ესწრო საქართველოს კათოლიკოსი კირიონ II, უცხო სახელმწიფოთა და მეზობელი ერების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით, რუსეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალი პრჟევალსკი და სხვები.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა **აკაკი ჩხენკელმა**. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეული იყო **ნოე ჟორდანია**. 20 ნოემბერს ყრილობაზე ინტერპარტიული საბჭოს დავალებით მოხსენება გააკეთა ნოე ჟორდანიამ. მოხსენების თემა იყო – „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა." მოხსენების შემდეგ ყრილობას უნდა მიეღო რეზოლუცია. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის რეზოლუცია დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნებოდა, ამიტომაც რეზოლუციის პროექტის შემუშავების მიზნით ყრილობამ შექმნა **ეროვნულ-პოლიტიკური სექცია**. ეროვნულ-პოლიტიკურ სექციაში შევიდნენ: **სოციალ-დემოკრატები:** ნოე ჟორდანია, გრიგოლ გიორგაძე, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, მიხეილ კლიმიაშვილი, გიორგი (გოგიტა) ფაღავა, დავით ონიაშვილი; **სოციალისტ-ფედერალისტები**: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ გველესიანი, იასონ ბაქრაძე, იაკობ ფანცხავა, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე, აკაკი ფაღავა; **სოციალ-დემოკრატი ალიონელები**: პავლე საყვარელიძე, დავით სულიაშვილი, ლეო შენგელაია, ნიკოლოზ ქარცივაძე; **სოციალისტ-რევოლუციონერები:** ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია, პარმენ საბაშვილი; **ეროვნულ-დემოკრატები:** გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ვასილ წერეთელი, ირაკლი ამირეჯიბი, ტიციან ტაბიძე, ლევან ჯაფარიძე, დავით გურამიშვილი, შალვა ამირეჯიბი. სექციის თავმჯდომარედ ყრილობის მიერ არჩეულ იქნა **ივანე გობეჩია,** მდივნად სექციამ აირჩია **აკაკი ფაღავა.**

ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომა დაიწყო იმით, რომ **ნოე ჟორდანიამ** წაიკითხა მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი:

„ქართული ეროვნული ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ნ. ჟორდანიასი შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, ადგენს:

1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართველ დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა, თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.

3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერ-კავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისივე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან.

4. ყრილობა მხარს უჭერს ამიერკავკასიის ახლად შემდგარ მმართველობის დროებით ორგანოს „ამიერკავკასიის კომისარიატს".

5. ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისაგან, რომელნიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.

6. ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერ-კავკასიის სეიმში შესდგეს ქართველ დეპუტატებისაგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძღოლათ და ცხოვრებაში გასატარებლად.

7. ყველა ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. განსაკუთრებით საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხვ. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას რუსეთის რევოლუციური მთავრობა (დროებითი მთავრობა – ავტ.) და მოწვეული დამფუძნებელი კრება.

8. რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშვალებას თავისუფალ კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებიან დაინტერესებულ მოსაზღვრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწყვდეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერ-კავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელ კრების წინაშე წარსადგომათ.

9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდება და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი კრებები, რომელიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითოეულ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერ-კავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალება ეროვნულ საბჭოს".

რეზოლუციის პროექტი, შემუშავებული ნოე ჟორდანიას მიერ, პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა. ამავე დროს, იგი ცხადად მიანიშნებდა იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთთან საქართველოს არანაირი კავშირის დაჭერა არ სურდა, სხვა სიტყვებით – პოლიტიკური ორიენტაცია აღებული იყო დემოკრატიულ რუსეთზე. რეზოლუციის პროექტში ხაზგასმით აღინიშნა, რომ რუსეთში დემოკრატიული წყობილების დამყარების შემთხვევაში საქართველო რჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემდეგი პირობით – „საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე", ე. ი. ავტონომიური ერთეულის სახით. მართალია, ნოე ჟორდანიას პროექტში არაფერი ყოფილა ნათქვამი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენის დაგვიანების შემთხვევაში **საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნა მაინც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ.**

ნოე ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის პროექტის მწვავე კრიტიკით გამოვიდნენ ეროვნულ-დემოკრატები: გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ირაკლი ამირეჯიბი და შალვა ქარუმიძე. მათ მიუღებლად მიიჩნიეს პრორუსული ორიენტაცია და მოითხოვეს დასავლეთევროპული პოლიტიკური ორიენტაციის აღიარება.

საბოლოოდ ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ ხმების უმრავლესობით მაინც მიიღო ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის პირველი მუხლი. ამასთან, გადაწყდა პირველი და მეორე მუხლის გაერთიანება.

ამრიგად, ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ, ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგობის მიუხედავად, **პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია მართებულად მიიჩნია.** იგივე დაადასტურა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამაც.

ნოე ჟორდანია

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მიერ წაკითხული მოხსენების – „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა", – შემდეგ მისაღები რეზოლუციის პროექტის განხილვამ ეროვნულ-პოლიტიკურ სექციაში ცხადად გვიჩვენა **ქართული პოლიტიკური ელიტის სიმწიფე, რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ორიენტაციის უნარი.**

რა თქმა უნდა, არც ეროვნულ-პოლიტიკურ სექციასა და არც საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას არ შეეძლო აბსოლუტურად ყველა კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა. ობიექტურად არ შეიძლებოდა ყველაფრის ზუსტად გათვლა, ყველა პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა. აშკარაა, რომ ამას ქართველი პოლიტიკოსები კარგად გრძნობდნენ, ამიტომაც ძალზე ფრთხილობდნენ, იტოვებდნენ საშუალებას, სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, ახალი პოლიტიკური კურსის შესამუშავებლად.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია **საქართველოს ეროვნული საბჭო.** ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის (წევრები და კანდიდატები) პროექტი ნოე ჟორდანიამ შეადგინა, თუმცა პროექტმა შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. საბოლოოდ, საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 66 წევრი და 61 კანდიდატი. 6 კაცი ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სათათბირო ხმით. ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: **სოციალისტ-ფედერალისტები** – 10 კაცი (გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, შალვა მესხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე და სხვა.), **რადიკალ-დემოკრატები** – 1 კაცი (დავით ჩიქოვანი), **სოციალისტ-რევოლუციონერები** – 7 კაცი (კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, იოსებ გობეჩია, ივანე გობეჩია და სხვა.), **ეროვნულ-დემოკრატები** – 9 კაცი (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი და სხვ.), **უპარტიონი** – 2 კაცი (კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი), **ალიონელები** – 4 კაცი (პავლე საყვარელიძე, ნიკოლოზ ქარცივაძე და სხვ.), **სოციალ-დემოკრატები** – 28 კაცი (ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი და სხვ.), გარდა ამისა, ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნენ: **სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარის)** წარმომადგენლები – 3 კაცი (მემედ-ბეგ აბაშიძე, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე), **ზაქათალის ოლქის (საინგილოს)** წარმომადგენელი – 1 კაცი (რაფიელ ივანიცკი) და **სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს** წარმომადგენელი – 1 კაცი (გიორგი გაგლოევი).

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ნოე ჟორდანია,** რომელიც ეროვნული საბჭოს **აღმასრულებელი კომიტეტის** თავმჯდომარედაც აირჩიეს.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ეროვნულ-დემოკრატების ბრძოლა რუსული პოლიტიკური ორიენტაციის წინააღმდეგ პროდასავლური ორიენტაციისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ამ პოლიტიკური კურსის მომხრეებს პირდაპირ ცივი წყალი გადაასხა ანტანტის (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) დიპლომატების ვიზიტმა საქართველოში. 1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მიიღეს ანტანტის ქვეყნების დიპლომატები, აგრეთვე გენერალი შორი. ქართველთა მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, პავლე საყვარელიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე,

მემედ-ბეგ აბაშიძე

გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე, ალექსანდრე ფარნიაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, დავით ნახუცრიშვილი. ანტანტის ელჩებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ისინი ცნობდნენ ერთ, მთლიან და განუყოფელ რუსეთს და მის დროებით მთავრობას, ხოლო ცალკეულ ერებს განიხილავდნენ რუსეთის ნაწილებად. გარდა ამისა, ანტანტის დიპლომატები ქართველებისა და სომხებისაგან მოითხოვდნენ მობილიზაციის გამოცხადებას, არმიის შექმნასა და თურქეთის მოსალოდნელი შეტევის შეჩერებას. ამასთან, ისინი იმიზეზებდნენ მიმდინარე მსოფლიო ომით შექმნილ სირთულეებს

და შეიარაღებითა და ჯარით დახმარებაზე უარს ამბობდნენ.

სულ მალე მოვლენათა განვითარებამ არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსული ორიენტაციის დამცველები. 1918 წლის იანვრის დამდეგსა და შუა ხანებში საბჭოთა რუსეთმა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია სცადა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი სამხედრო შენაერთების გამოყენებით. კავკასიის ფრონტიდან დაძრულ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც ვითომდა სამშობლოში (რუსეთში) ბრუნდებოდნენ, უნდა ეთხოვათ თბილისის გავლით, რკინიგზით, შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ გატარება. შემდეგ, როდესაც სამხედრო ეშელონები სარკინიგზო მაგისტრალებზე გავიდოდნენ, დაიწყებოდა შეიარაღებული გამოსვლა და რუსეთის ჯარის ხელში ერთბაშად აღმოჩნდებოდა თბილისი, ბათუმი, აგრეთვე სხვა ქალაქები და მთელი სარკინიგზო ხაზი თბილისიდან ბათუმამდე. 1918 წლის იანვრის დამდეგს ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ მოქცეულმა, დემორალიზებულმა სამხედრო შენაერთებმა ფრონტის ხაზი დატოვეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მანევრი ამოიცნო და სამხედრო ეშელონები თბილისში არ შეუშვა, ბაქოსაკენ გაატარა. ზოგიერთმა სამხედრო შენაერთმა ძალით სცადა თბილისისკენ გაჭრა, მაგრამ **ახლად შექმნილმა ქართულმა კორპუსმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა მძიმე ბრძოლებში სადგურ შამქორთან და სხვა ადგილებში სასტიკი მარცხი აგემა რუსეთის არმიას და იძულებული გახადა ბაქოს მიმართულებით დაეხია.** საბჭოთა რუსეთის გეგმები საქართველოს მიმართ სავსებით ცხადი გახდა. ქართულ პოლიტიკურ ელიტას ადრეც არ ეპარებოდა ეჭვი ბოლშევიკთა აგრესიულ, დიდმპყრობელურ მისწრაფებებში, მაგრამ 1918 წლის იანვრის ამბები მაინც ძალზე დამაფიქრებელი იყო.

1918 წლის იანვარში რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, დემოკრატიული წყობილების მომლოდინე ქართველ პოლიტიკოსებს იმედი საბოლოოდ გაუცრუვდათ: 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა დიდი დარტყმა განიცადეს. ყველამ დაინახა, რომ ბოლშევიკები ძალაუფლების დათმობას არ აპირებდნენ, დიქტატურა რუსეთში ძალას იკრებდა, ტოტალიტარული რეჟიმი გადაჭრით დაუპირისპირდა განვითარების დემოკრატიულ ხაზს.

ახალი რეალიების, უკანასკნელი მოვლენების ანალიზის საფუძველზე ამიერკავკასიის კომისარიატმა ახალი პოლიტიკური კურსი შეიმუშავა. 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია **ამიერკავკასიის სეიმი**. სეიმი რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შედგებოდა. **თავმჯდომარედ** არჩეულ იქნა **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე**.

ამიერკავკასიის კომისარიატმა სეიმის მოწვევით ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან, თუმცა იურიდიულად ეს ცოტა მოგვიანებით გაფორმდა.

მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის, გახრწნილი, დემორალიზებული არმიის უძლურების პირობებში ვლადიმერ ლენინმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატიული ზავი დადო, რაც საბჭოთა წყობილებას გადარჩენის უკანასკნელ შანსს აძლევდა. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან დადებული სეპარატიული ზავის პირობებით გერმანიის მოკავშირემ – თურქეთმა მიიღო **ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქები.**

ამიერკავკასიის კომისარიატისათვის ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქების თურქეთისათვის გადაცემა არავის შეუთანხმებია, რადგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არც რუსეთი, არც გერმანია და არც თურქეთი არ სცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის 3 მარტისათვის ამიერკავკასია ფაქტობრივად გამოყოფილი იყო რუსეთისაგან. ამიერკავკასიის კომისარიატმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს პროტესტი სათანადოდ არგუმენტირებული არ იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის არგუმენტებიდან მთავარი ის იყო, რომ ქართული და სომხური მიწები თურქეთს გადასცეს ქართველ და სომეხ ხალხთა დაუკითხავად, მათი სურვილისა და დასტურის გარეშე.

თურქეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზებას – მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების დაცლა. 1918 წლის 10 მარტს თურქეთმა მოთხოვნა კვლავ გაიმეორა. 11 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთის მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდა, რომ ომი თურქეთთან ადვილი არ იყო, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. 14 მარტს **ქ. ტრაპიზონში** დაიწყო ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას **აკაკი ჩხენკელი** მეთაურობდა. აკაკი ჩხენკელის ცდებს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები მთლიანად ან ნაწილობრივ შეენარჩუნებინათ, შედეგი არ მოჰყოლია – თურქეთის დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას. თურქეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო: 1918 წლის 8-9 აპრილს მტერი ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. 12 აპრილს აკაკი ჩხენკელმა ევგენი გეგეჭკორს სთხოვა

თურქეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების შეჩერება. 13 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის ფრაქციათა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად მიიღო ირაკლი წერეთლის რეზოლუცია ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გამოწვევის შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ომი გრძელდებოდა. 9 აპრილს არაოფიციალურად

კარლო ჩხეიძე

დაწყებული ომი 13 აპრილს ოფიციალური ხდება. თურქეთის არმიის შემაჩერებელი ძალა საქართველოს არ ჰყავდა. 15-21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

ასეთ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში 1918 წლის 22 აპრილს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ **კარლო ჩხეიძემ.** ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმში უკვე მომწიფებული იყო აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. დღის წესრიგიც ამით განისაზღვრა: 1) ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ; 2) თურქეთ-ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკებაზე წარგზავნილი დელეგაციის მოხსენება; 3) ამიერკავკასიის მთავრობის განცხადება ახალი ხელისუფლების ორგანიზების შესახებ.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სეიმის წევრი, სოციალ-დემოკრატი **დავით ონიაშვილი.** ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დადგენილება: „გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად".

ამიერკავკასიის სეიმმა იმავე სხდომაზე მოისმინა საზავო დელეგაციის მოხსენება და მიიღო დადგენილება საზავო მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

სეიმის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა აკაკი ჩხენკელს. 1918 წლის 26 აპრილს აკაკი ჩხენკელმა სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა. სეიმმა უცვლელად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი პროექტი. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: **აკ. ჩხენკელი** მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; **ნ. რამიშვილი** – შინაგან საქმეთა მინისტრი; **ა. ხატისოვი** – ფინანსთა მინისტრი; **ხ-ბ. მელიქ-ასლანოვი** – გზათა მინისტრი; **ფ-ხ. ხოისკი** – იუსტიციის მინისტრი; **გრ. გიორგაძე** – სამხედრო მინისტრი; **ნ. ხომერიკი** – მიწათმოქმედების მინისტრი; **ნ-ბ. უსუბეკოვი** – სახალხო განათლების მინისტრი; **მ. გაჯინსკი** – ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; **ა. სააკიანი** – სასურსათო საქმეთა მინისტრი; **რ. კაჩაზნუნი** – სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი; **ა. ერზინკიანი** – შრომის მინისტრი; **ი-ბ. ჰაიდაროვი** – სახელმწიფო კონტროლიორი.

ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად ექცა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. **გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო,** რაც ცხადი გახდა იმთავითვე. გარდა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი – ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა ერთადერთ სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის ახლად შექმნილი სამოკავშირეო სახელმწიფოს მესვეურები ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად თვლიდნენ კონსტიტუციის შემუშავებას. გადაწყდა, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციები და ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1918 წლის 2 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის **საკონსტიტუციო კომისიის** ქართველი წევრები. სულ ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიაში უნდა აერჩიათ 24 კაცი, აქედან ხუთ-ხუთ წევრს ირჩევდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები, ხოლო დანარჩენ ცხრას ნიშნავდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა. ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიის ქართულ წევრებად არჩეულ იქნენ: **გიორგი გვაზავა, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ვლადიმერ გობეჩია.**

1918 წლის 9 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს **XIV კრება.** დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) საქართველოს კონსტიტუციის შედგენა; 2) ამიერკავკასიის ერების გადამიჯვნა. კრების გახსნისას მისმა თავმჯდომარემ **გიორგი ლასხიშვილმა** აღნიშნა, რომ შესადგენია ორი კონსტიტუცია – ამიერკავკასიისა და საქართველოსი. ამ საკითხზე კრების წინაშე მოხსენებით წარდგა სოციალისტ-ფედერალისტი **გრიგოლ რცხილაძე.** მოხსენების შემდეგ გამართული კამათიდან, რომელშიც მონაწილეობდნენ რევაზ გაბაშვილი, სერგო ჯაფარიძე, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, შალვა ქარუმიძე, ალექსანდრე ლომთათიძე და სხვები, აშკარა გახდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფო ძალზე რთული პრობლემების წინაშე იდგა – ძნელი იყო ცალკეული ერების ინტერესების შეთანხმება.

1918 წლის 12 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს XV კრება. კრებაზე საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა **სერგო ჯაფარიძე**. მოხსენების განხილვისას ცხადი გახდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებსა და მათ თანამოაზრეებს (გიორგი გვაზავა, კონსტანტინე აფხაზი, მიხეილ მაჩაბელი, შალვა ქარუმიძე, გრიგოლ ვეშაპელი და სხვ.) არ სურდათ საქართველოს დარჩენა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოში, ისინი პირდაპირ აყენებდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხს. პოლემიკა გაგრძელდა ეროვნული საბჭოს XVI კრებაზე 1918 წლის 14 მაისს.

სოციალ-დემოკრატებმა და მათმა თანამოაზრეებმა ფაქტობრივად ვერაფერი დაუპირისპირეს ეროვნულ-დემოკრატების მოსაზრებებს. კამათი ვერც საქართველოს ეროვნული საბჭოს **XVI კრებაზე** დასრულდა.

§3. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

საქართველოს ეროვნული საბჭო, ვიდრე ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციების შესახებ მსჯელობდა, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სულ უფრო კატასტროფული ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას **აკაკი ჩხენკელი** მეთაურობდა. პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ თურქეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით – უფრო მეტს მოითხოვდა. 1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: 1) თურქეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქსა და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას; 2) თურქეთი თავის თავზე ილებს წესრიგის დაცვას ამიერკავკასიაში; 3) თურქეთი ითხოვს ომის შემთხვევაში ამიერკავკასიის რკინიგზით სარგებლობის უფლებას. ამავე წერილში აკაკი ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას, თუმცა გამორიცხული არ იყო საწინააღმდეგოც. იმავე დღეს, 1918 წლის 12 მაისს, აკაკი ჩხენკელი მეორე საიდუმლო წერილს აგზავნის ბათუმიდან. აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: საქართველოსათვის თურქეთთან ომის წარმოება დამღუპველი იყო.

აკაკი ჩხენკელის ორი წერილი ბათუმიდან შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის უაღრესად ზუსტ ანალიზს იძლეოდა. ამ წერილებში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფაქტობრივად სთავაზობდა **გერმანოფილურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს,** როგორც ერთადერთ რეალურ გამოსავალს შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან. ამავე დროს, ისიც ცნობილი იყო, რომ თურქოფილური აზერბაიჯანი და ანგლოფილური სომხეთი გერმანიაზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე უარს იტყოდნენ.

ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის ორი წერილის მიღების შემდეგ, 1918 წლის 14 მაისს, სალამოს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვაზავა, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე. აღმასკომის წევრების გარდა, სხდომას ესწრებოდნენ: შალვა მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე და აკაკი პაპავა. თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 14 მაისის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა **გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო-პოლიტიკური კურსი.** აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ გაგზავნოდა შემდეგი მითითებები:

„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალ ფონ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხების რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილ იქნეს გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეების, რაც შეიძლება მალე სამშობლოში სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად".

აკაკი ჩხენკელს ხელ-ფეხი გაეხსნა და ენერგიულად შეუდგა გერმანიის დახმარებით საქართველოს ხსნის გეგმის რეალიზებას. 1918 წლის 15 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში იგი არწმუნებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელია. აკაკი ჩხენკელი იმასაც იტყობინებოდა, რომ ინგლისის დახმარებით თურქეთის შეჩერება არარეალურია. 15 მაისის წერილში აკაკი ჩხენკელმა კატასტროფიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება დასახა.

მომდევნო დღეებში აკაკი ჩხენკელისა და გენერალ ფონ ლოსოვის თანამშრომლობა უფრო მჭიდრო ხდება. ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს ბევრი ძვირფასი ინფორმაცია მიანოდა, ბევრ რთულ პრობლემაში გაარკვია. როგორც ჩანს, სწორედ ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს თურქეთისა და რუსეთის მოსალოდნელი საიდუმლო ალიანსის შესახებ, რაც დალუპვით ემუქრებოდა საქართველოს.

საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. **საქართველოს გერმანია სჭირდებოდა თურქეთის აგრესიისაგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ – დამოუკიდებლობის გარანტად. გერმანიას საქართველო სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად.** საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და თურქეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილდებოდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნით.

აკაკი ჩხენკელის დაჟინებულმა მტკიცებამ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შენარჩუნება შეუძლებელია, ხოლო საქართველოს ხსნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებაშია, ეროვნულ-დემოკრატების პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა. სოციალ-დემოკრატებს არ შეიძლებოდა ანგარიში **არ** გაეწიათ აკაკი ჩხენკელის მოსაზრებებისათვის. **ასეთ** ვითარებაში 1918 წლის 16 მაისს, საღამოს **შვიდ** საათზე, შეიკრიბა საქართველოს ეროვნული **საბჭოს** აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას **ესწრებოდნენ:** ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი; მონვეულები – **იასონ** ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშვილი. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხი ასე იყო ფორმულირებული: **„წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველნაირი ნიადაგი"**.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა: აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებს ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილსა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალოთ, დაასახელონ დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის სამი წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშვილი, დავით (დათა) ვაჩნაძე და შალვა მესხიშვილი**. აღმასრულებელმა კომიტეტმა ახლად შექმნილ კომისიას დაავალა: 1) ზომების მიღება საქართველოში ლტოლვილთა, მათ შორის შეიარაღებულ ლტოლვილთა, შემოსვლის შესაჩერებლად; 2) ქართულ ჯართან და საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო სექციასთან კონტაქტის დამყარება; 3) აცნობოს სომხეთის ეროვნულ საბჭოს თუ რა სირთულეებს ქმნის სომეხი ლტოლვილების შემოსვლა საქართველოში და გაარკვიოს რა ზომების მიღებას აპირებს სომხეთის ეროვნული საბჭო გართულების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მოსაგვარებელი იყო უამრავი საკითხი. 1918 წლის 17 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. სხდომას დაესწრნენ: გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა, ასევე მონვეულები – დავით (დათა) ვაჩნაძე, შალვა მესხიშვილი, გენერალი ვასილ გაბაშვილი, პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი და პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე. პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი იყო საკითხი: **„მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ"**. სამთა კომისიამ

პრეზიდიუმის სხდომას გადასაწყვეტად წარუდგინა შემდეგი საკითხები: 1) ვის ჩააბარონ თბილისის დაცვა, 2) რომელი ორგანო უხელმძღვანელებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. ქალაქ თბილისში გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები.

2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ახმეტელი, მის თანაშემწედ – პოლკოვნიკი ნაქერელიძე. გენერალმა ახმეტელმა და პოლკოვნიკმა ნაქერელიძემ იმოქმედონ ქართული კორპუსის მეთაურის გენერალ ვასილ გაბაშვილის ხელმძღვანელობით.

3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე სამთა კომისია, რომელმაც უნდა იმოქმედოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

ვიდრე თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ემზადებოდნენ, თურქი დიპლომატები და სამხედროები დროს არ კარგავდნენ. 1918 წლის 18 მაისს თურქებმა დაიკავეს ალექსანდრეპოლი. 18 მაისს ბათუმში თურქეთის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო:

1. თურქეთი არავითარ შემთხვევაში არ ცნობს ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ;

2. თურქეთმა კიდეც რომ ცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთი უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე;

3. ამიერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერ მხარეს, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება არა აქვს გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე, ან ამ პირობების სისრულეში მოყვანის წესზე.

თურქეთის დელეგაციის მემორანდუმი მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ამიერკავკასიის დელეგაციას. მოლაპარაკება აზრს კარგავდა. 1918 წლის 19 მაისს აკაკი ჩხენკელმა მიიღო გენერალ ფონ ლოსოვის წერილი. ფონ ლოსოვი აკაკი ჩხენკელს აცნობებდა თავის მზადყოფნას, ამიერკავკასია-თურქეთის მოლაპარაკებაში შუამავლის როლი შეესრულებინა. იგი, ამავე დროს, სთხოვდა აკაკი ჩხენკელს გაერკვია, თანახმა იყო თუ არა ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის შუამავლობაზე. აკაკი ჩხენკელმა ფონ ლოსოვის წერილის მილებისთანავე, 19 მაისს საღამოს, შეკრიბა ამიერკავკასიის დელეგაცია და გარკვეული დებატების შემდეგ დაითანხმა იგი ეცნოთ გერმანიის შუამავლობა. ამიერკავკასიის დელეგაციის დადებითი პასუხი 19 მაისსვე ეცნობა გენერალ ფონ ლოსოვს. გერმანია თურქეთის მოკავშირე და ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერი მხარე იყო, ამიტომ გენერალ ფონ ლოსოვის შუამავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ამიერკავკასიის დელეგაციისათვის.

1918 წლის 22 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი დაბეჯითებით სთხოვდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: **„ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!"**

თურქეთის დიპლომატია კარგად ხედავდა, რომ გერმანიის შუამავლობა ამიერკავკასია-თურქეთის მოლაპარაკებაში მისი მოქმედების თავისუფლებას ზღუდავდა, მაგრამ ერიდებოდა გერმანიასთან ურთიერთობის გამწვავებას: მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და არავინ იცოდა სად და როდის დასჭირდებოდა თურქეთს გერმანიის პოლიტიკური თუ სამხედრო მხარდაჭერა.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს კიდევ ერთ საიდუმლო წერილს უგზავნის. წერილში მოცემული იყო გერმანიის მფარველობით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გეგმა.

საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. თბილისში ფრეილინის (დღევანდელი სულხან-საბას) ქუჩაზე საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მზადების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პოზიციას. 1918 წლის 24 მაისს შედგა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მოხსენებით – „ბათუმის საზავო მოლაპარაკების შესახებ" გამოვიდა ნოე ჟორდანია. მომხსენებელმა დაახასიათა შექმნილი სიტუაცია და აღნიშნა, რომ თურქეთში ამიერკავკასიასთან ზავზე სამი შეხედულება არსებობს: 1) ზავის დადება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე; 2) თურქეთისათვის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მინიჭებული ტერიტორიის გაფართოება; 3) მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა. ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი მთლიანად ეთანხმე-

ბოდა აკაკი ჩხენკელის შეხედულებებს და, თავის მხრივ, ცდილობდა დაერწმუნებინა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმაში, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს არავითარი პერსპექტივა აღარ ჰქონდა. „ამიერკავკასია ამჯერად უკანასკნელ დღეებს ითვლის" – ნოე ჟორდანიას ამ დასკვნას კამათი არ გამოუწვევია.

ბათუმის მოლაპარაკებაზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. თურქეთი სულ უფრო მეტად ეურჩებოდა თავის მოკავშირეს – გერმანიას. 1918 წლის 25 მაისს გენერალმა ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ იგი უარს ამბობდა თურქეთ-ამიერკავკასიის მოლაპარაკებაში შუამავლის როლის შესრულებაზე.

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. 25 მაისისათვის დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხვადასხვა მიზეზის გამო სხდომის დაწყება დაგვიანდა. **საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაიწყო 1918 წლის 25 მაისს, ღამის 11 საათზე, თბილისში, ფრეილინის ქუჩაზე მდებარე ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში.**

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას, მისი წევრების გარდა, გამოჩენილი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. კერძოდ, სხდომას დაესწრნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით (დათა) ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი.

თბილისი. მეფისნაცვლის ყოფილი სასახლე, სადაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა იმით დაიწყო, რომ ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო 23 მაისს ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ 25 მაისს, ღამის 10 საათზე, უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც, როგორც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გამოაცხადებდა დაშლილად, ხოლო თვითონ მოიხსნიდა უფლებამოსილებას. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორც ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, სეიმის სხდომა არ შედგა იმიტომ, რომ მუსავატელთა და დაშნაკთა ფრაქციებმა უარი განაცხადეს სეიმის სხდომაში მონაწილეობაზე. აზერბაიჯანელებმა განაცხადეს, რომ მათ საკითხი ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის შესახებ ჯერ არ განუხილავთ და აზრი არ შეუმუშავებიათ, თუმცა წინააღმდეგნი არ არიან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. სომხებმა სეიმის სხდომის მეორე დღისათვის გადადების მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ შესამუშავებელი ჰქონდათ განცხადება. ნოე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართველებს სურვილი ჰქონდათ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან თანხმობით ემოქმედათ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეს არ მოხერხდა: ამიერკავკასიის სეიმის სხდომა 25 მაისს აღარ შედგება, ამიტომ ქართველებმა ცალკე უნდა განიხილონ საკითხი. ნოე ჟორდანიამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ 26 მაისს 12 საათზე შედგებოდა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, სხდომის შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადება სასწრაფოა, დაუყოვნებლივ, იმავე დღეს – 25 მაისს გამოეცხადებინათ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ნოე ჟორდანიამ განმარტა: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გაურკვევლობას შექმნიდა, რადგან იარსებებდა ორი მთავრობა – ამიერკავკასიისა და საქართველოსი. აქედან გამომდინარე, ნოე ჟორდანია ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას მეორე დღისათვის – 26 მაისისათვის. შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: **„საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“**. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 6 კაცმა, 26 მაისს გამოცხადებას – 4 კაცმა. გადაწყდა: აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოცხადებულიყო 25 მაისს. კენჭისყრის შემდეგ განცხადება გააკეთა ნოე ჟორდანიამ. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებლობას იხსნიდა მოსალოდნელ შედეგებზე.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მცირე ხანში გაირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ იყო, რამაც თავისთავად გამოიწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება 26 მაისისათვის. ნოე რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: **26 მაისს დილით 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე – საქართველოს ეროვნული საბჭო**.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ბოლოს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, რომელიც კომისიამ შეიმუშავა. აქტის ტექსტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. ამ შენიშვნების მიხედვით დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შესწორება დაევალა **ნოე ჟორდანიას**.

1918 წლის 25 მაისს თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ მოწოდებით მიმართა თბილისის მოქალაქეებს. მიმართვაში მოკლედ იყო დახასიათებული შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია, მინიშნებული იყო იმ დიდ საფრთხეზე, რომელიც საქართველოსა და თბილისს ემუქრებოდა თურქეთის მხრიდან. საქალაქო თვითმმართველობა მოუწოდებდა თბილისელებს მზად ყოფილიყვნენ მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა 1918 წლის 26 მაისს. მათ წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს აღსასრული გარდუვალი იყო. მიუხედავად ამისა, ფუჭი პოლემიკა კარგა ხანს გაგრძელდა. ნაშუადღევის 3 საათზე სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა, ხოლო თვითონ უფლებამოსილება მოიხსნა. ამიერკავკასიის სეიმის ეს გადაწყვეტილება თითქმის ერთხმად იქნა მიღებული, წინააღმდეგი იყო სეიმის მხოლოდ ორი წევრი. სეიმის სხდომის შემდეგ კარლო ჩხეიძემ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს ტელეგრამით ამცნო მომხდარის შესახებ.

ნოე რამიშვილი

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გოლოვინის (დღეს რუსთაველის) გამზირზე, იმავე დარბაზში, სადაც თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა ამიერკავკასიის სეიმმა.

ეროვნული საბჭოს სხდომას ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი.

გიორგი ჟურული

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. პრეზიდიუმში იყვნენ: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი და პავლე საყვარელიძე. მდივნის მოვალეობას ასრულებდა ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.

ეროვნული საბჭოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ნოე ჟორდანიამ. სიტყვის დამთავრების შემდეგ **ნოე ჟორდანიამ** წაიკითხა **„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“**. აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს პოლიტიკურ სისტემად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა (მუხლი მეორე). დამოუკიდებელმა საქართველომ საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა (მუხლი მესამე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფოდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მო-

საზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან (მუხლი მეოთხე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა (მუხლი მეხუთე). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნიდა მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს (მუხლი მეექვსე). დამფუძნებელი კრების მონვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობას განახორციელებდა ეროვნული საბჭო. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იქნებოდა ეროვნული საბჭოს წინაშე (მუხლი მეშვიდე).

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, მიიღო და დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი".

გიორგი ლასხიშვილი

დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კოალიციური მთავრობის შემადგენლობა:

1. **ნოე რამიშვილი** – მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი.

ბ) **აკაკი ჩხენკელი** – საგარეო საქმეთა მინისტრი.

გ) **გრიგოლ გიორგაძე** – სამხედრო მინისტრი.

დ) **გიორგი ჟურული** – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

ნოე ხომერიკი

ე) **გიორგი ლასხიშვილი** – სახალხო განათლების მინისტრი.

ვ) **ნოე ხომერიკი** – მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.

ზ) **შალვა მესხიშვილი** – იუსტიციის მინისტრი.

თ) **ივანე ლორთქიფანიძე** – გზათა მინისტრი.

ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა დამთავრდა ნაშუადღევს 5 საათსა და 55 წუთზე.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ **ნოე რამიშვილმა** მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრამით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება.**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა თავისუფლებისათვის. ქართველმა ერმა, რომელმაც საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია გაამდიდრა მრავალი მიღწევით, კვლავ მოიპოვა უფლება, დამდგარიყო მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა გვერდით და თვითონ განეგო თავისი სვებედი.

თავი V

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)

§1. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის აქტით სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა ეროვნულ საბჭოს, რომლის თავმჯდომარედაც ნოე ჟორდანიას ნაცვლად არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისსვე კოალიციურ საწყისებზე დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: სოციალ-დემოკრატი **ნოე რამიშვილი** (მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი), სოციალ-დემოკრატი **აკაკი ჩხენკელი** (საგარეო საქმეთა მინისტრი), სოციალ-დემოკრატი **გრიგოლ გიორგაძე** (სამხედრო მინისტრი), სოციალ-დემოკრატი **გიორგი ჟურული** (ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი), სოციალისტ-ფედერალისტი **გიორგი ლასხიშვილი** (განათლების მინისტრი), **ნოე ხომერიკი** (მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი), სოციალისტ-ფედერალისტი **შალვა მესხიშვილი** (იუსტიციის მინისტრი), სოციალისტ-რევოლუციონერი **ივანე ლორთქიფანიძე** (გზათა მინისტრი). 1918 წლის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში მოხდა ცვლილება. მთავრობის თავმჯდომარე **ნოე რამიშვილის** ნაცვლად გახდა **ნოე ჟორდანია,** ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად **აკაკი ჩხენკელის** ნაცვლად დაინიშნა **ევგენი გეგეჭკორი.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – **ეროვნულ საბჭოს** – 1918 წლის 8 ოქტომბერს ეწოდა **საქართველოს პარლამენტი.** საქართველოს პარლამენტი დათხოვნილ იქნა დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით (1919 წ.).

1919 წლის დამდეგს დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – **დამფუძნებელი კრების** – არჩევნები. არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კარლო ჩხეიძე. პირველსავე სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული **„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.** დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა **ნოე ჟორდანიას** თავმჯდომარეობით. ახალი მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო: **ევგენი გეგეჭკორი** – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი, **ნოე რამიშვილი** – შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი, **ნოე ხომერიკი** – მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, **კონსტანტინე კანდელაკი** – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინ-



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს
სახელმწიფო გერბი

ისტრი. მთავრობის თავმჯდომარე ამავე დროს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის **უმაღლესი წარმომადგენელი.** საქართველოს დამფუძნებელი კრება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამდე (1921 წლის მარტი), თუმცა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დამფუძნებელ კრებას არც ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ მოუხსნია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა დამოუკიდებელი საქართველოს **სახელმწიფო სიმბოლიკის (გერბი, დროშა, ჰიმნი)** შემუშავება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი შემუშავებულ იქნა **იაკობ ნიკოლაძისა** და **იოსებ შარლემანის** მიერ **ივანე ჯავახიშვილის** კონსულტაციით. 1918 წლის სექტემბერში საქართველოს სახელმწიფო დროშად დამტკიცდა **სამფეროვანი (შვინდისფერი, შავი, თეთრი) დროშა,** ხოლო სახელმწიფო გერბად თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. სახელმწიფო ჰიმნის სტატუსი შეიძინა **კოტე ფოცხვერაშვილის** „დიდებამ".

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის უმაღ-

კონსტანტინე კანდელაკი

ლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ ზოგიერთ კანონსა და დადგენილებას. მათ შორის აღსანიშნავია დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის ანუ ქვეშევრდომობის შესახებ (1918 წლის ივლისი), კანონი მოქალაქეობის შესახებ (1919 წლის მაისი), კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ (1918 წლის ოქტომბერი). კანონის მიხედვით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლებოდა ის, ვინც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე). დადგინდა საქართველოს მოქალაქეობის მიღების წესი. კანონში საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ ჩაწერილი იყო: **„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა".**

შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში აუცილებელი იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. სწორედ ამას ისახავდა მიზნად კანონი საქართველოს რესპუბლიკის გვარდიის შესახებ (1918

ნოე ჟორდანია

წლის ივლისი) და დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის შესახებ (1918 წლის აგვისტო). კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ (1918 წლის აგვისტო) და ძირითადი დებულება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების შესახებ (1918 წლის აგვისტო). კანონის მიხედვით საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგებოდა მუდმივი (რეგულარული) ჯარისა და ლაშქრისაგან. მუდმივ ჯარში გაწვევა უნდა წარმოებულიყო უწყვეტად, ხოლო ლაშქარში – შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე (სამხედრო საფრთხის გაძლიერებისა და ომის შემთხვევაში). **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ოცდან ორმოც წლამდე ვალდებული იყო მუდმივ ჯარში სამსახურით პირადად მოეხადა სამხედრო ბეგარა (ვალდებულება).**

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში სათანადო ყურადღება დაეთმო **სასამართლო რეფორმას.** ძველი სასამართლო გაუქმდა. 1918 წლის სექტემბერში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის **დროებითი საგანგებო სასამართლო.** რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს გარდა, თბილისში მოქმედებდა თბილისის გუბერნი-

ივანე ჯავახიშვილი

ისა და ზაქათალის ოლქის საგანგებო სასამართლო, ქუთაისში – ქუთაისის გუბერნიის საგანგებო სასამართლო, სოხუმში – სოხუმის ოლქის (აფხაზეთის) საგანგებო სასამართლო. 1918 წლის სექტემბერში შეიქმნა **სამომრიგებლო სასამართლო.** საქართველო დაიყო სამომრიგებლო ოლქებად. მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა არჩევითი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლო დანიშნულებას თავდაპირველად ასრულებდა თბილისის სასამართლო პალატა. 1919 წლის ივლისში შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო – **სენატი.**

უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზებასთან ერთად აუცილებელი იყო ადგილობრივი მმართველობის სისტემის განსაზღვრა. 1918 წლის აგვისტოში მიღებული კანონის საფუძველზე საქართველო დაყოფილ იქნა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: **თბილისის გუბერნია** შვიდი მაზრით, **ქუთაისის გუბერნია** შვიდი მაზრით, **სოხუმის ოლქი, ზაქათალის ოლქი.** 1920 წლის ივლისიდან ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო ბათუმის ოლქი. გუბერნიაში უმაღლესი ადმინისტრაციული მოხელე იყო **გუბერნიის კომისარი,** ოლქში – **ოლქის კომისარი,** მაზრაში – **მაზრის კომისარი.** გუბერნიის, ოლქისა და მაზრის კომისარიატებს ჰქონდათ თავიანთი აპარატი. 1918 წელსვე ადგილობრივი მმართველობის რეფორმიდან გამომდინარე გაუქმდა საქართველოს დაყოფა გუბერნიებად, რის შემდეგაც ყველა მაზრაში ჩატარდა **საერობო კრების** არჩევნები. 1919 წლისათვის საქართველოს მაზრებში ჩამოყალიბდა **მრავალპარტიული საერობო კრებები.** საერობო კრებების აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა **გამგეობები.** სამაზრო თვითმმართველობების (ერობების) შექმნის შემდეგ გატარდა საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა. არჩეულ იქნა **მრავალპარტიული საქალაქო სათათბიროები** და მისი **გამგეობები.** საბოლოო ჯამში, საქართველოში ჩამოყალიბდა დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული **ადგილობრივი მმართველობის** სისტემა.

მაზრების ერობებისა და ქალაქების სათათბიროების არჩევნებში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის **ფულად-საფინანსო** სისტემის შექმნასა და მის გამართულ ფუნქციონირებას. 1919 წლის ივლისში გამოიცა დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის შესახებ. დეკრეტის ძალით საქართველოს მთავრობას უფლება მიეცა გამოეცა სამასი მილიონი მანეთის ღირებულების ბონი. ბონს უნდა ემოქმედა დროებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფულის გამოშვებამდე. ქართული ბონი მოქმედებდა რუსული ფულის ნიშნებსა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონთან ერთად. ქართულ ბონს იმხანადაც და შემდგომ წლებშიაც საკმაოდ მყარი კურსი ჰქონდა. იგი ბრუნვაში იყო 1923 წლამდე. 1919 წლის დეკემბერში შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის **სახელმწიფო ბანკი.**

სოციალურ ურთიერთობათა სფეროში მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა 1920 წლის აგვისტოში მიღებული კანონი **შრომითი ხელშეკრულების შესახებ.** კანონმა განსაზღვრა მშრომელთა დაქირავების წესი, დაქირავებულისა და დამქირავებლის უფლება-მოვალეობანი, ხელფასის ანაზღაურების წესი და სხვ. ძალზე მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე 1920 წლის ივლისში მიღებული კანონი **ჯანმრთელობის დეპარტამენტის** დაარსების შესახებ. დეპარტამენტის მოვალეობას შეადგენდა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაობის წარმართვა.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში სათანადო სახსრების სიმცირის პირობებშიც კი, დიდი ყურადღება ექცეოდა **განათლების, მეცნიერებისა** და **კულტურის** განვითარებას. 1918 წლის 3 სექტემბერს თბილისის უნივერსიტეტი გარდაიქმნა **სახელმწიფო უნივერსიტეტად.** იმავდროულად დამტკიცდა თბილისის სახელმწიფო უნივერ-

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიტეტის დროებითი ძირითადი დებულება. 1918 წლის სექტემბერში თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, ასევე სემინარიები გამოცხადდა **სახელმწიფო სკოლებად.** ღირსშესანიშნავ ღონისძიებას წარმოადგენდა 1919 წლის აგვისტოში მიღებული დეკრეტი, რომლის ძალითაც გაუქმდა **კავკასიის მუზეუმი** და მის ბაზაზე თბილისშივე დაარსდა **საქართველოს მუზეუმი.** 1920 წლის მარტში შეიქმნა **საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა.** ქართული კულტურის შემდგომი ბედისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1920 წლის მაისში მიღებულ დეკრეტს, რომელიც კრძალავდა საქართველოდან ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა ისტორიული ფასეულობის მქონე ნივთების გატანას. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზების თვალსაზრისით, საყურადღებო იყო 1920 წლის აპრილში მიღებული კანონი **საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის** დაარსების შესახებ. კანონის მიღების შემდეგ დაიწყო საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი მასალების თავმოყრა და დამუშავება.

საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორი **ეროვნული პოლიტიკის** შემუშავებასა და გატარებას. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა იყო. აქ მცხოვრები ხალხები სხვადასხვა აღმსარებლობას განეკუთვნებოდნენ, ამავე დროს, ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ ორიენტაციას აღიარებდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეძლია ის დაპირისპირება და უნდობლობა, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ერებს შორის რუსეთის კოლონიური რეჟიმის პირობებში წარმოიშვა. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სწორი ეროვნული პოლიტიკა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიდან იღებს სათავეს. დამოუკიდებლობის აქტის მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორათ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა". მეექვსე მუხლი კი გვაუწყებდა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს". საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბოლომდე ერთგული დარჩა დამოუკიდებლობის აქტით აღიარებული პრინციპებისა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეივსო საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობა. 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით საქართველოში მცხოვრებმა სხვადასხვა ერის წარმომადგენელმა უფლება მიიღო ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – ეროვნულ საბჭოში – აერჩიათ 26 წარმომადგენელი. ეროვნული საბჭოს წევრის 26 ადგილი ასე განაწილდა: სომხებმა მიიღეს 10 ადგილი, თათრებმა (აზერბაიჯანელებმა) – 4, აფხაზებმა – 3, რუსებმა – 2, ოსებმა – 2, ქართველმა ებრაელებმა – 2, ებრაელებმა – 1, ბერძნებმა – 1, გერმანელებმა – 1. კანონში აღნიშნული იყო, რომ ცალკეული ერების წარმომადგენლები საქართველოს ეროვნულ საბჭოში უნდა აერჩიათ ამ ერების ეროვნულ საბჭოებს. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოთქვამდნენ სახელმწიფო ენაზე – ქართულ ენაზე. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს, რომელმაც ქართული არ იცოდა, უფლება ეძლეოდა პარლამენტში სიტყვა წარმოეთქვა მშობლიურ ენაზე, ან რომელიმე ეროვნული უმცირესობის ენაზე, თუ ეს ენა იცოდა პარლამენტის პრეზიდიუმის ერთმა წევრმა მაინც. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას დაეთმო მთელი თავი. კონსტიტუციაში აღნიშნული იყო: „არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდისა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა". კონსტიტუცია ეროვნული უმცირესობისაგან შემდგარ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) ეროვნული კავშირების დაარსების უფლებას აძლევდა. ეროვნული კავშირები უნდა გასძღოლოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებს. ისინი თავიანთ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდნენ კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონებით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ყოველგვარი პირობა შეექმნათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში შეუზღუდავი მონაწილეობისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ძალზე მცირე დრო ჰქონდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად. ამასთან ერთად, სახელმწიფო აღმშენებლობა მიმდინარეობდა მეტად მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში, ურთულეს საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში. მიუხედავად ამისა, მოპოვებულ იქნა უმნიშვნელოვანესი წარმატებები.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრო-



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (საფრანგეთში გამოცემული რუკა)

ცესში მოპოვებული წარმატებები დაგვირგვინდა კონსტიტუციით, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს. **საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ქართული პოლიტიკური აზრის დიდი მონაპოვარია.** იგი შემუშავებულ იქნა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან. კონსტიტუციის პირველსავე მუხლში აღნიშნულია:

ფრანგული პლაკატი: „საქართველოს მთავრობა"
(ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, კ. კანდელაკი, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი)

„საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა". კონსტიტუციამ **ქართული ენა** გამოაცხადა **სახელმწიფო ენად.**

კონსტიტუციის ძალით საქართველოს მოქალაქეობის მიღება შეიძლებოდა **„წარმოშობით, ქორწინებითა და ნატურალიზაციით".** საქართველოს მოქალაქე ვალდებული იყო, პირადად მოეხადა **სამხედრო ბეგარა.** საქართველოს მოქალაქეს შეეძლო, უარი ეთქვა ქვეყნის მოქალაქეობაზე მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულების შემდეგ.

საქართველოს კონსტიტუციამ **გააუქმა სიკვდილით დასჯა.** ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორი იყო და მისი დასჯა შეეძლო მხოლოდ სასამართლოს.

1921 წლის კონსტიტუციით ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა **პარლამენტი,** რომელიც უნდა არჩეულიყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული საარჩევნო კანონით. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა **მთავრობას.** მთავრობის თავმჯდომარე, ამავე დროს, იყო **ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი.**

საქართველოს კონსტიტუციამ გამოაცხადა სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა. კონსტიტუციაში აღნიშნულია: **„სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება".** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს წარმოადგენდა სენატი.

კონსტიტუცია აკანონებდა **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების** არჩევას საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო კანონით. ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილებებისა და განკარგულებების შეჩერების უფლება ჰქონდა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს, მაგრამ მისი გაუქმება მხოლოდ სასამართლოს წესით შეიძლებოდა.

1921 წლის კონსტიტუციით საქართველოს განუყოფელ ნაწილებს – **აფხაზეთს** (სოხუმის ოლქს), **აჭარასა** (ბათუმის ოლქს) და **საინგილოს** (ზაქათალის ოლქს) მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში **ავტონომიური მმართველობა.**

კონსტიტუციამ დააკანონა საყოველთაო, სავალდებულო და **უფასო დაწყებითი განათლება.** კერძო პირთა დაარსებული სკოლა უნდა დამორჩილებოდა საერთო-სასკოლო კანონს.

მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა კონსტიტუციით იყო გარანტირებული. კონსტიტუციაში ვკითხულობთ: **„რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის".** კონსტიტუცია იცავდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს. არ შეიძლება საქართველოში უპირატესობით ესარგებლა რომელიმე რელიგიას.

მართალია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმოქმედია, მაგრამ მას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში. 1918 წლის 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია იყო ის იურიდიული საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მომდევნო ათწლეულებში.

ამრიგად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სა-

კანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სწორად განსაზღვრა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი მიმართულებანი და დროის სიმცირის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ნარმატებები მოიპოვა.

§2. ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ხელყოფა დაიწყო ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე 1917-1918 წლებში. **აფხაზეთში** სეპარატისტულ მოძრაობას აქეზებდა და მხარს უჭერდა საბჭოთა რუსეთი, ასევე თურქეთი. **შიდა ქართლში** მცხოვრები ოსი სეპარატისტების უკან ასევე რუსეთი იდგა. **სამცხე-საათაბაგოსა** და **აჭარაში** სეპარატიზმს აღვივებდა თურქეთი. ირანისა და თურქეთის აგენტურა სეპარატისტული მოძრაობის გაჩაღებას ცდილობდა **საინგილოში (ისტორიულ ჰერეთში)**. საბჭოთა რუსეთი და თურქეთი ცდილობდნენ სეპარატისტული მოძრაობისათვის ხან ეთნიკური, ხან რელიგიური და ხან აგრარული ხასიათი მიეცათ. სინამდვილეში მათ მიზანს შეადგენდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დანაწილება, რაც შეაფერხებდა ქართველი ერის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში – ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობას.

აფხაზი სეპარატისტების გააქტიურება შეინიშნებოდა უკვე 1917 წლის შემოდგომიდან. 1918 წლის თებერვალში აფხაზეთის სახალხო საბჭომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს შესთავაზა საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის მოგვარების საკუთარი პროექტი. აფხაზეთის სახალხო საბჭო თვლიდა, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის უნდა დამყარებულიყო კეთილმეზობლური ურთიერთობა, როგორც ორ თანასწორ მხარეს შორის. ქართულმა

ვალიკო ჯუღელი

მხარემ ეს პროექტი უარყო. 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე **აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში.** ამასთან, აფხაზეთს ენიჭებოდა შინაურ საქმეებში ფართო **ავტონომია.** საქართველო ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა აფხაზეთს იმ ტერიტორიის (გაგრის რაიონი და სხვ.) დაბრუნებაში, რომელიც 1904 წელს სოხუმის ოკრუგს ჩამოაცილეს და შავი ზღვის გუბერნიას შეუერთეს. ცხადია, საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ არ დააკმაყოფილა არც აფხაზი სეპარატისტები და არც საბჭოთა რუსეთი. 1918 წლის მარტში სოხუმის ოკრუგში რუსეთის მხარდაჭერით გააქტიურდნენ აფხაზი ბოლშევიკები. მათ მოითხოვეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და აფხაზეთის საბჭოთა რუსეთთან შეერთება. აფხაზი სეპარატისტები კი აფხაზეთის დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. საბჭოთა რუსეთის დახმარებით აფხაზმა ბოლშევიკებმა შექმნეს **აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი,** ჩამოაყალიბეს წითელი რაზმი, დაიკავეს **სოხუმი** და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს. აფხაზეთში

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი

შევიდა ყუბანელ კაზაკთა 2-ათასიანი წითელი რაზმი. კაზაკებმა გუდაუთასთან დაამარცხეს ქართული ჯარის ნაწილები და სოხუმში შევიდნენ.

აფხაზმა სეპარატისტებმა ისარგებლეს 1918 წლის აპრილ-მაისში აჭარაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით. მაშინ, როდესაც ბათუმის დაკარგვის შემდეგ ქართული ჯარი და სახალხო გვარდია ძლივს აკავებდა თურქეთის ჯარების შემოტევას მდინარე ჩოლოქზე, აფხაზი სეპარატისტები აძლიერებდნენ ბრძოლას საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფისათვის. ბათუმში თავს იყრიდა თურქეთის დესანტი, რომელიც აფხაზეთში უნდა გადაესხათ. 1918 წლის მაისში საქართველოს სახალხო გვარდიამ **ვალიკო ჯუღელის** მეთაურობით სამურზაყანოდან (ოჩამჩირის რაიონიდან) სოხუმს შეუტია და აფხაზ სეპარატისტებსა და მათ დასახმარებლად ბათუმიდან მოსულ თურქეთის დესანტს სასტიკი მარცხი აგემა. აფხაზმა სეპარატისტებმა ჯერ გუდაუთისაკენ, ხოლო შემდეგ გაგრისაკენ დაიხიეს. სახალხო გვარდიას შეეძლო განევითარებინა შეტევა, მაგრამ საქართველოს ეროვნული საბჭო ზედმეტ სისხლისღვრას მოერიდა. თანაც ცნობილი გახდა, რომ ტუაფსეში საბჭოთა რუსეთმა დიდ ძალებს მოუყარა თავი.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა აფხაზეთის საკითხი სისხლისღვრის გარეშე გადაეჭრა. 1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: 1) საქართველოს მთავრობაში მოწვეული იქნებოდა აფხაზეთის წარმომადგენელი – აფხაზეთის საქმეთა მინისტრი; 2) აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის (თვითმმართველობის) ფუნქცია ეკისრებოდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს; 3) წესრიგის დაცვისა და ხელისუფლების განმტკიცების მიზნით აფხაზეთში უნდა გაგზავნილიყო საქართველოს სახალხო გვარდიის ნაწილები; 4) აფხაზეთში სოციალურ რეფორმებს გაატარებდა აფხაზეთის სახალხო საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით; 5) აფხაზეთის სახელმწიფოებრივ სტატუსს განსაზღვრავდა აფხაზეთის სახალხო ყრილობა, რომელიც, რაც შეიძლებოდა მალე უნდა მოწვიათ.

აფხაზი სეპარატისტებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა 1918 წლის 8 ივნისის შეთანხმება. აფხაზეთის სახალხო საბჭოს ლიდერებმა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება განიზრახეს. ამდენად, აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარება შეუძლებელი გახდა. საომარი მოქმედებები განახლდა. ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ გენერალ **გიორგი მაზნიაშვილის** სარდლობით ყუბანიდან შემოსული კაზაკთა წითელი რაზმი და აფხაზ სეპარატისტთა ძალები დაამარცხა და 1918 წლის ივნისში სოხუმი დაიკავა. 22 ივნისს სახალხო გვარდია შევიდა **გაგრაში,** 2 ივლისს აღებულ იქნა **ადლერი,** 6 ივლისს – **სოჭი,** 26 ივლისს – **ტუაფსე.** აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას მტრულად შეხვდა საბჭოთა რუსეთი. რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ (1918 წლის გაზაფხული) ქვეყნის სამხრეთში საბჭოთა ხელისუფლება დაემხო. რეგიონში რეალურ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი **რუსეთის მოხალისეთა არმია** გენერალ **ალექსეევის** სარდლობით. სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა **ყუბანის რესპუბლიკა.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხედავდა, რომ აფხაზეთის საკითხის გადაჭრა აუცილებელს ხდიდა ურთიერთობის მოგვარებას მოხალისეთა არმიის სარდლობასა და ყუბანის რესპუბლიკასთან. საქართველოს მთავრობამ წინადადებით მიმართა ყუბანის რესპუბლიკის მთავრობას, რათა დაეწყოთ მოლაპარაკება საზღვრების დადგენის მიზნით. მოლაპარაკება დაიწყო 1918 წლის 25 სექტემბერს. რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებას ესწრებოდნენ **მოხალისეთა არმიის სარდლობის** (გენერალი ალექსეევი, გენერალი დენიკინი და სხვ.), ყუბანის რესპუბლიკისა (ბიჩი, ვორობიოვი) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები – საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგენი გეგეჭკორი** და გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი.** მოხალისეთა არმიის სარდლობამ და ყუბანის რესპუბლიკამ ფორმალურად აღიარეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ბრალი დასდეს რუსეთის ტერიტორიის მიტაცებაში. რუსები საქართველოს ტერიტორიასაც (სოჭისა და გაგრის რაიონები) კი რუსეთის ტერიტორიად თვლიდნენ. ქართულმა მხარემ დაასაბუთა ტერიტორიული პრეტენზიების უსაფუძვლობა, თუმცა რუსებს აზრი მაინც არ შეუცვლიათ.

1918 წლის ოქტომბრის დამდეგს რუსეთის მოხალისეთა არმიის მხარდაჭერით აფხაზეთში იყო ცდა გადატრიალების მოხდენისა, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილება. **აფხაზეთის სახალხო საბჭოში** სულ უფრო ძლიერდებოდა ანტიქართული განწყობილება. 1918 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ქვეყნის ტერიტორიული

ანტონ დენიკინი

მთლიანობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, დაითხოვა აფხაზეთის სახალხო საბჭო და დანიშნა ახალი არჩევნები. ცხადია, საქართველოს მთავრობის ასეთი ნაბიჯით უკმაყოფილო დარჩა რუსეთის მოხალისეთა არმიის სარდლობა. ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის მოხალისეთა არმიას შორის სულ უფრო მწვავდებოდა. 1918 წლის დეკემბერში მოხალისეთა არმიის სარდალმა გენერალმა **ანტონ დენიკინმა** ტუაფსეს რაიონში თავი მოუყარა მოხალისეთა არმიის ნაწილებს და აფხაზეთში შემოჭრისათვის მოემზადა. საქართველომ დახმარებისათვის ინგლისის მთავრობას მიმართა. ქართული მხარე მზად იყო **სოჭის** რაიონიდან ჯარები გაეყვანა თუ ინგლისი მისცემდა იმის გარანტიას, რომ იქ რუსეთის მოხალისეთა არმია არ შევიდოდა. მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში ინგლისმა ანტიქართული პოზიცია დაიკავა – საქართველო არ

დაიცვა. როგორც კი სოჭის რაიონი ქართულმა ჯარმა დატოვა, იქ მოხალისეთა არმიის ნაწილები შევიდნენ. ინგლისის ანტიქართული პოზიციით წახალისებულმა დენიკინმა 1919 წლის დამდეგს საბრძოლო ოპერაციები **გაგრის** რაიონში გადმოიტანა. რუსები ცდილობდნენ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციას მდინარე **ბზიფამდე.** საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. 1919 წლის 14 ივნისს პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა **კარლო ჩხეიძემ** წერილით მიმართა კონფერენციის თავმჯდომარესა და დიდ სახელმწიფოებს. კარლო ჩხეიძე დიდი სახელმწიფოების მთავრობებს სთხოვდა, მიეღოთ საჭირო ზომები, რათა მოხალისეთა არმიას პატივი ეცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებისათვის.

1919 წლის გაზაფხულზე საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულ იქნა **აფხაზეთის სახალხო საბჭო (თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი).** 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო აქტი **საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის შესახებ,** რომელიც დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. აფხაზეთს ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლება მიანიჭა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ისახავდა მიზნად **სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო,** რომელიც 1917 წელს შეიქმნა. ოსი სეპარატისტები იმთავითვე დაადგნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან კონფრონტაციის გზას. ისინი რუსეთის დახმარებით აპირებდნენ ისტორიული შიდა ქართლის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) შეერთებას ჩრდილოეთ ოსეთთან, ე. ი. ფაქტობრივად რუსეთთან. ცხადია, ამ გეგმას მხარს უჭერდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ოსი სეპარატისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ოს სეპარატისტთა გამოსვლები, მათ შორის შეიარაღებული გამოსვლებიც, წარმოებდა, ვითომდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. 1918 წელს საქართველოს სახალხო გვარდიამ და ქართულმა ჯარმა შეძლო ოსთა სეპარატისტული ამბოხების ჩახშობა შიდა ქართლში. ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და 1919 წელს იქ დენიკინის მოხალისეთა არმიის შესვლის შემდეგ, ოსი სეპარატისტები დენიკინის დახმარებით აპირებდნენ თავიანთი გეგმების განხორციელებას. ოსი სეპარატისტები ასევე ცდილობდნენ, 1919-1920 წლებში, საქართველოში მყოფი ინგლისის ჯარების სარდლობის ანტიქართული განწყობილების გამოყენებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. შიდა ქართლის ოსთა სეპარატისტულ მოძრაობას 1918-1920 წლებში ფულითა და შეიარაღებით ეხმარებოდა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა.

ოსი სეპარატისტების მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო 1920 წელს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დენიკინის მოხალისეთა არმია დაამარცხა და ამიერკავკასიის საზღვრებს მოუახლოვდა. რუსეთი შეუდგა თავისი ჰეგემონისტური გეგმების განხორციელებას კავკასიაში. 1920 წლის იანვარში რუსეთის კომუნის-

არზაყან ემუხვარი

ტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა რეგიონის მშრომელებს მოუწოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით აჯანყების დაწყებისაკენ. 1920 წლის 15 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა კავკასიის მშრომელთა სახელით თხოვნით მიმართა საბჭოთა რუსეთის მთავრობას. თითქოს კავკასიის მშრომელები დახმარებას ითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. 1920 წლის 23 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთში (ისტორიული შიდა ქართლის ნაწილში) საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) შექმნის შესახებ. 1920 წლის 6 მაისს სამხრეთ ოსეთის რევკომმა, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითების თანახმად, მიიღო დადგენილება ჯერჯერობით მხოლოდ როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. იმავე დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სამხრეთ ოსეთი (ისტორიული შიდა ქართლის ნაწილი) უერთდებოდა რუსეთს, რის შესახებაც საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები.

სამხრეთ ოსეთის რევკომის დადგენილება წარმოადგენდა **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფას.** ცხადია, ოს სეპარატისტთა ასეთი ნაბიჯი წინასწარ იყო შეთანხმებული საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან და პირადად ვლადიმერ ლენინთან. ამ პერიოდისათვის მოსკოვში უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაპყრობის

შესახებ. მზადდებოდა სომხეთისა და საქართველოს დაპყრობა. 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების შემდეგ, რუსეთი იძულებული გახდა დროებით, ხელსაყრელი სიტუაციის შექმნამდე, თავი შეეკავებინა საქართველოს წინააღმდეგ აშკარა სამხედრო აგრესიისაგან. სამაგიეროდ, რუსეთი უარს არ ამბობდა ოსი სეპარატისტების მხარდაჭერაზე. შიდა ქართლში დაწყებული აჯანყების პროცესში ოსმა სეპარატისტებმა მასიურად დახოცეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სახალხო გვარდიის მებრძოლები, გაუსწორდნენ თბილისიდან სხვადასხვა დავალებით ჩასულ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამის საპასუხოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შიდა ქართლში ოს სეპარატისტთა წინააღმდეგ გაგზავნა სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის ნაწილები. მართალია, საბჭოთა რუსეთი აშკარად ვერ ერეოდა შიდა ქართლში დაწყებულ შეიარაღებულ გამოსვლებში, მაგრამ ოსი სეპარატისტები შეიარაღებას ჩრდილო კავკასიაში განლაგებული საბჭოთა რუსეთის ჯარებისაგან (კავკასიის ფრონტისაგან) იღებდნენ. კავკასიის ფრონტის სარდლობა შიდა ქართლში აგზავნიდა სამხედრო სპეციალისტებსა და ინსტრუქტორებს. გარდა ამისა, 1920 წლის 17 მარტს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გამოუგზავნა ნოტა, რომელშიც გამოთქმული იყო შეშფოთება შიდა ქართლში საქართველოს სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის გაგზავნის გამო. ნოტაში ჩიჩერინი აღნიშნავდა, რომ ოსეთს უნდა ჰქონოდა ისეთი ხელისუფლება, როგორიც ოსებს სურდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შიდა ქართლში ოს სეპარატისტთა ამბოხების ჩასახშობად სამხედრო ძალის გაგზავნას რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი სხვის შინაურ საქმეებში ყოვლად გაუმართლებელ ჩარევად მიიჩნევდა. ცხადია, ასეთი ნოტით საბჭოთა რუსეთი ოს სეპარატისთა აშკარა მხარდაჭერას გამოხატავდა. 1920 წლის 28 მაისს ოსმა სეპარატისტებმა მიიღეს ე. წ. „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი". მემორანდუმში, რომელიც მოსკოვში გაიგზავნა, აღნიშნული იყო, რომ ოსეთი (ე. ი. ისტორიული შიდა ქართლი) საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილი იყო. ოს სეპარატისტთა აზრით, სამხრეთ ოსეთი უშუალოდ უნდა შესულიყო რუსეთის შემადგენლობაში, ხოლო რაც შეეხება მთლიანად საქართველოს, იგი რუსეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით. საკითხის ასეთი დაყენება საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციას გამოხატავდა. აშკარა იყო, რომ ოსი სეპარატისტები მოსკოვიდან მილებული მითითებებით მოქმედებდნენ.

საქართველოს სახალხო გვარდიისა და ქართული რეგულარული ჯარის ნაწილებმა 1920 წლის ზაფხულში ჩაახშვეს ოს სეპარატისტთა შეიარაღებული აჯანყება შიდა ქართლში. სამხედრო ოპერაციების უნარიანად წარმართვაში თავი გამოიჩინა **ვალიკო ჯუღელმა.** შიდა ქართლში მთლიანად აღდგა საქართველოს იურისდიქცია. რუსეთმა დროებით უკან დაიხია.

ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ძალზე გართულდა ვითარება **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.** როგორც აღვნიშნეთ, 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბჭოთა რუსეთმა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები თურქეთს დაუთმო. ამიერკავკასიის კომისარიატმა და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ ვერც დიპლომატიური და ვერც სამხედრო საშუალებებით თურქეთის შეჩერება ვერ შეძლო. 1918 წლის 1 აპრილს თურქებმა ბათუმი დაიკავეს. თურქების შეტევის შეჩერება მხოლოდ მდინარე **ჩოლოქზე** გახდა შესაძლებელი. თბილისის მიმართულებით შეტევაზე გადმოსულმა თურქებმა დაიკავეს ტერიტორია თითქმის **ბორჯომამდე.** 1918 წლის 26 მაისისათვის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული. იმხანად საქართველოს თურქეთთან ომის წარმოება არ შეეძლო. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების ძალით სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და თურქეთს შორის გადიოდა მდინარე **ჩოლოქზე, აბასთუმნისა** და **აწყურის** სამხრეთით. ამრიგად, **სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები), ასევე სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, თურქეთმა მიიტაცა.** თურქეთი ამით არ დაკმაყოფილდა. 1918 წლის ივლისში თურქეთის მთავრობამ, ვითომდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების) მოსახლეობის ნების გამოსავლენად, **რეფერენდუმი** ჩაატარა. რეფერენდუმი ჩატარდა იმხანად მიღებული საერთაშორისო ნორმების დარღვევით, დაშინების, შანტაჟისა და გაძლიერებული ანტიქართული აგიტაციის პირობებში. თურქეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ რეფერენდუმის შედეგების მიხედვით ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები თურქეთის შემადგენლობაში რჩებოდა. 1918 წლის ივლისში თურქები შეიჭრნენ **ზაქათალის ოლქში (საინგილოში)** და დაიწყეს აგიტაცია საქართველოდან საინგილოს ჩამოშორების მიზნით.

მემედ-ბეგ აბაშიძე

ამიერკავკასიაში თურქეთის ჰეგემონისტურ მისწრაფებებს ზღვარი დაუდო მისმა მარცხმა პირველ მსოფლიო ომში. 1918 წლის 30 ოქტომბერს ომში დამარცხებულ თურქეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის დაიდო **მუდროსის** დროებითი ზავი. ზავის თანახმად, თურქეთმა დატოვა ამიერკავკასიაში ოკუპირებული ტერიტორიები.

მუდროსის ზავის თანახმად, აჭარაში თურქების ნაცვლად, 1918 წლის დეკემბერში, ინგლისის ჯარები შევიდნენ. ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმი 1920 წლის ივლისამდე გაგრძელდა. როგორც თურქები, ასევე ინგლისელები აჭარაში ძალზე ავიწროებდნენ ქართული ორიენტაციის ძალებს. ამ ძნელბედობის ჟამს ქართული ინტელიგენციის ძალების დარაზმვაში უდიდესი როლი შეასრულა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ **მემედ-ბეგ აბაშიძემ**. ამ დიდ ეროვნულ საქმეში მემედ-ბეგ აბაშიძეს მხარში ედგნენ **ასლან-ბეგ აბაშიძე, ზია-ბეგ აბაშიძე** და მრავალი სხვა პატრიოტი. მემედ-ბეგ აბაშიძის ინიციატივითა და წინამძღოლობით 1919 წლის 31 აგვისტოს, ბათუმში, შედგა ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობამ მოითხოვა აჭარის დედასამშობლოსთან – საქართველოსთან – შეერთება. ეს იყო საერთო-ქართული საქმის დიდი გამარჯვება.

აჭარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციის აღდგენის შემდეგ (1920 წლის ივლისი), ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების გამო, ქართული ორიენ-

გენერალი ასლან-ბეგ აბაშიძე

ტაციის ძალები მაინც არახელსაყრელ პირობებში აგრძელებდნენ მოღვაწეობას. მიუხედავად ამისა, მემედ-ბეგ აბაშიძემ და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს ის, რომ **აჭარა შეუნარჩუნეს დედასამშობლოს.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთლიანობის ხელყოფა სცადა **სომხეთის რესპუბლიკამ.** მოლაპარაკება საზღვრების თაობაზე საქართველოსა და სომხეთს შორის დაიწყო 1918 წლის 18 ოქტომბერს. სომხეთი საქართველოსაგან მოითხოვდა ძირძველი ქართული ტერიტორიების დათმობას როგორც სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთი), ისე ქართლსა (თბილისი, გორი) და აჭარაში (ბათუმი). საქართველოს დელეგაციამ დამაჯერებლად უარყო სომხეთის მოთხოვნები. სომხეთის მთავრობამ დრო იხელთა და როგორც კი მუდროსის ზავის თანახმად თურქეთის ჯარებმა **ლორეს** რაიონი დატოვეს, იქ სომხეთის ჯარი შეიჭრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

გიორგი კვინიტაძე

მთავრობა იძულებული გახდა იარაღის ძალით დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. 1918 წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოსა და სომხეთს შორის შეიარაღებული შეჯახება მოხდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ცდებს, მშვიდობიანი გზით გადაეჭრა სასაზღვრო კონფლიქტი, შედეგი არ მოჰყოლია. 1918 წლის 9 დეკემბერს სომხეთის ჯარები **ბორჩალოს მაზრაში** შეიჭრნენ. ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ ბრძოლებით დაიხია მდინარე **ხრამამდე.** სომხეთის მთავრობა საქართველოს მთავრობისაგან ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდა ტერიტორიის დაცლას თბილისითურთ, ვიდრე გორამდე. 1918 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოიწონა მთავრობის პოზიცია სომხეთის აგრესიის სამხედრო საშუალებებით აღკვეთის შესახებ. 1918 წლის 20 დეკემბერს ქართული რეგულარული ჯარი და სახალხო გვარდია შეტევაზე გადავიდა. სომხეთის ჯარმა დიდი დანაკარგებით უკან დაიხია. სომხეთი დიდი სამხედრო და პოლიტიკური კატასტროფისაგან ინგლისმა იხსნა. ამიერკავკასიაში ინგლისის სამხედრო

სამხედრო აღლუმი სომხეთთან ომში გამარჯვების აღსანიშნავად

მისიის შუამდგომლობის შემდეგ, 1918 წლის 25 დეკემბერს, საქართველოსა და სომხეთს შორის საომარი მოქმედებები შეწყდა. საქართველოსა და სომხეთის ჯარებმა დატოვეს სადავო ტერიტორია. დაიწყო მოლაპარაკება **ნეიტრალური ზონის** შექმნის შესახებ. ამრიგად, სომხეთის მთავრობამ კარგად გამოიყენა ინგლისის მთავრობის ანტიქართული განწყობილება და წაგებული ომის მიუხედავად, სასაზღვრო კონფლიქტი მაინც საქართველოს საზიანოდ გადაწყდა. შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო ანტანტის ნების წინააღმდეგ გამოსვლა და ამიტომაც დათანხმდა ინგლისის სამხედრო მისიის წინადადებას ლორეს ნეიტრალური ზონის შექმნის შესახებ. საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ლორეს ნეიტრალურ ზონაში მორიგეობით უნდა მდგარიყო ქართული და სომხური ჯარი.

თურქეთის აგენტურის ანტიქართული საქმიანობა სამხრეთ საქართველოში (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში) ჯერ კიდევ 1917 წლიდან დაიწყო. 1919 წლის სეპარატისტულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა **სერვერ-ბეგი (ათაბაგი),** რომლის ზურგს უკან თურქეთი და ინგლისი იდგა. სერვერ-ბეგმა შექმნა ე. წ. **„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“** მთავრობა. სერვერ-ბეგის ჯარებმა 1919 წლის დამდეგს დაამარცხეს ქართული ჯარის ნაწილები, რომელთაც ბორჯომისაკენ დაიხიეს. მალე ქართული ჯარი გენერალ **გიორგი კვინიტაძის** სარდლობით შეტევაზე გადავიდა და **ახალციხე** და **ახალქალაქი** გაათავისუფლა. 1919 წლის 20 აპრილს ქართული ჯარი **არტაანში** შევიდა. სერვერ-ბეგის მარცხი დიდი დარტყმა იყო სეპარატისტული ძალებისადმი, რომელთაც ამის შემდეგ მფარველად ამიერკავკასიაში ინგლისის სამხედრო მისია მოევლინა.

ამრიგად, ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ზოგიერთი ტერიტორიული დანაკარგის მიუხედავად, მაინც შეძლო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება.

§3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაზე ბევრად იყო დამოკიდებული ახალგაზრდა სახელმწიფოს ბედი. **საქართველოს მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავდა მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების დაცვას.** ამდენად, ეს პოლიტიკა ორიენტირებული არ ყოფილა რომელიმე კლასზე, იგი მიზნად არ ისახავდა მხოლოდ ერთი რომელიმე კლასის ინტერესების დაცვას. აქედან გამომდინარე, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა **კერძო, სახელმწიფო** და **კოოპერატიული** სექტორების თანაბარ, პროპორციულ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ ძალას სოციალისტები წარმოადგენდნენ, დაუშვებლად იყო მიჩნეული კერძო სექტორის შეზღუდვა ან ლიკვიდაცია სახელმწიფო სექტორის სასარგებლოდ. **ასეთი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გამხდარიყო საფუძველი არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა, არამედ სამოქალაქო მშვიდობისა, რაც თავისთავად განაპირობებდა**

წარმატებას დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქის დაძაბულმა სოციალურმა ვითარებამ და მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, სირთულეებმა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, უაღრესად გაართულა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში იხურებოდა ბევრი საწარმო, სამუშაო ადგილებს კარგავდნენ მუშები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სოციალურ მშვიდობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტმა შექმნა **სალიკვიდაციო კომისია.** კომისიას ევალებოდა, შეესწავლა ცალკეული საწარმოების შეკეთების ან მთლიანად გაჩერების და ამასთან დაკავშირებით მუშათა დათხოვნის მიზეზები. საწარმოების კერძო მფლობელებსა და დამქირავებლებს აეკრძალათ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა სალიკვიდაციო კომისიის თანხმობის გარეშე. მოგვიანებით სალიკვიდაციო კომისიები თბილისის გარდა შეიქმნა სხვა დიდ ქალაქებშიც. როგორც გაირკვა, მძიმე ეკონომიკური კრიზისის პირობებში შეუძლებელი იყო უმუშევრობის თავიდან აცილება ან მისი არსებითი შემცირება.

საქართველოში არსებული სამრეწველო სიმძლავრეების ამოქმედება შინაგან რეზერვებზე დაყრდნობით შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა უცხოური კაპიტალი მოეზიდა. თავდაპირველად აქცენტი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეზე – გერმანიაზე – გაკეთდა. 1918 წლის ზაფხულიდან გერმანული კაპიტალის დახმარებით დაიწყო **ჭიათურის მანგანუმის** ამოღება და ექსპორტი. ქართველ მრეწველთა ინტერესები რომ არ შელახათ, მალე მთავრობის ინიციატივით შეიქმნა **ქართულ-გერმანული სააქციონერო საზოგადოება,** რომელსაც მიეცა ჭიათურის მანგანუმის ექსპორტის მონოპოლიური უფლება 30 წლის ვადით. პირველ მსოფლიო ომში, გერმანიის მარცხის შემდეგ, ქართულ-გერმანულმა სააქციონერო საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა. 1919 წელს ქართველმა მრეწველებმა ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით ჩამოაყალიბეს **ჭიათურის მანგანუმის ახალი სააქციონერო საზოგადოება.** რადგან საქართველოში წიაღისეული მადანი და, კერძოდ, მანგანუმის საწარმოები ნაციონალიზებული იყო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მანგანუმის ექსპორტი **სახელმწიფო მონოპოლიად** გამოაცხადა და ექსპორტის უფლება გადასცა სპეციალურად შექმნილ **„ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოებას“.** საზოგადოებას მოგების 35% სახელმწიფო ბიუჯეტისათვის უნდა გადაეცა. მარტო 1920 წელს მანგანუმის საექსპორტო საზოგადოებამ საზღვარგარეთ 10 მილიონ ფუთზე მეტი მანგანუმი გაიტანა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საზღვარგარეთ მანგანუმზე მოთხოვნილება ძალზე დიდი იყო, რაც იძლეოდა ექსპორტის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას.

1918-1919 წლებში მიმდინარეობდა ქვანახშირის მოპოვება **ტყიბულის** საბადოებში. მოპოვებული ქვანახშირი საშინაო ბაზრისათვის იყო გამიზნული. 1920 წელს ტყიბულის ქვანახშირის მომპოვებელმა სააქციონერო საზოგადოება **„ნახშირმა“** თავი ველარ გაართვა ქვანახშირის მოპოვებაში შექმნილ სიძნელეებს. გამოსავალი მთავრობამ ტყიბულის ქვანახშირის საბადოების **ნაციონალიზაციაში** დაინახა, რაც განხორციელდა კიდეც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა საგარეო ვაჭრობის მოცულობა. შესაბამისად იკლო საგარეო ვაჭრობიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ცხადია, ძნელი იყო ბიუჯეტის შესრულება. დავალიანება სულ უფრო იზრდებოდა. 1918 წლის მაისიდან განვლილ 7 თვეში სახელმწიფო შემოსავალმა შეადგინა 96 მილიონი მანეთი, გასავალმა – 342 მილიონი მანეთი. ამ კრიტიკულ სიტუაციაშიც კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავს იკავებდა საგარეო ვალის აღებისაგან. **ბიუჯეტის დეფიციტი დაიფარა ბონების გამოშვებით.**

საქართველოს ეკონომიკას მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ის გარემოებაც, რომ არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო **უცხოელი კაპიტალისტები ერიდებოდნენ საქართველოს მრეწველობაში კაპიტალის დაბანდებას. რისკზე არ მიდიოდა არც ადგილობრივი ბურჟუაზია.** კერძო კაპიტალის პასიურობის პირობებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დასახა მრეწველობისა და ვაჭრობის გამოცოცხლების გზები. 1920 წელს ჩამოყალიბდა **„საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო“.** მის ფუნქციას შეადგენდა ეკონომიკის განვითარების ახალი ფორმების შემუშავება; სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი სექტორების საქმიანობის კოორდინირება; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთიანი გეგმის შემუშავება; სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება და ბიუჯეტის შედგენის ხელმძღვანელობა.

1919 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ შეადგინა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მონახაზი. 1919 წლის 1 ივნისიდან 1920 წლის 1 ივნისამდე ბიუჯე-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა და გერბი

ტის შემოსავალს უნდა შეედგინა თითქმის 2 მილიარდი მანეთი. ჯერ ბიუჯეტის განხილვა არც კი დადამთავრებულიყო, რომ ინფლაციის მზარდი ტემპის პირობებში შემოსავალ-გასავლის გათვლა არარეალური გახდა. მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ გაუმჯობესეს მდგომარეობა.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება სულ უფრო აუარესებდა ცხოვრების დონეს. კატასტროფულად იზრდებოდა ფასები პირველადი მოხმარების საქონელზე, რასაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ხელფასის ზრდის ტემპი. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ცხოვრების დონის დაცემა შეინიშნებოდა დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა რუსეთში და რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. ცხადია, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრარულ რეფორმას. აგრარული საკითხის მოგვარება ჯერ კიდევ ოზაკომმა სცადა. 1917 წლის 16 მარტს შეიქმნა **ამიერკავკასიის საადგილმამულო კომისია,** რომელსაც დაევალა შეღავათიან პირობებში გლეხ-

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონი

ობისათვის საიჯარო და სახაზინო მიწების გადაცემა, საუფლისწულო მამულების მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია, საძოვრებით სარგებლობის მოწესრიგება, ტყის მასივების დაცვა და სხვ. 1917 წლის 21 ივლისს ოზაკომის დადგენილებით შეიქმნა **საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები,** რომელთაც დაევალათ აგრარული რეფორმის მომზადება. 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ. ამ დეკრეტმა ვერ გადაჭრა აგრარული საკითხი. საჭირო იყო უფრო რადიკალური აგრარული რეფორმა. სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით იქნა შემუშავებული ახალი კანონი, რომელიც ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 7 მარტს დაამტკიცა. კანონის ძალით ყოფილი სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწები, ასევე იურიდიულ და კერძო პირთა მიწები განსაზღვრული ნორმის ზემოთ (7 დესეტინიდან 14 დესეტინამდე) უნდა გადასცემოდა საადგილმამულო კომიტეტებს.

რთული საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში აგრარული რეფორმის გატარება გაჭიანურდა, რასაც მტკივნეულად განიცდიდა გლეხობა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შეუდგა სერიოზული აგრარული რეფორმის გატარებას. აგრარული რეფორმის გატარებას აფერხებდა ბევრი გარემოება. **პირველი.** რეფორმას პირველ რიგში უნდა მოესპო ბატონყმობის გადმონაშთები (საქართველოში ბოლომდე ვერ გატარდა 1912 წლის კანონი დროებით´ვალდებული და სახელმწიფო გლეხებისათვის მიწების გადაცემის შესახებ); **მეორე.** საქართველო მცირემიწიანი ქვეყანა იყო და ძალზე ძნელდებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით გლეხობის დაკმაყოფილება; **მესამე.** აგრარული რეფორმა უნდა გატარებულიყო ისე, რომ მსხვილ მიწათმფლობელებსა (მემამულეებს) და გლეხობას შორის სამოქალაქო ომი არ დაწყებულიყო.

1919 წლის იანვარში საქართველოს პარლამენტმა რესპუბლიკის ფარგლებში არსებული რომანოვების სამეფო გვარის კუთვნილი მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო უმნიშვნელოვანესი კანონი, რომელიც სახელმწიფო საადგილმამულო ფონდებიდან კერძო საკუთრებაში მიწის გაცემას ითვალისწინებდა. კანონში აღნიშნული იყო: „მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა". ამ კანონს **ფერმერული მეურნეობის** აღმავლობისათვის უნდა შეეწყო ხელი. ფერმერული მეურნეობის აღმავლობას უწყობდა ხელს 1919 წლის 28 იან-

ვარს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული მეორე კანონიც, რომელიც ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებდა. კანონის ძალით ის სანადელო მიწები, რომლის კერძო საკუთრებაში დამტკიცება ვერ მოასწრეს ყოფილმა დროებითმა ვალდებულმა და სახელმწიფო გლეხებმა, გამოცხადებულ იქნა გლეხობის კერძო საკუთრებად.

საქართველოში აგრარული რეფორმის გატარებაში დიდი როლი შეასრულეს სამაზრო ერობებმა, რომელთაც დაეკალათ ადგილებზე აგრარული რეფორმის გატარება. აგრარული რეფორმის გატარების პერიოდში ძველ მფლობელებს ჩამოერთვათ და გლეხობას გადაეცა 340 000 დესეტინა მინა. მიწების ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა 2 000 000 დესეტინა ტყე, 756 046 დესეტინა საზაფხულო და საზამთრო საძოვარი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აგრარული პოლიტიკა ისე იყო გააზრებული, რომ იგი აუცილებლად გამოიწვევდა ქვეყანაში ფერმერული მეურნეობის აღმავლობას, რაც ხელს შეუწყობდა საერთო ეკონომიკურ წინსვლას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკით გათვალისწინებული ბევრი ღონისძიება დროის სიმცირის გამო ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, ვერ განხორციელდა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის გეგმა.

§4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით განისაზღვრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრინციპები, კერძოდ: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა" და შემდეგ: „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან." ცხადი გახდა, რომ უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებაში მყოფი ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფო თავის დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამდა არა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის ვინრო გაგებით (მაგალითად, ან რუსეთი, ან დასავლეთი), არამედ საქართველოს, როგორც უაღრესად მგრძნობიარე გეოპოლიტიკური სივრცის დამოუკიდებელი სუბიექტის მომავლის სრული გააზრებითა და პრაგმატული პოლიტიკით.

1. **საქართველოს საკითხი პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციაზე.** მსოფლიო დიდი ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ევროპის ქვეყნებში დაწყებული რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო აფერხებდა და გაურკვეველს ხდიდა საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას. ეს, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის რეგიონზე და, კონკრეტულად, დამოუკიდებელი საქართველოს მდგომარეობაზე. ომის საშიშროება არამცთუ შორდებოდა, არამედ სულ უფრო უახლოვდებოდა საქართველოს და მისი ტერიტორია მონაცვლეობით ხდებოდა დიდ სახელმწიფოთა ფარული თუ აშკარა პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ასპარეზი. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა გერმანიის, ინგლისის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთისა და რუსეთის ინტერესები. 1918 წლის მიწურულიდან კავკასიაში გააქტიურდა ანტანტის სახელმწიფოთა პოლიტიკა. კავკასიის ახლებურად მოწყობის პრინციპთა შემუშავებისას კი გამოიკვეთა ინგლისის ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა: ერთი მხრივ, ანტანტა მხარს უჭერდა დენიკინის ბრძოლას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ „ერთიანი და განუყოფელი" რუსეთის აღსადგენად, მეორე მხრივ კი, ხელს უწყობდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ხელისუფალთა ოფიციალურ თხოვნას – განემტკიცებინა პოზიციები კავკასიაში. ინგლისს სურდა გაყოფილიყო გავლენის სფეროები საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის და კავკასიის რეგიონში დამყარებულიყო ინგლისის პროტექტორატი. ცოტა მოგვიანებით ლოიდ ჯორჯმა საქართველო საიდუმლოდ დაუთმო იტალიას. იტალიის პრემიერი ორლანდო თავგამოდებით იცავდა საქართველოში ჯარების გაგზავნის გეგმას, მაგრამ მრავალ გარემოებათა გამო, იტალიამ ვერ მიიღო ეს უფლება. ამავე მიმართულებით აქტიურად იღვწოდა ამერიკის შეერთებული შტატებიც. **მაშინდელი დიდი პოლიტიკის ფარული დეტალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ძირითადად (თუ მთლიანად არა) უცნობი იყო და მისი ყურადღებაც იმედის თვალით იყო მიპყრობილი პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციისაკენ, რომელიც მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში ძალთა და ინტერესთა ახალი გადანაწილების ამ ეტაპზე განმსაზღვრელ როლს თამაშობდა. პარიზში უნდა დასმოდა წერტილი პირველ მსოფლიო ომს, საფუძველი უნდა ჩაჰყროდა საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის უნივერსალურ ორგანიზაციას – ერთა ლიგას, უნდა გადანაწილებულიყო გავლენის სფეროები მსოფლიოში, უნდა დადგენილიყო მსოფლიოს ახალი წესრიგის შეთანხმებული პრინციპები, უნდა ჩამოყალიბებულიყო მსოფლიო ახალი პოლიტიკური რუკა.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ პარიზში ოფიციალური დელეგაცია მია-

ვლინა **კარლო ჩხეიძის** მეთაურობით. სამთავრობო წარმომადგენლობითმა დელეგაციამ ევროპაში 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე დაყო. 1919 წლის 14 მარტს პარიზის (ვერსალის) კონფერენციას საქართველოს დელეგაციამ გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დასაბუთებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების თხოვნა საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარების შესახებ.

ევროპის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები: ჟორჟ კლემანსო, მარშალი ფოში, ჟიულ კამბონი, გენერალი ბერტელო (საფრანგეთი), ლოიდ ჯორჯი, ლორდი კერზონი, უინსტონ სპენსერ ჩერჩილი, გენერალი ჰენრი ვილსონი (ინგლისი), ფრანჩესკო ნიტი, სკიალოჯა (იტალია) და სხვანი დიდხანს განიხილავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარების შესაძლებლობის საკითხს. ერთდროულად და კომპლექსურად აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი, მაგრამ წინააღმდეგობრივი საკითხი განიხილებოდა.

ევროპისათვის ყველაზე საინტერესო იყო ერთადერთი სტრატეგიული საკითხი, კერძოდ, საკითხი საქართველოს, როგორც ბუნებრივი გეოგრაფიული დერეფნისა, ანუ მისი სატრანზიტო ფუნქციისა. კონფერენციის სამუშაო ჯგუფებში თავი მოიყარეს სხვადასხვა ევროპული მისიის მოხსენებითმა ბარათებმა. სხვადასხვა ვარიაციით ევროპის ქვეყნების პოზიცია შემდეგი შინაარსისა იყო: ამიერკავკასია მისი გეოგრაფიული მდებარეობით მზადაა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისათვის იყოს გზა ევროპას, ცენტრალურ და წინა აზიას შორის. ამ თვალსაზრისით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია დიდი მისია შეასრულოს. **კონფერენციის დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად საქართველოს არც ისე დიდი ტერიტორიისა, მისი ეკონომიკური რესურსები მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობა, მდიდარი ტყეები, მადნეულები, წყლის უხვი ენერგია, ხელსაყრელი კლიმატი. ნავსადგურები – ფოთი და ბათუმი შავ ზღვას აკავშირებენ ევროპასთან, სპარსეთსა და ცენტრალურ აზიასთან.** მაგრამ აღნიშნულ სტრატეგიულ ინტერესებთან ერთად განიხილებოდა სხვაც, არანაკლებ მთავარი და ევროპის მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ არანაკლებ ანგარიშგასაწევი საკითხი. კერძოდ: ა) საბჭოთა რუსეთის რეალური ინტერესები ამიერკავკასიაში და ინტერესთა და ძალთა თანაფარდობა ამ მიმართულებით; ბ) კავკასიის ქვეყნების არასტაბილური ვითარება. ეს ორი ფაქტორი აიძულებდა ევროპის სახელმწიფოებს თავი შეეკავებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისაგან.



ნიკო ნიკოლაძე

ევგენი გეგეჭკორი

არსებული ურთულესი საერთაშორისო რეალიების გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრება კიდევ უფრო პრიორიტეტულს ხდიდა საგარეო პოლიტიკას და აფართოებდა ოფიციალურ სამთავრობო წარმომადგენლობით დელეგაციებს ევროპაში. 1918 წელს **აკაკი ჩხენკელი** ბერლინში გაემგზავრა **ნიკო ნიკოლაძისა** და **ზურაბ ავალიშვილის** თანხლებით. 1920 წლის სექტემბრიდან ოფიციალურ სამუშაო ვიზიტად **ევგენი გეგეჭკორიც** გაემგზავრა ევროპაში.

2. ევროპელ სოციალისტთა დელეგაცია საქართველოში. საქართველოს საერთაშორისო აღიარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ ევროპის სოციალისტთა დელეგაციის სტუმრობას 1920 წლის სექტემბერში. იმხანად განსაკუთრებული მნიშვნელობა სტუმართა პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივ მიმართულებასა და პარტიულ კუთვნილებას კი არ ენიჭებოდა, არამედ უფრო მთავარს – დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების პროდასავლურ ორიენტაციასა და საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლას. დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები: **კარლ კაუცკი, რამზეი მაკდონალდი, ტომას შოუ, სნოუდენი, პიერ რენოდელი, ემილ ვანდერველდე, ჰიუსმანსი, დე ბრიუკერი** და სხვანი.

1920 წლის 15 სექტემბერს ევროპელთა დელეგაციას შეხვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და გაიმართა დამფუძნებელი

დასავლეთ ევროპის სოციალისტთა დელეგაციის ვიზიტი საქართველოში (1920 წ.)

კრების საგანგებო სხდომა სტუმართა მონაწილეობით.

ევროპელ სოციალისტთა ვიზიტი საქართველოში მაშინდელი ქართული პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ეს ის დრო იყო, როდესაც ევროპაში წარგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია უაღრესად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველოს საერთაშორისო აღიარების მოპოვების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, ამ დროს უკვე გავრცელებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის **ბეინბრიჯ ქოლბის** ოფიციალური ნოტა, რომელშიც უარყოფილი იყო საქართველოს ეროვნული სუვერენული უფლებები და საბჭოთა რუსეთს სრულ „კარტ-ბლანშს" აძლევდა, რათა რომანოვების იმპერიის საზღვრებში აღედგინა თავისი უფლებამოსილება.

აღსანიშნავია, რომ ევროპელი სოციალისტების დელეგაციის ვიზიტი საქართველოში სახელისუფლო წრეებისათვის მხოლოდ ქვეყნის შიგნით კამპანიურ პოლიტიკურ მბარდაჭერას არ ნიშნავდა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე, სხვადასხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით, სწორედ ევროპელმა სოციალისტებმა გააცნეს ფართოდ ევროპას საქართველოს ისტორია, კულტურა და ტრადიციები, მისი იმჟამინდელი პოლიტიკური სტრუქტურა, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა. ეს არ იყო მარტო პროპაგანდა. ევროპელი სოციალისტები აქტიურად განაგრძობდნენ მუშაობას ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა მთავრობებსა და პარლამენტებთან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მიზნით. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი დაისვა სოციალისტური ინტერნაციონალისა და დემოკრატიული მოძრაობების სხვადასხვა საერთაშორისო თავყრილობებზე.

3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო აღიარება. ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე-ფაქტო დასტური მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, თურქეთი იყო (1918 წლის 3 ივნისი). თურქეთმა თავისი პოლიტიკური განზრახვა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარებითაც დაადასტურა. შემდგომი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო დეფაქტო აღიარა, გერმანია იყო (1918 წლის 10 ივნისი). 1918 წლის 28 მაისს კი ფოთში საქართველოსა და გერმანიის მთავრობის მანდატით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეთანხმებას. 1919 წლის მარტში გერმანელთა სამხედრო მისიამ საქართველო დატოვა. ისტორიულად ამ მოკლე ვადაშიც კი საინტერესო ეტაპი შეიქმნა საქართველო-გერმანიის ურთიერთობების ისტორიაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარების საკითხის განხილვისას სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო დელეგაციები, გამოკვეთილად კი ინგლისი, პირდაპირ მიანიშნებდა საქართველოს უმძიმეს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე და სრულიად გაურკვეველ სამართლებრივ ურთიერთობაზე ყოფილ მეტროპოლიასთან და ამჯერად მეზობელ რუსეთთან. **ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, თუ საქართველოს მტრული დამოკიდებულება ექნება რუსეთთან, ინგლისი ვერ ცნობდა საქართველოს.**

1920 წლის 7 მაისს გაფორმდა ცნობილი ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის. ამ სამართლებრივი აქტით რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტო და იქვე აღიარა იგი საერთაშორისო სამართალსუბიექტადაც. **რუსეთმა ხელშეკრულების ძალით უარი თქვა თავის ყველა უფლებაზე საქართველოს მიმართ. რუსეთი ვალდებულებას იღებდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო საქმეებში.** ხელშეკრულებას მოჰყვა დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება და ორ ქვეყანას შორის ელჩების გაცვლა. 1920 წლის 14 ნოემბერს საქართველოსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა კიდევ ერთ ხელშეკრულებას – „სატრანზიტო და სავაჭრო ურთიერთობების შესახებ". ეს ფაქტი ევროპის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა.

1920 წლის 12 იანვარს ვერსალის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო აღიარების შესახებ. ეს იყო სერიოზული საერთაშორისო წარმატება საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

ვლადიმერ ახმეტელაშვილი

სულ, საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტო ცნეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: თურქეთი (1918 წლის 3 ივნისი), არგენტინა (1919 წლის 15 სექტემბერი), იტალია (1920 წლის 12 იანვარი), საფრანგეთი (1920 წლის 12 იანვარი), დიდი ბრიტანეთი (1920 წლის 12 იანვარი), იაპონია (1920 წლის 7 თებერვალი), ბელგია (1920 წლის 26 აგვისტო), რუსეთი (1920 წლის 7 მაისი), გერმანია (1918 წლის 10 ივნისი), ავსტრია (1918 წლის 18 ივნისი), ჩეხოსლოვაკია (1920 წლის 8 აპრილი), პოლონეთი (1921 წლის 28 იანვარი).

4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარება. საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის შესახებ 1920 წლის დეკემბერში პირველად საფრანგეთმა აღძრა ვერსალის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა წინაშე. ინგლისმა და იტალიამ საკითხის გადადება მოითხოვეს, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკითხის განხილვა პრაქტიკულად უარყო. 1921 წლის იანვრის დასაწყისში საფრანგეთმა კვლავ დააყენა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარების შესახებ. მიუხედავად აზრთა ადრინდელი დაპირისპირებისა და მწვავე წინააღმდეგობისა, 1921 წლის 24 იანვარს წინადადება მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა თათბირზე განიხილეს. **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარება გადაწყდა 1921 წლის 26 იანვარს.** გადაწყვეტილების ოფიციალური დასტური კი 1921 წლის 27 იანვარს ეცნობა იმჟამად პარიზში მყოფ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორსა და საქართველოს მთავრობას.

სვიმონ მდივანი

სულ საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო დე-იურე აღიარეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: თურქეთი (3 ივნისი, 1918 წელი), რუსეთი (7 მაისი, 1920 წელი), გერმანია (24 სექტემბერი, 1920 წელი), შვეიცარია (1920 წელი), ბელგია (27 იანვარი, 1921 წელი), საფრანგეთი (27 იანვარი, 1921 წელი), ინგლისი (27 იანვარი, 1921 წელი), იტალია (27 იანვარი, 1921 წელი), იაპონია (27 იანვარი, 1921 წელი), ავსტრია (17 თებერვალი, 1921 წელი), რუმინეთი (18 თებერვალი, 1921 წელი), ლუქსემბურგი (23 თებერვალი, 1922 წელი), ჰაიტი (9 მარტი, 1921 წელი), ლიბერია (28 მარტი, 1921 წელი), მექსიკა (14 აპრილი, 1921 წელი), პანამა (26 აგვისტო, 1921 წელი), სიამი (20 ნოემბერი, 1921 წელი).

მაშასადამე, 1918-1921 წლების მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტობრივად და იურიდიულად აღიარა მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ.

ზურაბ ავალიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა სხვადასხვა ქვეყნებთან. 1918-1921 წლებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ჰყავდა შემდეგ ქვეყნებში: **აკაკი ჩხენკელი** – საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში); **ვლადიმერ ახმეტელაშვილი** – საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში; **ალექსანდრე სუმბათაშვილი** – დიპლომატიური წარმომადგენელი შვეიცარიაში; **სიდამონ ერისთავი** – საქართველოს ელჩი პოლონეთში; **გაბრიელ ხუნდაძე** – საქართველოს ელჩი რუსეთში, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში; **გრიგოლ ალშიბაია** – საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში; **სვიმონ მდივანი** – საქართველოს დროებითი რწმუნებული სომხეთში 1918 წლის დეკემბრის შუახანებამდე, ხოლო 1921 წლიდან – ელჩი თურქეთში; **გერასიმე მახარაძე** – საქართველოს სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი რუსეთში 1920 წლის ოქტომბრიდან; **მიხეილ წერეთელი** – დიპლომატიური წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში; **დავით ღამბაშიძე** – საქართველოს წარმომადგენელი

ამერიკაში; **ვიქტორ თევზაია** – საქართველოს ელჩი უკრაინის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წლამდე; **ივანე როსტომაშვილი** – საქართველოს მთავრობის დროებითი რწმუნებული შორეულ აღმოსავლეთსა და იაპონიაში; **ზურაბ ავალიშვილი** – საქართველოს წარმომადგენელი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამთავრობო დელეგაციების მუდმივი წევრი ევროპაში.

გარდა ამისა, საქართველოს, საერთაშორისო სამართლის აქტებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა სამეურნეო და სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად, საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით გახსნილი ჰქონდა საკონსულოები, რომელთაგან ზოგიერთი (მაგალითად, რომში) დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციასაც ასრულებდა.

საქართველოს საკონსულოების სისტემაში კონსულების ოთხივე კლასი მოქმედებდა. გენერალური საკონსულოები მოქმედებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში – **ვლადიკავკაზსა** და **სტავროპოლში**, ასევე **ოდესასა** და **ბაქოში**; საკონსულოები – **ხარკოვში, ეკატერინოდარში (კრასნოდარში), ერევანში, პეტროგრადში, კონსტანტინოპოლსა** და **რომში**; ვიცე-კონსულები – **არმავირში, ნოვოროსიისკში**; საკონსულო აგენტები კი **აღსტაფასა (შემდგომ განჯაში)** და **ალექსანდროპოლში.**

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსულების მოვალეობას ასრულებდნენ: **ე. უშვერაძე** – გენერალური კონსული ოდესაში; **ლევან თუმანიშვილი** – გენერალური კონსული ბაქოში; **ალექსანდრე ჩერქეზიშვილი** – კონსული პეტროგრადში; **ირ. ფანჩულიძე** – გენერალური კონსული ვლადიკავკაზში; **ს. პაიჭაძე** – გენერალური კონსული სტავროპოლში და სხვ.

5. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ აღიარებული სამხედრო ნეიტრალიტეტისა და გამოკვეთილი პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში გამოიკვეთა როგორც ევროპის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში.

1918 წლის 14 დეკემბერს ბათუმს ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წარმომადგენელი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, საერთაშორისო სამართლის დოქტორი **ჯედსონი** ეწვია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს **დიომიდე თოფურიძეს** შეხვდა. ამ ნახევრადოფიციალური შეხვედრის განსჯის თემას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები და საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტება; მეორე მხრივ, მსოფლიო ახალი წესრიგისა და დიდ სახელმწიფოთა შორის მსოფლიოს ახალი გადანაწილების პრინციპები და ყოფილი კოლონიების შესაძლო პერსპექტივები.

1919 წლის მარტის შუა რიცხვებში მორიგი ამერიკული მისია ეწვია საქართველოს **სმიტისა** და **მურის** შემადგენლობით. ამჯერად, ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგენი გეგეჭკორი** და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე რამიშვილი** წარმოადგენდნენ. წინამორბედისაგან განსხვავებით, ამერიკელ დიპლომატთა საუბარი კიდევ უფრო კონკრეტული იყო. კერძოდ, **ამერიკელები საქართველოს მთავრობის წევრებს ყოველგვარი შეფარვის გარეშე მიუთითებდნენ ამიერკავკასიის ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის შექმნის აუცილებლობაზე და მასზე ინგლისის ან ამერიკის შეერთებული შტატების პროტექტორატის ტიპის მანდატის აღების გარდუვალობაზე.** ამერიკელ დიპლომატთა ამ წინადადებას ქართული მხარე არც მთლად სკეპტიკურად, მაგრამ დიდი სიფრთხილით შეხვდა.

1919 წლის 2 ოქტომბერს ვუდრო ვილსონის ადმინისტრაციამ მორიგი დელეგაცია აწვია თბილისს გენერალ **ჯეიმს ჰარბორდის** ხელმძღვანელობით. ეს უკვე ამერიკის მეორე ოფიციალური ექსპედიცია იყო, რომელიც ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში მოგზაურობდა. ექსპედიციის შედეგები და დასკვნები კი პრეზიდენტ ვილსონს განსახილველად და დასამტკიცებლად კონგრესისათვის უნდა წარედგინა. ამ პერიოდში ცხადი გახდა, რომ ერთადერთი რეალური ძალა, ვისაც უნარი შესწევდა ინგლისი შეეცვალა ამიერკავკასიაში, ამერიკის შეერთებული შტატები იყო. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა მას შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ იტალიის ახალი მთავრობა უარს ამბობდა საქართველოსა და აზერბაიჯანის მანდატზე და მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად კავკასიაში ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელი დაინიშნა. **ვუდრო ვილსონი, სომხეთზე დაყრდნობით, რეგიონის მანდატის აღების ჭეშმარიტი ენთუზიასტი იყო, მაგრამ ამის განხორციელება არც მთლად იოლი გამოდგა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების წინააღმდეგ სენატსა და კონგრესში საკმაოდ სერიოზული ოპოზიცია ჩამოყალიბდა და პრეზიდენტ ვილსონის ყოველი მცდელობა ამ მიმართულებით მარცხით დასრულდა.**

1920 წლის 10 თებერვალს პარიზის (ვერსალის) კონფერენციაზე წარგზავნილმა საქართველოსა და აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციის მეთაურებმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საფრანგეთში გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკა – საქართველო და აზერბაიჯანი – მოკავშირე სახელმ-

წიფოებმა, ანუ ანტანტის უმაღლესი საბჭოს სამმა წევრმა – საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ, აგრეთვე ბელგიამ და იაპონიამ, აღიარეს დე-ფაქტო (1920 წლის 12 იანვარი), ხოლო უფრო გვიან საბჭოთა რუსეთმა ცნო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ეს აღიარება კი აქამდე არ დადასტურებულა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. 1920 წლის 10 აგვისტოს მთელს ევროპაში გავრცელდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ ქოლბის ნოტა იტალიის მთავრობისადმი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად უარყოფილი იყო პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს მისწრაფების კანონიერება. კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა მოეწონებინა მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება „ეგრეთ წოდებული" რესპუბლიკების – საქართველოსა და სომხეთის ცნობის შესახებ და შესაბამისი ინსტრუქცია მისცა თავის წარმომადგენელს სამხრეთ რუსეთში. ამას, ბუნებრივია, ქართული მხარის ოფიციალური პროტესტი მოჰყვა.

ცხადია, მსოფლიო დიდი პოლიტიკური თამაშის წესებსა და მსოფლიოს გადანაწილების პრინციპებს დიდი სახელმწიფოები ადგენდნენ, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ქართულმა დიპლომატიამ 1918-1921 წლებში სწორედ ვერ განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების როლი და ვერ შეძლო გაეცნო პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ადმინისტრაციისათვის საქართველოს რეალობა და ისტორიული ფუნქცია. ყოველივე ეს იმდროინდელი ქართული დიპლომატიის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ერთა ლიგა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა წამოაყენა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის იდეა. ეს ორგანიზაცია მოწოდებული იქნებოდა განემტკიცებინა სახელმწიფოებს შორის მშვიდობა, დაემყარებინა მათ შორის კეთილმეგობრული დამოკიდებულება და ყველა დავა-კონფლიქტი გადაეჭრა მოლაპარაკებათა გზით. იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა. ომის დასრულებამ კიდევ უფრო დააჩქარა ამ მიმართულებით მოღვაწეობა. ერთგვარი პოლიტიკური დამაჩქარებლის როლი უდავოდ შეასრულა რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ მისი მოსალოდნელი უმძიმესი შედეგებით. 1919 წლის 28 აპრილს ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში პარიზის კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს საბოლოო შეთანხმებას **ერთა ლიგის** დაფუძნების შესახებ და დაამტკიცეს მისი წესდება.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პოლიტიკური გეზი ახლად შექმნილი საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციისაკენ აიღო. ევროპაში წარგზავნილმა საქართველოს დელეგაციამ 1919 წლის 21 მაისს საქართველოს მთავრობის სახელით მიმართა ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს და საერთო კრებას. 1920 წლის 1 სექტემბერს **კარლო ჩხეიძემ** სპეციალური მემორანდუმით კვლავ გაიმეორა საქართველოს მთავრობის თხოვნა ერთა ლიგის წევრად საქართველოს მიღების შესახებ. ერთა ლიგაში მიღების შესახებ თხოვნა გაიმეორა 1920 წლის სექტემბერში დასავლეთ ევროპაში საგანგებოდ მივლინებულმა საქართველოს კიდევ ერთმა სამთავრობო დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრის **ევგენი გეგეჭკორის** მეთაურობით. ერთა ლიგისადმი ევგენი გეგეჭკორის მემორანდუმი უფრო არგუმენტირებული იყო. 1919 წლის 7 დეკემბერს საქართველოში შეიქმნა **ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია,** რომელიც საგანგებო მანდატით აღჭურვილ პირთა მეშვეობით პირდაპირ ურთიერთობას ამყარებდა ერთა ლიგის სხვადასხვა მოქმედ სტრუქტურებთან. ერთა ლიგის ქართული ასოციაციის ძალისხმევით 1920 წლის 12-16 ოქტომბერს **მილანში** გამართულ **ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციების მეოთხე კონგრესზე** საქართველოს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. კონგრესზე ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია ერთხმად იქნა მიღებული ერთა ლიგის მსოფლიო ასოციაციის წევრად. ამ პოლიტიკური წარმატების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კიდევ უფრო გააქტიურა მოღვაწეობა ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრობის მოსაპოვებლად.

1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში მუშაობა დაიწყო ერთა ლიგის პირველმა სესიამ. დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო რიგ სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს, გაერთიანება ლიგაში. ეს საკითხი დაევალა მეხუთე განსაკუთრებულ კომისიას 36 წევრის შემადგენლობით. კომისია მუშაობდა ჩილელი დელეგატის **ანტონიო ჰონელუსის** თავმჯდომარეობით. კომისიამ წარმოადგინა ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა გაწევრიანების საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები. საქართველოს საკითხი, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასა და კოსტა-რიკასთან ერთად, განსახილველად მესამე ქვეკომისიას გადაეცა. მკაცრი განხილვის შედეგად, მეხუთე განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა ერთა ლიგაში, ბალტიის სახელმწიფოებთან ერთად, საქართველოს მიღების საკითხი 1920 წლის 16 დეკემბრამდე გადაედო. ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას ხმას აძლევდა 24 სახელმწიფო, არჩევისათვის კი საჭირო იყო მხოლოდ 16 დელეგატის ხმა. **საქართველოს სასარგებლოდ ხმა მისცეს:** სამხრეთ

აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ; **წინააღმდეგი გამოვიდნენ:** ავსტრალია, კანადა, კუბა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, ზელანდია, ნიდერლანდები, ჩეხოსლოვაკია, დანია; **თავი შეიკავეს:** ბელგიამ, პოლონეთმა, შვეციამ, რუმინეთმა. მაშასადამე, 1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის წევრად საქართველოს მიღებას ხმა მისცა ათმა სახელმწიფომ. **საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა.** თავშეკავების ძირითად მიზეზად კი ერთა ლიგის წესდების მეათე მუხლი სახელდებოდა, რომლის თანახმადაც ლიგას მეტად გაუძნელდებოდა ახალი წევრების ტერიტორიების თავდასხმისაგან დაცვა და მათი საერთაშორისო უფლებების უზრუნველყოფა.

ამრიგად, საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ გახდა საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

§5. ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები საქართველოში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მტრულად შეხვდა საბჭოთა რუსეთი. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პირობებში რუსეთს არ შეეძლო 1918-1920 წლებში საქართველოს საშინაო საქმეებში უშუალოდ ჩარევა. სწორედ ამიტომ **მოსკოვი შეუდგა საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის ორგანიზებასა და მის ამოქმედებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. რუსეთის მეხუთე კოლონის ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ ქართველი ბოლშევიკები. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად იყენებდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს, საქართველოში მცხოვრებ რუსი და სომეხი ეროვნების მოსახლეობას.** საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის საქმიანობას კონტროლს უწევდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტი (შეიქმნა 1917 წლის ოქტომბერში), ხოლო შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო (შეიქმნა 1920 წლის აპრილში). სამხარეო კომიტეტისა და კავკასიის ბიუროს ანტიქართულ მოღვაწეობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ **ფილიპე მახარაძე, სერგეი კიროვი, სტეფანე შაუმიანი, სერგო ორჯონიკიძე** და სხვ. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს საქმიანობა უშუალოდ **ვლადიმერ ლენინთან** ან **იოსებ სტალინთან** თანხმდებოდა.

საქართველოს დემოკრატიული **რესპუბლიკის** წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას **დიდი** ინტენსივობით აწარმოებდა თავისი ანტიქართული განწყობილებით ცნობილი **ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო,** რომლის ცენტრალური მმართველობა თბილისში იმყოფებოდა. ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს ანტიქართულ მოღვაწეობაში დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს, განსაკუთრებით, თბილისის **რუსი სამღვდელოება.** ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ფილიალებს წარმოადგენდა ასევე თავისი ანტიქართული საქმიანობით ცნობილი **ბათუმისა და სოხუმის რუსთა ეროვნული საბჭოები.** ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა ყველა ანტიქართულ ძალასთან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ პირველი სერიოზული ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლის ორგანიზება საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის ზაფხულში შეძლო **დუშეთის მაზრაში.** აქ შეიარაღებული გამოსვლა ერთობლივად დაგეგმეს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და რუსეთის კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ. რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობამ დუშეთის მაზრაში შემოგზავნა სამხედრო ინ-

სტეფანე შაუმიანი

სტრუქტორები, შემოტანილ იქნა დიდი რაოდენობით იარაღი (შაშხანები და ტყვიამფრქვევები). ქართველმა ბოლშევიკებმა დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფელში მიიმხრეს გლეხობის (ძირითადად, პირველი მსოფლიო ომის ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარისკაცების) ნაწილი. ბოლშევიკებმა ასევე მიიმხრეს დუშეთის მაზრის ოსი და სომეხი მოსახლეობა. აჯანყებულებმა რამდენიმე სოფელში დახოცეს სოფლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და გვარდიელები. აჯანყების დაწყების მომენტისათვის დუშეთის მაზრაში ქართული რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ძალზე მცირე ძალები იმყოფებოდა. ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და მათმა შეიარაღებულმა რაზმებმა და დუშეთი დაიკავეს. **1918 წლის 25 ივნისს დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.** ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ხეობით დუშეთისაკენ დაიძრა სპეციალურად მომზადებული რაზმი ბოლშევიკ საშა


საქართველოს დაპყრობა
საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს
პირობითი აღნიშვნები
საქართველოს დროებითი რესპუბლიკის საზღვარი აღიარებული ერთა ლიგის მიერ 1918 წელს
საქართველოს ოთხმეზობელი საზღვარი
მეზობელი ქვეყნების საზღვარი
დედაქალაქი
დასახლებული პუნქტი
ლორეს ნეიტრალური რაიონი
საბჭოთა რუსეთის არმიების შემოჭრა 1921 წლის თებერვალში
სოჩოდან ქუთაისამდე ტფილისზე
ახალციხიდან ბორჯომამდე ტფილისზე
სოჩის შორიდან ფოთზე
ჩრდილოეთ კავკასიიდან მცხეთის ჯვარედინზე ქუთაისზე
საქართველოს მიერაღის წასვლა ეზოერეკაში 1921 წლის 17 მარტს ბათუმიდან
© M.Shekiladze, 2003

სახალხო გვარდიის
ყრილობის მონაწილენი
(1920 წ.)

გეგეჭკორის მეთაურობით. მზადყოფნაში იყო **რუსეთის კავკასიის არმია,** რომელიც დარიალის ხეობით, აჯანყებულთა დახმარების საბაბით, დუშეთში უნდა შემოჭრილიყო, ხოლო შემდეგ თბილისი დაეკავებინა. თბილისის დაკავებისთანავე მთელ საქართველოში საბჭოთა წყობილება გამოცხადდებოდა. საბჭოთა რუსეთის გეგმები ჩაშალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ენერგიულმა მოქმედებამ. **ქართული რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად აჯანყებულთა რაზმები გაიფანტნენ და საბოლოოდ ჩრდილო კავკასიას შეაფარეს თავი. სასტიკად დამარცხებულ და უკუგდებულ იქნა საშა გეგეჭკორის რაზმი.**

1919 წლის დამდეგიდან რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი შეუდგა საქართველოში ახალი აჯანყების ორგანიზებას. აჯანყებისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა 1919 წლის ივლის-აგვისტოში. ქართველი ბოლშევიკები გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდნენ არმიიდან დემობილიზებულ გლეხობაში, ასევე არაქართულ მოსახლეობაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადამჭრელი ზომებით აჯანყება საწყის ეტაპზე აღკვეთა. 1919 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი, თუმცა ქართველმა ბოლშევიკებმა საქართველოს სხვადასხვა რაიონში მაინც მოახერხეს შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა. შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა **ლაგოდეხში. სიღნაღში, ფოთში, გორში, სენაკში, სამტრედიაში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ახალქალაქში.** ბოლშევიკები ცდილობდნენ მათ მიერ პროვოცირებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლად გამოეცხადებინათ. ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს შეიარაღებული აჯანყებისათვის საყოველთაო ხასიათის მიცემა. ლოკალური აჯანყებების ლიკვიდაცია საქართველოს მთავრობას არ გასჭირვებია.

1920 წელს ქართველმა ბოლშევიკებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითების თანახმად, მათ აქცენტი გლეხობიდან მუშათა კლასზე გადაიტანეს. საქართველოს მუშათა კლასის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას უჭერდა მხარს, რის გამოც ბოლშევიკებმა მუშების დარაზმვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ ვერ შეძლეს.

ქართველმა ბოლშევიკებმა ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა კიდევ უფრო გააძლიერეს საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადების შემდეგ. ხელშეკრულების ძალით საქართველოში ბოლშევიკების საქმიანობა ლეგალური გახდა. სწორედ ამ პერიოდიდან ახალი ძალით გაიშალა საქართველოში რუსეთის მეხუთე კოლონის ორგანიზება. 1920 წლის ბოლოსათვის რუსეთის მეხუთე კოლონა საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენდა.

§6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ

სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა დაიწყო მზადება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების დასაპყრობად. იმთავითვე გადაწყდა, რომ აშკარა აგრესია შენიღბულიყო, ვითომდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. 1920 წლის მარტში ვლადიმერ ლენინმა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების)

ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელს სერგო ორჯონიკიძეს ბაქოს აღება დაუსახა მიზნად. 1920 წლის აპრილის დამლევს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაიპყრო და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. **აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, პირადად სერგო ორჯონიკიძე და მე-11 წითელი არმიის სარდლობა შესაძლებლად მიიჩნევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობასაც.** საჭირო იყო საბაბი საქართველოში შეჭრისათვის. ასეთ საბაბად იქცა 1920 წლის 1-2 მაისს ღამით ქართველი ბოლშევიკების მიერ მოწყობილი შეიარაღებული თავდასხმა იუნკერთა სამხედრო სასწავლებელზე თბილისში. 2 მაისს აზერბაიჯანში დაბანაკებულმა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი გადმოლახა და თბილისისაკენ დაიძრა. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და მე-11 წითელი არმიის სარდლობა თბილისის აღებას 15 მაისისათვის ვარაუდობდა. ამის შესახებ ორჯონიკიძემ აცნობა კიდეც მოსკოვს. საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული აგრესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ფაქტობრივად 2 მაისს დაიწყო. ეს აგრესია საქართველო-რუსეთის ფართომასშტაბიან ომში იმხანად იმიტომ არ გადაიზარდა, რომ მოსკოვში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და 1920 წლის 7 მაისს ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულებაც დაიდო. საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დაპყრობის საკითხიც გარკვეული ხნით გადაიდო.

საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმებზე, ცხადია, ხელს არ იღებდა. აზერბაიჯანის შემდეგ 1920 წლის ნოემბერში მე-11 წითელმა არმიამ სომხეთის რესპუბლიკა დაიპყრო. საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშო გახდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მომზადებასთან ერთად საბჭოთა რუსეთის დიპლომატია დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის მიზნით. ლენინს სურდა, გამოერიცხა საქართველოსთან ომის შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ თურქეთისა და ანტანტის გამოსვლის შესაძლებლობა. რუსეთის დიპლომატიამ ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. 1920 წელი აღინიშნა რუსეთისა და თურქეთის დაახლოებით. თურქეთს რუსეთი ესაჭიროებოდა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე ანტანტის წინააღმდეგ. **მოკავშირეობის საფასურად რუსეთმა თურქეთს ამიერკავკასიის დათმობა მოსთხოვა, რაზეც თურქეთი დათანხმდა კიდეც. შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ანტანტის ქვეყნებმა ინგლისის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება, წინ არ აღდგომოდნენ საბჭოთა რუსეთის აგრესიას საქართველოში.** ამ პერიოდისათვის ინგლისი დაადგა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გზას. პირველი მსოფლიო ომისაგან დანგრეული ევროპისათვის აუცილებელი იყო რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა. ამრიგად, რუსეთთან მოსალოდნელ ომში საქართველო მარტო რჩებოდა.

საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომს ყოველმხრივ და გულდასმით ამზადებდა. რუსეთი საქართველოს ბრალს სდებდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევაში. რუსეთის ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები ავრცელებდნენ ხმებს იმის შესახებ, რომ საქართველოში თავს იყრიდნენ ისეთი ძალები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს. ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახშობდა მუშებისა და გლეხების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თითქოს აჯანყებული მშრომელები ითხოვდნენ საბჭოთა რუსეთისაგან დახმარებას. ამის პარალელურად სულ უფრო ძლიერდებოდა საქართველოსთან ომისათვის გამიზნული სამხედრო ძალა აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილო კავკასიაში. 1920 წლის იანვარში მოსკოვში საბოლოოდ დაზუსტდა საქართველოსთან ომის გეგმა. 1920 წლის 26 იანვარს, მოსკოვში, ლენინის ინიციატივით მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და რუსეთის მე-11 წითელი არმიის სარდლობა, პირადად ორჯონიკიძე და კიროვი შეუდგნენ მის რეალიზებას. **გადაწყდა, მე-11 წითელი არმია საქართველოს საზღვრებში შემოჭრილიყო, ვითომდა, აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად. აჯანყების ინსცენირება კი უნდა მომხდარიყო ლორეს რაიონში (ბორჩალოს მაზრა).** ამ ნეიტრალურ ზონას შერეული (ქართულ-სომხური) ადმინისტრაცია განაგებდა. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონას სამი თვით მთლიანად საქართველოს ჯარები დაიკავებდნენ. თუ სამი თვის განმავლობაში საქართველო და სომხეთი ვერ მოახერხებდნენ სადავო ტერიტორიის გამიჯვნას, მაშინ საქართველოს ჯარი დატოვებდა ნეიტრალურ ზონას და იქ აღდგებოდა შერეული ადმინისტრაციის მმართველობა. ამ შეთანხმების შემდეგ სომხეთი საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და საბჭოთა სომხეთის მთავრობამ, მოსკოვის მითითების

თანახმად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ლორეს ნეიტრალური ზონიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. საქართველოს მთავრობამ, სასაზღვრო კონფლიქტის მოგვარების მიზნით, სომხეთის მხარეს მოლაპარაკების დაწყება შესთავაზა. საბჭოთა სომხეთის მთავრობა, ისევ მოსკოვის მითითების თანახმად, მოლაპარაკების დაწყებას აჭიანურებდა. **ლორეს ნეიტრალური ზონა სწორედ შესაფერისი ადგილი იყო აჯანყების ინსპირირებისათვის. მაგრამ მდგომარეობას ართულებდა ის, რომ 1921 წლის 13 თებერვალს ლორეს რაიონში ქართული ჯარის ყოფნის ვადა იწურებოდა, რის გამოც აჯანყების ინსცენირება სწორედ 13 თებერვლამდე უნდა მომხდარიყო.** ლორეს რაიონში აჯანყების მოწყობა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ, პირადად ორჯონიკიძემ სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს დაავალა. **„საქართველოს მშრომელთა აჯანყება“** ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები **რუსი კოლონისტების სოფლებში** უნდა დაწყებულიყო.

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამით ბორჩალოს მაზრის რუსი კოლონისტების სოფლებში, ასევე სომხურ სოფლებში დაიწყო „აჯანყება“, რომელიც საბჭოთა პროპაგანდამ „საქართველოს მშრომელთა აჯანყებად“ მონათლა. ფაქტობრივად, ეს იყო სომხეთში დაბანაკებული საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმიის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო საომარი ოპერაციები საქართველოსა და რუსეთს შორის. ომის პირველ დღეს ლორეს რაიონში მე-11 წითელმა არმიამ დაამარცხა ქართული ჯარის ნაწილები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამ რაიონში დამატებითი ძალები გაგზავნა.

14-15 თებერვალს, ღამით, მოსკოვში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელიც მე-11 წითელ არმიას თბილისის დაპყრობის ამოცანას უსახავდა. 15 თებერვალს სტალინმა მოსკოვიდან რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელს ორჯონიკიძეს აცნობა, რომ მე-11 არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინა თბილისი. ყოველივე ეს, ცხადია, უაღრესად საიდუმლოდ ხდებოდა. **მოსკოვი მაინც ამჯობინებდა, შეენიღბა აშკარა აგრესია დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ.** ამიტომ გადაწყდა, აჯანყებული საქართველოს მშრომელების სახელით მოსკოვში გაგზავნილიყო თხოვნა დახმარების თაობაზე. ეს თხოვნა შულავერში ორჯონიკიძის ინიციატივით შექმნილმა **„საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა“ (რევკომმა)** მოსკოვში მხოლოდ **1921 წლის 16 თებერვალს** გაგზავნა, მაშინ, როცა 12 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები უკვე საქართველოს საზღვრებში იყვნენ შეჭრილი და ომიც მიმდინარეობდა, ხოლო **15 თებერვალს** მოსკოვში მიღებული იყო გადაწყვეტილება თბილისის დაკავების შესახებ.

1921 წლის 12 თებერვალს დაწყებული საქართველო-რუსეთის ომი თავდაპირველად რუსების უპირატესობით მიმდინარეობდა. 19 თებერვალს თბილისის მისადგომებთან ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მე-11 წითელ არმიას ძლიერი დარტყმა მიაყენა და აიძულა უწესრიგოდ დაეხია უკან. ქართველებმა ათასი ტყვე იგდეს ხელთ. 20 თებერვალს **კოჯრის** რაიონში მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა კვლავ მარცხი იწვნიეს, ბრძოლის

სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე მე-11 არმიის სარდლობასთან (1921 წ.)

ველზე ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები მიატოვეს და უკან დაიხიეს.

. სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მე-11 წითელი არმიის შეტევის პარალელურად საქართველოზე თავდასასხმელად მტერს მზად ჰყავდა **მე-8 წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც სოჭის რაიონიდან აფხაზეთში უნდა შეჭრილიყვნენ. მზადყოფნაში იყო წითელი არმიის ნაწილები ჩრდილო კავკასიაში, რომლებიც საქართველოში უნდა შემოსულიყვნენ ვლადიკავკაზიდან დარიალის ხეობით და მამისონის გადასასვლელიდან რიონის ხეობით.**

ცხადია, თბილისის დაცვის საქმეს ძალზე გაართულებდა საომარი ოპერაციები აფხაზეთში. ქართული ჯარი ამ რაიონებიდან გამოყვანილ იქნა.

1921 წლის 24 თებერვლის საღამოსათვის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა ასეთი იყო:

საქართველო-რუსეთის ომის ფრონტის ხაზი კახეთიდან მანგლისამდე 90 კილომეტრზე გადაჭიმულიყო, რომლის დაცვა რეზერვების სიმცირის გამო შეუძლებელი ხდებოდა. თბილისის მისადგომები ზოგ რაიონში საერთოდ დაუცველი იყო. ასეთი ვითარებით მტერმა მაშინვე ისარგებლა. რუსების კავალერია სოფელ დიღომის გავლით ქართული ჯარის ზურგში შეიჭრა. იმავდროულად მტერმა **კოჯრიდან საბურთალოსაკენ** შეუტია. მე-11 წითელი არმიის სარდლობა ცდილობდა ვაზიანიდანაც შეჭრილიყო ქართული ჯარის ზურგში. იქმნებოდა იმის რეალური საფრთხე, რომ მტერი ავჭალაში შეიჭრებოდა და ქართულ ჯარს უკან დასახევ გზას მოუჭრიდა. ასეთ ვითარებაში 24 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა **გიორგი კვინიტაძემ** მიიღო გადაწყვეტილება მცხეთის მიმართულებით უკან დახევისა და ახალი გამაგრებული ხაზის შექმნის შესახებ. **თბილისის დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას წინ ალუდგა გენერალი გიორგი ოდიშელიძე, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მხარი გენერალ გიორგი კვინიტაძეს დაუჭირა.** ქართული ჯარი და სახალხო გვარდია შექმნილ სამხედრო-სტრატეგიულ სიტუაციაში თბილისის დაცვას მართლაც ვერ შეძლებდა. თუმცა ცხადი იყო



სერგო ორჯონიკიძის დეპეშა ლენინს: „თბილისის თავზე ნითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!"

ისიც, რომ თბილისის დატოვება მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა იქნებოდა ჯარისა და მოსახლეობისათვის. 1921 წლის 24 თებერვალს, ღამის 12 საათზე, დაიწყო ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილების უკანდახევა მცხეთის მიმართულებით. 25 თებერვალს თბილისში რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ.

თბილისის დატოვების შემდეგ ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მტერს ძლიერი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ქართული ჯარების წინააღმდეგობას უპერსპექტივოდ ხდიდა მამისონის უღელტეხილიდან რიონის ხეობით ქუთაისისაკენ დაძრული და აფხაზეთში სოხუმის მიმართულებით შეტევაზე გადასული რუსეთის ჯარების მოქმედება. ბრძოლების გაგრძელებას აძნელებდა თურქეთის

გრიგოლ ლორთქიფანიძე

მთავრობის ანტიქართული პოლიტიკაც. არტაანისა და ართვინის დაკავების შემდეგ თურქეთის მთავრობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აცნობა, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის აღარ არსებობდა სადავო საკითხები. ამავე დროს, თურქეთის მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სთავაზობდა თურქეთის ჯარებით ბათუმის დაცვას რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან. **ფაქტობრივად ეს იყო თურქეთის აგრესიული გეგმების შენიღბული გზით განხორციელების ცდა, რასაც რუსეთთან ომში ჩაბმული საქართველო წინ ვეღარ ალუდგა.** ბათუმში შესვლის შემდეგ თურქებმა განაცხადეს, რომ, თურქეთის დიდი ეროვნული კრების დადგენილების თანახმად, უნდა მოეხდინათ ბათუმისა და მისი ოლქის ანექსია. შესაბამისად, თურქეთის ჯარმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან ერთად, თურქებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ულტიმატუმის სახით მოსთხოვეს ბათუმსა და ბათუმის ოლქში მყოფი ქართული ჯარის განიარაღება, რაზეც უარი მიიღეს. ბათუმში ქართულ ჯარსა და თურქეთს შორის დაიწყო ცხარე ბრძოლები. ქართველებმა თურქები კი განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ, ცხადია, რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ ორ ფრონტზე ბრძოლა საქართველოს არ შეეძლო. **შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში არც სურამის ქედზე და არც ქუთაისის მისადგომებთან ბრძოლების გამართვას აზრი არ ჰქონდა.** მთავრობა ბათუმში გადავიდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ბოლომდე შეასრულეს მოვალეობა და, კატასტროფული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის წინაშე კაპიტულაციას მაინც არ დასთანხმდნენ. ლენინსა და სტალინს დიდი სურვილი ჰქონდათ, ნოე ჟორდანიას გამოეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

მთავრობის გადადგომა, ხოლო დამფუძნებელ კრებას მოეხსნა უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში **საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ ქვეყანაში სახელმწიფო ძალაუფლების აღება, რუსეთის მხრიდან აშკარა სამხედრო აგრესიის მიუხედავად, მაინც კანონიერ სახეს იძენდა, საქართველოს ახალი ხელისუფლება ძველის სამართალმემკვიდრედ იქცეოდა.** სწორედ მოვლენების ამგვარი განვითარების თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად ბათუმში გამართული საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელმაც დაადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლა და იქიდან ბრძოლის გაგრძელება რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს განთავისუფლების მიზნით. თვით დამფუძნებელ კრებას, როგორც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, თავისი უფლებამოსილება არ მოუხსნია. **ამრიგად, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველო გახდა რუსეთის ინტერვენციის მსხვერპლი, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა, რომ რუსეთის ჯარები უმოწყალოდ გაუსწორდებოდნენ ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის მებრძოლებს, მთელ მოსახლეობას. ამიტომ მან ბათუმიდან თავისი რწმუნებული **გრიგოლ ლორთქიფანიძე** გაგზავნა ქუთაისში საქართველოს რევოლუციური კომიტეტის რწმუნებულთან მამია ორახელაშვილთან მოსალაპარაკებლად. ეს მოლაპარაკება 1921 წლის 17-18 მარტს გაიმართა ქუთაისში. იგი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. მიღწეული შეთანხმების თანახმად, საომარი ოპერაციები შეწყდა. 1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა. თურქებმა სცადეს შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება და ბათუმის დაკავება მოინდომეს. ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა გენერალ **გიორგი მაზნიაშვილის** მეთაურობით, რუსეთის წითელი არმიის ნაწილების თანადგომით შეძლეს თურქების უკუგდება.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის ომი 1921 წლის თებერვალ-მარტში დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემითა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით.

თავი VI

ქართული კულტურა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში

§1. განათლება

XX საუკუნის დასაწყისში სამრეწველო კრიზისმა და სოფლად დიდმა მოუსავლიანობამ განსაკუთრებით გაამწვავა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რევოლუციურ აღმავლობას, ხალხის მასობრივ პროტესტს რუსეთის საიმპერატორო კარმა კოლონიური ჩაგვრის შემდგომი გამკაცრებით უპასუხა. რეაქციის შეტევა ახალი ძალით დაატყდა თავს ქართულ კულტურასაც, განსაკუთრებით ეროვნულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მრავალსაუკუნოვან და თვითმყოფად კულტურაში ხედავდნენ რუსიფიკატორები ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის ძირითად საზრდოს და მიზანმიმართულად აწარმოებდნენ კულტურული მემკვიდრეობის დათრგუნვის პოლიტიკას. განათლების სრული რუსიფიკაცია და სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნა ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. **ქართული ენის შევიწროება ხორციელდებოდა როგორც საერო**

იაკობ გოგებაშვილი

სკოლებში, ისე სასულიერო სასწავლებლებშიც. 1902 წელს დეკანოზმა ვოსტორგოვმა სასწავლო ოლქის მზრუნველთან და ეგზარქოსთან შეთანხმებით საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის შეადგინა ახალი სასწავლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ყველა სახის სკოლაში სწავლების ენად აღიარებულ იქნა რუსული ენა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან ითხოვდნენ „ნაციონალისტ" მასწავლებლებს და მათ ადგილს რუსი და სხვა არაქართველი მასწავლებლები იკავებდნენ. განათლების სფეროზე რუსიფიკატორთა ფართო შემოტევამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. სამეგრელოში, აჭარაში, იმერეთში და ა. შ. საპროტესტო გამოსვლებსაც კი ჰქონდა ადგილი. ბევრგან მოსწავლეები უარს ამბობდნენ საგნების რუსულად სწავლებაზე და ტოვებდნენ სკოლებს. მოთხოვნილება ეროვნულ სკოლებზე კიდევ უფრო იზრდებოდა.

ნიკო ცხვედაძე

ქართული სკოლისათვის ბრძოლის სათავეში, როგორც XIX საუკუნის ბოლოს, ახლაც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" და ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო მოღვაწენი იდგნენ. **იაკობ გოგებაშვილის, ილია წინამძღვრიშვილის, ნიკო ცხვედაძისა** და სხვათა ტრადიციებს აგრძელებდა ქართველ მასწავლებელთა ახალი თაობა.

თბილისის ქართულ გიმნაზიაში 1906 წლიდან აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა **ლუარსაბ ბოცვაძე** (1865-1919), რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლიურ ენაზე აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით 1908 წელს თბილისში გამოსვლას იწყებს პირველი ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განთიადი", რომელიც აკრიტიკებდა რუსიფიკატორულ საგანმანათლებლო სისტემას, ფართო პროპაგანდას ეწეოდა ეროვნული პედაგოგიკის პრინციპების დასანერგად.

ლუარსაბ ბოცვაძე

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, შემდეგ კი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში მოღვაწეობდა **არისტო ქუთათელაძე** (1850-1912), რომლის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები („საზოგადო გეოგრაფია", „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან") იმ დროისათვის დიდი მოწონებით სარგებლობდა. 1901-1903 წლებში ახალსენაკის ქართულ გიმნაზიაში, 1903 წლიდან კი თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას ასწავლიდა უნიჭიერესი პედაგოგი და მეცნიერი **სერგი გორგაძე** (1876-1926). მის მიერ შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოები და მეთოდოლოგიური ლიტერატურა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა როგორც ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის, ასევე მთლიანად განათლების სფეროს სრულყოფის საქმეში.

თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და ქართულ გიმნაზიაში მოღვაწეობდა **დავით კარიჭაშ-**

დავით კარიჭაშვილი

ვილი (1862-1927). პედაგოგიური საქმიანობის (ასწავლიდა ფრანგულ ენასა და საქართველოს ისტორიას) პარალელურად იგი დიდ საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1905 წელს დავით კარიჭაშვილმა შეადგინა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნთსაცავის ფონდების სრული აღწერილობა, დააარსა ბიბლიოთეკა და მუზეუმი. იგი იყო „ვეფხისტყაოსნის", ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებისა და ალექსანდრე ყაზბეგის ერთტომეულის გამომცემელი. დავით კარიჭაშვილის კალამს ეკუთვნის ნაშრომები: „საქართველო მეთოთხმეტე საუკუნეში", „წიგნის ისტორია", „საქართველოს მოკლე ისტორია", „ქართული ენის გრამატიკა", „ხუცური ანბანი" და ა. შ.

ქართული სკოლის რეფორმატორად, ე. წ. „ახალი სკოლის" იდეოლოგად გვევლინება ცნობილი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი **ივანე როსტომაშვილი** (1865-1919). თბილისში 1901-1911 წლებში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ ივანე როსტომაშვილის მიერ შემუშავებული „ახალი სკოლის" პრინციპებს. ივანე როსტომაშვილი პროტესტს უცხადებდა არსებულ სკოლას, როგორც ბიუროკრატიულ დაწესებულებას, სადაც მხოლოდ „წიგნიური სწავლა" იყო გაბატონებული და მოითხოვდა „ცხოვრების შესაფერისად სწავლა-აღზრდის მოწყობას", ე. ი. სამეურნეო-სატექნიკო საგნების სწავლებასა და სკოლაში შრომის პროცესის დანერგვას.

ქართული ეროვნული სკოლების დაარსების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა მწერალმა და პუბლიცისტმა **ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისამ** (1849-1932). მისი პედაგოგიური ხასიათის წერილები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში იბეჭდებოდა გაზ. „დროებაში". ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას სახელთანაა დაკავშირებული 1902 წელს თბილისში ქალთა დაწყებითი სკოლის გახსნა, 1908 წელს კი ქალთა ახალი საზოგადოების, „განათლების" დაარსება.

ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისა და სკოლის გაეროვნულების საქმეში ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვით თბილისის მეხუთე გიმნაზიის პედაგოგსა და თბილისის ქალთა საოსტატო სემინარიის დამაარსებელს **იაკობ ზედგენიძეს** (1859-1943), გორის ვაჟთა პროგიმნაზიის ინსპექტორს **მიხეილ ზაალიშვილს** (1865-1920), ცნობილ ისტორიკოსსა და პედაგოგს **თედო ჟორდანიას** (1854-1916) და სხვ.

ქართული განათლების სისტემის სრულყოფის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქუთაისის პედაგოგიური სკოლის წარმომადგენლებმა. 1900 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" ქუთაისში გახსნილი ქართული სკოლის ხელმძღვანელობა დაავალა გამოჩენილ პედაგოგსა და მოღვაწეს **იოსებ ოცხელს** (1865-1919). 1905 წელს აღნიშნული სკოლა კერძო გიმნაზიად გადაკეთდა. იოსებ ოცხელს მხარში ედგნენ ბრწყინვალე პედაგოგები, რომელთა დიდი ძალისხმევის შედეგად გიმნაზია იმდენად პოპულარული გახდა, რომ კლასიკური გიმნაზიის მაგივრად თავადაზნაურთა შვილებიც კი აქ ამჯობინებდნენ სწავლას. ქართული

იოსებ ოცხელი

გიმნაზიის ინსპექტორად მოღვაწეობდა მოსწავლეთა უსაყვარლესი პედაგოგი **სილოვან ხუნდაძე** (1860-1928), რომელიც „ნაციონალისტური" შეხედულებების გამო მეფისნაცვლის ბრძანებით სამსახურიდან იქნა დათხოვნილი. ამავე სასწავლებელში გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობდა **გერასიმე ცაგარეიშვილი** (1864-1927), ქართული ენის მასწავლებლად – **იასონ ნიკოლაიშვილი** (1865-1941),

ფრანგულ ენას, ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა **სიმონ ქვარიანი** (1868-1946).

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა შემდგომში დიდმა ქართველმა მეცნიერმა, ექსპერიმენტული პედაგოგიური მიმდინარეობის ფუძემდებელმა **დიმიტრი უზნაძემ** (1886-1951). 1905 წელს რევოლუციაში მონაწილეობისათვის ხელისუფლებამ დიმიტრი უზნაძე სასწავლებლიდან დაითხოვა. იმავე წელს იგი მიემგზავრება გერმანიაში, სადაც ოთხი წლის შემდეგ იცავს სადოქტორო დისერტაციას და უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი კვლავ მშობლიურ გიმნაზიას უბრუნდება. გიმნაზიაში დიმიტრი უზნაძე ასწავლიდა მსოფლიო ისტორიასა და ფილოსოფიას. 1912 წელს გამოქვეყნდა დიმიტრი უზნაძის შესანიშნავი ნაშრომი „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი", 1914-1918 წლებში – „პირველყოფილი კულტურა" და „აღმოსავლეთისა და საბერძნეთის ძველი და ახალი ისტორია".

პირველი მსოფლიო ომის წინ ნათელი გახდა, რომ ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ, რომელსაც იმპერიის განაპირა მხარეებში ახორციელებდნენ, საერთო მარცხი განიცადა. რეაქციის უკანდახევა დაადასტურა სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა პირველმა ყრილობამაც, რომელიც 1913 წლის დეკემბერსა და 1914 წლის იანვარში მიმდინარეობდა. აღნიშნული ყრილობის მუშაობაში მონაწილე ქართველ პედაგოგთაგან არსებული საგანმანათლებლო სისტემის მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ **ივანე გომართელი** და **დიმიტრი უზნაძე**. იმპერიის მონინავე ინტელიგენციის ძალისხმევის შედეგად ყრილობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლება ეროვნულ ენაზე უნდა წარმართულიყო.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ შესაძლებელი გახადა განათლების სფეროში ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს I ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება **„სკოლის სრული ნაციონალიზაციის შესახებ"**. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, მოგვიანებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სკოლის ნაციონალიზაციისა და დემოკრატიზაციისათვის შექმნა **„სახალხო განათლების სისტემის სარეფორმო კომისია"**, რომლის თავმჯდომარედაც დიმიტრი უზნაძე დაინიშნა. სკოლა, რომელიც შეიცავდა რვაწლიან საზოგადო კურსს, ხდებოდა საყოველთაო და სავალდებულო, უფასო. გათვალისწინებულ იქნა ცნობილი პედაგოგის ივანე როსტომაშვილის „ახალი სკოლის" პრინციპებიც, კერძოდ, შრომის საფუძველზე სწავლების დამკვიდრება, სასკოლო მეცადინეობების ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში გადატანა. 1920 წლიდან შემოღებულ იქნა სამსაფეხურიანი სწავლება, რომლის შემდეგაც მოსწავლეს უფლება ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მკვეთრად იმატა როგორც პირველდაწყებითი სკოლების რიცხვმა, ასევე მოსწავლეთა რაოდენობამაც. 1915 წელს მთელ საქართველოში არსებობდა 835 დაწყებითი სკოლა 75000 მოსწავლით, 1920 წელს – 1745 სკოლა 150000 მოსწავლით. დიდი ყურადღება მიექცა სასკოლო პროცესის ორგანიზაციულ მხარესაც. 1919 წელს შემუშავდა პირველდაწყებითი სახალხო სკოლების დროებითი პროგრამები (ავტორი ლუარსაბ ბოცვაძე). დიდი ყურადღება ექცეოდა სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის საკითხსაც. **იაკობ გოგებაშვილის** „დედაენის", „ბუნების კარის" გარდა სკოლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა შემდეგი სახელმძღვანელოები: **იოსებ ოცხელის** „ქრესტომათია", მიხეილ ზაალიშვილის „ბუნების მოკლე სახელმძღვანელო – ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია", **დიმიტრი უზნაძის** „ძველი საბერძნეთი" და „რომის ისტორია", **ილია ფერაძის** „საქართველოს მოკლე ისტორია", **სიმონ ქვარიანის** „საქართველოს ისტორია, შემოკლებული ანუ ეპიზოდური კურსი", **სიმონ ხუნდაძის** „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო", **გიორგი ახვლედიანის** „რუსული ენის გრამატიკა", **ალექსანდრე ჯანელიძის** „დაწყებითი ფიზიკა" და ა. შ.

1918 წელს წარმატებით დაგვირგვინდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საშვილიშვილო საქმე. თბილისში უნივერსიტეტის გახსნის მოთხოვნით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში, გამოდიოდნენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მაგრამ ცარიზმი არათუ ეროვნული, არამედ რუსული უნივერსიტეტის გახსნის სასტიკი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილი

წინააღმდეგიც კი იყო. უნივერსიტეტის გახსნის იდეა მუდამ ცოცხლობდა ქართველი ერის გონებაში, 1906 წელს დამთავრებული ქართული გიმნაზიის შენობაც ჩაფიქრებული იყო როგორც საუნივერსიტეტო შენობა. 1917 წლის თებერვალში რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობამ ქართული ინტელიგენციის მონინავე ნაწილს საშუალება მისცა პრაქტიკულად განეხორციელებინა დიდი ხნის ნანატრი ოცნება – დაეარსებინა ეროვნული უნივერსიტეტი. 1917 წლის მარტში პეტერბურგში მყოფმა **ივანე ჯავახიშვილმა** საკუთარ ბინაში მოიწვია ქართველ მეცნიერთა ჯგუფი (იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვანი), რომელთაც გააცნო თავისი მოსაზრება. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითვე პეტერბურგში გაიმართა ქართული სათვისტომოს კრება, რომელსაც **ზურაბ ავალიშვილი** თავმჯდომარეობდა. კრებამ ერთხმად დაადგინა, მოლაპარაკებოდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწე ქართველ მეცნიერებს და დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ თბილისში უნივერსიტეტის გახსნისათვის სამზადისს. უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით საქართველოში არაერთგვაროვანი აზრი არსებობდა. თბილისის საბჭო დროებითი მთავრობის წინაშე სვამდა საკითხს, რათა თბილისში გადმოეტანათ ევაკუირებული იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტი. ამიერკავკასიის კომისარიატი მოსრე იყო თბილისში პოლიტექნიკური სასწავლებლის გახსნისა. საზოგადოების ერთი ნაწილი კი, მათ შორის აკადემიკოსი **ნიკო მარიც,** ნაადრევად მიიჩნევდა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას, რასაც ქართული სამეცნიერო კადრების სიმცირით ასაბუთებდა. ნიკო მარი შიშს გამოთქვამდა, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნა დაასუსტებდა პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლას, ამიტომ იგი მხარს უჭერდა რუსულენოვანი „კავკასიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის" შექმნას. ისინი ამიერკავკასიის კომისარიატისაგან ითხოვდნენ ქალთა უმაღლესი კურსების ბაზაზე სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული უნივერსიტეტის შექმნას. არსებული ნინააღმდეგობების მიუხედავად, თბილისში დაბრუნებულმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა – **პეტრე მელიქიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, კორნელი**

პეტრე მელიქიშვილი

კეკელიძემ, ფილიპე გოგიჩაიშვილმა, დიმიტრი უზნაძემ, აკაკი შანიძემ, იუსტინე აბულაძემ, იოსებ ყიფშიძემ, შალვა ნუცუბიძემ და გიორგი ახვლედიანმა – რამდენიმე თვეში შეძლეს ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება და ეროვნული საბჭოს მხარდაჭერით, 1918 წლის 26 იანვარს, ქართული გიმნაზიის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა **ქართული უნივერსიტეტი.** უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ **ივანე ჯავახიშვილის** წინადადებით უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩია ცნობილი ქართველი მეცნიერი, ქიმიკოსი **პეტრე მელიქიშვილი.** ივანე ჯავახიშვილმა განსაზღვრა უნივერსიტეტის სტატუსიც, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტს ჰქონდა სრული ავტონომია, თვითონ ირჩევდა რექტორს, ფაკულტეტების დეკანებს, პროფესორებს.

თსუ პროფესურა. დგანან (მარცხნიდან): გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა; სხედან(მარცხნიდან): ვარლამ თოფურია, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი

უნივერსიტეტი თავდაპირველად კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო. უნივერსიტეტში არსებობდა ერთადერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელშიც შედიოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და იურიდიული განყოფილებები. შემდეგში მას დაემატა საბუნებისმეტყველო, მათემატიკური და აგრონომიული ფაკულტეტები. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ შესანიშნავი მეცნიერები: **ივანე ჯავ-**

ახიშვილი (საქართველოს ისტორია, სამართლისა და ეკონომიკის ისტორია), **კორნელი კეკელიძე** (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია), **გრიგოლ ნერეთელი** (ძველი აღმოსავლეთისა და რომის ისტორია), **აკაკი შანიძე** (ქართული ენის გრამატიკა), **გიორგი ახვლედიანი** (ზოგადი ენათმეცნიერება), **მიხეილ ნერეთელი** (ძველი აღმოსავლეთის ენები და ისტორია), **გიორგი ჩუბინაშვილი** (ქართული ხელოვნების ისტორია), **ექვთიმე თაყაიშვილი** (არქეოლოგია), **შალვა ნუცუბიძე** (ლოგიკა და ფილოსოფია), **ფილიპე გოგიჩაიშვილი** (ეკონომიკა), **დიმიტრი უზნაძე** (ფსიქოლოგია), **ანდრია რაზმაძე** (ნათესაურობა) და სხვანი.

§2. მეცნიერება

XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმი ხელოვნურად ბლუდავდა ეროვნული მეცნიერების განვითარებას. ხელისუფლებისა მხრიდან შექმნილი ბარიერების მიუხედავად, ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, სტიმულს აძლევდა ეროვნული მეცნიერების, კერძოდ, მეცნიერების ჰუმანიტარული დარგების განვითარებას. ეს პროცესი ქართველი ერის სულიერი მოთხოვნითაც იყო განპირობებული.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და 1907 წელს **ექვთიმე თაყაიშვილის** ინიციატივით დაარსებული **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** მიერ შეგროვებულ იქნა უნიკალური ხელნაწერები, ნაბეჭდი წიგნები, ნუმიზმატიკური კოლექცია და ეთნოგრაფიული მასალა, რაც ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის დარგში შემდგომი კვლევისათვის შესანიშნავ ბაზას წარმოადგენდა. საისტორიო წყაროებისა და ძველი ქართული მწერლობის უნიკალური ძეგლების გამოვლენა-აღწერის საქმეში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა

ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი სინას მთაზე მოგზაურობისას 1902 წ.

1902 წელს **ნიკო მარისა** და **ივანე ჯავახიშვილის** მოგზაურობა საბერძნეთში, პალესტინასა და სირიაიორდანიაში. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ უამრავ ხელნაწერს შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტერ-

ექვთიმე თაყაიშვილი

ში აღმოჩენილ იქნა ძველი ქართული ნაწერლობის უნიკალური ძეგლი, **გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**

ამ პერიოდში ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს შესანიშნავმა მეცნიერებმა: **თედო ჟორდანიამ** (1852-1916), **ექვთიმე თაყაიშვილმა** (1863-1953), **მოსე ჯანაშვილმა** (1855-1934) და **სარგის კაკაბაძემ** (1886-1968). თედო ჟორდანიამ ორ წიგნად გამოსცა „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერ-

მოსე ჯანაშვილი

ლობისა“. **ექვთიმე თაყაიშვილმა** შეადგინა „საქართველოს სიძველენის“ სამტომეული. მასვე ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ ახალი, მარიამ დედოფლისეული ვარიანტის გამოცემაც. **მოსე ჯანაშვილმა** აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ჯანაშვილისეული ნუსხა, რომელიც 1907 წელს „ახალი ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით გამოსცა. 1904 წელს მან გამოაქვეყნა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ ქართული ტექსტი და რუსული თარგმანი, 1909 წელს – ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. მოსე ჯანაშვილს ეკუთვნის წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი „ფარსადან გორგიჯანიძე“. **სარგის კაკაბაძემ** შეადგინა და გამოსცა სიგელ-გუჯრების კრებული. მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნეს: **სერგი გორგაძემ** („ეკლესია და სახელმწიფო ძველ საქართველოში“, „ჩვენი მწერლობა“), **დავით კარიჭაშვილმა** („საქართველო XII საუკუნეში“, „წიგნის ისტორია“), **კიტა აბაშიძემ** („ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“), **არჩილ ჯორჯაძემ** („მასალები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“) და ა. შ.

საქართველოს ისტორიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობისა და საზოგადოებრივი

სარგის კაკაბაძე

აზროვნების საკითხების მეცნიერულ შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანეს რუსეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველმა მკვლევრებმა. ამ მხრივ ფასდაუდებელია პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილი ქართველოლოგიური სკოლის ღვაწლი, რომლის სათავეებთან იდგნენ **თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე** და **დავით ჩუბინაშვილი.** მათ მიერ დაწყებული საქმე განაგრძო **ალექსანდრე ცაგარელმა** (1844-1929). იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას 1871 წლიდან განაგებდა. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხელნაწერებისა და სხვა ისტორიული წყაროების შეგროვებასა და გამოცემაში, ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საქმეში. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა ალექსანდრე ცაგარლის მოწაფემ – **ნიკო მარმა (1864-1934).** ნიკო მარმა დიდი ამაგი დასდო ქართული სასულიერო და საერო მწერლობისა და ქართული კულტურის საკითხების შესწავლას, საქართველოს ისტორიის კვლევას.

პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ აღზარდა არაერთი გამოჩენილი ქართველოლოგი.

1902 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობა დაიწყო დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა **ივანე ჯავახიშვილმა** (1876-1940), რომლის ფუნდამენტალურმა გამოკვლევებმაც სათავე დაუდო ქართული ისტორიული მეცნიერების ახალ ეტაპს. ივანე ჯავახიშვილმა კომპლექსურად გააშუქა ჩვენი ქვეყნის წარსული, მისი სოციალ-ეკონომიკური,

ივანე თარხნიშვილი

პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული ასპექტები. ივანე ჯავახიშვილის მიერ პეტერბურგში დაწერილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ქართველი ერის ისტორია“ (პირველი წიგნი გამოვიდა 1908 წელს, მეორე – 1914 წელს), 1916 წელს გამოცემული „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)“. ივანე ჯავახიშვილმა 1908 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართული სამეცნიერო წრე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ **აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე** და სხვები.

XX საუკუნის დამდეგი ქართული ფილოლოგიური აზრის დიდი აღმავლობით აღინიშნა. ძველი ქართული მწერლობის ფუნდამენტურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა **კორნელი კეკელიძემ (1879-1962).** ქართული და ქართველური ენების შესწავლის საქმეს დიდი ღვაწლი დასდეს **იოსებ ყიფშიძემ (1882-1919)** და **აკაკი შანიძემ (1887-1988).**

საქართველოში ეროვნულ-სამეცნიერო დაწესებულებათა არარსებობის გამო ქართველ ბუნების-

ვასილ პეტრიაშვილი

მეტყველ მეცნიერთა უმრავლესობა წარმატებით მოღვაწეობდა რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. დიდი რუსი მეცნიერის ივანე სეჩენოვის გარდაცვალების შემდეგ პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფიზიოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი **ივანე თარხნიშვილი** (1846-1908). იგი იყო ელექტროფიზიოლოგიისა და, საერთოდ, ფიზიოლოგიური პროცესის ექსპერიმენტული კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა შესანიშნავი მეცნიერი, აგროქიმიკოსი **ვასილ პეტრიაშვილი** (1845-1908), რომელიც სიცოცხლის ბოლოს (1907 წ.) ამავე უნივერსიტეტის რექტორადაც კი აირჩიეს. მისმა ნაშრომებმა მერძევეობასა და მელვინეობაში ქართული მეცნიერული ტექნოლოგიის დამკვიდრება განაპირობა. ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა მეორე დიდი ქიმიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მიხეილ ლომონოსოვის სახელობის პრემიის ლაურეატი, ფრანგული საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი **პეტრე მელიქიშვილი** (1850-1927). მან შექმნა ახალი მიმართულება ფიზიკურ და ორგანულ ქიმიაში. პეტრე მელიქიშვილის უაღრესად დიდმა სამეცნიერო ავტორიტეტმა განაპირობა თბილისის უნივერსიტეტის პირველ რექტორად მისი არჩევა.

საქართველოში მეცნიერების აღორძინების თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან. უნივერსიტეტი არა მარტო ქართველოლოგიური მეცნიერებების კერას წარმოადგენდა, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კვლევის ცენტრადაც გადაიქცა. მის წიაღში აღმოცენდა შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლები: მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიისა და სხვა დარგების. ქართული მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებას. 1919 წელს ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა „სასწავლო კომიტეტის" თავმჯდომარედ, რომელმაც ცნობილი მეცნიერებით დააკომპლექტა შემდეგი დარგობრივი კომისიები: **1. საზოგადო ისტორიის** (შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ ნათაძე და ა. შ.); **2. საქართველოს ისტორიის** (ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე და ა. შ.); **3. ქართული ენისა და ლიტერატურის** (აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი და ა. შ.); **4. უცხო ენებისა და ლიტერატურის** (იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და ა. შ.); **5. მათემატიკის** (ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე და ა. შ.); **6. ფიზიკა-ქიმიის** (ანდრია დიდებულიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი და ა. შ.); **7. ბიოლოგიური დარგებისა და ჰიგიენის** (ზურაბ ყანწაველი, დიმიტრი გედევანიშვილი, გიორგი ნათიშვილი და ა. შ.); **8. ფილოსოფიური დარგების** (შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია და ა. შ.); **9. სპეციალური ტექნიკური დარგების** (ილია ყიფშიძე, ანდრია დიდებულიძე და ა. შ.).

მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის უდავოდ დიდ მოვლენას წარმოადგენდა კავკასიის მუზეუმის გარდაქმნა საქართველოს მუზეუმად და საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსება.

§3. პრესა და და პუბლიცისტიკა

XX საუკუნის პირველი ოცწლეული ქართული პრესისა და პუბლიცისტიკის განსაკუთრებული აღმავლობის ხანა იყო. წინა პერიოდთან შედარებით ჟურნალ-გაზეთების რიცხვი თითქმის ათჯერ გაიზარდა. მრავალფეროვანი გახდა მათი ჟანრობრივ-თემატური ხასიათი. გამოდიოდა არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული, არამედ სამეცნიერო, საისტორიო, პედაგოგიური, ეკონომიკური, სამედიცინო, თეატრალური, საბავშვო, რელიგიური, სატირულ-იუმორისტული ხასიათის პერიოდული გამოცემები.

წამყვან როლს პოლიტიკური პარტიების პრესა ასრულებდა, რომელთაგან გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, მოგვიანებით კი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ბეჭდვითი ორგანოები. ამ პერიოდის პარტიული ჟურნალ-გაზეთები საზოგადოებრივ-პოლიტიკურთან ერთად კულტურულ-ლიტერატურულ ორგანოებსაც წარმოადგენდნენ.

1898 წლიდან ქართველი სოციალ-დემოკრატების ორგანოს წარმოადგენდა გაზეთი **„კვალი"**, რომლის გამოცემა 1904 წელს შეწყდა. 1905 წლიდან მენშევიკი სოციალ-დემოკრატები მრავალ ჟურნალ-გაზეთს გამოსცემდნენ. ბევრი მათგანი მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში გამოდიოდა და შემდეგ სხვა სახელწოდებით აგრძელებდა მოღვაწეობას. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ: ჟურნალი „სოციალ-დემოკრატი"; გაზეთები: „სხივი", „წინ", „გზა", „გრიგალი", „ზარი", „ლამპარი", „ნაპერწკალი", „ჩვენი ცხოვრება", „შიკრიკი". 1907 წლიდან 1917 წლამდე მენშევიკები გამოსცემდნენ გაზეთებს: „ლახვარი", „ციხკარი", „წყარო", „აზრი", „ალიონი", „ახალი დროება", „ჩვენი აზრი", „მომავალი", „ახალი საქმე", „სიმართლის ხმა" და სხვ.

შედარებით მცირე რაოდენობის ჟურნალ-გაზეთებს გამოსცემდნენ ბოლშევიკები. 1901 წელს ბოლშევიკებმა გამოსცეს არალეგალური რევოლუციური ორგანო „ბრძოლა"; 1902 წელს – „ბრძოლის ფურცელი"; 1903-1905 წლებში – „პროლეტარიატის ბრძოლა" და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი". რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მენშევიკებთან ერთად ბოლშევიკები თანამშრომლობდნენ ჟურნალ „მოგზაურში" (1905 წ.), რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო ცილისმწამებლური მასალის ბეჭდვით. მოგვიანებით გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები: „ელვა", „განთიადი", „ახალი ცხოვრება" და „ჩვენი ცხოვრება". რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებმა მხოლოდ რამდენიმე გაზეთის გამოცემა მოახერხეს, ისიც მცირე ხნით: „თბილისის პროლეტარი" (1908 წ.); „მგზავრი", „თბილისის პროლეტარის ფურცელი" (1910 წ.); „ჩვენი წყარო" (1913 წ.).

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ ეროვნულ-პოლიტიკური მიმართულების გაზეთები. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიული პრესის დამსახურება. 1900 წლის დეკემბრიდან 1906 წლამდე ქართველ ფედერალისტთა პარტიის ცენტრალურ ორგანოს გაზეთი **„ცნობის ფურცელი"** წარმოადგენდა. როგორც ფორმატის მოცულობით, ისე ჟანრული მრავალფეროვნებით „ცნობის ფურცელი" ქართული ჟურნალისტიკის მაღალ დონეს მოწმობდა. გაზეთის დახ-

ურვის შემდეგ „ცნობის ფურცლის“ მემკვიდრეობას აგრძელებდნენ: „შრომა“, „გლეხი“ (1906 წ.); „მეგობარი“, „მინწა“ (1906-1908 წწ.), „ისარი“ (1907-1908 წწ.); „ამირანი“ (1908 წ.); „დროება“ (1908-1910 წწ.). 1910 წლიდან ფედერალისტურმა პრესამ უფრო სტაბილური ხასიათი მიიღო: 1910-1914 წლებში გამოდიოდა **„სახალხო გაზეთი“**; 1914-1917 წლებში – **„სახალხო ფურცელი“** და სხვ.

1910-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეემატა ეროვნულ-დემოკრატიული პრესა. 1912-1915 წლებში გამოდიოდა ჟურნალი **„კლდე“**; 1915 წლიდან კი გამოსვლას იწყებს ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ფლაგმანი – გაზეთი **„საქართველო“**.

1905-1907 წლების მონაკვეთი ანარქისტული პრესის ხანმოკლე ბუმით აღინიშნა. ზედიზედ გამოვიდა მცირე ფორმატისა და ტირაჟის რამდენიმე ანარქისტული ორგანო: ჟურნალი „ნობათი“, გაზეთები: „მუშა“, „ქარიშხალი“, „წინ“, „ცის ნამი“. 1906 წელს „პატარა გაზეთის“ ოთხი ნომრის გამოცემა მოახერხეს ქართველმა ესერებმაც.

1900-1917 წლების განმავლობაში რამდენიმე სხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთიც გამოდიოდა. უპარტიო ეროვნულ პრესას განასახიერებდა ილია ჭავჭავაძისეული **„ივერია“**, თუმცა მასში ილია კვლავინდებურ მონაწილეობას აღარ იღებდა.

ხალხის სოციალური ინტერესების დაცვას ემსახურებოდნენ პროფესიული გაზეთები: „სავაჭრო გზა“ (1908 წ.); „მოსავალი“ (1909-1917 წწ.); „თემი“ (1911-1915 წწ.); „კოოპერაცია“ (1911-1919 წწ.); „სასოფლო გაზეთი“ (1912-1917 წწ.) და სხვ. გამოდიოდა სატირულ-იუმორისტული ჟანრის რამდენიმე ათეული ორგანო: „კოლო“ (1906 წ.); „ეშმაკი“, „მასხარა“ (1907 წ.); „მათრახი“, „დიპლიპიტო“, „ზურნა“, „ჭინჭარი“ და მრავალი სხვ. ჟურნალ-გაზეთები გამოდიოდა არა მარტო თბილისში, არამედ, ასევე, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ახალ სენაკში, სამტრედიაში, ზესტაფონსა და სიღნაღში. XX საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მრავალრიცხოვანი რუსული, სომხური და აგრეთვე სხვა უცხოენოვანი პრესაც არსებობდა. ასევე ქართული ჟურნალ-გაზეთები გამოიცემოდა საზღვარგარეთაც. 1903-1905 წლებში პარიზში გამოდიოდა ეროვნულ-პოლიტიკური მიმართულების გაზეთი **„საქართველო“**.

XX საუკუნის დამდეგის ქართულ პრესაში, იდეური ინტერესების არაერთგვაროვნების მიუხედავად, მოღვაწეობდა ბევრი შესანიშნავი პუბლიცისტი, როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები: **იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყიფშიძე და სხვანი, ასევე ახალი თაობის მოღვაწეები: ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, რევაზ გაბაშვილი, გერონტი ქიქოძე, გრიგოლ რობაქიძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი** და სხვანი.

ვაჟა-ფშაველა

ქართული პრესა თავისუფალი და მრავალფეროვანი გახდა 1917 წლიდან, განსაკუთრებით კი 1918 წლიდან. ამ პერიოდში ბეჭდვითი სიტყვა გათავისუფლდა იმპერიული ცენზურისაგან და საშუალება მიეცა თავისუფლად ელვანა ეროვნული სახელმწიფოსა და ქართველი ერის ინტერესებისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდნენ სოციალ-დემოკრატიული („ერთობა“), ფედერალისტური („სახალხო საქმე“) და ეროვნულ-დემოკრატიული („საქართველო“) პრესის ორგანოები. ამავე დროს გამოდიოდა მთავრობის გაზეთი – **„საქართველოს რესპუბლიკა“**.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოსპობასთან ერთად დასრულდა ქართული მრავალპარტიული და თავისუფალი პრესის ეპოქაც.

§4. ლიტერატურა

XX საუკუნის დასაწყისში ქართული კულტურის განვითარებისა და ქართველი ერის ზნეობრივი აღზრდის საქმეში კვლავ დიდ როლს ასრულებდა მწერლობა. თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ქართველი ხალხის სულიერ მეგზურად კვლავ **ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი** და **ვაჟა-ფშაველა** გვევლინებიან. ისინი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად ეწევიან აქტიურ სამწერლო და პუბლიცისტურ მოღვაწეობას, კვლავ ამკვიდრებენ ჩვენი ლიტერატურის მთავარ მიმდინარეობას –

აკაკი წერეთელი

კრიტიკულ რეალიზმს. თერგდალეულთა ტრადიციებს აგრძელებენ მწერლები: **დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი** და სხვანი. მართალია, ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდის რევოლუციონერ მწერალთა ჯგუფიც (ირეოდიონ ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ნოე ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი და სხვანი), მაგრამ ეს მიმდინარეობა ვერ ცვლის ქართული მწერლობის თვითმყოფადობასა და ეროვნული კონცეფციის ილიასეულ ხაზს. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ე. ი. საყოველთაო დაბნეულობის პერიოდში ქართულ მწერლობაში მოდადქცეული სიმბოლისტური მიმდინარეობების შესახებაც.

ვასილ ბარნოვი (ბარნაველი) (1857-1934) დაიბადა სოფელ კოდაში. თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მიემგზავრება მოსკოვში, სადაც პირველ წელს ქართული გვარის გამო უარს ეუბნებიან სასულიერო აკადემიაში მიღებაზე. 1878 წელს ბარნოვის გვარით იგი ჩაირიცხა სასულიერო აკადემიაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ უარს ამბობს რუსეთის ერთ-ერთ ეპარქიაში სამსახურზე და სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ილია ჭავჭავაძის რჩევით, პედაგოგიურ საქმიანობას იწყებს. ვასილ ბარნოვი ასწავლიდა სენაკის, გორის, თბილისისა და თელავის სასულიერო სასწავლებლებში. თანამშრომლობდა ილიას „ივერიაში", გაზეთ „მწყემსში". სისტემატურად აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ, ბიბლიოგრაფიულ და რელიგიური ხასიათის წერილებს. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვასილ ბარნოვი დიდ სამწერლო ასპარეზზე გამოდის. ჟურნალ „ჯეჯილში" და „კვალში" აქვეყნებს თავის პირველ მოთხრობებს („სესე", „პაპუნა", „პატარა ლევანი", „სვიმონი"). 1901 წლიდან მწერლის შემოქმედებაში წამყვან ადგილს იკავებს ღრმად ფილოსოფიური ისტორიული რომანი. XX საუკუნის პირველ მეოთხედში იწერება: „ისნის ცისკარი", „სახიფათო სიყვარული", „მიმქრალი შარავანდედი", „ტრფობა წამებული", „ხაზართა სასძლო", „არმაზის მსხვრევა", „გიორგი საკაძე", „დედოფალი ბიზანტიისა", „თამარ მრწემი", „პირიმზე", „ისკანდერი". აღნიშნული ნაწარმოებებით ვასილ ბარნოვი ქართულ ლიტერატურაში მხატვრულ-ისტორიული პროზის დამამკვიდრებლად გვევლინება. მწერალი უდიდეს მისიას აკისრებს დადებით გმირსა და მის სიყვარულს, როგორც სიკეთის საწყისს, რომელიც ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას – სატანურ საწყისს.

დავით კლდიაშვილი (1862-1930). ქართული რეალისტური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართულ პროზაში ტრაგიკულ-დრამატული და კომიკური სახეების შექმნის უბადლო ოსტატი, დაიბადა იმერეთის სოფელ სიმონეთში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. მომავალი მწერალი ადრე დაობლებულა და მეზობელი გლეხის დათიკა გიორგაძის დახმარებით დაუმთავრებია ქუთაისის ორკლასიანი სასწავლებელი. ათი წლისა სხვა ქართველ თანატოლებთან ერთად გაუგზავნიათ კიევში, სადაც ჩარიცხულა მილიუტინის სამხედრო სასწავლებელში. 1880 წელს დავით კლდიაშვილი შედის მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც პორუჩიკის ჩინით ამთავრებს და სამსახურს იწყებს ბათუმის გარნიზონში. ბათუმში დავით კლდიაშვილმა თითქმის საუკუნის მეოთხედი გაატარა. დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ ბათუმში იგი ხვდებოდა იმ პერიოდის ქართული ინტელიგენციის შესანიშნავ წარმომადგენლებს, აქ ყალიბდებოდა მისი ეროვნული მსოფლმხედველობა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა მწერლის შემოქმედებითი პოზიცია. თავის მოთხრობებში დავით კლდიაშვილი გვიხატავს სოციალურ სინამდვილეს, წვდება ამ სინამდვილის მსხვერპლთა შინაგან სულიერ მდგომარეობას, ქმნის ღრმად ფსიქოლოგიურ ხასიათებს. მისი მხატვრული ოსტატობა განსაკუთრებული სისრულით გამოვლინდა გაღარიბებულ აზნაურთა ყოფის ამსახველ მოთხრობებსა და პიესებში („სოლომან მორბელაძე", „ირინეს ბედნიერება", „ქამუშაძის გაჭირვება", „დარისპანის გასაჭირი", „სამანიშვილის დედინაცვალი", „ბაკულას ღორები" და ა. შ.). ამ ნაწარმოებებში ავტორმა „შემოდგომის აზნაურის" სახით დახატა ფუნქციადაკარგული მთელი სოციალური წოდება. „შემოდგომის აზნაურში" იგი მარტო კომიკურ პერსონაჟს როდი ხედავდა, მასში საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობასთან შეუგუებელ, გაუბედურებულ ადამიანთა დრამასაც ასახავდა. აქედან გამომდინარე, დავით კლდიაშვილის იუმორის წყარო ცალკეული ადამიანი კი არ არის, არამედ თვით ცხოვრებაა.

შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) (1867-1926) დაიბადა ღარიბი მღვდლის ზაქარია დედაბრიშვილის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო დუშეთის სამოქალაქო სასწავლებელში. მამის სიკვდილის შემდეგ გადაიყვანეს ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში. 1890 წელს შიო არაგვისპირელი შედის

ვარშავის საბეითლო (ვეტერინარული) ინსტიტუტში. ვარშავაში სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად შიო არაგვისპირელმა შექმნა პატრიოტული ორგანიზაცია – „საქართველოს თავისუფლების ლიგა". „ლიგაში" აქტიური მოღვაწეობისათვის იგი დააპატიმრეს და ცხრა თვე საპყრობილეში გაატარა. 1895 წელს მომავალი მწერალი სამშობლოში ბრუნდება და სპეციალობით იწყებს მუშაობას. თვითონაც სიღატაკეში გაზრდილი კიდევ უფრო ახლო ეცნობა სოფლად არსებულ სინამდვილესა და ქართველი გლეხკაცის ავბედით ცხოვრებას. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება მისი მსოფლმხედველობისათვის მისაღები სამწერლო თემატიკა: გაარკვიოს ადამიანის რაობისა და საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის საკითხები და ასახოს დაბეჩავებული გლეხკაცის ცხოვრება. შიო არაგვისპირელი თავის თანამედროვე მწერალთა შორის ერთადერთია, რომელმაც შემოქმედების ძირითად ჟანრად აიღო ნოველა, რომელიც ახალ საფეხურზე აიყვანა; კერძოდ, იგი გვევლინება ფსიქოლოგიური ნოველის მამამთავრად. შიო არაგვისპირელის ადრეული ნოველები – „კოკა ყოველთვის წყალს ვერ ზიდავს", „ესაა ჩვენი ცხოვრება", „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!" „ჩემო შვინდავ", „არ გვინდა, არა" და ა. შ. გამოირჩევიან სოციალური პრობლემის დასმის სიმძაფრითა და გამოსავლის ძიების ცდებით. ამავე დროს, უკვე აშკარად ჩანს მწერლის მცდელობა, ადამიანი ბუნებაზე მაღლა დააყენოს, აჩვენოს მკითხველს, რომ ადამიანისთვისაა ყოველივე შექმნილი. მომდევნო პერიოდის ნოველებში: „გმადლობთ, უფალო, გმადლობთ", „შემუსვრილი სამი მცნება", „გიული", „მინა", „ჩემი სამშობლო ჩემი გულია", „ღმერთო, რა დაგიშავე", „მაცდური", „მიჯაჭვული ამირანი" და ა. შ. მწერალი სვამს XX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის აქტუალურ სოციალურ საკითხებს. იგი ადამიანის ტანჯვის მიზეზად მიიჩნევს თვით ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, მის სიხარბეს, გულგრილ დამოკიდებულებას როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოების მიმართ.

ირიდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) (1873-1916) დაიბადა სოფელ ბოდბისხევში. წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა და უფროსმა ძმამ თბილისის პანსიონში მიაბარა, საიდანაც მალევე გადაიყვანეს თელავის სასულიერო სასწავლებელში. 1890 წელს ირიდიონ ევდოშვილი შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. ცარიზმის წინააღმდეგ გამართულ სტუდენ-

ტურ მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის გარიცხეს მესამე კურსიდან. 1893 წელს ირიდიონ ევდოშვილი უკავშირდება ჟურნალ „კვალის" გარშემო შემოკრებულ ახალგაზრდობას („მესამე დასი"). ამავე დროს, წერს თავის პირველ ლექსს „მთვარე", რითაც თავის სამწერლო-პოლიტიკურ მოღვაწეობას საბოლოოდ უკავშირებს რევოლუციას. რუსეთის პირველი რევოლუციის წინ ირიდიონ ევდოშვილი აქტიურად თანამშრომლობს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან. იგი არა მარტო თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში ეწევა რევოლუციურ აგიტაციას, ასევე განჯიდან კონსპირაციულად ჩამოაქვს იარაღი და მუშებს მათ გამოყენებას ასწავლის. 1909 წელს პოლიციამ გაჩხრიკა ირიდიონ ევდოშვილის ბინა და აკრძალული ლიტერატურის აღმოჩენის შემდეგ იგი მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1910 წელს სხვა ქართველ პოლიტიკურ ტუსაღებთან ერთად პოეტი ვოლოგდის გუბერნიის ქ. სოლოვიჩეგოდსკში გადაასახლეს, სადაც სასჯელს იოსებ სტალინთან ერთად იხდიდა. 1912 წელს მძიმედ დაავადებული ირიდიონ ევდოშვილი საქართველოში ბრუნდება. იგი 1916 წელს გარდაიცვალა. პროლეტარულ-რევოლუციური პოეზიის ფუძემდებლის ირიდიონ ევდოშვილის შემოქმედება ორ პერიოდად იყოფა – 1893-1907 და 1907-1915 წლები. პირველ ეტაპზე მის პოეზიაში მთავარი ადგილი უკავია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში კლასობრივი წინააღმდეგობების, სოციალური უკუღმართობისა და რევოლუციური იდეალების ასახვას. მის ლექსებში („ქუჩაზე", „მატანტალა", „განკიცხული", „მიდის, მიგოგავს", „მუშა", „სიმღერა მაისის ღამეს", „გათენდა დილა", „მუშა და მუზა", „მერცხლის სიმღერა" და სხვ.) არსებული წინააღმდეგობების დაძლევის ერთადერთ და მთავარ ძალად პროლეტარიატია გამოყვანილი. მისი ცნობილი ლექსი „მეგობრებს" რევოლუციის ჰიმნად იქცა, ისევე როგორც თვითონ პოეტი – რევოლუციის ტრიბუნად. თუ ირიდიონ ევდოშვილის შემოქმედების პირველი ეტაპი აშკარად გამოხატავს მისი რევოლუციური პოეზიის ოპტიმისტურ განწყობას, მეორე ეტაპზე რევოლუციის დამარცხებამ, კატორღამ და ავადმყოფობამ მის პოეზიას პესიმიზმი და გულგატეხილობა დააჩნია („გმირთა საფლავებს", „მეტეხის ციხე", „უცხო მდინარის პირას", „ახალი ნელი ციხეში", „დედას", „მეორე ტალღა" და სხვ.). რაც შეეხება ეროვნულ მოტივს, იგი იშვიათად ჟღერს ირიდიონ ევდოშვილის შემოქმედებაში. მისი ლექსები „ზღვაზე", „ქართველი დედა", „გატეხილი ჩანგი" დაწერილია არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის" იდეის ზეგავლენით. მართალია, 1908 წელს ირიდიონ ევდოშვილმა უარი თქვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობაზე, რომელმაც, მისი თქმით, ილია მოკლა. მიუხედავად ამისა, ირიდიონ ევდოშვილი ბოლომდე დარჩა

არა ეროვნული, არამედ სოციალისტური იდეალებისათვის მებრძოლ პოეტად.

ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძე (1878-1916) დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ მეწიეთში. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ ოზურგეთის, შემდეგ კი ქუთაისის სამეურნეო სკოლაში, საიდანაც, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, დაითხოვეს. ამავე მიზეზით გამორიცხეს იგი ხარკოვის სამეურნეო სკოლიდანაც. 1901 წელს ჭოლა ლომთათიძე თბილისში ჩამოდის და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შედის. რუსეთის პირველი რევოლუციის წინ აქტიურად მონაწილეობს მუშათა მანიფესტაციებსა და გამოსვლებში (თბილისში, ბათუმში), იბრძვის ნასაკირალზე გურულ გლეხებთან ერთად და ა. შ. გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან ჭოლა ლომთათიძე, როგორც სრულუფლებიანი დელეგატი, 1906 წელს ესწრება რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობას სტოკჰოლმში, სადაც სიტყვითაც გამოვიდა ვორობიოვის ფსევდონიმით. ჭოლა ლომთათიძე ასევე მონაწილეობდა ლონდონში გამართულ რსდმპ V ყრილობის მუშაობაშიც. 1907 წელს იგი II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს. მალე მეფემ სათათბირო გარეკა, ჭოლა ლომთათიძე დააპატიმრეს. შვიდი წელი გაატარა მწერალმა ციხეებში. 1916 წელს იგი სარატოვში უპატრონოთა თავშესაფარში გარდაიცვალა. ჭოლა ლომთათიძის ბელეტრისტული მოღვაწეობა იწყება 1901 წლიდან. იგი სპირიდონ მცირიშვილის ფსევდონიმით „მოამბეში", „ცნობის ფურცელში" და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავს თავის ადრეულ მოთხრობებს: „დავითი", „ცხოვრების გულიდან", „შეყვარებული", „მატლი", „ტალღები", „დასაფლავება", „ერთ საღამოს ბატონ ადვოკატთან", „ზღვა", „აღსარება" და ა. შ. ჭოლა ლომთათიძის მოთხრობების მთავარი გმირები არიან სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი, ახალი ინტელიგენციის (რევოლუციური ინტელიგენცია) წარმომადგენლები, რომელთაც სპირიდონ მცირიშვილის იდეალები (სიყვარული, სოციალ-ეკონომიკური უკულმართობის დაძლევის სურვილი, ბრძოლა სამშობლოს მომავლისათვის) ამოძრავებთ. ჭოლა ლომთათიძის პროზაში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1907-1914 წლებში, ე. წ. „საპყრობილის პერიოდში" შექმნილ მოთხრობებს: „სახრჩობელას წინაშე", „უსათაურო", „პირველი მაისი", „ჩემი დღიური", „თეთრი ღამე", „საპყრობილეში", „მოღალატე", „აღრჩევა სულისა" და ა. შ. ამ ნაწარმოებებში მწერალი კარგად სწვდება სიკვდილმისჯილის

ფსიქიკას, შესანიშნავად აღწერს სიკვდილის წინაშე სრულიად ბუნებრივ შიშსა და ადამიანის შინაგან ძალაში დარწმუნებული გმირების სულიერ მდგომარეობას – ოპტიმიზმს. მწერალს გამოაქვს ერთადერთი დასკვნა: ფიზიკურად დამარცხების მიუხედავად, საპყრობილეში გამოკეტილი რევოლუციონერები სულიერად მუდამ გამარჯვებულნი არიან.

შალვა დადიანი (1874-1959) დაიბადა დაბა ზესტაფონში. მწერლის მამამ, დიდმა პატრიოტმა, პუბლიცისტმა და მთარგმნელმა ნიკო დადიანმა უარი თქვა „რუსიფიკატორულ" სკოლაში შვილის შეყვანაზე და განათლება ოჯახში მიაღებინა. ნიკო დადიანის ოჯახში დროდადრო სტუმრობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, ბესარიონ ღოღობერიძე, პეტრე უმიკაშვილი, იონა მეუნარგია, რაფიელ ერისთავი, დავით კლდიაშვილი და სხვანი, რაც თავისთავად კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა მომავალი მწერლის ცნობიერებაზე. ამიტომ იყო, რომ იგი ბავშვობიდანვე მოგვევლინა ოჯახის ტრადიციების გამგრძელებლად. თოთხმეტი წლისა იყო შალვა დადიანი, როდესაც დაიწყო ლექსების წერა და დააარსა ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი". ოთხი წლის განმავლობაში მან ჟურნალის ოთხმოცამდე ნომერი გამოსცა, რომელშიც ახალბედა მწერალი ლექსებსა და მოთხრობებთან ერთად პუბლიცისტურ წერილებსა და თეატრალურ რეცენზიებსაც აქვეყნებდა. 1892 წელს დადიანების ოჯახი ქუთაისში გადასახლდა. ეს ხანა (1892-1921 წწ.) შალვა დადიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია. 1893 წელს შალვა დადიანმა კოტე მესხის თეატრში შეასრულა თავისი პირველი როლი და ქუთაისშივე **ქუჯის** ფსევდონიმით დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი კრებული „ნაპერწკალი". ქართული თეატრისადმი უზომო სიყვარულმა გადამწყვეტი როლი ითამაშა შალვა დადიანის, როგორც შესანიშნავი მსახიობისა და დრამატურგის ფორმირებაზე. შალვა დადიანმა ქართულ სცენაზე ასზე მეტი სპექტაკლი დადგა და სამასამდე როლი ითამაშა, ასევე დაწერა ორმოცამდე პიესა, რამდენიმე მოთხრობა და რომანი. XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის რევოლუციურმა აღმავლობამ მწერლის შემოქმედებასაც თავისი დაღი დააჩნია. ყოფილი არისტოკრატი თვითმპყრობელობასთან მებრძოლ და ჩაგრულთა ბედის გამზიარებელ მწერლად მოგვევლინა. იმ პერიოდის სოციალური დაძაბულობა და კლასობრივი დაპირისპირება შესანიშნავადაა დახატული შალვა დადიანის ცნობილ პიესებში „მღვიმეში", „როს ნადირობდნენ" და სხვა. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ჩვენი უბადრუკი ცხ-

ოვრებისათვის დამახასიათებელი დაქსაქსულობა, საზოგადოებრივი გულგრილობა, ამასთან, ხელისუფლების მხრიდან ქართველი ერისადმი ცინიკური განწყობა, მწერლის მიერ მაღალმხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული პიესებში „შენი ჭირიმე“ და „გუშინდელნი“. როდესაც ქუთაისის თეატრში ცენზურის მიერ აიკრძალა შალვა დადიანის პიესების დადგმა, მან ჩამოაყალიბა ბალაგანური ტიპის თეატრი – „მოგზაური დასი“. „მოგზაური დასი“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მართავდა სპექტაკლებს და კვლავ თამამად ეწეოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას, რისთვისაც შალვა დადიანს დაპატიმრების საფრთხე დაემუქრა. 1913-1917 წლებში ხელისუფლების მიერ დევნილი მწერალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაქოში. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ შალვა დადიანი ჩამოდის საქართველოში და კვლავ უბრუნდება თავის საყვარელ საქმიანობას, იწყებს ისტორიულ რომანზე („უბედური რუსი“) მუშაობას. პარალელურად აგრძელებს თეატრალურ მოღვაწეობასაც. 1917 წელს შალვა დადიანს ირჩევენ ქართველ მსახიობთა ამხანაგობის თავმჯდომარედ. იგი აქტიურად მონაწილეობს ქართული სახელმწიფო თეატრის შექმნაში. აღსანიშნავია, რომ 1920 წლის 15 ოქტომბერს სახელმწიფო დასმა სეზონის პირველ წარმოდგენად სწორედ შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი“ უჩვენა.

მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937) დაიბადა ბორჩალოს მაზრის სოფელ წერაქვში, ქიზიყიდან გადმოსახლებული შეძლებული გლეხის ოჯახში. მომავალმა მწერალმა დაწყებითი განათლება მიიღო პრივოლნოესა და ჯელალ-ოღლუს რუსულ სკოლებში. 1893 წელს მამამ მიხეილი გადაიყვანა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, სადაც მომავალ მწერალს ქართული ლიტერატურისა და სამშობლოს ისტორიისადმი სიყვარული ჩაუნერგა შესანიშნავმა პედაგოგმა მიხეილ მამულაშვილმა. ამ სკოლაში სწავლის პერიოდს ეკუთვნის მიხეილ ჯავახიშვილის შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან საგურამოში. მიხეილს ილიასათვის თავისი პირველი თხზულებები წაუკითხავს, დიდ მწერალს ისინი მოსწონებია, ავტორი კი შეუქია. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამთავრების შემდეგ მიხეილი მამამ ყირიმის საბაღოსნო და მეღვინეობის სასწავლებელში გააგზავნა, მაგრამ სასწავლებლის დამთავრება მას ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო არ დასცალდა (ყაჩაღებმა მოუკლეს დედა და უფროსი და სოფიო, რომელთა დარდს მამაც შეეწირა). სამშობლოში

დაბრუნებული მიხეილ ჯავახიშვილი გულს იცრუებს მშობლიურ სოფელზე და ალავერდსა და თბილისში ფიზიკური შრომით ირჩენს თავს. 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ დამატებაში იბეჭდება მწერლის პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“, სადაც პატარა, უპატრონო, მაწანწალა, მახინჯი და ყრუ-მუნჯი ბიჭის სახით რეალისტურად ხატავს ცხოვრების ფსკერზე მოქცეული, საზოგადოებისაგან გარიყული და დაბეჩავებული ადამიანების ხვედრს, მათ ტრაგიკულ ბედს. სოციალური უკუღმართობა ასევე კარგადაა გადმოცემული ჰუმანიზმის სულისკვეთებით დაწერილ მოთხრობებში: „კურკას ქორწილი“, „მეჩექმე გაბო“, „ეკა“, „უპატრონო“ და სხვ. მიხეილ ჯავახიშვილის ადრეული პერიოდის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რევოლუციის თემას, რაც განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ფსიქოლოგიური ჟანრის მოთხრობაში „ჯილდო“. აღნიშნულ მოთხრობაში მწერალი მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით აგვიწერს თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მუშებსა და პოლიციას შორის მომხდარ შეტაკებას და ამ შეტაკების დროს უცოდველი კაცის მკვლელად ქცევის, მისი სულის მარადიული ცოდვით დამძიმების სცენას. ამავე თემას აგრძელებს მწერალი მოთხრობაში „ხალხის სამართალი“. 1905-1907 წლებში მიხეილ ჯავახიშვილი ძირითადად პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი თანამშრომლობდა „ივერიაში“, „შრომაში“ და რედაქტორობდა გაზეთ „გლეხს“. მწვავე შინაარსის სტატიებისათვის, რომლებითაც გლეხების სამართლიან ბრძოლას ექომაგებოდა, მიხეილ ჯავახიშვილს აშკარად დაემუქრა დაპატიმრების საფრთხე, იგი იძულებული შეიქმნა საზღვარგარეთ წასულიყო. 1910 წელს სამშობლოში დაბრუნებული მწერალი მაინც ვერ ასცდა ხელისუფლების რისხვას და ერთი წელი მეტეხის ციხეში გაატარა, შემდეგ კი სამშობლოდან იქნა გაძევებული.

ნიკო ლორთქიფანიძე (1880-1944) დაიბადა ქვემო იმერეთში, სოფელ ჩუნეშში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, საიდანაც გადაიყვანეს ვლადიკავკაზში. უმაღლესი განათლების მისაღებად ნიკო ლორთქიფანიძე შედის ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ რევოლუციური საქმიანობით გატაცებისათვის იქიდან გამორიცხეს.

სამშობლოში დაბრუნებული ნიკო ლორთქიფანიძე დააპატიმრეს იმ დემონსტრაციებში აქტიური მონაწილეობისათვის, რითაც მოწინავე ქართული ინტელიგენცია წინ აღუდგა ცარიზმის მიერ გაჩაღებულ ანტიებრაულ კამპანიას. 1902 წელს ნიკო ლორთქი-

ფანიძე მიემგზავრება საზღვარგარეთ და ავსტრიის ქ. ლეობენის სამთო აკადემიაში შედის. ხუთი წლის შემდეგ იგი გერმანული ენის მასწავლებლად იწყებს მუშაობას ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. ასევე ასწავლიდა კლასიკურ გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელსა და ქალთა გიმნაზიაში. 1912 წელს ნიკო ლორთქიფანიძე თბილისში გადმოდის, სადაც პედაგოგობასთან ერთად ფართო საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობას ეწევა. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისი ქრონოლოგიურად ემთხვევა რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებას. მის ადრეულ ნაწარმოებებში, ლიტერატურული ჩანახატების სახით დაწერილ მინიატურებში აშკარად გამოიკვეთა მწერლის მსოფლმხედველობა, მისთვის დამახასიათებელი იმპრესიონისტული სტილი. კონკრეტული ეპოქის, კონკრეტული სატკივრის გადმოცემისას მწერლის ნაწარმოებებს წითელ ზოლად გასდევს მუდმივი სევდა და ტანჯვა. ესაა სევდა და ტანჯვა ჭეშმარიტების მიუღწევლობისა. ესაა სევდა მოგვრილი იმის გამო, რომ ცხოვრება ისე არაა მოწყობილი, როგორც ადამიანებს, ამ შემთხვევაში თვით მწერალსა და მისი ნაწარმოების პერსონაჟებს სურთ. იმპრესიონისტული სტილი ყველაზე ნათლად ჩანს ნიკო ლორთქიფანიძის ნოველათა ციკლში, რომელსაც „პანაშვიდი" ეწოდება („მოკვდა ადამიანი", „მოქანდაკე", „ბუნება", „შემოქმედი", „უიალქნოდ", „შელოცვა რადიოთი" და სხვ.). ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს კაპიტალიზმის მიერ გაუბედურებული თავადაზნაურობის ცხოვრების ასახვა. ნიკო ლორთქიფანიძის გმირები ტრაგიკული სიმწვავით გამოხატავენ სოციალურ განწირულობას („დანგრეული ბუდეები", „რუმბი", „ფეოდალები" და სხვ.). მწერლის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია პატრიოტულ მოტივს. მისი შესანიშნავი ნაწარმოებები „ჟამთა სიავე", „რაინდები", „მრისხანე ბატონი", „ქედუხრელნი" და სხვანი მოგვითხრობენ შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალური დაპირისპირებულობის, პატივმოყვარეობისა და სისასტიკის, ასევე რაინდობისა და მამაცობის შესახებ. ამ ნაწარმოებებში პირდაპირ არის წარმოდგენილი დაქუცმაცებისა და გათიშულობის კრიტიკა და ნაქადაგებია საქართველოს გაერთიანების იდეა. სამშობლოს დარბევა-განადგურებით მწერლის დამწუხრება, მისი გულისტკივილი ყველაზე ხმამაღლაა გამოთქმული 1910 წელს დაწერილ „საშობაო მინიატურებში", კერძოდ კი, მინიატურაში „იყიდება საქართველო".

ლეო ქიაჩელი (შენგელაია) (1884-1963) სოფლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ამავე პერიოდიდან იწყებს რევოლუციურ საქმიანობას. 1906 წელს ლეო ქიაჩელი პოლიციამ დააპატიმრა და იგი ქუთაისის ციხეში მოათავსეს. ციხის ქვეშ გათხრილი გვირაბით ლეო ქიაჩელი სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად გაიქცა და ხუთი წლის განმავლობაში მოსკოვში არალეგალურად ცხოვრობდა.

1912 წელს იგი ყალბი პასპორტით შვეიცარიაში გაემგზავრა და სწავლა ჟენევის უნივერსიტეტში განაგრძო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ლეო ქიაჩელს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა. იგი არჩეულ იქნა ზუგდიდის ერობის თავმჯდომარედ.

ლეო ქიაჩელის სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისი ემთხვევა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდს. მისი პირველი მოთხრობა „წარსული აწმყოში" დაიწერა მოსკოვში და გამოქვეყნდა გაზეთ „ჩვენ აზრში" ლ. მიხაძის ფსევდონიმით. ეს იყო ირონიული ნაწარმოები, მიმართული ე. წ. „მაღალი არისტოკრატიისადმი", რომელთაც ცხოვრებამ ჩამოართვა სოციალური ტიტული, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ, მაინც ყოყლოჩინობენ. ამავე პერიოდში მწერალი წერს ნოველებს: „სტეფანე", „ცოდვის შვილები", „წუთისოფელი", „მამა ოქროპირი" და სხვ. ამ ნაწარმოებებში აშკარად ჩანს სიმბოლისტური ელემენტებით გამდიდრებული მწერლის რეალისტური ხედვა, რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული დაბნეულობა და ნიჰილიზმი. ნიჰილისტური დამოკიდებულება ლეო ქიაჩელის ნოველებში თვით სიყვარულის მიმართაც კი შეიმჩნევა („ზღაპარი ბედნიერებაზე"). რუსეთის პირველი რევოლუციის თემატიკას ეძღვნება ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" (1916 წ.).

იოსებ გრიშაშვილი (მამულაშვილი) (1889-1965) დაიბადა თბილისში, ხარფუხის უბანში, ხელოსან გრიგოლ (გრიშა) მამულაშვილის ოჯახში. თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მესამე კლასის მოწაფე იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ბავშვობიდანვე მის ერთადერთ გატაცებას წიგნის კითხვა წარმოადგენდა. როგორც კი ცოტაოდენ ფულს იშოვიდა, მაშინვე წიგნებს ყიდულობდა და ასე ივსებოდა მისი შემდეგში საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიოთეკა. 1904 წელს იოსებ გრიშაშვილი მუშაობას იწყებს ხარფუხის სცენის მოყვარულთა დასში, თვითონ წერს პიესებს, დგამს სპექტაკლებს და როლებსაც თამაშობს. სამი წლის შემდეგ ვალერიან გუნიას მონწვევით სუფლიორად იწყებს

მუშაობას თეატრში. ვალერიან გუნია ხდება მისი პოეტური ნიჭის პირველი დამფასებელიც, მისი ხელშეწყობით ჟურნალ „ნიშადურში" დაიბეჭდა იოსებ გრიშაშვილის რამდენიმე ლექსიც. იოსებ გრიშაშვილის სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისად მიჩნეულია 1906 წელი, როდესაც გამოქვეყნდა მისი ლექსების კრებული სახელწოდებით „ვარდის კონა". თავიდანვე მის პოეზიაში გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება: სოციალური, პატრიოტული და სატრფიალო. 1906-1909 წლებში რუსეთის რევოლუციის გავლენით მისი ლირიკა ძირითადად სოციალური ხასიათისაა და აშკარად ჟღერს პოეტის საბრძოლო პათოსი („ტუსაღების სიმღერა", „დაჰბერე, ქარო", „მე წინ ვისწრაფვი", „მუშის სიმღერა" და სხვ.). რევოლუციის დამარცხებამ მის პოეზიასაც დააჩნია ერთგვარი გულგატეხილობის კვალი („ზამთარი", „ზღვა", „მწუხრი", „სიზმრად" და სხვ.). ეს განწყობილება იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში ქრება მხოლოდ 1917 წელს, როდესაც იგი თვითმპყრობელობის დამხობას ესალმება ლექსით „1917, ანუ ახალი სიმღერა მარსელიოზაზე". იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პატრიოტულ ლირიკას. იგი სათავეს იღებს 1907 წელს დაწერილი ლექსით „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა". სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მომავლის ოპტიმისტური ხედვა ნათლადაა წარმოდგენილი ლექსებში: „ქართული სიმღერა", „ალექსანდრე სუმბათაშვილს", „დათოვლილი მედროშე" და სხვ. იოსებ გრიშაშვილმა ლექსით „ჩემი ლოცვა" აშკარად დაგმო ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსია 1921 წლის თებერვალ-მარტში.

იოსებ გრიშაშვილის პატრიოტულ ლირიკაში ცალკე მიმართულებაა თბილისის თემა. თბილისური ფოლკლორი, აშულური ლექსი კვებავდა მის მხატვრულ ინდივიდუალობას, რის გამოც იოსებ გრიშაშვილი სწორედ თბილისის უპირველეს მომღერლად და მეხოტბედ ითვლება („ისანი", „თათრის ქალი სუბსარქისში", „ტრიოლეტები შეითანბაზარში", „მეფე ვახტანგი", „აშპაშხანისკენ", „ქორნილი ჩვენ უბანში" და სხვ.). იოსებ გრიშაშვილი იმ ქართველ პოეტთა უშუალო მემკვიდრეა, რომელნიც პოეზიაში აღმოსავლურ ნაკადს ამკვიდრებდნენ (ბესიკი, საიათ-ნოვა, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი). ალბათ ამიტომაცაა, რომ მათ მსგავსად იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაშიც სატრფიალო მოტივია წამყვანი. მისი სატრფიალო ლირიკის შესანიშნავი ნიმუშებია: „სიოს ვკითხე", „სინანული", „მანოლა", „რა კარგი ხარ, რა კარგი", „ჩემს დანიშნულს", „ოლოლ", „ხელთათმანის ღილი", „წმინდა ხარ, წმინდა" და სხვ.

გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959) დაიბადა ქვემო იმერეთში, სოფელ ჭყვიშში. მამა მას ადრე გარდაეცვალა და შვილების აღზრდის მთელი სიმძიმე

დედამისმა იტვირთა. ქვეყანაში დაწყებული რევოლუციის პერიოდში 1905 წ. გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისში სწავლობდა. ქუთაისი ამ დროს რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქის ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა მხურვალედ თანაუგრძნობდა რევოლუციას და მასზე ამყარებდა არა მარტო სოციალური უთანასწორობისაგან, არამედ ქართველი ერის ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლების იმედსაც. გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციური ქარტეხილის უშუალო მონაწილე ხდება, რევოლუცია მის მსოფლმხედველობას წარუშლელ კვალს აჩნევს. გალაკტიონის, როგორც შემოქმედის, პოეტური ბიოგრაფია 1908 წელს იწყება. რევოლუციის დამარცხებით გულგატეხილ რევოლუციონერ ახალგაზრდათა არალეგალურ შეკრებაზე იგი კითხულობს თავის პირველ ლექსს „პირველი მაისი". ლექსით პოეტი გამოხატავს ცარიზმის შავრაზმული რეაქციის მიმართ საკუთარ პროტესტსა და აღშფოთებას, იმავდროულად მომავალ ბრძოლებში გამარჯვების იმედსა და რწმენასაც გამოთქვამს.

1910 წელს გალაკტიონი სწავლას აგრძელებს თბილისში. ჯოხის დისციპლინასა და სწავლების ზუთხვით მეთოდს იგი ვერ ურიგდება და სწავლას მალევე ანებებს თავს. გალაკტიონი თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და ალმანახებში, დაკავებულია სამწერლო და პუბლიცისტური საქმიანობით. გალაკტიონი ქართულ კლასიკურ პოეზიას ამდიდრებს მოდერნისტული ლექსის კულტურით და მისი ლირიკა მხოლოდ გალაკტიონისათვის დამახასიათებელ ფორმებს აღნევს, მას უმაღლეს საფეხურზე აჰყავს ლექსის მუსიკალურ-რიტმული ჟღერადობა. 1914 წელს იბეჭდება გალაკტიონის ლექსების

კოტე მაყაშვილი

კრებული, რომლითაც სრულიად ახალგაზრდა პოეტი ქართული პარნასის სათავეში ექცევა. 1910-1916 წლებში გალაკტიონ ტაბიძე ქმნის თავისი შემოქმედების უკვდავ შედევრებს („შავი ყორნები", „მიმღერე რამე", „მესაფლავე", „მე და ღამე", „უსიყვარულოდ", „მამული", „წიწამურთან რომ მოკლეს ილია", „არ-

ნივებს ჩასძინებოდათ", „ატმის ყვავილები", „აკაკის ლანდი", „მერი", „მთაწმინდის მთვარე", „ვერხვები", „ლურჯა ცხენები", „მგლოვიარე სერაფიმები", „ბედის იქით" და სხვ.). 1917 წელს პოეტი წერს შესანიშნავ ლექსს „დროშები ჩქარა", რომლითაც მიესალმება ცარიზმის დამხობასა და დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას. ეს ლექსი გამოვლინება იყო ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისა, დროშები კი, რომელნიც საბჭოურ მწერლობაში პროლეტარულ დროშებად იყო მიჩნეული, სინამდვილეში ქართველი ხალხის სისხლით შეღებილ დროშებს წარმოადგენდა. 1919 წელს იბეჭდება გალაკტიონის მეორე კრებული „არტისტული ყვავილები", რომლითაც პოეტმა კიდევ უფრო გაამდიდრა და მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული ლექსის ტრადიციები. შემთხვევით არ იყო, რომ 1921 წელს ლექსისათვის „პოეზია უპირველეს ყოვლისა" ქართველმა პოეტებმა გალაკტიონს სამართლიანად მიანიჭეს „პოეტების მეფის" საპატიო ნოდება.

„ცისფერყანწელები": (მარცხნიდან დგანან: ტიციან ტაბიძე, რუსი პოეტი ანდრეი ბელი, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი; სხედან: კოლაუ ნადირაძე, ნიკოლო მინიშვილი).

„ცისფერყანწელები". XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ჩნდება სრულიად ახალი მიმართულება, რომელიც სიმბოლიზმის სახელითაა ცნობილი. სიმბოლისტები აცხადებდნენ, რომ არ არის საჭირო ხელოვნების ნიმუშები ყველას ესმოდეს. მხატვარი (მწერალი) უნდა აზროვნებდეს სიმბოლოებით, რომელიც მხოლოდ მისთვისა და მისი მნახველისათვის (მკითხველისათვის) იქნება გასაგები. სიმბოლისტთა პირველი პოეტური კრებულები საქართველოში პარიზიდან პაოლო იაშვილმა ჩამოიტანა. ქართული პოეზიის ევროპეიზაციის სურვილმა ლიტერატურულ მიმდინარეობად გააერთიანა ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა ჯგუფი, სულ 13 კაცი, რომელნიც იკრიბებოდნენ ქუთაისის კაფე „ქიმერიონში" და პოეზიის დანიშნულებაზე მსჯელობდნენ. 1916 წელს მათ დააარსეს ჟურნალი „ცისფერი ყანწები", რომლის პირველი ავტორები იყვნენ: პაოლო იაშვილი (რედაქტორი), ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, გრიგოლ რობაქიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და გალაკტიონ ტაბიძე. აღსანიშნავია, რომ ამ ჟურნალ „ცისფერ ყანწებში" დაიბეჭდა გალაკტიონის „ლურჯა ცხენები" და „მთაწმინდის მთვარე". მართალია, ქართველი „ცისფერყანწელები" პირველ ხანებში ფრანგი სიმბოლისტებისადმი მიმბაძველობით ხასიათდებოდნენ, მაგრამ შემდგომში მათი შემოქმედება ეროვნული სინამდვილით იწყებს საზრდოობას.

თებერვლის რევოლუციასა და ცენზურისგან ხელოვნების განთავისუფლებას მოჰყვა შემოქმედებითი კავშირების ჩამოყალიბება. მათ შორის პირველი გაერთიანება იყო ქართველ მწერალთა კავშირი, რომელიც 1917 წელს დაარსდა. მისი პირველი თავმჯდომარე იყო კოტე მაყაშვილი.

§5. ხელოვნება

1.**სახვითი ხელოვნება**. ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ფერწერის რეალისტური და პროგრესულ-დემოკრატიული სკოლის წარმომადგენლებმა: **ალექსანდრე ბერიძემ, ალექსანდრე მრევლიშვილმა, გიგო გაბაშვილმა, ნიკო ფიროსმანიშვილმა, მოსე თოიძემ, დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა, ელენე ახვლედიანმა, ქეთევან მაღალაშვილმა** და ა. შ.

ალექსანდრე ბერიძე (1858-1917) ცნობილია, როგორც პორტრეტისტი მხატვარი. იგი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პეტერბურგსა და ნეაპოლში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად მოღვაწეობდა ქართულ დრამატულ საზოგადოებაში და პირველ ილუსტრირებულ ჟურნალ „თეატრში" სისტემატურად აქვეყნებდა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა პორტრეტებს. მის მიერაა შექმნილი შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, სერგი მესხისა და სხვათა პორტრეტები. ალექსანდრე ბერიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ თემაზე შექმნილ პორტრეტებსაც, რომელნიც სახეთა ფსიქოლოგიური გამოსახვის თვალსაზრისით ოსტატობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ასეთია მისი „მომცინარი ბერიკაცი", „ბიჭი, რომელიც სალამურს უკრავს",

„უცნობი ქალი“, „ჩიბუხიანი ხევსური“, „წინდის-მქსოველი გოგონა“ და სხვ.

ქართული ხალხური მხატვრული ტრადიციები შესანიშნავი ფერწერული ტილოებით გაამდიდრა მსოფლიო მასშტაბის პრიმიტივისტთა სკოლის წარ-მომადგენელმა, უნიჭიერესმა თვითნასწავლმა მხატ-ვარმა **ნიკო ფიროსმანიშვილმა** (1860-1918). ადრე დაობლებული ნიკო ფიროსმა-ნიშვილი სრულიად ახალგაზრდა ჩამოვიდა თბილისში და დაიწყო შრომითი საქმიანობა. ხატავდა რესტორნებისა და დუქნების აბრებს, ფიზიკურად მუშაობდა რკინიგზაზე და ა. შ. მას არც ერთი საქმიანობა არ იტაცებდა, მისი შინაგანი მოთხოვნილება მხოლოდ ხელოვნება და ფერ-

წერა იყო, რასაც სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა კიდეც. ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებითი პალიტრა მრავალმხრივი და ხალხურია. ამაზე მეტყველებს როგორც ქართველი გლეხობის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ტილოები („რთველი“, „ქორ-წილი კახეთში“, „ქეიფი ვენახის თალარში“, „ლხინი ვენახში“), ასევე ქალაქური, ძველი თბილისის კოლორიტული ტიპების ამსახველი ტილოები („ორ-თაჭალელი ლამაზმანები“, „მუშა რუმბით“, „მუშა კასრით“, „მედუქნე“, „მეეზოვე“, „მეარღნე“ და ა. შ.). ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრე-ბული ადგილი უკავია ისტორიულ თემაზე შექმნილ პორტრეტულ ნამუშევრებს („შოთა რუსთაველი“, „თამარი“, „ერეკლე მეორე“, „გიორგი საკაძე“ და ა. შ.). იგი დიდი გემოვნებითა და სიყვარულით ხატა-ვდა როგორც ცხოველებს („დაჭრილი ირემი“, „ირემი ნუკრით“, „დათვი მთვარიან ღამეში“, „ჟირაფი“), ასევე ნატურმორტებს („მწვადი შამ-ფურზე“, „თევზი“, „ჭიქა წითელი ღვინით“). ნიკო ფიროსმანიშვილის ხელოვნებას გააჩნია საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერწერითი ტექნიკა და გამოსახვის საშუალებები. ამიტომაც არის მისი ისტორიული სიუჟეტები, პეიზაჟები, პორ-ტრეტები და ნატურმორტები შთამბეჭდავი და განუ-მეორებელი.

სოციალური თემატიკა დომინირებს შესანიშნავი ქართველი მხატვრის **ალექსანდრე მრევლიშვილის** (1866-1933) შემოქმედებაშიც. მისი შემოქმედებითი მრწამსის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია როგორც ქართული ლიტერატურის პროგრესულმა იდეებმა, ასევე რუსული, ე. წ. „პერედვიჟნიკული“ ხელოვნების მიმდევართა ჰუმანურმა და დემოკრა-ტიულმა იდეებმა. სოციალური უსამართლობის ყოფითი სცენებია წარმოდგენილი მის ნაწარმოებებ-ში: „სოფლის კანცელარიასთან“, „დაბალი ღობე“, „გზაჯვარედინზე“, „საფლავის კურთხევა“ და სხვ. ალექსანდრე მრევლიშვილი დიდ ყურადღებას უთ-მობდა როგორც პორტრეტულ ხელოვნებას (ლევ ტოლსტოის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ ნიკოლაძისა და სხვათა პორტრეტები), ასევე წიგნის მხატვრობას. მის მიერ დასურათებულ ქართული ლიტერატურის ნი-მუშებს შორის აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და „დედაენა“, „ქართული ზღაპრე-ბი“ და ბევრი სხვა.

ხელოვნებაში ახალი რეალისტური ფერწერის ფუძემდებლად გვევლინება **გიგო გაბაშვილი** (1862-1936), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჟანრულ და ბატალურ ფერწერას, ფსიქოლო-გიურად გააღრმავა პორტრეტუ-ლი და პეიზაჟური ფერწერა. პეტერბურგის სამხატვრო აკადე-მიაში სწავლის პერიოდში გიგო გაბაშვილი დაუახლოვდა რუსუ-ლი ხელოვნების შესანიშნავ წარ-მომადგენლებს, ე. წ. „პერედვიჟ-

ნიკებს“. მათ მოწინავე იდეებში ღრმად ჩაწვდომამ მხატვრის შემოქმედებაში დემოკრატიულობის, ხალხურობისა და ჰუმანურობის საბოლოოდ დამკვიდრება განაპირობა. ამ იდეებს ახორციელებ-და გიგო გაბაშვილი როგორც სამშობლოს თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში („სამი მოქალაქე“, „უცნო-ბი ქართველი თავადი“, „ქართველი ქალი დაირით“, „ტივებზე“, „დე-როზა“, „ალავერდობა“...), ასევე შუაზიური ციკლის ნამუშევრებშიც („დაბახანა“, „ბაზარი სამარყანდში“, „დივანბეგის აუზი ბუხარა-ში“ და სხვ.). გიგო გაბაშვილს რეალიზმის პრინციპე-ბისათვის არ უღალატია მიუნხენის სამხატვრო აკა-დემიაში სწავლის პერიოდში (1895-1898). პირიქით, იმ დროისათვის ევროპის ხელოვნებაში პოპულარულ მოდერნიზმს, ის რუსულ „პერედვიჟნიკულ“ მიმ-დინარეობასთან შედარებით ჩამორჩენილადაც კი მიიჩნევდა. სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი ქმნის ხევსურული ციკლის შესანიშნავ ნიმუშებს, როგორც პორტრეტებს, ასევე ჟანრულ კომპოზიციე-ბს, რომელთაგან აღსანიშნავია „მთვრალი ხევსური“, „მძინარე ხევსური“, „ხევსურები დაზვერვაზე“, „ბრძოლა არხოტში“, „ხევსურული ღრეობა“ და ა. შ. გიგო გაბაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენ-ლებთან, რომელთაც იგი ხშირად ხვდებოდა ცნო-ბილი მეცენატის დავით სარაჯიშვილის ოჯახში. მხ-ატვარმა ნატურიდან შეასრულა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას და სხვათა პორტრეტები. საერთოდ, მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მან-ძილზე გიგო გაბაშვილს შესრულებული აქვს ორი ათასამდე ნამუშევარი.

ქართულ ხელოვნებაში რეალისტური ტრადიციების გამგრძელებელი და სხვადასხვა ჟანრის ფუძემდებელია **მოსე თოიძე** (1871-1951). იგი ახალგაზრდობაშივე ქმნის ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების ამსახველ სურათებს („ყეენობა", „ბერიკაობა"), რომელთაც თავის დროზე უთუოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ყეენობის დღეებში მახვილგონივრულად მორთული მოქალაქეები აბუჩად იგდებდნენ და დასცინოდნენ მეფის ჩინოვნიკებს, ჟანდარმებსა და სხვადასხვა ჯურის მოხელეებს. მოსე თოიძე ახალგაზრდობაში ასევე გატაცებული იყო ცნობილი ქართველი მწერლების პორტრეტების ხატვით. ამ პერიოდს განეკუთვნება შოთა რუსთაველის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, დანიელ ჭონქაძისა და სხვათა პორტრეტები. დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის შუამდგომლობით მოსე თოიძე ჩაირიცხა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის თავისუფალ მსმენელად, პარალელურად იგი ცოდნას იღრმავებდა და ოსტატობას ხვეწდა რეპინის სახელოსნოშიც. 1900-1901 წლებში შესრულებულმა სადიპლომო ნაშრომმა „მცხეთობა" მხატვარს დიდი აღიარება და ავტორიტეტი მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ეს ტილო მხატვარმა მომდევნო წლებში რამდენჯერმე გადააკეთა. 1903 წელს მოსე თოიძე მონაწილეობას იღებს „პერედვიჟნიკთა" გამოფენაში, სადაც წარმოდგენილ იქნა სურათი „მრეცხავი ქალი", რომელმაც მნახველთა და კრიტიკოსთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამავე პერიოდში მხატვარი ქმნის შესანიშნავ ტილოებს: „მწვადი", „ვაჭრის პორტრეტი", „ებრაელის პორტრეტი", „სამჭედლო", „კალოზე". მოსე თოიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა 1908-1914 წლები. ამ დროს იქმნება ცხოვრებისეული, ღრმად რეალისტური ტილოები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: „მხატვრის სახელოსნოში", „ხევსური", „მთვარიანი ღამე", „ბავშვები აივანზე", „ჩრდილი ტყეში", „გადარჩენილი დევგმირები" და სხვ.

ქართველ მხატვართა ახალი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია **დავით კაკაბაძე** (1889-1952). მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია როგორც ეროვნული ტრადიციების გაღრმავების, ასევე დასავლეთ ევროპის ხელოვნების მიმდინარეობათა გაგრძელებისა და პრაქტიკული შეთვისების წადილი.

დავით კაკაბაძე უარყოფს ხელოვნებაში ერთფეროვნებას და ისწრაფვის ხატოს სხვადასხვა მხატვრულ-სტილისტიკური მანერით, რაც, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავდა მის მხატვრულ შემოქმედებით მრწამსს. 1913-1918 წლებში დავით კაკაბაძის მიერ შესრულებულ ნამუშევართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტოპორტრეტები და ახლობელთა პორტრეტები („ავტოპორტრეტი ბრონეულით", „ნაცრისფერ ხალათში", „ავტოპორტრეტი სარკეში", „ძმის პორტრეტი" და სხვ.). დავით კაკაბაძისათვის შინაგანი და ახლობელი თემაა იმერეთი. ამ სერიალიდან შექმნილ სურათებს შორის უაღრესად საყურადღებო ნამუშევარს წარმოადგენს „იმერეთი. დედაჩემი". ეს არის ერთდროულად დედისა და მშობელი ბუნების ფერწერულად გამოსახვა. ბუნება და მისი რეალური, ამაღლებული ასახვა შესანიშნავადაა წარმოდგენილი მხატვრის ტილოებში, რომლებიც თბილისსა და მის შემოგარენს ეძღვნება. იგივე შეიძლება ითქვას ფრანგულ, ე. წ. „ბრეტანული" სერიალის ნამუშევართა შესახებაც. დავით კაკაბაძე მხატვრობასთან ერთად დიდ სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა. იგი ხშირად წერდა სტატიებს ხელოვნებაზე, იკვლევდა ქართული ჩუქურთმის გენეზისს და სხვ. დავით კაკაბაძემ შექმნა შესანიშნავი მეცნიერული ნაშრომი XII საუკუნის ქართველი ოქრომჭედლის ბექა ოპიზარის შესახებ.

XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობას იწყებს ქართველ მხატვართა ახალი თაობის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **ლადო გუდიაშვილი** (1896-1981). მისი ხელოვნების მასაზრდოებლად გვევლინება ქართველი ერის მხატვრული მემკვიდრეობა, ნიკო ფიროსმანის შემოქმედება და ევროპული მოდერნიზმი. თბილისის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლადო გუდიაშვილი იწყებს წიგნის ილუსტრაციების კეთებას და ხატავს ქართული ფრესკების ასლებს. აღსანიშნავია, რომ მან ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ფეხით შემოიარა თორთომისა და ისპირის ხეობების ქართული მონასტრები და იქ დაცული თითქმის ყველა ფრესკიდან ასლი გადმოიღო. ლადო გუდიაშვილის შემოქმედების მთავარი თემა ყოველთვის იყო თბილისი და თბილისური ფანტაზიები. იგი გატაცებით ხატავს ძველი თბილისის ეგზოტიკურ სახეებს – კინტოებს, ყარაჩოხელებს, ვაჭრებს და სხვ. 1919 წელს თბილისში მოწყობილ გამოფენაზე ლადო გუდიაშვილმა წარმოადგინა ოთხმოცამდე ფერწერული ნამუშევარი, რომელთაც ავტორს სახელი და აღიარება მოუტანეს. კრიტიკამ იგი შეაფასა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და პერსპექტიული მხატვარი. იმავე წელს ლადო გუდი-

აშვილი დავით კაკაბაძესთან ერთად პარიზში მიემგზავრება, სადაც პირველივე გამოფენაზე მისმა ფერწერულმა ტილოებმა „ქეიფი", „კინტოების ქეიფი ქალთან" და „ქეიფი გარიჟრაჟზე" აღტაცებაში მოიყვანა როგორც პარიზის საზოგადოება, ასევე ბევრი სახელგანთქმული მხატვარიც.

ქართველ მხატვართა ახალი თაობიდან აღსანიშნავია **ელენე ახვლედიანი** (1901-1975). მისი პირველი ნამუშევრები („თელავი", „ბოდბის მონასტერი" და სხვ.) უკვე მიანიშნებდა ხელოვანის განსაკუთრებულ ნიჭზე. მოღვაწეობის დასაწყისშივე მიიპყრო ყურადღება ქართველ მხატვართა ახალი თაობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა **ქეთევან მაღალაშვილმა** (1894-1973). მხატვრის პირველი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი.

ქართული ქანდაკების ფუძემდებელია **იაკობ ნიკოლაძე** (1976-1951). ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იაკობი უფროსი ძმის ხელშეწყობით მიემგზავრება მოსკოვში, საიდანაც ორი წლის შემდეგ გადადის ოდესაში და ადგილობრივ სამხატვრო სასწავლებელში შეგირდად ეწყობა. ძირითად სპეციალობად ის მოქანდაკეობას ირჩევს.

1899-1901 წლებში იაკობ ნიკოლაძე სწავლობდა პარიზში, სადაც ანტიკურ ხელოვნებასთან ერთად თანამედროვე ევროპულ მიმდინარეობებსაც საკმაოდ ახლო გაეცნო. იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებითი თემატიკა პარიზში მოღვაწეობის დროსაც ქართული იყო, რასაც ადასტურებს გიგო გაბაშვილის ფერწერული ტილოების ღრმა შთაბეჭდილებებით შექმნილი მცირე მოცულობის ქანდაკება „ხევსური". იაკობ ნიკოლაძე 1904 წელს მეორედ მიემგზავრება პარიზში და მოღვაწეობას იწყებს ქანდაკებაში იმპრესიონიზმის ფუძემდებლის ოგიუსტ როდენის სახელოსნოში. როდენთან მუშაობის შედეგად მოქანდაკემ თავისი ოსტატობა უმაღლეს დონეზე აიყვანა, ამავე დროს, გამოიმუშავა მასალის ზედაპირის ნარნარი მოდელირების საკუთარი მანერაც. იაკობ ნიკოლაძის მიერ პარიზში შექმნილი ქანდაკებებიდან აღსანიშნავია „სალომეა", „ჩრდილოეთის ასული", „ქალი იასამნის ქვეშ" და სხვ. 1908 წელს იაკობ ნიკოლაძე თბილისში ბრუნდება და ქმნის შესანიშნავ ქანდაკებებს, მათ შორის „მწუხარე საქართველოს", რომელიც 1913 წელს მთაწმინდის პანთეონში ილია ჭავჭავაძის საფლავზე იქნა დადგმული.

ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი აღმავლობა იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. ამ დროს მხატვართა შემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზაციული წარმართვისათვის მხატვართა საზოგადოების ინიციატივით ხშირად ეწყობოდა ქართველ მხატვართა გამოფენები როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. 1920 წელს ქართული სახვითი ხელოვნება გასცდა ქვეყნის ფარგლებს, ქართველ მხატვართა ნამუშევრები გამოფენილ იქნა იტალიასა და საფრანგეთში. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უთუოდ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ნარმოადგენდა 1920 წლის 1 თებერვალს თბილისში ეროვნული სამხატვრო გალერეის გახსნა. გალერეის დაარსება საგამოფენო საქმიანობის ორგანიზებასთან ერთად, მიზნად ისახავდა ფერწერისა და სკულპტურული ნანარმოებების შეგროვებასა და დაცვას.

2. არქიტექტურა. XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია საქალაქო არქიტექტურის განვითარებაზე. აშკარად შეიმჩნევა ხუროთმოძღვრებაში გაბატონებული მოდერნის სტილის შენობებში ქართული ფორმების შერწყმა, რისი მაჩვენებელიცაა 1902 წელს ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაწყებული და 1913 წელს დამთავრებული ქართული სათავადაზნაურო ბანკის (ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკა) შენობა. აღნიშნული ნაგებობის მოჩუქურთმებაზე მუშაობდნენ **ნეოფიტე აგლაძე** და მისი ძმები. 1904-1910 წლებში თბილისში აშენდა ქაშუეთის ეკლესია, რომელსაც საფუძვლად დაედო სამთავისის ტაძრის ფორმა. ტაძრის შესანიშნავი ჩუქურთმებიც ასევე ნეოფიტე აგლაძის შემოქმედების ნაყოფია.

ხუროთმოძღვრებაში ქართული ტრადიციების აღორძინების შესანიშნავი ნიმუშია ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის (ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) შენობა. მშენებლობის საქმეს 1897 წელს სათავეში ჩაუდგა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხვედაძე, რომელმაც ქალაქის მიჯნების გარეთ, ვერის ხევის გაღმა, შეიძინა ექვსი დესეტინა მინის ნაკვეთი. მშენებლობა და პროექტის შედგენა დაევალა ნიჭიერ ქართველ ხუროთმოძღვარს **სვიმონ კლდიაშვილს**. 1900 წლის 14 ოქტომბერს შენობას საზეიმოდ ჩაეყარა საფუძველი, 1906 წელს კი მშენებლობა დასრულდა.

სვიმონ კლდიაშვილი

ამავე პერიოდში თბილისში აიგო სხვა შესანიშნავი შენობებიც. მათ შორის აღსანიშნავია: რუსთაველის თეატრი, რეალური სასწავლებელი,

კონსერვატორია, ოფიცერთა სახლი, ე. წ. მელიქ-კაზარიანცის სახლი, სასტუმრო „თბილისი", ფუნი-კულიორი და სხვ.

3. მუსიკა. XX საუკუნის დასაწყისში კვლავ გრძელდებოდა ქართული ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო საგალობლების შეგროვება და ჩაწერა

ლადო აღნიაშვილი

ქართველ მუსიკოსთა მიერ. ქართული ხალხური სამუსიკო გუნდების ჩამოყალიბების საქმეში **ხარლამპი სავანელისა** და **ლადო აღნიაშვილის** შესანიშნავი ტრადიციების გამგრძელებლად მოგვევლინენ **მელიტონ ბალანჩივაძე, სანდრო კავსაძე, ნი-**

დიმიტრი არაყიშვილი

კოლოზ სულხანიშვილი, ავქსენტი მეგრელიძე, ძუკუ ლოლუა და სხვანი. ცნობილია, რომ 1915 წლისათვის მარტო თბილისში ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შემსრულებელი 17 გუნდი არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ცნობილმა ქართველმა მუსიკოსმა **ნიკო სულხანიშვილმა** ამ გუნდებისათვის სპეციალურად შექმნა საგუნდო სიმღერები („გუთნური", „სამშობლო ხევსურისა", „ღმ-

მელიტონ ბალანჩივაძე

ერთო, ღმერთო" და ა. შ.). ამავე პერიოდში ფართო გავრცელება პოვა რომანსის ჟანრმა. ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მელიტონ ბალანჩივაძის („ოდეს გიცქერ", „შენ გეტრფი მარად", „ნანა"), **ია კარგარეთელის** („არაგვო", „მშვენიერთა ხელმწიფავ", „თეთრი ვარდი"), **დიმიტრი არაყიშვილის** („მე შენ გელი", „ვარსკვლავიანსა ღამეს", „ივერიის მთებზე", „ვარდყვავილთა სამეფოს

ზაქარია ფალიაშვილი

მოდი"), **ანდრია ყარაშვილის** („ისევ შენ", „დავრდომილი სნეული"), **ზაქარია ფალიაშვილის** („ახალ აღნაგო სულო", „ნანა, შვილო"), **კოტე ფოცხვერაშვილის** („ლალე", „ინდი-მინდი") რომანსები. კოტე ფოცხვერაშვილს ეკუთვნის ასევე პირველი ქართული სიმფონიური ნაწარმოები „ჰიმნი ორმუდს", რომელიც შეიქმნა 1910 წელს.

ახალი ქართული სამუსიკო კულტურის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1905 წელს **ია (ილია) კარგარეთელის** თაოსნობით თბილისში დაარსებულ „ფილარმონიულ საზოგადოებას", რომელშიც აქტიურად მოღვაწეობდნენ **ზაქარია ჩხიკვაძე, ანდრია ყარაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი** და ბევრი სხვა გამოჩენილი მუსიკოსი. სწორედ ეს საზოგადოება იყო წინამორბედი 1917 წელს თბილისში დაარსებული კონსერვატორიისა.

ქართული ხალხური საგუნდო მუსიკისა და ქართული რომანსის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ საოპერო ხელოვნებას. პირველი

ვანო სარაჯიშვილი

ქართული ოპერა, რომელიც აკაკი წერეთლის ცნობილი პოემის მიხედვით დაწერა **მელიტონ ბალანჩივაძემ,** იყო „თამარ ცბიერი". ოპერის ძირითადი ნაწყვეტები 1897 წელს იქნა წარმოდგენილი პეტერბურგში შემდეგ ავტორმა ოპერა გადაამუშავა და მას „დარეჯან ცბიერი" უწოდა. 1919 წელს 5 თებერვალს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე შედგა პრემიერა **დიმიტრი არაყიშვილის** ოპერისა „თქმულება შოთა რუსთაველზე". სპექტაკლი დადგა რეჟისორ-

მა **ალექსანდრე წუწუნავამ,** ხოლო მთავარ როლებს ასრულებდნენ **ვანო სარაჯიშვილი** და **სანდრო ინაშვილი.** 1919 წლის იანვარში **ზაქარია ფალიაშვილმა** დაასრულა მუშაობა თავის უკვდავ ოპერაზე „აბესალომ და ეთერი", რომლის პრემიერაც გაიმართა 1919 წლის 20 თებერვალს. 1919 წელს ქართულ საოპერო სცენაზე დაიდგა კიდევ ერთი ახალი ოპერა – **ვიქტორ დოლიძის** „ქეთო და კოტე". ქართული ოპერების გარდა სცენაზე იდგმებოდა კლასიკური ოპერებიც („დემონი", „აიდა", „ფაუსტი" და ა. შ.). აღსანიშნავია, რომ 1919 წელს თბილისში დაიდგა პირველი ქართული ბალეტი „ვაკხის დღესასწაული".

4. თეატრი და კინემატოგრაფია. XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის ეროვნულ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **ქართულ თეატრს.** თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის პროფესიული დასები მსოფლიო დრამატურგიის შესანიშნავ ქმნილებებთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ რეპერტუარს, განსაკუთრებით პოლიტიკური და სოციალური ხასიათის წარმოდგენებს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა კომედიური ჟანრის პიესები, მაგალითად, **გიორგი ერისთავის** „გაყრა", „ძუნწი", „დავა", **ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში", ავქსენტი ცაგარელის** „რაც გინახავს, ველარ ნახავ" და „ხანუმა", **გაბრიელ სუნდუკიანის** „პეპო" და ა. შ. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ქუთაისის თეატრში **ლადო მესხიშვილმა** დადგა „გაიუს გრაკხუსი", რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა მოწოდებას წარმოადგენდა. მოგვიანებით ამავე სცენაზე დაიდგა **მაქსიმ გორკის**

ქართული დასის მსახიობები

იმ დროისათვის აკრძალული პიესა „ფსკერზე". ქართულ სცენას კვლავ ამშვენებდნენ შესანიშნავი ქართველი მსახიობები: **მაკო საფაროვა-აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ვასო აბაშიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ნატო გაბუნია, მიხეილ ქორელი** და სხვანი.

1917 წლიდან იწყება ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი. ცენზურის მოხსნა და დრამატურგიაში თავისუფალი თემების დამკვიდრება ხელს უწყობდა როგორც თეატრალური რეპერტუარის გამრავალფეროვნებას, ასევე მსახიობთა და რეჟისორთა შემდგომ დაოსტატებას. 1917 წელს საქართველოში ბრუნდება **გიორგი ჯაბადარი,** რომელმაც თეატრალური განათლება ბელგიასა და საფრანგეთში მიიღო. იგი სათავეში უდგება **დრამატული საზოგადოების სასცენო ხელოვნების სტუდიას.** გიორგი ჯაბადარმა უარი თქვა ძველი თაობის მსახიობებთან თანამშრომლობაზე და დასში ჩარიცხა ახალგაზრდა პერსპექტიული მსახიობები: **ვერიკო ანჯაფარიძე, ცაცა ამირეჯიბი, მიხეილ ჭიაურელი, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, გიორგი არადელ-იშხნელი** და სხვანი. 1918 წლის 18 ნოემბერს სახელმწიფო თეატრის სცენაზე დასმა წარმოადგინა **„სარწმუნოება",** რომელშიც მთავარ როლებს თამაშობდნენ **ილია ზარდალიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე** და **მიხეილ გელოვანი.** ძველი თაობის მსახიობები გაერთიანდნენ **ქართველ მსახიობთა კავშირში,** რომელსაც სათავეში **შალვა დადიანი** ედგა. მსახიობთა კავშირის დასმა თეატრალური სეზონი გახსნა 1918 წლის 6 დეკემბერს. სახელმწიფო თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა **ალექსანდრე სუმბათაშვილის** „ღალატი". შემდეგ დაიდგა **ნიკოლოზ შიუკაშვილის** „მთის ზღაპარი", **ავქსენტი ცაგარლის** „ხანუმა", **ლეო ქიაჩელის** „ტარიელ გოლუა", **სოფოკლეს** „ანტიგონე" და ა. შ. ორივე დასის მიერ აქტიური თეატრალური ცხოვრების დაწყების მიუხედავად, არც ერთ მათგანს არ გააჩნდა საკუთარი შენობა, არ იყო დაფინანსება და მთავრობის მხრიდან სათანადო ყურადღება, რამაც, საბოლოო ჯამში, 1919-1920 წლების თეატრალური სეზონის ფაქტობრივი ჩავარდნა განაპირობა. მდგომარეობის ნაწილობრივი გამოსწორება მოხერხდა მხოლოდ 1920 წელს, როდესაც შეიქმნა **სახელმწიფო დრამატული დასი,** ანუ **მეორე სახელმწიფო თეატრი.** მას მუდმივ მფლობელობაში გადაეცა იუზბაშევის სახლი (რუსთაველის სახელობის თეატრის შენობა). დასში ჩაირიცხა ძველი და ახალი თაობის 42 მსახიობი და 5 რეჟისორი (ვლადიმერ მესხიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, ალექსანდრე ფალავა, მიხეილ ქორელი, ალექსანდრე წუწუნავა). 1920 წლის შემოდგომაზე ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სპექტაკლები:

„გუშინდელნი“, „ოიდიპოს მეფე“, „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“, „ოტელო“ და ა. შ.

პროფესიულ თეატრებთან ერთად ქვეყნის მასშტაბით კვლავ აქტიურად მოღვაწეობდნენ **სახალხო თეატრები.** ასეთი თეატრები არსებობდა ჭიათურაში, გორში, ოზურგეთში, სენაკში, დუშეთში, ზუგდიდში და ა. შ. თბილისში მოქმედი სახალხო თეატრებიდან აღსანიშნავია: ავჭალის, ნაძალადევის, ავლაბრის, ნავთლულისა და სხვა თეატრები. ძმები ზუბალაშვილების მიერ აშენებულ სახალხო სახლში ერთდროულად ფუნქციონირებდა **რუსული, ქართული და სომხური** სახალხო თეატრები.

XIX საუკუნის ბოლოს ჩნდება ხელოვნების ახალი დარგი **კინემატოგრაფია.** კინემატოგრაფიის პარიზული ისტორიული პრემიერის (28 დეკემბერი, 1895 წ.) შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ საუკუნის საოცრებამ საქართველოშიც შემოაღწია. კინოსეანსები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ქართველებმა ფიქრიც კი დაიწყეს იმაზე, რომ თვითონ მოეკიდათ ხელი კინემატოგრაფიისათვის. ასე გაჩნდნენ პირველი ენთუზიასტები – **ვასილ ამაშუკელი** და **ალექსანდრე დიღმელოვი,** რომელთაც თავიანთი მოკრძალებული სიუჟეტებით XX საუკუნის დამდეგს საფუძველი ჩაუყარეს **ქართულ კინოს.** 1912 წელს **ვასილ ამაშუკელმა (1886-1977)** გადაიღო ფილმი **„აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“,** რომელიც თავისი იდეურ-პროფესიული ღირსებებითა და მეტრაჟითაც (1200 მ.) იმდროინდელი მსოფლიო დოკუმენტური კინოს უნიკალური ძეგლია. 1916 წელს **ალექსანდრე წუწუნავამ (1874-1955)** ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით გადაიღო მხატვრული ფილმი **„ქრისტინე“.**

ვასილ ამაშუკელთან, ალექსანდრე დიღმელოვთან, ალექსანდრე წუწუნავასთან ერთად ქართული კინოს სათავეებთან იდგნენ **შალვა დადიანი** და **გერმანე გოგიტიძე.**

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში თბილისში არსებულმა კინოატელიებმა გადაიღეს რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, მათ შორის აღსანიშნავია: **„1918 წ. ბათუმის კონფერენცია“, „გვარდიის დღე“, „დამფუძნებელი კრების გახსნაზე“, „ევროპის სოციალისტური დელეგაცია თბილისში“** და სხვ.

დიმიტრი შევარდნაძე

ქართული კულტურის განვითარებაში დიდი წელილი მიუძღვის **„ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას“,** რომელიც **დიმიტრი შევარდნაძის** ინიციატივით დაარსდა 1916 წელს. საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1916-1921 წლები.

§ 6. სპორტი

XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში სპორტს გამორჩეული ადგილი უკავია. ვინაიდან იგი არა უბრალოდ ფიზიკური წრთობის, არამედ ხშირად ეროვნული მეობის გამოხატულება იყო. ქართველი სპორტსმენების მიერ მოპოვებული გამარჯვებები არცთუ იშვიათად ძველ დროში ბრძოლის ველზე მოპოვებულ გამარჯვებას ეთანადებოდა. ამის შემყურე ქართველობას კი გული რწმენითა და მხნეობით ევსებოდა. სამშობლოს თავისუფლების მოტრფიალე ხალხს გამოჩინებული სპორტსმენი ეროვნული გმირის კვარცხლბეკზე აჰყავდა და ეთაყვანებოდა.

საუკუნის დასაწყისში საქართველოში, ბუნებრივია, უფრო პოპულარული და ხალხში ფართოდ გავრცელებული იყო სპორტის ეროვნული სახეობები. სოფლებსა და უბნებს შორის იმართებოდა ყოველწლიური და სეზონური შეჯიბრებები. ასპარეზობა მოსახლეობისათვის გართობისა და დასვენების საშუალება იყო. დასავლეთ საქართველოში უმეტესად გავრცელებული იყო **საცხენოსნო** სპორტი და მისგან მომდინარე თამაშობები (მარულა, ისინდი, ყაბახი, ცხენბურთი).

აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული იყო **ქართული ჭიდაობა.** არც ერთი შეკრება თუ ხალხური დღესასწაული ჭიდაობის გარეშე არ ჩაივლიდა. განთქმული ქართველი ფალავნები: სანდრო კანდელაკი, ნესტან ესებუა, შაშო ვერელი, მიშიკო მაჩაბელი, ილიკო ქურხული მთელს რუსეთში იყვნენ ცნობილნი. ივანე აბულაძე რუსეთის იმპერიის თორმეტგზის ჩემპიონი იყო.

იმდროინდელი ფალავნები მოხეტიალე ცხოვრებას მისდევდნენ. გადადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში და ცირკის არენაზე (იმხანად ჭიდაობა ცირკის არენაზე იმართებოდა) ერკინებოდნენ ირანელ, თურქ, რუს და სხვა ეროვნების ფალავნებს. არცთუ იშვიათად შეხვედრის შედეგს ამ შეხვედრის ორგანიზატორები განსაზღვრავდნენ გარიგების საფუძველზე. ქართველი ფალავნების ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი უმხედრდებოდნენ შეხვედრის ორგანიზატორებსაც, მსაჯებსაც და ფულზე მაღლა სახელსა და ღირსებას აყენებდნენ. არაერთ ქართველ ფალავანს გაუმარჯვნია ასეთი უსამართლობის პირობებში.

საქართველოს, განსაკუთრებით კი რუსეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ გასული ქართველი სპორტსმენი რუსად ითვლებოდა. ასევე მოიხსენიებდნენ მათ საერთაშორისო პრესაში. ამის კლასიკური ნიმუშია გურული მოჯირითეების გუნდი ლუკა ჩხარტიშვილისა და ივანე მახარაძის ხელმძღვანელობით. ეს უბადლო ცხენოსნები თითქმის 20 წლის მანძილზე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, მოგზაურობდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და აცვიფრებდნენ მაყურებელს თავისი ოსტატობით. სანახაობის ორგანიზატორებმა თავიდანვე გადაწყვიტეს მათთვის ეწოდებინათ „რუსეთის იმპერიის გვარდიის კაზაკები". ბუნებრივია, ამგვარი რეკლამა აათმაგებდა ქართველი ცხენოსნებისადმი ინტერესს.

ქართველი სპორტსმენი თავისი ეროვნების გამო იჩაგრებოდა და უსახელოდ რჩებოდა არაერთ სხვა შემთხვევაშიც. 1912 წელს ლა-მანშის სრუტის სენსაციური გადაცურვისა და მსოფლიო რეკორდის (22 საათი) დამყარების ამბავი რომ გაიგო, ქართველმა მოცურავე **მემედ ბედიამ** გააუმჯობესა ეს შედეგი და ფოთი-ბათუმის 53-კილომეტრიანი მონაკვეთი (თითქმის 2-ჯერ მეტი ლა-მანშზე) იმავე დროში გაცურა. ამასთან, სპორტსმენს არ ახლდა მაშველი ნავი და არ ჰქონდა დამხმარე საშუალებები. ასევე უსახელო მსოფლიო რეკორდსმენი იყო თბილისის ძალოსანთა წრის აღზრდილი **გიორგი ჩიკვაიძე**, რომელმაც 1916 წელს ატაცში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

გიორგი ნიკოლაძე

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ქალაქებში ყალიბდება პირველი პროფესიონალური სპორტული წრეები. სპორტის პირველ კლასიკურ სახეობად საქართველოში ითვლება **ფარიკაობა**. 1900 წელს თფილისში პირველი საფარიკაო დარბაზი გაიხსნა. იმავე ხანებში ჩამოყალიბდა **ველოსპორტის** მოყვარულთა საზოგადოება და აშენდა პირველი ველოტრეკი (ამჟამინდელი მარჯანიშვილის თეატრის ადგილზე).

ქალაქური სპორტული შეჯიბრება იყო **კრივი**, რომელიც ინგლისური „ბოქსისა" და ქართული მუშტი-კრივის ელემენტების შეჯვარებით პროფესიულ სპორტის სახეობად ჩამოყალიბდა. ქართული ეროვნული ვარჯიში – **მუშაითობა** – იქცა საფუძვლად ტანვარჯიშის განვითარებისათვის საქართველოში. 1900 წელს საქართველოში ჩამოდის ჩეხი ტანმოვარჯიშე **ანტონ ლუკეში** და აარსებს ჩეხური ტანვარჯიშის საზოგადოება „სოკოლს". ამ საზოგადოების აღზრდილებმა მალე მთელი ევროპა მოიარეს ტურნეთი და დიდი პოპულარობაც მოიპოვეს. საზოგადოების ქართულ ყაიდაზე გარდაქმნაში დიდი წვლილი მიუძღვით **გიორგი ეგნატაშვილს** და ცნობილი მეცნიერსა და ინჟინერს **გიორგი ნიკოლაძეს**. 1918 წლის 25 აგვისტოს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს პირმშო სატანვარჯიშო საზოგადოება **„შევარდენი"**. ეს საზოგადოება არა მარტო სპორტის განვითარებას უწყობდა ხელს, არამედ, უპირველესად, ქართველი ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის საქმეს ემსახურებოდა.

გიორგი ნიკოლაძის სახელთან არის დაკავშირებული ქართული **ალპინიზმის** ჩასახვა. მისი ხელმძღვანელობით იქმნება პირველი ალპური კლუბი თბილისში. 1923 წელს განხორციელდა ასვლა მყივარწვერზე, **გიორგი ნიკოლაძის, ალიოშა** და **შურა ჯაფარიძეების** მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი ალპინისტური ექსპედიცია იყო და ოფიციალურად საბჭოთა ალპინიზმის დაბადების დღედ ითვლებოდა.

XX საუკუნის დამდეგიდან იწყება ქართული **ფეხბურთის** ისტორიაც. სანავსადგურო ქალაქებში (ფოთი, ბათუმი) ბრიტანელი მეზღვაურების მიერ შემოტანილი სპორტის ეს ახალი სახეობა კარგად შეეთვისა ქართულ ხასიათსა და ტრადიციებს (ლელობურთი). XX საუკუნის 10-იან წლებში იქმნება პირველი პროფესიული საფეხბურთო გუნდები („შევარდენი", „კოლხეთი"). ოფიციალურად აღნუსხული პირველი საერთაშორისო მატჩი გაიმართა 1912 წელს, როდესაც თბილისის ნაკრებმა მოუგო ინგლისურ გუნდს ანგარიშით 5:4.

ქართული ფეხბურთის ისტორია თავიდანვე ასოცირდებოდა თბილისის „დინამოსთან". ეს პროფესიული კლუბი 1925 წელს ჩამოყალიბდა. 1936 წლიდან კლუბი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში და იმთავითვე მხოლოდ საპრიზო ადგილებზე აცხადებდა პრეტენზიას. მალე ბორის პაიჭაძე და გაიოზ ჯეჯელავა საკავშირო მასშტაბის ვარსკვლავებად იქცნენ. 1937 წელს თბილისის „დინამომ" ორი შეხვედრა გაუმართა და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია იმდროინდელი მსოფლიო ფეხბურთის ფლაგმანს – ბასკეთის ეროვნულ ნაკრებს. ამ მატჩმა ქართული საფეხბურთო ფენომენი საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა.

ქართველ სპორტსმენთა წარმატებებმა მოამზადეს ნიადაგი შემდგომი პერიოდის დიდი გამარჯვებებისათვის.

თავი VII

საქართველო XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში

§1. რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებულ ინტერვენციას მოჰყვა ქვეყნის ოკუპაცია და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება.

1921 წლის 16 თებერვლიდან, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიას უწევდა კონტროლს, მოსკოვში შექმნილ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში საქართველო იწოდებოდა **„საბჭოთა რესპუბლიკად“**. პოლიტიკური მოსაზრებით საბჭოთა რუსეთს არ სურდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1921 წლის 12 თებერვალს დაწყებული საომარი მოქმედებები რუსეთ-საქართველოს ომად

ფილიპე მახარაძე

წარმოჩენილიყო. ამ მიზნით 1921 წლის 16 თებერვალს მოსკოვს სამოლვაწეო ასპარეზზე გამოჰყავს მის მიერვე შექმნილი მეხუთე კოლონის კლასიკური ნიმუში – **„საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“** (რევკომი), რომლის თავმჯდომარედაც ინიშნება მოსკოვშივე მყოფი ქართველი ბოლშევიკი **ფილიპე მახარაძე**. საქართველოს რევკომმა, ვითომდა, აჯანყებული საქართველოს მშრომელების სახელით, 1921 წლის 16 თებერვალს დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. ამ ფაქტით მოსკოვი შეეცადა შეენიღბა რუსეთის ინტერვენცია დამოუკიდებელი ქვეყნის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ფარსი უნაკლოდ მაინც ვერ იქნა გათამაშებული. საქართველოს ტერიტორიაზე საომარი ოპერაციები რუსეთმა 1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო, ხოლო საქართველოს რევკომის თხოვნა მოსკოვში 16 თებერვალს გაიგზავნა, ე. ი. 12 თებერვლიდან 16 თებერვლამდე რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის ფორმალური საბაბიც კი არ ჰქონდა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ **საქართველოს რევკომს უფლება არ ჰქონდა უცხო ქვეყნის სამხედრო ძალა მოეწვია ქვეყანაში ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების დასამხობად.** ყოველივე ამას იმხანად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

საქართველოს რევკომის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას მხოლოდ პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა. **არც „აჯანყებული საქართველოს მშრომელებისა“ და არც საქართველოს რევკომის დახმარება საბჭოთა რუსეთს არ სჭირდებოდა.** 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთმა საქართველო დაიპყრო.

დაპყრობილ საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მოსკოვი შეეცადა შეენიღბა არა მარტო რუსეთის ინტერვენცია საქართველოში, არამედ თვით საოკუპაციო რეჟიმიც. **საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საქართველო უშუალოდ არ შეეერთებინა რუსეთისთვის, საქართველო ფორმალურად უნდა დარჩენილიყო დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნად.** ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქცია მოსკოვის ნებით მიენიჭა საქართველოს **რევოლუციურ კომიტეტს** (თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, წევრები: შალვა ელიავა, მამია ორახელაშვილი, გიორგი ელისაბედაშვილი, ალექსანდრე გეგეჭკორი, ბესარიონ კვირკველია, ამაიაკ ნაზარეტიანი). საქართველოს რევკომმა 1921 წლის 26 თებერვალს გამოსცა დეკრეტი მთელი სახელმწიფო ხელისუფლების თავის ხელში აღების შესახებ. **საქართველოს**

ალექსანდრე გეგეჭკორი

რევკომი ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა, ფაქტობრივად კი იგი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებას განასახიერებდა.

მამია ორახელაშვილი

საქართველოს რევკომს ქვეყანაში, მოსახლეობის არც ერთ სოციალურ ფენაში დასაყრდენი არ გააჩნდა. რეალურ ძალაუფლებას საქართველოში ფლობდა **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო (შეიქმნა 1920 წლის 8 აპრილს) სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით.** რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ექვემდებარებოდა **საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია** და მოგვიანებით საქართველოში შემოყვანილი რუსეთის სხვა სამხედრო შენაერთები. **ოკუპირებულ საქართველოში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო. საოკუპაციო ხელისუფლების დასაყრდენ სამხედრო ძალას კი წარმოადგენდა მე-11 წითელი არმია.** პირველ ხანებში მასვე ევალებოდა სახელმწიფო საზღვრების დაცვაც. მალე მე-11 წითელ არმიას პოლიტიკური მოსაზრებით სახელი შეუცვალეს და „კავკასიის განსაკუთრებული არმია" უწოდეს. **საქართველოს რევკომი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროდან მიღებული დირექტივების საფუძველზე წარმართავდა თავის საქმიანობას.** ცოტა მოგვიანებით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსა და საქართველოს რევკომს შორის გაჩნდა კიდევ ერთი შუალედური რგოლი – **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.** საქმე იმაში იყო, რომ საბჭოთა რუსეთში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში იდგა და განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ბატონობდა როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოზე (საბჭოების ყრილობაზე), ისე უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე (სახალხო კომისართა საბჭოზე). იმავე სისტემას ნერგავდა მოსკოვი საქართველოშიც. საქართველოშიც პოლიტიკური ცხოვრების სათავეში უნდა მოქცეულიყო ჯერ კიდევ 1920 წლის აპრილში მოსკოვის მითითების თანახმად შექმნილი **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.** საბოლოოდ ოკუპირებული საქართველო ასე იმართებოდა: **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი** დირექტივებს აძლევდა მისდამი დაქვემდებარებულ რეგიონალურ ორგანოს – **რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს,** რომელიც თავისთავად დირექტივებს გადასცემდა მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოს – **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს.** საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი უკვე **საქართველოს რევოლუციური კომიტეტის** საშუალებით პრაქტიკულად ახორციელებდა მოსკოვის ნებას. ამდენად, **საქართველოს რევკომი დამოუკიდებლად ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, იგი სამმაგი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.** რაც შეეხება საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკების), იგი ორმაგ კონტროლს ექვემდებარებოდა და ფაქტობრივად რუსეთის კომუნისტური

სერგო ორჯონიკიძე

პარტიის (ბოლშევიკების) **საგუბერნიო (საოლქო)** ორგანიზაციის უფლებით თუ სარგებლობდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში საქართველოს რევკომი დიდი ქვეყნის სატელიტი ხელისუფლის როლშიც კი ვერ გამოდიოდა. იგი მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებების რეგისტრატორი იყო.

1921 წლის 8 მარტს არჩეულ იქნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის პრეზიდიუმი **ფილიპე მახარაძის** თავმჯდომარეობით. საქართველოს რევკომმა ადგილობრივი მმართველობა შემდეგნაირად მოაწყო: **სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად აღიარებულ იქნა სამაზრო, საქალაქო, სათემო და სასოფლო რევოლუციური კომიტეტები.** სამაზრო რევოლუციური კომიტეტები უნდა დამორჩილებოდნენ საგუბერნიო რევოლუციურ კომიტეტებს. სულ უნდა შექმნილიყო სამი საგუბერნიო რევოლუციური კომიტეტი: თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის, აგრეთვე სოხუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი. საგუბერნიო და საოლქო რევკომების სისტემამ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. ამიტომ შეიქმნა სამაზრო, საქალაქო და სათემო რევკომები.

მაზრის, ქალაქისა და თემის რევკომები ადგილებზე წარმოადგენდნენ **ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.** რევკომებს არ ირჩევდნენ. მაზრისა და ქალაქის რევკომების წევრებს ნიშნავდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. ეს რევკომები უშუალოდ ემორჩილებოდნენ საქართველოს რევკომს. თემის რევკომის წევრებს ნიშნავდა მაზრის რევკომი.

ასე გამოიყურებოდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა.

საქართველოს რევკომის მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა **ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში 1918-1921 წლებში მიღწეული მონაპოვრის ლიკვიდაცია.** ამ თვალსაზრისით საქართველოს რევკომი ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთ-საქართველოს ომში (1921 წლის თებერვალ-მარტი) დამარცხებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ქვეყნიდან უბრალოდ არ გაქცეულა. მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების – დადგენილებით. არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და არც დამფუძნებელ კრებას არ უცვნია რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება არ მოუხსნია. არ შეჩერებულა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება. მიუხედავად ამისა, საქართველოს რევკომი შეუდგა მოსკოვიდან მიღებული დირექტივების უსიტყვოდ შესრულებას. 1921 წლის 24 მარტს საქართველოს რევკომმა მიიღო დადგენილება საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ. ეს იყო ყოვლად უკანონო დადგენილება. საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის იურიდიული უფლება საქართველოს რევკომს არ ჰქონდა.

საქართველოს რევკომის ზემოთ ხსენებულ უკანონო დადგენილებას 1921 წლის აპრილში მოჰყვა ასევე უკანონო დეკრეტი. დეკრეტის ძალით **საქართველოს რევკომმა თავის თავს მიანიჭა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ფუნქცია.** ხელისუფლების დაყოფის პრინციპი უგულებელყოფილ იქნა. დეკრეტის ძალით საქართველოს რევკომს ქვეყნის მმართველობის პრაქტიკულად განხორციელების მიზნით უნდა შეექმნა **სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) და მმართველობის სხვა უმაღლესი დაწესებულებანი.** სახალხო კომისარიატებს არ ჰქონდათ საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლება. ისინი მხოლოდ საკანონმდებლო აქტების პროექტებს წარუდგენდნენ საქართველოს რევკომს. საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლება მხოლოდ ამ უკანასკნელს ჰქონდა.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტი რევკომს ავალებდა, მოეწვია **საქართველოს საბჭოების ყრილობა.** დეკრეტის ძალით რევკომი ანგარიშვალდებული უნდა ყოფილიყო საბჭოების ყრილობის წინაშე. საბჭოების ყრილობა რუსეთში წარმოადგენდა ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. იმავე სისტემას ნერგავდა მოსკოვი ოკუპირებულ საქართველოშიც.

1921 წლის 22 მარტს საქართველოს რევკომმა გააუქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო – **სენატი** და სხვა სასამართლო დაწესებულებანი, შემდეგ გაუქმდა **საოლქო სასამართლოები** და **მომრიგებელი სასამართლო** დაწესებულებანი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი სასამართლო სისტემა 1921 წლის 28 ოქტომბრიდან შეცვალა სახალხო მოსამართლეთა დროებითმა საბჭომ.

საქართველოს რევკომი შეეცადა მოეწესრიგებინა ქვეყნის ეკონომიკის მართვა. 1921 წლის 5 აგვისტოს რევკომთან შეიქმნა **სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო,** რომელსაც ევალებოდა ქვეყნის მთელი სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა.

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის რეგულარული არმია დარჩა საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო-თურქეთის საზღვარს ასევე რუსეთის სასაზღვრო ჯარები იცავდნენ. შავი ზღვის ნავსადგურებში იდგნენ რუსეთის სამხედრო ხომალდები. ყოველივე ეს ძალზე თვალში საცემი იყო. მოსკოვი შეეცადა ვითარების შელამაზებას. 1921 წლის 11 მარტს საქართველოს რევკომმა დაშლილად გამოაცხადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და სახალხო გვარდია. რევკომის მითითებით საბჭოთა საქართველოს სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი (სახალხო კომისარი შალვა ელიავა) შეუდგა წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნას. **წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნა პროპაგანდისტული აქტი იყო.** რუსეთის საოკუპაციო ჯარები საქართველოდან არ გასულან, პირიქით, მათი რაოდენობა გაიზარდა.

საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის შენიღბვის მიზნით მოსკოვი მორიგ ფარსზე წავიდა. 1921 წლის 21 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა საქართველოს შორის დაიდო **„მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება“.** ეს ხელშეკრულება აღიარებდა ორივე ქვეყნის თვითგამორკვევისა და სუვერენულ უფლებებს. რუსეთსა და საქართველოს შორის მყარდებოდა სამხედრო და სამეურნეო კავშირი. რუსეთი ვალდებულებას იღებდა საქართველოსათვის გაეწია სამხედრო დახმარება. გარდა ამისა, რუსეთი საქართველოს უნდა დახმარებოდა წითელი არმიის შექმნის საქმეში. გათვალისწინებული იყო ორი ქვეყნის სამხედრო სარდლობის გაერთიანება,

რასაც ნიადაგი უნდა მოემზადებინა საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით წითელი არმიის ქართული ნაწილების საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაერთიანებისათვის.

1921 წლის 21 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება იყო პირველი სერიოზული, მაგრამ უშედეგო მცდელობა იმისა, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველო რუსეთის თანასწორუფლებიან მოკავშირედ წარმოედგინა.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება კი გამოცხადდა, მაგრამ საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, საბჭოები არ არსებობდა.

1921 წლის თებერვლიდან 1922 წლის თებერვლამდე საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდნენ რევოლუციური კომიტეტები. რუსეთის მსგავსად 1921 წელს საქართველოში საბჭოებმა ხელისუფლება ვერ ჩაიგდეს ხელთ, რადგან 1917 წელს შექმნილი საბჭოები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში გაუქმებულ იქნა და მათი ადგილი დაიკავა ხელისუფლების კონსტიტუციურმა ორგანოებმა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებას ერთბაშად არ შეეძლო საქართველოში სხვადასხვა დონის საბჭოების შექმნა, ამიტომ ოკუპაციის პირველ ხანებში მთელი ხელისუფლება ცენტრშიც და ადგილებზეც გადავიდა რევოლუციური კომიტეტების ხელში. საოკუპაციო ხელისუფლების განმტკიცების კვალობაზე **მოსკოვმა მიზნად დაისახა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების შექმნა.** საბჭოების არჩევნები საქართველოში 1921 წლის ბოლოს ჩატარდა. არჩევნები უმკაცრესი ტერორის, ანტირუსული და ანტისაბჭოთა ძალების დევნის პირობებში მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს ე. წ. „არამშრომელ ელემენტებს", ე. ი. მათ, ვინც დაქირავებული შრომით ცხოვრობდა. საარჩევნო უფლებას მოკლებული იყვნენ სასულიერო პირები, კერძო ვაჭრები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოხელენი, ყოფილი ოფიცრები და სხვ. საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების გარდა, საბჭოების არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, მაგრამ უშედეგოდ. ტერორიზებულმა მოსახლეობამ საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. პარტიებიდან ყველაზე მეტი ხმა მიიღო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკების), სოციალური ძალებიდან – მუშებმა და გლეხებმა. 1922 წლის 25 თებერვალს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ერთი წლის თავზე თბილისში გაიხსნა **საქართველოს საბჭოების I ყრილობა.** დელეგატების აბსოლუტური უმრავლესობა კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიიდან იყო. საქართველოს საბჭოების I ყრილობამ 1922 წლის 2 მარტს დაამტკიცა **„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია".** საქართველოს კონსტიტუცია შემუშავებულ იქნა საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. კონსტიტუციით საქართველო იყო **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.** ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია მიენიჭა **საქართველოს საბჭოების ყრილობას.** ყრილობიდან ყრილობამდე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა ყრილობის მიერ არჩეული **ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი),** რომელიც ანგარიშვალდებული იყო საქართველოს საბჭოების ყრილობის წინაშე. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავის პირველსავე სესიაზე ქმნიდა **საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას – სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს),** რომელიც ხელმძღვანელობდა სახალხო კომისარიატების (სამინისტროების) მუშაობას. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს **ფილიპე მახარაძე.** ადგილებზე – მაზრებში, ქალაქებში, თემებში – ძალაუფლება გადავიდა საბჭოების ხელში.

საქართველოს საბჭოები ცენტრშიც და ადგილებზეც ხელისუფლებას მხოლოდ ფორმალურად ფლობდნენ. ისევე, როგორც საბჭოთა რუსეთში, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება უზურპირებული ჰქონდა კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიას. **საქართველოს საბჭოების ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს, სახალხო კომისარიატების, სასამართლო ორგანოების, ადგილობრივი საბჭოებისა და, საერთოდ, მთელ სახელმწიფო ცხოვრებას წარმართავდა და კონტროლს უწევდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და მისი შესაბამისი ორგანოები ადგილებზე.** იგულისხმება, რომ თვით საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტიდან იმართებოდა საგანგებო რეგიონულ ორგანოს – რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მეშვეობით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფეხქვეშ ითელებოდა თავისთავად ისედაც არადემოკრატიული, ანტიხალხური კონსტიტუცია.

1921-1922 წლებში საქართველოს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის განმტკიცებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ ბოლშევიკებს: **სერგო ორჯონიკიძეს, მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძეს, მამია ორახელაშვილს, ალექსანდრე გეგეჭკორს, ბუდუ მდივანს, შალვა ელიავას, ლე-**

ვან ღოლობერიძეს და სხვებს. მათმა მოღალატურმა, ანტიეროვნულმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში.

ამრიგად, 1921-1922 წლებში ოკუპირებულ საქართველოში რუსეთის მსგავსად ჩამოყალიბდა მმართველობის ტოტალიტარული სისტემა. ოფიციალურად იგი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო სისტემად იწოდებოდა. თუმცა ცხადი იყო, რომ პროლეტარიატის დიქტატურით ინიღბებოდა კომუნისტების (ბოლშევიკების) დიქტატურა.

§2. ავტონომიების შექმნა

საბჭოთა რუსეთმა არ იკმარა საქართველოს დაპყრობა და მისი მორჩილი საოკუპაციო ხელისუფლების შექმნა. ოკუპაციის პირველი ხანებიდანვე მოსკოვი შეუდგა თავისი ვერაგული გეგმის განხორციელებას – **საქართველოს დაყოფას ავტონომიებად.** მოსკოვის ანტიქართული პოლიტიკით კარგად ისარგებლეს აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა.

აფხაზეთის ოკუპაცია და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რუსეთმა 1921 წლის 4 მარტს დაასრულა. ამ პერიოდისათვის მოსკოვის მითითებით შეიქმნა **აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი (რევკომი),** რომელიც თავიდანვე ინტენსიურად შეუდგა აფხაზეთის სტატუსის გარკვევას. 1921 წლის მარტის დასაწყისში აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის, რუსეთის მე-11 წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება **აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად** გამოცხადების შესახებ. იმავე სხდომაზე გადაწყდა, რომ აფხაზეთის კომუნისტურ (ბოლშევიკურ) ორგანიზაციას უწოდეს **აფხაზეთის კომუნისტური პარტია.** 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში აფხაზეთის რევკომისა და აფხაზეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირმა კვლავ დაადასტურა აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ

შალვა ელიავა

რესპუბლიკად გამოცხადების აუცილებლობა. ფორმალურად აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების ინიციატორები იყვნენ აფხაზეთის რევკომის წევრები: **ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა** და სხვები. სინამდვილეში აფხაზი სეპარატისტები მოსკოვის დაკვეთას ასრულებდნენ და **სერგო ორჯონიკიძის** უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. **საქართველოს ტერიტორიის ავტონომიებად დანაწილების საკითხი რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო.**

1921 წლის 28-29 მარტს ბათუმში **სერგო ორჯონიკიძის** ხელმძღვანელობით შედგა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირი. მასში მონაწილეობდნენ **შალვა ელიავა, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა.** თათბირმა დაადგინა: 1) საბჭოთა აფხაზეთის რუსეთთან და საქართველოსთან ფედერაციაში გაერთიანების საკითხი დარჩეს ღიად აფ-

სერგო ქავთარაძე

ხაზეთის საბჭოების ყრილობამდე; 2) აფხაზეთი გამოცხადდეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად; 3) აფხაზეთის კომუნისტურ (ბოლშევიკურ) ორგანიზაციას ეწოდოს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურო (ორგბიურო), რომელიც იმუშავებს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს დირექტივების საფუძველზე; 4) საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტები აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა უნდა გამოიყენოს როგორც მასალა, რათა არ მოხდეს რევკომების შეუთანხმებლობა.

აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ბათუმის თათბირის გადაწყვეტილება დაადასტურა 1921 წლის 14 მაისს. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, 1921 წლის 21 მაისს, სპეციალური დეკლარაციით ბათუმის თათბირის

გადაწყვეტილება დაადასტურა საქართველოს რევკომმაც. 1921 წლის 28 მაისს აფხაზეთის მშრომელთა ყრილობამ სწორად მიიჩნია აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება. აფხაზი სეპარატისტები სერგო ორჯონიკიძის მფარველობით მიზანდასახულად მოქმედებდნენ, მაგრამ მოულოდნელად მოსკოვმა, როგორც ჩანს, იოსებ სტალინის ინიციატივით შეცვალა სერგო ორჯონიკიძის პოლიტიკა. აფხაზი სეპარატისტები იძულებულნი გახდნენ დამორჩილებოდნენ მოსკოვის ნებას. **1921 წლის 23 ივლისს სოხუმში გამართულმა რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროსა და აფხაზეთის რევკომის წევრების თათბირზე, რომელსაც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელიც ესწრებოდა, ნესტორ ლაკობამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა განუხორციელებელი მისწრაფებაა.** ამის სანაცვლოდ იგი აყენებდა საქართველოსა და აფხაზეთის ფედერაციული კავშირის შექმნის საკითხს. მოგვიანებით, 1921 წლის 15 ოქტომბერს რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროსა და აფხაზეთის რევკომის წევრების თათბირმა, მართალია, მოიწონა აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეა, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო (აფხაზი ეროვნების მოსახლეობის სიმცირე და სხვ.) იმ ეტაპზე საჭიროდ ცნო **საქართველოსა და აფხაზეთს შორის მტკიცე კავშირის დამყარება ხელშეკრულების დადების გზით.** საქართველოსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების დადებას წინ აღუდგა ზოგიერთი აფხაზი მოღვაწე, მაგრამ ეს იდეა 1921 წლის 1 ნოემბერს მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ. აფხაზი სეპარატისტები სარგებლობდნენ ორჯონიკიძის მფარველობით, ასევე იმითაც, რომ, როგორც ჩანს, მოსკოვშიც აფხაზეთის საკითხზე არ იყო შემუშავებული მტკიცე პოზიცია. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება: 1) ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული აფხაზეთის დამოუკიდებლობა; 2) დაევალოს ეფრემ ეშბას, წარმოადგინოს დასკვნა საქართველოს ფედერაციაში ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის შესვლის შესახებ, ან რუსეთის ფედერაციაში ავტონომიის სახით აფხაზეთის შესვლის შესახებ. ცოტა მოგვიანებით, ეფრემ ეშბა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სთხოვდა, აფხაზეთი ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს გვერდის ავლით მიეღოთ.

ნესტორ ლაკობა

საბოლოოდ, მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა მოსკოვის პოზიცია, აფხაზეთის საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: **1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში.** ამიერიდან აფხაზეთი ინოდებოდა სახელშეკრულებო რესპუბლიკად. 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულება დაადასტურა საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობებმა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც 1922 წელს მიიღო საქართველოს საბჭოების .I ყრილობამ, აღნიშნული იყო, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. კონსტიტუციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს უკავშირდებოდა ამ რესპუბლიკათა შორის დადებული, განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე. **აფხაზეთს საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად განიხილავდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია.** კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და ნახიჩევანის ავტონომიური ოლქები სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოში აგზავნიდნენ თითო წარმომადგენელს.

ეფრემ ეშბა

ამრიგად, აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება 1921 წლის მარტში დროებითი მოვლენა იყო.

1921-1931 წლებში აფხაზეთი საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით სარგებლობდა.

სრულიად განსხვავებულ ვითარებაში მოხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა. **აჭარის ავტონომიას საფუძვლად ეროვნული ნიშანი არ დასდებია.** ამ ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა რელიგიური და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული.

აჭარაში თურქეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის ხანგრძლივმა ბატონობამ, თურქეთისა და რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ გარკვეული ნიადაგი მოუმზადა აჭარის ავტონომიის იდეას. ეს იდეა პოპულარული იყო აჭარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.). აჭარის ავტონომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც აღვნიშნეთ, დადასტურდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, თუმცა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გამო იგი პრაქტიკულად არ განხორციელებულა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921 წლის 16 მარტს დაიდო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება. **თურქეთს აჭარაზე პრეტენზია მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ექნებოდა, თუ აჭარა მიიღებდა ავტონომიას.** ხელშეკრულებით დაკონკრეტებული არ ყოფილა ავტონომიის ფორმა. რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს რევკომმა 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით შექმნა **აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.** დეკრეტის ძალით აჭარაში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა აჭარის **მეჯლისი,** რომელსაც უნდა ემოქმედა აჭარის საბჭოების I ყრილობის მონვევამდე. მეჯლისი რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) უფლებებით მოქმედებდა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობა, როგორც აღვნიშნეთ, დაადასტურა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1922 წლის კონსტიტუციამ, ასევე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1924 წლის კონსტიტუციამ.

მოსკოვი აფხაზი სეპარატისტების გარდა მფარველად მოევლინა ოს სეპარატისტებს. საბჭოთა რუსეთის მიერ ოსი სეპარატისტების მფარველობამ ძალზე დაძაბა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში.

1921 წლის 6-8 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის რევოლუციურმა კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) ორგანიზაციის კომიტეტმა მიიღეს შემდეგი დადგენილება: 1) მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა ცენტრით ცხინვალში; 2) სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით შედის ფედერაციულ კავშირში საქართველოსთან. ამავე თათბირის დადგენილებით **სამხრეთ ოსეთში მრავალი ქართული სოფელი უნდა შესულიყო გორის, დუშეთისა და შორაპნის მაზრებიდან, ასევე რაჭიდან.** თათბირმა ასევე დაამტკიცა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი. ამდენად, ოსი სეპარატისტები თავიანთი მოთხოვნებით აფხაზს სეპარატისტებს არ ჩამორჩებოდნენ.

1921 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ განიხილა სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი. ოსი სეპარატისტების მოთხოვნები შეიკვეცა. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო: 1) მიეცეს სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის უფლება; 2) მიეცეს წინადადება საქართველოს რევკომს სამხრეთ ოსეთის რევკომთან ერთად განსაზღვროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები. **ამ დადგენილებით ქალაქი ცხინვალი არ გამოცხადებულა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად.** მოგვიანებით, 1921 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ცხინვალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ 1922 წელს ცხინვალში ოსები ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 13,5%-ს შეადგენდნენ.

ქართველი ერის ნების წინააღმდეგ 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მაინც შეიქმნა. ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში ოსურ სოფლებთან ერთად გადავიდა 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი (ცხინვალი), სადაც 20 ათასამდე ქართველი ცხოვრობდა, ხოლო ოსი მოსახლეობის რაოდენობა 1100 სულს შეადგენდა.

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ხელოვნური და უკანონო იყო, კერძოდ: 1) შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს, როგორც ეთნიკურ ჯგუფს, ისტორიული სამშობლო სხვაგან აქვთ; 2) საქართველოს ტერიტორიაზე (შიდა ქართლში) ოსთა ისეთი რაოდენობა არ ცხოვრობდა, რომ ოსურ მოსახლეობას ავტონომიის მოთხოვნის უფლება ჰქონოდა; 3) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს სრულიად უკანონოდ მიაკუთვნეს ქართული სოფლები და ქალაქი ცხინვალი.

მოსკოვის ანტიქართული პოლიტიკა ძირძველი ქართული ტერიტორიების საქართველოდან ჩამოცილებაშიც გამოიხატა. მოსკოვის ნების თანახმად, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოსულმა ქართველმა ბოლშევიკებმა **სომხეთს**

დაუთმეს ბორჩალოს მაზრის ნაწილი (3 812 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია), ხოლო აზერბაიჯანს – საინგილო ანუ ზაქათალის ოლქი (3 564 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია). თვით რუსეთმა საქართველოდან მიიტაცა მნიშვნელოვანი ტერიტორია, კერძოდ, გაგრის ოლქის დასავლეთი ნაწილი (ქ. სოჭითურთ), ვიდრე მდინარე ფსოუმდე. ამასთან ერთად, 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებით რუსეთმა თურქეთს დაუთმო ართვინის, არტაანის, ოლთისის ოლქები და ფოცხოვის თემი (12 115 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია). რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულება საფუძვლად დაედო 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებას, რომელიც მოსკოვის მითითებით ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა (საქართველომ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა) დადეს თურქეთთან. ამ ხელშეკრულების ძალით საქართველომ დაადასტურა იმ ქართული ტერიტორიის თურქეთის ხელში გადასვლა, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით ერგო თურქეთს. ე. ი. **სულ საქართველომ დაკარგა 19 491 კვადრატული კილომეტრი ძირძველი ქართული ტერიტორია.**

აფხაზი და ოსი სეპარატისტების მოთხოვნების დაკმაყოფილებით, ძირძველი ქართული მიწების გაჩუქებით რუსეთმა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ქართველ ერს.

§3. საქართველოს გაერთიანება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში

რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ახალი, საბჭოთა იმპერიის შექმნის იდეა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ლიდერს ვლადიმერ ლენინს უკვე 1917 წელს, ბოლშევიკური პარტიის მიერ ხელისუფლების უზურპაციისთანავე მოუვიდა. იმხანად ახალი იმპერიის იდეის ფართოდ რეკლამირება პოლიტიკური თვალსაზრისით წამგებიანი იქნებოდა, ამიტომ ბოლშევიკები ერების თანასწორობას, ერთა თვითგამორკვევას უჭერდნენ მხარს. რუსეთში სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში (1918-1920 წწ.), როცა საბჭოთა ხელისუფლებას დიდი საფრთხე ემუქრებოდა, ახალი იმპერიის შექმნის საქმე გარკვეულწილად შეფერხდა. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის მოგერიებისა და სამოქალაქო ომში გამარჯვების შემდეგ, 1920 წლის ბოლოსათვის, საბჭოთა რუსეთი კონტროლს უწევდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს (1921 წლის თებერვალ-მარტში ამ ტერიტორიას საქართველოც დაემატა). რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საშუალება მიეცა დაეწყო ახალი, საბჭოთა იმპერიის შექმნის იდეის პრაქტიკულად განხორციელება. საბჭოთა იმპერიის შექმნას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინი, თუმცა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მყოფი სხვა ბოლშევიკი ლიდერებიც (ლევ ტროცკი, ლევ კამენევი, გრიგოლ ზინოვიევი და სხვ.) არანაკლებ აქტიურობდნენ იმპერიის შექმნის პროცესში.

საბჭოთა იმპერიაში, მოსკოვის გეგმის თანახმად, უნდა გაერთიანებულიყვნენ ის რესპუბლიკები, რომლებშიც უკვე არსებობდა საბჭოთა სოციალისტური წყობილება: **რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი.** საბჭოთა იმპერიის შექმნის პროცესი რთული და მტკივნეული იყო ყველგან. განსაკუთრებით მტკივნეული იყო იგი საქართველოში. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოსკოვის ნების თანახმად, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ცალკე რესპუბლიკების სახით კი არ უნდა შესულიყვნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებაში, არამედ მანამდე უნდა მომხდარიყო მათი გაერთიანება ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკად. **ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის** კავშირი ისტორიაში დარჩა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელწოდებით, ხოლო ახალი, საბჭოთა იმპერია – **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების** კავშირის სახელწოდებით.

ლევ ტროცკი

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერაციად გაერთიანება სრულიად ზედმეტი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (საბჭოთა კავშირის) შექმნის გზაზე, ისევე, როგორც უკრაინა და ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიძლებოდა ცალ-ცალკე შესულიყვნენ. როცა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა წამოაყენა, მოსკოვი ერთადერთ მიზანს ისახავდა.

ქართველებს, აზერბაიჯანელებსა და სომხებს რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, კერძოდ, 1918 წლიდან, ჰქონდათ თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. მართალია, 1920-1921 წლებში ეს სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და იქ უმკაცრესი საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა, მაგრამ ამით ვერ მოსპო ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხეთის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. დამოუკიდებლობის მოპოვებამ წარმოუდგენლად ძლიერი გავლენა იქონია ამ ერების ცნობიერებაზე. არავითარ ძალას არ შეეძლო ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების მეხსიერებიდან ამოეშალა ის, რაც ამ ერებს დამოუკიდებლობის მძიმე, მაგრამ წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობის, წლებმა მისცა. საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანება უნდა ყოფილიყო მეორე ძლიერი დარტყმა ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების სუვერენულ მისწრაფებებზე. სახელმწიფოებრიობის გამომხატველი ცნებები – „საქართველო", „აზერბაიჯანი" და „სომხეთი" – უნდა გამქრალიყო და მის ნაცვლად უნდა დამკვიდრებულიყო ახალი სახელმწიფოებრიობის ცნება – „ამიერკავკასია". მესამე დარტყმა ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხებისათვის იქნებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის გზით მათი გაერთიანება საბჭოთა კავშირში, სადაც ეს ერები დამოუკიდებლად აღარ იქნებოდნენ წარმოდგენილნი.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების პროცესი ძირითადად ასე მიმდინარეობდა: გააერთიანეს რკინიგზები, საგარეო ვაჭრობა, დაიწყეს ფულადი სისტემის უნიფიცირება და ა. შ. გაერთიანების უმთავრესი შედეგი, ოფიციალური იდეოლოგიის მტკიცებით, უნდა ყოფილიყო სამივე რესპუბლიკაში არსებული ეკონომიკური სიძნელეების სწრაფი დაძლევა. სინამდვილეში კი უნდა მომხდარიყო აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკის აღორძინება საქართველოს ეკონომიკის ხარჯზე, რადგან საქართველოს ეკონომიკა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე აზერბაიჯანისა და სომხეთის. ეს კარგად ჩანს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფულადი სისტემების შედარებისას. 1921-1922 წლებში საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს თავიანთი ფულადი სისტემები ჰქონდათ. 1921 წლის დამლევისათვის აზერბაიჯანული და სომხური ფულის ნიშნები რუსული საბჭოთა ფულის ნიშნების ღირებულების მხოლოდ 25%-ს უდრიდა, მაშინ, როდესაც ქართული ფულის ნიშნების (ბონის) ღირებულება რუსული საბჭოთა ფულის ღირებულებაზე 50%-ით მაღალი იყო. ეს განსხვავება 1922 წლის გაზაფხულისათვის უკვე 75%-ს უდრიდა. როცა 1923 წლის დამდეგს ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნები შემოიღეს, ასეთი კურსი დაწესდა: საბჭოთა კავშირის 1 მანეთი გაიცვლებოდა ქართული ფულის (ბონის) 1 მანეთზე, აზერბაიჯანული საბჭოთა ფულის 100 მანეთზე და სომხური საბჭოთა ფულის 150 მანეთზე. იგივე ვითარება იყო სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო და პირადად სერგო ორჯონიკიძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტიც მხარს უჭერდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. თუმცა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ფედერაციის შექმნის მეთოდებისა და ტემპების გაგებაში ორ ნაწილად გაიყო. ბუდუ მდივანი, ფილიპე მახარაძე, კოტე ცინცაძე, მიხეილ ოკუჯავა და სხვები თვლიდნენ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის საჭირო იყო სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება, ხალხის დარწმუნება, ძალდატანების გამორიცხვა და ა. შ. მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა და სხვები მხარს უჭერდნენ სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციის დაუყოვნებლივ შექმნას მოითხოვდა, რაც თავისთავად გულისხმობდა ხალხის განწყობილების უგულებელყოფას, ძალდატანებას და ა. შ. ბუდუ მდივანს, ფილიპე მახარაძეს, მიხეილ ოკუჯავასა და მათ მომხრეებს „ნაციონალ-უკლონისტები" (ეროვნულ საკითხში გადამხრელები) უწოდეს. პოლიტიკური მოსაზრებით სერგო ორჯონიკიძემ ნაციონალ-უკლონისტები ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მოწინააღმდეგედ გამოაცხადა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საქმე ეხებოდა არა თვით ფედერაციის იდეას, არამედ მისი შექმნის ტემპებს, ფორმებსა და მეთოდებს.

მოსკოვი ამიერკავკასიას თავიდანვე ერთ სამეურნეო ორგანიზმად განიხილავდა. ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში ვლადიმერ ლენინი მოითხოვდა ამიერკავკასიის ერთიანი „საოლქო სამეურნეო ორგანოს" შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ოფიციალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ, ლენინის მოთხოვნა შესრულდა. 1921 წლის აგვისტოში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის ეკონომიკური ბიუროს შექმნის შესახებ. ს. ორჯონიკიძე „ნაციონალ-უკლონისტების" წინააღმდეგობის მიუხედავად, ფედერაციის შექმნის პროცესს აჩქარებდა. 1921 წლის 3 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მიიღო დადგენილება

საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ფედერაციული კავშირის დამყარების შესახებ. პირველ რიგში ეს ეხებოდა სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო და საგარეო პოლიტიკის სფეროს. თუმცა მოსკოვი ამ დადგენილებამდეც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს არ აძლევდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებას. 1921 წელს თურქეთი ცდილობდა ცალ-ცალკე ხელშეკრულება დაედო საქართველოსთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან. რუსეთმა თურქეთი აიძულა უარი ეთქვა ამ გეგმაზე და 1921 წლის 16 ოქტომბერს ყარსში ხელშეკრულება დაედო ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკასთან ერთად. ყარსის ხელშეკრულება მთლიანად გამომდინარეობდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებიდან.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას 1921 წლის 25 ნოემბერს მხარი დაუჭირა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. დაიწყო დიდი სააგიტაციო კამპანია ფედერაციის სასარგებლოდ. ეს კამპანია კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 1922 წლის აპრილში ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრილობამ მოიწონა ფედერაციის შექმნის იდეა.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეს მოსკოვის ნების თანახმად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო ხელმძღვანელობდა. რესპუბლიკებში დიდ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტები. 1922 წლის დამდეგიდან, პოლიტიკური მოსაზრებით, ფედერაციის შექმნის ინიციატივა ფორმალურად საბჭოების ხელში გადავიდა. ეს იდეა მოიწონეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოების ყრილობებმა. 1922 წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაიდო **სამოკავშირეო ხელშეკრულება,** რომლის ძალითაც შეიქმნა **ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი.** ხელშეკრულების მიხედვით უმაღლესი ხელისუფლება მთელ ამიერკავკასიაში ეკუთვნოდა **„სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციას“,** რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა ამ კონფერენციის მიერ ჩამოყალიბებული **„სამოკავშირეო საბჭოს“** მეშვეობით. შეიქმნა აგრეთვე **„უმაღლესი ეკონომიკური საბჭოც“.**

1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში გაიხსნა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა. ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის რესპუბლიკების უფრო მჭიდროდ შეკავშირების იდეა და შექმნა **ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა.** ყრილობაზე აირჩიეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი). დამტკიცდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ამრიგად, მოსკოვმა რეალობად აქცია თავისი ჩანაფიქრი. საბჭოთა კავშირის შესაქმნელად ამიერკავკასიაში ნიადაგი მომზადებული იყო. კიდევ ერთხელ გაითელა ფეხქვეშ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული ინტერესები. სამაგიეროდ, მოსკოვს უკვე საქმე ექნებოდა არა საქართველოსთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან, არამედ ამიერკავკასიის ერთ რესპუბლიკასთან, რომლის ცენტრიდან მართვა გაცილებით ადვილი იქნებოდა.

1922 წლის მეორე ნახევრიდან საბჭოთა იმპერიისათვის – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის – ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 1922 წლის აგვისტოში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან დამოკიდებულების შესახებ პროექტის შემუშავება. ამ კომისიაში სხვადასხვა კვოტით სამი ქართველი მოხვდა: **იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე და ბუდუ მდივანი.** კომისიის შექმნამდე ვლადიმერ ლენინისა და იოსებ სტალინისათვის უკვე სავსებით გარკვეული იყო, თუ რა პრინციპებზე უნდა დაფუძნებულიყო საბჭოთა იმპერია. კომისიის მუშაობისას გათამაშდა მორიგი ფარსი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა. **იოსებ სტალინს უნდა წარმოედგინა პროექტი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციაში შედიოდნენ როგორც ავტონომიური ერთეულები (რესპუბლიკები). იოსებ სტალინის პროექტს რესპუბლიკებში დიდი**

იოსებ სტალინი

წინააღმდეგობა მოჰყვებოდა. ამ ვითარებაში რესპუბლიკებს „მფარველად“ მოევლინებოდა ვლადიმერ ლენინი, რომელიც გააკრიტიკებდა იოსებ სტალინის ავტონომიზაციის პროექტს და წამოაყენებდა ყველა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თანასწორუფლებიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის იდეას. იოსებ სტალინის პროექტთან შედარებით ვლადიმერ ლენინის პროექტი რესპუბლიკებს, ცხადია, მოეწონე-

ბოდათ. საბოლოოდ ყველაფერი ზუსტად ზემოთ ხსენებული სცენარის მიხედვით განვითარდა. სტალინის პროექტი უარყვეს, ხოლო ლენინის პროექტი მოიწონეს. მანამდე კი რესპუბლიკებში მთელი სიმწვავით მიმდინარეობდა სტალინის ავტონომიზაციის პროექტის განხილვა. მეტად დაიძაბა სიტუაცია საქართველოში. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა სტალინის პროექტზე იმსჯელა 1922 წლის 15 სექტემბერს. სერგო ორჯონიკიძისათვის ცნობილი იყო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა ნაწილის („ნაციონალ-უკლონისტების") უარყოფითი დამოკიდებულება სტალინის ავტონომიზაციის პროექტისადმი. ამიტომაც ცენტრალური კომიტეტის სხდომას მისი წევრებისა და კანდიდატების (სულ 12 კაცი) გარდა, ორჯონიკიძის მოთხოვნით

ვლადიმერ ლენინი

დაესწრო კიდევ 21 პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, მათ შორის თვით ორჯონიკიძეც. ამჯერად ორჯონიკიძემ ყველაფერი მაინც ვერ გათვალა. **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა სტალინის ავტონომიზაციის პროექტს.** კერძოდ, პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს: ფილიპე მახარაძემ, ბუდუ მდივანმა, სერგო ქავთარაძემ, მალაქია ტოროშელიძემ, მიხეილ ოკუჯავამ, კოტე ცინცაძემ და სხვ. პროექტს მხარი დაუჭირეს შალვა ელიავამ, მამია ორახელაშვილმა, ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორმა, სერგო ორჯონიკიძემ, მიხეილ კახიანმა, აბელ ენუქიძემ, ლევან ღოღობერიძემ და სხვებმა.

სერგო ორჯონიკიძე მარცხს არ შეჰგუებია. მეორე დღესვე, 1922 წლის 16 სექტემბერს, მოიწვიეს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომა, რომელმაც მოიწონა სტალინის ავტონომიზაციის პროექტი. ამავე დროს სამხარეო კომიტეტმა დაადგინა, რომ საიდუმლოდ ყოფილიყო დაცული საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ის დადგენილება, რომელიც უარყოფდა სტალინის პროექტს. ამის შემდეგ კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა. ფილიპე მახარაძემ, ბუდუ მდივანმა და კოტე ცინცაძემ ბრძოლა მოსკოვში გააგრძელეს. **ქართველი ნაციონალ-უკლონისტები სტალინის ავტონომიზაციის პროექტის უარყოფასთან ერთად 1922 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მთელი ძალებით ცდილობდნენ, როგორმე შეეჩერებინათ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა.** თუ ფედერაციის შექმნა შეჩერდებოდა, მაშინ საქართველო (ისევე როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი) საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდოდა არა ამიერკავკასიის ფედერაციის გზით, არამედ როგორც ცალკე რესპუბლიკა. იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ნაციონალ-უკლონისტების შევიწროებას. ვლადიმერ ლენინის ავადმყოფობის პირობებში რუსეთში პოლიტიკური ცხოვრების სათავეში იოსებ სტალინი მოექცა. სწორედ ამიტომ ნაციონალ-უკლონისტებს ვერ უშველა ავადმყოფი ვლადიმერ ლენინის ფარისევლურმა თუ გულწრფელმა თანადგომამ.

საბოლოოდ, როგორც წინასწარ იყო ჩაფიქრებული, მოსკოვში იოსებ სტალინის ავტონომიზაციის პროექტი 1922 წლის სექტემბრის ბოლოს დაწუნებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის ოქტომბერში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა მოსკოვმა აუცილებლობად მიიჩნია.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შესახებ მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ სერგო ორჯონიკიძემ დაიწყო ნაციონალ-უკლონისტების დევნა. პროტესტის ნიშნად 1922 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობა ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით გადადგა, რაც სერგო ორჯონიკიძის მომხრეთა გამარჯვებას ნიშნავდა.

1922 წლის დეკემბრისათვის მოსკოვში დასრულდა საბჭოთა კავშირის შექმნისათვის ეხადება. 1922 წლის 30 დეკემბერს საკავშირო საბჭოების I ყრილობაზე შეიქმნა **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.** საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ: რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა. 1924 წელს საკავშირო საბჭოების II ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია.

1922 წლის 30 დეკემბრის დეკლარაციითა და საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკა **სუვერენული და თანასწორი** იყო. მათ გააჩნდათ თავიანთი კონსტიტუცია და სახელმწიფო სიმბოლიკა: გერბი, დროშა და ჰიმნი. **ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან ნებაყოფლობით გასვლის კონსტიტუციური**

უფლება. ცხადია, საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა საქართველოს. ამ უფლებით შეეძლო მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას ესარგებლა, რადგან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სწორედ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა გაერთიანდა და არა საქართველო. ცხადია, ესეც წინასწარ იყო გათვალისწინებული. **ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნით საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლის კონსტიტუციური უფლება წაართვეს.**

ამრიგად, 1922 წლის დეკემბრიდან საქართველო მრავალეროვან საბჭოთა იმპერიაში აგრძელებდა არსებობას.

§4. სოციალური და ეკონომიკური ვითარება

1921 წლიდან საქართველოში იწყება იმ ეკონომიკური და სოციალური სისტემის დამკვიდრება, რომელიც საბჭოთა რუსეთში არსებობდა. **ახალი ეკონომიკური და სოციალური სისტემა, სახელმწიფო სოციალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, გულისხმობდა კერძო საკუთრების ლიკვიდაციას, ე. ი. საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული ეკონომიკური სისტემის შეცვლას სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემითა და მისი შესაბამისი სოციალური ურთიერთობით.** ქვეყანაში მთელი მატერიალური ფასეულობის მფლობელი და განმკარგველი ხდებოდა სახელმწიფო. იგი განსაზღვრავდა ეკონომიკის განვითარების ზოგად მიმართულებასა და ტემპებს, ადგენდა ეკონომიკის განვითარების როგორც წლიურ, ისე პერსპექტიულ გეგმებს, კონტროლს უწევდა მის შესრულებას. ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრასთან ერთად სახელმწიფო არეგულირებდა სოციალურ ურთიერთობებს – ცალკეული კლასებისა და სოციალური ჯგუფების მონაწილეობას წარმოებაში და წარმოებული მატერიალური დოვლათის განაწილების წესს. **ამდენად, სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური და სოციალური სისტემა გულისხმობდა ადამიანისა და სოციალური ჯგუფების ინიციატივის, ეკონომიკური თავისუფლების სრულ მოსპობას და მთელი ეკონომიკის დაქვემდებარებას სახელმწიფოს ინტერესებისადმი.**

სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემასთან შედარებით რეგრესული იყო. რეგრესულ მოვლენას წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული სოციალური ურთიერთობებიც.

სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის დამკვიდრება შედარებით ადვილი იყო ქალაქად, მრეწველობაში, ასევე ტრანსპორტზე. სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური პრინციპების გატარებას (ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციას) გაცილებით ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდებოდა, ვიდრე ქალაქად. ამიტომაც სოფლად სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის დამკვიდრება გაჭიანურდებოდა, ეს პროცესი ხანგრძლივი და მტკივნეული იქნებოდა.

სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის შექმნა საბჭოთა რუსეთშიც და, ცხადია, საქართველოშიც, უპირველეს ყოვლისა, გათვლილი იყო არა როგორც ეკონომიკური რეფორმა, არამედ როგორც ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის დიქტატურის, ე. ი. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებისათვის იყო აუცილებელი. სწორედ ამიტომ სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკურ სისტემას არ შეიძლებოდა დიდი ეფექტი ჰქონოდა. ეს განსაკუთრებით გამომჟღავნდა მრეწველობასა და ტრანსპორტზე.

1921 წლის ივნისში საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მოახდინა **მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის** ნაციონალიზაცია. ეს წარმოება-დაწესებულებანი გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად. ნაციონალიზებული წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურში ჩაირიცხნენ. 1921 წლის ივნისში განხორციელდა **ელექტროსადგურების** ნაციონალიზაცია, ხოლო 1921 წლის ივლისში – **სტამბების, ასოთჩამომსხმელი სახელოსნოების, ლითოგრაფიის და, საერთოდ, მთელი პოლიგრაფიული წარმოების** ნაციონალიზაცია. სულ 1921 წელს საქართველოში ნაციონალიზებულ იქნა დაახლოებით 90 საწარმო.

ნაციონალიზებული მსხვილი და საშუალო საწარმოები გადაეცა საქართველოს **სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს** დაქვემდებარებაში, წვრილი საწარმოები კი ჩაირიცხა **საიჯარო ფონდში.** არსებული კანონმდებლობით უმოქმედო ან წამგებიანი წვრილი საწარმოები შეიძლებოდა გაცემულიყო იჯარით. რუსეთში მიღებული გამოცდილებით ამ დათმობაზე საბჭოთა ხელისუფლება იმიტომ წავიდა, რომ სახელმწიფო განტვირთულიყო წვრილი საწარმოების ამუშავებასთან დაკავშირებული სიძნელეებისაგან. ამავე დროს, იჯარით გაცემული წვრილი საწარმოების ამოქმედება ხელს შეუწყობდა საშუალო და მსხვილი წარმოების აღმავლობას. იჯარით გაცემული წვრილი საწარმოები სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

1921 წლიდან იქმნებოდა მსხვილი **სააქციონერო საზოგადოებები,** რომელთა წესდებას საქართველოს რევკომი ამტკიცებდა. იმხანად ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სააქციონერო საზოგადოება იყო

„ჭიათურის მარგანეცის მწარმოებელი საექსპორტო საზოგადოება". ამ საზოგადოების საერთო შემოსავლიდან 35% სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა. გარდა ამისა, სახელმწიფოს უნდა მიეღო ყოველწლიურად გადამუშავებული მადნიდან 10%, რაც დაახლოებით 3 მილიონ ფუთს უდრიდა.

მრეწველობის ნაციონალიზაციით საბჭოთა წყობილებამ პოლიტიკურ მიზანს მიაღწია – **ეკონომიკურად დაუკნინა ბურჟუაზია, წინააღმდეგობის უნარი წაართვა მისთვის ყველაზე უფრო საშიშ სოციალურ ფენას.** მსხვილი და საშუალო საწარმოების ნაციონალიზაციის ეკონომიკური ეფექტი ძალზე დაბალი იყო. პირიქით, ზოგიერთი საწარმო საერთოდ გაჩერდა. მაგალითად, 1921 წლის მონაცემებით ნაციონალიზებული საწარმოების 27% არ მუშაობდა. უმოქმედო საწარმოთა 35% არ მუშაობდა ნედლეულის უქონლობის გამო, ხოლო 65% – მანქანების უვარგისობის გამო. მოქმედ საწარმოებში ძალზე დაბალი იყო შრომისნაყოფიერება. ნაციონალიზებულ საწარმოებს სახელმწიფოსათვის მოგება თითქმის არ მოჰქონდა. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შეისწავლა ნაციონალიზებულ საწარმოებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. გაირკვა, რომ ამ საწარმოებში ძირითადად კაპიტალის აღსადგენად საჭირო იყო 6 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო საბრუნავი კაპიტალის ნორმალურ დონემდე ასაყვანად – 2 მილიონ მანეთზე მეტი. ნაციონალიზებული საწარმოებისათვის ამ ოდენობის თანხის გამოყოფა იმხანად შეუძლებელი იყო.

ნაციონალიზებულ საწარმოებში შექმნილი მდგომარეობა განაპირობებდა ამ საწარმოებიდან მუშახელის დენადობას. უმუშევართა დასაქმება წვრილ (საიჯარო) საწარმოებში მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდებოდა.

საქართველოს მრეწველობაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: 1922 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში არსებულმა (ე. ი. ნაციონალიზებულმა) საწარმოებმა შექმნეს ომამდელი (1913 წ.) პროდუქციის მხოლოდ 19%. 1922 წელს ნაციონალიზებულ საწარმოებში მუშის საშუალო ხელფასი შეადგენდა ომამდელი (1913 წ.) ხელფასის მხოლოდ 68%-ს. მდგომარეობის ოდნავი გაუმჯობესება შეინიშნება 1923-1924 წლებში, თუმცა 1925 წლის მონაცემებით საქართველოს ნაციონალიზებული საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ბევრად ჩამოუვარდებოდა ომამდელ (1913 წ.) დონეს.

მძიმე მდგომარეობაში იყო საქართველოს ტრანსპორტი, განსაკუთრებით კი რკინიგზა. ორთქლმავლებისა და ვაგონების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, უვარგისი იყო ექსპლოატაციისათვის, განახლებას საჭიროებდა სარკინიგზო დეპოთა უმრავლესობა. სარკინიგზო ტრანსპორტზე შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ 1921 წლიდან განუხრელად იზრდებოდა ფასები ტვირთის გადაზიდვაზე.

სოფლის მეურნეობაში, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის დამკვიდრება გაცილებით ძნელი იქნებოდა, თუ ქალაქად წარმოების მთავარი საშუალებების (სამრეწველო საწარმოების) ნაციონალიზაცია საბჭოთა ხელისუფლებას დაუპირისპირებდა ბურჟუაზიას, ანუ მთელი მოსახლეობის შედარებით უმნიშვნელო ფენას. **სოფლად წარმოების მთავარი საშუალების (მიწის) ნაციონალიზაცია საბჭოთა ხელისუფლებას დაუპირისპირებდა გლეხობის უზარმაზარ მასას, რაც სამოქალაქო ომის საშიშროებას ქმნიდა.** საბჭოთა რუსეთში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში 1921 წლიდან არ დაწყებულა სოფლად სახელმწიფო სოციალიზმის პრინციპების ერთბაშად დამკვიდრება. პირველი ეტაპის ამოცანად საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, მიჩნეულ იქნა მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია და გლეხობისათვის მიწის გადაცემა. თუმცა რუსეთისაგან განსხვავებით, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მაინც აღმოჩნდა ერთი სიძნელის წინაშე. საქმე ის იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებული აგრარული რეფორმის შემდეგ მსხვილი მიწათმფლობელობა თითქმის ლიკვიდირებული იყო და, ამდენად, გლეხობის გულის მოგება, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში გაცილებით ძნელი იქნებოდა.

1921 წლის აპრილში საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, რომლის ძალითაც **მიწა მშრომელი ხალხის საკუთრებად** გამოცხადდა. დეკრეტის ძალით, ამიერიდან მთელი ნაციონალიზებული მიწა ირიცხებოდა სახელმწიფო ფონდში და გადადიოდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების (სამაზრო და სასოფლო რევკომების) განკარგულებაში. ადგილებზე იქმნებოდა ე. წ. „მიწის კომიტეტები", რომლებიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მაზრების რევკომებთან ერთად ახდენდნენ მიწის განაწილებას გლეხებს შორის.

საქართველოს რევკომის დეკრეტი მიწის შესახებ ბევრ წინააღმდეგობას შეიცავდა, რის გამოც მისი განხოციელება გაჭიანურდა. კერძოდ, ის საკითხები, რომელიც თითქოს დეკრეტის ძალით უნდა გადაჭრილიყო ნაწილობრივ ან მთლიანად, უკვე შესრულებული იყო 1917-1921 წლებში ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით. 1921 წლის ნოემბერში საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევკომების თავმჯდომარეთა I ყრილობამ აღიარა,

რომ აგრარული რეფორმა საქართველოში ჭიანურ-დებოდა. უფრო მეტიც, საქართველოს სოფელში აგრარული ურთიერთობანი 1922 წლის ბოლოს ისეთივე იყო, როგორც 1921 წლის თებერვლისათვის.

აგრარული რეფორმის დაჩქარებას საბჭოთა ხელისუფლება ვარაუდობდა მიწათმოწყობის დებულების შემუშავების შემდეგ. ეს დებულება 1923 წლის მაისში დაამტკიცა საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. მიწათმოწყობის დებულება განსაზღვრავდა გლეხობისათვის გადასაცემი მიწის ნორმას. ამ ნორმის განსაზღვრისათვის მთელი საქართველო მიწის ხარისხის მიხედვით დაიყო **ხუთ რაიონად.** დაწესდა მიწის დიფერენცირებული ნორმები. გლეხებისათვის დასანანილებელი მთელი მიწა, მიწის ავკარგიანობისა და სავარგულების სახეობის მიხედვით, დაყოფილ იქნა **ოთხ კატეგორიად.** მიწის ნორმა გაანგარიშებულ იქნა გლეხის საშუალო ოჯახზე. **საშუალო ოჯახად** ითვლებოდა გლეხის ცალკე კომლი, რომელიც **3-5** სულისაგან შედგებოდა და დამოუკიდებლად აწარმოებდა მეურნეობას. თუ ოჯახში **ხუთ სულზე მეტი იყო,** მაშინ თითო სულზე ემატებოდა ნორმის ერთი მეათედი. თუ ოჯახში სამ სულზე ნაკლები იყო, მაშინ ნორმას აკლდებოდა **თითო ნაკლებ სულზე ერთი მეათედი.** აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისათვის საშუალო ოჯახზე გადასაცემი მიწის ნორმა განისაზღვრა 4 დესეტინით, დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის – 2,5 დესეტინით. 1923 წლის აღწერით საქართველოში იყო 388 480 კომლი. მიწის ზემოთ აღნიშნულ ნორმაზე გადაანგარიშებით კომლთა ამ არსებული რაოდენობის დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო 1 219 450 დესეტინა მიწა, მაშინ, როცა იმავე 1923 წლის მონაცემებით, საქართველოში სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების რაოდენობა 875 606 დესეტინას უდრიდა, ე. ი. რეფორმის გატარებისათვის საჭირო იყო კიდევ 344 444 დესეტინა მიწა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **გლეხობის დიდი ნაწილი მიწის დადგენილ ნორმას ვერ მიიღებდა. საბოლოოდ, 1925 წლის ბოლოსათვისაც კი უღარიბესი გლეხობის დიდმა ნაწილმა მიწა ვერ მიიღო.** აგრარული რეფორმით გაცილებით მეტად ისარგებლეს მდიდარმა გლეხებმა (კულაკებმა), რომლებიც რეფორმამდე, ფაქტობრივად, ფლობდნენ მიწას. იგივე ითქმის საშუალო გლეხობის ნაწილზეც.

შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსავალი საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ იპოვა. მთელი რიგი საგანგებო ღონისძიებების მიუხედავად, 1925 წლისათვის საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე ომამდელი (1913 წ.) დონის მხოლოდ 85%-ს უდრიდა.

1921-1925 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში აგრარული საკითხის მოგვარება ვერ შეძლო. უფრო მეტიც, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული რეფორმა უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებულ აგრარულ რეფორმასთან შედარებით. საბჭოთა აგრარულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად დასცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონე, ამასთან, სერიოზულად დაძაბა სოციალური ურთიერთობანი სოფლად.

XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში შექმნილი სოციალური და ეკონომიკური ვითარება არასტაბილური და კრიზისული იყო, რაც გამოწვეულ იქნა საბაზრო ეკონომიკის ნგრევითა და სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებით.

§5. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს

რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოსათვის ისეთ არახელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარეობდა, რომ მისი შედეგი ეჭვს არ იწვევდა. რუსეთს უზარმაზარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას აძლევდა საერთაშორისო იზოლაციაში დარჩენილი საქართველო ადვილად დაეპყრო. ომში დამარცხება შეიძლება გადავადებულიყო ერთი ან ორი კვირით, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ შეცვლიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დიდ პოლიტიკას, დიდი სახელმწიფოების ეგოიზმს შეეწირა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას, ქართულ პოლიტიკურ ელიტას ეყო ბრძოლის გაგრძელების უნარი.

1921 წლის 16 მარტს ბათუმში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შეტევის მოლოდინში და თურქეთის მხრიდან აშკარა აგრესიის პირობებში შეიკრიბა საქართველოს დამფუძნებელი კრება. კრებამ დაადგინა მთავრობის წასვლა ემიგრაციაში და ბრძოლის გაგრძელება ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. დამტკიცდა საქართველოს მთავრობის ახალი, რაოდენობრივად შემცირებული, შემადგენლობა: **ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე), ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და კონსტანტინე კანდელაკი.** მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა დამფუძნებელი კრების წევრთა დიდი ნაწილი. ბათუმიდან კონსტანტინეპოლში შეჩერებულმა საქართველოს მთავრობამ, ასევე პარიზში მყოფმა ირაკლი წერეთელმა 1921 წლის მარტში ევროპის ქვეყნების სოციალისტურ პარტიებსა და მუშათა ორგანიზაციებს ამცნეს საქართველოში დატრიალებული ამბების შესახებ და ითხოვეს დახმარება ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტები და მთავრობები საქართველოს ბედით არ დაინტერესებულან. ეს არც იყო მოულოდნელი. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობები, რომელთაც საბჭოთა რუსეთს უფლება მისცეს დაეპყრო საქართველოს

ხარიტონ შავიშვილი

დემოკრატიული რესპუბლიკა, ცხადია, ეხლა რუსეთს არ მოსთხოვდნენ გაეყვანა ჯარები ოკუპირებული საქართველოდან.

1921 წლის 13 აპრილს პარიზში გაიმართა საქართველოს ემიგრაციული მთავრობის სხდომა **ნოე ჟორდანიას** თავმჯდომარეობით. მთავრობის სხდომაზე იხილებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საქართველოს მოკავშირის საკითხი. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული და მძიმე მდგომარეობაში მყოფი გერმანია მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა გერმანია-რუსეთის დაახლოება. საქართველოს მოკავშირე, **აკაკი ჩხენკელის** აზრით, შეიძლებოდა ინგლისი ყოფილიყო, რაც, ცხადია, სრულიად დაუსაბუთებელი და მიუღებელი იყო. **ნოე ჟორდანიას** მიაჩნდა, რომ მთლიანობაში უნდა შეცვლილიყო საქართველოს ძველი საგარეო-პოლიტიკური კურსი და შემუშავებულიყო ახალი. **მთავრობის თავმჯდომარე თვლიდა, რომ იმ ვითარებაში, როცა მიმდინარეობს ინგლის-რუსეთის, საფრანგეთ-თურქეთისა და იტალია-თურქეთის დაახლოება, საქართველო დასავლეთ ევროპაში მოკავშირეს ვერ იპოვიდა – დასავლეთ ევროპის ქვეყნები რუსეთზე ზეგავლენას არ მოახდენდნენ.** მთავრობის სხდომაზე ვერც აკაკი ჩხენკელმა, ვერც ნოე ჟორდანიამ და, საერთოდ, მთავრობის ვერც ერთმა წევრმა საქართველოს მოკავშირის შესახებ დასაბუთებული არგუმენტაცია ვერ წარმოადგინა. იმხანად ვერც ვერავინ შეძლებდა რეალურ მოკავშირეზე მიენიშნებინა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ **შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საქართველო მოკავშირეს ვერ იპოვიდა.**

საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ დაადგინა, რომ ოფიციალური მოლაპარაკებები საქართველოს სახელით უნდა ეწარმოებინა სრულუფლებიან ელჩს **აკაკი ჩხენკელს.** ასევე გადაწყდა, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობების მუშაობისათვის (ლონდონში, რომში, ბერლინში, კონსტანტინეპოლში) ეხელმძღვანელა კომისიას **ნოე ხომერიკის** თავმჯდომარეობით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოს საკითხის პოპულარიზაციისათვის, ცალკეული ქვეყნების მთავრობებსა და პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობის დამყარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს წარმომადგენლობებისა და მისიების დაარსებას. მათი ჩამოყალიბება ჯერ კიდევ 1918 წლიდან დაიწყო. 1921 წლისათვის საქართველოს წარმომადგენლობებსა და მისიებში მოღვაწეობდნენ: **აკაკი ჩხენკელი** (საფრანგეთში), **ვლადიმერ ახმეტელი** (გერმანიაში), **გიორგი მაჩაბელი** (იტალიაში), **სვიმონ მდივანი** (თურქეთში), **ხარიტონ შავიშვილი** (შვეიცარიაში). გარდა ამისა, 1922 წლიდან კონსტანტინეპოლში დაარსდა **პოლიტიკური კომისია,** რომელსაც ჯერ **ნოე ხომერიკი,** ხოლო შემდეგ **კონსტანტინე გვარჯალაძე** ხელმძღვანელობდა. ვარშავასა და პრაღაში არსებობდა **ქართული გამგეობები.** ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დავალებით რამდენჯერმე იყო მივლინებული **ზურაბ ავალიშვილი.**

მოსკოვის პროპაგანდა, საბჭოთა რუსეთის დიპლომატია ყოველნაირად ცდილობდა მსოფლიოს პოლიტიკური წრეებისა და საზოგადოებრივი აზრის დარწმუნებას იმაში, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში არ მომხდარა საქართველოს ოკუპაცია. ბოლშევიკური პროპაგანდა ცდილობდა საქმე ისე

ქართული სათვისტომოს მამული საფრანგეთში – ლევილის შატო

წარმოედგინა, რომ თითქოს აჯანყებულმა ქართველმა ხალხმა თავისი ნებით განდევნა მისთვის არასასურველი ხელისუფლება. მოსკოვის პროპაგანდას დაუპირისპირდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პერიოდული გამოცემა „თავისუფალი საქართველო". ამასთან, ევროპისა და ამერიკის პერიოდულ გამოცემებში ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები აქვეყნებდნენ ბოლშევიკური პროპაგანდის წინააღმ-

დეგ მიმართულ მასალას, მსოფლიოს ამცნობდნენ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში დატრიალებული მოვლენების არსს.

ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ემიგრაციაში კავკასიის პოლიტიკური ძალების გაერთიანებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. 1921 **წლის ივნისში პარიზში შეიქმნა კავკასიის რესპუბლიკების – საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელთა კავშირის – წარმომადგენლების მუდმივი ორგანო – კავშირის საბჭო.** გაერთიანებას ხელს უშლიდა კავკასიის რესპუბლიკათა შორის ჯერ კიდევ 1917 წლიდან დაწყებული სასაზღვრო დავა, ასევე 1918-1921 წლებიდან მემკვიდრეობით მიღებული ზოგიერთი სხვა გადაუჭრელი საკითხი.

ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ერების წარმომადგენლებმა სცადეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირის დამყარება ემიგრაციაში მყოფ კაზაკებთან და ყუბანის მხარის დელეგაციასთან. ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. სამაგიეროდ, გადაიდგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი თვით კავკასიის რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების მიზნით.

1921 წლის ივნისში კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას. დეკლარაციაზე ხელისმომწერმა მხარეებმა მიზნად დაისახეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. 1921 წლის ივლისში კავკასიის რესპუბლიკათა კავშირმა შექმნა სამი ორგანო: **კავკასიის რესპუბლიკათა სათათბირო, გენერალური სამდივნო** და **პრესბიურო.** ცოტა მოგვიანებით, 1921 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა კიდევ ერთი ახალი ორგანო – **სამხედრო კომისია.**

კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის მოღვაწეობას რაიმე პრაქტიკული შედეგი არ გამოულია. დასავლეთ ევროპაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ორგანიზება კავშირმა ვერ შეძლო.

საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც აღვნიშნეთ, დიდ პოლიტიკას შეეწირა. ცხადია, დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნები ამჯერადაც არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენდნენ საქართველოს ემიგრაციულ მთავრობას. ეს კარგად გამოჩნდა ნოე ჟორდანიასა და საფრანგეთის პრეზიდენტის მილიერანის შეხვედრისას 1921 წლის ივნისში. საფრანგეთის პრეზიდენტთან ვიზიტის შემდეგ ნოე ჟორდანია შეხვდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს. ამ შეხვედრათა შედეგებს ნოე ჟორდანია ასე აფასებს: „სრული გულგრილობა" საქართველოს საკითხის მიმართ. საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ნოე ჟორდანია იმედს არ კარგავდა. იმავე 1921 წელს საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე ბელგიაში გაემგზავრა და შეხვდა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს. დაპირებების გარდა ნოე ჟორდანიას არც ბრიუსელში მიუღია რაიმე. რაც შეეხება ინგლისის პოზიციას, იგი უკვე გარკვეული იყო. **1921 წლის მარტში ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებამ გადაწყვიტა საქართველოს ბედი. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გამორიცხული იყო რუსეთის წინააღმდეგ ინგლისის გამოყენება.** უფრო მეტიც, ნოე ჟორდანიას ინგლისის ხელისუფლებამ ვიზაც კი არ მისცა ლონდონში ჩასასვლელად. ნოე ჟორდანია, როგორც კერძო პირი, ისე გაემგზავრა ინგლისში. ლონდონში საქართველოს საკითხის მიმართ ისეთი გულგრილი განწყობილება სუფევდა, რომ ნოე ჟორდანიას ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაც კი აღარ უცდია.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის სავსებით ცხადი შეიქმნა, რომ დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნები რუსეთთან დაახლოებას ცდილობდნენ და, ამდენად, რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს განთავისუფლების საქმეში ისინი მოკავშირეებად ვერ გამოდგებოდნენ.

დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების ხელისუფალთა პოზიციით იმედგაცრუებული ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე და სხვები 1921 წელს, ისევე როგორც მომდევნო პერიოდში, დიდი მონდომებით ცდილობდნენ თანაგრძნობის მოპოვებას დასავლეთ ევროპის სოციალისტურ და მუშათა პარტიებში. მართალია, **საქართველოს საკითხით ბევრი გამოჩენილი ევროპელი სოციალისტი დაინტერესდა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ამას პრაქტიკული მნიშვნელობა არ შეიძლებოდა ჰქონოდა.**

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობა კიდევ უფრო უიმედო გახდა 1922 წლიდან, მას შემდეგ, რაც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა საბჭოთა რუსეთთან დაახლოებაზე აიღო ორიენტაცია. ლოიდ ჯორჯის პოლიტიკის არსი შემდეგში მდგომარეობდა: **სანამ რუსეთი გარიყული იქნებოდა ევროპიდან, იგი მშვიდობიან ცხოვრებას არ დაიწყებდა, თუ რუსეთი ეკონომიკის აღდგენას შეუდგებოდა, მაშინ ინგლისის მრეწველობა რუსეთში ბაზარს მოიპოვებდა.** ინგლისის ასეთ პოლიტიკას თანაგრძნობით შეხვდნენ ევროპის ქვეყნები. პირველი მსოფლიო ომისაგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენის სიძნელეები, ინგლისის მსგავსად, ევროპის სხვა ქვეყნებს რუსეთთან თანამშრომლობისაკენ უბიძგებდა. ეს საქართველოს ყოფილ მოკავშირეს, გერმანიასაც ეხებოდა. **ანტანტასთან ომში დამარცხებული და მოკავშირეების ანტიგერმანული პოლიტიკის წყალობით მძიმე მდგომარეობაში მყოფი გერმანია საბჭოთა რუსეთთან დაახლოებისაკენ მიისწრაფოდა.**

ევროპის ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია) რუსეთთან დაახლოების პარალელურად კიდევ უფრო ჩქარი ტემპებით მიმდინარეობდა რუსეთისა და თურქეთის დაახლოება. ამ ფონზე თანდათან კარგავდა მნიშვნელობას ანტისაბჭოთა რუსული პოლიტიკური ემიგრაციაც. ყოველივე ეს სრულიად უიმედო მდგომარეობაში აგდებდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას. ძალა, რომელიც

ირაკლი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე.
ლონი, საფრანგეთი (1925 წ.)

ზეგავლენას მოახდენდა საბჭოთა რუსეთზე, არ არსებობდა. ამ უიმედო ვითარებაში საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ სცადა საქართველოს საკითხი საერთაშორისო კონფერენციების მსჯელობის საგნად ექცია.

1922 წლის აპრილ-მაისში მიმდინარეობდა გენუის (იტალია) საერთაშორისო კონფერენცია. თუ რომელი ქვეყნები უნდა მიეწვიათ გენუის კონფერენციაზე, გადაწყდა კანის საერთაშორისო კონფერენციაზე 1922 წლის იანვარში. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გენუის კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებდა საბჭოთა რუსეთი. საქართველოს ემიგრაციული მთავრობა ენერგიულ მოღვაწეობას შეუდგა, რათა მიეღწია საქართველოს კანონიერი მთავრობის წარმომადგენლის დაშვებისათვის მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე. გენუის კონფერენციაზე საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლის დაშვების წინააღმდეგ გამოვიდა ინგლისი. ინგლისის წარმომადგენელმა თავისი უარყოფითი პოზიცია იმით დაასაბუთა, რომ საქართველო აზიაში მდებარეობდა და არა ევროპაში. ინგლისის პოზიციამ გადაწყვიტა კიდეც საკითხი – კანის კონფერენციის გადაწყვეტილებით საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენელი არ მიიწვიეს გენუის კონფერენციაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში **აკაკი ჩხენკელი ირაკლი წერეთელთან, სვიმონ მდივანთან, გრიგოლ ვეშაპელსა** და **ზურაბ ავალიშვილთან** ერთად მაინც გაემგზავრა იტალიაში, რათა საჭირო მასალა მიეწოდებინათ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ, დაეცვათ საქართველოს კანონიერი მთავრობის ინტერესები.

გენუის კონფერენციის გახსნისთანავე **აკაკი ჩხენკელმა** საქართველოს ემიგრაციული მთავრობის სახელით მემორანდუმი გაუგზავნა კონფერენციის თავმჯდომარეს, იტალიის პრემიერ-მინისტრს ლუიჯი ფაქტას. აკაკი ჩხენკელი ითხოვდა საქართველოს დაცვას საბჭოთა რუსეთის ძალმომრეობისაგან. გენუის კონფერენციის მომწვევი სახელმწიფოების წარმომადგენლები კონფერენციის მსვლელობის პერიოდში იკრიბებოდნენ **სპეციალურ (სამომრიგებლო) სხდომაზე,** რომელიც იხილავდა იმ სახელმწიფოთა განცხადებებს, რომლებიც არ იყვნენ მიწვეული კონფერენციაზე. აკაკი ჩხენკელის მემორანდუმი სწორედ ასეთ სხდომაზე წაიკითხეს. იმავე სხდომაზე წაიკითხეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ამბროსის** მიმართვა გენუის კონფერენციისადმი. ეს უკანასკნელი 1922 წლის 25 მაისს დაიბეჭდა იტალიურ გაზეთ „კაფარაში". საქართველოს ემიგრაციული მთავრობის წარმომადგენლებმა მიაღწიეს იმას, რომ საქართველოს საკითხი განსახილველად გადაეცა გენუის კონფერენციის **სამანდატო კომისიას.** სამანდატო კომისიამ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: 1) კანის საერთაშორისო კონფერენციამ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე არ მოიწვია აზიაში მდებარე საქართველოს წარმომადგენელი;



საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

2) საბჭოთა რუსეთის მთავრობას არა აქვს უფლება ილაპარაკოს საქართველოს სახელით, რადგან საქართველო ოკუპირებულია რუსეთის მიერ; 3) რუსეთის მიერ თბილისში დასმულ მთავრობასაც არა აქვს უფლება წარმომადგენელი ჰყავდეს კონფერენციაზე (სწორედ დადგენილების ამ მუხლის საფუძველზე არ იქნა დაშვებული გენუის კონფერენციაზე საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი ბუდუ მდივანი).

ამრიგად, საქართველოს კანონიერი მთავრობის წარმომადგენელი არ იქნა დაშვებული გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე. მიუხედავად ამ მარცხისა, საქართველოს ემიგრაციულმა მთავრობამ მაინც მიაღწია გარკვეულ წარმატებებს: **პირველი.** საქართველოს საკითხი გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე მაინც იქცა მსჯელობის საგნად; **მეორე.** საბჭოთა რუსეთს არ მიეცა კონფერენციაზე

საქართველოს სახელით გამოსვლის უფლება; **მესამე.** საბჭოთა საქართველოს ასევე არ მიეცა უფლება წარმომადგენელი ჰყოლოდა კონფერენციაზე.

გენუის საერთაშორისო კონფერენციის შემდგომი პერიოდი ძალზე მძიმე იყო საქართველოს ემიგრაციული მთავრობისათვის. თვით ის ფაქტი, რომ ევროპის ქვეყნებმა რუსეთი აქტიურად ჩართეს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში, მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას.

ამრიგად, ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ 20-იანი წლების დამდეგისათვის, მართალია, შეძლო საერთაშორისო არენაზე საქართველოს საკითხის პოპულარიზაცია, მაგრამ შექმნილმა არახელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ მას რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირის პოვნის საშუალება არ მისცა.

§6. ეროვნული მოძრაობა 20-იანი წლების პირველ ნახევარში. 1924 წლის აჯანყება

1. **პირველი გამოსვლები.** ქართველი ერი არ შეჰგუებია დამოუკიდებლობის დაკარგვას. 1921 წელსვე საქართველოში დაიწყო ეროვნული მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.

1921 წლის ზაფხულში, ოკუპაციიდან ოთხი თვის თავზე, მთელი სვანეთი მოიცვა აჯანყებამ. ადგილობრივი რევკომები დაამხეს, მილიციის პუნქტები განაიარაღეს, სვანეთისკენ მიმავალი გზები და ბილიკები შეკრეს. აჯანყების ცეცხლი სვანეთიდან რაჭა-ლეჩხუმს გადაედო. აჯანყებულთა ხელმძღვანელობამ თბილისში დელეგაცია წარგზავნა. მათ საქართველოს რევკომს მოთხოვნები წაუყენა: **რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან და თავისუფალი არჩევნების გამოცხადება.**

სვანეთის აჯანყება გასცდა არა მარტო საქართველოს ერთი კუთხის ფარგლებს, არამედ საქართველოს საზღვრებსაც და მსოფლიოს საზოგადოებრიობის განხილვის საგნად იქცა. 1922 წლის გაზაფხულზე, როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარეობდა გენუის საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციას მემორანდუმი გაუგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი (ხელაიამ). კათოლიკოს-პატრიარქის მემორანდუმის წყალობით რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი ერის სატკივარი მთელი მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი. ამბროსი ხელაია მოითხოვდა: 1) რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას საქართველოდან; 2) ქართველი ერისათვის თავისი ცხოვრების დამოუკიდებლად მონყობის უფლების მინიჭებას.

საქართველოში სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის აჯანყების პარალელურად მღელვარებანი დაიწყო ქვეყნის სხვა მხარეებშიც. საპროტესტო გამოსვლების ინიციატივა მუშათა წრეებიდან მოდიოდა. საოკუპაციო ხელისუფლებამ მოიწადინა ნაძალადევის კლუბში მუშებისათვის წარედგინა რუსეთიდან საგანგებოდ მოვლინებული **იოსებ სტალინი.** მუშებმა მოსმენით კი მოუსმინეს იოსებ სტალინს, მაგრამ მთელი დარბაზი განწყობილი იყო მის წინააღმდეგ. აღნიშნული შეხვედრა დიდ დისკუსიად, დისკუსია კი საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ მუშათა საპრო-

ბიძინა პირველი

ტესტო მანიფესტაციად გადაიქცა. მუშათა ამ პოლიტიკურ აქციას მასობრივი დაპატიმრებები მოჰყვა.

1921 წლის 8-10 ოქტომბერს თბილისის ქარხნებში, ფაბრიკებში, რკინიგზის ყველა დეპო-სახელოსნოში მუშებმა მოაწყვეს კრებები, სადაც განიხილავდნენ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხს და ილებდნენ საპროტესტო დადგენილებებს. 24 ოქტომბერს კი ცხრა კაცისაგან შემდგარი მუშათა დელეგაცია საქართველოს რევკომს ეახლა მემორანდუმით, რომელშიც ობიექტურად იყო შეფასებული საბჭოთა ხელისუფლების რვათვიანი მოღვაწეობა და გამოთქმული იყო მუშათა კლასის გულისნადები. მუშათა დელეგაცია დააპატიმრეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული აგრესიის გზით დამხობისა და რუსეთისაგან მისი ოკუპაციის წინააღმდეგ ქართველი ერის შეურიგებელი დამოკიდებულების აქტიურ გამომხატველად იქცა ინტელიგენცია. ქართველი ინტელიგენციის განწყობა კარგად გამოხატა კონსტანტინე გამსახურდიამ: **„რკოც იქ უნდა დაეცეს, სადაც მუხა ნაიქცევა“.**

იმჟამინდელი, ჯერ კიდევ არაკომუნისტური, პრესა ადგილს უთმობდა ქართველ მწერლებს, მეცნიერებს. ისინი მსჯელობდნენ ქართველი ერისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულების – დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დაცვის აუცილებლობაზე. ქართველი ინტელიგენცია კალმით ებრძოდა დამპყრობთ.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

დამხობისა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ დამფუძნებელი კრების პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთბრალდებები კარგა ხანს გაგრძელდა. მიუხედავად დაპირისპირებისა, ყველა პარტიის პოზიცია მაინც ერთნაირი იყო შეთანხმებისა და გაერთიანების აუცილებლობაში. 1921 წლის აპრილიდან დაიწყო **პირველი ინტერპარტიული შეხვედრები.** ბჭობის მთავარი თემა,

ნიკოლოზ ქარცივაძე

ცხადია, შექმნილი პოლიტიკური ვითარება და მომავლის პერსპექტივები იყო. მოლაპარაკებები მთელი წლის მანძილზე უნაყოფოდ მიმდინარეობდა. საერთო მოქმედებისათვის პარტიები ვერ შეთანხმდნენ. მოლაპარაკებათა ახალი ეტაპი დაიწყო 1922 წლის დამდეგიდან. თითქმის ნახევარი წლის კამათის, შეხლა-შემოხლისა და აზრთა დაპირისპირების შემდგომ, 1922 წლის აპრილ-მაისში, შეთანხმებაც მიღწეულ იქნა. შეიქმნა ინტერპარტიული ორგანო, რომელიც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით – **„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" (დამკომი),** იგივე **„პარიტეტული კომიტეტი".** ეს ახალი ზეპარტიული ორგანიზაცია დაეფუძნა პრეამბულისა და თერთმეტი მუხლისაგან შემდგარ ხელშეკრულებას, რომელშიც გამოხატული იყო ხელმომწერ პარტიათა ერთობლივი პოლიტიკურ-პრაქტიკული მოქმედების პროგრამა საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევამდე და შემდგომ. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნის მიზნით, მოლაპარაკებას ანარმოებდნენ და შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს დამფუძნებელი კრების პოლიტიკურ პარტიათა შემდეგმა წარმომადგენლებმა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

კონსტანტინე ანდრონიკაშვილი

პარტიიდან – **გიორგი (გოგიტა) ფაღავამ;** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – **იასონ ჯავახიშვილმა;** სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან – **გრიგოლ რცხილაძემ;** სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან (ესერებისაგან) – **იოსებ გობეჩიამ,** „სხიველებისაგან" (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებისაგან) – **მუხრან ხოჭოლავამ.** კომიტეტის შემადგენლობაში მოგვიანებით მოხდა შემდეგი ცვლილებები: გოგიტა ფაღავა შეცვალა ჯერ **ნიკოლოზ (კოლია) ქარცივაძემ,** შემდგომ **კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილმა,** მუხრან ხოჭოლავა – **ნიკიფორე იმნაიშვილმა,** გრიგოლ რცხილაძე – **სამსონ დადიანმა.**

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში" ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, ყოველი პარტიიდან თითო წევრი შედიოდა, იმის მიუხედავად, თუ როგორი იყო ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკური ხვედრითი წონა. აქედან გამომდინარეობდა ამ ორგანოს პარიტეტული ხასიათი. კომიტეტს მუდმივად თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი.

ახლად დაარსებული დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ ცნობა (საწესდებო ტექსტი და საგანგებო წერილი) ესერ იოსებ გობეჩიას ხელით გაე-

გიორგი (გოგიტა) ფაღავა

გზავნა პარიზში ემიგრირებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკური ცენტრი საქართველოში.

3. „სამხედრო ცენტრისა" და „შეფიცულთა რაზმის" შექმნა. ძალზე მძიმე იყო შექმნილი ვითარება, მაგრამ საჭირო იყო ბრძოლა. ქართველ ერს ბრძოლის საბაბი მტერმა მისცა. საქართველოს ოკუპაციის დღიდანვე შეუდგნენ რუსები საუკეთესო მამულიშვილების დევნას, გადასახლებას, დახვრეტასა და ქვეყნის დაწიოკებას. ქართველ ერშიაც იმავე დღიდან დაიწყო ძალების შემოკრება და ბრძოლისათვის მზადება.

ჯერ კიდევ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ჩამოყალიბებამდე, შეიქმნა ორგანიზაცია სახელწოდებით – **„სამხედრო ცენტრი",** რომელიც სათავეს 1922 წლის მარტიდან იღებს. 1922 წლის მარტში გოგიტა ფაღავამ პოლკოვნიკ **ივანე ნარიკელაძის** ბინაში სამხედრო სპეცია-

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ლისტებთან ერთად საგანგებო თათბირი გამართა. ამ თათბირს ესწრებოდნენ: **ვარდენ წულუკიძე, როსტომ მუსხელიშვილი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი** და **გიორგი ხიმშიაშვილი.** თათბირზე პირველად დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხი. ამ პერიოდისათვის ბრძოლა, ფაქტობრივად, დაწყებული იყო. უკვე მოქმედებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული ორგანიზაცია; **ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამხედრო კომიტეტი,** რომელსაც გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი** ხელმძღვანელობდა; სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული **სამხედრო ორგანიზაციები** და სხვა.

ამრიგად, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" („დამკომის") შექმნასთან ერთად, 1922 წლის მარტში წარმომადგენლობით საფუძველზე შეიქმნა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის „სამხედრო ცენტრიც".

1922 წლის დამდეგიდან პარტიზანულ ბრძოლებს იწყებს **ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის** რაზმი. 1922 წლის თებერვალში კახეთში, ალვანის ტყეში, შეიკრიბა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირველი ექვსი თანამებრძოლი. ასე შედგა ერთგულების ფიცით შეკრული პირველი შვიდეული, ანუ ბირთვი განთქმული „შეფიცულებისა". შეფიცულებს შორის იყვნენ: ალექსანდრე სულხანიშვილი, სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიხეილ ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები და სხვები.

4. ხევსურეთის ამბოხება. 1922 წლის გაზაფხული ქართველი გენერლების, ოფიცრებისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ახალი დაპატიმრებებით აღნიშნა საოკუპაციო ხელისუფლებამ. აპრილში დაპატიმრეს „სამხედრო ცენტრის" წევრი, გენერალი **ვარდენ წულუკიძე,** ხოლო იმავე წლის მაისში – პოლკოვნიკი **გიორგი ხიმშიაშვილი,** რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილთან აპირებდა გამგზავრებას. გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი სურამში გაგზავნა ხელისუფლებამ. თბილისში დარჩნენ გენერალი **კოტე აფხაზი,** გენერალი **როსტომ მუსხელიშვილი** და პოლკოვნიკი **ივანე ნარიკელაძე.** როსტომ მუსხელიშვილი და ივანე ნარიკელაძე დაზვერვითი ხასიათის ინფორმაციას აგროვებდნენ საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო შენაერთების შესახებ. გენერალი კოტე აფხაზი თავის უახლოეს თანამოაზრესთან დავით (დათა) ვაჩნაძესა და სამხედრო სპეციალისტებთან ერთად მოსალოდნელი ამბოხების დეტალურ გეგმას ამუშავებდა.

1922 წლის მაისის დამლევს გენერალ ვარდენ წულუკიძეს პატიმრობიდან ათავისუფლებენ და „სამხედრო ცენტრიც" სრული შემადგენლობით ემზადება აჯანყებისათვის.

1922 წლის გვიან გაზაფხულზე სტამბოლიდან პარიზს ჩავიდა საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის მთავრობის კიდევ ერთი წევრი – **ნოე**

ვარდენ წულუკიძე

ხომერიკი. ემიგრაციული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წინაშე განსახილველად და გადაწყვეტილებების მისაღებად დააყენა საკითხი საერთო-სახალხო აჯანყების შესახებ. ამ პერიოდში საქართველოში კიდევ ერთმა აჯანყებამ იფეთქა. 1922 წლის ივლის-აგვისტოში ამბოხება დაიწყო **კახეთსა** და **ფშავ-ხევსურეთში.** აჯანყების ცენტრი დუშეთი იყო. აჯანყების მეთაურებს ასეთი გეგმა ჰქონდათ: როგორც კი რუსეთის ჯარი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან შესაბრძოლებლად დუშეთისკენ გაეშურებოდა, მაშინვე მას ზურგიდან თავისი რაზმით თავს დაესხმოდა მიხეილ ლაშქარაშვილი. მტრის განადგურების შემდეგ გამარჯვებულები ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით პირდაპირ თბილისის ასაღებად დაიძრებოდნენ. პარალელურად აჯანყებები უნდა მომხდარიყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლსა და კახეთში.

„სამხედრო ცენტრმა", რომელიც სერიოზულად ემზადებოდა ამბოხებისათვის, დაიწყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის გაძლიერება. 1922 წლის მაისში ვარდენ წულუკიძის უშუალო ხელშეწყობით გორის მაზრაში ჩამოყალიბდა კარგად შეიარაღებული და მომზადებული კიდევ ერთი პარტიზანული რაზმი **გიორგი გვერდწითელის** მეთაურობით. მალე გიორგი გვერდწითელი რაზმითა და

საბრძოლო აღჭურვილობით დუშეთის მაზრაში მყოფ ქაქუცა ჩოლოყაშვილს შეუერთდა.

პანკისის ხეობიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმმა დუშეთის მიმართულებით იწყო გადაადგილება. რამდენიმე ლოკალური ბრძოლის შემდეგ პარტიზანები ფშავში დაბანაკდნენ. სოფელ **მაღაროსკარში** გაიმართა დიდი ბრძოლა. საოკუპაციო ხელისუფლების მხრიდან შეტაკებაში დაახლოებით 250 კაცი მონაწილეობდა. ამის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხევსურეთისაკენ გაემართა. მანამდე კი პარტიზანებმა არაგვის შესართავთან მდებარე ორწყალი დაიკავეს და ხევსურეთში შესასვლელი გზა ჩაკეტეს.

აჯანყებულთა მთავარი ძალები **ბარისახოში** დაბანაკდნენ და აქედან დაიწყეს აჯანყებისათვის მზადება. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ჩეჩნეთში გაგზავნა **ალექსანდრე სულხანიშვილი** და თუში **შამილა** საერთო ბრძოლისათვის მოსამზადებლად.

მთელი ამ ხნის მანძილზე „სამხედრო ცენტრს" კავშირი არ გაუწყვეტია პარტიზანებთან. გენერალი როსტომ მუსხელიშვილი მოწინააღმდეგის რაოდენობასა და მოსალოდნელი ბრძოლის დეტალურ გეგმას აცნობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს. მართალია,

კოტე აფხაზი

მაღაროსკარის ბრძოლა ცოტა ნაადრევად მოხდა, მაგრამ მას დიდად არ შეუცვლია აჯანყების გეგმა. თითქოს ყველაფერი მზად იყო, რომ ხევსურეთში აჯანყება დაწყებულიყო, პერმანენტული ხასიათი მიეღო და შემდეგომ მთელ საქართველოზე გავრცელებულიყო. აჯანყება 1922 წლის აგვისტოს მართლაც დაიწყო.

რუსეთის ჯარი, ახალი რაზმებით შევსებული და გამაგრებული, შეტევაზე გადავიდა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი ალყაში მოაქცია. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა გაფრთხილებული იერიშით ალყა გაარღვია და კახეთისკენ გასწია. ოკუპანტებმა ხევსურეთი და იქაური სოფლები სასტიკად აოხრეს. აჯანყება დამარცხდა. 1922 წლის ბოლოს ფაქტობრივად მოქმედება შეწყვიტა „სამხედრო ცენტრმაც".

5. რეპრესიები. 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყების ჩახშობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი რეპრესიები გააჩაღა. ოდნავ ეჭვმიტანილებსაც კი იჭერდნენ და ხვრეტდნენ. 1923 წლის ოქტომბერ-მარტში დააპატიმრეს მთელი **„სამხედრო ცენტრი"**.

გიორგი ხიმშიაშვილი

1923 წლის მაისში ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიათა კოლეგიების გაფართოებულმა სხდომამ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა: გენერალ **კოტე აფხაზს**, გენერალ **ალექსანდრე ანდრონიკაშვილს**, გენერალ **ვარდენ წულუკიძეს**, გენერალ **როსტომ მუსხელიშვილს**, პოლკოვნიკ **გიორგი (გოგი) ხიმშიაშვილს**, პოლკოვნიკ **ალექსანდრე მაჭავარიანს**, პოლკოვნიკ **ელიზბარ გულისაშვილს**, პოლკოვნიკ **დიმიტრი ჩრდილელს**, პოლკოვნიკ **ივანე ქუთათელაძეს**, **ლევან (ლელო) კლიმიაშვილს**, **სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელს**, **ფარნაოზ ყარალაშვილს**, **იასონ კერესელიძეს**, **სიმონ ჭიაბრიშვილსა** და **ნიკოლოზ ზანდუკელს**. საშინელი რეპრესიები დაატყდა თავს დახვრეტილი ქართველი გენერლებისა და ოფიცრების ოჯახებს.

„სამხედრო ცენტრის" გარდა რეპრესიები თავს დაატყდა „პარიტეტულ კომიტეტს" – პატიმრობაში აიყვანეს მისი თავმჯდომარე ნიკოლოზ ქარცივაძე.

დამსჯელმა რაზმებმა ააოხრეს კახეთი, სვანეთი, გურია, მთელი საქართველო. გურიაში სამხედრო ექსპედიციის დამსჯელი რაზმების მეთაურმა ბოლშევიკმა ალექსანდრე (საშა) ობოლაძემ გადაწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი. ქართველმა პატრიოტებმა რეპრესიებს ტერორით უპასუხეს და ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში ყუმბარის აფეთქებით მოკლეს ალექსანდრე ობოლაძე და ორი წითელი მეთაური. საოკუპაციო ხელისუფლებამ, სანაცვლოდ, სისხლით მორწყა მთელი გურია. რეპრესიები მძვინვარებდა თბილისშიც. ერთ ღამეში თბილისის ციხიდან 92 კაცი გამოიყვანეს და დახვრიტეს; მათ შორის 15 პოლიტიკური მოღვაწე, მასწავლებლები, სტუდენტები, მუშები და გლეხები.

1923 წელსვე რეპრესიების მეორე გამანადგურებელი ტალღა დაატყდა თავს იატაკქვეშეთში მოქმედ და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს.

6. „სამხედრო კომისია" და აჯანყებისათვის მზადება. 1922 წლის ნოემბერში ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნდა **ნოე ხომერიკი.** მისი ჩამოსვლის შემდეგ აჯანყებისათვის მზადება გამოცოცხლდა. ისევ ამოძრავდა **„პარიტეტული კომიტეტი"**. ნოე ხომერიკის ინიციატივით აქტიურად ამუშავდა ახლად რეორგანიზებული „სამხედრო კო-

მისია", რომლის მუშაობას წარმართავდნენ **ნოე ხომერიკი** (სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან) და **მიხეილ ჯავახიშვილი** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან).

1923 წლის აპრილში შედგა საიდუმლო სამხედრო ყრილობა. ყრილობაზე მოწონებულ იქნა აჯანყების საერთო გეზი, დამუშავდა და დაზუსტდა მოსამზადებელი მუშაობის ფორმები და მეთოდები. ამავე ყრილობაზე წაიკითხეს და მიიღეს ფიცის ტექსტი.

აჯანყების მზადების პერიოდში კვლავ იდგა დანარჩენ კავკასიურ ქვეყნებთან ურთიერთობისა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დასამხობად ერთიანი კავკასიური აჯანყების საკითხი. ურთიერთობა განახლდა სომეხ და აზერბაიჯანელ ნაციონალისტებთან, რომელთა უპერსპექტივოდ დასრულების შემდგომ აჯანყების პოლიტიკური და სამხედრო ცენტრი აქტიურად აგრძელებდა მოლაპარაკებებს ჩრდილოეთ კავკასიასთან.

1923 წლის ნოემბერში საგანგებო კომისიამ **ნოე ხომერიკი** დააპატიმრა. მისი ადგილი დაიკავა **გოგიტა ფაღავამ,** რომელმაც აქტიურად განაგრძო წინამორბედის საქმიანობა.

ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობის პარალელურად აჯანყების ცენტრი აქტიურად

ბენია ჩხიკვიშვილი

დაუკავშირდა ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობას, რათა გადამწყვეტ ბრძოლას სრულიად მომზადებულნი შეხვედროდნენ. „სამხედრო კომისიამ" ცალკეულ მაზრებში შექმნა შესაბამისი სამხედრო ქვეკომისიები, დაიწყო მოსახლეობის დარაზმვა „ხუთეულებად", „ათეულებად" და „ასეულებად". მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად. რაიონებში დაინიშნენ სარდლები და მათი თანაშემწეები.

7. აჯანყების ზღურბლზე. აჯანყების დაწყების დროდ „პარიტეტულმა კომიტეტმა" განსაზღვრა 1924 წლის თებერვალი. თებერვლის შუა რიცხვებში ზედიზედ დააპატიმრეს **გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი** და **ნაპოლეონ კახიანი.** ამით, ფაქტობრივად, ცენტრალური „სამხედრო კომისია" ჩავარდა. მისი ფუნქციების შესრულება განაგრძო თბილისის ქვეკომისიამ (ვასო ნოდია და სოლომონ ზალდასტანიშვილი). მალე დაპატიმრებულთა ადგილები შეავსეს საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა **ვალიკო ჯუღელმა, ბენია ჩხიკვიშვილმა, ვიქტორ ცენტერაძემ** და მოგვიანებით, **ვლასა მგელაძემ.**

1924 წლის ივლისის დამდეგს „პარიტეტულმა კომიტეტმა" საგანგებო სხდომა გამართა, რომელიც აჯანყებისათვის მზადებას მიეძღვნა. აჯანყების დღედ დაინიშნა 1924 წლის 17 აგვისტო, მთავარსარდლად

ვლასა მგელაძე

– გენერალი **სპირიდონ ჭავჭავაძე.** გამოსვლა ყველგან უნდა დაწყებულიყო ერთბაშად, ერთ დღეს. 7 აგვისტოს, დანიშნულ აჯანყებამდე ათი დღით ადრე, დააპატიმრეს **ვალიკო ჯუღელი** – აჯანყების ერთერთი მთავარი ხელმძღვანელი და ერთნაირად აღიარებული და პოპულარული მოღვაწე როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში.

საქართველოს რევკომის ბრძანებით სამხედრო წვრთნაზე გაშვებული ჯარი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა. თბილისში საგანგებო წესები გამოცხადდა. ოდნავ საეჭვო პირებს იჭერდნენ და ციხეში სვამდნენ. პარალელურად კომუნისტებმა რეპრესიები გააჩაღეს სავარაუდო აჯანყების მეორე ცენტრში – ბათუმში. შეიპყრეს აჯანყების ყველა სავარაუდო მეთაური.

აჯანყება რამდენიმე დღით კვლავ გადაიდო. „პარიტეტულ კომიტეტში" აჯანყების თარიღის განსაზღვრის, ასევე სხვა საკითხების გამო, განხეთქილება დაიწყო. ერთიანი აზრის შემუშავება შეუძლებელი გახდა.

8. აჯანყება. აჯანყება 29 აგვისტოს ღამის 2 საათის ნაცვლად დაიწყო ერთი დღით ადრე – 28 აგვისტოს ღამის 2 საათზე ჭიათურაში. ამ აჯანყების შესახებ არაფერი იცოდა არც „პარიტეტულმა კომიტეტმა" და არც აჯანყების არც ერთმა ხელმძღვანელმა.

ვალიკო ჯუღელი

საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები (1921-1927 წწ.)

№№	ადგილის დასახელება	ფართობი კვ. კმ-ობით	მოსახლეობის რაოდენობა	ვის გადაეცა	აქტი, რომლის ძალითაც მოხდა ადგილის გადაცემა	შენიშვნა
1	ყოფ. ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი)	936,15	16380	თურქეთს	ყარსის 1921 წ. ხელშეკრულება	მოსახლეობის რაოდენობა აღებულია 1917 წლის კავკასიის კალენდრიდან. ფართობი გამოთვლილია „ამსლერ"-ის სისტემის პლანიმეტრით 5-ჯერადი მასშტაბის რუკაზე
2	ართვინის ოლქი	3388,82	56480	"	"	
3	არდაგანის ოლქი	5644,74	58869	"	"	
4	ვორონცოვ-ლორის რაიონი (ბორჩალოს მაზრის სამხრ. ნაწილი)	2367,44	37800	სომხეთის სსრ-ს	საქართველოს რევკომის 1921 წ. დეკლარაცია	
5	ზაქათალის ოლქი	3993,89	92608	აზერბაიჯანის სსრ-ს	"	
6	გარეჯის ველი და ქვემო ყარაიზის სექტორი (თბილისის მაზრისა)	658,80	მოსახლეობა არ არის	"	საქ. სსრ. და აზ. სსრ რევკომების შეთანხმება და ამიერკავკასიის ცაკის დადგენილება	
7	ელდარი (სიღნაღის მაზრისა)	546,69	"	"	სსრკ ცაკის 1925 წ. დადგენილება	
8	ლოკ-ლალვარის ქედის ჩრდ. ფერდობი (ბორჩალოს მაზრა)	297,94	"	სომხეთის სსრ-ს	"	
9	პილენკოვო (აფხაზეთი)	268,15	3500	რსფსრ	სსრკ ცაკის 1927 წ. დადგენილება	
10	მელხესტი და ცეკარო (დუშეთის მაზრისა)	166,78	1600	"	"	
11	ნინა მინდორი (ალაზნისპირა ველი, ზაქათალის მაზრისა)	188,44	მოსახლეობა არ არის	საქართველოს სსრ-ს	ა/კ. ცაკის 1923 წ. დადგენილება	
12	ჩათმა (ველი, კახეთის მაზრისა)	132,66	"	"	ა/კ. ცაკის 1927 წ. დადგენილება	

ჭიათურის ამბები უმალვე შეიტყო თბილისში საოკუპაციო ხელისუფლებამ. რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის თავკაცმა სერგო ორჯონიკიძემ მაშინვე ჯავშნოსანი მატარებლითა და თვითმფრინავით მიუსია ჭიათურას დამსჯელი რაზმები.

მთელ საქართველოში ხელისუფლებამ საგანგებო წესები გამოაცხადა. დამსჯელი რაზმები განსაკუთრებული სიმკაცრითა და სისასტიკით მოქმედებდნენ თბილისსა და ბათუმში. უსასტიკესმა ტერორმა მოიცვა მთელი ქვეყანა.

29 აგვისტოს აჯანყება მაინც დაიწყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამოსვლა ერთიან წინამძღოლობას მოკლებული და, ამდენად, ცალკეულ კუთხეებად ლოკალიზებული აღმოჩნდა. აჯანყებულებმა ვერ შეძლეს თბილისზე დაგეგმილი შეტევის განხორციელება. რამდენიმე დღეში დამსჯელმა ექსპედიციებმა ჩაახშეს აჯანყებები **გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, კახეთში.** 1924 წლის 4 სექტემბერს შეიპყრეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" („პარიტეტული კომიტეტის") თავმჯდომარე **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი** და მდივანი – **იასონ ჯავახიშვილი.**

რეპრესიები მთელ საქართველოში აჯანყების ჩახშობის შემდეგაც გაგრძელდა. აჯანყების ბევრი მონაწილე თუ ეჭვმიტანილი ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე დახვრიტეს. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე ლევ ტროცკისა და ნიკოლაი ბუხარინის პასუხად სერგო ორჯონიკიძემ განაცხადა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს, იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება".

თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა აჯანყების მეთაურთა საქმის ძიება. ბოლოს, 1925 წლის ივლისაგვისტოში გაიმართა სასამართლო, რომელიც თავისი დატვირთვით ისტორიული და შინაარსით პოლიტიკური პროცესი იყო. საბჭოთა კანონებით დაისაჯნენ ქართველი პატრიოტები. ბევრი მათგანი შორეული გადასახლებებიდან ვერც კი დაბრუნდა, ბევრს 30-იანი წლების რეპრესიები წამოეწია და ამჯერად ერთხელ „შეწყალებულნი", მეორედ აღარ დაინდეს. არ დაინდეს არც მათი ოჯახის წევრები და ფიზიკურ სასჯელებთან, დარბევა-აწიოკებასა და გადასახლებებთან ერთად, ათეული წლების მანძილზე მათ კიდევ ერთი უმძიმესი სასჯელი – ხალხის მტრების შვილთა მძიმე სასჯელი ზიდეს.

1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამ აჯანყებას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს მომავალი.

XX საუკუნის 20-იანი წლების ეროვნულ მოძრაობასა და 1924 წლის აჯანყებას წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში. ეს ეპოქა გმირობისა და თავდადების მაგალითს აძლევდა მომავალ თაობებს.

თავი VIII

საქართველოს XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან 40-იანი წლების დამდეგამდე

§1. სოციალური და ეკონომიკური სისტემა

საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის დამკვიდრებისა და მისი ტრანსფორმაციის პერიოდში (XX საუკუნის 20-იანი წლების პირველი ნახევარი) შეინიშნება ეკონომიკის დაქვეითება და სოციალური ურთიერთობის გამწვავება. ეს ტენდენცია გრძელდებოდა 20-იანი წლების მეორე ნახევარშიც.

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის საქართველოს გლეხობა სამ ფენად იყო დაყოფილი: ა) **უღარიბესი გლეხობა** (დაახლოებით 25-30%); ბ) **საშუალო გლეხობა** (დაახლოებით 65-70%); გ) **შეძლებული გლეხობა ანუ კულაკობა** (დაახლოებით 2-3%). 20-იანი წლების პირველ ნახევარში მიმდინარეობდა უღარიბესი გლეხობის ფენის ზრდა. ეს პროცესი 20-იანი წლების მეორე ნახევარშიც გრძელდებოდა. შესაბამისად მცირდებოდა საშუალო და შეძლებული გლეხების ხვედრითი წილი. **საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის მაჩვენებელი იყო შეძლებულ გლეხთა მეურნეობის სისუსტე.** კერძო მეურნეობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობების გამო ისედაც სუსტი ფერმერული მეურნეობა კიდევ უფრო სუსტდებოდა. უღარიბეს და საშუალო გლეხობას კი არ შეეძლო საშინაო ბაზრის უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის პროდუქციით, ასევე სამრეწველო საწარმოების დაკმაყოფილება ნედლეულით. ასეთი ვითარება საქართველოს ეკონომიკას თავისთავად აქცევდა რუსეთისა და საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების ეკონომიკის დანამატად. ამრიგად, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ძალაში დატოვა რუსეთის საიმპერატორო კარის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო სოფლის უზრუნველყოფა ახალი ტექნოლოგიით, არ წარმოებდა სესხების გაცემა გლეხური მეურნეობის განვითარების მიზნით. სოფლის ეკონომიკური დაქვეითების პირობებში სულ უფრო ძლიერდებოდა სოციალური დაძაბულობა, იზრდებოდა უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ქართველი გლეხი მისი დუხჭირი ცხოვრების მიზეზს სამართლიანად ხედავდა საბჭოთა ხელისუფლებაში.

20-იანი წლების შუა ხანებისათვის სავალალო მდგომარეობაში იყო საქართველოს მრეწველობა და ტრანსპორტი. **საბჭოთა ხელისუფლების მიერ მრეწველობისა და ტრანსპორტის ნაციონალიზაციამ (სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევამ) შეამცირა პროდუქციის რაოდენობა, გააუარესა ხარისხი, გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოები ხელისუფლების მხრიდან აქტიური მხარდაჭერის პირობებშიც ვერ ახერხებდნენ წარმოების ორგანიზებას.** 20-იანი წლების მეორე ნახევარში შეინიშნება მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ხელფასის შემცირება, თავი იჩინა სხვა სოციალ-ეკონომიკურმა პრობლემებმაც. ყოველივე ამას მოჰყვა კადრების დენადობა სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებიდან. 20-იანი წლების ბოლოსათვის თითქმის ყველა სახელმწიფო სამრეწველო საწარმო განიცდიდა პროფესიონალ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მწვავე დეფიციტს. ასეთი ვითარება მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა თბილისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოებში რუსეთიდან შემოყვანილი კადრები დაესაქმებინა, რაც კიდევ უფრო ამცირებდა ქართველთა ისედაც მცირე ხვედრით წილს სამრეწველო საწარმოებში, ქართველთა საზიანოდ ცვლიდა დემოგრაფიულ ვითარებას ქალაქებში.

მძიმე ვითარება იყო წიაღისეული სიმდიდრის მომპოვებელ საწარმოებში. კერძოდ, კრიზისს განიცდიდა ჭიათურის მანგანუმისა და ტყიბულის ქვანახშირის მომპოვებელი საწარმოები. მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია.

20-იან წლებში დაქვეითებას განიცდიდა ტრანსპორტი. ორთქმავლებისა და ვაგონების პარკის უდიდეს ნაწილს უკვე კარგა ხნის წინ გაუვიდა ექსპლოატაციის ვადა, მოძველებული იყო სარემონტო ბაზა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ცხადია, არ შეიძლებოდა ჰქონოდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის საკუთარი კონცეფცია.

საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დანამატი იყო და იგი იმავე გზით უნდა განვითარებულიყო, რა გზითაც ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკა.

20-იანი წლების შუა ხანებისათვის უკვე აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის პირობებში, გარე სამყაროსთან დაპირისპირებული საბჭოთა წყობილების აღსასრული გარდაუვალი იყო. მართალია, 1917-1925 წლებში ბოლშევიკებმა შეძლეს სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, მოწინააღმდეგე სოციალურ ძალთა დამარცხება, კაპიტალისტური სამყაროს ინტერვენციის მოგერიება და, საბოლოო ჯამში, ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის – შექმნა, მაგრამ ამ წარმატებების მიუხედავად, ცხადი იყო, რომ საბჭოთა წყობილება ემყარებოდა მხოლოდ ძალადობას. 20-იანი წლების შუა ხანებისათვის საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი. ბოლშევიკებმა პოლიტიკურ სისტემას ვერ მისცეს მეტ-ნაკლებად ცივილიზებული ხასიათი. უზარმაზარი ქვეყანა რუსეთის იმპერიის არსებობის ხანაში დაგროვილი სიმდიდრის უყაირათოდ ხარჯვით ცხოვრობდა.

იოსებ სტალინი

1925-1927 წლებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ **იოსებ სტალინის** მეთაურობით ჩამოაყალიბა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელსაც ოფიციალურად სოციალიზმის მშენებლობის გეგმას უწოდებდნენ. სოციალიზმის მშენებლობის ეს გეგმა ზოგადად ორი მთავარი ამოცანის გადაჭრას ისახავდა მიზნად. **პირველი.** საბჭოთა კავშირში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ლიკვიდაცია და საბჭოთა ხელისუფლების გადარჩენა; **მეორე.** გარე სამყაროსთან დაპირისპირებულ საბჭოთა კავშირში ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება და განმტკიცება.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს სოფლად შექმნილი კრიზისული ვითარება წარმოადგენდა. ქალაქად მსხვილი სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციით (სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევით) მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა, ეკონომიკური ბერკეტები სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა. სულ სხვა ვითარება იყო სოფლად. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწილს საბჭოთა წყობილებისადმი მტრულად განწყობილი მდიდარი გლეხობა (კულაკობა) აწარმოებდა და, ამგვარად, მასზე იყო დამოკიდებული ქალაქის მოსახლეობისა და არმიის გამოკვება. იმხანად პურის ექსპორტი უცხოური ვალუტის მარაგის შევსების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. კულაკი თავისი სოციალური მდგომარეობით გლეხი იყო, ამიტომ მას მემამულური მიწისმფლობელობის ლიკვიდაციის დროს მიწა არ დაუკარგავს, ე. ი. კულაკმა შეინარჩუნა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა. კულაკობას კარგად ესმოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მის ლიკვიდაციას ცდილობდა და, ამდენად, თავადაც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ საბოტაჟის გზას ადგა. კულაკობის ანტისაბჭოთა განწყობილებას იზიარებდა საშუალო გლეხობა. **კულაკურ საბოტაჟს შეეძლო დაემშია ქალაქის მოსახლეობა და არმია, რასაც შეიძლებოდა დიდი სოციალური აფეთქება მოჰყოლოდა.** კულაკობის აშკარად მტრული და საშუალო გლეხობის არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების პირობებში სოფლად საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ძალას ემყარებოდა. სოფლად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების გარეშე შეუძლებელი იყო პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა.

იოსებ სტალინის აზრით, სოფლად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო ფენებად დაშლილი გლეხობის ეკონომიკური და სოციალური გათანაბრება. გათანაბრების საფუძველი კი უნდა ყოფილიყო მიწით სარგებლობის წესის რეგულირება. თუ სოფლად მიწით სარგებლობის წესი არ შეიცვლებოდა, მაშინ არ მოისპობოდა არც ქონებრივი დიფერენციაცია და არც მისგან მომდინარე სოციალური დაპირისპირებანი. **გლეხობის ეკონომიკურად და სოციალურად გათანაბრების ფორმად იოსებ სტალინმა კერძო გლეხური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობაში (კოლმეურნეობაში) გაერთიანება დასახა.** გლეხობა კოლმეურნეობაში უნდა გაერთიანებულიყო წარმოების ძირითადი საშუალებით. პირად საკუთრებაში გლეხს რჩებოდა უძრავი და მოძრავი ქონების უმნიშვნელო ნაწილი. ამრიგად, სოფლად კერძო საკუთრება იცვლებოდა კოლექტიური საკუთრებით, რომლის გამგებელი, ასევე მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამგებელი, ფორმალურად უნდა ყოფილიყო თვით კოლექტივი, სინამდვილეში კი კოლმეურნეობების გზით ყოველივე ამას სახელმწიფო დაეპატრონა.

ულარიბესი გლეხობა კოლმეურნეობებში ძირითადად ნებაყოფლობით გაერთიანდა, საშუალო

გლეხობა მერყეობდა, კულაკობა კი მტრულად შეხვდა კოლმეურნეობების შექმნას. ხელისუფლებამ საშუალო გლეხობის მერყეობა და კულაკობის წინააღმდეგობა ძალის გამოყენებითა და ხანგრძლივი ფართომასშტაბიანი რეპრესიებით დაძლია. 30-იანი წლების დამდეგისათვის კოლმეურნეობების შექმნის კვალდაკვალ ნელ-ნელა შემცირდა კერძო მეურნეობების ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში.

კოლექტივიზაციის წლებში (20-იანი წლების დასასრული – 30-იანი წლების დამდეგი) უსამართლოდ იქნა რეპრესირებული უამრავი ადამიანი. კულაკური მეურნეობის ლიკვიდაციის გამო ძლიერ დაზარალდა სოფლის მეურნეობა, შემცირდა პროდუქციის წარმოება, მოისპო მატერიალური დაინტერესების საფუძველი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკურ მიზანს მაინც მიაღწია. **სოფლად შეიქმნა ეკონომიკურად და სოციალურად გათანაბრებული კოლმეურნე გლეხობის მრავალმილიონიანი ფენა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდა.** სოფლის კოლექტივიზაციით საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ქალაქის მოსახლეობისა და არმიის სოფლის მეურნეობის პროდუქციით სტაბილური მომარაგების გარანტია, ასევე სამრეწველო სანარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქალაქის ორგანიზებულად მომარაგებამ დააკნინა წვრილი ბურჟუაზიის როლი ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ყოველივე ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო ეზრუნა მძიმე მრეწველობის განვითარებაზე. მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის აუცილებელი უცხოური ვალუტა პურის ექსპორტით შემოდიოდა სახელმწიფოში.

საქართველოს ეკონომიკაც საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გეგმის რეალიზაციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია პრინციპულად იმავე ფორმებითა და მეთოდებით ხორციელდებოდა, როგორც რუსეთსა და საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა რესპუბლიკებში. ძალდატანებისა და ხანგრძლივი რეპრესიების გარეშე კულაკობამ და საშუალო გლეხობამ არც საქართველოში დათმო პოზიციები. უდანაშაულოდ რეპრესირებულ ადამიანთა რიცხვი საქართველოშიც ძალზე დიდი იყო. **გლეხური მეურნეობის ლიკვიდაციისა და კოლექტიური მეურნეობის შექმნის პროცესში მნიშვნელოვნად იკლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ, განსაკუთრებით დაზარალდა მეცხოველეობა.** ძალდატანების მიუხედავად, საქართველოში სოფლის კოლექტივიზაცია ერთბაშად მაინც ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი გლეხობის წინააღმდეგობა იყო. 1928 წლისათვის საქართველოში კოლექტივიზაციის პროცენტი ერთსაც არ უდრიდა, ხოლო 1932 წელს ოცდათექვსმეტს გადააჭარბა. კოლექტივიზაციის პროცესზე შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი მონაცემებით: 1928 წელს მთელ საქართველოში კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო 3 574 გლეხური მეურნეობა, 1932 წელს – 165 671, 1937 წელს – 373 944. აღსანიშნავია ისიც, რომ 1937 წელს კოლექტიურ მეურნეობებში ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული 116 354 გლეხური მეურნეობა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირების შემდეგ, 30-იანი წლების შუა ხანებიდან, საქართველოში შეინიშნება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგის (მევენახეობა, მესიმინდეობა) აღმავლობა. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ჭაობების ათვისების შემდეგ განვითარება პოვა მეციტრუსეობამ, თუმცა მისმა განვითარებამ გარკვეულწილად შეაფერხა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების ზრდა, ხოლო ზოგიერთი საერთოდ ჩაკლა. კვლავ ვერ გაიმართა წელში მეცხოველეობა, აღმავლობა არ შეინიშნებოდა ხორბლის დამზადების საქმეში.

XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულისა და 40-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოს არ შეეძლო თავისი მოსახლეობის უზრუნველყოფა პურით, ხორცითა და რძის პროდუქტებით. საქართველოდან საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში გაჰქონდათ ღვინო და ღვინის პროდუქტები, ციტრუსები და სხვ.

30-იანი წლების ბოლოდან საქართველოში სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გააუარესა კოლექტიური მეურნეობებისათვის მიცემული სახელმწიფო გეგმების ზრდამ. **კოლმეურნეობებს მოწეული მოსავლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი რჩებოდათ.** სახელმწიფო გეგმების ზრდასთან ერთად სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ხელისუფლების მისწრაფება ადმინისტრაციული მეთოდებით კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, რასაც, ცხადია, შედეგი არ მოჰყოლია. შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელს უშლიდა შრომის ანაზღაურების ფორმაც, რომელიც არ იძლეოდა მატერიალური წახალისების საშუალებას. ხელოვნური გათანაბრება შრომის ანაზღაურებაში დიდად აფერხებდა ეკონომიკურ პროგრესს სოფლად.

საქართველოს მრეწველობამ XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის პროდუქციის წარმოების მხრივ ვერ მიაღწია 1913 წლის დონეს. ჩამორჩენა შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. კრიზისი **საკმაოდ სერიოზული იყო და მისი დაძლევის გზები არ ჩანდა.** კერძო მფლობელობაში არსებული სამრეწველო სიმძლავრეების ნაციონალიზაციამ მკვეთრად დასცა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. 1928 წლი-

სათვის სამრეწველო პროდუქციის 95%-ზე მეტს ნაციონალიზებული (სახელმწიფო) საწარმოები უშვებდნენ. 20-იანი წლების ბოლოდან განხორციელდა ზოგი ღონისძიება სამრეწველო საწარმოების მუშებითა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით უზრუნველყოფის მიზნით. 30-იანი წლების დამდეგიდან ამოქმედდა ახალი სამრეწველო სიმძლავრეები: ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა, ჭიათურასა და ტყიბულში გაიზარდა მანგანუმისა და ქვანახშირის მოპოვება. ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ზაჰესისა და რიონჰესის ამოქმედებამ. გაუმჯობესდა სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობა. ყოველივე ამის ფონზე აშკარა იყო, რომ **საქართველოს მრეწველობა ემსახურებოდა არა ქართველი ერის ინტერესებს, არამედ იგი ასრულებდა იმ ფუნქციას, რომელიც მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის სამრეწველო კომპლექსში.** საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის დამუშავება, ძირითადად, მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ზრდისა და განმტკიცების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამავე მიზანს ემსახურებოდა ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანა. საქართველოს რკინიგზაზე ტვირთბრუნვა ასევე საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მოთხოვნებით განისაზღვრებოდა. **საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის სოციალ-ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილად იქცა, რომელსაც დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარი არ გააჩნდა.**

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულიდან 30-იანი წლების დასასრულამდე საქართველოში კერძო საკუთრებაზე დამყარებული კაპიტალისტური ურთიერთობები ლიკვიდირებულ იქნა და მის ნაცვლად დამკვიდრდა სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებული სოციალური და ეკონომიკური სისტემა. საბაზრო ეკონომიკა შეიცვალა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ეკონომიკით. ყოველივე ამას, იმხანად მოპოვებული ზოგიერთი წარმატების მიუხედავად, არ შეიძლებოდა ეკონომიკური პროგრესის შეფერხება არ გამოეწვია.

§2. პოლიტიკური სისტემა

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის ქართველი ერის სუვერენიტეტი კვლავ **ორმაგად** იყო შელახული. საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენელ („მოკავშირე") რესპუბლიკასაც კი არ წარმოადგენდა. იგი საბჭოთა კავშირში შედიოდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მეშვეობით. ამიტომაც **საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – საბჭოების ყრილობა – ორმაგ დაქვემდებარებაში იყო.** მის ზემდგომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ ითვლებოდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობა და საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობა. **ორმაგ დაქვემდებარებაში იყო საქართველოს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა) – სახალხო კომისართა საბჭო.** საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს) ზემდგომ ორგანოებად ითვლებოდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო. **ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).** საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ორგანიზაციულად და იდეურად ექვემდებარებოდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მოქმედებდა კომუნისტური პარტიის სრული დიქტატის პირობებში. უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება პრაქტიკულად ახორციელებდა იმ გადაწყვეტილებებს, რომელთაც პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა და კულტურის სფეროში იღებდა კომუნისტური პარტია. საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრა მთლიანად კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელში იყო. კომუნისტური პარტიის ხელში იყო კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე. **საქართველოს კომუნისტური პარტია, ცხადია, არ იღებდა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებს. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა მოსკოვში, რომელსაც ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული ორგანო – საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით ახორციელებდა საქართველოში.**

20-იანი წლების მეორე ნახევარს და 30-იანი წლების პირველ ნახევარში როგორც ხელისუფლების ადგილობრივი (სასოფლო, საქალაქო, სამაზრო, საოლქო), ისე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების არჩევნები საბჭოთა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი სოციალური ფენების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. **უმაღლესი სა-**

კანონმდებლო ორგანო ძირითადად კომპლექტდებოდა მუშათა და გლეხთა კლასიდან. ეს ინვევდა იმას, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხვდებოდნენ ისეთი დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანები, რომელთაც დაკისრებული მოვალეობის შესრულება არ შეეძლოთ. საქართველოს კომუნისტურ პარტიას, ცხადია, უადვილდებოდა ასეთი საკანონმდებლო ორგანოს მართვა. **ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს საბჭოების IV ყრილობას (1927 წ.), ისევე როგორც V ყრილობას (1929 წ.) არ განუხილია ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე არც ერთი საკითხი. იგივე ითქმის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ყრილობებზეც. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს საბჭოების ყრილობებზე მხოლოდ მოსკოვიდან მიღებული დირექტივების შესრულების საკითხი იხილებოდა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი ანგარიშგების**

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სხედან (მარცხნიდან): სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, სერგეი კიროვი; დგანან: კლიმენტი ვოროშილოვი, ლაზარ კაგანოვიჩი, ვალერიან კუიბიშევი

ნიშნით ჩაიარა საქართველოს საბჭოების VI ყრილობამაც (1931 წ.).

1927 წელს საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეორე კონსტიტუცია, რომელიც შემუშავებულ იქნა საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის საფუძველზე.

1936 წელს საბჭოთა კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია. ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ **საზეიმოდ** გამოაცხადა **სოციალისტური საზოგადოების** აშენება. კონსტიტუციამ ქვეყნის პოლიტიკურ საფუძვლად აღიარა მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. კონსტიტუციით საბჭოებს ეკუთვნოდათ მთელი ძალაუფლება როგორც ადგილებზე, ისე ცენტრში. ქვეყნის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრება. 1936 წლის კონსტიტუციამ გააუქმა შეზღუდვები ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებისას. არჩევნები უნდა ყოფილიყო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული. ახალი კონსტიტუციით საბჭოების ყრილობის ნაცვლად, ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო. უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო). 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვანი როლი კომუნისტურმა პარტიამ შეინარჩუნა, უფრო ზუსტად კომუნისტური პარტიის დიქტატურა საბოლოოდ გადაიზარდა იოსებ სტალინის დიქტატურაში.

საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით გაუქმდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. **საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები.** ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკების დაშლასთან ერთად ფუნქციონირება შეწყვიტა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანომაც.

საბჭოთა კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის საფუძველზე შემუშავდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ 1937 წელს დაამტკიცა. საქართველოს პოლიტიკური სისტემა სრულ შესაბამისობაში იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სისტემასთან. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა **უმაღლესი საბჭო,** ხოლო უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას (მთავრობას) – **სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო),** ხელისუფლებას ადგილებზე (ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლებში) საბჭოები ფლობდნენ. უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, ასევე სასამართლო ორგანოები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სრული დიქტატის პირობებში მოქმედებდნენ. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ადგილობრივი ორგანოების დიქტატის პირობებში მუშაობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ადგილებზე (ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლებში). საქართველო მოსკოვიდან იმართებოდა როგორც საბჭოთა კავშირის ერთი ადმი-

ნისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული (ოლქი, მხარე). ამ თვალსაზრისით არავითარი ცვლილება არ მომხდარა 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, თუმცა საქართველომ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მიიღო. 30-იანი წლების დასასრულისა და 40-იანი წლების დამდეგისათვის **საქართველოს პოლიტიკურ სისტემას სუვერენობის ნიშანწყალი არ გააჩნდა.**

XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან 40-იანი წლების დამდეგამდე საქართველოში მოსკოვის საოკუპაციო რეჟიმის ფორმირება ორ ეტაპად მოხდა. **პირველი.** 20-იანი წლების დამდეგიდან 30-იანი წლების დამდეგამდე; **მეორე.** 30-იანი წლების დამდეგიდან 40-იანი წლების დამდეგამდე. პირველ პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში პროფესიონალ რევოლუციონერთა წრიდან გამოსული ადამიანები იყვნენ წარმოდგენილნი (ფილიპე მახარაძე, მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ლევან ღოღობერიძე, სამსონ მამულია და სხვ.), რომელთაც **ქვეყნის მართვის არც ცოდნა და არც გამოცდილება არ გააჩნდათ.** ეს ადამიანები ბოლომდე დარჩნენ **პარტიულ მუშაკებად** და ვერასდროს ამაღლდნენ სახელმწიფო მოღვაწეებამდე. მეორე პერიოდში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოვიდა მოღვაწეთა ახალი თაობა (**ლავრენტი ბერია, კანდიდ ჩარკვიანი** და სხვ.), რომელთაც **ქვეყნის მართვისათვის გაცილებით მეტი ცოდნა და გამოცდილება** ჰქონდათ. ამ პერიოდში აშკარად შეიცვალა მიდგომა სოციალ-ეკონომიკური პრობლემებისადმი. ცხადია, მოღვაწეთა ეს თაობაც, პირველ რიგში, პარტიულ მუშაკებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ საქმიანობაში უკვე აშკარად ჩანს **სახელმწიფო მოღვაწეც, მათი აზროვნებაც უფრო მასშტაბური იყო ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის პროცეს-**

საქართველოს კომპარტიის ლიდერი (1938-1952 წწ.) კანდიდ ჩარკვიანი

ში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია **ლავრენტი ბერიას** მოღვაწეობა.

ამრიგად, XX საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემა, რომელმაც, მართალია, გარკვეულწილად შეალამაზა 20-იანი წლების დამდეგს დამყარებული რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი, მაგრამ მისი არსი ვერ შეცვალა. საქართველო კვლავ რჩებოდა რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნად.

§3. პოლიტიკური რეპრესიები

პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა (კომუნისტური) სისტემის აუცილებელ თანამდევ მოვლენას წარმოადგენდა. პრაქტიკულად რეპრესიები დაიწყო საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებისთანავე (1921 წლის თებერვალ-მარტი). მასობრივი, მანამდე არნახული რეპრესიებით აღინიშნა 1924 წლის აჯანყების პერიოდი. აჯანყების მზადებისა და მიმდინარეობის დროს მოკლულთა რიცხვი მომდევნო ხანებში კიდევ უფრო გაიზარდა – მასობრივად დასაჯეს აჯანყების მონაწილენი თუ მონაწილეობაში ეჭვმიტანილები, მათი ოჯახის წევრები და ახლობლები.

XX საუკუნის 20-იანი წლების დამლევიდან და 30-იანი წლების დამდეგიდან რეპრესიები უფრო გეგმაზომიერ და, რაც მთავარია, მიზანმიმართულ ხასიათს იძენდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

საქართველოს კომპარტიის ლიდერი (1931-1938 წწ.) ლავრენტი ბერია

20-იანი წლების შუა ხანებისათვის საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა წყობილებისადმი ოპოზიციურად განწყობილი სოციალური ძალების დათრგუნვის თვალსაზრისით სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. მოისპო მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეთა ფენა – საბჭოთა ხელისუფლებისათვის ორმა ყველაზე საშიშმა ძალამ ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია სავსებით დაკარგა. ფიზიკურად განადგურდა ან ემიგრაციაში გადაიხვეწა რუსეთის იმპერიის არმიის ოფიცერთა კორპუსი. მუდმივ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა ეკლესია, მრავალი ღვთისმსახური ან ფიზიკურად განადგურდა, ან ციხეებსა და გადასახლებაში იმყოფებოდა. ფართომასშტაბიან რეპრესიებს ვერ გადაურჩა ძველი ინტელიგენცია. ზემოთ ხსენებულ სოციალურ ფენათა რეპრესიები მუშათა და გლეხთა ფენების მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა. საბჭოთა იდეოლოგია წარმოუდგენელი მასშტაბის მსხვერპლს ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პირობად აცხადებდა, სინამდვილეში კი საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე წასისინებით სოციალურ ძალთა დაბალანსებას ახდენდა.

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლების რეპრესიების მიზანი ქვეყანაში სოციალურ ძალთა დაბალანსება იყო. ამ მიზანს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიაღწია.

20-იანი წლების შუა ხანებისათვის, განსაკუთრებით კი 20-იანი წლების დასასრულისათვის ცნობილი გახდა, რომ ახალი ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები სერიოზულ კრიზისს განიცდიდა, პოლიტიკური სისტემა მხოლოდ უხეშ ძალას ეყრდნობოდა, სხვაგვარად მისი ფუნქციონირება შეუძლებელი იყო. ამ რთულ ვითარებაში იოსებ სტალინმა წამოაყენა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა. **სტალინის მიერ გააზრებული სახელმწიფო სისტემა კაპიტალისტური სისტემის ალტერნატივას წარმოადგენდა, მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სოციალისტური სისტემის ტრადიციული გაგებისაგან.** სტალინის გეგმას საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში აშკარა და ფარული მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ. მის გეგმას მიულებლად მიიჩნევდა ძველი ბოლშევიკი პროფესიონალი რევოლუციონერების დიდი ნაწილი. მალე გაირკვა, რომ **რაიმე კომპრომისის გამონახვა სტალინსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის შეუძლებელი იყო.** საბჭოთა კავშირი ან სოციალისტური სისტემის ტრადიციული გეგმის, ან სოციალისტური სისტემის სტალინური მოდელის რეალიზაციის გზით უნდა წასულიყო. სტალინს იდეურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში დიდი უპირატესობა ჰქონდა – იგი ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა. ეს უპირატესობა სტალინმა გამოიყენა. 30-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირში წარმოუდგენელი მასშტაბის პოლიტიკური რეპრესიები გატარდა. **30-იანი წლების რეპრესიები 20-იანი წლების რეპრესიებისაგან განსხვავებით, საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ სოციალურ ძალთა დაბალანსების გარდა სტალინის პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეთა განადგურებას ითვალისწინებდა.**

იოსებ სტალინს პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგენი ჰყავდა არა მარტო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში, არამედ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში და ა. შ. აშკარა თუ ფარული პოლიტიკური ოპოზიციის აღმოცენებამ უკვე 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დამდეგს შექმნა უკიდურესად დაძაბული სიტუაცია, რომელმაც კულმინაციას 30-იანი წლების შუა ხანებისათვის მიაღწია.

სოციალურ ძალთა დაბალანსების პარალელურად პირველი პოლიტიკური რეპრესიები იოსებ სტალინმა 1927 წლიდან დაიწყო. 1927-1934 წლებმა სტალინსა და მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შორის დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. 1934-1938 წლებში სტალინმა სხვადასხვა მიზეზით ფიზიკურად გაანადგურა, ან ციხეებსა და გადასახლებებში გაგზავნა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწინააღმდეგე. რეპრესიებს შეეწირა უამრავი ადამიანი კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში, უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში და ა. შ. საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (სოფელში, მაზრაში, ქალაქში, ოლქში, მხარეში) მიმდინარეობდა მანამდე არნახული რეპრესიები.

საქართველოში 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები დაკავშირებულია **ლავრენტი ბერიას** სახელთან. ლავრენტი ბერია 1931 წელს ერთდროულად გახდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1932 წელს ლავრენტი ბერია გახდა საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი და იმავდროულად შეინ-



„ჩემს ძვირფას ამხანაგებს, ჩემს მიერ დახვრეტილთ!"
Sosio
(ემიგრანტ სიმონ ბერეჟიანის კარიკატურა)

არჩუნა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა.

საქართველოში პოლიტიკურ რეპრესიებს ლავრენტი ბერია ატარებდა მოსკოვში შემუშავებული კურსის შესაბამისად. **პოლიტიკური თვალსაზრისით უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ძველი ბოლშევიკი პროფესიონალი რევოლუციონერების ბირთვის განადგურება და მათ ადგილას ახალი, სტალინის პოლიტიკური კურსის მომხრე კადრების დანიშვნა.** 30-იანი წლების პოლიტიკურ რეპრესიებს შეეწირნენ ცნობილი ქართველი ბოლშე-

ვიკები: მამია ორახელაშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი, ლევან ღოღობერიძე, სამსონ მამულია, მიხეილ კახიანი, მიხეილ ოკუჯავა, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა და მრავალი სხვ. რეპრესიებს გადარჩენილი ძველი ბოლშევიკები (მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვ.) თითქმის აღარავითარ როლს აღარ ასრულებდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის შიგნით, მის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში მიმდინარე რეპრესიების პარალელურად 30-იან წლებში ფართომასშტაბიანი რეპრესიები გატარდა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსა (სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში) და უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში (სახალხო კომისართა საბჭოში), ასევე ხელისუფლების ადგილობრივ (სასოფლო, სამაზრო, საქალაქო, საოლქო) ორგანოებში. წითელი არმიის ქართულ ეროვნულ შენაერთებში. 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც საერთოდ არაფერი აკავშირებდათ პოლიტიკურ ცხოვრებასთან, ისინი უბრალოდ ინტრიგების მსხვერპლნი გახდნენ.

ტიციან ტაბიძე

რეპრესიები არ იყო ერთჯერადი, იგი თითქმის პერმანენტულად მიმდინარეობდა. იყო შემთხვევები, როდესაც რეპრესიების მორიგ ტალღას ეწირებოდნენ ისინი, რომელთაც თავად წინა წლებში მრავალი უდანაშაულო ადამიანი დასაჯეს სიკვდილით.

30-იანი წლების რეპრესიებს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებდა. ხელისუფლება ცდილობდა ყოველი უდანაშაულოდ სიკვდილით დასჯილის საქმე (ძიების მასალები, სასამართლო პროცესი, განაჩენი) ისე ენარმოებინა, რომ მისთვის კანონიერი სახე მიეცა. სინამდვილეში ყოველი დასჯილის საქმეში უხვადაა წარმოდგენილი გაყალბებული მასალები (დაკითხვის ოქმები, წამების გზით გამოძალული ჩვენებები და აღიარებები, წინასწარ შეთითხნილი დასმენები და ა. შ.). ხშირი იყო შემთხვევები, როცა უდანაშაულოდ დაპატიმრებულებს ძიების დამთავრებამდე და სასამართლომდე უსწორდებოდნენ ფიზიკურად, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნავდნენ, რომ პატიმარი გარდაიცვალა.

ქართველი ინტელიგენცია, განსაკუთრებით კი მისი ელიტარული ნაწილი, 1921 წლიდანვე ოპოზიციაში ჩაუდგა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს – მოსკოვის სატელიტ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას. 1921 წლიდანვე დაიწყო ქართველი ინტელიგენციის რეპრესიები, რამაც ფართო ხასიათი მიიღო 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ. **20-იანი წლების ბოლოდან, განსაკუთრებით კი 30-იანი წლების დამდეგიდან საბჭოთა პროპაგანდის მიერ ფართოდ რეკლამირებულ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში ქართველმა ინტელიგენციამ იმთავითვე ამოიცნო დიდი საშიშროება. ინტელიგენციამ ცხადად იგრძნო, რომ ძალას იკრებდა ძალმომრეობაზე დამყარებული სისტემა უამრავი მახინჯი გამოვლინებით, კვლებოდა საზოგადოებრივი აზრი, ყველაფერი ერთი ადამიანის ნებას ემორჩილებოდა.** ქართველი ინტელიგენცია ამას ვერასგზით ვერ შეურიგდებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილი

იოსებ სტალინი კარგად ხედავდა, რომ მისი პოლიტიკური კურსის ოპოზიცია, ერთი მხრივ, კომუნისტური პარტიის შიგნით, უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არმიაში და, მეორე მხრივ, ინტელიგენციაში ერთი და იმავე მიზნით არ ებრძოდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. მიუხედავად ამისა, ორივე ოპოზიციური ძალა მიზნის სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც დიდ საფრთხეს უქმნიდა სოციალისტური საზოგადოების სტალინური მოდელის რეალიზაციის საქმეს. თუ 20-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა ხელისუფლება ინტელიგენციის რეპრესირებას სოციალურ ძალთა დაბალანსების აუცილებლობიდან გამომდინარე ახდენდა, 30-იანი წლებში ინტელიგენციის რეპრესირება პოლიტიკური რეპრესიების რანგში იქნა

სანდრო ახმეტელი

აყვანილი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ინტელიგენციას იმავე მასშტაბებითა და სისასტიკით ანადგურებდნენ როგორც ოპოზიციას კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის შიგნით და ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში.

ევგენი მიქელაძე

საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ლავრენტი ბერიას მოსვლის შემდეგ დაიწყო ინტელიგენციის შევიწროებისა და დევნის ახალი ეტაპი. ამ შემთხვევაში უხეში ძალის დემონსტრირებას მეთოდურად ცვლიდა ინტელიგენციისადმი დაყვავების, „წარსული ცოდვების მიტევების" პოლიტიკა, რაც მიზნად ისახავდა ინტელიგენციის საბჭოთა წყობილების მხარეზე გადაბირებას.

30-იანი წლების პოლიტიკურ რეპრესიებს შეენირნენ: **მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი.** ცილისწამებას ველარ გაუძლო და თავი მოიკლა **პაოლო იაშვილმა.** მრავალმა ქართველმა ინტელიგენტმა ციხეებსა და შორეულ გადასახლებაში დალია სული. მართალია, ფიზიკურ განადგურებას გადაურჩნენ, მაგრამ უმძიმეს მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში აღმოჩნდნენ და მრავალი ტანჯვა-წამება გამოიარეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა: **ივანე ჯავახიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, ვუკოლ ბერიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ნიკო ლორთქიფანიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ** და სხვებმა.

30-იანი წლების პოლიტიკურმა რეპრესიებმა, გარდა იმისა, რომ უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, უდიდესი მორალურ-ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა ქართველ ერს. **საზოგადოებაში დამკვიდრდა შიშისა და უნდობლობის ატმოსფერო.** რეპრესირებული ადამიანების ოჯახის წევრებმა, განსაკუთრებით ბავშვებმა, ნათესავებმა და მეგობრებმა ისეთი ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღეს, რომ მისი შედეგები დიდხანს ვერ დაძლიეს. კიდევ უფრო გაუჭირდათ სულიერი ტრავმის შედეგების დაძლევა ციხეებიდან და გადასახლებიდან დაბრუნებულ უსამართლოდ მსჯავრდებულ ადამიანებს.

30-იანი წლების რეპრესიებს შეენირა მრავალი ცნობილი მეცნიერი, მწერალი, ხელოვნების მოღვაწე, ასევე იმხანად ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდობა.

30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების შედეგების დაძლევა ძალზე ხანგრძლივი და მტკივნეული აღმოჩნდა ქართველი ერისათვის.

§4. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

ქართული ემიგრაციის მოღვაწეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ. დაიწყო მარცხის მიზეზების ძიება, რამაც გააძლიერა დაპირისპირება ემიგრაციაში მყოფ ქართულ პოლიტიკურ ძალებს შორის. ეროვნულ-დემოკრატები 1924 წლის აჯანყების დამარცხებას საქართველოს ემიგრაციული მთავრობისა და სოციალ-დემოკრატების არასწორი ტაქტიკით ხსნიდნენ. ეროვნულ-დემოკრატები (სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი და სხვ.) მიიჩნევდნენ, რომ აჯანყების მომზადებისა და განხორციელების დროს მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს საქართველოს ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, ასევე ნოე რამიშვილმა და სხვებმა. 1924 წლის აჯანყების შეფასებაში ერთიანობა არ იგრძნობოდა თვით სოციალ-დემოკრატებს შორის. საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებული ტაქტიკის მწვავე კრიტიკა ნარმოადგინა **ირაკლი წერეთელმა** ნაშრომით „ეროვნული მოძრაობა და სოციალური იდეალი" (1925 წ.). ირაკლი წერეთლის არგუმენტე-

ნოე ჟორდანია ლეგეილში

ბის კრიტიკა მოცემულია **ნოე ჟორდანიას** ნაშრომში „ჩვენი ტაქტიკა" (1925 წ.). საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უმრავლესობამ ნოე ჟორდანიას დაუჭირა მხარი, თუმცა პოლემიკა ნოე ჟორდანიასა და ირაკლი წერეთელს შორის შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. ამ პოლემიკას მიეძღვნა **ირაკლი წერეთლის** ნაშრომი „ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხები" (1927 წ.).

ეროვნულ-დემოკრატებმა სცადეს ესარგებლათ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში შექმნილი ვითარებით და მოითხოვეს ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობის

გადაყენება და ახალი მთავრობის შექმნა. ეროვნულ-დემოკრატებისა და მათი თანამოაზრეების მოთხოვნას მწვავე კრიტიკით შეხვდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობა (1925 წ.). საქართველოს ემიგრაციული მთავრობის შეცვლისა თუ მისი შემადგენლობის გადახალისების საკითხი იმხანად დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ირაკლი წერეთელი

20-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს ემიგრაციული მთავრობა აქტიურ მონაწილეობას აგრძელებდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს საკითხის მთელი სიმწვავით დასმისა და ქართველი ერის სატკივარისადმი სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა ყურადღების მიპყრობის მიზნით. ქართული ემიგრაციის მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ 1926 წლის მარტში ამერიკის შეერთებული შტატების სენატში ვირჯინიის შტატის დეპუტატმა **კოპლენდმა** და სენატორმა **მურმა** შეიტანეს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც გმობდა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის ფაქტს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ურჩევდა დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნას საქართველოს ემიგრაციულ მთავრობასთან. მართალია, კოპლენდისა და მურის ინიციატივას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს საკითხის პოპულარიზაციისათვის.

20-იანი წლების შუა ხანებში ქართულმა ემიგრაციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1926 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ.** ოთხი წლის შემდეგ, 1930 წელს, საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების აგენტმა სიცოცხლეს გამოასალმა ასევე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე **ნოე რამიშვილი.**

ლევილი – ემიგრაციის მამული საფრანგეთში

ქართული ემიგრაციისათვის მძიმე იყო 1932 წელი. ამ წელს დაიდო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. ხელშეკრულება კონკრეტულად არ შეეხებია საფრანგეთში საქართველოს საელჩოს არსებობის საკითხს, მაგრამ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები ვალდებულებას იღებდნენ თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე არ გაეჩერებინათ მეორე მხარისათვის არასასურველი (მტრული) ორგანიზაცია. ამდენად, საფრანგეთში საქართველოს ლეგაციის დატოვება ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პაქტს. 1933 წელს საქართველოს დალეგაციამ საფრანგეთში არსებობა შეწყვიტა.

კარლო ჩხეიძე

საფრანგეთში საქართველოს საელჩოს გაუქმებას ქართულ ემიგრაციაში ახალი დაპირისპირება მოჰყვა. **პოლიტიკური პარტიები შეთანხმების გზების ძიების ნაცვლად ერთმანეთისადმი ბრალდებების წაყენებითა და ცილისწამებით იყვნენ გართულნი.** განსაკუთრებით მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები. დაპირისპირება გაღრმავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შიგნით. **ქართული ემიგრაციის გათიშვასა და ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა შორის დაპირისპირების გაძლიერებაში დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებმა.**

ქართული ემიგრაცია არახელსაყრელი ვითარების მიუხედავად, მაინც აგრძელებდა მოღვაწეობას საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს საკითხის პოპულარიზაციის მიზნით. 1934 წელს ინგლისში გაიმართა **ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციის** საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც დაესწრო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაცია. საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ **ევგენი გეგეჭკორი, გიორგი გვაზავა** და **ანდრო გუგუშვილი.** ერთ-ერთ სხდომაზე კონგრესმა განიხილა საქართველოს საკითხი. მოხსენება კონგრესს გიორგი გვაზავამ წარუდგინა. გიორგი გვაზავა შეეხო იმ მომენტებს, რომელ-



ქართული ემიგრანტული პრესა

იც საქართველოს უფლებას აძლევდა მოეთხოვა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა. ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციის კონგრესმა დაადასტურა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი. ამასთან, კონგრესმა ერთა ლიგას მოუწოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, დახმარებოდა საქართველოს ქვეყანაში ნორმალური ვითარების აღსადგენად.

1934 წელს ქართულმა ემიგრაციამ დიდი მუშაობა გასწია კავკასიის კონფედერაციის შექმნის მიზნით. 1934 წლის ივლისში ქ. ბრიუსელში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს **„კავკასიის კონფედერაციის პაქტს“.** საქართველოს სახელით პაქტს ხელი მოაწერეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ და ემიგრაციაში საქართველოს ეროვნული ცენტრის თავმჯდომარემ **ნოე ჟორდანიამ,** ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილმა სრულუფლებიანმა მინისტრმა საფრანგეთში **აკაკი ჩხენკელმა.** 1934 წლის ივლისშივე შეიქმნა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელმაც გამოაქვეყნა მოწოდება **„კავკასიის ყველა მამულიშვილს!“** 1935 წელს **„კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტმა“** მოიწვია **„კავკასიის კონფედერაციის პაქტზე“** ხელისმომწერი მხარეების კონფერენცია, რომელმაც აირჩია **„კავკასიის კონფედერაციის საბჭო“.** კავკასიის კონფედერაციის საბჭოს დაეკისრა კავკასიის ხალხთა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობა. 1936 წელს კავკასიის ერთა წარმომადგენლების ყრილობამ დაადასტურა **„კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“** დაფუძნება. კონფედერაციის საბჭოს სახელით გამოქვეყნებულ მოწოდებაში – **„კავკასიის ყველა ხალხებს!“** – აღნიშნული იყო, რომ კავკასიის კონფედერაციის საბჭოს ამოცანაა იბრძოლოს კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღსადგენად.

შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, ცხადია, კავკასიის კონფედერაციის საბჭო ვერ განახორციელებდა მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

ქართული ემიგრაციის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა 1934 წელს საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღებამ. **ქართული ემიგრაციისათვის ცხადი იყო, რომ ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიღება საქართველოს საკითხს საერთაშორისო საკითხიდან საბჭოთა კავშირის საშინაო საკითხად აქცევდა.** ქართველმა პოლიტიკოსებმა ისარგებლეს იმით, რომ ერთა ლიგას მანამდე ორჯერ (1922 წლის 22 ოქტომბერს და 1925 წლის 25 სექტემბერს) ჰქონდა მიღებული რეზოლუცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სასარგებლოდ და დიდი მუშაობა გააჩაღეს საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგ. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები (ნოე ჟორდანია და სხვ.) საერთაშორისო ფორუმებსა და პრესაში გამოსვლისას ხაზს უსვამდნენ იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გარეშე ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიღება წესდების უხეშ დარღვევას ნიშნავდა. ერთა ლიგაში შემავალი ქვეყნების მთავრობები კი სხვაგვარად ფიქრობდნენ. იმხანად შექმნილი საერთაშორისო ვითარება პოლიტიკოსებს საბჭოთა კავშირთან კომპრომისისაკენ უბიძგებდა. **საქართველოს ინტერესები ამჯერადაც დიდ პოლიტიკას შეეწირა. საბჭოთა კავშირის ერთა**

აკაკი ჩხენკელი

ლიგაში მიღება პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა საერთაშორისო არენაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის დაყენებას.

ქართული ემიგრაციის მოღვაწეობისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნამ საზღვარგარეთ მოღვაწე პოლიტიკური პარტიები შეკავშირებისა და ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობის აღიარებამდე მაინც ვერ მიიყვანა. დაპირისპირება კიდევ უფრო გაძლიერდა. ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის აუცილებლობას გაუსვა ხაზი **ნოე ჟორდანიამ** 1935 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ნაციონალური ფრონტი“. 1935-1939 წლებში ემიგრაციაში მოღვაწე პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები (ნოე ჟორდანია, სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი და სხვ.) შეთანხმების მიღწევის ნაცვლად, საკუთარი პოზიციის ჭეშმარიტების მტკიცებით იყვნენ გართულნი. **ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა სულ უფრო უიმედო ხდებოდა.**

ამრიგად, 20-იანი წლების შუა ხანებიდან, ვიდრე 30-იანი წლების ბოლომდე ქართული ემი-

გრაცია აგრძელებს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა სულ უფრო უიმედო ხდებოდა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მარცხი უფრო აძლიერებდა დაპირისპირებას ქართული ემიგრაციის შიგნით.

§5. ქართული კულტურა 1921-1941 წლებში

საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ (1921 წ.) იმდენად დიდი ტრაგედია იყო, რომ მან გავლენა მოახდინა ქართული სინამდვილის ყველა სფეროზე, მათ შორის ერის სულიერ ცხოვრებაზე. ყველა დამპყრობელი ცდილობს შეაფერხოს დაპყრობელი ერის სულიერი განვითარება, ჩაკლას ეროვნული ცნობიერება და ამით განიმტკიცოს თავისი ბატონობა. რუსეთს ქართული კულტურის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ქართველ ერსაც ასევე გააჩნდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი ტრადიცია. ისევე როგორც XIX საუკუნის დამდეგიდან, 1921 წლიდანაც დაიწყო ბრძოლა ქართული კულტურის გადასარჩენად. ქართული კულტურის გადარჩენა ნიშნავდა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენას. სწორედ ამიტომ ქართული კულტურა, ისევე როგორც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს, 20-30-იან წლებშიც ეროვნული მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა.

1921 წლიდან ქართული კულტურა ნარმოუდგენლად რთულ პირობებში ვითარდებოდა. საბჭოთა პოლიტიკური სისტემისათვის კულტურა, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა ახალი სისტემის მშენებლობის პროცესში. ხელოვნების თავისუფლება შეუთავსებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიასთან. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებითი ყოფნის პერიოდში ქართველი ერი სულიერად არ შეფერხებულა და მისი კულტურაც აღმავლობის გზით მიდიოდა. ცხადია, ქართული კულტურა გაცილებით მეტს მიაღწევდა, ქართველ ერს რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ერის მიღწევები კულტურის სფეროში 1921-1941 წლებში იმდენად დიდი იყო, რომ არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა.

1. განათლება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს ღონისძიებას წარმოადგენდა განათლების ძველი სისტემის ლიკვიდაცია. აღებულ იქნა გეზი საყოველთაო-სახალხო განათლებისკენ, რაც მიზნად ისახავდა განათლების შეტანას მუშათა და გლეხთა მასებში. ეს ფუნქცია დაეკისრა დაწყებითი განათლების სისტემას. გატარდა ღონისძიებები მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის მიზნით. მუშათა რიგებიდან უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მოსამზადებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1922 წელს შეიქმნა პირველი **მუშათა ფაკულტეტი (მუშფაკი).** ეს ფაკულტეტი მუშა-ახალგაზრდობას უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ამზადებდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ უნდობლობა გამოუცხადა განათლების ძველი სისტემის მუშაკებს. დაიწყო მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადება. დაწყებით და საშუალო სკოლაში მასწავლებელთა ძველი კადრების შეცვლა გაცილებით ადვილი გამოდგა, ვიდრე უმაღლეს სასწავლებელში. საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა შეჰგუებოდა იმ ფაქტს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნამყვანი ადგილი ისევ ძველ პროფესურას ეჭირა.

1930-1934 წლებში საქართველოში შემოღებულ იქნა საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. საშუალო სკოლაში სწავლება სამ საფეხურად მიმდინარეობდა: დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო.

უმაღლესი განათლების ერთადერთ კერას თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენდა. უნივერსიტეტში იყო თავმოყრილი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების უდიდესი ნაწილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სათავე დაუდო სხვა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1928 წ.), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1929 წ.) და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1930 წ.). პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა.

სახვით ხელოვნებაში ეროვნული კადრების მომზადებას საფუძველი დაუდო თბილისის სამხატვრო აკადემიამ, რომელიც 1922 წელს გაიხსნა. 1924 წელს დაარსდა თბილისის კონსერვატორია. 1924 წელსვე შეიქმნა თბილისის საოპერო სტუდია.

2. მეცნიერება. დაარსებიდან სულ რამდენიმე წელიწადში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართოდ გაიშალა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა. თბილისის უნივერსიტეტთან 1933-1934 წლებში შეიქმნა **ფიზიოლოგიის, მათემატიკის, გეოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ლიტერატურის ინსტიტუტები,** რომლებშიც ნაყოფიერ კვლევა-ძიებას ეწეოდნენ უკვე მაშინ ცნობილი ქართველი მეცნიერები: **ივანე ბერიტაშვილი, ანდრია რაზმაძე, გიორგი**

ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვ.

20-30-იან წლებში საქართველოში მთელი რიგი დარგობრივი სამეცნიერო დაწესებულებები დაარსდა: 1925 წელს შეიქმნა **გეოლოგიის ინსტიტუტი,** 1928 წელს – **ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,** 1929 წელს – **თბილისის ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,** 1932 წელს – **თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,** 1933 წელს – **თბილისის ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** და სხვ.

ივანე ბერიტაშვილი

1932 წელს თბილისში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის (კიაი) ბაზაზე, რომელიც 1917 წელს იყო დაარსებული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის სახით, შეიქმნა **კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტი,** რომელსაც სათავეში ჩაუდგა აკადემიკოსი **ნიკო მარი.** 1932 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით კავკასიამცოდნეობის ინსტიტუტი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის **ამიერკავკასიის ფილიალად** გადაკეთდა.

1933 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის **საქართველოს განყოფილება,** ხოლო 1935 წელს მოხდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მის ბაზაზე დაარსდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცალკე ფილიალები. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის **საქართველოს ფილიალმა** ფუნქციონირება დაიწყო 1935 წლის 25 მარტიდან.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში თავიდანვე წარმოდგენილი იყო ძირითადად საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. ერთადერთ ჰუმანიტარულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად კი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფარგლებში **კავკასიამცოდნეობის ინსტიტუტი** რჩებოდა. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, 1936 წელს კავკასიამცოდნეობის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის **ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად (ენიმკი).** ამავე წელს საქართველოს განათლების სისტემაში დაარსდა **არქეოლოგიის ინსტიტუტი,** რომელიც 1937 წელს ნ. მარის სახელობის ინსტიტუტს შეუერთდა. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 1934 წლიდან ფუნქციონირებდა **ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი,** ხოლო 1937 წელს მას ეწოდა **შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი** (1938 წელს, სხვა ინსტიტუტებთან ერთად, ეს უკანასკნელი დაიხურა და 1940 წელს კვლავ აღდგა).

1936 წლის ბოლოსათვის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში ფუნქციონირებდა შვიდი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და ერთი ბიოლოგიის სექტორი. 1939 წელს ფილიალთან შეიქმნა ენერგეტიკის სექტორი, ხოლო 1940 წელს გეოფიზიკის ინსტიტუტთან – ანტისეისმური მშენებლობის ბიურო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებამ და მასში მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებამ, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებისა და შემდგომ საქართველოს ფილიალის შექმნამ მყარი საფუძველი მოამზადა ეროვნული სამეცნიერო ცენტრის დაარსებისათვის.

ნიკო მარი

1941 წლის 10 თებერვალს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ერის ისტორიაში. 1941 წლის 22 თებერვალს დამტკიცდა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ: **გიორგი ახვლედიანი** (ენათმეცნიერება), **ივანე ბერიტაშვილი** (ფიზიოლოგია), **კირიაკ ზავრიევი** (სამშენებლო მექანიკა), **ფილიპე ზაიცევი** (ბიოლოგია), **ალექსანდრე თვალჭრელიძე** (მინერალოგია, პეტროგრაფია), **ტარასი კვარაცხელია** (სუბტროპიკული კულტურები), **კორნელი კეკელიძე** (ფილოლოგია), **ნიკოლოზ კეცხოველი** (ბოტანიკა), **ნიკოლოზ მუსხელიშვილი** (მათემატიკა, მექანიკა), **დიმიტრი უზნაძე** (ფსიქოლოგია), **აკაკი შანიძე** (ენათმეცნიერება), **გიორგი ჩუბინაშვილი** (ხელოვნებათმცოდნეობა), **არნოლდ ჩიქობავა** (ენათმეცნიერება), **გიორგი ხაჭაპურიძე** (ისტორია), **სი-**

მონ ჯანაშია (ისტორია), **ალექსანდრე ჯანელიძე** (გეოლოგია).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არსებობის პირველივე თვეები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებას დაემთხვა. აკადემიის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით სამეცნიერო დაწესებულებათა თემატიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაისინჯა და ფრონტისა და ზურგის მოთხოვნათა შესაბამისად შეიცვალა. ომის პირველივე წელს აკადემიის ინსტიტუტებმა არაერთი პრაქტიკული ხასიათის საკითხი გადაწყვიტეს ფრონტისა და ზურგის დასახ-

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის მოწაფეებთან: სიმონ ჯანაშიასა (მარცხნივ) და ნიკო ბერძენიშვილთან (ცენტრში)

მარებლად. ამასთანავე, სამეცნიერო დაწესებულებები მთელ რიგ ფუნდამენტურ გამოკვლევებს ქმნიდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

1921-1941 წლები ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა როგორც ჰუმანიტარულ, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. საგულისხმო შედეგები იქნა მოპოვებული ტექნიკურ მეცნიერებათა მთელი რიგ დარგებშიც.

ენათმეცნიერების დარგში ფუნდამენტური გამოკვლევები შექმნეს **აკაკი შანიძემ (1887-1987), გიორგი ახვლედიანმა (1887-1973), არნოლდ ჩიქობავამ (1898-1985), ვარლამ თოფურიამ (1901-1966)** და სხვ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეში **კორნელი კეკელიძემ (1879-1962)** და **პავლე ინგოროყვამ (1893-1983).**

ქართული ისტორიოგრაფიის დიდი მიღწევები დაკავშირებულია **ივანე ჯავახიშვილისა (1876-1940)** და მისი მოწაფეების სახელთან. 1921-1941 წლებში გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის უმნიშვნელოვანესი, ფუძემდებლური შრომები: „ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნი (1941 წ.), „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის" პირველი და მეორე წიგნები (1930-1934 წწ.), „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია" (1925 წ.), „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია" (1926 წ.), „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა" (1926 წ.), „ქართული სამართლის ისტორიის" პირველი და მეორე წიგნები (1927-1929 წწ.) და სხვ. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემას მიეძღვნა **სარ-**

გრიგოლ წერეთელი

გის კაკაბაძის (1886-1967), სიმონ ჯანაშიასა (1900-1947) და **ნიკო ბერძენიშვილის (1895-1965)** გამოკვლევები.

ქართულ ფილოსოფიურ სკოლას შორს გაუთქვა სახელი **შალვა ნუცუბიძემ (1888-1969),** ფართო აღიარება მოიპოვა **დიმიტრი უზნაძის (1886-1950)** გამოკვლევებმა ფსიქოლოგიის დარგში. ქართული ხელოვნების ისტორიაში, კერძოდ, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა **გიორგი ჩუბინაშვილმა (1885-1973).** მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის ქართველ ფილოლოგ-ელინისტს, პაპიროლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს **გრიგოლ წერეთელს (1870-1938).**

ქართველ მეცნიერთა მიერ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები შესრულდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. საქართველოში თავიდანვე მათემატიკოსთა ძლიერი ჯგუფი მოღვაწეობდა, რომელთა კვლევის შედეგებმა ფართო აღიარება მოიპოვა. მათემატიკის მაღალ დონეზე განვითარების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს **ანდრია რაზმაძემ (1889-1929), ნიკო მუსხელიშვილმა (1891-1976), არჩილ ხარაძემ (1895-1976), გიორგი ნიკოლაძემ (1888-1931)** და სხვ. ჩვენში მეცნიერული კვლევა-ძიების ჩასახვა და განვითარება ფიზიოლოგიის დარგში დაკავშირებულია **ივანე ბერიტაშვილის (1885-1974)** სახელთან, რომლის ფუძემდებლურმა გამოკვლევებმა საყოველთაო აღიარება

კორნელი კეკელიძე

მოიპოვა. უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური კვლევები შესრულდა **ალექსანდრე ჯანელიძისა (1888-1975)** და **ალექსანდრე თვალჭრელიძის (1881-1957)** მიერ პალეონტოლოგიის, სტრატიგრაფიის, ტექტონიკისა და თეორიული გეოლოგიის მთელ რიგ დარგებში. საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას საფუძველი ჩაუყარა

ქართველ მათემატიკოსთა პლეადა: არჩილ ხარაძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი

ალექსანდრე ჯავახიშვილმა (1875-1973), რომელაც ქართულ ენაზე გეოგრაფიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო შექმნა. ფუძემდებლური წვლილი ფარმაკოქიმიის მეცნიერების განვითარებასა და ამ დარგის ინსტიტუტის დაარსებაში ეკუთვნის **იოველ ქუთათელაძეს (1887-1963).**

საქართველოში პრაქტიკული მედიცინისა და მედიცინის მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვნით **ალექსანდრე ალადაშვილს (1876-1950), კონსტანტინე ერისთავს (1889-1975), გრიგოლ მუხაძეს (1879-1948), ალექსანდრე ნათიშვილს (1878-1959), ნიკოლოზ ყიფშიძეს (1887-1954), მიხეილ წინამძღვრიშვილს (1882-1956), ალექსანდრე წულუკიძეს (1888-1967)** და სხვ.

1921-1941 წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ტექნიკისა და ტექნიკურ მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებში. დიდია **ბესარიონ ჭიჭინაძის (1887-1937), ალექსანდრე დიდებულიძის (1888-1951), მიხეილ მოსტკოვისა (1900-1956)** და სხვათა წვლილი საქართველოში ენერგეტიკის განვითარების საქმეში. მეტად მნიშვნელოვანია **გრიგოლ წულუკიძის (1889-1950)** როლი სამთო მეცნიერების განვითარებასა და საქართველოში სამთო მრეწველობის აღორძინებაში. დიდია **გიორგი ნიკოლაძის** დამსახურება მეტალურგიისა და ქიმიური მეცნიერების განვითარებაში. **კირიაკ ზავრიევმა (1891-1978)** პირველმა ჩამოაყალიბა სეისმომედეგობის დინამიკური თეორია, რომელიც შემდგომში განვითარებული და მოდიფიცირებული სახით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იქნა მიღებული. **დიდი** როლი შეასრულა **გიორგი გედევანიშვილმა (1883-1957)** მანქანათმშენებლობის, მანქანათმცოდნეობისა და ღითონთა ტექნოლოგიის დარგში საქართველოში კვლევა-ძიების განვითარების საქმეში.

3. ლიტერატურა. ცხადია, საბჭოთა პოლიტიკური სისტემა ხელსაყრელ პირობებს არ შექმნიდა მწერლობის განვითარებისათვის. პოლიტიკური რეჟიმი ესწრაფოდა, მწერლობა თავისი მიზნებისათვის დაექვემდებარებინა. 30-იანი წლების პოლიტიკურმა რეპრესიებმა კი, საერთოდ, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ქართული მწერლობა.

20-იანი წლების ლიტერატურული სკოლებიდან აღსანიშნავია ე. წ. **„აკადემიური ჯგუფი“** (კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი), **„ცისფერყანწელები“** (პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე), **ფუტურისტები** (სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, დემნა შენგელაია, ლევან ასათიანი), **„არიფიონელები“** (შალვა დადიანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი). აღნიშნული სკოლები თავისი ლიტერატურული მრწამსით მიუღებელი იყო საბჭოთა (კომუნისტური) იდეოლოგიისათვის. სწორედ ამიტომ მათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობდა. უხეში, არაპროფესიული კრიტიკა და დაუსრულებელი თავდასხმები აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდა სამწერლო მოღვაწეობისათვის. პოლიტიკური რეჟიმისათვის მიუღებელი ლიტერატურული სკოლების წინააღმდეგ ბრძოლით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ,** რომლის რიგებშიც შედიოდნენ იაკინთე ლისაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე,

გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე

იონა ვაკელი, ალიო მირცხულავა და სხვები. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებას ადმინისტრაციული ღონისძიებებით შეეძლო ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლები აეძულებინა უარი ეთქვათ თავიანთ ლიტერატურულ-ესთეტიკურ მრწამსზე. ასეთ ორგანიზაციულ ღონისძიებებს განეკუთვნებოდა **საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობის (1928 წ.)** დადგენილება, რომლის ძალითაც ფაქტობრივად იკრძალებოდა ცალკეული ლიტერატურული ჯგუფებისა და ასოცი-

კონსტანტინე გამსახურდია

აციების საქმიანობა. ამიერიდან ყველა ქართველი მწერალი საქართველოს საბჭოთა მწერლობის ერთიან ფედერაციაში უნდა გაერთიანებულიყო.

არახელსაყრელი ვითარების მიუხედავად, 20-30-იან წლებში მაინც იქმნებოდა ქართული მწერლობის შედევრები.

20-იანი წლების დამდეგიდან აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას აგრძელებს **ნიკო ლორთქიფანიძე (1880-1944)**. მწერლის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია: „ტრაგედია უგმიროდ", „ეპისკოპოზი ნადირობაზე", „თავსაფრიანი დედაკაცი", „შელოცვა რადიოთი", „ბილიკებიდან ლიანდაგებზე" და სხვ. შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებს **ლეო ქიაჩელი (1884-1963)**. 20-იან წლებში შექმნა მწერალმა ქართული პროზის მშვენება: „ჰაკი აძბა" და „თავადის ქალი მაია", ცოტა მოგვიანებით „გვადი ბიგვა". 20-იანი წლების დამდეგიდან ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ახალი შემოქმედებით იმპულსი მიეცა **მიხეილ ჯავახიშვილის (1880-1937)** მწერლურ ნიჭს. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა მისი რომანები „კვაჭი კვაჭანტირაძე", „არსენა მარაბდელი", „თეთრი საყელო", „ჯაყოს ხიზნები". 20-იან წლებში შექმნა მწერალმა უდიდესი მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი მოთხრობები: „ლამბალო და ყაშა", „მუსუსი", „მართალი აბდულაჰ". 20-30-იან წლებში შეიქმნა **კონსტანტინე გამსახურდიას** (1891-1975) მრავალი შედევრთაგანი, მათ შორის რომანები „დიდოსტატის მარჯვენა", „მთვარის მოტაცება", „დიონისოს ღიმილი".

20-30-იან წლებში ქართული პროზის მდიდარი ტრადიციები გააგრძელეს გრიგოლ რობაქიძემ, დემნა შენგელაიამ, ალექსანდრე ქუთათელმა, და სხვებმა. ამ პერიოდს განეკუთვნება **გრიგოლ რობაქიძის (1880-1962)** „გველის პერანგი", „ჩაკლული სული", „ქალღმერთის ძახილი", „მცველნი გრაალისა", **დემნა შენგელაიას (1896-1980)** „კაც", „გურამ ბარამანდია", „სანავარდო", „ბათა ქექია".

გრიგოლ რობაქიძე

20-იანი წლების დამდეგიდან აგრძელებს მოღვაწეობას ქართული ლექსის ჯადოქარი **გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959)**. 20-30-იან წლებში შექმნილი მისი ლირიკული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია: „ქარი ქრის", „ჩვენ პოეტები საქართველოსი", „ეს მშობლიური ქარია", „ეფემერა", „ისევ ეფემერა", „პროლოგი 100 ლექსის", პოემა „ჯონ რიდი" და სხვა მრავალი მარგალიტი ქართული პოეზიისა.

20-30-იან წლებში კიდევ უფრო გამობრწყინდა ქართული ლირიკის შესანიშნავი ოსტატის **ტიციან ტაბიძის (1895-1937)** შემოქმედებითი ნიჭი. ამ პერიოდში შეიქმნა მისი „ლექსი-მეწყერი", „რია-რია", „ოქროყანიდან", „ორპირის ოქროპირი" და მრავალი სხვა.

გალაკტიონ ტაბიძე

20-30-იან წლებში ქართული პოეზიის საგანძური გამდიდრდა გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ტერენტი გრანელის ლექსებით. **გიორგი ლეონიძე (1899-1966)** ამ პერიოდში ქმნის პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს: „ოლე", „ღამე ივერიისა", „ნინოწმინდის ღამე", „ყივჩაღის პაემანი" და სხვ. ნაყოფიერი აღმოჩნდა 20-30-იანი წლები **პაოლო იაშვილის** (1892-1937) შემოქმედებისათვისაც. მისი პოეტური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „პოეზია", „როგორც აფრის ტკაცუნი", „ლირიკული მისამართებიდან" და სხვ.

30-იან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდნენ პოეტთა ახალგაზრდა თაობა: **ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, გაბრიელ ჯაბუშანური, სევერიან ისიანი** და სხვები. მეორე მსოფლიო ომის უმძიმესმა პერიოდმა მათი სიცოცხლე ნაადრევად, შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაში შეიწირა.

4. ხელოვნება. საბჭოთა რეჟიმის პირობებში არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა ხელოვნების ყველა დარგის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ქართველ ხელოვანთა დიდმა ნიჭმა და ტალანტმა

თავისი გზა იპოვა და ქართულმა ხელოვნებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

ა) სახვითი ხელოვნება. 20-30-იან წლებში მოღვაწე მხატვრებიდან აღსანიშნავია **გიგო გაბაშვილის, მოსე თოიძის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, უჩა ჯაფარიძის, ირაკლი თოიძის, ირაკლი გამყრელიძისა** და სხვათა შემოქმედება.

გიგო გაბაშვილის (1862-1936) შემოქმედებიდან ყურადღებას იპყრობს „ავტოპორტრეტი", „შემზარავი სიწყნარე", „მზადება ბრძოლისათვის ხევსურეთში". **მოსე თოიძის** (1871-1953) ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „მრისხანე ბატონი", „ბედნიერი ცხოვრება"; **ლადო გუდიაშვილის** (1896-1980) ყოველი ქმნილება პროფესიული დახელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. მისი თითქმის ყველა ნამუშევარი კომპოზიციის შესანიშნავი გააზრებითა და ინდივიდუალური ფერწერით ხასიათდება. მხატვრის

ლადო გუდიაშვილი

ნამუშევრებიდან შეიძლება დავასახელოთ „ახალი მცხეთა", „ლოჟაში", „სულო ბოროტო", „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი". **დავით კაკაბაძის (1889-1958)** ფერწერული ნამუშევრები გამთბარია ეროვნული კოლორიტით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრის მიერ შესრულებული იმერეთის პეიზაჟები – „იმერეთი, დედაჩემი", „სვანეთი". უფრო ადრეული ნამუშევრებიდან ყურადღებას იპყრობს „წურბელების გამყიდველი", „ბა-

დავით კაკაბაძე

ნანების გამყიდველი". **ელენე ახვლედიანის (1901-1975)** შემოქმედებიდან აღსანიშნავია „მანავი", „კახეთი, ზამთარი", „ძველი სამრეკლო". **ქეთევან მაღალაშვილის (1894-1973)** ნამუშევრებიდან ყურადღებას იპყრობს შალვა დადიანის, სვიატოსლავ რიხტერისა და სხვათა პორტრეტები. **უჩა ჯაფარიძე**

ელენე ახვლედიანი

ქმნის ფერწერულ ტილოებს: „სიყრმის მეგობრები", „ბაზრის კუთხე", „პატარა ჯიხვი". **ირაკლი თოიძეს** ეკუთვნის პორტრეტების მთელი სერია. მათ შორის აღსანიშნავია „მხატვრის მეუღლის პორტრეტი". ნამუშევრებიდან დიდი პოპულარობა მოიპოვა პლაკატმა „დედასამშობლო გეძახის!"

ქართული ქანდაკების განვითარებაში ეპოქის შემქმნელი იყო **იაკობ ნიკოლაძის (1876-1951)** შემოქმედება. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის ბარელიეფი, ასევე პეტრე მელიქიშვილის ქანდაკება. ქართული ქანდაკების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **ნიკოლოზ კანდელაკმა.**

ბ) ხუროთმოძღვრება. 20-30-იანი წლების არქიტექტურის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ თბილისის ხუროთმოძღვრული ძეგლებით, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: **კინოსტუდია „ქართული ფილმის" შენობა, ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის (ყოფილი მთავრობის სახლის) შენობა, „დინამოს" სტადიონი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის (ამჟამინდელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს) შენობა, ცირკის შენობა** და სხვ. ამავე პერიოდში ვითარდებოდა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სხვა ქალაქების ხუროთმოძღვრება. 30-იანი წლები ქართული არქიტექტურის აღმავლობის პერიოდია. ამ პერიოდში მოღვაწე არქიტექტორთა შორის უნდა მოვიხსენიოთ **არჩილ ქურდიანი,** რომლის პროექტითაც თბილისში აიგო „დინამოს" სტადიონი" (1937 წ.), არქიტექტორ **გიორგი ლეჟავას** ეკუთვნის საქართველოს მთავრობის სასახლის პროექტი (1938-1953 წწ.), **ვ. ურუშაძის, ნ. ნეპრინცევისა** და **ს. სატუნცის** პროექტით აიგო თბილისის ცირკი (1940 წ.).

გ) მუსიკა. 20-30-იან წლებში ქართული მუსიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს უფროსი თაობის მოღვაწეებმა: **ზაქარია ფალიაშვილმა, ია კარგარეთელმა, ვანო სარაჯიშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ, ვიქტორ დოლიძემ** და სხვებმა. 1923 წელს დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა **„დაისი".**

ზაქარია ფალიაშვილი

20-30-იან წლებში დიდი წარმატებით იდგმებოდა ოპერები: **ზაქარია ფალიაშვილის** (1871-1933) „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ლატავრა", **დიმიტრი არაყიშვილის** (1873-1953) „თქმულება შოთა რუსთაველზე", **ვიქტორ დოლიძის** (1890-1933) „ქეთო და კოტე".

რომანსის ჟანრში წარმატებით მოღვაწეობდა **მელიტონ ბალანჩივაძე**, რომელმაც შექმნა რომანსები „შენ გეტრფი მარად", „ოდეს გიცქერ". ასევე პოპულარული იყო **ანდრია ყარაშვილის** „დავრდომილი სნეული", „ისევ შენ", **ია კარგარეთელის** „მშვენიერთა ხელმწიფავ", „არაგვო", **ვიქტორ დოლიძის** „ახ, ტურფავ", **კოტე ფოცხვერაშვილის** „ლალე" და „ინდი-მინდი".

30-იან წლებში ყურადღება მიიპყრო კომპოზიტორმა **შალვა მშველიძემ**, რომელსაც ეკუთვნის სიმფონიური პოემა „ზვიადაური". **გრიგოლ კილაძემ** ილია ჭავჭავაძის პოემის მიხედვით დაწერა სიმფონიური პოემა „განდეგილი".

ანდრია ბალანჩივაძემ შექმნა გმირულ-რომანტიკული ბალეტი „მზეჭაბუკი", რომელიც შემდეგ ბალეტ „მთების გულის" სახელწოდებით გახდა ცნობილი. ქართული ბალეტის ჩასახვასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის უნიჭიერეს მოცეკვავეს, ბალეტმაისტერსა და პედაგოგს **ვახტანგ ჭაბუკიანს.**

ანდრია ბალანჩივაძე

ქართული კულტურის ისტორიაში ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში (1937 წ.). მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართულმა საოპერო სპექტაკლებმა, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა. დეკადის დღეებში გაიბრწყინა დიდი ქართველი დირიჟორის **ევგენი მიქელაძის** ტალანტმა. დეკადის დღეებში მაყურებელი მოხიბლა ქართული ოპერის მომღერალთა ბრწყინვალე პლეადამ, რომელთა შორის იყვნენ: **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, დავით ანდღულაძე, დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი.** დეკადის განსაკუთრებულ მოვლენად იქცა ქართული ქორეოგრაფიის კორიფის **ვახტანგ ჭაბუკიანის** ხელოვნება, მაყურებელი მოხიბლა **ილიკო სუხიშვილისა** და **ნინო რამიშვილის** განუმეორებელმა ცეკვებმა.

დ) თეატრი. 20-30-იანი წლები ქართული თეატრის დიდი აღმავლობის პერიოდია. თეატრალური ცხოვრების მოვლენად იქცა რეჟისორ **კოტე მარჯანიშვილის (1872-1933)** მიერ ლოპე დე ვეგას პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ცხვრის წყარო",

კოტე მარჯანიშვილი

გიორგი ერისთავის „გაყრა", მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო", უილიამ შექსპირის „ჰამლეტი", შალვა დადიანის „კაკალ გულში", პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი" და სხვ. ქართული თეატრის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა **ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელმა (1886-1937).** მისი სპექტაკლები „ლამარა", „ანზორი", „სამშობლო" საეტაპო მნიშვნელობისა იყო ქართული თეატრის ისტორიაში.

თბილისის შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების გარდა, საინტერესო სპექტაკლები იდგმებოდა ქუთაისსა და ბათუმში.

ქართული თეატრის განვითარების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს რეჟისორებმა: **ვასილ ყუშიტაშვილმა, დოდო ანთაძემ, დიმიტრი ალექსიძემ და სხვებმა. მსახიობებმა: ვერიკო ანჯაფარიძემ, უშანგი ჩხეიძემ, აკაკი ხორავამ, აკაკი**

უშანგი ჩხეიძე

ვასაძემ, შალვა ღამბაშიძემ, ალექსანდრე ჟორჟოლიანმა, სესილია თაყაიშვილმა, ვასო გოძიაშვილ-

ვერიკო ანჯაფარიძე

მა, სერგო ზაქარიაძემ, გიორგი შავგულიძემ, აკაკი კვანტალიანმა და სხვებმა.

თეატრისა და კინოს მსახიობთა მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის 1923 წელს თბილისში დაარსებულ თეატრალურ ინსტიტუტს.

ე) კინო. საბჭოთა ხელისუფლებისათვის კინო აგიტაციის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ მიექცა ყურადღება კინოს განვითარებას. 1921 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში შეიქმნა **კინოსექცია**, რომელსაც 1923 წელს ეწოდა **„საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა“ („სახკინმრეწვი“)**, 1938 წელს კი – **„თბილისის კინოსტუდია“**. 1928 წელს შეიქმნა **კინოქრონიკის სექტორი**. 30-იან წლებში ჩამოყალიბდა ქართული მულტიპლიკაცია: პირველი მხატვრული ფილმები რევოლუციის თემას მიეძღვნა. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ: **„არსენა ჯორჯიაშვილი“** (სცენარის ავტორი შალვა დადიანი, რეჟისორი ივანე პერესტიანი, ოპერატორი ალექსანდრე დიღმელოვი), **„წითელი ეშმაკუნები“** (რეჟისორი ივანე პერესტიანი, ოპერატორი ალექსანდრე დიღმელოვი), **„დაკარგული საუნჯე“** (რეჟისორი ამო ბეკ-ნაზაროვი), **„სამი სიცოცხლე“** (რეჟისორი ივანე პერესტიანი), **„ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“** (რეჟისორი ივანე პერესტიანი), **„ქარიშხლის წინ“** (რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი), **„ვინ არის დამნაშავე?“** (რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა), **„სამანიშვილის დედინაცვალი“** (რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი).

ნატო ვაჩნაძე

20-იანი წლების ბოლოს ქართულ კინემატოგრაფიაში მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟისორები: **მიხეილ ჭიაურელი, ნიკოლოზ შენგელაია, სიკო დოლიძე, ლეო ესაკია, დავით რონდელი** და სხვები. ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს მხატვრულმა ფილმებმა: **„ელისო“** (რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია), **„ჯანყი გურიაში“** (რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა), **„უკანასკნელი ჯვაროსნები“** (რეჟისორი სიკო დოლიძე), **„არსენა“** (რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი), **„დაკარგული სამოთხე“** (რეჟისორი დავით რონდელი) და სხვ. ამ პერიოდში გადაღებული ფილმებიდან ყურადღებას იპყრობს: **„უკანასკნელი მასკარადი“** (რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი), **„დარიკო“** (რეჟისორი სიკო

აკაკი ხორავა

დოლიძე), **„ნარინჯის ველი“** (რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია), **„დაგვიანებული სასიძო“** (რეჟისორი კოტე მიქაბერიძე), **„ქაჯანა“** (რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი) და სხვ.

ქართული კინემატოგრაფიის დიდი წარმატება განაპირობეს შესანიშნავმა მსახიობებმა: **ნატო ვაჩნაძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, აკაკი ხორავამ, ალექსანდრე ჟორჟოლიანმა, სერგო ზაქარიაძემ,**

აკაკი ვასაძე

შალვა ღამბაშიძემ, თამარ ციციშვილმა, უშანგი ჩხეიძემ, სპარტაკ ბაღაშვილმა, აკაკი კვანტალიანმა, ბათუ კრავეიშვილმა, აკაკი ხინთიბიძემ და სხვებმა.

ამრიგად, არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, 1921-1941 წლებში ქართულმა კულტურამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა.

თავი IX

საქართველო 1941-1945 წლებში

მეორე მსოფლიო ომი (1939-1945 წწ.) ფაქტობრივად იმ წინააღმდეგობებზე აღმოცენდა, რომელიც პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) დატოვა.

პირველ მსოფლიო ომში მარცხმა გერმანია ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ომში გამარჯვებულმა ანტანტის ქვეყნებმა ინგლისის მეთაურობით გერმანიას ისეთი პირობები დაუწესეს, რომ იგი მალე იქცეოდა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ და გადამწყვეტ როლს ვეღარ შეასრულებდა მსოფლიო პოლიტიკაში. ამ ფონზე გერმანიაში ხდება რევანშისტული ძალების კონსოლიდაცია. რევანშისტული მოძრაობის იდეოლოგია იყო **ნაციონალ-სოციალიზმი,** რომლის ლიდერად (ფიურერად) მოგვევლინა

ადოლფ ჰიტლერი

ადოლფ ჰიტლერი. ნაციონალ-სოციალისტები გერმანიის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევის მოთხოვნით გამოდიოდნენ და მალე მოიპოვეს პოპულარობა. 1933 წელს ნაციონალ-სოციალისტები ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ – ადოლფ ჰიტლერი გერმანიის კანცლერი გახდა. რევანშიზმი გერმანიის სახელმწიფო პოლიტიკად იქცა. გერმანიაში ყველაფერი პირველი მსოფლიო ომის უმძიმესი შედეგების ლიკვიდაციასა და ნაციონალ-სოციალისტების ჰეგემონისტური გეგმების განხორციელებას დაექვემდებარა. ქვეყნის შიგნით დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი.

მართალია, იტალიამ პირველ მსოფლიო ომში გაიმარჯვა, მაგრამ აღმოჩნდა უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე. სწორედ ამ ფონზე წარმოიქმნა იტალიაში **ფაშისტური** მოძრაობა, რომლის იდეოლოგი და მოგვიანებით იტალიის დიქტატორი იყო **ბენიტო მუსოლინი,** რომელიც ჯერ კიდევ 1922 წლიდან იყო იტალიის პრემიერ-მინისტრი. იტალიაც აქტიურად შეუდგა თავის ჰეგემონისტური გეგმის განხორციელებას.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ **მილიტარიზაციის** გზას დაადგა იაპონია, რომელიც აზიაში დიდი დაპყრობითი გეგმების განხორციელებას იწყებდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობები იმით დამთავრდა, რომ 30-იანი წლების შუა ხანებისათვის ჩამოყალიბდა გერმანია-იტალია-იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ამ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის არსებობა და მისგან მომდინარე საფრთხე გაერთიანებისაკენ უბიძგებდა ინგლისს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს, თუმცა ამ ქვეყნების გაერთიანება შეუძლებელი აღმოჩნდა. 1939 წელს უშედეგოდ დამთავრდა ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის ცდა. **ევროპაში ანტიგერმანული კოალიციის შექმნის მცდელობის ჩაშლის შემდეგ გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ერთმანეთთან მორიგება არჩიეს.** 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს გერმანია-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტს ათი წლის ვადით. პაქტის ძალით გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა გავლენის სფეროები გაიყვეს. ანტიგერმანული კოალიციის ჩაშლამ და საბჭოთა კავშირთან დადებულმა თავდაუსხმელობის პაქტმა ხელ-ფეხი გაუხსნა გერმანიას. აგრესიული გეგმების განხორციელებაში შეუზღუდავი რჩებოდა საბჭოთა კავშირიც. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს მოკავშირეზე თავდასხმის საპასუხოდ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. ასე დაიწყო **მეორე მსოფლიო ომი.** გერმანიას პოლონეთის დაპყრობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული, როცა 1939 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირმა პოლონეთის აღმოსავლეთი ოლქების (დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია) ოკუპაცია მოახდინა. საბჭოთა კავშირის მხრიდან ნეიტრალიტეტის პირობებში 1940 წელს გერმანიამ საფრანგე-

იოსებ სტალინი

თი დაიპყრო, თუმცა იმავდროულად ვერ შეძლო ინგლისის დამარცხება. თავის აგრესიულ მისწრაფებებს ახორციელებდა საბჭოთა კავშირიც, რომელმაც 1940 წელს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები დაიპყრო. გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმება მტკიცე და ხანგრძლივი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ინგლისთან ომში ადოლფ ჰიტლერმა იოსებ სტალინისაგან დაპირებული დახმარება ვერ მიიღო და 1940 წლის დასასრულისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაც დაიძაბა. **ადოლფ ჰიტლერმა გადაწყვიტა, ინგლისთან ომში გამარჯვებამდე დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი.** იოსებ სტალინს შექმნილ სიტუაციაში იმის იმედი ჰქონდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაპირისპირებული იაპონია 1940 წელს საბჭოთა კავშირისათვის დაპირებულ ნეიტრალიტეტს არ დაარღვევდა და საბჭოთა კავშირს ორ ფრონტზე (გერმანიასთან და იაპონიასთან) ომი არ მოუხდებოდა.

§1. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დასაწყისი. საქართველო ომის საწყის ეტაპზე

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ეს ომი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სამამულო ომად გამოაცხადა. საბჭოთა (კომუნისტური) იდეოლოგია მიიჩნევდა, რომ ომი სამამულო იყო არა მარტო რუსი ერისათვის, არამედ რუსეთის მიერ დაპყრობილი და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალით გაერთიანებული ერებისთვის, მათ შორის ქართველებისთვისაც. **საბჭოთა იდეოლოგიის განუყოფელი ბატონობის პირობებში აღზრდილ ქართველი ერის დიდ ნაწილს მართლაც სჯეროდა, რომ ომი სამამულო იყო. ამ ადამიანებმა განსაკუთრებული თავდადებით იბრძოლეს მთელი ომის მანძილზე, ბევრმა სიცოცხლეც შესწირა გერმანიაზე გამარჯვებას.** მიუხედავად ამისა, ქართველი ერის ნაწილს კარგად ახსოვდა, რომ საქართველო დაპყრობილი იყო რუსეთის მიერ. სწორედ რუსეთმა მოუსპო დამოუკიდებლობა ქართველ ერს, რუსეთის წყალობით მოხვდა საქართველო ახალი იმპერიის – საბჭოთა კავშირის – შემადგენლობაში. ამჯერად კი საბჭოთა იმპერიის ინტერესებს უნდა შესწიროდა მრავალი ქართველის სიცოცხლე, ერის ინტელექტუალური და მატერიალური შესაძლებლობანი. **ომი, ცხადია, არ შეიძლებოდა სამამულო ყოფილიყო, ქართველი ერის ამ ნაწილისთვის ისევე როგორც ქართული ემიგრაციისთვის, რომელიც ოცი წლის მანძილზე დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და არასდროს შერიგებია არც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობასა და არც საბჭოთა წყობილებას.**

1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე წარმოებულ ბრძოლებში გერმანიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. დაიპყრო **ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, თითქმის მთელი უკრაინა, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ოლქები.** გერმანელები მიუახლოვდნენ **მოსკოვსა** და **ლენინგრადს.** ომის დაწყებიდან მალე, 1941 წლის 30 ივნისს, შეიქმნა **საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი** იოსებ სტალინის თავმჯდომარეობით. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში გადავიდა მთელი სახელმწიფო ხელისუფლება.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოში მოსკოვის დირექტივების თანახმად, დაიწყო **სამხედრო-სამობილიზაციო ღონისძიებების** გატარება. ომის დაწყებიდან სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში ფრონტზე გაიგზავნა დაახლოებით 100 000 ადამიანი, მათ შორის რამდენიმე ათასი ქალი. 1942 წლის გაზაფხულისთვის კი საქართველოდან ფრონტზე გაიგზავნა 350 ათასზე მეტი ადამიანი. საქართველოდან ფრონტზე გაწვევა არც ომის შემდგომ ეტაპებზე შეწყვეტილა. ზემოთ აღნიშნულის გარდა, 1942 წლის ბოლომდე საქართველოდან დამატებით გაწვეულ იქნა კიდევ 160 ათასზე მეტი ადამიანი. **ეს იყო ნამდვილი ტოტალური მობილიზაცია, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნიდა ერის გენოფონდს.**

„დედასამშობლო გეძახის" (მხატვარი: ირაკლი თოიძე)

მძიმე გამოდგა საქართველოსთვის ეკონომიკის სამხედრო **ყაიდაზე გარდაქმნა.** ომის დაწყების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისეთი წიაღისეულის მოპოვებას, რომელიც აუცილებელი იყო სამხედრო ინდუსტრიისათვის. კერძოდ, გაიზარდა მანგანუმის, ქვანახშირის, ნავთობის, თეთრი დარიშხანისა და სხვ. მოპოვება. მნიშვნელოვნად გაიზარდა მანგანუმის მოპოვება ჭიათურაში, ქვანახშირის მოპოვება ტყიბულსა და ტყვარჩელში. დიდი დატვირთვით ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. თბილისის ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საწარმოების უმრავლესობას დაევალა

სამხედრო შეიარაღებებისა (პისტოლეტები, ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები და ა. შ.) და სამხედრო საჭურვლის (ვაზნები, ყუმბარები და ა. შ.) წარმოება. 1941 წელს თბილისში ამოქმედდა საავიაციო ქარხანა, რომელიც ავიაგამანადგურებლებს უშვებდა. სამხედრო წარმოებაში კატორღული შრომა იყო გამეფებული. ფართოდ იყენებდნენ ქალებისა და მოზარდების შრომას.

ომის პირველსავე თვეებში საქართველოში საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან, რომელთაც ოკუპაციის საფრთხე ემუქრებოდათ, საქართველოში გადმოიყვანეს ათასობით **ლტოლვილი**. ძალზე გაძნელდა ლტოლვილთა ბინით, სამუშაო ადგილითა და სურსათით უზრუნველყოფა. მძიმე ტვირთად დაანვა საქართველოს რამდენიმე ათეული **სამხედრო ჰოსპიტლის** მოვლა-პატრონობა, ასევე დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა **გამაჯანსაღებელ სანატორიუმებსა** და **დასასვენებელ სახლებში** შენახვა.

მეტად მძიმე იყო საქართველოს მოსახლეობისათვის **თავდაცვით ნაგებობებზე** მუშაობა, რაც დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა. **მძიმე და აუტანელი გახდა სოფლის მოსახლეობის ცხოვრება.** კოლმეურნეობებს ძალზე გაუზარდეს ომის საჭიროებისათვის დასამზადებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გეგმა. **სოფლის მოსახლეობა, ფაქტობრივად, შიმშილობდა.** შედარებით ორგანიზებული იყო ქალაქის მოსახლეობის მომარაგება პურითა და სიცოცხლისათვის აუცილებელი სხვა პროდუქტით. ქალაქადაც და სოფლადაც გაჩნდა დიდი **დეფიციტი** პირველადი მოხმარების საგნებზე, მსუბუქი მრეწველობის პროდუქტებზე, მედიკამენტებზე.

ფრონტისთვის გათვალისწინებული ტვირთის გადატანამ და ჯარების გადაყვანამ მძიმე მდგომარეობა შექმნა საქართველოს **რკინიგზაზე** და შავი ზღვის **ნავსადგურებში** (ბათუმი, ფოთი, სოხუმი).

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომმა უკვე პირველი თვეებიდანვე ძალზე დაამძიმა ეკონომიკური და სოციალური ვითარება საქართველოში.

§2. ქართველები გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ფრონტებზე, პარტიზანულ მოძრაობასა და ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობაში

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებისას ათასობით ქართველი სავალდებულო სამხედრო სამსახურს სწევდა საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. მათ რიცხვს დაემატა ომის პირველ საათებში მობილიზაციით ფრონტზე გაწვეული ახალგაზრდობა. ასე რომ, უკვე 1941 წლის ზაფხულისა და შემოდგომის მძიმე თავდაცვით ბრძოლებში ათეულ ათასობით ქართველი მონაწილეობდა. **ქართველთა ძვლებით მოიფინა უზარმაზარი ტერიტორია საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვრიდან მოსკოვის მისადგომებამდე.**

1938 წელს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არსებული ეროვნული სამხედრო ფორმირებები, მათ შორის ქართულიც, გარდაიქმნენ ჩვეულებრივ სამხედრო შენაერთებად. საქართველოს ტერიტორიაზე დარჩა მხოლოდ ორი **ქართული დივიზია** (47-ე და 63-ე სამთო-მსროლელი დივიზიები). ორივე ქართული დივიზია ომის დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლებში.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ კვლავ გადაწყვიტა **ეროვნული სამხედრო ფორმირებების** შექმნა. ეს გამიზნული იყო არარუს ერებში საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისათვის. **ქართული დივიზიების** შექმნა დაიწყო 1942 წლის დამდეგს. იმავე წელს სამი ქართული დივიზია (406-ე, 392-ე და 414-ე) ჩამოყალიბდა. ქართული დივიზიების გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე



ბრძოლები კავკასიის დაცვისათვის

ჩამოყალიბებული კიდევ ოთხი დივიზია ძირითადად ქართველებით იყო დაკომპლექტებული. ქართველებს მასობრივად იწვევდნენ იმ დივიზიების შესავსებად, რომლებიც ბრძოლებში მიღებული დანაკარგის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოჰყავდათ პირადი შემადგენლობის შევსების მიზნით.

დიდი რაოდენობით ქართველი მონაწილეობდა **ქერჩის ნახევარკუნძულზე** გამართულ ბრძოლებში. გერმანიის ჯარებმა **ყირიმის ნახევარკუნძული** ხელთ იგდეს 1941 წლის შემოდგომაზე. საბჭოთა

ჯარები ინარჩუნებდნენ მხოლოდ ქალაქ **სევასტოპოლს.** საბჭოთა სარდლობამ 1942 წლის თებერვალ-მარტში რამდენჯერმე სცადა გერმანიის ჯარების განდევნა ყირიმის ნახევარკუნძულიდან და სევასტოპოლის გადარჩენა. ამ ბრძოლებში, კერძოდ, ბრძოლებში ქერჩის ნახევარკუნძულზე, მონაწილეობდა **224-ე ქართული დივიზია.** საბჭოთა სარდლობამ ყირიმის ნახევარკუნძულზე წარმოებული საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვისას სერიოზული შეცდომები დაუშვა. ამით ისარგებლეს გერმანელებმა და 1942 წლის მაისში ძლიერი შეტევა დაიწყეს, რომელიც საბჭოთა ჯარების სრული მარცხითა და სევასტოპოლის დაცემით დამთავრდა. ქერჩის ნახევარკუნძულზე გამართულ ბრძოლებში დაიღუპა 224-ე ქართული დივიზიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა უმრავლესობა.

ვლადიმერ ნანეიშვილი

სევასტოპოლის აღების შემდეგ (1942 წლის ივლისი) გერმანელები **ჩრდილო კავკასიის მთისწინეთში** შეიჭრნენ. დაიწყო ბრძოლები კავკასიის დაცვისათვის. კავკასიის დაცვაში მონაწილეობდნენ **392-ე და 414-ე ქართული დივიზიები.** ქართულმა დივიზიებმა თავი ისახელეს 1942 წლის აგვისტო-ოქტომბერში მიმდინარე თავდაცვით ბრძოლებში. კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების დაცვაში მონაწილეობდა **242-ე ქართული დივიზია.** 1943 წლის იანვარში კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში მონაწილე ჯარები, მათ შორის ქართული დავიზიები, შეტევაზე გადავიდნენ და გერმანიის ჯარები ჩრდილო კავკასიის მთისწინეთიდან უკუაგდეს. კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი არმიის სარდალმა გენერალმა **კონსტანტინე ლესელიძემ.** მასთან ერთად ომის წლებში სახელი გაითქვეს გენერლებმა **ვლადიმერ ნანეიშვილმა, პორფირე ჩანჩიბაძემ, ერმალოზ კობერიძემ** და მრავალმა სხვამ.

მრავალი ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობდა **მოსკოვის დაცვაში** და საბჭოთა არმიის მიერ **მოსკოვთან განხორციელებულ კონტრშეტევაში** (1941 წლის შემოდგომა-ზამთარი – 1942 წლის დამდეგი), **ლენინგრადის დაცვაში** (1941-1943 წლები), სტალინგრადის ბრძოლებში

კონსტანტინე ლესელიძე

(1942-1943 წლები), კურსკის ბრძოლებში (1943 წლის ზაფხული) და გერმანიის მიერ ოკუპირებული **საბჭოთა კავშირის ტერიტორიის განთავისუფლებაში** (1943-1944 წლები), ასევე ევროპის ქვეყნებიდან გერმანიის განდევნისათვის წარმოებულ ბრძოლებში (1944-1945 წლები), დაბოლოს, **ბერლინის ოპერაციაში** (1945 წლის აპრილი-მაისი). 1945 წლის 1 მაისს ბერლინში, რაიხსტაგის (პარლამენტის) შენობაზე, ქართველმა **მელიტონ ქანთარიამ** რუს ეგოროვთან ერთად გამარჯვების წითელი დროშა აღმართა. ამ მოვლენაში სიმბოლურად გამოიხატა ქართველი ერის დამსახურება გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში.

1941 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე გერმანიის წარმატებული შეტევის პერიოდში საბჭოთა არმიის მრავალი სამხედრო შენაერთი მოხვდა ალყაში. ჯარისკაცებისა და ოფიცრების ნაწილი, რომელთაც თავი ვერ დააღწიეს ალყას, **პარტიზანულ ბრძოლებზე** გადავიდნენ. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. ალყაში მოხვედრილი საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდი ნაწილი ტყვედ ჩავარდა. სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელთა მიერ შექმნილი ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეულებმა ასევე შექმნეს **პარტიზანული რაზმები.** ამ რაზმებშიც დიდი რაოდენობით იყვნენ ქართველები. ცოტა მოგვიანებით, გერმანელთა ზურგში გადასხმულ იქნა **სპეციალური დანიშ-**

მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი
დროშას აღმართავენ რაიხსტაგის თავზე

ნულების რაზმები, რომლებიც პარტიზანებთან ერთად იბრძოდნენ. სპეცდანიშნულების რაზმებშიც ქართველთა გარკვეული რაოდენობა ირიცხებოდა. საბოლოო ჯამში, 1942-1944 **წლებში უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის ოკ-**

ფორე მოსულიშვილი

უპირებულ ტერიტორიაზე მრავალი ქართველი პარტიზანი აღმოჩნდა. უკრაინაში წარმოებულ პარტიზანულ ბრძოლებში სახელი გაითქვა დავით ბაქრაძემ, ბელორუსიაში – ივანე შუბითიძემ და ვლადიმერ თალაკვაძემ. ქართველი მებრძოლების ნაწილი ევროპის ტერიტორიაზე არსებულ ტყვეთა ბანაკებიდან გაიქცნენ და ჩაებნენ ევროპის ქვეყნებში დაწყებულ **წინააღმდეგობის მოძრაობაში.** ქართველთა ნაწილი ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში სხვა გზითაც მოხვდა. პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში თავი ისახელეს: **ვლადიმერ ძნელაძემ, შალვა კობიაშვილმა, მიხეილ გურაშვილმა** და სხვებმა, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში – **ოთარ იშხნელმა, ივანე დანგაშვილმა, ალექსანდრე ხუჭუამ, ნიკოლოზ ტაბალუამ, სტეფანე ხატიაშვილმა** და სხვებმა, იტალიაში – **ფორე მოსულიშვილმა, ნოე კუბლაშვილმა, ვასილ ურუშაძემ, გრიგოლ ბექაურმა** და სხვებმა.

ომის დამთავრების შემდეგ პარტიზანული და ევროპის წინააღმდეგობის მონაწილე ცოცხლად დარჩენილი ქართველები სამშობლოში დაბრუნდნენ. ომის შემდგომი პერიოდის რეპრესიებს შედარებით ადვილად გადაურჩნენ ის პარტიზანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იბრძოდნენ. **ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ქართველებმა კი სასტიკი რეპრესიები განიცადეს.** მათ სხვადასხვა ბრალდება წაუყენეს (ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან კავშირი, ევროპის ქვეყნების ანტისაბჭოთა მიმართულების პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობა და ა. შ.). ევროპის წინააღმდეგობის მონაწილე ბევრი ქართველი გადასახლებულ იქნა ციმბირსა და შუა აზიაში. მათი ნაწილი იქვე დაიღუპა, ნაწილი კი მრავალწლიანი ტანჯვა-ნამების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. **ასე დაეფასა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ქართველ პარტიზანთა საბრძოლო ღვაწლი.**

§3. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ომის წლებში. ქართველები გერმანიის სამხედრო ფორმირებებში

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია სხვადასხვაგვარად აფასებდა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის საერთაშორისო ვითარებას. **სოციალ-დემოკრატები** (ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი და სხვები) გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის გაძლიერებას საშიშ მოვლენად განიხილავდნენ. **ეროვნულ-დემოკრატები** და მათი თანამოაზრენი (სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი, ზურაბ ავალიშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სხვ.) ნაციონალ-სოციალიზმის გაძლიერებას ყურადღებას არ აქცევდნენ და მას არ განიხილავდნენ გერმანიასთან ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ურთიერთობის შემაფერხებელ მოვლენად. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა იმ პერიოდიდან, როცა 1940 წლის ბოლოდან გერმანია-საბჭოთა კავ-

ნოე ჟორდანია

შირის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ეს განწყობილება შენარჩუნებულ იქნა 1941 წლის ივნისის შემდეგაც. **გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის საწყის ეტაპზევე ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა უარი განაცხადეს გერმანიასთან არა მარტო აშკარა, არამედ საიდუმლო თანამშრომლობაზეც კი.** კერძოდ, ნოე ჟორდანიამ უარი თქვა, დახმარებოდა გერმანიას საქართველოში სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის შეგროვებაში. **მართალია, ნოე ჟორდანია გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის შესაძლო განადგურებას უდიდეს პროგრესულ მოვლენად განიხილავდა, მაგრამ არ თანაუგრძნობდა გერმანიის მიერ ინგლისისა და საფრანგეთის დამარცხებას და გერმანიის შესაძლო გაბატონებას ევროპაში.** ამის მიზეზი ის იყო, რომ ნოე ჟორდანია ვერ ხედავდა პრინციპულ განსხვავებას იმ პოლიტიკურ რეჟიმებს შორის, რომლებიც იოსებ სტალინმა საბჭოთა კავშირში, ხოლო ადოლფ ჰიტლერმა გერმანიაში დაამყარეს. ამ ფონზე აშკარად პროგერმანული ჩანდა ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია. **გერმანიასთან მჭიდრო**

გრიგოლ რობაქიძე

თანამშრომლობა ეროვნულ-დემოკრატებს სამშობლოს განთავისუფლების ერთადერთ გზად ესახებოდათ. ეროვნულ-დემოკრატები ცდილობდნენ გერმანიის დაინტერესებას საქართველოთი. ისინი მიისწრაფოდნენ, რათა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა უწყებები დაერწმუნებინათ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან და საქართველოში არსებულ ანტისაბჭოთა ძალებთან კავშირის აუცილებლობაში. ამ მცდელობას შედეგი არ გამოუღია. **ომის წლებში გერმანიაში რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ შემუშავებულა.** ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასა და საქართველოში არსებულ ანტისაბჭოთა ძალებს გერმანელი პოლიტიკოსები და სამხედროები მოკავშირედ არ განიხილავდნენ. საქართველო გერმანიისათვის იყო გეოპოლიტიკური სივრცე, რომლის დაპყრობის შემთხვევაში გერმანელები ქართველებს ნანატრ თავისუფლებას არ დაუბრუნებდნენ.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის წლებში ბევრი ქართველი იბრძოდა უშუალოდ გერმანიის არმიასა და გერმანიის უმაღლეს მთავარსარდლობას დაქვემდებარებულ სხვადასხვა სამხედრო ფორმირებაში.

1941 წლის ბოლოდან გერმანიის საგარეო დაზვერვის სამსახურმა ქართველი ემიგრანტებისა და ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან დაიწყო **სპეციალური სამხედრო ფორმირების** შექმნა. სულ შეიქმნა ორი ბატალიონი – **„თამარ I“** და **„თამარ II“**. შემდეგში ასეთი სამხედრო ფორმირებების არსებობა გაუმართლებლად იქნა მიჩნეული. გერმანიის საგარეო დაზვერვის სამსახურში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კავკასიაში საბრძოლველად, ასევე გერმანიის მიერ კავკასიის ოკუპაციის შემდეგ, იქ სამსახურისათვის მიზანშეწონილი იყო სპეციალური

შალვა მაღლაკელიძე

სამხედრო ფორმირების – **„ბერგმანის“ („მთიელი“)** – შექმნა. „ბერგმანს“ შემდეგში შეუერთდა „თამარ II“. **„ბერგმანი“ ქართველი ემიგრანტებისა და ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან კომპლექტდებოდა.** მასში ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე გერმანელები ინიშნებოდნენ. **„ბერგმანი“ არ იყო ქართველთა ეროვნული სამხედრო ფორმირება.** 1943 წლის გაზაფხულისთვის „ბერგმანში“ ერთი ქართული, ერთი ჩრდილოკავკასიური და ერთი აზერბაიჯანული ბატალიონი შედიოდა. ქართულ ბატალიონში ირიცხებოდნენ: **სიმონ წიკლაური, გივი გაბლიანი, ვიქტორ ხომერიკი, ბაგრატ ჭანტურია, გიგო ჟორდანია, აკაკი კვიტაიშვილი, მიხეილ დადიანი, გიორგი ვაჩნაძე, დავით ჭავჭავაძე, მათე ბოლქვაძე, ვარდენ ჩიკაშუა** და სხვები. კავკასიის მთავარი ქედის მისადგომებთან განცდილი მარცხის შემდეგ (1943 წ.) „ბერგმანს“ ძველი მნიშვნელობა აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა.

ქართული ბატალიონის მეომრები კუნძულ ტექსელზე

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის წლებში, კერძოდ, 1941 წლის ბოლოდან და 1942 წლის დამდეგიდან გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ტერიტორიაზე ყალიბდება **„ქართული ბატალიონი“**, ე. წ. **„ოსტლეგიონი“**. ქართული ბატალიონების შექმნას გერმანიის მხრიდან ერთ პერიოდში კურირებდა გენერალი **შალვა მაღლაკელიძე,** რომელიც იმხანად გერმანიის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. სულ შეიქმნა შვიდი ქართული ბატალიონი. ორი მათგანი 1942-1943 წლებში გერმანიის სარდლობამ „ბერგმანთან“ ერთად კავკასიისათვის ბრძოლებში გამოიყენა. ომის ბოლო ეტაპზე ერთი ქართული ბატალიონი ჰოლანდიის **კუნძულ ტექსელზე** გადასხეს და ინგლისელთა დესანტისაგან კუნძულის დაცვა დაავალეს. 1945 წლის მაისის დამდეგს ქართულმა ბატალიონმა კუნძულზე გერმანიის წინააღმდეგ ამბოხება დაიწყო. გერმანელთა დამსჯელი ექსპედიცია სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულ ქართველებს.

ქართველები საკმაო რაოდენობით ირიცხებოდნენ გერმანიაში საბჭოთა ტყვეებისაგან შექმნილ

„რუსეთის განმათავისუფლებელ არმიაში“ და ამ არმიის ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფ **„კაზაკთა დივიზიაში“.**

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა არმიის შესვლის შემდეგ ზემოთ ხსენებულ სამხედრო ფორმირებებში მყოფი ქართველების ნაწილი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი ამერიკაში გადაიხვეწა. ერთმა ქართულმა ბატალიონმა არგენტინას შეაფარა თავი. ქართული ბატალიონების მებრძოლთა ნაწილი საქართველოში დაბრუნდა და მრავალი წელი გაატარა ციხეებსა და გადასახლებაში.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების და, საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური მოღვაწეობა აზრს კარგავს და იგი ძირითადად კულტურული საქმიანობით იფარგლება.

§4. ეროვნული მოძრაობა ომის წლებში

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განმტკიცების წლები უაღრესად არახელსაყრელი იყო საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღორძინებისათვის. საბჭოთა კავშირის შინაპოლიტიკური ვითარება და საერთაშორისო მდგომარეობა ხელს არ უწყობდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობას.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის საწყის პერიოდში (1941 წლის ზაფხული-შემოდგომა) გერმანიის დიდმა გამარჯვებებმა იმედი ჩაუნერგა ეროვნულ ძალებს საქართველოში. **გაჩნდა ომში საბჭოთა კავშირის დამარცხებისა და საქართველოს განთავისუფლების იმედი.** სასტიკი პოლიტიკური რეჟიმისა და სპეცსამსახურების აგენტურის ფართო ქსელის არსებობის პირობებში ძნელი იყო ეროვნული ძალების გაერთიანება და კონკრეტულ გეგმებზე მსჯელობა. მიუხედავად ამისა, 1941 წლიდანვე ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები: **შალვა ნუცუბიძე, გიორგი წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი** და სხვები ერთმანეთს ხვდებიან და იწყებენ სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამ შემთხვევაში საქმე არ ეხებოდა გერმანიის წინააღმდეგ ქართველი ერის აჯანყებას, ან თუნდაც გერმანიის არმიისათვის რაიმე დახმარების აღმოჩენას. **იხილებოდა საკითხი საქართველოში გერმანიის არმიის შემოჭრის შემთხვევაში საოკუპაციო ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ.** თბილისში მოქმედმა ეროვნულმა ძალებმა სასტიკი რეჟიმის გამო ვერ შეძლეს კავშირის დამყარება ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან. ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური ძალები კი თავისთავად ერიდებოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობას, რათა ამ გზით ემიგრაციაში არ შეეღწიათ საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტებს.

ომის სასნორის საბჭოთა კავშირის მხარეზე გადახრის შემდეგ თბილისში ეროვნულ ძალთა აქტიურობა კლებულობს. 1943 წლის გაზაფხულის შემდეგ შალვა ნუცუბიძის, გიორგი წერეთლისა და მათი თანამოაზრეების მოღვაწეობა პრაქტიკულად შეწყდა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომმა გარკვეული იმედები აღუძრა სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ ახალგაზრდობას. განსაკუთრებით აქტიურობდა სტუდენტობა. 1941 წლიდან **გიორგი იმერლიშვილი, კონსტანტინე (კოტე) ხიმშიაშვილი** და **კონსტანტინე (კოტე) ჯოგლიძე** იწყებენ საიდუმლო ორგანიზაციის შექმნას. ორგანიზაციის მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო. შემდეგში საიდუმლო ორგანიზაციის წევრები გახდნენ: **გიორგი ძიგვაშვილი, შალვა შავიანიძე, მიხეილ იმერლიშვილი, ივანე ლაპიაშვილი, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე, მიხეილ კაციტაძე, ზურაბ მისაბიშვილი, დიმიტრი ბურდიაშვილი** და სხვები. შეთქმულები ჯერ ისევ ორგანიზების პროცესში იყვნენ, როცა უშიშროების ორგანოების მიერ შეთქმულთა რიგებში შეგზავნილმა პროვოკატორმა ორგანიზაცია გასცა. 1941 წლის დეკემბრიდან დაიწყო დაპატიმრებები. იგი გაგრძელდა 1942 წელსაც. 1942 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა შეთქმულების მონაწილეებს: **კოტე ხიმშიაშვილს, თურმან შანშიაშვილს, დიმიტრი ბურდიაშვილს, მიხეილ იმერლიშვილს, შალვა შავიანიძეს, გიორგი ძიგვაშვილს, კოტე ჯოგლიძეს, გიორგი ქადაგიძეს, მიხეილ კაციტაძეს,** სულ 17 კაცს, დახვრეტა მიუსაჯა. შეთქმულების სხვა მონაწილეები ხანგრძლივი ვადით გადაასახლეს.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის წლებში, სასტიკი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება და საქართველოს განთავისუფლების მიზნით შეთქმულების ორგანიზება საქართველოს ისტორიის გმირული ფურცელია.

§5. ომის შედეგები საქართველოსათვის

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის (1941-1945 წწ.) შედეგები ძალზე მძიმე იყო საქართველოსათვის. 1941 წლის ივნისიდან ფრონტზე გაიწვიეს დაახლოებით 700 ათასი კაცი. ცხადია, მათ შორის შედარებით უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ არაქართველებიც. ფრონტზე გაწვეულთა დაახლოებით ნახევარი დაიღუპა, ბევრიც მიღებული ჭრილობისაგან სამუდამოდ ინვალიდი დარჩა. **ომის წლებსა და მომდევნო ხანებში საქართველოში დე-**

მოგრაფიული სიტუაცია ქართველთა საზიანოდ შეიცვალა. ომის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის კლება, ცხადია, ძირითადად ქართველების ხარჯზე მოხდა. ქართველთა საზიანოდ დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა მარტო ამით არ ამოიწურებოდა. საქართველოში ქართველთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად მატულობდა არაქართული მოსახლეობის რიცხვი. ომის წლებში საქართველოში საბჭოთა კავშირის დასავლეთი რაიონებიდან გადმოყვანილი ლტოლვილების ნაწილი აქვე დარჩა მუდმივად საცხოვრებლად. ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში ასევე მუდმივად საცხოვრებლად ჩამოვიდნენ სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულები (ძირითადად, რუსები და უკრაინელები). ამ პროცესებმა ძალზე დაამძიმა დემოგრაფიული სიტუ-



გერმანული სამხედრო შტანდარტების საზეიმო დაწვა ნითელ მოედანზე

აცია საქართველოში. გარდა ამისა, ომმა თავისთავად გაართულა დემოგრაფიული სიტუაცია. ომში დალუპულთა აბსოლუტური უმრავლესობა 18 წლიდან 45 წლამდე ასაკის მამაკაცებზე მოდიოდა. **მოსახლეობაში მამაკაცების რაოდენობის შემცირებამ დაარღვია სქესთა ბუნებრივი თანაფარდობა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ქორწინებათა რაოდენობაზე და, აქედან გამომდინარე, შობა-**

გენერალისიმუსი იოსებ სტალინი

დობაზეც. ეს, ცხადია, საგრძნობი გახდა ომის დამთავრების შემდგომ ხანებში.

ომმა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ადამიანების **ფსიქიკას.** განცდილი სულიერი ტრავმების შემდეგ ომის მონაწილენი დიდხანს ვერ დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას.

ომის წლებში წარმოუდგენელი მასშტაბებით მიმდინარეობდა **საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის ექსპლოატაცია,** რამაც, ცხადია, შეამცირა მათი ბუნებრივი მარაგი. გარდა ამისა, ომის წლებში საქართველოს ეკონომიკამ გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. **იმატა საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქარხნებისა და საწარმოების რაოდენობამ.** ასეთი საწარმოების რიცხვს განეკუთვნებოდა თბილისის საავიაციო ქარხანა. გერმანიასთან ომის გამოცდილებამ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაარწმუნა ამიერკავკასიაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაკვეთით მომუშავე ქარხნების აგების აუცილებლობაში. ასე დაიბადა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დაარსების იდეა. **ყოველივე ამან საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო ძლიერად მიაჯაჭვა რუსეთის ეკონომიკას.**

მთლიანობაში ომი ძალზე ძვირად დაუჯდა ქართველ ერს. მის მავნე შედეგებს დიდხანს განიცდიდა საზოგადოება.

თავი X

საქართველო 1945-1953 წლებში

§1. ეკონომიკის აღდგენა და განვითარება (1945-1953 წწ.)

1. ომისშემდგომი ეკონომიკის განვითარების ტენდენციები. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა, თუმცა ომის პერიოდში, რამდენიმე თვის მანძილზე, საქართველო **ფრონტისპირა** რაიონი იყო. აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი საომარ მოქმედებათა არენად იქცა. მტრის ავიაცია ბომბავდა საქართველოს ზღვისპირა ქალაქებს. **ომმა საქართველოს ეკონომიკას უდიდესი ზარალი მიაყენა.** მნიშვნელოვნად შეიცვალა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სტრუქტურა. მრეწველობის ზოგიერთი დარგის, განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობის და მასთან დაკავშირებული დარგების (მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება) განვითარება ძალზე სწრაფად მოხდა, სამოქალაქო პროდუქციის მწარმოებელი დარგებისა კი შემცირდა. იგივე ცვლილებები ხდებოდა სოფლის მეურნეობაშიც. მეტი ყურადღება ექცეოდა მარცვლეულის წარმოებას, ხოლო დანარჩენი კულტურების, მათ შორის მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების, წარმოება შემცირდა. **უკიდურესად გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით სოფლის მეურნეობის მომარაგება, დაეცა მექანიზაციის დონე, დაქვეითდა შრომისნაყოფიერება.** 1945 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება ომამდელი დონის 80%-ს შეადგენდა. განსაკუთრებით დაზარალდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. აქ ზოგიერთ დარგში წარმოება 30-40%-ით შემცირდა.

კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობამ, საინჟინრო-ტექნიკური კადრების სიმცირემ, ამორტიზებულმა ტექნიკამ, საწარმოთა ომამდელი კოოპერაციის მოშლამ და ომით გამოწვეულმა სხვა სიძნელეებმა დასცეს შრომისნაყოფიერება. **ქალაქსა და სოფელს შორის პროდუქტის გაცვლამ კვლავ ნატურალური ხასიათი მიიღო. დაიწყო ფულის არნახული ინფლაცია და დევალვაცია, რაც ასევე ეკონომიკის მოშლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელი იყო.** მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განიცდიდა მუშახელის დიდ ნაკლებობას. ომის პერიოდში საქართველოდან ფრონტზე გაიწვიეს 700 ათასი კაცი – მოსახლეობის მეხუთედი. მათგან დაიღუპა თითქმის ნახევარი. ათასობით დასახიჩრდა და დაინვალიდდა. ძირითადად სწორედ ეს იყო შრომისუნარიანი მოსახლეობა. მუშახელის ნაკლებობას განსაკუთრებით წვრილი საწარმოები განიცდიდნენ. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა. ფრონტს სოფელმა უფრო მეტი ადამიანი მისცა, ვიდრე სამრეწველო საწარმოებმა, რადგან ომში განვევისას „ჯავშანი" სოფლის მუშაკთა უმნიშვნელო ნაწილს შეეხო. სოფლად დასაქმებულ ადამიანთა შორის ძალზე გაიზარდა ქალთა ხვედრითი წილი.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის სიძნელეთა წინაშე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ყველა ქვეყანა აღმოჩნდა. ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის წინაშე კიდევ ერთი სიძნელე იდგა: **უნდა განსაზღვრულიყო ომისშემდგომი ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების უმთავრესი მიმართულებები.** საქმე ისაა, რომ ომის დროს ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: შეიზღუდა და შესუსტდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პრაქტიკა; ერთგვარად შესუსტდა თავისუფალი ბაზრის სხვადასხვა ფორმებზე სახელმწიფო კონტროლი; გარკვეულად გაიზარდა სოფლის მოსახლეობის შემოსავალი იმ რეგიონებში, რომლებიც მტრისაგან არ იყო ოკუპირებული (ამ რეგიონების რიცხვს განეკუთვნებოდა საქართველოც); გაფართოვდა წვრილსაქონლური წარმოება და სხვა. სწორედ ამ ვითარებამ დაბადა საბჭოთა ეკონომიკის გარდაქმნის, მისი ახალი მოდელის შექმნის აზრი, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. ომისშემდგომ პერიოდში ეკონომიკის აღდგენისა და განვითარების ძირითადი მიმართულების განსაზღვრისას საკითხი ასე დადგა: **ან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერდა და გააფართოებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ომის დროს გაჩენილ ტენდენციებს და ამით ქვეყანას დააყენებდა საბაზრო ეკონომიკის გზაზე, რომელიც საბჭოთა კავშირს გამოიყვანდა ეკონომიკური კრიზისიდან და ჩააყენებდა მონინავე ქვეყნების რიგებში; ან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უარს იტყოდა ამ ტენდენციებზე და კვლავ დაუბრუნდებოდა 30-იანი წლების ეკონომიკურ მოდელს და გაწირავდა ქვეყანას უფრო დიდი ეკონომიკური კრიზისისათვის.**

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ორი აზრი არ არსებობდა იმაზე, რომ კვლავაც, ისევე როგორც ომამდე, ეკონომიკის განვითარება **მრეწველობის უპირატესი განვითარებით** უნდა წარმართულიყო. თუმცა ორი აზრი იყო იმ საკითხში, თუ მრეწველობის განვითარებაში უპირატესობა რომელს მინიჭებოდა – მძიმე მრეწველობისა თუ მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას. **საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ერთი ჯგუფი ფიქრობდა, რომ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლისას კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მოიცავდა მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომლის დაძლევას დიდი დრო დასჭირდებოდა.** ამასთან ერთად, მსოფლიოს გადანაწილებისათვის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის კიდევ უფრო გამწვავდებოდა წინააღმდეგობები. ეს კი შექმნიდა საბჭოთა კავშირისთვის ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებას. საბჭოთა კავშირის მიმართ კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან რეალური საფრთხე აღარ ჩანდა. ამიტომ ხსენებული ჯგუფი ფიქრობდა, რომ **საბჭოთა კავშირს უკვე შეეძლო ხელი აეღო თავის ადრინდელ ეკონომიკურ პოლიტიკაზე – მძიმე მრეწველობის დაჩქარებული, უპირატესი განვითარების პოლიტიკაზე. მეორე ჯგუფი (ლავრენტი ბერია, გიორგი მალენკოვი და სხვები) ასაბუთებდა, რომ კაპიტალისტურ სამყაროს შესწევდა უნარი დაეძლია შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც საბჭოთა კავშირს შეუქმნიდა უდიდეს საფრთხეს.** ეს საფრთხე იზრდებოდა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფლობდა ატომურ იარაღს. ამიტომ მძიმე მრეწველობის, განსაკუთრებით ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უპირატესი განვითარება უნდა დარჩენილიყო ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ამოცანად.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ დისკუსია მიმდინარეობდა 1945-1946 წლებში. სამწუხაროდ, ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაუბრუნდა ეკონომიკური განვითარების ომამდელ მოდელსა და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ომამდელ მეთოდებს. ამის შემდეგ უკვე განუწყვეტლივ ეწეოდნენ პროპაგანდას, რომ სოციალისტურ ეკონომიკას მისი განვითარების ყველა საფეხურზე სჭირდება წარმოების საშუალებათა უპირატესი ზრდა, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება იყო, არის და კვლავაც იქნება ეკონომიკური პოლიტიკის გენერალური ხაზი. ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ანტისახელმწიფოებრივ და მავნე შეხედულებად ნათლავდა ყველა მოსაზრებას, რომელიც მოითხოვდა მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების შენელებასა და მის ხარჯზე მსუბუქი მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას.

2. მრეწველობა. ომისშემდგომი ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება-გაუმჯობესება ომის მონაწილე ყველა ქვეყნისათვის ძნელი იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ეს მოახერხეს არა მარტო საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, არამედ იმითაც, რომ მათ, ე. წ. **„მარშალის გეგმის“** შესაბამისად, უდიდესი ფინანსური დახმარება გაუწია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ეს გეგმა, რომელიც შემუშავდა 1947 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯორჯ მარშალის მიერ, ევროპის ქვეყნებს 1948-1952 წლებისათვის სთავაზობდა კრედიტების, სესხებისა და სუბსიდიების სახით 20 მილიარდ დოლარს. იგი ითვალისწინებდა ევროპის ქვეყნების ინტეგრაციას ახალ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ამ გეგმის საფუძველზე ევროპის სახელმწიფოებმა 1948 წელს შექმნეს „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“. იგი, ფაქტობრივად, ევროპის ეკონომიკური აღორძინების მაკოორდინებელი ორგანიზაცია იყო. ამ ორგანიზაციის წევრმა ევროპის ქვეყნებმა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან 1948-1952 წლებში მიიღეს 14 მილიარდი დოლარის დახმარება.

„მარშალის გეგმა“ ითვალისწინებდა ფინანსურ დახმარებას საბჭოთა კავშირისა და მისი „ევროპელი მოკავშირეების“ – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი. იოსებ სტალინისთვის ამ გეგმის მიღება ნიშნავდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე კონტროლის დაკარგვას. თავისი გავლენის სფეროების დაკარგვას საბჭოთა კავშირი, ბუნებრივია, არ დაუშვებდა. **პოლიტიკური მოსაზრების გამო, იოსებ სტალინმა „მარშალის გეგმით“ გათვალისწინებულ ფინანსურ დახმარებაზე უარი თქვა.** ეს კი ნიშნავდა ეკონომიკის აღდგენა-განვითარებას საკუთარი

იოსებ სტალინი

შესაძლებლობების მაქსიმალური ამოქაჩვის ხარჯზე, რითაც ხელისუფლებამ საკუთარი ხალხი დიდი ხნით კვლავ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისათვის გაწირა.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის აღდგენა-განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმან, რომ საბჭოთა კავშირმა, როგორც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყანამ, დამარცხებული ქვეყნებისაგან კონტრიბუციებისა და რეპარაციების სახით უზარმაზარი სახსრები მიიღო.

საბჭოთა კავშირის ხელში აღმოჩნდა აუარებელი ტექნიკური მოწყობილობები, ტექნიკური მასალები გერმანიიდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მოწყობილობების გარდა ხელში ჩაიგდეს ტექნიკური დოკუმენტაციები, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების საიდუმლოებანი. მათ საფუძველზე საბჭოთა სპეციალისტებმა გამოუშვეს მრავალი ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქცია. ამასთან ერთად, საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში დაამყარა მისთვის სასურველი წყობილება და ე. წ. „სოციალისტური ბანაკის" ქვეყნები, ფაქტობრივად, გადააქცია თავის კოლონიებად – ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად. საზღვარგარეთული შემონატანები რომ ძალზე დიდი იყო, ეს უდავოა. მაგრამ საინტერესოა საკითხის მეორე მხარეც: რამდენად ეფექტურად იქნა გამოყენებული საზღვარგარეთული შემონატანები, ეკონომიკის რომელი დარგის განვითარებას ხმარდებოდა იგი? მათი უდიდესი ნაწილი საკმაოდ ეფექტურად გამოიყენებოდა სამხედრო მრეწველობაში. მოპოვებული მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები ინერგებოდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში. ამითაც აიხსნება, რომ ომის შემდგომ ყველაზე დიდი წარმატებები სამხედრო მრეწველობამ მოიპოვა.

„ცივი ომის" (1948 წელს ქ. ფულტონში უინსტონ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ითვლება „ცივი ომის" ოფიციალურ დასაწყისად) დაწყებამ საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობა განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა. 1946 წლის ბოლოსათვის დამთავრდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის რეკონვერსია (ე. ი. სამხედრო მრეწველობის გადაყვანა მშვიდობიანი დროისათვის საჭირო საქონლის წარმოებაზე), მაგრამ, ფაქტობრივად, რეკონვერსია ნაწილობრივ ხასიათს ატარებდა. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს არ შეუწყვეტია განვითარება, იგი მხოლოდ მოდერნიზებულ იქნა ახალი სახეობის სამხედრო პროდუქციის გამოსაშვებად. **სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებას სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ხმარდებოდა.** დიდი სახსრები დაიხარჯა ატომური პროექტის განხორციელებაში. 1947 წელს საბჭოთა კავშირში ამუშავდა პირველი ატომური რეაქტორი, 1949 წლის ზაფხულში შედგა საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდა. მშვიდობიან სფეროში ატომური ენერგიის გამოყენებას კი ბევრად უფრო დიდი დრო დასჭირდა – პირველი ატომური ელექტროსადგური (ობნინსკში) 1954 წელს ამუშავდა. უდიდესი სახსრების მობილიზებამ, სამეცნიერო აზრის თავმოყრამ და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვამ საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობას დიდი წარმატებები მოუტანა. მაგრამ, ცხადია, ამის ხარჯზე ზარალდებოდა მთელი ეკონომიკა. ზარალდებოდა საქართველოს ეკონომიკაც.



ობნინსკის ატომური ელექტროსადგური

საწარმოთა მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით ომის შემდეგ კვლავ მოქმედებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება, რომლის ძალითაც მუშა-მოსამსახურეებს წარმოებიდან თვითნებური წასვლა ეკრძალებოდათ. ასევე ძალაში რჩებოდა 1941 წლის 26 დეკემბრის კიდევ უფრო მკაცრი ბრძანებულება, რომელიც სამსახურიდან თვითნებური წასვლის შემთხვევაში ითვალისწინებდა 5-დან 8-წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამ კანონის მოქმედება მხოლოდ 1947 წლის მარტიდან შეწყდა და ისიც არა ყველა დარგის მუშებისათვის. ამ ბრძანებულებებს ემატებოდა უმკაცრესი საპასპორტო რეჟიმი. 1940-1948 წლებში მრეწველობის მთელ რიგ დარგებში დაკავებულ მუშა-მოსამსახურეებს პასპორტების ნაცვლად ეძლეოდათ პირადობის მოწმობები. მათი პასპორტები კი ინახებოდა სამსახურის ადგილზე და გაიცემოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (ქორწინება, განქორწინება, გვარის შეცვლა), ისიც დროებით. ეს წესი მოქმედებდა მძიმე სამუშაოების მუშებზე: ქვანახშირის მრეწველობაში, შავი და ფერადი მეტალურგიის, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობებზე, გემთმშენებლობასა და ქიმიურ მრეწველობაში, რკინიგზაზე, საზღვაო ტრანსპორტზე. შრომითი რესურსების შევსება ხდებოდა აგრეთვე ე. წ. „ორგანიზებული შეგროვების წესით". 1948-1953 წლებში ამ წესით მრეწველობას შეემატა ათიათასობით მუშახელი, ძირითადად, სოფლის ახალგაზრდობიდან. **ამოქმედდა შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლები, სადაც უმოკლეს დროში ახალგაზრდებს ამზადებდნენ (უმეტესად იძულების გზით) რომელიმე სპეციალობაში და შემდეგ იძულებით მიავლენდნენ საწარმოებში სამუშაოდ.** 1946-1955 წლებში ამ ტიპის სასწავლებლებიდან მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაზე სამუშაოდ წავიდა 57 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა. ამგვარი გზებით მუშათა რიცხვის ზრდა იწვევდა იმას, რომ მათი კვალიფიკაციის დონე დაბალი იყო, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობებდა წარმოებაში შრომისნაყოფიერების ზრდის ძალზე ნელ ტემპებს.

ეკონომიკის აღდგენა-განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე ხალხის შრომითმა აქტივობამ. **უმძიმეს ომში გამარჯვება ხალხის ცნობიერებაში სო-**

ციალისტური სისტემის გამარჯვებასთან იქნა გაიგივებული. ამიტომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ამაღლდა სოციალისტური სისტემისადმი და ხელისუფლების პოლიტიკისადმი რწმენა. ამასთან, მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლის უდიდესი მონატრება ზრდიდა ხალხის შრომით აქტივობას. ამას ემატებოდა მასებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული, ფართოდ გაშლილი იდეოლოგიური მუშაობა. მუშათა კლასის შრომით აქტივობას ზრდიდა აგრეთვე ფართოდ გაშლილი „სოციალისტური შეჯიბრებები". სოციალისტური შეჯიბრებები იყო მასებზე მხოლოდ მორალური, ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალება. ამიტომ მშრომელთა ერთი ნაწილი მას წინააღმდეგობასაც უწევდა. კერძოდ, საინჟინრო-ტექნიკურმა პერსონალმა კარგად იცოდა, რომ ყოველგვარი „შეჯირების" ეკონომიკური ეფექტი ან საერთოდ ყალბი იყო, ან დროებითი და რომ მას წარმოება, საბოლოო ჯამში, მიჰყავდა დეზორგანიზაციამდე. მუშათა შეგნებული ნაწილი კი ასევე კარგად ხედავდა, რომ ყოველგვარ „შრომით გმირობას", გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, სულ მალე მოჰყვებოდა საწარმოო გეგმებისა და გამომუშავების ნორმების თვითნებური და საყოველთაო ზრდა.

ეკონომიკის აღდგენა-განვითარება ხდებოდა აგრეთვე პატიმრებისა და სამხედრო ტყვეების უფასო შრომის ხარჯზე. პრაქტიკულად, **ეკონომიკის თითქმის არც ერთი დარგი არ ფუნქციონირებდა პატიმართა და სამხედრო ტყვეების შრომის გამოყენების გარეშე.**

დაბოლოს, ეკონომიკის აღდგენა-განვითარება ხდებოდა საბჭოთა კავშირის ტრადიციული ეკონომიკური პოლიტიკის – სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების მზარდი გადაქაჩვის ხარჯზე.

ამრიგად, სავსებით ცხადი იყო, რომ ასეთი პოლიტიკით ეკონომიკის დიდი ხნით წინსვლა შეუძლებელი იყო.

ეკონომიკის სფეროში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გენერალური ხაზი აისახა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების **მეოთხე ხუთწლიან გეგმაში (1946-1950 წწ.).** გეგმა ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის უპირატეს განვითარებას. კერძოდ, უნდა განვითარებულიყო ისეთი დარგები, როგორიცაა: მანგანუმისა და ქვანახშირის ამოღება, ელექტროენერგეტიკა და სხვ. გათვალისწინებული იყო ახალი დარგების: მეტალურგიის, საავტომობილო ტრანსპორტის მშენებლობისა და სხვათა დანერგვა. საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1940 წლის დონესთან შედარებით 1950 წლისათვის უნდა გაზრდილიყო 48,9%-ით. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ასევე ყველა სახის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის აღდგენას და შემდგომ განვითარებას. მრეწველობის წინაშე კიდევ უფრო გაზრდილ ამოცანებს სახავდა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა (1951-1955 წწ.). იგი ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდების გადიდებას 2,3-ჯერ, მრეწველობის საერთო პროდუქციის გაზრდას 74,2%-ით. კვლავ უპირატესად და დაჩქარებით უნდა განვითარებულიყო მძიმე ინდუსტრიის უმთავრესი დარგები.

ომის შემდგომი ხუთწლედის უდიდეს მშენებლობებად გამოცხადდა **რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის საფეიქრო კომბინატი, ჭიათურის მანგანუმის ცენტრალური ფაბრიკა, ქვანახშირის ახალი შახტები ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ხრამის, ზემო ავჭალის, სოხუმის, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურები, სამგორის სარწყავი არხი და სხვა.** მიმდინარეობდა არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოებაც. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სამრეწველო წარმოების დონეს საქართველოს რესპუბლიკამ 1950 წლის ნაცვლად უკვე 1949 წლის ბოლოს მიაღწია. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში აშენდა და მწყობრში ჩადგა 107 სამრეწველო საწარმო. სამრეწველო წარმოების განვითარების დონით საქართველო უკვე აღარ ითვლებოდა ჩამორჩენილ რესპულიკად, მრეწველობის განვითარების ტემპებით კი იგი ბევრ რესპუბლიკას უსწრებდა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

საქართველოში მძიმე ინდუსტრიის დარგების უპირატესი განვითარება ფასდებოდა როგორც რესპუბლიკის მრეწველობაში მომხდარი პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები. სინამდვილეში კი იგი სრულიადაც არ შეესაბამებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინტერესებს და სულ სხვა მიზნები ჰქონდა.

ჯერ ერთი, ეს იყო საბჭოთა კავშირის, სინამდვილეში კი რუსეთის უნიტარული სახელმწიფოს სამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბების ადრინდელი გეგმის გაგრძელება, რომლის მიზანი იყო რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ნულოვან დონემდე დაყვანა. **რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აშენდა და შემდეგშიც იგი მარაგდებოდა მთლიანად საქართველოს გარეთ დამზადებული მოწყობილობებით. ქარხანა ამუშავებდა დაშქესანის (აზერბაიჯანი) მადანს. მას დამოუკიდებელი თითქმის არაფერი გააჩნდა. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ფაქტობრივად, იყო სატვირთო მანქანების ამწყობი ქარხანა, რომელთა ნაწილები რუსეთისა და სხვა რესპუბლიკების საწარმოებიდან შემოდიოდა.** მსგავსი ვითარება იყო თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში და სხვაგან. ამ საწარმოებში დამზადებული პროდუქციაც საკავშირო მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი და მისი უდიდესი ნაწილი საქართველოს გარეთ იყიდებოდა, თანაც მინიმალურ ფასებში. საკმარისი იქნებოდა საბჭოთა კავშირის დაშლა, უნიტარული სამრეწველო მიმოქცევის ჩაშლა, რომ ეს საწარმოები განწირული გახდებოდნენ დახურვისათვის (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებულმა მოვლენებმა ეს დაადასტურა კიდეც). სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოს ეკონომიკა რუსეთის ეკონომიკის დანამატად გადაიქცა.

ქუთაისის
საავტომობილო ქარხანა

მეორე, ინდუსტრიული გიგანტების მშენებლობა მოითხოვდა დიდი რაოდენობით მუშახელსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს. ცხადია, მათი შევსება საქართველოს მოსახლეობიდან შეუძლებელი იყო. **ამიტომ ხდებოდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან, განსაკუთრებით კი რუსეთიდან, მუშათა მასობრივი ჩამოსახლება. რუსთავსა და საქართველოს სხვა სამრეწველო ქალაქებში ძალზე გაიზარდა არაქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი.** საბჭოთა პროპაგანდა რუსთავს „40 ძმის ქალაქს" უწოდებდა. ომის შემდგომ ორ ათწლეულში რუსების ხვედრითი წილი საქართველოს მუშათა კლასში ერთი სამად მეტი იყო, ვიდრე მათი ხვედრითი წილი მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში. უკვე 1948 წლის დამდეგისათვის საქართველოს მძიმე მრეწველობის ძირითად დარგებში დასაქმებული მუშებიდან ქართველები ნახევარზე ნაკლები – 49% – იყვნენ. არაქართველებიდან კი ყველაზე მეტს – 29,3%-ს – რუსები წარმოადგენდნენ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის მრეწველობასთან საქართველოს მრეწველობის ინტეგრაციის ნიღბით, ფაქტობრივად, გრძელდებოდა XIX საუკუნის რუსული კოლონიური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა: საქართველოს ეკონომიკა მთლიანად კარგავდა დამოუკიდებლობას, საქართველოს მოსახლეობაში რუსების რიცხვის ზრდით რუსეთი იქმნიდა ძლიერ სოციალურ დასაყრდენს. ეს კი განამტკიცებდა საქართველოზე რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბატონობას.

მესამე, საქართველოში რუსეთისაგან ნაკარნახევ არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ისიც, რომ დაიწყო სოფლის მოსახლეობის ფართო მიგრაცია ქალაქებში. განსაკუთრებით დაცარიელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის რაიონები, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით, მესაქონლეობის განვითარებას.

3. სოფლის მეურნეობა. ომის შემდგომ მძიმე მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობაში. მართალია, მეოთხე და მეხუთე ხუთწლედები ითვალისწინებდნენ სოფლის მეურნეობის დარგების აღმავლობას, მოსავლიანობის გაზრდას, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, მაგრამ ამ ამოცანებს განხორციელება არ ეწერათ. ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, იყო ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ატარებდა. როგორც ვიცით, ამ პოლიტიკით უპირატესად უნდა განვითარებულიყო მძიმე მრეწველობა. მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარების ხარჯზე ხდებოდა. **მეოთხე ხუთწლედში (1946-1950 წწ.)** კაპიტალდაბანდებამ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მთელი კაპიტალდაბანდების 8% შეადგინა, ხოლო **მეხუთე ხუთწლედში (1951-1955 წწ.)** – 11%. ეს მაშინ, როცა მრეწველობაში იგი შესაბამისად უდრიდა 49,9%-სა და 46%-ს. სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებაზე იხარჯებოდა ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის მხოლოდ 1,5%. სახელმწიფო ელექტროქსელში კოლმეურნეობების ჩართვა თითქ-

მის არ ხდებოდა. კვლავ გრძელდებოდა აგრარული სექტორიდან სახსრების მრეწველობაში „გადაქაჩვის" პოლიტიკა.

სოფლის მეურნეობაში მეოთხე ხუთწლედის სახელმწიფო დავალება არ ემყარებოდა სოფლის მეურნეობის განვითარების რეალურ შესაძლებლობებს, არ ითვალისწინებდა საქართველოს თავისებურებებს. **ამიტომ ხუთწლედის დავალება ვერ სრულდებოდა.** საქმეს ვერ შველოდა ხუთწლედის მანძილზე გეგმიურ დავალებებში არსებითი ცვლილებების შეტანა, რაც ოთხჯერ განხორციელდა. **ცხადია, ხუთწლედის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი გლეხებისათვის ძალდატანებით თავსმოხვეულ საკოლმეურნეო წყობილებაში იყო.** სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებდა დაგეგმვის მეტისმეტი ცენტრალიზაცია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაგეგმვისას თავს ახვევდნენ ცენტრის (მოსკოვის) გადაწყვეტილებებს, სადაც სრულიადაც ვერ ითვალისწინებდნენ ან ზოგჯერ არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივ პირობებს, შესაძლებლობებსა და მოსახლეობის ინტერესებს, უპირისპირდებოდნენ საქართველოს სამეურნეო ტრადიციებს. მაგალითად, შეცდომა იყო საქართველოში ჩაისა და ციტრუსების ფართობების გაზრდით მეტისმეტი გატაცება. 1946-1949 წლებში აღდგენილ იქნა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, მაგრამ 1949-1950 წლების ზამთრის ყინვებმა ისინი კვლავ დააზიანა. განადგურდა პლანტაციების თითქმის მესამედი, რამაც საქართველოს სოფლის მეურნეობას უდიდესი ზარალი მიაყენა. ასევე არ მოგვცა სასურველი ეფექტი კოლხეთის დაბლობზე ჭაობების ამოშრობამ, რადგან ამოშრობა დაბალ ტექნიკურ დონეზე ხორციელდებოდა. გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით სოფლის მეურნეობის ყველა დარგი აღმავლობას განიცდიდა, სინამდვილეში მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები, წინსვლის ნაცვლად, დაღმავალი გზით მიემართებოდნენ.

მეოთხე ხუთწლედი დაიწყო იმით, რომ 1946 წლის გვალვამ და მოუსავლიანობამ მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. მარტო რუსეთში შიმშილითა და მისგან გამონვეული ავადმყოფობით 3 მილიონი ადამიანი დასნეულდა, მათგან ერთი მილიონი დაიღუპა. სამწუხაროდ, შიმშილობა და სიკვდილიანობა მარტო გვალვის ბრალი არ იყო. სახელმწიფოს საკმარისი პურის მარაგი ჰქონდა. საქმე სწორედ ამ მარაგის განაწილებას, საკუთარი ხალხისადმი მთავრობის დამოკიდებულებას ეხებოდა. მაშინ, როცა საკუთარი ხალხი შიმშილით იღუპებოდა, საზღვარგარეთ პურის ექსპორტი 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 0,4 მილიონი ტონიდან 2,4 მილიონ ტონამდე გაიზარდა. 1946-1947 წლებში ხორბალი მიეწოდებოდა ბულგარეთს, რუმინეთს, ჩეხოსლოვაკიას, საფრანგეთს, გერმანიას. საბჭოთა ქვეყანა პოლიტიკური მოსაზრებებით საკუთარი დამშეული მოსახლეობის ხარჯზე ასეთ სიუხვეს იჩენდა. ცხადია, შიმშილი არ შეჰხებია პარტიულ-სამეურნეო ნომენკლატურის ოჯახებს უმაღლესი ეშელონებიდან დაწყებული რაიონული რგოლებით დამთავრებული. ასეთ მძიმე პირობებში ბუნებრივი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას სოფლად სახელმწიფო შესყიდვის (დამზადების) არსებული პრაქტიკა შეეცვალა, კოლმეურნეობებისათვის მეტი დამოუკიდებლობა მიეცა თავიანთი პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლება სოფლისადმი დამოკიდებულების პოლიტიკაში შეუვალი იყო. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგი იყო ომის შემდგომ პერიოდში გლეხთა გადასახადების უპრეცედენტო ზრდა.

კოლმეურნეობები ვალდებულნი იყვნენ, რომ თავისი მოსავლის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოსათვის მიეყიდათ. **სახელმწიფო შესყიდვის (დამზადების) გეგმები კი სულ უფრო იზრდებოდა. სინამდვილეში ეს შესყიდვა კი არა, კოლმეურნეობათა შემოსავლის დიდი ნაწილის უფასოდ მითვისება იყო. მაგალითად, ასეთი „მიყიდვით" კოლმეურნეობებს უნაზღაურდებოდათ რძის ნაწარმზე** თავიანთი დანახარჯების მხოლოდ **მეხუთედი, მარცვლეულზე – მეათედი, ხორცის ნაწარმზე – მეოცედი.** კოლმეურნეთათვის გასანაწილებლად ან ფულადი ანაზღაურებისათვის კოლმეურნეობებს, ფაქტობრივად, აღარაფერი რჩებოდათ. ამიტომ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურება ძალზე დაბალი იყო.

კოლმეურნე გლეხი იძულებული იყო საკუთარ საკარმიდამოში გაათვეცებული შრომით მილებული შემოსავლით ერჩინა თავი (მოქმედი კანონმდებლობით ერთ გლეხურ კომლს გამოყოფილი ჰქონდა საკარმიდამო ნაკვეთი 0,25-დან 1 ჰექტრამდე. ეს მინა გლეხს მიცემული ჰქონდა მუდმივ სარგებლობაში და არა საკუთრებაში). მაგრამ სახელმწიფომ აქაც გამონახა სათავისოდ „ფარული რეზერვები". 1946 წლიდან გლეხს უნდა გადაეხადა ნატურალური გადასახადი, ე. ი. სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა პირადი მეურნეობიდან მილებული მოსავლის ნაწილი – მარცვლეული, ხორბალი, ხორცი, რძე, ერბო, მატყლი, კვერცხი და სხვა პროდუქტები. საშუალო ჩასაბარებელი ნორმა საკოლმეურნეო კომლისათვის იყო: ხორცი – 40 კილოგრამი, რძე – 280-320 ლიტრი, კვერცხი – 50-100 ცალი და ა. შ. ჩაუბარებლობის შემთხვევაში გლეხს ქონების აღწერა და კონფისკაცია ემუქრებოდა. სახელმწიფო გლეხს ამ ჩაბარებულ პროდუქტებზე უხდიდა სიმბოლურ თანხას, თვითონ კი მას გაცილებით მეტად ყიდდა. მაგალითად, 1950 წელს 1 ლიტრ რძეზე გლეხს უხდიდნენ 25 კაპიკს, სახელმწიფო კი ყიდდა 2 მან-

ეთად და 70 კაპიკად. 1 კილოგრამ ხორცში გლეხს უხდიდნენ 14 კაპიკს, სახელმწიფო კი ყიდდა 11 მანეთად და 40 კაპიკად. ნატურალური გადასახადის გარდა, გლეხებს ევალებოდათ ფულადი გადასახადის გადახდა. საშუალოდ, იგი ერთ კომლზე უდრიდა 1940 წელს – 112 მანეთს, 1951 წელს – 523 მანეთს. როგორც ვხედავთ, ფულადი გადასახადი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა. ეს მაშინ, როცა გლეხურ კომლთა საკარმიდამო ნაკვეთები მცირდებოდა, მცირდებოდა გლეხისათვის ნებადართული პირუტყვის ყოლის ნორმებიც.

გლეხთა ექსპლოატაცია ამით არ მთავრდებოდა. ნატურალური და ფულადი გადასახადის გადახდის შემდეგ გლეხს შეეძლო დარჩენილი პროდუქტი გაეტანა და გაეყიდა ბაზარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხს ექნებოდა ცნობა, რომ მის კოლმეურნეობას სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება შესრულებული ჰქონდა. გაყიდული პროდუქტებიდან მიღებულ შემოსავალზეც დაწესებული იყო დიდი გადასახადი.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გლეხები 1947 წელს გატარებულმა ფულის რეფორმამ, რომლითაც ყველაზე მეტად სწორედ გლეხობა დაზარალდა. ის მცირე დანაზოგები, რომლებსაც თავი მოუყარეს, ძირითადად, 1945-1946 წლებში თავისუფალ ბაზარზე შედარებით მაღალი ფასების დროს, გლეხებს სახლში ჰქონდათ და არა სახელმწიფო ბანკებში. ასეთი თანხა კი გადაიცვალა 10:1 მანეთზე.

ომის შემდეგ კვლავ ძალაში დარჩა ომის წლებში შემოღებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. საბჭოთა კავშირის მთავრობის 1942 წლის 15 აპრილის დადგენილებით განისაზღვრა შრომადღეების გამომუშავების სავალდებულო მინიმუმი და მისი შეუსრულებლობისათვის დაწესდა პასუხისმგებლობაც – „შრომითი გამოსასწორებელი მუშაობა". მეტიც, სასჯელი ითვალისწინებდა საკარმიდამო მინის ჩამორთმევასაც, რაც გლეხისათვის ძირითადი საარსებო საშუალება იყო.

გლეხი სოფელზე იურიდიულად იყო მიჯაჭვული ეგრეთ წოდებული „საპასპორტო რეჟიმით". კოლმეურნეებზე პასპორტები საერთოდ არ გაიცემოდა. ამიტომ **გლეხს არ შეეძლო თვითნებურად დაეტოვებინა კოლმეურნეობა და წასულიყო ქალაქში.** კოლმეურნეობის თვითნებური დატოვება კანონით ისჯებოდა. გლეხს პასპორტი რომ აეღო, მილიციაში უნდა წარედგინა კოლმეურნეობის გამგეობის ცნობა, რომ იგი თანახმაა გლეხის კოლმეურნეობიდან წასვლაზე. ასეთი ცნობის აღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. უუფლებონი იყვნენ კოლმეურნეთა შვილებიც. 16 წლის ასაკის შესრულებისას ისინი ავტომატურად ირიცხებოდნენ კოლმეურნეთა რიცხვში კოლმეურნეობაში მიღების შესახებ თავისი განცხადების გარეშე. ეს კი კოლმეურნეობათა სანიმუშო წესდების დარღვევა იყო, რადგან ამ წესდების თანახმად კოლმეურნეობებში ახალ წევრთა მიღება ხდებოდა მხოლოდ ნებაყოფლობით – საკუთარი განცხადების საფუძველზე.

1949 წელს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადებით მიმართა საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომ პასპორტები გაეცათ ყოველ მოქალაქეზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ წინადადებას მხარს უჭერდა **ლავრენტი ბერიაც** (სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი). მთავრობამ ეს წინადადება სოფლად მუშახელის სიმცირის გამო უარყო. ცხადი იყო, რომ სოფლის მცხოვრებთათვის პასპორტების მიცემა გამოიწვევდა სოფლების დაცარიელებას.

ამრიგად, გლეხს სახელმწიფო ექცეოდა როგორც მტრულ ელემენტს, მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. ასეთ პირობებში გლეხთა შრომით ენთუზიაზმსა და აქტივობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ის შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც გლეხებს ომის დამთავრების პირველ წლებში ჯერ კიდევ გააჩნდათ, ჩაკვდა. მოჩვენებითი და იძულებითი იყო ეგრეთ წოდებული „სოციალისტური შეჯიბრებები" და „საშეფო მუშაობები". სოციალისტურ შეჯიბრებაში „გამარჯვებისათვის" გადაცემული წითელი დროშა, სხვადასხვა მედლები და ორდენები მხოლოდ მოტყუება იყო. ეს საბჭოთა ხელისუფლებამაც კარგად იცოდა და კიდევ უფრო ზრდიდა გლეხებზე იძულებით ზემოქმედებას.

1948 წლის 2 ივნისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „შორეულ რაიონებში იმ პირთა გადასახლების შესახებ, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ სოფლის მეურნეობაში შრომით საქმიანობას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას". ეს ბრძანებულება ამოქმედდა მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც. **საკოლმეურნეო შრომისაგან თავის არიდებისათვის გლეხს ემუქრებოდა შორეულ რაიონებში (ჩრდილოეთში, აღმოსავლეთ ციმბირში) 8 წლის ვადით გადასახლება.** ამისათვის საკმარისი იყო მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილება (კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილება, დამტკიცებული რაიონული ხელისუფლების ორგანოს მიერ).

სოფლის მეურნეობის ეკონომიკური აღმავლობის ღონისძიებად იყო „მონათლული" გლეხობის ნაძალადევი მიგრაცია. **მთის რაიონებიდან გლეხებს იძულებით ასახლებდნენ აფხაზეთში, კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მინებზე და ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონის დაუსახლებელ ადგილებში.** 1947-1949 წლებში აფხაზეთში

და კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე გადაასახლეს 4300 კომლი, ხოლო 1951-1952 წლებში ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონაში – 3500 კომლი. გლეხებს ახალ ადგილებში მეურნეობის მოწყობისათვის საკუთარი სახსრები არ გააჩნდათ, ხოლო სახელმწიფო დახმარება ძალზე მცირე იყო, ან მხოლოდ ქაღალდზე დაწერილად რჩებოდა. ეს ახალი დასახლებები და ახლად შექმნილი კოლმეურნეობები დიდი ხნის მანძილზე ქრონიკული სიღატაკისათვის იყვნენ განწირულნი. **ასეთი პოლიტიკა**



ზემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობაზე

კიდევ უფრო აჩქარებდა საბჭოთა ხელისუფლების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მთის რაიონების დაცარიელების დაწყებულ პროცესს, რაც საქართველოსთვის ნამდვილი ეროვნული ტრაგედია იყო.

მეოთხე ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობათა ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ მთავრობა იძულებული გახდა გაეტარებინა ზოგიერთი დამატებითი ღონისძიება. ერთ-ერთი იყო **კოლმეურნეობათა გამსხვილება.** კოლმეურნეობათა გამსხვილება საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადდა, როგორც საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ობიექტური კანონზომიერება და აუცილებლობა, რომელიც თითქოს ხელს უწყობდა კოლმეურნეობების გაძლიერებასა და მძლავრ მეურნეობებად მათ ჩამოყალიბებას. საქართველოში ეს პროცესი 1950 წელს დაიწყო. 1950 წელს გაერთიანდა 2270 კოლმეურნეობა და მათ ბაზაზე შეიქმნა 957 გამსხვილებამდე კოლმეურნეობა. 1952 წლის მაისისათვის კი საქართველოში იყო 2093 გამსხვილებული კოლმეურნეობა, რაც მანამდე არსებული კოლმეურნეობების 53,4 პროცენტს შეადგენდა.

კოლმეურნეობათა გამსხვილებას ეკონომიკური თვალსაზრისით არსებითი ცვლილება არ მოჰყოლია. მეტიც, ნაჩქარევმა, ბევრ შემთხვევაში ძალდატანებითა და ხელოვნურად, ადგილობრივი პირობებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად კოლმეურნეობების გამსხვილებამ გამოიწვია კოლმეურნეობათა ქონების დატაცება, საკოლმეურნეო პირუტყვის განყვეტა. შედეგად კი **კოლმეურნეობების ეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება კი არა, არამედ მათი ეკონომიკური დაქვეითება მივიღეთ.** სამაგიეროდ, ამ გზით სახელმწიფომ მიაღწია დასახულ პოლიტიკურ მიზანს – გამსხვილებულ კოლმეურნეობებში თითქმის ყველგან მოქმედებდა კომუნისტური პარტიის ძლიერი საკოლმეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც მეტ კონტროლს უწევდნენ კოლმეურნეობათა შემოსავალს. გამსხვილებული კოლმეურნეობებიდან სახელმწიფო უფრო ადვილად ახერხებდა სახსრების ამოქაჩვასა და ქვეყნის მძიმე მრეწველობის განვითარებისთვის მათ გამოყენებას.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცდას, რომ მეხუთე ხუთწლედის (1951-1955 წწ.) პირველსავე წლებში (1951-1952 წწ.) მიეღწია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, რეალური შედეგი არ მოჰყოლია. კოლმეურნეობებში კვლავ ადგილი ჰქონდა პროდუქტების, ფულადი სახსრების განიავებას, ძალდატანებასა და იძულებას.

საზღვარგარეთელ მეცნიერთა: ეკონომისტების, სოციოლოგების, ისტორიკოსებისა და სხვათა მიერ საბჭოთა კავშირის სოფლის სინამდვილის რეალური შეფასებისათვის ყურადღების მიქცევა არავის სურდა. მეცნიერები კი ამტკიცებდნენ, რომ, თუკი რაიმე მიღწევა აღინიშნებოდა სოფლად, ეს ხდებოდა ხალხის უდიდესი ტანჯვა-წამების ფასად, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ყველა ღონისძიება სოფლის მეურნეობის აღმავლობის მიზნით მხოლოდ კომუნისტური პროპაგანდის მანევრს, „პროპაგანდისტული ტრიუკს" წარმოადგენდა, რომ არავითარი არსებითი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში არ ხდებოდა, სოფლის მეურნეობის აღმავლობის ყველა ცდა თავიდანვე ჩასაშლელად იყო განწირული. საზღვარგარეთელ ექსპერტთა აზრით, საკოლმეურნეო წყობილებაში იდო წარუმატებლობის მთავარი ეკონომიკური საფუძველი. საზღვარგარეთელ მეცნიერთა ეს შეფასება ცხადდებოდა ბოროტ ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციად.

სოფლად საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის „თეორიული დასაბუთება" და „გამართლება" იყო იოსებ სტალინის უკანასკნელი ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" (1952 წ.). **სტალინი კვლავ წინააღმდეგი იყო თავისუფალი ბაზრისადმი რაიმე დათმობისა. იგი ასევე კატეგორიული წინააღმდეგი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებისა.** ეს კი კოლმეურნეობების ქრონიკული ზარალიანობისათვის განწირვას ნიშნავდა.

§2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება (1945-1953 წწ.)

1. ომისშემდგომი საზოგადოება. მოლოდინი და რეალობა. ომმა ქვეყანას არა მარტო უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენა, არამედ მკვეთრად შეცვალა დემოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის სოციალური სახე და ფსიქოლოგიური განწყობილება.

ომის შემდეგ საგულდაგულოდ ითვლიდნენ ომით მიყენებულ მატერიალურ ზარალს, ასევე საგულდაგულოდ გვერდს უვლიდნენ ადამიანთა დანაკარგების შესახებ ცნობების გამოქვეყნებას, თუ მხედველობაში არ მივილებთ ერთადერთ გამონაკლისს, როცა იოსებ სტალინმა დაასახელა ომში დაღუპულთა რაოდენობა – 7 მილიონი. ომში დაღუპულთა შესახებ დისკუსია დღემდე გრძელდება. უკანასკნელი გამოკვლევები საბჭოთა კავშირის მხრიდან ომში ადამიანთა დანაკარგს დაახლოებით 27 მილიონით განსაზღვრავს. დაღუპულთა შორის 76%-ს, ე. ი. დაახლოებით 20 მილიონს, მამაკაცები შეადგენდნენ, მათი უმეტესობა 20-32 წლისანი იყვნენ. მარტო ეს ციფრებიც მეტყველებს, თუ რა უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა საბჭოთა კავშირში. ომის შემდგომი საზოგადოება ძირითადად ქალთა საზოგადოება იყო. ეს კი, თავის მხრივ, ქმნიდა სერიოზულ დემოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს: მარტოობის და პირადი ცხოვრების მოუწყობლობის შიში, „უმამო ბავშვები" და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვის ზრდა.

ცხადია, იმავე პრობლემების წინაშე იდგა ომისშემდგომი საქართველოც. ომის წლებში საქართველოდან ფრონტზე გაწვეული იყო დაახლოებით 700 ათასი კაცი, ე. ი. რესპუბლიკის მოსახლეობის მეხუთედი (19%), მათ შორის 16 ათასამდე ქალი. დაილუპა და სამშობლოში ველარ დაუბრუნდა 300 ათასზე მეტი ადამიანი. საქართველოში 1939 წელს ცხოვრობდა 3 540 ათასი კაცი, ხოლო 1946 წლის 1 იანვრისათვის 3 232 ათასი, ე. ი. 308 ათასი კაცით ნაკლები, ვიდრე 1939 წელს. **დემოგრაფიულ ვითარებაზე უდიდეს უარყოფით გავლენას ახდენდა ისიც, რომ ომის წლებში მკვეთრად შემცირდა შობადობა.** ბუნებრივმა მატებამ (დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება) 1940 წელს შეადგინა 67 896, 1945 წელს იგი 30 041-მდე დაეცა. ცხადია, ბუნებრივი მატება სწორედ ომის წლებში განახევრდა. ომისშემდგომ წლებში გაიზარდა შობადობაც, ბუნებრივი მატებაც, მაგრამ ომამდელ დონეს შობადობამ მხოლოდ 1960 წელს მიაღწია, ბუნებრივმა მატებამ კი – 1956 წელს.

ომგამოვლილი საზოგადოება განსხვავდებოდა ომამდელი საზოგადოებისაგან, ე. ი. საზოგადოებისაგან, რომელიც მშვიდობიანი, ნორმალური ცხოვრების პირობებში ვითარდება. განსხვავდებოდა არა მარტო თავისი დემოგრაფიული სახით, არამედ, უფრო მეტად სოციალური შემადგენლობით. **ომგამოვლილი საზოგადოების სოციალური სახე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოსახლეობის ტრადიციული კატეგორიებით (ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, სამრეწველო საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, ახალგაზრდობა და პენსიონერები და ა. შ.).** იგი უნდა განისაზღვროს ომის პერიოდში და ომისშემდგომ წარმოშობილი ახალი სოციალური კატეგორიებით, რომლის გაზრებისა და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება ომისშემდგომი საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს სწორი შეფასება. ამ თვალსაზრისით, **ომისშემდგომი საზოგადოების სახეს ქმნიან: ომის მონაწილენი – ფრონტელები, რეპატრირებულნი (სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტები, ტყვედ წაყვანილი პირები, ლტოლვილები), ევაკუირებულნი და რეევაკუირებულნი (ომის დროს უსაფრთხო ადგილებზე გადასახლებულები, ომის შემდეგ კი უკან დაბრუნებულები).**

1945-1948 წლებში განხორციელდა საბჭოთა კავშირის არმიის დემობილიზაცია. ომის ბოლო ეტაპზე საბჭოთა არმია 11 მილიონზე მეტ კაცს ითვლიდა. დემობილიზაციით მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა 8,5 მილიონი ადამიანი. საქართველოში მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა ათეულ ათასობით **ფრონტელი.** ომიდან მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლის სიძნელეები მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს ეხებოდა, მაგრამ იგი ყველაზე მეტად ფრონტელების მდგომარეობას ამძიმებდა, რადგან მათ ფსიქოლოგიური ხასიათის სიძნელეებიც ემატებოდა. განსაკუთრებით ეხებოდა ეს ომის მონაწილე ახალგაზრდებს (1924-1927 წლებში დაბადებულებს). ისინი 18-21 წლისანი პირდაპირ ფრონტზე წავიდნენ, მათ ვერ მოასწრეს პროფესიის მიღება, მყარი ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენა. მათი ერთადერთი საქმიანობა ომი იყო, ერთადერთი პროფესია – იარაღის ხელში დაჭერა და ბრძოლა. ეს თაობა ომში ყველაზე მეტად დაზარალდა რიცხობრივადაც და ფსიქოლოგიურადაც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ომი გარკვეულ ზღვრამდე შლის ასაკობრივ სხვაობას, მაშინ, გასაგებია, რომ ომის შედეგად რამდენიმე თაობა გაერთიანდა, როგორც ერთი – ფრონტელთა თაობა, „გამარჯვებულთა თაობა".

ამრიგად, შეიქმნა ახალი სოციალური ჯგუფი, რომლებსაც აერთიანებდათ პრობლემების, განწყობილებების, სურვილების, მისწრაფებების იგივეობა.

უწინარეს ყოვლისა, „გამარჯვებულთა თაობას", რომლებიც თავის თავს გიგანტებად თვლიდნენ (და არცთუ უსაფუძვლოდ), აერთიანებდა მშვიდობიანი ცხოვრების საშინელი წყურვილი, წყურვილი ყველაფერი იმისა, რაც ომთან არ იყო დაკავშირებული. ე. ი. ისინი ოცნებობდნენ ცხოვრებაზე, სადაც არ იქნებოდა დაძაბულობა, წინააღმდეგობები, ომის პე-

რიოდის აკრძალვები, ოცნებობდნენ „ცხოვრება-ზეიმზე", „ცხოვრება-ზღაპარზე", ცხოვრებაზე, სადაც იბატონებდა თავისუფლება. მშვიდობიანი ცხოვრების საშინელი მონატრება – აი, რა ქმნიდა „გამარჯვებულთა თაობაში", „ფრონტელებში" უდიდეს ოპტიმიზმს. ეს ოპტიმიზმი მათ ომის დამთავრებიდან 3-5 წლის მანძილზე მაინც შემორჩათ. ამ თაობის სულისკვეთების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ომისშემდგომი საზოგადოების სულიერი ატმოსფეროს შეცნობა. „ფრონტელთა თაობას" მხოლოდ ოპტიმისტური განწყობა არ ახასიათებდა. დრო გადიოდა. ფრონტელთათვის ცხადი ხდებოდა, რომ მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლა სულაც არ იყო უმტკივნეულო, ბოლო არ უჩანდა სიღატაკეს. ფრონტელები ხედავდნენ, რომ უმაღლესი ხელისუფალნი სულაც არ ჩქარობდნენ მათ რწმენაში გაიდეალებული ცხოვრების დადგომას, ხედავდნენ, რომ ომისშემდგომი ცხოვრება ომის კანონებით გრძელდებოდა. ყოველივე ეს ფრონტელებზე მძიმე ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენდა.

სინამდვილე კი მართლაც საგანგაშო იყო. უმძიმესი იყო მუშათა მდგომარეობა. არ ჰყოფნიდათ ბინები, საერთო საცხოვრებლებში თავმოყრილებს აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ, არ გააჩნდათ პირველი მოთხოვნების საქონელიც კი, პურის ნორმები ძალზე მცირე იყო. ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა ფასების მომატებამ იმ პროდუქტებზე, რომლებიც საბარათო სისტემით გაიცემოდა. იმისი იმედი, რომ ამ პროდუქტებზე მაინც შეინარჩუნებდნენ დაბალ ფასებს, გაცრუვდა. სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდას ოდნავადაც ვერ ანაზღაურებდა ხელფასების უმნიშვნელო მომატება. ომის წლების ოცნება, რომ ომის შემდეგ „ყველაფერი იქნებოდა ბევრი", რომ დადგებოდა ბედნიერი ცხოვრება, მალე მწარე სინამდვილით შეიცვალა. ხელფასის მიღება, ოჯახის გამოკვება და კომუნალურ საცხოვრებლებში თავშესაფრის მოპოვება უკვე ბედის საჩუქრად ითვლებოდა.

კიდევ უფრო მძიმე იყო გლეხთა მდგომარეობა. ამას სოფლად მუშახელის დიდ ნაკლებობაც აუარესებდა. დაუმუშავებელი ან ცუდად დამუშავებული მიწებიდან შემოსავალი კლებულობდა, უმძიმესი გადასახადები გლეხობას სიღატაკის ზღვარზე აყენებდა. ცხადია, ასეთი მდგომარეობა გლეხთა განწყობაზე მოქმედებდა, კოლმეურნეობების უვარგისობისა და მათი შესაძლო დაშლის ხმები სულ უფრო იკიდებდა ფეხს.

ომისშემდგომი საზოგადოების სახეს ქმნიდა კიდევ ერთი სოციალური ჯგუფი – **რეპატრირებულნი.** ესენი იყვნენ ასეულობითა და ათასეულობით ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც ომის დროს სხვადასხვა მიზეზით საზღვარგარეთ აღმოჩნდნენ და, ომის დამთავრების შემდეგ, თავისი სურვილითა თუ ძალდატანებით, დაბრუნდნენ სამშობლოში. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა რეპატრირებული, სულ ერთია, სამხედრო ტყვეები იყვნენ თუ სამოქალაქო პირები, ვალდებულნი იყვნენ გაევლოთ სპეციალური შესამოწმებელი ბანაკები, სადაც, ძირითადად, წყდებოდა მათი მომავალი ცხოვრების ბედი. ამ ბანაკებში ისინი იმყოფებოდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. ბედის მოლოდინში მათ ცხოვრება უხდებოდათ არაადამიანურ პირობებში. ადმინისტრაციული ორგანოები ყოველთვის არ ითვალისწინებდნენ რეპატრირებულთა სურვილებს და ხშირად მათ აგზავნიდნენ არა თავიანთ საცხოვრებელ რაიონებში, არამედ იქ, სადაც მუშახელი უჭირდათ. ასეთ გადაწყვეტილებებს კი რეპატრირებულნი მიიჩნევდნენ როგორც გადასახლებას, რაც სინამდვილისაგან არცთუ შორს იყო.

საბჭოთა ოფიციალური ინსტანციების განცხადების მიუხედავად, რომ „საბჭოთა ადამიანების ძირითადი მასა, რომლებიც გერმანელთა მონობაში იმყოფებოდა, საბჭოთა სამშობლოს ერთგული დარჩა", რეპატრირებულთადმი დამოკიდებულება მაინც უარყოფითი იყო, განსაკუთრებით ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდან. რეპატრიირებულთა უმრავლესობას არ ჰქონდათ გარანტია, რომ მათ მიმართ არ გამოიყენებდნენ რეპრესიებს. რეპატრიირებულთა გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსი ეჭვს ბადებდა, რომ მათ გარშემო შექმნილი იყო უნდობლობის ატმოსფერო, რომ მათ უყურებდნენ როგორც არასრულფასოვან მოქალაქეებს. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება გავლენას ახდენდა რეპატრირებულთა მსოფლმხედველობაზე, საბჭოთა სისტემისადმი მათ დამოკიდებულებაზე.

ომისშემდგომი საზოგადოების დახასიათებისას, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი სოციალური ჯგუფი – **ევაკუირებული და რეევაკუირებული მოსახლეობა.** ომისა და ომისშემდგომი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის დიდი მოძრაობა. ომის დამთავრებამდე დაიწყო და ომის დამთავრების შემდეგ ფართო ხასიათი მიიღო ევაკუირებული მოსახლეობის უკან დაბრუნებამ. მათი ძველ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების სურვილი და მისწრაფება მასობრივ ხასიათს იღებდა. სურვილების შესრულება კი ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. აღმოსავლეთში ევაკუირებული უზარმაზარი ქარხნები ასეთ შემთხვევაში მუშახელის გარეშე რჩებოდნენ. ამიტომ ხელისუფლების მითითებით უკან დაბრუნების უფლებას ყველას არ აძლევდნენ. ნებართვის გარეშე სამუშაოს მიტოვება და თვითნებურად ძველ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება კი დეზერტირობად ითვლებოდა და კანონმდებლობით ისჯებოდა. ბუნებრივია, ეს ევაკუირებული მოსახლეობის უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა.

ამ პროცესის მიღმა არც საქართველო დარჩენილა. ომის დროს საქართველოში გადმოიტანეს ზოგიერთი დიდი საწარმო, მათ შორის თბილისის საავიაციო ქარხანა. ამასთან ერთად, რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიმდინარეობდა მოსახლეობის ევაკუირებაც. ომის დამთავრების შემდეგ არც საქართველოდან მომხდარა ევაკუირებული მოსახლეობის მთლიანად უკან დაბრუნება. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, არსებული მსხვილი საწარმოების მუშახელით უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, რუსი მოსახლეობის საქართველოში დატოვებით რუსეთი იქმნიდა თავისი ბატონობისთვის ძლიერ დასაყრდენს.



კომკავშირელი სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლა პარადზე

ამრიგად, ომისშემდგომი საზოგადოება ხასიათდებოდა მძიმე დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობითა და რთული ფსიქოლოგიური კლიმატით.

მიუხედავად ამისა, ომისშემდგომ პერიოდში ხელისუფლება ნამდვილად ეყრდნობოდა ხალხის რწმენას, რომელიც პირველ წლებში ძალზე დიდი იყო. ხალხის რწმენის გამოყენებამ ხელისუფლებას, ერთი მხრივ, საშუალება მისცა დროულად მოეხდინა ომისშემდგომი ვითარების სტაბილიზაცია და ძირითადად გადაეჭრა მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის ამოცანა. მეორე მხრივ, ხალხის რწმენამ ხელისუფლებას მისცა საშუალება, რომ საზოგადოების დემოკრატიული განახლების განხორციელება ჯერ გაეჭიანურებინა, ხოლო შემდეგ, ფაქტობრივად, შეეჩერებინა.

2. **ხელისუფლების პოლიტიკა და მისი განხორციელება.** 1946-1948 წლებში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ორი მიმართულებით მოქმედებდა:

პირველი. ხელისუფლება ისეთ ღონისძიებებს ატარებდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა ხალხის მოლოდინს. ხელისუფლება ამით ხალხს აჩვენებდა, რომ ზრდიდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ როლს და რომ, ამასთან ერთად, ზრუნავდა მათი კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

მეორე. ხელისუფლება ახდენდა საზოგადოების ტოტალურ დამუშავებას და ფსიქოლოგიურად ამზადებდა ნიადაგს „სხვაგვარად მოაზროვნეთა" წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის დაწყებისათვის. „სხვაგვარად მოაზროვნენი" კი უმეტესად ინტელიგენციის ფენიდან იყვნენ. ცხადია, ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ამ ღონისძიებებით საზოგადოებას ვერ შეიყვანდა შეცდომაში, ადამიანებს კარგად შეეძლოთ დაენახათ სტალინური პოლიტიკის ნამდვილი არსი.

ხელისუფლების ერთ-ერთი ამოცანა, როგორც აღვნიშნეთ, იყო **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის აქტიური მონაწილეობის შთაბეჭდილების შექმნა.** ამ მიმართულებით გადაიდგა კიდეც ნაბიჯები.

1945 წელს გაუქმდა **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი,** რომელიც ომის პერიოდის საგანგებო ვითარებით შექმნილი არაკონსტიტუციური ორგანო იყო. ჩატარდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები. ჩატარდა აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების: საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების არჩევნები. კონსტიტუციის შესაბამისად, პირველად ჩატარდა სახალხო მოსამართლეებისა და მსაჯულების არჩევნები. ამ არჩევნებს საბჭოთა პროპაგანდა აფასებდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებს. სინამდვილეში ეს იყო სპექტაკლის გათამაშება. **არჩევნებში, როგორც წესი, კომუნისტური პარტია იმარჯვებდა. სხვა ვერ გაიმარჯვებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვა პოლიტიკური პარტიები ქვეყანაში არ არსებობდა. დეპუტატებად კი მხოლოდ იმას ირჩევდნენ, ვინც ხელისუფლებას სურდა. მათი კანდიდატების დასახელებაც ხელისუფლებასთან იყო შეთანხმებული და საარჩევნო ბიულეტენებშიც მხოლოდ ერთი დეპუტატობის კანდიდატი იყო შეტანილი.**

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ განახლდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყრილობების ჩატარება. ჩატარდა კომპოზიტორთა კავშირის, პროფკავშირების, კომკავშირის ყრილობები.

1949 წელს, თითქმის ცხრაწლიანი შესვენების შემდეგ, ჩატარდა **საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობა.** ცხადია, პარტიული ხელმძღვანელობის არჩევნები კიდევ უფრო გაყალბებულ ხასიათს ატარებდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევ

კანდიდატებს თვით პარტიული ხელმძღვანელობა აყენებდა.

1952 წელს ჩატარდა **საკავშირო კპ(ბ) XIX ყრილობა.** ყრილობამ პარტიის სახელწოდებიდან ამოიღო სახელწოდება „ბოლშევიკებისა", რომელიც ხალხის დიდ ნაწილში უმძიმეს მოგონებებს აღძრავდა. კომუნისტურ პარტიას ეწოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. შესაბამისად, შეიცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელწოდებაც.

უაღრესად დაძაბული სახელმწიფო ბიუჯეტის მიუხედავად, როცა სახსრების დიდი ნაწილი ხმარდებოდა სამხედრო პროგრამების განხორციელებას, მაინც გამოინახა სახსრები განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარებისათვის. მოკლე დროში აღდგა **საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლება,** 1952 წლიდან – **სავალდებულო რვაწლიანი სწავლება,** გაიზარდა საშუალო სკოლების რიცხვი. 1952-1953 სასწავლო წლის მონაცემებით, რვაკლასდამთავრებულთა 80 პროცენტი სწავლას განაგრძობდა საშუალო სკოლებში. გაიხსნა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. 1946-1953 წლებში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შეემატა ორი უმაღლესი სასწავლებელი – **თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.** 1946-1955 წლებში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მომზადდა 52 ათასზე მეტი სპეციალისტი. გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რიცხვიც. 1940 წელს მათი რაოდენობა 74 იყო, 1953 წელს კი – 103. თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით ეს შეეხო მუშა-მოსამსახურეებს. გაიზარდა ხელფასები, აღდგა შვებულებები, 8-საათიანი სამუშაო დღე და სხვ.

1947 წლის დეკემბერში გატარდა **ფულის რეფორმა და გაუქმდა საბარათო სისტემა.** ომმა ყველა ქვეყანაში გამოიწვია ფინანსების მოშლა, მზარდი ინფლაცია. ამიტომ ფინანსური სისტემის განმტკიცების მიზნით ომის შემდეგ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გატარდა ფულის რეფორმა, რასაც თანდათანობით მოჰყვა ომის დროს მოსახლეობის ნორმირებული მომარაგების – საბარათო სისტემის გაუქმება. საბჭოთა კავშირის მთავრობა ფულის რეფორმასა და საბარათო სისტემის გაუქმებას ერთდროულად გეგმავდა და მის განხორციელებას 1946 წელს აპირებდა, რითაც უნდოდა „ეჩვენებინა" არა მხოლოდ ომში გამარჯვებული სახელმწიფოს სიძლიერე, არამედ სოციალისტური სისტემის „უპირატესობაც" კაპიტალისტური სისტემის წინაშე. მაგრამ მოსახლეობის ცხოვრების უაღრესად დაბალმა დონემ, რასაც თან დაერთო 1946 წლის გვალვიანი, მოუსავლიანი წლის სიძნელეები, ხელისუფლებას ამისი განხორციელების საშუალება არ მისცა. სახელმწიფო ბანკი ფულის შეცვლას ახდენდა შეფარდებით 10:1-ზე (ე. ი. ძველი 10 მანეთი იცვლებოდა ახალ 1 მანეთზე). გადაცვლა არ ეხებოდა მხოლოდ მოსახლეობის დანაზოგებს ბანკებში, თუ მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 3000 მანეთს. ფულის რეფორმა ისე უნდა გაეტარებინათ, რომ მოსახლეობისაგან ზედმეტი ფული ამოეღოთ. პირველ რიგში ეს ეხებოდა იმათ, ვინც ომის წლებში სპეკულაციისა და სხვა ფინანსური მაქინაციებით ზედმეტი ფული დააგროვა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა პროპაგანდა ფულის რეფორმას წარმოაჩენდა, როგორც .მძლავრ დარტყმას „სპეკულანტურ ელემენტებზე". სინამდვილეში კი სწორედ მათ მოასწრეს თავისი ფულის საიმედოდ დაცვა (საბანკო ანგარიშების დროული დაქუცმაცებით, ნაღდი ფულის გარდაქმნით ოქროდ, ძვირფასეულობად და ა. შ.), მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი დაზარალდა. ამ პერიოდში დანაზოგები გააჩნდა უმეტესად ან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, შახტების, ქიმიური საწარმოებისა და სიცოცხლისათვის მავნე საწარმოების მუშებს, გლეხებს. მათ დანაზოგები უმეტესად სახლებში ჰქონდათ და არა სახელმწიფო ბანკებში. ამიტომ შელავათები ფულის გადაცვლისას მათ არ შეხებიათ. ფულის რეფორმა სინამდვილეში იყო მოსახლეობის დანაზოგების კონფისკაცია სახელმწიფოს მიერ და შეესაბამებოდა „სოციალისტურ შეხედულებას" „მოსახლეობის გათანაბრების შესახებ".

უდავოა, რომ ფულის რეფორმა დაეხმარა ქვეყანას უმოკლეს დროში შეეჩერებინა ინფლაცია და განემტკიცებინა ომით მოშლილი ფინანსური სისტემა, მაგრამ ეს მოხდა მოსახლეობის დანაზოგების კონფისკაციის ხარჯზე.

ფულის რეფორმასთან ერთად გაუქმდა **საბარათო სისტემაც,** რომელიც მოსახლეობაში ყოველთვის ომის სიმბოლოდ აღიქმებოდა. დაიწყო სასურსათო და სამრეწველო პროდუქციის ერთიანი სახელმწიფო ფასებით თავისუფალი გაყიდვა. პურზე ფასები 10-12 პროცენტით ნაკლები დაწესდა, ვიდრე ეს იყო საბარათო სისტემის დროს. სხვა სასურსათო საქონელზე ფასები დაახლოებით იგივე დარჩა, ხოლო სამრეწველო საქონელზე კი, პირიქით, ფასები გაიზარდა. როგორც ჩანს, ქვეყანა ამ ღონისძიებისათვის კიდევ უფრო მოუმზადებელი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ პირველი მოთხოვნილების სამრეწველო და სასურსათო საქონელი ქვეყანაში იმდენი არ იწარმოებოდა, რომ მას მოსახლეობის მოთხოვნილება სრულად დაეკმაყოფილებინა. საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ პირველ დღეებსა და პირველ თვეებშივე ხალხს არ ჰყოფნიდა პური, კარაქი, შაქარი და სხვა. შედეგი კი ის იყო, რომ მთელ რიგ რაიონ-

ებში მოსახლეობამ სტიქიურად დაიწყო ნორმირებული მომარაგების შემოღება. სახელმწიფო იძულებული გახდა დაეწესებინა ერთ სულ მოსახლეზე გასაცემი საქონლის ნორმები.

ფინანსური სისტემის გაუმჯობესებას მოჰყვა ხელფასების უმნიშვნელო მატებაც.

ფულის რეფორმასთან ერთად, 1947 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ხალხზე ზემოქმედების კიდევ ერთი ღონისძიება – **ფასების დაკლება,** რომელიც 1947-1954 წლებში შვიდჯერ განხორციელდა. საბჭოთა ხელისუფლება სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ერთ-ერთ წყაროს მასების შრომით ენთუზიაზმში ხედავდა. შრომითი ენთუზიაზმის მთავარი სტიმულატორი – კერძო საკუთრება და შრომის მიხედვით ანაზღაურება საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სისტემაში დაუშვებელი იყო, რადგან სოციალიზმის მშენებლობის ეკონომიკურ საფუძვლებს იგი არსებითად ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ისიც იცოდა, რომ მხოლოდ შიშველი ენთუზიაზმით ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელი იყო. ამიტომ ხელისუფლება ხშირად მიმართავდა მასებზე ზემოქმედების პოპულისტურ ღონისძიებებს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო ფასების დაკლება. ეს ღონისძიება, რომელიც მეცნიერულ გათვლას არ ეყრდნობოდა და მიზნად ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას კი არა, პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებას ისახავდა, კრახისათვის იყო განწირული. ფასების დაკლება უმეტესად ხდებოდა **მასობრივი მოხმარების** სამრეწველო საქონელზე. უმნიშვნელოდ მცირდებოდა ფასები პურზე, ფქვილზე, მცენარეულ ზეთზე. ფასების დაკლება არ შეხებია შაქარს, საპონს, ნავთს. მიუხედავად იმისა, რომ ფასები შვიდჯერ შემცირდა, იგი ომამდელ ფასებს მაინც 2-3-ჯერ აღემატებოდა.

* * *

1946-1948 წლებში, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლება **ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ტოტალურ დამუშავებას სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის დაწყებისათვის.**

საზოგადოებრივი აზრის ტოტალურმა დამუშავებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ხელისუფლებამ სახალხო უკმაყოფილება იმ რელსებზე გადაიყვანა, რომელიც არსებულ რეჟიმს სჭირდებოდა – შეიქმნა ადამიანთა რწმენაში „მტრული გარემოცვის“ სინდრომი. შეიქმნა რწმენა, რომ ქვეყნის შიგნით გაჭიანურებული სიძნელეები სწორედ მტრული გარემოცვის შედეგი იყო. მწირი ცნობებიც კი დასავლეთის ცხოვრების შესახებ მოსახლეობაში როგორღაც ქმნიდა „ფეხქვეშგათელილი სამართლიანობის“ პროვოცირებას: ევროპამ მიაღწია უკეთეს ცხოვრებას, გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა კი – ვერა. ხალხის რწმენით ამაში დამნაშავენი მხოლოდ „ყოფილი მოკავშირეები“ იყვნენ. საბჭოთა პროპაგანდა მოვლენებს ისე წარმოაჩენდა, რომ ადამიანები დაფიქრებულიყვნენ შემდეგ კითხვაზე: იყო თუ არა ომი ბოლომდე მიყვანილი, იქნებ ბერლინის აღების შემდეგ თვით „მოკავშირეების“ განადგურებაც იყო საჭირო?! დიდი პრობლემების ასეთი მარტივი ახსნა იმ დროის საზოგადოებრივ სულისკვეთებას სავსებით შეესაბამებოდა.

„მტრული გარემოცვის“ მიზეზთან ერთად ოფიციალური იდეოლოგია ქმნიდა წარმოდგენას ქვეყნის შიგნით „ბნელ ძალებზე“, რომლებიც ატყუებდნენ იოსებ სტალინს და ქვეყნის შიგნით სიძნელეებით ცდილობდნენ ხელის მოთბობას.

ხელისუფლებას სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებაში ხელს უშლიდა საერთაშორისო ვითარების გართულებაც. „ცივი ომის“ დაწყებისთანავე იოსებ სტალინმა დაკარგა მსოფლიოში პირველი პოლიტიკოსის პოზიცია. მართალია, მის კონტროლქვეშ მოექცა მთელი აღმოსავლეთი ევროპა, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს არ სურდათ საბჭოთა კავშირისადმი მორჩილება.

იოსებ სტალინი

საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის უთანხმოების კულმინაციას წარმოადგენდა განხეთქილება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიას შორის. სტალინისთვის ეს დამარცხებას ნიშნავდა. საერთაშორისო ასპარეზზე ვითარების ასეთი შეცვლა არ შეიძლებოდა არ ასახულიყო საშინაო ცხოვრებაზეც. მართალია, ოპოზიცია წარმოიშვა საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ სტალინს არ შეეძლო მისი დაშვება ქვეყნის შიგნი თ. საერთაშორისო ვითარების გართულებამ თავისებური გავლენა მოახდინა ქვეყნის შიგნით დამსჯელი კამპანიის განვითარებაზე. გარეგნულად მისცა მას "მედასავლეთეობის" ანუ „დასავლეთის წინაშე ქედის მოხრის“, „კოსმოპოლიტიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა. ამ მიმართულებით ბრძოლის დაწყების მაუწყებელი პირველი ნაბიჯიც გადაიდგა: საბჭოთა მოქალაქეებს აეკრძალათ უცხოეთის მოქალაქეებთან კავშირები, მათზე დაქორწინება და სხვ.

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის ტოტალურმა დამუშავებამ შეამზადა ნიადაგი გადამწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად საზოგადოების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების მიერ ომის შემდგომ გატარებულ ღონისძიებებს ვარდისფერი სათვალეებით არ უყურებდა, რომელიც ზედაპირული გარდაქმნების მიღმა ხედავდა სტალინური პოლიტიკის ნამდვილ არსს და სინამდვილეს რეალურად აფასებდა. ესენი უმთავრესად ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. „სხვაგვარად მოაზროვნეთა" წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ რეპრესიებს მიმართა.

§3. XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრისა და 50-იანი წლების დამდეგის იდეოლოგიური რეპრესიები

1. **იდეოლოგიური რეპრესიები ლიტერატურასა და ხელოვნებაში.** საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას განსაკუთრებულ თავსატეხს ინტელიგენცია უჩენდა. ინტელიგენცია იყო ის ძალა, რომელსაც შეეძლო საზოგადოებისთვის დაენახვებინა არსებული სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა. ხელისუფლება მიხვდა, რომ ინტელიგენციაზე იდეოლოგიური და პოლიტიკური კონტროლი, რომელიც ომის წლებში გარკვეულად შესუსტდა, კვლავ უნდა გაძლიერებულიყო. შეტევა იდეოლოგიურ ფრონტზე 1946 წლის ზაფხულიდან დაიწყო. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. იდეოლოგიურ რეპრესიებს ბიძგი 1946 წელს დაწყებულმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა მისცა, რასაც ასეულათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ხელისუფლება კრიზისს მხოლოდ 1946 წლის გვალვიანი, მოუსავლიანი წლით ხსნიდა, მაგრამ მიზეზი რომ მარტო გვალვა არ იყო, ეს ინტელიგენციისთვის, ყოველი მოაზროვნე ადამიანისთვის ნათელი იყო. კრიზისის მიზეზი თვით ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში, ხელისუფლების ხალხისადმი დამოკიდებულებაში მდგომარეობდა. ცხადია, ინტელიგენციას შეეძლო ყოველივე ეს ხალხისთვის დაენახვებინა.

1946 წლის ზაფხულიდან გაიშალა ფართო შეტევა იდეოლოგიურ ფრონტზე, რომელსაც გარეგნულად მიეცა **„მედასავლეთეობის"** წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა. ყოველი თავისუფალი აზრი, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთადერთი, კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში არ თავსდებოდა, ინათლებოდა როგორც მტრული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინება, **„საზღვარგარეთის გავლენა", „ქედის მოხრა დასავლეთის წინაშე", „წვრილბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი"** და სხვა. ამ კამპანიის არსი ის იყო, რომ გაეძლიერებინა კომუნისტური პარტიის გავლენა იდეოლოგიის ყველა სფეროზე, დაეთრგუნათ და უგულებელყოთ თავისუფალი აზრი, მოექციათ იგი საბჭოთა ხელისუფლებისთვის სასურველ კალაპოტში.

მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში იდეოლოგიური რეპრესიები დაიწყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით „ჟურნალების „ზვეზდას" და „ლენინგრადის" შესახებ". ამ ჟურნალების რედაქციებს მთავარ ბრალდებად უყენებდნენ იმის დავიწყებას, „რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს", ე. ი. ბრალად ედებოდათ აპოლიტიკურობა, უიდეო, იდეოლოგიურად მავნე ნაწარმოებების დაბეჭდვა. განსაკუთრებით მიულებლად იქნა მიჩნეული მწერალ **მიხეილ ზოშჩენკოსა** და პოეტ **ანა ახმატოვას** ნაწარმოებების დაბეჭდვა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერები (პირველ რიგში: ნიკიტა ხრუშჩოვი, ანდრეი ჟდანოვი, ლაზარ კაგანოვიჩი, კლიმენტ ვოროშილოვი, იოსებ სტალინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, მიხეილ კალინინი)

როგორც დადგენილებიდან ჩანს, საბჭოთა ხელისუფლება დიდად შეაშფოთა მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობამ „მაიმუნის თავგადასავალი". ზოოპარკიდან გამოსულმა მაიმუნმა იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, დაინახა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. საბჭოთა კავშირში თავისუფლად ცხოვრებას ზოოპარკში ცხოვრება სჯობია, რადგან გალიაში უფრო თავისუფლად ვსუნთქავ, ვიდრე საბჭოთა ადამიანებს შორისო – გადაწყვიტა მაიმუნმა, იგი დაბრუნდა და ისევ გალიაში ჩაჯდა.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ მიხეილ ზოშჩენკომ საბჭოთა წყობილება და საბჭოთა ადამიანები დახატა მახინჯი, კარიკატურული ფორმით, საბჭოთა ადამიანები ცილისმწამებლურად წარმოადგინა პრიმიტიულ, რეგვენ, ობივატელური გემოვნების და ზნე-ჩვეულებების ადამიანებად. სინამდვილეში კი ეს ნაწარმოები იყო საბჭოთა სინამდვილის რეალური, შეულამაზებელი ასახვა. ანა ახმატოვას ლექსები და პოემები, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე

რუსული პოეზიის მშვენებას, გამოცხადდა უშინაარსო და უიდეო პოეზიად, აიკრძალა მათი გამოცემა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ყოველთვის მორჩილად და ერთგულად ასრულებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დადგენილებებს, 1946 წლის 27 აგვისტოს ჩაატარა თათბირი ჟურნალ **„მნათობის“** სარედაქციო კოლეგიისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელობის მონაწილეობით. ცხადია, თათბირმა ჟურნალ „მნათობის“ მუშაობაში „აღმოაჩინა“ იგივე „შეცდომები და ნაკლოვანებები“, რომლებიც **„ზვეზდასა“** და **„ლენინგრადს“** გააჩნდა და საჭიროდ ცნო ჟურნალის მუშაობის „გარდაქმნა“. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ნაწილობრივ შეიცვალა ჟურნალ **„მნათობისა“** და გაზეთ **„ლიტერატურა და ხელოვნების“** სარედაქციო კოლეგიები. 1946 წლის ოქტომბერში კი საქართველოს კპ(ბ) ხელმძღვანელობამ ჩაატარა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა თათბირი, რომლის გადაწყვეტილებით საქართველოს მწერალთა კავშირს მიეცა მითითება, მიევლინებინათ მწერლები მსხვილ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და ახალმშენებლობებზე, რათა შეექმნათ სოციალისტური აღმშენებლობის ამსახველი ნაწარმოებები.

ამრიგად, იდეოლოგიურ ფრონტზე რეპრესიები დაიწყო. სულ მალე მან მოიცვა ხელოვნების ყველა სფერო. ზედიზედ გამოქვეყნდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები: **„დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“, „კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ“**. ცხადია, შეტევის ობიექტად პირველ რიგში ხელოვნების ის დარგები იქცა, რომლებიც ომის შემდგომ წლებში ფართო მასებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი იყო. კინოსა და თეატრის მთავარ ნაკლად მიჩნეულ იქნა ის, რომ მათი რეპერტუარიდან ფაქტობრივად გამოდევნილ იქნა თანამედროვე თემაზე დაწერილი საბჭოთა ავტორთა ნაწარმოებები. დადგენილებები ავალებდნენ თეატრისა და კინოს მუშაკებს, რომ მათ მიერ დადგმულ პიესებში, მათ მიერ შექმნილ ფილმებში უნდა ასახულიყო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება, თანაც ისე, რომ აშკარა ყოფილიყო მისი განუწყვეტელი წინსვლა.

ცხადია, არც საქართველოს კპ(ბ) ხელმძღვანელობას დაუყოვნებია. მან სპეციალურ თათბირზე განიხილა საქართველოს თეატრების რეპერტუარის საკითხი და თავისი შეხედულებით უიდეო, მხატვრულად სუსტი პიესები მოხსნა რეპერტუარიდან. თანამედროვე თემებზე პიესების შესაქმნელად დრამატურგები მიავლინეს მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და ახალმშენებლობებზე, რათა თანამედროვე ცხოვრება დაენახათ „სოციალისტური რეალიზმის“ პოზიციიდან, ე. ი. „ვარდისფერი სათვალეებით“. მათ უნდა ეჩვენებინათ არა ისე, როგორც ეს სინამდვილეში იყო, **არამედ** ისე, როგორც ეს საბჭოთა იდეოლოგიას სურდა.

1948 წლის დასაწყისში იდეოლოგიური რეპრესიები **მუსიკისა** და **მხატვრობის** სფეროსაც მისწვდა. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილება **„საბჭოთა მუსიკაში დეკადენტური ტენდენციების შესახებ“** უსამართლოდ და მკაცრად აკრიტიკებდა კომპოზიტორებს შოსტაკოვიჩს, პროკოფიევს, მურადელს და სხვებს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ფორმალიზმი, ანტიხალხურობა. დადგენილება განსაკუთრებით მკაცრად განსჯიდა მურადელის ოპერას „დიადი მეგობრობა“. მალე, მსგავსი დადგენილება იქნა მიღებული მხატვართა მიმართაც.

ცხადია, შესაბამისი დადგენილებები მიიღო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც. ამ დადგენილებებში, როგორც წესი, სიტყვასიტყვით იმეორებდნენ შესაბამის საკავშირო დადგენილებებს, განსხვავება მხოლოდ შერისხულ ხელოვანთა გვარებში იყო. 1948 წლის 13 მარტს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება **„ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების მუშაობის შესახებ“**, რომლის შესაბამისად ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაევალა, გადაესინჯა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და საქართველოს ფილარმონიის რეპერტუარები, უფრო მეტად ეზრუნათ დრამატული თეატრების სპექტაკლების მუსიკალური გაფორმებისათვის, გადაესინჯათ თბილისის კონსერვატორიისა და მუსიკალური სასწავლებლების სასწავლო პროგრამები. კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ შესაბამისი შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციის კრებები. ისინი კიცხავდნენ იმ პირებს, რომლებიც დადგენილებებში იყვნენ მოხსენიებულნი. აღსანიშნავია ის, რომ ხსენებულ დადგენილებაში დასახელებული იყო მხოლოდ რამდენიმე პირი, კომპოზიტორთა კრებაზე კი გააკრიტიკეს ორ-სამჯერ მეტი, მათ შორის ყველა უნიჭიერესი კომპოზიტორი: ანდრია ბალანჩივაძე, შალვა მშველიძე, გრიგოლ კილაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, იონა ტუსკია და სხვები. მათი მაღალმხატვრული ნაწარმოებები საბჭოთა სინამდვილისთვის უცხოდ და მავნედ მონათლეს.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 22 მაისის დადგენილება თავს დაატყდა ქართველ მხატვრებს. ქართული სახვითი ხელოვნების უდიდეს წარმომადგენლებს **დავით კაკაბაძესა** და **ლადო გუდიაშვილს** ბრალად დასდეს „ფორმალიზმისა“ და „პრიმიტივიზმის“ წინაშე ქედის მოხრა.

იდეოლოგიურ დარგში საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ მათ

განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ უმეტესად სრულიად არაპროფესიონალი, არაკვალიფიციური პარტიული კადრები.

მართალია, მოგვიანებით (1958 წელს) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარა, რომ იდეოლოგიის სფეროში მიღებულ დადგენილებებში მოცემული იყო ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი რიგი ნიჭიერი მოღვაწეების უსამართლო კრიტიკა, მკაცრი შეფასებები და ეს დადგენილებები გაუქმებულად ცნო, მაგრამ ამ დადგენილებებმა ხომ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს ცალკეული ერების, მათ შორის ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას.

2. იდეოლოგიური რეპრესიები მეცნიერებაში. იდეოლოგიური რეპრესიები მისწვდა მეცნიერებასაც. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით დამკვიდრდა თავისებური ფენომენი – შემოქმედებითი დისკუსიები. დისკუსიები გაიმართა: **ფილოსოფიაში** (1947 წ.), **ბიოლოგიაში** (1948 წ.), **ფიზიოლოგიაში** (1950 წ.), **ენათმეცნიერებასა** (1950 წ.) და **პოლიტიკურ ეკონომიკაში** (1951 წ.). დისკუსიებზე პოლიტიკური ჩანაფიქრის განხორციელების გზად „არგუმენტების ძალის ნაცვლად – ძალის არგუმენტები" იქნა არჩეული. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის ეს ერთადერთი „სწორი" გზა იყო, რადგან ყველა სხვა გზა მათ მიზანს მეცნიერებაში დამარცხებამდე მიიყვანდა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ გზით სვლა აშკარად, შეუნიღბავად არასასურველი იყო. ამიტომ დისკუსიებს სჭირდებოდა ძლიერი ავტორიტეტის მფარველობა, რომელიც არჩევანის გაკეთებისას თავის თავზე აიღებდა უმაღლესი არბიტრის როლს. ასეთ ძალას უზარმაზარ ქვეყანაში ფლობდა მხოლოდ ერთადერთი ადამიანი – იოსებ სტალინი. ომისშემდგომ სტალინის კულტმა თავის აპოგეას მიაღწია. ბევრის თვალში იგი კერპად იქცა. სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ ბრძოლის გზა, მისი მექანიზმი, მსვლელობის ლოგიკა მოითხოვდა სტალინის ჩაბმას სამეცნიერო დისკუსიებში. სტალინს სხვა გზა არ ჰქონდა – უნდა გამხდარიყო „დიდი ფილოსოფოსიც", „დიდი ენათმეცნიერიც", „დიდი ეკონომისტიც". სტალინის სიტყვა ხდებოდა შემობრუნებად დისკუსიის მსვლელობაში. ყოველივე ეს კი გამორიცხავდა ჭეშმარიტების დადგენას.

დისკუსიების მსვლელობის პერიოდსა და მომდევნო ხანებში მძიმე დარტყმა განიცადეს **ქართველმა ბუნებისმეტყველებმა.** ენათმეცნიერებაში დისკუსიის დროს არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს ეროვნული ენების შესახებ. **გაზიარებულ იქნა იოსებ სტალინის დებულება, რომ ეროვნული ენები გაქრებიან, ან აითქვიფებიან ჯერ ზონალურ ენებში, შემდეგ კი შეიქმნება ერთი მსოფლიო ენა, თუმცა იგი არ იქნება არც ერთი დღევანდელი ენაო.** გაზიარებულ იქნა სტალინის დასკვნები სოციალიზმის თეორიულ-ეკონომიკურ პრობლემებზე: „სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის შესახებ", „სოციალიზმის დროს ღირებულების კანონის შესახებ", „სოციალიზმის დროს საქონლური წარმოების შესახებ". კრიტიკის ქარცეცხლში მოექცნენ ეკონომისტები, რომლებიც „ვერ ხვდებოდნენ", რომ



ჟურნალ „ოგონიოკის" სპეცნომერი, მიძღვნილი იოსებ სტალინის 70-ე წლისთავისადმი

სოციალიზმის კომუნიზმზე გადასვლის პერსპექტივა და „საქონლური წარმოება" შეუთავსებელი იყო.

იოსებ სტალინი, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკოსი იყო და ამ მეცნიერული დისკუსიებისგანაც პრაქტიკულ შედეგს მოელოდა: მას სურდა თავის მიერ ჩაფიქრებული და პრაქტიკულად რეალიზებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის შემდგომი სრულყოფისთვის თეორიული საფუძვლის შექმნა. მისთვის მთავარი იყო, რომ ეს სრულყოფა მომხდარიყო არა კაპიტალისტური განვითარების მიხედვით, არამედ სოციალისტურ საფუძველზე.

უმაღლესი ხელისუფლების მარწუხები ისტორიულ მეცნიერებასაც მისწვდა. მას თავისებური ბიძგი მისცა იოსებ სტალინის სიტყვამ, რომელიც მან წარმოთქვა წითელი არმიის ჯარების სარდლების მიღებაზე კრემლში 1945 წლის 24 მაისს. სტალინმა აღნიშნა, რომ იგი ომში გამარჯვების აღსანიშნავად სვამდა საბჭოთა კავშირის ხალხის და, უპირველეს

ყოვლისა, რუსი ხალხის სადლეგრძელოს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ომში გამარჯვების საქმეში. რუს ერს სტალინი უწოდებდა ყველაზე გამორჩეულ ერს საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს შორის. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ **შეუფარავად დაუბრუნდნენ იმ თვალსაზრისს, რომ რუსი ერი სხვა ერების მიმართ წარმოადგენდა ერს – განმანათლებელს, ერს – მფარველს.** იოსებ სტალინის სიტყვის შემდეგ დაიწყო ამ შეხედულების „ისტორიული დასაბუთება". მეთოდი მარტივი იყო: **რუსი ერის წარსულის განდიდება-გაიდეალება, საბჭოთა კავშირის სხვა ერების წარსულის გამუქება, ამ ერებისადმი რუსი ერის დამოკიდებულების რევიზია.** ხელისუფლება უხეშად ერეოდა საბჭოთა კავშირის ახალი ისტორიის შექმნის, უფრო სწორედ, მისი გაყალბების საქმეში. 1946 წელს დახურეს საკავშირო ჟურნალი „Исторический журнал", რომელსაც ბრალად დასდეს რუსეთის ისტორიისადმი ახლებურად მიდგომის უქონლობა, ხოლო მის ნაცვლად შექმნილი ჟურნალი „Вопросы истории" სულ მალე მკაცრად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ სათანადოდ ვერ წარმოაჩენდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, კიევის რუსეთის დროიდან, რუსი ხალხის გავლენას დასავლეთ ევროპის ცხოვრებაზე, რომ სათანადოდ ვერ აშუქებდა რუსი ხალხის პროგრესულ როლს კაცობრიობის განვითარებაში.

უმკაცრესი ცენზურის პირობებში ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიაც წლების მანძილზე აყალბებდა ქართველი ერის წარსულს. რუსეთზე, როგორც დამპყრობელ ერზე, წერდნენ: „მთელი ქართველი ხალხი ამაყობს თავისი ისტორიული კავშირით დიდ რუს ხალხთან, რომლის ძმური დახმარებით საქართველომ მოიპოვა თავისუფლება და ბედნიერება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ოჯახში".

რუსულ ისტორიოგრაფიაში ჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა ინათლებოდა სეპარატისტულ, რეაქციულ მოძრაობებად. თითქმის ოთხწლიანი დისკუსიის შედეგად, რომელიც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო, XIX საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წინამძღოლი შამილი ინგლისის აგენტად, ხოლო თვით მოძრაობა – რეაქციულად გამოცხადდა.

კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურები უნდობლად უყურებდნენ ქართველ მეცნიერებს. მათ ბრალად სდებდნენ ბურჟუაზიული შეხედულებების შემოტანის მცდელობას, კოსმოპოლიტიზმს, ნაციონალიზმს.

§4. XX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულისა და 50-იანი წლების დამდეგის პოლიტიკური რეპრესიები

1. 40-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები. პოლიტიკური რეპრესიების თავისებურება საქართველოში ის იყო, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, ინტელიგენციის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს შემთხვევითი არც ყოფილა. ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა, მას ბურჟუაზიული **„ნაციონალიზმის"** ბუდედ მიიჩნევდა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქართველი ინტელიგენცია „მტრულ ძალას" წარმოადგენდა და სასტიკი რეპრესიებით უსწორდებოდა კიდეც მას. ასე იყო 1921 წელს, 1924 წელს, 1929-1930 წლებში, 1937-1938 წლებში. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მთელი სისასტიკით გაუსწორდნენ 1942 წლის შეთქმულების მონაწილეებს.

პოლიტიკური რეპრესიები ქართველ ინტელიგენციას არც 40-იანი წლების დასასრულს ასცდა. საქმე ისაა, რომ ეროვნულ-პატრიოტული განწყობა ომის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. განსაკუთრებით დიდ როლს მის გაღვივება-გაძლიერებაში ქართული საზღვარგარეთული ემიგრაცია ასრულებდა. ემიგრანტებმა დაიწყეს ზრუნვა ერთიანი პოლიტიკური ფრონტის შექმნისათვის – პარიზში დაარსდა „საქართველოს ეროვნული საბჭო". ემიგრანტული გამოცემები „საქართველოს დამოუკიდებლობა", „მებრძოლი საქართველო", „ერის დიდება", დამოუკიდებლობისათვის ემიგრაციის ბრძოლა ძლიერ ზეგავლენას ახდენდა ქართველ ინტელიგენციაზე, სტუდენტ ახალგაზრდობაზე.

ხელისუფლებას ყველაზე მეტად ამ მოძრაობის მასშტაბები კი არ აშფოთებდა, არამედ ის, რომ იგი მიმართული იყო ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ. ინტელიგენცია აცნობიერებდა საბჭოთა ხელისუფლების უვარგისობასა და მისი დამხობის აუცილებლობას. ხელისუფლებას სწორედ ამ ტენდენციის ზრდის ეშინოდა. მით უფრო, რომ ომისშემდგომი საზოგადოებრივი ატმოსფერო ამისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა.

პოლიტიკური რეპრესიების ძლიერი ტალღა 50-იანი წლების დასაწყისში აზვირთდა, თუმცა საქართველოში იგი არც 40-იან წლებში იყო უცხო. ომის დამთავრების შემდეგ იშვიათი იყო წლები, რომ არ დაეპატიმრებინათ ადამიანები „ნაციონალისტურ" მოძრაობაში ბრალდებისათვის. სასამართლოები დახურულ კარს მიღმა იმართებოდა (ზოგჯერ საერთოდ არც იმართებოდა). ხელისუფლება კი მსჯავრდებულთა ვინაობას საგანგებოდ მალავდა.

1948 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 11 სტუდენტი.

გაასამართლეს 9 კაცი და ყველას 25 წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. მსჯავრდებულთა შორის იყვნენ: **შოთა ჯიჯაძე, ალეკო მელაძე, ჟორეს (გიორგი) ცინცაძე, იური მაჩაიძე, ბორის ხუხუა, კუკური ძიმისტარაშვილი, თენგიზ ზალდასტანიშვილი, ოტია პაჭკორია, გივი მაღულარია.** მათ ბრალი ტოტალური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ედებოდათ. ხელისუფლების მიზანი იყო რჩეულთა ჩამოშორება, ეროვნული მოძრაობის პოტენციის დაკნინება და ჩახშობა, ანტისაბჭოთა სულისკვეთების ლიკვიდაცია.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიიღო ფარული გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ყველა პირი, ვინც 20-იან წლებში დაპატიმრებული და გადასახლებული იყო, როგორც „ხალხის მტერი" და რომლებსაც უკვე გაუთავდათ პატიმრობის ვადა, ხელახლა უნდა გაესამართლებინათ და მუდმივ გადასახლებაში გაეგზავნათ. ეს გადაწყვეტილება ეხებოდა მათ უდანაშაულო შვილებსაც, რომლებიც მოცემული პერიოდისათვის სრულწლოვანნი გახდნენ. ამ დადგენილებას მრავალი ქართველი შეეწირა.

2. 50-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები. ხელისუფლება „არასასურველი ატმოსფეროს" შექმნაში განსაკუთრებით საშიშ ძალად მიიჩნევდა ყოფილ სამხედრო ტყვეებს, გერმანიის მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ნაცხოვრებთ, საზღვარგარეთიდან დაბრუნებულებს, ემიგრანტების ნათესავებს. ეს ადამიანები ხომ დიდი ხნით მოწყდნენ საბჭოთა სინამდვილეს და ფლობდნენ უზარმაზარ ინფორმაციას დასავლეთის ცხოვრებაზე. მათ შეეძლოთ ამის შესახებ მოეთხროთ თავიანთი თანამოქალაქეებისათვის. **1951 წლის ბოლოსთვის ფარულად მომზადდა საქართველოდან ამ კატეგორიის ადამიანების გადასახლება.** გადასახლების მომზადებასა და განხორციელებაში განსაკუთრებით აქტიურობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე. შეიქმნა წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე საქართველოდან „მტრული ელემენტების" გადასახლების აუცილებლობის შესახებ. „მტრულ ელემენტებში" მოხვდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები, რადგან გადასახლებას დაექვემდებარნენ მათი ოჯახები. ამ აქციისათვის რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფები. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომუნისტთა ჯგუფი, რომელსაც გადასახლების მეთვალყურეობა ევალებოდა. წინასწარი საიდუმლო მომზადების შემდეგ გადასახლების ოპერაცია ერთი ღამის განმავლობაში, 1951 წლის 25 დეკემბერს, განხორციელდა. **თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში საგანგებოდ ჩაყენებულ სარკინიგზო ეშელონებში შეამწყვდიეს 20 ათასამდე ადამიანი (მათ შორის ქალები, მოხუცები, ბავშვები) და შუა აზიასა და ყაზახეთში გადაასახლეს.** გადასახლებულთა უდიდეს ნაწილს ინტელიგენცია და მათი ოჯახის წევრები შეადგენდნენ. ისინი გადასახლების ადგილებზე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობების მუშებად აქციეს. ამ გადასახლებულთა ნაწილი გზაშივე დაიღუპა, ნაწილმა სიცოცხლე შუა აზიისა და ყაზახეთის ტრამალებში დაასრულა. გადარჩენილებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1954 წელს მისცეს, მას შემდეგ, რაც აღიარებულ იქნა, რომ ეს იყო გაუმართლებელი, დანაშაულებრივი აქცია.

ავბედითი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის 1951 წელი. ამ წლის ბოლოსვე დაიწყო ეგრეთ წოდებული **„მეგრელთა საქმე"**, რომლის საიდუმლოება დღემდე ბოლომდე არ არის გახსნილი. „მეგრელთა საქმე" საიდუმლოდ მომზადდა კრემლის უმაღლეს ეშელონებში იოსებ სტალინის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით. თავისი მმართველობის ბოლო წლებში სტალინი ძალაუფლებისაკენ ლავრენტი ბერიას აშკარა მისწრაფებას მეტად ეჭვის თვალით უყურებდა და მისი ალაგმვა სურდა. სავარაუდოა, რომ „მეგრელთა საქმე" სწორედ ბერიას წინააღმდეგ მომზადდა. „მეგრელთა საქმის" შეთხზვასა და ამ ოპერაციის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღოდა **ნიკოლოზ რუხაძეს.** თავი გამოიდეს კომუნისტმა ფუნქციონერებმაც, განსაკუთრებით **აკაკი მგელაძემ,** რომელიც მაშინ საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო. ისინი უმაღლეს ხელისუფალთა გულის მოგებასა და პარტიულ ხელმძღვანელობაში დაწინაურებისათვის ქულების დაგროვებას ცდილობდნენ. შეიქმნა არაერთი ყალბი ბრალდება მეგრული წარმოშობის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების მიმართ, განსაკუთრებით კი **მიხეილ ბარამიას** მიმართ, რომელიც მაშინ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა. ისინი „მეგრულ ნაციონალიზმში" დაადანაშაულეს. ყალბი დოკუმენტების საფუძველზე საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელითა და იოსებ სტალინის ხელმოწერით შედგა დადგენილება: „მექრთამეობის და მ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ საქართველოში". დადგენილება უფრო შორს მიდიოდა. „მეგრული ნაციონალიზმის" გარდა, ამ ჯგუფს ბრალად ედებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს

ნინა ჟვანია

გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მისწრაფება, აგრეთვე უცხოეთის დაზვერვასთან კავშირი. დაპატიმრეს მეგრული წარმოშობის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: **მ. ბარამია, კ. ბეჭვაია, ნ. ჟვანია, ა. მირცხულავა, მ. ზოდელავა** და სხვა. ათეულობით მეგრელი გარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

საქართველოში დაიწყო მძიმე პოლიტიკური კრიზისი. 1952 წლის აპრილში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელსაც ესწრებოდა მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსული **ლავრენტი ბერია,** მოხსნა რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომლებიც ხელისუფლებას სათავეში ედგნენ 1938 წლიდან. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად დაინიშნა **აკაკი მგელაძე,** შეიცვალა სხვა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელებიც. ახალმა ხელმძღვანელობამ დაიწყო ფართომასშტაბიანი წმენდა. ქართველი საზოგადოებრიობა გრძნობდა, რომ ე. წ. „მეგრელთა საქმე" პროვოკაციული სიყალბე იყო,

იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია სტალინის შვილთან სვეტლანასთან ერთად კუნცევოს აგარაკზე

მაგრამ ტოტალური დიქტატურის ვითარებაში მის წინააღმდეგ გალაშქრებას ვერავინ ბედავდა.

იოსებ სტალინის გარდაცვალებას კვლავ მოჰყვა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლა. 1953 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის სურვილისამებრ **აკაკი მგელაძე** გაათავისუფლეს და საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას სათავეში **ალიოშა მირცხულავა** ჩაუყენეს. მასვე გადაეცა შესასრულებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1952 წლის აპრილის სპეციალური დადგენილება. ეს დადგენილება უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ცნობდა ე. ნ. „მეგრელთა საქმეზე" მიღებულ ადრინდელ დადგენილებას და მოითხოვდა რეპრესირებულთა გასამართლების გარეშე გათავისუფლებას და სრულ რეაბილიტაციას. რეაბილიტირებულებს პატიმრობაში ყოფნის დრო ეთვლებოდათ სამუშაო ადგილზე ყოფნად.

შექმნილ ვითარებაში მთავარი იყო, რომ რეაბილიტაციის შემდეგ არ შექმნილიყო მეორე საშიშროება, არ დაწყებულიყო ანგარიშსწორება, ქართველი ხალხის დაპირისპირება, არსებობდა ერის გახლეჩის საშიშროება. ამ ძნელბედობის ჟამს ქართველმა ერმა ღირსეულად გაუძლო. მძიმე განსაცდელის, გადატანილი გაჭირვებისა და მორალური შეურაცხყოფის მიუხედავად, გონიერებამ გაიმარჯვა. რეაბილიტირებულებს არ მოუთხოვიათ დამნაშავეთათვის სამაგიეროს გადახდა ისევ რეპრესიებით. ქართველი ხალხის ცხოვრების კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი ისტორიის კუთვნილება გახდა.

იოსებ სტალინი კუბოში

50-იანი წლების დამდეგის მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება ძირეულ გარდაქმნებს მოითხოვდა.

1953 წლის 5 მარტს **იოსებ სტალინი** გარდაიცვალა. საზოგადოება ქვეყნის ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან გარდაქმნებს ელოდა.

თავი XI

საქართველო 1953-1964 წლებში

§1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და ეროვნული მოძრაობის აღმავლობა

1. პოლიტიკური ლიბერალიზაცია XX საუკუნის 50-იან წლებში და მისი შედეგები საქართველოსთვის. 1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინი გარდაიცვალა. დამთავრდა საბჭოთა ქვეყნის ისტორიის მთელი ეპოქა – ტოტალიტარული რეჟიმის ეპოქა. ტოტალიტარიზმი მოიცავდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს. 50-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ლიბერალიზაციის პროცესი.

1953-1964 წლებს ისტორიოგრაფიაში ჯერ **„გადამწყვეტი შემობრუნების", „დიდი გარდაქმნების საზღვარს"** უწოდებდნენ. შემდეგ ამ პერიოდს „განუხორციელებელი შესაძლებლობებისა და მეტ-ნაკლებად გაცრუებული იმედების დრო" უწოდეს, რადგან 50-60-იანი წლების გარდაქმნები სრულად ვერ განხორციელდა და, საბოლოო ჯამში, „გაიყინა". საბჭოთა ქვეყანა ასეთი გარდაქმნების აუცილებლობის წინაშე პირველად არ დამდგარა. თვით სოციალიზმის არსი ქვეყანას გარდუვალად აყენებდა კრიზისულ სიტუაციაში: ასე იყო 1921 წელს, 1929 წელს, 1941 წელს, ასე მოხდა 50-იან წლებში.

50-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული შემობრუნება იმ საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული, რომელიც ქვეყანაში 40-50-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა. ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდი დამთავრდა. ეს აისახებოდა არა მარტო ეკონომიკაში მიღწეულ შედეგებში, არამედ საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც. ომის დამთავრებიდან რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, საზოგადოებაში მით უფრო მტკიცდებოდა რწმენა, რომ ომთან ერთად წარსულს უნდა ჩაბარებოდა ომის შემდგომი სიძნელეებით გამოწვეული დაძაბული შრომაც. თანდათან ცხადად გამოიკვეთა ის აზრი, რომ ქვეყანა სოციალური პროგრესისაკენ უნდა შემობრუნებულიყო. წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებებით, მოუწესრიგებელი სოციალური პრობლემებით უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა. უდავოა, ამ გარდაქმნათა აუცილებლობას აშკარად გრძნობდა საზოგადოებისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილი. მაგრამ 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლების დამდეგს გარდაქმნების დაწყებას აფერხებდა შემდეგი მიზეზები: **პირველი.** იოსებ სტალინის ავტორიტეტის უდიდესი ძალა, რომელიც ბოჭავდა საზოგადოებრივ ცნობიერებას, აფერხებდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. სტალინის სახელი ხშირად გამოიყენებოდა როგორც ფარი, როგორც არგუმენტი, რომელიც ნებისმიერ დავასა და ნებისმიერ მისწრაფებას საბოლოო წერტილს უსვამდა. ყოველივე ახალს, თუ იგი მიმართული იქნებოდა არსებული, უკვე დამკვიდრებული სტერეოტიპის წინააღმდეგ, სტალინის სახელით არა მარტო უარყოფა, არამედ განადგურებაც ელოდა. **მეორე.** გარდაქმნებს აფერხებდა სოციალიზმის შესახებ არსებული, გამარტივებული შეხედულება, რომელიც გულისხმობდა განუწყვეტელ, თანმიმდევრულ, წინააღმდეგობათა გარეშე „კომუნიზმის მწვერვალებისაკენ" გარდუვალ სვლას. ეს თეორია თავის საფუძველშივე ეყრდნობოდა ჯერ კიდევ 20-იან წლებში დამკვიდრებულ იმ წარმოდგენას, რომ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე თუკი რაიმე სიძნელე არსებობს, ესაა მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული წანამძღვრებისა და გამოცდილების უქონლობით გამოწვეული ნაკლოვანებანი. ადამიანებს უნერგავდნენ რწმენას, რომ გარკვეული დროის მანძილზე ყველაფერი ეს ადვილად იქნება დაძლეული, ადვილად განხორციელდება როგორც სამეურნეო მშენებლობის, ისე, საერთოდ, სოციალისტური მშენებლობის პრობლემები. ცხადია, სოციალიზმის მშენებლობაზე, მის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე ასეთი გამარტივებული წარმოდგენა განსაზღვრავდა საზოგადოებრივ პრაქტიკას. ყველაფერი, რაც ამ შეხედულებას არ ესადაგებოდა, ფასდებოდა როგორც „უცხო", როგორც „გადმონაშთი", როგორც „კაპიტალისტური". შედეგი კი ის იყო, რომ დაიწყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაყინვა, სამეურნეო ანგარიშის შეკვეცა, პოლიტიკური სისტემის ტოტალიზაცია.

ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით კი „ცივი ომის" გაჩაღებამ და მასში საბჭოთა კავშირის აქტიურმა ჩაბმამ, დღის წესრიგ-

ში დააყენა მთელი რიგი საკვანძო პრობლემები, რომელზე რეაგირება და მის გადაჭრაზე ფიქრი აუცილებლად მოუწევდა ნებისმიერ პოლიტიკურ ხელმძღვანელს, რომელიც მოვიდოდა ქვეყნის სათავეში იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ.

პრობლემათა პირველი კომპლექსი დაკავშირებული იყო XX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულისა და 50-იანი წლების დასაწყისის რეპრესიებთან. რეპრესიების პოლიტიკის გადასინჯვა არ შეიძლებოდა შემოფარგლულიყო მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოებში გატარებული ცალკეული საკადრო ცვლილებებით, ან კოლონიებსა და ბანაკებში არსებული რეჟიმის შერბილებით, ან შეცვლით. საქმე ეხებოდა, საერთოდ, მთელი პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაციას, მის სრულ დემოკრატიზაციას.

პრობლემათა მეორე კომპლექსი, რომელიც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო და დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვდა, ეხებოდა ქვეყნის **აგრარულ პოლიტიკას.** ომის შემდგომ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო გადასახადების ზრდა, ფორსირებული ტემპებით კოლმეურნეობათა გამსხვილება, რეპრესიები სოფლად, გაუსაძლისი მდგომარეობის გამო სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ქალაქებში სოფელს კატასტროფულ მდგომარეობაში აყენებდა. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა 1952 წელს უარი ეთქვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადების გაზრდაზე. სოფლად არსებული ასეთი მძიმე მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი აგრარული პოლიტიკის ის მთავარი პრინციპები იყო, რომელიც ჩამოყალიბდა 20-30-იან წლებში და იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლომდე უცვლელად რჩებოდა. მას მხარს უჭერდნენ და ცხოვრებაში თანმიმდევრულად ახორციელებდნენ სტალინის გარემოცვიდან ისინიც კი, რომლებიც სტალინის გარდაცვალების შემდეგ აგრარული საკითხის გადაჭრის სხვა ხაზის გატარების ინიციატორები გახდნენ.

პრობლემათა მესამე კომპლექსი, რომელიც ახალ ხელმძღვანელობას აუცილებლად უნდა გადაეწყვიტა, ეხებოდა **საგარეო პოლიტიკის** სფეროს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოსკოვის დიქტატი, დასავლეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონფრონტაცია, ცხადია, საბჭოთა კავშირისათვის არაფერი კარგის მომტანი არ იყო.

ამრიგად, მოსალოდნელი ცვლილებების მიმართულება, განსაზღვრული აზრით, უკვე წინასწარ გარკვეული იყო. ამ ცვლილებების გატარებით დაინტერესებული იყო მმართველი ზედა ფენაც და თვით საზოგადოებაც. მის განხორციელებას მოჰყვებოდა როგორც დიდი პრაქტიკული შედეგები, ისე დიდი პროპაგანდისტული ეფექტი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გარდაქმნები ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის უაღრესად სასარგებლო იქნებოდა – გაზრდიდა მის ავტორიტეტს ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო ასპარეზზეც.

მოქმედების მიმართულების განსაზღვრა საქმის გადაჭრის, ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის მხოლოდ ერთი მხარე იყო. არანაკლებ მთავარი იყო ის, თუ როგორ განისაზღვრებოდა ახალი პოლიტიკური კურსის შინაარსი, როგორი ფორმით, როგორი ტემპითა და როგორი თანმიმდევრულობით განხორციელდებოდა იგი. საკითხი ასე იდგა: შეძლებდა თუ არა ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმის გაცნობიერებას, რომ კრიზისის საფუძველი თვით სოციალიზმის არსში იდო, რომ გადაუჭრელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ძირითადი ავადმყოფობის მეორეულ გამოვლინებებს წარმოადგენდა. მალე გაირკვა, რომ ახალ ხელისუფლებას ამის გაგება არ სურდა. რეალური სოციალიზმის არსებობა, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, კომუნიზმის მშენებლობა მათთვის უცილობელ პოლიტიკურ დოქტრინად დარჩა. ასეთ პირობებში რეფორმები, საბოლოო ჯამში, წარუმატებლობისა და დამარცხებისთვის იყო განწირული. რეფორმებს მხოლოდ დროებითი წარმატებების მოტანა შეეძლო. ეს წარმატებებიც დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ძალთა განლაგებასა და ლიდერის, ან ლიდერთა ჯგუფის შერჩევაზე, რადგან ზემოდან რეფორმების განხორციელებისას პიროვნების ფაქტორი ძალზე დიდ როლს თამაშობდა.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი ხელისუფლების კრიზისი საკმაოდ გაჭიანურდა – დაიწყო სტალინის ყოფილ თანამებრძოლთა შორის ლიდერობისათვის ხანგრძლივი ბრძოლა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. კერძოდ ის, რომ **სტალინის გარემოცვაში არ იყო ლიდერი.** ყველას, ვინც ხელისუფლებისათვის იბრძოდა, ლიდერობის თანაბარი „უფლება" და თანაბარი „შანსი" გააჩნდა. ამით აიხსნება, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში როლების პირველმა გადანაწილებამ ლიდერი ვერ გამოავლინა. რეალურად ხელისუფლებამ მაშინ თავი მოიყარა ე. წ. **„სამეულის" („ტრიუმვირატის")** ხელში. მათ დაიკავეს ქვეყნის ხელმძღვანელობის სამი საკვანძო პოსტი: **გიორგი მალენკოვს** საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა ერგო, **ლავრენტი ბერია** – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კურირებდა ძალოვან უწყებებს, **ნიკიტა ხრუშჩოვი** კი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

„სამეულის" წარმომადგენლები საბჭოთა ხელმძღვანელობის იმ თაობას განეკუთვნებოდნენ, რომლებიც დიდად იყვნენ „დავალებულნი" XX საუკუნის

20-30-იანი წლების საკადრო წმენდისაგან. ისინი სტალინური გვარდიის ხერხემალს, პარტიული ნომენკლატურული ელიტის ახალ ფენას წარმოადგენდნენ. იოსებ სტალინის ერთპიროვნული ბატონობის პერიოდში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ელიტას პირადი გამოცდილებით შეთვისებული და შესისხლხორცებული ჰქონდა ხელისუფლების ორგანიზაციის სწორედ სტალინისეული მოდელი – კომუნისტური პარტიის ერთხელისუფლებიანობა, ყოველგვარი ოპოზიციისადმი მტრული დამოკიდებულება. პირადი გამოცდილება კი ბევრად განსაზღვრავდა პერსპექტივის შესაძლებლობას. როცა ქვეყნის სათავეში სტალინური გვარდიის ელიტის წარმომადგენლები მოვიდნენ, ფაქტობრივად, ნინასწარ გაირკვა მომავალი გარდაქმნების შესაძლო გაქანებაც და საბოლოო შედეგებიც. მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირის ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედებას დიდი გაფაციცებით ადევნებდა თვალს უმაღლესი პარტიული და სამეურნეო მმართველობის უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატი. ბიუროკრატიული აპარატი მხარს უჭერდა

გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია და კლიმენტ ვოროშილოვი

რეფორმების განხორციელებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ შეილახებოდა მათი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები.

„სამეულიდან" ლიდერობაზე ყველა ფიქრობდა, ყველა ოცნებობდა, მაგრამ აშკარად იგი გიორგი მალენკოვმა და ლავრენტი ბერიამ გამოხატეს. სწორედ მათ წარმოადგინეს თავიანთი მოლვაწეობის პროგრამული მიმართულებები.

გიორგი მალენკოვმა ორიენტაცია აიღო სოციალურ მიმართულებაზე. იგი მოითხოვდა, რომ შეცვლილიყო ეკონომიკაში არსებული პრიორიტეტი მოხმარების საგნების წარმოების სასარგებლოდ, რაც გაუმჯობესებდა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონეს. ამასთან, მალენკოვი აყენებდა კაპიტალისტურ სამყაროსთან მშვიდობიანი თანაარსებობის წინადადებას, როგორც ატომური კატასტროფის თავიდან აცილების ერთადერთ ალტერნატივას და სხვ.

ლავრენტი ბერია ერთპიროვნული ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ყველაზე საშიშ პიროვნებად ჩანდა. მისი ლიდერად გახდომა არ სურდათ არა მარტო „სამეულის" წევრთაგან დანარჩენებს, არამედ მთელ პარტიულ ბიუროკრატიასაც. არადა, ცხადი იყო პირველობისაკენ ბერიას აშკარა მისწრაფება. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ბერიას პროგრამა – გერმანიის გაერთიანების აუცილებლობა, იუგოსლავიასთან ურთიერთობის მოგვარება, ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა (საბჭოთა რესპუბლიკების უფლებების გაფართოება, მათ ხელმძღვანელობაში ეროვნული კადრების დაწინაურება, კულტურის სფეროში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა) ხალხში, განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკებში, მისი გავლენის გაზრდას ემსახურებოდა.

ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელსაც არსად და არაფერი სერიოზულად არ უსწავლია, თავისი კოლეგები ნაკლებად საშიშ პიროვნებად მიიჩნევდნენ. ხრუშჩოვი განათლების უკმარისობას საოცარი პოლიტიკური ალღოთი ავსებდა. მან ისეთი საკვანძო პოსტი დაიკავა, რომლის წყალობითაც კონტროლს უწევდა მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების, კომუნისტური პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნების მოღვაწეობას. ეს პარტიული ნომენკლატურა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ძირითად დასაყრდენს. პარტიულ ნომენკლატურას ისეთი ლიდერი სჭირდებოდა, რომელიც ადგილობრივ მმართველობაში მეტ დამოუკიდებლობას და, რაც მთავარია, პირადი უსაფრთხოების მეტ გარანტიას მისცემდა. ასეთივე უსაფრთხოება და ხელახალი რეპრესიებისაგან დაცვა სჭირდებოდა სხვა ნომენკლატურული თანამდებობის უზარმაზარ ბიუროკრატიულ არმიასაც.

ნიკიტა ხრუშჩოვის „რეკომენდაციით" შეიცვალა საქართველოს უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1953 წელს ხრუშჩოვმა სათავეში ჩაუყენა მასთან დაახლოებული, ომგამოვლილი გენერალი **ვასილ მჟავანაძე**.

ნიკიტა ხრუშჩოვმა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში 1953 წელს ჩამოიცილა **ლავრენტი ბერია.** იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. 1955 წელს ხრუშჩოვის მომხრეებმა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადააყენეს **გიორგი მალენკოვი.** მის ნაცვლად დაინიშნა ნიკოლოზ ბულგანინი. 1958 წელს **ნიკიტა ხრუშჩოვმა** საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიც შეითავსა და, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მმართველი გახდა.

ლავრენტი ბერიას განადგურებას მოჰყვა დიდი წმენდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, უშიშროების სამსახურში. ბერიას მომხრეებისაგან საქართველოს გაწმენდა უფრო დიდხანს და უფრო მკაცრად ხორციელდე-

ბოდა. პირველ რიგში დააპატიმრეს ბერიას უერთგულესი თანამებრძოლი ნიკოლოზ რუხაძე და მისი თანამზრახველები. 1955 წლის სექტემბერში კი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ თბილისში მათი საჯარო გასამართლება მოაწყო. სასამართლოს წინაშე წარდგნენ: **რაფავა, რუხაძე, წერეთელი, სავიცკი, პარამონოვი, კრიმიანი, ხაზანი** და სხვები. რუხაძეს, რაფავას, წერეთელს სხვადასხვა დროს ეკავათ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, ან მათი მოადგილის თანამდებობები, ხოლო დანარჩენები შინაგან საქმეთა უწყების გამომძიებლები იყვნენ. ისინი აქტიური მონაწილენი იყვნენ ბერიას თაოსნობით წამოწყებული დამსჯელი ღონისძიებებისა. მათ ბრალად ედებოდათ უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრება, წამება და დახვრეტა. ისინი განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ბერიას პირად მტრებად მიაჩნდათ. ყველა მათგანს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს.

ნიკიტა ხრუშჩოვი

საბჭოთა კავშირის ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო **უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია.** ეს პროცესი 1954 წლიდან დაიწყო. რეაბილიტაციას დაექვემდებარნენ სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შეთითხნილი ეგრეთ წოდებული „ლენინგრადის საქმისა" და „ექიმთა საქმის", საქართველოში კი „მეგრელთა საქმის" გამო რეპრესირებულნი, 50-იანი წლების დამდეგის უკანონო რეპრესიების დროს გადასახლებულნი, 1935-1938 წლებში რეპრესირებულნი. უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია სერიოზული ნაკლოვანებებით ტარდებოდა. იგი ყველას არ შეხებია. რეაბილიტაცია არც ითვალისწინებდა უკანონოდ დასჯილთათვის მოქალაქეობრივი უფლებების სრულად აღდგენას. სკკპ XX ყრილობის შემდეგ, 1956-1961 წლებში, ამ პროცესმა კიდევ უფრო მეტი მასშტაბები მიიღო, მოხდა რეპრესირებულთა დიდი ნაწილის რეაბილიტაცია, ბევრი მათგანის – სიკვდილის შემდეგ.

„დათბობა" – ასე უწოდებენ იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური პარტიის XX ყრილობამდე გავლილ პერიოდს. ეს იყო უსამართლო წარსულის სამართლიანი შეფასების ცდის პერიოდი. ადამიანებს ეს რწმენა კიდევ უფრო გაუღრმავდათ სკკპ XX ყრილობის (1956 წ. თებერვალი) გადაწყვეტილებათა შემდეგ. **ყრილობამ დაგმო იოსებ სტალინის პიროვნების კულტი და განსაზღვრა საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის კურსი.** საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განახლების პროცესი, რომელიც სტალინის გარდაცვალებისას დაიწყო, კიდევ უფრო აქტიურად წარიმართა XX ყრილობის შემდეგ.

XX ყრილობის შემდეგ გააქტიურდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა. პარტიის ყრილობები უკვე რეგულარულად ტარდებოდა. 1954-1964 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის შვიდი – XVI-XXII – ყრილობა ჩატარდა. ჩატარდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, ეკონომიკის განვითარების ამაღლებას ცდილობდნენ პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების, მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის

ვასილ მჟავანაძე

ამაღლების, კომუნისტური შეგნების გაზრდის, შიშველი ენთუზიაზმისა და თავგანწირვის საფუძველზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულმა „დესტალინიზაციამ", დაწყებულმა შემობრუნებამ ქვეყნის წინაშე მდგარი უმწვავესი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრაში მთავარი სიმძიმე კვლავ წმინდა პოლიტიკურ მეთოდებზე გადაიტანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისევ გულმოდგინედ ეჭიდებოდა ძველს.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის დაწყებული პროცესის გაღრმავებაში, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებას **სტალინის პიროვნების კულტის შესახებ.** პიროვნების კულტზე, მის კრიტიკაზე ლაპარაკი ჯერ

კიდევ XX ყრილობამდე დაიწყო. სტალინის გარდაცვალებისთანავე, 1953 წლის მარტში, ამ პრობლემას შეეხო გიორგი მალენკოვი. იგი პრესისაგან მოითხოვდა, რომ შეეწყვიტათ პიროვნების კულტის პროპაგანდა. ამავე პრობლემას იგი უფრო ფართოდ შეეხო 1953 წლის ივლისში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მაგრამ მაშინ კონკრეტულ ადრესატზე საუბარი არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე იოსებ სტალინის პიროვნების კულტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი. **სათანადოდ შერჩეული, ხშირად შეთხზული, დოკუმენტების საფუძველზე იგი სტალინს ადანაშაულებდა: მასობრივ ტერორში, რომელიც გაიშალა 30-50-იან წლებში, კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების უგულებელყოფაში, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტებაში და სხვა.** ამ მხილებებმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებაზე.

იოსებ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა მომწიფებულ და აუცილებელ ამოცანად ჩანდა. მაგრამ შეცდომა იყო ის, რომ მთელი ყურადღება გადატანილ იქნა ერთ ადამიანზე – სტალინზე და მას დაბრალდა ყველა დანაშაული. ამიტომ პიროვნების კულტის კრიტიკა იმთავითვე სანახევრო, ცალმხრივ, არათანმიმდევრულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა. სტალინისა და სოციალისტური სისტემის ცალ-ცალკე გაზრების ყველა ცდა ხელოვნური, არამართებული და წარუმატებლობისათვის განწირული იყო. ნიკიტა ხრუშჩოვი კი ამას ვერ აცნობიერებდა. მან სტალინი წარმოადგინა სოციალისტური სისტემისაგან მოწყვეტილად და პიროვნების კულტის კრიტიკა უფრო მის პირად ანგარიშსწორებას დაექვემდებარა. ფაქტობრივად, ეს იყო ცდა, სტალინი გაეღოთ მსხვერპლად, მისთვის გადაებრალებინათ ყველა დანაშაული და შეეჩერებინათ საზოგადოებრივი აზრის ძიება, გადაერჩინათ სისტემა. ამ მარტივი ხერხით შეიძლებოდა მხოლოდ საზოგადოების ერთი ნაწილის და არა მთელი საზოგადოების მოტყუება.

იოსებ სტალინის პიროვნების კულტის შესახებ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილება და ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენება არ გამოქვეყნებულა. მტკივნეული და მწვავე საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება საზოგადოებაში ეჭვს ბადებდა. **მოსახლეობის ყველა ფენაში სტალინის შესახებ დაიწყო დისკუსიები.** საზოგადოების აქტიურობა სულ უფრო იზრდებოდა, ღრმავდებოდა და ხელისუფლებისთვის მეტად საშიშ ხასიათს იღებდა. ყოველივე ეს აშკარად იგრძნობოდა საქართველოში.

2. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია. იოსებ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ ფართო ხასიათი მიიღო. რუსეთის პრესაში ბევრჯერ ეს კრიტიკა, ფაქტობრივად, ქართველი ერის ლანძღვასა და დამცირებაში გადაიზარდა. სტალინის კრიტიკის დროს ხაზი ესმებოდა მის ქართველობას. ანტიქართული პრესა მასალას ისე აწვდიდა ხალხს, რომ აშკარად თუ ფარულად ამკვიდრებდა რწმენას, თითქოს სტალინის მიერ განხორციელებულ რეპრესიებში მნიშვნელოვან როლს **ქართული ფენომენი** ასრულებდა. თუმცა სტალინის ქართველობას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ 30-იანი და შემდგომი წლების რეპრესიების დროს საქართველო არც ერთ რესპუბლიკაზე ნაკლებად არ დაზარალებულა.

ბუნებრივია, იოსებ სტალინის კულტი საქართველოში უფრო მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული. წლების მანძილზე სტალინისა და სამშობლოს სიყვარულს ერთნაირი ძალით უნერგავდნენ ახალგაზრდობას. **ქართველ ახალგაზრდობაში სტალინისა და სამშობლოს სიყვარული ერთ დონეზე იდგა.** ასეთი უეცარი და ასეთი მკვეთრი შემობრუნება ახალგაზრდობისთვის გაუგებარი გახდა. სტალინის კრიტიკას ქართველი ახალგაზრდობა საკუთარი ეროვნული თავმოყვარეობის შეურაცხყოფად აღიქვამდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ დემოკრატიზაციის დაწყებულმა პროცესებმა ხელი შეუწყო საზოგადოების აქტიურობის ზრდას, ხალხმა საკუთარი ძალა ირწმუნა.

საქართველოში საპროტესტო მოძრაობა იოსებ სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე დაიწყო. 1956 წლის 3 მარტიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იმართებოდა ცალკეული მანიფესტაციები. მანიფესტაციები სწრაფად იღებდა საყოველთაო ხასიათს. 5 მარტს კი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ დედაქალაქის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აუბა მხარი. თბილისის ცენტრალური და მტკვრის სანაპირო ქუჩები დემონსტრანტებითა და მანიფესტანტებით დაიფარა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც აღმართული იყო სტალინის ვეებერთელა მონუმენტი, დაიწყო მრავალათასიანი მიტინგები. **5-9 მარტს მიტინგებმა და დემონსტრაციებმა განუწყვეტელი ხასიათი მიიღო.** საპროტესტო მოძრაობა მოედო მთელ საქართველოს. მრავალათასიანი მიტინგები ტარდებოდა გორში, თელავში, ქუთაისში, ბათუმსა და თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში.

თბილისში გამართულ მრავალათასიან მიტინგებზე მოითხოვდნენ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცხყოფის შეწყვეტას. მომიტინგეები ასევე მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადად-

9 მარტის გამოსვლების მსხვერპლნი

გომას, კერძოდ, ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენებასა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში სტალინის ძველი თანამებრძოლის, ხრუშჩოვის მიერ განდევნილი ვიაჩესლავ მოლოტოვის დაყენებას.

მოსკოვს შეეძლო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. სამწუხაროდ, ნიკიტა ხრუშჩოვმა ძალის დემონსტრირების გზა აირჩია. **1956 წლის 9 მარტს, ღამით, საბჭოთა არმიის ნაწილებმა ტანკების გამოყენებით იერიში მიიტანეს დემონსტრანტებზე. ეს იყო არაადამიანური სისასტიკითა და დაუნდობლობით განხორციელებული სისხლიანი ანგარიშსწორება.** მოკლეს 150-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად ახალგაზრდები, მრავალი დაჭრეს და დაასახიჩრეს. დახოცილთა და დაჭრილთა რაოდენობას ხელისუფლება მუდამ საიდუმლოდ ინახავდა. დახოცილთა მშობლებსა და ახლობლებს გარდაცვლილთა ჩვეულებრივი წესით დამარხვის უფლებაც კი არ მისცეს.

გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ სისხლიანი ანგარიშსწორების მიზანი საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა იყო, როგორც ეს ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებშია წარმოდგენილი. ამის გაკეთება მთავრობას მშვიდობიანი გზით, ძალის გამოყენების გარეშეც შეეძლო. სისხლიანი ანგარიშსწორება მოსკოვს მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა, რომ სტალინის კრიტიკით გამოწვეული საპროტესტო მოძრაობა მთელ საბჭოთა კავშირში არ გავრცელებულიყო და ხელისუფლებისათვის საშიში ხასიათი არ მიეღო. საქართველოს მკაცრად დასჯა მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისთვის, სადაც სტალინს ასევე მრავალრიცხოვანი დამცველი ჰყავდა. სისხლიანი ანგარიშსწორება მოსკოვს იმისთვისაც სჭირდებოდა, რომ სტალინის დაცვის მიზნით დაწყებული მოძრაობა მომავალში ანტირუსულ, ეროვნულ მოძრაობაში არ გადაზრდილიყო.

ამ რთულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ მოსკოვის მითითებებით მოქმედებდა, უფრო სწორად, სრულ უმოქმედობას იჩენდა, ხელისუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობდა, რაც ქართველი ერის წინაშე დანაშაული იყო. სწორედ ხელისუფლების უსუსურობამ, მისმა უპრინციპობამ შეუწყო ხელი იმასაც, რომ თბილისის ტრაგედიის მომწყობთაგან არავინ დასჯილა. მეტიც, მოსკოვის ცინიზმი იქამდეც კი მივიდა, რომ 9 მარტის ტრაგედიაში კვლავ ქართველები დაადანაშაულა, ქართველ ხალხს „ნაციონალიზმი“ და შოვინიზმი დასწამა.

3. ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ ძლიერი ბიძგი მისცა ქართველი ერის ცნობიერებას. საქართველოში სერიოზულად დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა საფრთხეს უქმნიდა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცხოვრება. დაიწყო ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლის მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო. სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის მცირე ჯგუფები კონსპირაციულად ეწეოდნენ ეროვნული იდეების პროპაგანდას, ამ იდეებზე ახალგაზრდობის დარაზმვას. გაჩნდა არალეგალური ორგანიზაციები, არალეგალური გამოცემები. 50-იანი წლების ერთ-ერთი ასეთი არალეგალური ორგანიზაცია იყო **მერაბ კოსტავასა** და **ზვიად გამსახურდიას** ინიციატივით ჩამოყალიბებული ორგანიზაცია **„გორგასლიანი“**. მისი მიზანი იყო ხალხში ეროვნული თავისუფლების იდეის გაღვიძება და გაღრმავება, ეროვნული ბრძოლისთვის მეტი და მეტი ადამიანის დარაზმვა. ორგანიზაციის წევრები ბეჭდავდნენ და ხალხში არალეგალურად ავრცელებდნენ პროკლამა-

ციებს. ორგანიზაციის მიზანდასახულებაზე კარგად მეტყველებს ერთ-ერთი პროკლამაცია, რომელიც

ზვიად გამსახურდია

მათ 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიიდან გავლილ უახლოეს დღეებში გაავრცელეს: „დღეს, როდესაც მთელი შეგნებული კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის საშინელი ბოროტმოქმედებით, ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, დროა შეეერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლის წინააღმდეგ საბრძოლველად... სხვა არავინაა ჩვენი მხსნელი ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას!" სწორედ ამ პროკლამაციის საფუძველზე აღიძრა „გორგასლიანთა" წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 1956 წლის ბოლოს. ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს.

9 მარტის ტრაგედიის შემდეგ შექმნილი ერთ-ერთი არალეგალური ორგანიზაცია იყო **„სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია"**, რომელიც 1956 წლის მარტში სიღნაღში შეიქმნა. მალე ორგანიზაციამ თბილისში გადმოინაცვლა, სადაც მის წევრთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ორგანიზაცია სახავდა საქართველოს განთავისუფლების გზებს. მისმა წევრებმა არალეგალური ჟურნალის **„სიმების"** რამდენიმე ნომერიც კი გამოსცეს.

არალეგალური ორგანიზაციები იქმნებოდა 60-იან წლებშიც. თბილისში ჩამოყალიბდა და 1961-1964 წლებში მოქმედებდა **„სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავშირი"**. კავშირი რადიკალურად განწყობილმა იმ ახალგაზრდებმა შექმნეს, რომლებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველა ბოროტების, მათ შორის ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის, უმთავრესი მიზეზი თვით არსებული სისტემა, არსებული რეჟიმი იყო. ორგანიზაცია უშუალო ამოცანად საქართველოს განთავისუფლებასა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას ისახავდა. ორგანიზაცია ავრცელებდა ეროვნულ-პატრიოტული შინაარსის პროკლამაციებს. იგეგმებოდა ნიკიტა ხრუშჩოვზე თავდასხმა.

საქართველოში გაშლილმა ეროვნულმა მოძრაობამ ახალი ძალა შემატა ემიგრანტულ მოძრაობასაც. შეიქმნა **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის წევრთა კოლეგია"**, კიდევ უფრო აქტიურად დაიწყო საქმიანობა **„ქართული ეროვნული საბჭოსა და ეროვნული პოლიტიკის ცენტრმა"**. ამ ორგანიზაციებმა 1960 წელს მსოფლიოს სახელმწიფოთა წინაშე კიდევ ერთხელ დააყენეს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. დემოკრატიული და თავისუფალი საქართველო ქართველ ემიგრანტთა ბრძოლის უმთავრესი მიზანი იყო. ამ მიზნისთვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ისინი ქართველ ერს 1968 წლის 26 მაისის სპეციალურ მიმართვაში.

ამრიგად, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ შექმნილი არალეგალური ორგანიზაციების პროგრამები და მათი პრაქტიკული მოღვაწეობა ცხადყოფს, რომ ეროვნული მოძრაობა გრძელდებოდა და ამზადებდა ნიადაგს 1978 წლის პირველი დიდი გამარჯვებისათვის.

§2. აგრარული პოლიტიკა. სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენის დაძლევის უშედეგო ცდა

ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა მთელი რიგი საკვანძო პრობლემები, რომელთა გადაჭრაზე აუცილებლად უნდა ეფიქრა იოსებ სტალინის შემდგომი პერიოდის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. განსაკუთრებით მწვავედ იდგა **აგრარული პრობლემა.** 50-იანი წლების დასაწყისისათვის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა კატასტროფამდე იყო მისული. კრიზისის უმთავრესი მიზეზი ის პრინციპები იყო, რომელიც 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა და სტალინის სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი რჩებოდა. მას მხარს უჭერდნენ და ცხოვრებაში თანმიმდევრულად ახორციელებდნენ სტალინის გარემოცვიდან ისინიც კი, რომლებიც სტალინის გარდაცვალების შემდეგ აგრარულ საკითხში ახალი პოლიტიკის გატარების ინიციატორები გახდნენ. ერთ-ერთი პირველი გიორგი მალენკოვი იყო.

გიორგი მალენკოვი რეალურად აფასებდა საბჭოთა ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას და ცდილობდა, რომ ქვეყნის ეკონომიკა გადაეყვანა უფრო სტაბილურ საფუძველზე, გარდაექმნა იგი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მისი მართვა უფრო მოქნილი და სრულყოფილი გაეხადა. მალენკოვის მოსაზრება საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმრავლესობამ მიუღებლად ჩათვალა და მას აშკარად დაუპირისპირდა. გიორგი მალენკოვის ხაზს განსაკუთრებით ნიკიტა ხრუშჩოვი ეწინააღმდეგებოდა. ცხადი გახდა, რომ ქვეყნის სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნისთვის

ბრძოლა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ნაწილად იქცა.

სტალინის გარდაცვალებამდეც და სტალინის გარდაცვალების შემდეგაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ საკოლმეურნეო წყობილება არარენტაბელური იყო, მაგრამ მის აღიარებას ვერავინ ბედავდა. საკოლმეურნეო წყობილების არარენტაბელურობის აღიარება თვით სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ გამოსვლის ტოლფასი იქნებოდა, ხოლო ასეთ გაბედულთა ხვედრი საბჭოთა ქვეყნის მოღალატედ გამოცხადება იყო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არჩია წასულიყო არსებულის შელამაზების, სანახევრო გარდაქმნების, დათმობების, სოფლისადმი ზეწოლის სანახევროდ შერბილების გზით. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვში 1953 წლის სექტემბერში. იგივე პოლიტიკა ტარდებოდა საქართველოში.

1953-1955 წლებში გატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები: გადიდდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდება სოფლის მეურნეობაში; განმტკიცდა სოფ-

ქართველი კომკავშირლები მიეშურებიან ყამირისაკენ

ლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებით უზრუნველყოფას; სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე გაიზარდა შესასყიდი ფასები; შემცირდა კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსთვის ჩასაბარებელი ნორმები; შემცირდა გადასახადები კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე; მათ მიეცათ შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაეზარდათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები; კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ ადრინდელი სახელმწიფო ვალები; გარკვეულად შესუსტდა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საკუთარ მეურნეობებზე მიჯაჭვის სტალინის დროინდელი რეჟიმი; მეტი ყურადღება მიექცა შრომის შედეგებით სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაზრდას.

ყამირის ათვისებისადმი მიძღვნილი სააგიტაციო პლაკატი

სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემას მარცვლეულის პრობლემა წარმოადგენდა. მარცვლეულის გაზრდის მიზნით 1954 წელს მოსკოვში ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება ყაზახეთში, ციმბირსა და სხვა ადგილებში **ყამირი და ნასვენი მიწების** ათვისების შესახებ. დაგეგმილი 13 მილიონი ჰექტარის ნაცვლად უახლოეს წლებში აითვისეს 33 მილიონი ჰექტარი მიწა. ქვეყნის მარცვლეულით მომარაგების პრობლემის გადაჭრისთვის, ერთი შეხედვით, სწორმა გადაწყვეტილებამ, საბოლოო ჯამში, პრობლემა ვერ გადაჭრა. მეცნიერ-ნიადაგმცოდნეები და აგრონომები ყამირი და ნასვენი მიწების დიდ მომავალს წინასწარმეტყველებდნენ, ოღონდ იქაური პირობების გათვალისწინებით ამ მიწების ათვისების ვადას 25-30 წლით განსაზღვრავდნენ. ხრუშჩოვს კი აჩქარებით, ხელის ერთი დაკვრით უნდოდა საკითხის გადაჭრა. ყამირის ათვისება პატიმართა შრომის გამოყენებით დაიწყო. შემდეგ აქ იგზავნებოდა ასეულათასობით „მოხალისეები", უმეტესად – ახალგაზრდობა, იაფი მუშახელი, რომელთა შრომა თითქმის უსასყიდლოდ გამოიყენებოდა. **უფრო მეტიც, არ უფიქრიათ ადამიანებისთვის ნორმალურ საცხოვრებლებზე, მომარაგებაზე, არც გზებზე, არც ჭირნახულის დაბინავებაზე და ა. შ. მიღებული მოსავალი ღია ცის ქვეშ დაყრილი, ნიავდებოდა, ლპებოდა. არ გაითვალისწინეს მეცნიერთა რჩევა და ყამირი მიწების დიდი ნაწილი, ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით, რისკის ზონაში იქნა ათვისებული. მიწების ღრმად მოხვნამ გამოიწვია წყალგამტარიანობის ზრდა და მალე უზარმაზარი ტერიტორია უნაყოფო ველებად იქცა.**

„ყამირის ეპოპეის" გარეშე, ცხადია, ვერც საქართველო დარჩებოდა. **საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რათა ყამირის ათვისების საქმეში მნიშვნელოვანი „წვლილი" შეეტანა.** ათასობით ახალგაზრდა, ძირითადად, სტუდენტობა იგზავნებოდა ყამირზე. 1956 წელს ყამირ მიწებზე გაიგზავნა 2 ათასი, 1957 წელს – 6 ათასი, ხოლო 1958 წელს – 7 ათასი „ენთუზიასტი":



საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა და გერბი

კოლმეურნე, სტუდენტი, სპეციალისტი და სხვ. ყამირზე მათ უზარმაზარი სამუშაოები ჩაატარეს. ეს ხდებოდა მაშინ, როცა თვით საქართველოს სოფლის მეურნეობა მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. **თუკი ყამირზე გაგზავნილ მუშახელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში გამოიყენებდნენ, გასაგებია, მათ რამდენი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ.** ყამირზე იგზავნებოდა აგრეთვე დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მანქანები, მექანიზატორთა კადრები. ეს კი საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ისედაც დაბალ დონეს კიდევ უფრო აუარესებდა.

„ყამირის ეპოპეას" საქართველოსთვის კიდევ ის უარყოფითი შედეგი მოჰყვა, რომ **საქართველოს ხელმძღვანელობამ, მოსკოვის გულის მოგების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკაშიც „გამონახა" ყამირი მინები. მოსკოვში იგზავნებოდა შეტყობინებები, თუ როგორ წარმატებებს აღწევდნენ „შიდა ყამირის" ათვისებაში. სამწუხაროდ, უმეტესწილად ეს იყო ტრადიციული საძოვრები.** მათი „ყამირად" გამოცხადება და მოხვნა საგრძნობლად ამცირებდა საძოვრებს და ძალზე უარყოფითად მოქმედებდა მესაქონლეობის, ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგის, განვითარებაზე.

ყამირის ათვისებასთან ერთად ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით დაიწყო მეორე დიდი კამპანია – **სიმინდის ნათესების გაზრდის კამპანია.** 1956 წელს სოფლის მეურნეობის წინაშე უმთავრეს ამოცანად დაისახა სიმინდის ნათესების გაზრდა. ხრუშჩოვის მითითებით სიმინდი უნდა ეთესათ ყველგან. მისთვის არაფერსაც არ ნიშნავდა ის, რომ სიმინდი სითბოს მოყვარული კულტურაა. ხრუშჩოვს სჯერდა, რომ იქ, სადაც სიმინდი არ ხარობს, დამნაშავეა არა კლიმატური პირობები, არამედ ხელმძღვანელობა. ძვირად დაუჯდა საბჭოთა ქვეყანას სიმინდის ეს ნაღვლიანი ისტორია, ძვირად დაუჯდა იგი საქართველოსაც. დაიწყო სიმინდის ნათესების ზრდა. სიმინდის ეპოპეამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო საქართველოში ნიკიტა ხრუშჩოვის სტუმრობის და მისი „დარიგებების" შემდეგ. ხრუშჩოვი კახეთს ეწვია. კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წარმომადგენლების თათბირზე იგი კახელებს მიმართავდა: „თქვენ დიდი ნაკლი გაქვთ, ვენახებს ვაკე ადგილებში აშენებთ. მე გირჩევთ – ვენახები ამოძირკვოთ ვაკე ადგილებში და იქ სიმინდი დათესოთ. თქვენი ხსნისა და სიმდიდრის წყარო ამიერიდან სიმინდი უნდა გახდეს". **ცხადია, ხრუშჩოვის ეს „რჩევები" ქართული გლეხური მეურნეობის საუკუნოვანი ტრადიციებისა და გამოცდილების უგულებელყოფას ნიშნავდა.** ვენახების აჩეხვას საქართველოს დაუძინებელი მტრები: არაბები, თურქ-სელჩუკები და მონღოლები ახორციელებდნენ. ხრუშჩოვს დაახლოებით მსგავსი რამის გაკეთება უნდოდა, ოღონდ ქართველების ხელით. სამწუხაროდ, საქართველოს ხელმძღვანელობიდან ვერავინ ბედავდა, რომ მისთვის სიმართლე ეთქვა. მეტიც, ხრუშჩოვის „ბრძნული" რჩევების პრაქტიკული ხორცშესხმისთვის გაიშალა ფართო მასობრივ-პროპაგანდისტული მუშაობა. ამ პროპაგანდისტულ ღონისძიებებს გლეხები გულგრილად ხვდებოდნენ. მათ საუკუნოვანი გამოცდილებით კარგად იცოდნენ, რომ იმ რაიონებში, სადაც მათ სიმინდს ძალდატანებით ათესინებდნენ, ყოველი ცდა გაუმართლებელი და უშედეგო იქნებოდა. ასეც მოხდა. თანდათანობით შემცირდა სიმინდის მოსავლიანობა, 1958 წელთან შედარებით 1965 წელს მან 9 პროცენტით იკლო.

ნიკიტა ხრუშჩოვი აგიტაციას უწევს სიმინდის თესვის კამპანიას

სოფლის მეურნეობას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი ზიანი მიაყენა ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ 1957 წლიდან წამოწყებულმა კიდევ ერთმა კამპანიამ. ხრუშჩოვის ლოზუნგი ასეთი იყო: **უახლოეს 3-4 წელიწადში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოებით.** ხრუშჩოვის ეს სურვილი რეალურ საფუძველს მოკლებული იყო. 1956 წელს ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებდა 16 მილიონ ტონა ხორცს, საბჭოთა კავშირი კი – 7,5 მილიონ ტონას.

რეალურ შესაძლებლობებს მოკლებული ნაჩქარევი გადაწყვეტილებები პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც ავანტიურიზმს ბადებდა. ყოველივე ამას ვერ ასცდა საქართველოც. რაიონების ხელმძღვანელები ზემდგომი პირების გულის მოგების მიზნით ყველაფერს აკეთებდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, შეესრულებინათ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულებები. უფრო მეტიც, ილებდნენ გაზრდილ ვალდებულებებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს აიძულებდნენ, რომ პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვი სახელმწიფო დამზადების ანგარიშზე ჩაებარებინათ. ჩაბარებული

ხორცის საფასურს სახელმწიფო ხშირად დაგვიანებით იხდიდა. ნიკიტა ხრუშჩოვის ეს ნამოწყებაც ჰაერში გამოკიდებული დარჩა. როგორც მოსალოდნელი იყო მთელი საბჭოთა კავშირი და მათ შორის საქართველოც **ამ წამოწყებამ პირუტყვის განადგურებამდე, სულადობის შემცირებამდე და მესაქონლეობის დარგში სრულ კრიზისამდე მიიყვანა.** საქართველოს მეცხოველეობა საგანგაშო მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1965 წლისათვის მარტო საკოლმეურნეო პირუტყვის რაოდენობა 13 პროცენტით შემცირდა. ასევე საგრძნობლად შემცირდა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მეცხოველეობის პროდუქციის ხვედრითი წილი.

სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გამოსწორებისათვის უმაღლესმა ხელისუფლებამ კიდევ ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა. ეს იყო **1958 წელს განხორციელებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია.** გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ წელიწადში მანქანა-ტრაქტორთა

ნიკიტა ხრუშჩოვი და კუბელი კომუნისტების ბელადი ფიდელ კასტრო სტუმრად საქართველოში (1961 წ.)

სადგურები გაუქმდა, მათი ტექნიკა კოლმეურნეობებს იძულებით მიეყიდა. საქართველოში გაუქმდა 95 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, კოლმეურნეობებს მიეყიდათ მათი ტექნიკის 80 პროცენტი. ამან კოლმეურნეობები უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა. უკვე სანახევროდ გაცვეთილი ტექნიკა კოლმეურნეობებს საბითუმო ფასებში მიჰყიდეს, რაც ბევრად აღემატებოდა სახელმწიფო ფასებს. მეტიც, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შემდეგ სახელმწიფომ სოფლის მეურნეობიდან სახსრების ამოქაჩვის საშუალებად აქცია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მის სათადარიგო ნაწილებზე ფასების ზრდა. იგი უახლოეს წლებში 2-2,5-ჯერ გაზარდა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ **მეექვსე ხუთწლედს (1956-1960 წწ.)** განხორციელება არ ეწერა, მისი დავალებების შესრულება სამარცხვინოდ ჩაიშლებოდა. გამოსავალი კვლავ ნაჩქარევად იპოვეს: 1959 წელს სასწრაფოდ მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა და მიიღეს ახალი, სახალხო მეურნეობის განვითარების **შვიდწლიანი გეგმა (1959-1965 წწ.).** სკკპ XXI ყრილობა კიდევ უფრო მოწყდა სინამდვილის რეალურ შეფასებას. თუ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები იმ დებულებით იკვებებოდა, რომ საბჭოთა კავშირში უკვე არსებობდა „რეალური სოციალიზმი", სკკპ XXI ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაუდო ახალი დასკვნა, რომ „საბჭოთა კავშირში სოციალიზმმა სრულად და საბოლოოდ გაიმარჯვა" და ქვეყანა შევიდა „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში". ცხადია, ამ ფანტაზიით, ამ „საპროგრამო დებულებების" გათვალისწინებით შედგა შვიდწლიანი გეგმა.

შვიდწლედით დასახული „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის" გზაზე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო **კოლმეურნეობათა გამსხვილება.** სინამდვილეში კი ეს იყო სოფლის მეურნეობაში უმძიმესი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გარეგნულად თავგანწირული, შინაგანად კი ძალზე უსუსური ცდა. კოლმეურნეობათა გამსხვილებაში გამოსავლის ძებნა ახალი არ იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ იგი, ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში განახორციელა. 1959 წელს დაიწყო კოლმეურნეობათა გამსხვილების ახალი ეტაპი. ამ პროცესს იმით ამართლებდნენ, რომ, თითქოს, გამსხვილებულ კოლმეურნეობებში უფრო ადვილად გადაიჭრებოდა ეკონომიკური პრობლემები, უფრო მეტად გაუმჯობესდებოდა კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა.

საქართველოში კოლმეურნეობათა გამსხვილების პროცესი 1959 წლიდან დაიწყო. 1959 წელს რესპუბლიკაში იყო 2063 კოლმეურნეობა, 1965 წელს კი მათი რიცხვი 1431-მდე შემცირდა. გამსხვილებულ კოლმეურნეობებში გაიზარდა კომლთა რიცხვი, ასევე გაიზარდა სავარგულებისა და ნათესი ფართობების რაოდენობა. კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგები სავალალო და უარყოფითი იყო საქართველოსათვის. მართალია, გამსხვილებული კოლმეურნეობების ნათესი ფართობები გაიზარდა, მაგრამ მთლიანად რესპუბლიკაში კოლმეურნეობების ნათესი ფართობები შემცირდა, შემცირდა ასევე პირუტყვის რაოდენობა. კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი კი თითქმის 4 პროცენტით შემცირდა. კოლმეურნეობათა გამსხვილებას არანაკლებ უარყოფითი სოციალური შედეგი მოჰყვა – გაძლიერდა სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში. მთელი რიგი სოფლები, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, დაცარიელდა. 1959-1965 წლებში საკოლმეურნეო კომლთა რაოდენობა 5,6 პროცენტით შემცირდა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დაბალი დონის პირობებში კოლმეურნეობის წევრთა საერ-

თო რაოდენობის შემცირება სოფლის ეკონომიკური დაუძლურების რეალურ საფუძველს ქმნიდა.

სოფლის მეურნეობაში წარუმატებლობათა საფუძველი თვით საკოლმეურნეო წყობილება იყო. ამასთან ერთად, კრიზისი დააჩქარა იმანაც, რომ არ ითვალისწინებდნენ სოფლის რეალობას, სოფლის მოსახლეობის სურვილებს, სოფლის ცხოვრების მრავალფეროვნებას. საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ აინტერესებდა. ამ „საერთო წესისაგან" გამონაკლისი არც ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლება იყო. საქართველოს ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ წასვლის არც სურვილი და არც შესაძლებლობა ჰქონდა.

სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა 1963 წლის გვალვიანმა წელმა. ცხადი გახდა, რომ ქვეყანამ ვერ შეძლო სტიქიური უბედურების შემთხვევაში სათანადო პურის მარაგის შექმნა. ისევე, როგორც 30-იან წლებში, ისევე როგორც 1947 წელს, დაიწყო პურზე რიგები, შეიზღუდა პურის თავისუფალი გაყიდვა. მოახლოებული სასურსათო კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით ხელისუფლება იძულებული გახდა დაეწყო საზღვარგარეთ პურის შესყიდვა. საბჭოთა კავშირის ოქროს მარაგი ამერიკის შეერთებული შტატების ფერმერთა გასამდიდრებლად გაედინებოდა მაშინ, როდესაც ქვეყნის შიგნით გლეხური მეურნეობები სისტემატურ უსახსრობასა და შევიწროებას განიცდიდნენ.

შვიდწლიანი გეგმა ვერ შეასრულდა. შვიდწლედის შედეგებმა ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის, და მასთან ერთად საქართველოს, სოფლის მეურნეობამ კრიზისს თავი ვერ დააღწია. სოციალისტური სისტემის ფარგლებში სოფლის მეურნეობის აღმავლობა წარმოუდგენელი იყო.

§3. მრეწველობის აღმავლობის წარუმატებელი ცდა

ომის შემდეგ, 1945-1946 წლებში, სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულების შესახებ დისკუსია იმით დამთავრდა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაუბრუნდა ეკონომიკური განვითარების ომამდელ მოდელს. გაბატონებული გახდა შეხედულება იმის შესახებ, რომ სოციალისტურ ეკონომიკას მისი განვითარების ყველა საფეხურზე სჭირდებოდა წარმოების საშუალებათა უპირატესი ზრდა, რომ მძიმე მრეწველობის განვითარება უნდა ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის გენერალური ხაზი.

ომის შემდგომი წლები აღინიშნა მძიმე მრეწველობის დიდი აღმავლობით, მოხმარების საგნების წარმოება კვლავ დაბალ დონეზე რჩებოდა. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ კიდევ ერთხელ დადგა ეკონომიკის განვითარებაში ძირითადი მიმართულების საკითხი. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სოციალიზმის ეკონომიკური დოქტრინის ძირითადი პრინციპების ერთგული დარჩა. ასეთი კურსი თავიდანვე განსაზღვრავდა ეკონომიკაში მოსალოდნელ სტრუქტურულ დაპირისპირებას. მძიმე მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ხარჯზე უფრო შემცირდებოდა მოხმარების საგნების წარმოება.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მთელი მოწინავე მსოფლიო მოიცვა **მეცნიერულ-ტექნიკურმა**



პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი" (1957 წ.)

რევოლუციამ. სახალხო მეურნეობაში ფართოდ ინერგებოდა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, რომლის საფუძველზე იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. შესაბამისად, მძლავრი ტემპით ვითარდებოდა ეკონომიკა. ამან დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნები მალე გაიყვანა პოსტინდუსტრიული განვითარების საფეხურზე. უკვე აშკარა, ძალზე შესამჩნევი ხდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობათა შორის მზარდი განსხვავება.

ზემოთქმულის მიუხედავად, საბჭოთა კავშირში 50-60-იან წლებში **მატერიალური რესურსების მაქსიმალური ცენტრალიზაციისა და ადამიანური რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მრეწველობის ცალკეულ დარგში მიღწეულ იქნა წარმატებები.** დაიწყო განვითარება ახალმა, პერსპექტიულმა დარგებმა – ატომურმა მრეწველობამ, ენერგეტიკამ. ატომური ენერგიის სამხედრო მიზნისათვის გამოყენების დარგში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლია ლიკვიდირებულ იქნა ჯერ კიდევ 1949-1954 წლებში. დაიწყო მუშაობა ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისთვის. 1954 წელს ამუშავდა პირველი ატომური ელექტროსადგური, შემდეგ კი დაიწყო მსგავსი ატო-

მური ელექტროსადგურების მშენებლობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში. 1957 წელს, პირველად ისტორიაში, ბალტიის ზღვაში ჩაუშვეს ატომური ყინულმჭრელი. 1961 წლის 12 აპრილს კოსმოსში გავიდა პირველი ადამიანი – იური გაგარინი. დაჩქარებული ტემპებით ვითარდებოდა ელექტროენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობა და სხვა დარგები. ამასთან ერთად უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი კვლავ სამხედრო მრეწველობის განვითარებას ემსახურებოდა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ეკონომიკურ სისტემას მიიჩნევდა მართებულად და უცვლელად. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზებს ეძებდა არა თვით ეკონომიკურ სისტემაში, არამედ მის გარეთ. **ჩამორჩენის მთავარ მიზეზებად მიიჩნევდნენ ბიუროკრატიზმსა და მმართველობის უმკაცრეს ცენტრალიზაციას.** ამიტომაც ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი ადმინისტრაციული გარდაქმნების აქტიური გატარება იყო. ადმინისტრაციული გარდაქმნების დაგვირგვინებას წარმოადგენდა 1957 წელს **მმართველობის სისტემის ტერიტორიული პრინციპით გარდაქმნა და სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა.** სპეციალური დადგენილებით გაუქმდა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროები და მათ ნაცვლად შეიქმნა მმართველობის ტერიტორიული ორგანოები – **სახალხო მეურნეობის საბჭოები.** საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო შეიქმნა 1958 წელს. რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, მათ შორის საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, მიეცათ უფლება, ემართათ რესპუბლიკების ეკონომიკა და ეზრუნათ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე. ამ რეფორმამ შესაძლებელი გახადა, რომ რესპუბლიკური მნიშვნელობის ბევრი საკითხი ადგილზევე გადაწყვეტილიყო. ბოლო ელებოდა სხვადასხვა უწყების მიერ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დუბლირებას. პირველი შედეგები თითქოს იმედის მომცემი ჩანდა.

ცვლილებები საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის მალე მიულებელი აღმოჩნდა. **გაძლიერდა ადგილობრივი ტენდენციები, რესპუბლიკები და რეგიონები როგორღაც ჩაიკეტნენ თავის თავში, შეიქმნა ბევრი ნვრილი, ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმო. რესპუბლიკები თავისი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად განსაზღვრავდნენ.** საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამას ვერ ურიგდებოდა. რესპუბლიკების სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის ზრდა მოსკოვს ძალზე აშფოთებდა. ცენტრალიზაციისაკენ საბჭოთა ხელისუფლების ტრადიციულმა მისწრაფებამ მალე იჩინა თავი. კოლმეურნეობების გამსხვილების მსგავსად დაიწყო სახალხო მეურნეობის საბჭოების გამსხვილებაც. ამ პროცესს 1963 წელს მოჰყვა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნა. 1965 წელს კი სახალხო მეურნეობის საბჭოები საერთოდ გაუქმდა და აღდგა დარგობრივი სამინისტროები. ამრიგად, წინანდელი ეკონომიკური იერარქია კვლავ აღდგა, მაგრამ უფრო დამახინჯებული სახით, ვიდრე ეს იყო სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამდე. უფრო სავალალო შედეგი კი ის იყო, რომ მოხდა „ტერიტორიული მმართველობის" იდეის დისკრედიტაცია.

ამრიგად, XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების დამდეგს გატარებული ყველა ღონისძიება შეეხო ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციის პრობლემას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო მთავარი – ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, მატერიალური დაინტერესების ზრდა და სხვა კვლავ ყურადღების გარეშე დარჩა. ადმინისტრაციული რეფორმებით კი ეკონომიკის წინსვლა შეუძლებელი იყო.

საბოლოო ჯამში, ეკონომიკის დარგში გატარებულმა ხრუშჩოვისეულმა რეფორმებმა კრახი განიცადა. ქვეყნის ეკონომიკის წინსვლა შეჩერდა. ხშირმა და გაუმართლებელმა რეფორმებმა, რასაც ემატებოდა სამხედრო მრეწველობის დაჩქარებული განვითარება, დიდი სახსრები შთანთქა. უმაღლესი ხელისუფლება მიხვდა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების **მეექვსე ხუთწლიანი გეგმა (1956-1960 წწ.)** სრული ჩავარდნისათვის იყო განწირული, მისი შეუსრულებლობა ეჭვს არ იწვევდა. ამიტომ, 1959 წელს მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელმაც გააუქმა მეექვსე ხუთწლიანი გეგმა და მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების **შვიდწლიანი გეგმის** დირექტივები. XXI ყრილობა უფრო მეტად მოწყდა სინამდვილის ობიექტურ შეფასებას და აღიარა, რომ საბჭოთა კავშირში „სოციალიზმმა სრულად და საბოლოოდ გაიმარჯვა", რომ საბჭოთა კავშირი შევიდა „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში". კიდევ უფრო ამბიციური და დაუსაბუთებელი იყო ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის განცხადება იმის შესახებ, რომ შვიდწლედის შესრულების შედეგად, 1965 წელს, საბჭოთა კავშირი დაეწეოდა და გაასწრებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და მსოფლიოში პირველ ადგილს დაიკავებდა როგორც წარმოების აბსოლუტური ოდენობით, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ცხადია, ამ ეიფორიის შესაბამისად, და არა ობიექტური პირობების გათვალისწინებით, შვიდწლედში ეკონომიკის განვითარების კიდევ უფრო არარეალური, გადაუჭრელი ამოცანები დაისახა.

შვიდწლედის მანძილზე საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია უნდა გაზრდილიყო 75 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება – 87 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება – 57 პროცენტით. პროდუქციის წარმოების გადიდებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა შრომისნაყოფიერების ზრდას. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში წამყვანი ადგილი ეთმობოდა მძიმე ინდუსტრიის დარგების – მანქანათმშენებლობის, ელექტროენერგეტიკული მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებას, ქვანახშირის, მანგანუმის მადნის მოპოვების გაზრდას და სხვ.

შვიდწლედის პირველსავე წლებში ცხადი გახდა, რომ მიღებულ გეგმაში ბევრი რამ დაკონკრეტებული არ იყო, არ იყო გათვალისწინებული რეალური შესაძლებლობანი, რესპუბლიკების თავისებურებანი. **დაიწყო სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების შენელება.** მოსკოვი იძულებული გახდა 1960 წლის ბოლოს შვიდწლიან გეგმაში კორექტივები შეეტანა. შვიდწლედში ცვლილებები შეიტანა საქართველოს ხელისუფლებამაც. კორექტივები ითვალისწინებდა შვიდწლედის გეგმური დავალების შემცირებას, რათა შემდეგ გადაჭარბებით შეესრულებინათ შემცირებული გეგმები და ამით დაეფარათ ნეგატიური მოვლენები, რომლებიც განაპირობებდნენ ეკონომიკური წინსვლის შეჩერებას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შვიდწლედის „გადაჭარბებით" შესრულება მით უფრო აუცილებლად სჭირდებოდა, რადგან 1961 წლისათვის უკვე მომზადებული იყო **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა,** რომლის მიხედვით ოც წელიწადში უკვე უნდა **„აშენებულიყო კომუნიზმი"**. ბუნებრივია, თუ შვიდწლიანი გეგმა ვერ შესრულდებოდა, ე. ი. კომუნისტური მშენებლობის პირველივე ხუთი წელი, ნაცვლად წარმატებისა, მარცხით დამთავრდებოდა. ეს კი კომუნისტური იდეოლოგიისათვის, კომუნისტური პროპაგანდისათვის დიდი დარტყმა იქნებოდა.



თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა

როგორც ყოველთვის, შვიდწლედშიც სახალხო მეურნეობის წინსვლის მთავარ ბერკეტად საბჭოთა ხელისუფლებას მიაჩნდა პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის კარგად ორგანიზებული სისტემა და კვლავ შიშველ ენთუზიაზმზე დაყრდნობით მასების „კომუნისტური შეგნებულობის" ზრდა. მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის დადასტურებად კვლავ ითვლებოდა „სოციალისტური შეჯიბრებები". განსაკუთრებით ფართო პროპაგანდა ეწეოდა 1958 წლიდან დაწყებულ სოციალისტური შეჯიბრებების „თვისებრივად ახალ ფორმას" – შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას.

შვიდწლედში, როგორც აღვნიშნეთ, კვლავ დიდი უპირატესობა ენიჭებოდა მძიმე ინდუსტრიის წამყვანი დარგების განვითარებას. ეს კი სრულიადაც არ შეესაბამებოდა საქართველოს ეკონომიკის ინტერესებს. მძიმე ინდუსტრიის უმსხვილესი სანარმოების მშენებლობა და საბჭოთა უნიტარული სახელმწიფოს ერთიან სამრეწველო კომპლექსში საქართველოს ჩართვა შორს გამიზნულ გეგმას ემსახურებოდა. ამ გეგმის მიზანი იყო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ნულოვან დონემდე დაყვანა. ეს პროცესი გარეგნულად საკმაოდ შენიღბული ფორმით, ეგრეთ წოდებული „ერთა ფაქტობრივი უთანაბრობის დაძლევის" დევიზით მიმდინარეობდა. **საქართველოში ქარხანა-გიგანტები შენდებოდა ისე, რომ მოწყობილობებსა და ნედლეულს იღებდნენ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, უმეტესად რუსეთიდან. საქართველოს მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა. საზღვარგარეთ გაჰქონდათ აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. გატანილი პროდუქციის საფასურიდან საქართველოს ბიუჯეტში მხოლოდ მიზერული თანხა ირიცხებოდა.**

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების სუსტად დანერგვის გამო, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში ძალზე დაბალი იყო შრომისნაყოფიერება. ასეთ შემთხვევაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა ხდებოდა არა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზით, არამედ უმეტესწილად კაპიტალდაბანდების ზრდისა და შესაბამისად ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის ხარჯზე. 1956-1965 წლებში საქართველოში აშენდა და ამუშავდა 176 ახალი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის ისეთი საწარმო-გიგანტები, როგორიცაა: თბილისის ელექტრომანქანათმშენებელი, თბილისის ელმავალმშენებელი, ავჭალის სილიკატური აგურის, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნები და სხვა. მრავალი ათეულობით ახალი ქარხანა, სადაც კვლავ დაბალი იყო მექანიზაციის დონე, უდიდესი რაოდენობით მუშახ-

ელს მოითხოვდა. ამით კი, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობა ზარალდებოდა. **სოფლიდან ხდებოდა მუშახელის გადაქაჩვა მრეწველობაში.** 1965 წელს 1958 წელთან შედარებით მრეწველობასა და მშენებლობაში ჩაბმული მოსახლეობის რიცხვი 4 პროცენტით გაიზარდა. მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობის რიცხვი 8 პროცენტით შემცირდა. **ამასთან ერთად, უხეშად ირღვეოდა ადამიანთა უფლებები – ემუშავათ და ეცხოვრათ იქ, სადაც მათ სურდათ. ამ პროცესის ყველაზე უარყოფითი შედეგი კი მაინც ის იყო, რომ წინასწარგამიზნულად ხდებოდა საქართველოში სხვადასხვა ერების (უმეტესად რუსების) დიდი რაოდენობით ჩამოსახლება და მათი დასაქმება ახალ ფაბრიკა-ქარხნებში. ე. ი. გრძელდებოდა ადრინდელი რუსიფიკატორული პოლიტიკა, მშვიდობიანი, შენიღბული გზით გარუსების პოლიტიკა.** მოსკოვმა რუსი მოსახლეობის სახით საქართველოში ძლიერი სოციალური დასაყრდენი შეიქმნა.

განვლო იმედების, მოლოდინის, ოცნებების, ხმაურიანმა შვიდმა წელმაც. შვიდწლედი დამთავრდა. „კომუნისტური საზოგადოების" მშენებლობის რომანტიკამ შედეგი ვერ გამოიღო. შვიდწლედში მრეწველობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი შენელდა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო მსუბუქ მრეწველობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მოხმარების საგნების წარმოება ისედაც მეორე რიგში იყო გადატანილი, შვიდწლედში ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა. მსუბუქი მრეწველობის თითქმის ვერც ერთმა დარგმა (მათ შორის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის წარმოება და სხვ.) შვიდწლედის გეგმური დავალება ვერ შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ შვიდწლედში 1960 წელს შეტანილი კორექტივებით ეს დავალებები ისედაც შემცირებული იყო.

ოფიციალური მონაცემებით, ერთგვარად გაიზარდა კვების მრეწველობის დარგების წარმოება, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ზრდა უმნიშვნელო იყო. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ სწორედ ამ პერიოდში მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, ფართო გაქანება მიიღო ე. წ. „მიწერებმა" და სხვა სახის სტატისტიკურმა მაქინაციებმა, რაც ხელისუფლებას აუცილებლად სჭირდებოდა სახალხო მეურნეობის წინსვლის მოჩვენებითობის შესაქმნელად.

ამრიგად, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის აღმავლობას ხელისუფლება ადმინისტრაციული გარდაქმნებით ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ხელისუფლების მიერ არჩეული გზა მცდარი და გაუმართლებელი იყო. ქვეყნის ეკონომიკაში კრიზისის დაძლევა ვერ ხერხდებოდა.

§4. სოციალური პოლიტიკა. მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა

საბჭოთა კავშირში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა ხელისუფლების სოციალურ პოლიტიკასა და მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას.

არასწორმა აგრარულმა პოლიტიკამ, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევის უშედეგო ცდამ, გლეხთა ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ხელისუფლება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უყურებდა როგორც სოფლის მეურნეობიდან სახსრების ამოქაჩვის რეზერვს, ხოლო კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა პირად საკარმიდამო მეურნეობებს კი მიიჩნევდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდის ეკონომიკურ რეზერვებად.

1953 წლის აგრარულმა კურსმა, რომელიც კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას ზრდიდა, საგრძნობლად გააუმჯობესა კოლმეურნეთა და სოფლის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა. სოფლის მოსახლეობას მიეცა უფლება ჰყოლოდა საქონელი, განსაზღვრული რაოდენობის სხვა პირუტყვი, ფრინველი. გაუმჯობესდა არა მარტო კოლმეურნეობებისა და ქალაქის ტიპის მცირე დასახლებების მდგომარეობა, არამედ თვით დიდი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების საქმეც. მაგრამ, როგორც კი სოფლის მოსახლეობა ოდნავ ფეხზე დადგა, სახელმწიფომ დათმობები, ფაქტობრივად, უკანვე წაიღო. მომდევნო ხანებში 1953 წლის აგრარულმა კურსმა იმდენად სერიოზული ცვლილებები განიცადა, რომ მისგან არსებითად აღარაფერი დარჩა.

დაიწყო პირადი დამხმარე მეურნეობების წინააღმდეგ ეტაპობრივი შეტევა. აიკრძალა კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწების გაზრდა საზოგადოებრივი მიწების ხარჯზე. პირიქით, დაიწყო კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში გადაცემული საკარმიდამო მიწების შემცირება. საკარმიდამო მიწების შეკვეცა მიმდინარეობდა დევიზით: ბრძოლა საზოგადოებრივი მიწების განიავების წინააღმდეგ, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევების ლიკვიდაციისთვის და სხვა. ამ პოლიტიკის შესაბამისად საქართველოს სოფლებში დაიწყო კოლმეურნეთათვის პირადი საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიწების ჩამოჭრა და კოლმეურნეობებისთვის გადაცემა. ამ ღონისძიებამ მეტად უარყოფითი შედეგები გამოიღო. კოლმეურნე გლეხებისთვის ჩამორთმეულ საკარმიდამო ნაკვეთებზე, უმეტეს შემთხვევაში, გაშენებული იყო მრავალწლიანი ნარგავები. კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთებზე მეურნეობას სა-

თანადოდ გაძღოლოდნენ. ისინი, ფაქტობრივად, ნადგურდებოდნენ. კოლმეურნეთა კერძო საკუთრებაში არსებული პირუტყვის ოდენობის შეზღუდვა „ადგილობრივი პირობების შესაბამისად" ხორციელდებოდა. დაწესდა შეზღუდვები, ფაქტობრივად,

მეცხოველეობის კომპლექსი

კი შეწყდა პირად მეურნეთათვის პირუტყვის საკვების მიყიდვა. გაიზარდა დაბრკოლებები პირადი მეურნეობებიდან მიღებული პროდუქტების ბაზარზე გატანისა და გაყიდვის საქმეში. ამას დაემატა 1959 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც 2-3 წლიწადში საბჭოთა მეურნეობებს თავიანთი მუშაკებისგან უნდა შეესყიდათ მთელი პირუტყვი. თავისი კოლმეურნეებისგან პირუტყვის „ნებაყოფლობით" შესყიდვის რეკომენდაცია მიეცათ კოლმეურნეობებსაც. ეს იყო კერძო სექტორზე შეტევის ახალი ტალღა. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს პირუტყვის მიღებისა და შენახვის პირობები არ ჰქონდათ, ამიტომ ხშირად კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობებისთვის გადაცემული პირუტყვი პირდაპირ სასაკლაოზე იგზავნებოდა. ამის გამო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის რაოდენობა გაზრდის ნაცვლად კატასტროფულად მცირდებოდა. ამრიგად, დაიწყო სოფლის მოსახლეობის ახალი „განგლეხების" პროცესი. თუ აქამდე მათ უპირატესად „ათავისუფლებდნენ" მიწისაგან, ახლა დაიწყო მათი „გათავისუფლება" გლეხთა ოჯახების გამომკვები საშუალებისაგან – პირუტყვისაგან.

გლეხთა პირადი საკუთრების შეზღუდვის გზაზე შემდეგ ნაბიჯად იქცა 1961 წელს სკკპ XXII ყრილობაზე მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა. იგი ითვალისწინებდა ორ ათეულ წელში კომუნისტური საზოგადოების აშენებას. ამ პროგრამის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ შეიქმნებოდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დამკვიდრდებოდა ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრება, განხორციელდებოდა კომუნიზმის მთავარი პრინციპი – საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილება არა შრომის, არამედ მოთხოვნილების მიხედვით. ამ ფონზე კოლმეურნეთა პირადი საკუთრება მოჩანდა, როგორც „კაპიტალიზმის დასანანი გადმონაშთი", რომელიც უნდა გამქრალიყო, უკიდურეს შემთხვევაში, ოცი წლის განმავლობაში.

კოლმეურნეთა პირად საკუთრებაზე შეტევის ახალი ტალღის პირველივე შედეგი ის იყო, რომ საქართველოში 1963 წელს 1960 წელთან შედარებით გლეხურ მეურნეობათა მიერ წარმოებული მთლიანი პროდუქცია შემცირდა. 60-იანი წლების შუა ხანებისთვის გლეხური საკარმიდამო მეურნეობების დიდი ნაწილი დაქვეითდა და დაეშვა გაცილებით უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლების დამდეგს. გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. ასეთ ვითარებაში სახელმწიფომ გლეხობაზე „ზრუნვის" დასადასტურებლად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. 50-იანი წლების ბოლოს შემოღებულ იქნა კოლმეურნეთათვის ავანსების გაცემა და ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურება, თუმცა მის ორგანიზაციაში სრული უწესრიგობა სუფევდა. 1961 წლიდან საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ხელფასების გაზარდეს 20-25 პროცენტით. 1965 წლიდან კოლმეურნეებს დაუნიშნეს პენსიები.

ეს ღონისძიებები ხელისუფლებას, ცხადია, გლეხობაზე „ზრუნვის" ფართო პროპაგანდისთვის სჭირდებოდა. გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩებოდა.

გაუარესდა მუშათა მდგომარეობა. ხრუშჩოვისეული ათწლეულის მანძილზე გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ღონისძიებებს არსებითი შედეგი არ მოუტანია. ამის მიზეზი იყო: პირველი, სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია მოხმარების საგნების წარმოებას ყოველთვის მეორე რიგში აყენებდა; მეორე, მსუბუქი მრეწველობის გეგმური დავალებების ქრონიკული შეუსრულებლობა; მესამე, კვების მრეწველობის უმნიშვნელო წინსვლა. ყოველივე ეს 50-60-იანი წლების განმავლობაში სოციალურ სფეროში გატარებულ ღონისძიებებს მეტად უმნიშვნელო, სანახევრო და შეკვეცილ ხასიათს აძლევდა და მუშათა მატერიალურ მდგომარეობას არსებითად ვერ აუმჯობესებდა. ამ ფონზე სოციალურ სფეროში გატარდა რამდენიმე ღონისძიება. 1956 წლიდან გაუქმდა 1940 წელს შემოღებული ანტიმუშური კანონი, რომელიც მუშებს საწარმოზე ამაგრებდა და აწესებდა მკაცრ სასჯელს გაცდენისა და დაგვიანებისთვის; 1960 წლიდან დასრულდა შვიდსაათიან, ხოლო მიწისქვეშა სამუშაოებზე – ექვსსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლა; 1956 წლიდანვე შემოიღეს საპენსიო უზრუნველყოფის ახალი სისტემა, რომელიც მუშათა და მოსამსახურეთა პენსიებს 2-ჯერ ზრდიდა; 1960-1961 წლებიდან გაუქმდა საშემოსავლო გადასახადები მცირეხელფასიან მუშა-

მოსამსახურეებზე და დაიწყო ხელფასების მომატება ყოველწლიური მინიმალური ხელფასის ოდენობის 6 პროცენტით; 1964 წლიდან 15-25 პროცენტით მოემატათ ხელფასები განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების სფეროში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს; გაუქმდა სწავლებაზე ყველა სახის გადასახადი; მეტი გასაქანი მიეცა საბინაო მშენებლობას; ფართოდ დაინერგა კოოპერაციული ბინათმშენებლობა.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითების და, შესაბამისად, მოხმარების საგნების სულ უფრო მზარდი დეფიციტის პირობებში სოციალური სფეროს გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები მდგომარეობას არსებითად ვერ ცვლიდა და მოსახლეობის ცხოვრების დონე კვლავ დაბალი რჩებოდა. ხალხის მძიმე მდგომარეობას ვერ უშველა ვერც 1961 წელს გატარებულმა ფულის რეფორმამ.

პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ქრონიკულმა გადაუჭრელობამ გამოიწვია ხელისუფლებისა და ხალხის გაუცხოება. ხელისუფლება ამ გაუცხოების ნამდვილი მიზეზების ახსნასა და მის ლიკვიდაციაზე სულაც არ ფიქრობდა. დღენიადაგ მხოლოდ იმას „ამტკიცებდნენ", რომ არსებობს ხალხისა და ხელისუფლების მტკიცე ერთიანობა, რომ ხალხი ხელისუფლების უსაზღვრო ერთგულია და მას მიჰყვება. ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობის, „საბჭოთა დემოკრატიის" ზეიმის „დასამტკიცებლად" ფართოდ იყენებდნენ და პროპაგანდას უწევდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1954, 1958, 1962 წლების და, შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მსვლელობას და მის შედეგებს, „ასაბუთებდნენ" ხალხის უდიდეს აქტიურობას. როგორც წესი, ყველა სახის არჩევნების შედეგების შესახებ გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები იუწყებოდნენ, რომ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტი და რომ თავიანთ „რჩეულს" ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. ასე ხდებოდა საქართველოში, ასე ხდებოდა მთელ საბჭოთა იმპერიაში. სინამდვილეში ეს იყო არა დემოკრატიის გაფართოების, არამედ დემოკრატიის, არჩევითობისა და არჩევნების ტოტალური გაყალბება, მოსახლეობის უფლებების უხეში შელახვა, მისი დაცინვა. **ცხადია, ხელისუფლების პროპაგანდის არათუ მთელ ხალხს, არამედ ყველაზე გულუბრყვილოებსაც კი აღარ სჯეროდათ.**

ხელისუფლებასა და ხალხს შორის დამოკიდებულება კიდევ უფრო დაიძაბა 1962 წლიდან. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა ფასების დაკლების პოლიტიკიდან **ფასების მომატების პოლიტიკაზე გადასულიყო.** უკვე 1962 წლიდან სოფლის მეურნეობის ძირითად პროდუქტებზე ფასები 23-30 პროცენტით გაზარდეს. ფასების მომატება მოსახლეობის ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა. ამაო აღმოჩნდა კომუნისტური პროპაგანდა – დაერწმუნებინა მასები, რომ ფასების მომატება „ლპობადი კაპიტალიზმის" საპირისპიროდ, თვით მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ხდებოდა. ამ ღონისძიებას დაუყოვნებლივ მოჰყვა მშრომელთა გამოსვლები ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში. მშრომელთა უკმაყოფილებამ აპოგეას **ნოვოჩერკასკში** მიაღწია. ხელისუფლება ძალიან დიდხანს ცდილობდა ეჩვენებინა, რომ თითქოს ნოვოჩერკასკის ამბები ფასების მომატების წინააღმდეგ ერთადერთი აქცია იყო. სინამდვილეში, ნოვოჩერკასკის მუშები არც მარტონი და არც ერთადერთნი არ ყოფილან. ისინი ერთადერთნი იყვნენ მხოლოდ გადაწყვეტილებაში – ებრძოლათ ბოლომდე. ხელისუფლება არჩევანის წინაშე დადგა: დაეთმო ან მუშებზე გადამწყვეტი შეტევა განეხორციელებინა. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ უკანასკნელი გზა აირჩია. ნოვოჩერკასკში გაფიცული მუშები დახვრიტეს.

დემოკრატიულ პროცესებზე, თუმცა სანახევროსა და არათანმიმდევრულზე, რომელიც დაიწყო სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შედეგად, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კვლავ ხელი აიღო. ხელისუფლებამ სრულიად არაორაზროვნად, სრულიად აშკარად პირი რეაქციისკენ იბრუნა. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის, სისხლიანი დიქტატურული რეჟიმის ეპოქაში გაზრდილ, გამოწრთობილ, 20-30-იანი წლების ტრაგიკულ მოვლენათა მონაწილე ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო.

თავი XII

საქართველო 1965-1985 წლებში

§1. სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნა. პოლიტიკური ლიბერალიზაციიდან პოლიტიკური კონსერვატიზმისკენ შემობრუნება

1964 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენებისათვის ფსიქოლოგიური ნიადაგი უკვე მზად იყო. შემოდგომაზე ამ ნაბიჯის გადასადგმელად მზად იყვნენ შეთქმულებიც, რომელთაც გარანტირებული ჰქონდათ გენერალიტეტისა და სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელთა მხარდაჭერა. ხრუშჩოვი, რომელიც მაშინ შავი ზღვის სანაპიროზე, სოჭში ისვენებდა, შეთქმულებმა მოსკოვში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოიძახეს. პრეზიდიუმის სხდომა 1964 წლის 13 ოქტომბერს შედგა. მოხსენებით გამოვიდა შეთქმულების ორგანიზატორი, სკკპ ცენ-

ლეონიდ ბრეჟნევი

ტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ სუსლოვი. მან ხრუშჩოვს წარუდგინა მისი დანაშაულებების ვრცელი და დამაჯერებელი სია დაწყებული სოფლის მეურნეობის მოშლითა და საზღვარგარეთ მარცვლეულის შესყიდვით, დამთავრებული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პრესაში მისი ათასზე მეტი სურათის გამოქვეყნებით. დასაწყისში ხრუშჩოვი შეეცადა თავი დაეცვა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ იგი სრულ იზოლაციაში იყო და „დათანხმდა" პენსიაზე წასულიყო „ავადმყოფობის გამო". 14 ოქტომბერს ხრუშჩოვი გადააყენეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებიდან. მიუღებლად იქნა მიჩნეული, რომ ერთი პირის ხელში ყოფილიყო თავმოყრილი ორი უმაღლესი თანამდებობა. ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ბრეჟნევი,** ხოლო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ **ალექსი კოსიგინი.** საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შეფასებისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულმა ლეონიდ ბრეჟნევმა საკმაოდ დიდი პათოსით აღნიშნა: „აი, ნიკიტა სერგეის ძემ დიდების შარავანდედი მოაცილა სტალინის კულტს მისი სიკვდილის შემდეგ, ჩვენ კი დიდების შარავანდედი მოვაცილეთ ხრუშჩოვის კულტს მისსავე სიცოცხლეში". როცა ამ სიტყვებს ამბობდა, საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ლიდერმა არ იცოდა, რომ საბჭოთა სისტემა მასაც მალე „ბელადად" აქცევდა, იმ სისტემას ხომ „ბელადების" გარეშე არსებობა არ შეეძლო! ორდენებზე სიგიჟემდე შეყვარებული, ხელისუფლების სათავეში თვრამეტწლიანი ბატონობის პერიოდში, დიდის მონდომებით იხვეჭდა საკუთარი კულტის აქსესუარებს: ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის მარშალი, გენერალსიმუსი, საერთაშორისო ლენინური პრემია, ბრინჯაოს ბიუსტი მის სამშობლოში, ლენინური პრემია ლიტერატურის დარგში, კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი, ათობით სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ორდენები და მედლები...

ალექსი კოსიგინი

ლეონიდ ბრეჟნევმა 1977 წლიდან აღადგინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობა. იმავდროულად გახდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ბრეჟნევმა უმაღლეს პარტიულ და სახელისუფლო



ორგანოებში შემოიკრიბა თავისი „თანამებრძოლები", რომლებთან ერთადაც წლების მანძილზე მუშაობდა დნეპროპეტროვსკში, მოლდავეთსა და ყაზახეთში.

საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა იყო მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზაციის შეჩერება და ძველი, სტალინისდროინდელი მდგომარეობის ნაწილობრივი აღდგენა. გაუქმდა სკკპ ორგანიზაციების დაყოფა საწარმოო ნიშნით და აღდგა მათი დაყოფა ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, კვლავ დამკვიდრდა კომუნისტურ პარტიაში „დემოკრატიული ცენტრალიზმისა" და „რკინისებური დისციპლინის" ლენინური პრინციპები. აღდგა ხელმძღვანელობის ფორმა, რომლის მიხედვით პარტიული აპარატი კონტროლს უწევდა ყველაფერს, მაგრამ არაფერზე პასუხს არ აგებდა. სხვადასხვა დონის პარტიული ხელმძღვანელობა იღებდა გადაწყვეტილებებს, აძლევდა მითითებებს, მათ შორის სიტყვიერს, რომლებიც არსად არ ფიქსირდებოდა, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში პასუხი უნდა ეგო უკვე არა პარტიულ ხელმძღვანელობას, არამედ ეკონომიკის დარგების, საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელებს. გაუქმდა პარტიის წესდებაში 1961 წლიდან შეტანილი მუხლი, რომელიც მოითხოვდა პარტიული ხელმძღვანელობის როტაციას – არჩევნების დროს ერთი მესამედით განახლებას. ამ მუხლის გაუქმებამ პარტიულ ხელმძღვანელებს მისცა შანსი დიდხანს, უკეთეს შემთხვევაში კი სიკვდილამდე, ყოფილიყვნენ უმაღლეს პარტიულ თანამდებობებზე.

საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ჩაიბარა ქვეყნის გადაუჭრელი პრობლემების მთელი სია. უპირველესი კი მათ შორის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები იყო.

§2. საქართველოს ეკონომიკური განვითარება 1965-1970 წლებში

1. ეკონომიკური რეფორმები და მათი განხორციელების პირველი შედეგები. როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მდგომარეობა უარესდებოდა. მას შემდეგ, რაც ამდენი გარდაქმნები გატარდა, არსებული პრობლემების ახსნა მხოლოდ ხელმძღვანელობის ნაკლოვანებით, საეჭვოა, რომ ვინმეს დაეჯერებინა. ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა მეცნიერულ ანალიზს მოითხოვდა, რათა ჩამორჩენის მიზეზებს სწორი შეფასება მისცემოდა და მისი მომავალი განვითარების გზები დასახულიყო. ამის აუცილებლობას ჯერ კიდევ ნიკიტა ხრუშჩოვი მიხვდა. სწორედ მისი მხარდაჭერით 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო **ეკონომიკური დისკუსიები.** მალე ცხადი გახდა, რომ ეკონომიკური საკითხების გადაჭრას ხელისუფლება ძირითადად ისევ ორგანიზაციული გარდაქმნების საშუალებით ცდილობდა. ამასთან ერთად, მეცნიერული აზრის საწინააღმდეგოდ ადგილი ჰქონდა მრავალრიცხოვან სუბიექტურ იმპროვიზაციებს. **ეკონომიკის მართვის გაუმჯობესებისათვის გატარებული ღონისძიებები არ ითვალისწინებდა ძირეულ რადიკალურ გარდაქმნებს, არ ეხებოდა ეკონომიკური კავშირურთიერთობების სიღრმისეულ პრობლემებს.** სამეურნეო მექანიზმის ცალკეული ელემენტების ნაწილობრივ ცვლილებებს შეეძლო მხოლოდ დროებითი ეფექტის, დროებითი წარმატების მოტანა. ეს კი ვერ გამოიწვევდა და არც გამოუწვევია ეკონომიკის მუდმივი და სტაბილური წინსვლა.

60-იანი წლების დისკუსიების დროს ეხებოდნენ სამეურნეო პრაქტიკის ისეთ კონკრეტულ პროცესებს, როგორიცაა: წარმოების ორგანიზაცია, მართვის მეთოდები და სტილი და სხვ. მთელი ეს ძიება, საბ-

ოლოო ჯამში, ეხებოდა იმ პრობლემას, თუ როგორ უნდა მოხდეს საწარმოთა მუშაობის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა, რომელსაც ასევე თან უნდა ახლდეს პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. ეკონომიკურ დისკუსიებზე ცდილობდნენ ისეთი კონცეფციის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფდა საწარმოთა ცენტრალური დაგეგმვიდან თვითმმართველობაზე გადასვლას, ხოლო ეკონომიკურ წინსვლას საფუძვლად დაედებოდა ეკონომიკური ბერკეტები. სამწუხაროდ, დისკუსიის გაქანება თანდათან შეიზღუდა. საბოლოო ჯამში, იგი მხოლოდ მატერიალური დაინტერესების საკითხამდე დავიდა. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. საქმე ისაა, რომ ეკონომიკური დისკუსიის გაქანება შეეჯახა უმთავრეს ბარიერს – სოციალისტურ ეკონომიკურ კონცეფციას, რომლის მთავარი იდეა ემყარებოდა კატეგორიულ მოთხოვნას: „ან გეგმა, ან ბაზარი".სოციალისტური ეკონომიკური კონცეფციით საბჭოთა სახელმწიფოში მთავარი და საკალდებულო იყო ერთიანი, ცენტრალიზებული დაგეგმვა. ყველა სხვა შემთხვევაში უნდა გადასულიყვნენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, რაც „კაპიტალისტურ ელემენტად" და, ამდენად, სრულიად მიუღებლად ითვლებოდა.

60-იანი წლების პირველი ნახევრის ბოლოს ქვეყნის მთელ რიგ საწარმოებში დაიწყო ექსპერიმენტის სახით მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული სამეურნეო რეფორმების ზოგიერთი ელემენტის დანერგვა (მაგალითად, საწარმოებში დაინერგა პრემიალური სისტემა, რომელიც ორიენტირად იყენებდა მომხმარებლის მოთხოვნას და სხვა). ბევრი ექსპერიმენტი დადებით შედეგებს იძლეოდა, მაგრამ ექსპერიმენტის დაშვება შეიძლებოდა მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ იგი არ სცილდებოდა სოციალიზმის საფუძვლად აღიარებულ ეკონომიკურ პრინციპებს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ეკონომიკური რეფორმები წინასწარი წარუმატებლობისთვის იყო განწირული. საბჭოთა კავშირმა მაინც შეკვეცილი, ზედაპირული რეფორმების გზა აირჩია.

1965 წლიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეუდგა **ეკონომიკური რეფორმების** განხორციელებას. პირველ რიგში იგი სოფლის მეურნეობაში დაიწყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რეფორმები მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის მართვის ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებას, შრომის შედეგებით მატერიალური დაინტერესების გაზრდას, დაგეგმვის სისტემის სრულყოფას და მის საფუძველზე კოლმეურნეობათა სამეურნეო ინიციატივის გაფართოებას.

მრეწველობაში რეფორმების გატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა. **არსებითად იგი ხელუხლებლად ტოვებდა დირექტიულ ეკონომიკას, ე. ი. ეკონომიკის გეგმიან წარმართვას.** რეფორმა ითვალისწინებდა მხოლოდ ეკონომიკისადმი გეგმური ხელმძღვანელობის ფორმებისა და საწარმოებში მეურნეობის გაძღოლის მეთოდების სრულყოფას.

საბჭოთა კავშირში დაგეგმილ სამეურნეო რეფორმებს სოციალისტური ეკონომიკის პრინციპების ხელშეუხებლობასთან ერთად ძალზე აფერხებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გაბატონებული მდგომარეობა როგორც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე ეკონომიკის მართვაში.

რეფორმების განხორციელებაში მთავარ როლს ასრულებდა **ალექსი კოსიგინი.** XX საუკუნის 60-70-იანი წლების ხელმძღვანელთა შორის იგი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, იმის ღრმა რწმენით, რომ ეკონომიკის პრობლემები რეფორმებით უნდა გადაჭრილიყო. 60-იანი წლების რეფორმები ისტორიაში „კოსიგინის რეფორმების" სახელწოდებით შევიდა.

ახალ სამეურნეო რეფორმებს პირველი გამოცდა მერვე ხუთწლედში უნდა ჩაებარებინა. როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების **მერვე ხუთწლიანი (1966-1970 წწ.)** გეგმა საგულისხმო სიახლეებს შეიცავდა. მათ შორის ერთ-ერთი ის იყო, რომ იგი ითვალისწინებდა **საწარმოო საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპების დაახლოებას.** ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა მძიმე მრეწველობის როლის უგულებელყოფას. ეკონომიკის განვითარების გენერალური ხაზი კვლავ უცვლელი რჩებოდა – საწარმოო საშუალებათა წარმოების უპირატესი ტემპით განვითარება. ამასთან ერთად, ხუთწლედი ითვალისწინებდა, რომ მძიმე მრეწველობაში მიღწეულ წარმატებებს შესაძლებელი გაეხადა მოხმარების საგნების მწარმოებელ დარგებში მეტი რესურსების გამოყენება გამოიწვევდა მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნათა უფრო უკეთ დაკმაყოფილებას, ე. ი. გაიზრდებოდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. **ხუთწლედის მეორე თავისებურება ის იყო, რომ იგი ითვალისწინებდა სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპებს შორის შექმნილი დისპროპორციის დაძლევას,** ე. ი. იმ ეპოქის შედეგების დაძლევას, როცა სოფლის მეურნეობას უყურებდნენ, როგორც მხოლოდ რეზერვს მრეწველობის განვითარებისთვის.

მერვე ხუთწლედი ითვალისწინებდა მეურნეობის წარმართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, ამ საფუძველზე საწარმოო სიმძლავრეების უკეთეს და რაციონალურ გამოყენებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გაიზრდებოდა წარმოების ინტენსიფიკაცია,

ამაღლდებოდა შრომის ნაყოფიერება და ამ გზით მოხდებოდა როგორც ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის, ისე ეროვნული შემოსავლის გაზრდა. ხუთწლედი ასევე უმნიშვნელოვანეს პრობლემად სახავდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულ განვითარებას.

მერვე ხუთწლედში საქართველოს ეკონომიკის განვითარება უფრო დაჩქარებული ტემპით უნდა მომხდარიყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის ეკონომიკის. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მძიმე მრეწველობის (ქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის) განვითარებას ეთმობოდა. გაიზარდა აზოტოვანი სასუქებისა და სინთეზური ბოჭკოს წარმოება, დასრულდა ენგურისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. აშენდა და ამუშავდა 57 ახალი მსხვილი საწარმო. მართალია, საქართველოში მერვე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობის საერთო პროდუქციის ოდენობა გაიზარდა, მაგრამ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში გეგმური დავალებები მაინც ვერ შესრულდა. ვერ დაინერგა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, რის შედეგადაც დაქვეითდა შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიური ტემპი. დროულად ვერ დაინერგა რეფორმით გათვალისწინებული დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდები. სამწუხაროდ, ამ გზების ფართოდ გამოყენების ნაცვლად, საქართველოში ხუთწლედის გეგმები უმთავრესად კვლავ მშრომელთა დაძაბული შრომით, „შრომითი ენთუზიაზმით" ხორციელდებოდა. ხელისუფლება ცდილობდა პარტიულ-ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით „დაერაზმა" ხალხი ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. ხალხის ამ აქტიურობას ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ „სოციალისტური შეჯიბრებების" ორგანიზაციით, შეჯიბრებაში „გამარჯვებულთა" მორალური და ზოგჯერ მატერიალური წახალისებით.

სამეურნეო რეფორმებმა ერთგვარად დაჩქარა **სოფლის მეურნეობის** განვითარება, თუმცა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების დაგეგმვა კვლავ მოსკოვში ხდებოდა. ცენტრი კი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მთავარ ყურადღებას აქცევდა არა ისტორიულ, ტრადიციულ დარგებს, არამედ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებას. საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტი ქართულ ჩაიზე მოდიოდა. სუბტროპიკული კულტურების წარმოება შეადგენდა საკავშირო სუბტროპიკული კულტურების წარმოების 90-100 პროცენტს. საქართველოზე მოდიოდა საბჭოთა კავშირში წარმოებული ღვინის 50 პროცენტზე მეტი. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა ერთწლიანი კულტურების – მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილის,



ენგურის ჰიდროელექტროსადგური

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების – წარმოება. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა, ძირითადად, ნათესი ფართობების გადიდების ხარჯზე ხდებოდა.

მერვე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა უნდა გაზრდილიყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესაბამისად, მექანიზაციის, ქიმიზაციის, მელიორაციის საფუძველზე. ამ მიმართულებით კიდეც იდგმებოდა ნაბიჯები. სოფლად იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მანქანა-იარაღების რაოდენობა, მაგრამ მათი გამოყენება კვლავ დაბალ დონეზე რჩებოდა. დაბალი იყო მექანიზაციისა და, შესაბამისად, შრომისნაყოფიერების დონეც. **მართალია, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა, მაგრამ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება მთელ რიგ წამყვან დარგებში ჩაიშალა.** სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა, ძირითადად, პირადი საკარმიდამო მეურნეობების მოსავლიანობის ხარჯზე. კოლმეურნეობების შემოსავალი ხუთწლედში მხოლოდ 25 მილიონი მანეთით გაიზარდა, ხოლო პირადი საკარმიდამო მეურნეობების შემოსავალი – 110 მილიონი მანეთით.

კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყაროდ პირადი დამხმარე მეურნეობა რჩებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელმძღვანელობა კვლავ ადგა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების, მისი უპირატესი განვითარების გზას. **საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, კვლავ მტრულად უყურებდნენ პირადი, საკარმიდამო მეურნეობის ამაღლებას.** მიუხედავად იმისა, რომ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული პროდუქციის ზრდა გლეხთა პატიოსანი, კანონიერი შრომით მიიღწეოდა, იგი მაინც მიულებლად, „იოლი" გამდიდრების გზად და „კაპიტალიზმის გადმონაშთად" ინათლებოდა.

კიდევ უფრო გაძლიერდა კერძო სექტორის შეზღუდვა კოლმეურნეობების ახალი „სანიმუშო წესდების" მიღების (1969 წ.) შემდეგ. წესდება ითვალისწინებდა საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცებასა და საერთო სახალხო ინტერესებთან კოლმეურნეთა პირადი ინტერესების შეხამებას. ეს კი გულისხმობდა ისეთ შეხამებას, რომლის დროსაც საკოლმეურნეო წარმოება უპირატესად განვითარდებოდა, სოლო პირადი საკარმიდამო მეურნეობის განვითარება მხოლოდ იმ დონემდე მოხდებოდა, რომ არ შეფერხებულიყო კოლმეურნეობათა განვითარება.

მექანიზაციისა და შრომისნაყოფიერების დაბალი დონის პირობებში სოფლის მოსახლეობის რიცხვის შემცირება საქართველოს სოფლის მეურნეობას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. სოფლის მოსახლეობის შემცირების შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა. **მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ქრონიკული ჩამორჩენა სოფლის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, აიძულებდა დაეტოვებინა სოფელი და ქალაქებში ეძებნა არსებობის საშუალება.** სოფლის მოსახლეობის რიცხვი განუხრელად მცირდებოდა. ადმინისტრაციული ღონისძიებებით მისი შეჩერება შეუძლებელი გახდა.

ამრიგად, XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაწყებული ეკონომიკური რეფორმები, ფაქტობრივად, ვერ განხორციელდა. აგრარული პოლიტიკა, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც მუდმივი ნაკლოვანებებითა და გამრუდებებით ტარდებოდა. ეს კი განაპირობებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტემპების შენელებას, ამწვავებდა საქართველოს სასურსათო პრობლემას.

საქართველოში წარმოებული სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გადიოდა, მაგრამ შემოსავალი საერთო-საკავშირო მოხმარებას ექვემდებარებოდა, რომლიდანაც საქართველოს უმნიშვნელო ნაწილი ეძლეოდა. ამიტომაც იყო, რომ დაძაბული შრომის მიუხედავად, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. მართალია, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი ხუთწლედში გაიზარდა, განხორციელდა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა, ამაღლდა კოლმეურნეთა შემოსავალი, მაგრამ ცხოვრების რეალური დონე კვლავ დაბალი რჩებოდა. მერვე ხუთწლედში ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის 30 პროცენტით გაზრდის დაპირება შეუსრულებელი დარჩა.

ქართველი მეჩაიეები

§3. საქართველო XX საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში. ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება

1971 წლის თებერვალ-მარტში ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა. ყრილობამ შეაჯამა სახალხო მეურნეობის განვითარების განვლილი ხუთი წლის შედეგები და განსაზღვრა სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის (1971-1975 წწ.) ამოცანები. ყრილობამ საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა განვლილ პერიოდში რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული ნაკლოვანებები და დასახა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები. ცხადია, ეს გზები თავსდებოდა საბჭოთა სოციალისტური სისტემის ჩარჩოებში. ერთი წლის შემდეგ, 1972 წლის 22 თებერვალს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. არსებითად ეს დოკუმენტი იმეორებდა იმავე ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოამჟღავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ და სახავდა მათი დაძლევის იმავე გზებს, რომელიც დასახა საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობამ. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები დავიწყებას მიეცა, საქართველოსთვის კი სახელმძღვანელო დოკუმენტად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება. ეს მით უფრო გაუგებარია, რომ **სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ეხებოდა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, მაგრამ იგი მთელი საქართველოს შესახებ მიღებულ დადგენილებად წარმოაჩინეს. ამასთან ერთად ხაზი ესმებოდა იმას, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი და უკომპრომისო დადგენილება, რომლის შესრულებისთვის ბრძოლა საქართველოს მოსახლეობის უპირველესი, უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანა უნდა ყოფილიყო.** ეს დადგენილება წარმოაჩინეს საქართველოს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისად. სინამდვილეში კი იგი ჩვეულებრივი დადგენილება იყო. ასეთ დადგენილებებს საბჭოთა

კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მაშინ ილებდა, როცა ამა თუ იმ რესპუბლიკასა თუ ოლქში თავს იჩენდა ოფოციალური იდეოლოგიისადმი ერთგულებისა და რწმენის მოდუნება, როდესაც შეიმჩნეოდა საბჭოთა სოციალისტური სინამდვილისგან გადახრის ცდები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში დაყენებული ამოცანები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე დამკვიდრებული სტერეოტიპები, ზოგადი დებულებებია, რომლისადმი ერთგულება და რომელთა დაცვა საბჭოთა ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის უპირველესი ამოცანა იყო. **ნაკლოვანებანი, რომლებიც მიეწერებოდა თბილისის პარტიულ ორგანიზაციას, წარმოშობილი იყო თვით სოციალისტური სისტემის მიერ და ისინი ერთნაირად თავს იჩენდნენ, როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში. ცხადია, დადგენილებაში ამ ნაკლოვანებათა გამომწვევ მთავარ მიზეზებზე არ იყო ლაპარაკი (მასზე ლაპარაკი არც შეიძლებოდა და არც სურდათ), არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ ეს ნაკლოვანებანი (სოციალისტური დისციპლინის შესუსტება, კორუფცია, მექრთამეობა და სხვ.) მთელ საბჭოთა კავშირში არსებობდა.** ეს დადგენილება ჩვეულებრივი ბოლშევიკური თვალთმაქცობის ნიმუში უფრო იყო, ვიდრე „ახალი ეტაპის დაწყება" საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

ლეონიდ ბრეჟნევი და ვასილ მჟავანაძე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებას მალე მოჰყვა საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის შეცვლა. 1971 წელს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ლეონიდ ბრეჟნევი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვასილ მჟავანაძესთან. როგორც ჩანს, დაინტერესებულმა პირებმა ბრეჟნევი დაარწმუნეს, რომ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა შემრიგებლურ დამოკიდებულებას იჩენდა კორუფციასთან, კერძო მესაკუთრულ ტენდენციებთან. ამან ვასილ მჟავანაძის ბედი გადაწყვიტა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის სექტემბრის პლენუმმა ვასილ მჟავანაძე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ახლად დანიშნული **ედუარდ შევარდნაძე** აირჩია. მოგვიანებით შეიცვალა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობაც. მთავრობის მეთაურის პოსტი **ზურაბ პატარიძემ** დაიკავა. შეიცვალა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობის დიდი ნაწილი.

როგორი იყო ის უმნიშვნელოვანესი გზები, რომლითაც საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა ცდილობდა არსებული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას?

ახალ ხელმძღვანელობას **ერთ-ერთ ასეთ უპირველეს გზად მიაჩნდა მასებში კომუნისტური პარტიის გავლენის გაძლიერება.** ამიტომ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიული ორგანიზაციების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. 1975 წელს მათმა რიცხვმა 10947-ს მიაღწია. პარტიული ორგანიზაციები ითვლებოდნენ ადგილებზე კომუნისტური პარტიის პოლიტიკის უშუალო გამტარებლებად, მისი განხორციელებისთვის მასების დამრაზმავ და წარმმართველ ძალად. პარტიული ორგანიზაციები საქმეს ისე წარმოაჩენდნენ, რომ თითქოს კომუნისტური პარტიისადმი „უსაზღვრო ერთგულებით გამსჭვალული" მშრომელი მასები დიდი ენთუზიაზმით ილებდნენ ახალ და ახალ ვალდებულებებს, იწყებდნენ მისი განხორციელებისთვის სოციალისტურ შეჯიბრებებს, რომ პარტიული ორგანიზაციები მათ მხოლოდ ხელმძღვანელობდნენ და ამ „უსაზღვრო შრომით აქტივობას" გარკვეულ კალაპოტში აყენებდნენ. **სინამდვილეში კი, როგორც წესი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების შემდეგ ცენტრალურ კომიტეტშივე იგეგმებოდა შრომითი კოლექტივების ესა თუ ის თაოსნობა, ნამოწყება.** შემდეგ იგი რომელიმე შრომითი კოლექტივის სახელით ქვეყნდებოდა, პარტიული ორგანიზაციები კი იწყებდნენ მის ფართო პროპაგანდას მთელი საქართველოს მასშტაბით. ასე ხდებოდა მთელ საბჭოთა კავშირში, ასე ხდებოდა საქართველოშიც. მეტიც, 1973 წელს შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრებების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისია, ხოლო მოსკოვში მოქმედებდა სოციალისტური შეჯიბრებების საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში შრომითი კოლექტივების „ნამოწყებებს" მარ-

ლეონიდ ბრეჟნევი და ედუარდ შევარდნაძე

თავდა. სწორედ ამ ნიშნით მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების **IX (1970-1975 წწ.), X (1976-1980 წწ.)** და **XI (1981-1985 წწ.)** ხუთწლედების ამოცანების შესრულებისათვის.

საქართველოს ხელმძღვანელობას რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის **მეორე უმნიშვნელოვანეს გზად მიაჩნდა „უკომპრომისო" და „გადამწყვეტი" ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებთან.** ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადად სამი მიმართულებით გაიშალა. **ერთ-ერთი იყო ბრძოლა პროტექციონიზმის წინააღმდეგ.** მას სათავე დაუდო პროტექციონიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის ივნისის დადგენილებამ. ცხადია, პროტექციონიზმს მართლაც ჰქონდა საზოგადოებაში ფეხი მოკიდებული. მისი მასაზრდოებელი იყო როგორც ობიექტური (საბჭოთა სოციალისტური წყობილება), ისე სუბიექტური ფაქტორები (ხელმძღვანელობის მანკიერი სტილი, აქ დაშვებული აუარებელი შეცდომა). რამდენადაც ნეგატიური მოვლენების წარმოშობის მთავარ მიზეზს თვით საბჭოთა სოციალისტური სისტემა წარმოადგენდა, ბუნებრივია, იგი გავრცელებული და ფეხმოკიდებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. საქართველოში ამ ნეგატიური სოციალური მოვლენის ოფიციალური აღიარება ნიშნავდა მთელ საბჭოთა კავშირში მის ოფიციალურ აღიარებასაც, ე. ი. იმის აღიარებას, რომ პროტექციონიზმი სისტემისგან წარმოშობილი და სისტემისთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ცხადია, საკითხის ამგვარად დაყენება საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის სრულიად მიუღებელი იყო. ამით უნდა აიხსნას, რომ პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სრული ტექსტი პრესაში არ გამოქვეყნებულა. საფიქრებელია, რომ ამაში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხელი ერია. პროტექციონიზმის წინააღმდეგ დადგენილება არასრულყოფილი, ცალმხრივი იყო. თანაც ცხადია, რომ პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მახვილი ვერ წარიმართებოდა მისი გამომწვევი ობიექტური მიზეზების ამოსაძირკვად, ეს ხომ თვით საბჭოთა სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ნიშნავდა. ამიტომ ბრძოლა პროტექციონიზმის დაძლევისთვის მიმდინარეობდა მხოლოდ მისი გამომწვევი სუბიექტური მიზეზების აღმოფხვრის ნიშნით. დაიწყო ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და იდეოლოგიური კადრების ცვლა. ბევრი იყო შემთხვევა, როცა მაღალ თანამდებობაზე პროტექციით დანიშნულ ხელმძღვანელ მუშაკს თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ და მის ადგილზე ისევ პროტექციით ნიშნავდნენ წინამორბედზე გაცილებით უუნარო და სახელგატეხილ მუშაკს. იშვიათად ხელმძღვანელ თანამდებობებზე უნარიანი, პრინციპული და პატიოსანი ადამიანებიც ინიშნებოდნენ, მაგრამ მათი ნაწილი ან მალევე ტოვებდა თანამდებობას, ან პროტექციონიზმისა და კორუფციის ჭაობში ეფლობოდა. პროტექციონიზმის დაძლევის მიზნით გაძლიერდა პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობა, რომ საბჭოთა სოციალისტური სისტემა ყველაზე ჰუმანური და სამართლიანი სისტემა იყო მთელ მსოფლიოში. ამგვარ მუშაობას მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. როგორც მოსალოდნელი იყო, **პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ კამპანიური ხასიათი მიიღო, მინელდა და შეწყდა.** პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ მიზანს ვერ მიაღწია. მეტიც, ამ კამპანიას უარყოფითი შედეგი მოჰყვა – **პროტექციონიზმმა უფრო მძლავრად მოიკიდა ფეხი.**

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მეორე მიმართულება იყო ბრძოლა „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ". მას დასაბამი მისცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ოქტომბრის დადგენილებამ. წეს-ჩვეულებები, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლო და ერში ტრადიციად დამკვიდრდა, მავნე არ შეიძლება იყოს. იგი ეროვნული კულტურის ნაწილია და მის წინააღმდეგ ბრძოლა, სინამდვილეში, ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. თუმცა იყო ზოგიერთი წეს-ჩვეულება, რომელსაც საზოგადოებისათვის ზიანი მოჰქონდათ, მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის მიმდინარეობდა. **„მავნე ტრადიციების" წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე მასობრივ, ლექციურ პროპაგანდას დაეკისრა.** ამ გზით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მასები მთელი რიგი ტრადიციების მიუღებლობაში, რათა თავისი სურვილით აეღოთ მასზე ხელი. ხალხს ხელი უნდა აეღო ისეთ უმნიშვნელოვანეს ტრადიციებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო დაბადებასთან, ნათლობასთან, ქორწინებასთან. ამ იდეურ-პროპაგანდის-

ტულ მუშაობას მრავალი ნაკლოვანება გააჩნდა. ხშირად ნაჩქარევი დასკვნები გამოჰქონდათ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული მთელი რიგი დღესასწაულების მავნებლობის შესახებ. ამ საქმეში სცოდავდა მეცნიერების, ჟურნალისტების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკების ნაწილი, თუმცა, ცხადია, ყველაზე დიდი დამნაშავე ხელისუფლება იყო.

„მავნე ტრადიციების" წინააღმდეგ ბრძოლისას პროპაგანდისტულ მუშაობასთან ერთად ძალადატანების მეთოდებსაც მიმართავდნენ. მაგალითად, ხალხმრავალ ქელეხებში, ქორწილებში, სხვადასხვა დღეობებში, რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობისათვის ხელმძღვანელი პირები მკაცრად ისჯებოდნენ.

„მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებების" წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, ხელისუფლება ცდილობდა **ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების** დანერგვას, ახალი დღესასწაულები, მიძღვნილი იქნებოდა გამოჩენილი პიროვნებების, საბჭოთა სახელმწიფოს რევოლუციურ, ინტერნაციონალურ, საბრძოლო და შრომითი საქმიანობისადმი. ზოგიერთმა მათგანმა, რომელიც ნამდვილად შეესატყვისებოდა ეროვნულ ინტერესებსა და სულისკვეთებას, კიდეც მოიკიდა ფეხი. მაგალითად, „ვაჟაობამ", „კოლხობამ", „თბილისობამ" და სხვა.

„მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების" წინააღმდეგ ბრძოლა სინამდვილეში ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. საქართველოს ხელისუფლება, შეგნებულად თუ გაუთვითცნობიერებლად, მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორს გამიზნული პოლიტიკის გატარებაში. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა ერებს შორის განსხვავების გაქრობას, ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობას, ერთიანი „საბჭოთა ხალხის" ჩამოყალიბებას, რაც სინამდვილეში რუს ერთან სხვა ერებისა და ხალხების შერწყმას ნიშნავდა. ცხადია, ყოველივე ამის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ასეც მოხდა – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მალე დავიწყებას მიეცა.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მესამე მიმართულება იყო ბრძოლის გაძლიერება კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ. ეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ იყო ახალი. ყოველთვის, როგორც კი პირადი, კერძო მეურნეობა სულს მოითქვამდა და გაძლიერებას დაიწყებდა, მაშინვე იწყებოდა მის წინააღმდეგ ბრძოლა. ასე იყო XX საუკუნის 30-იან წლებში, 40-იან წლებში, 50-იანი წლების მეორე ნახევარში. ასე იყო ამჯერადაც, 70-იანი წლების დასაწყისში. ეს ტენდენცია თვით საბჭოთა სოციალისტური სისტემის ბუნებიდან გამომდინარეობდა. „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების", „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის" იდეოლოგიური დასაბუთება ადგილს აღარ უტოვებდა კერძო, პირად მეურნეობას. საბჭოთა იდეოლოგიის აზრით, პირადი მეურნეობა ადამიანებში ბადებდა გამდიდრების, კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, ე. ი. წარმოშობდა ბურჟუაზიულ ელემენტებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, როცა XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო კერძო მეურნეთა მატერიალურ დაინტერესებასა და მათი შემოსავლის ზრდას, ხელისუფლებამ მაშინვე დაიწყო კერძო მეურნეობის შეზღუდვა. 1975 წელს მათი შემოსავლის ხვედრითი წილი 46 პროცენტამდე, ხოლო 1980 წელს 35 პროცენტამდე შემცირდა. ეს ტენდენცია

თბილისობის დღესასწაული

მთელი საბჭოთა კავშირისთვის იყო დამახასიათებელი და საქართველო გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლამ შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავად გაწეული დიდი მუშაობისა, კერძომესაკუთრული ტენდენციები კი არ სუსტდებოდა, არამედ უფრო მეტად ძლიერდებოდა.

XX საუკუნის 70-80-იანი წლებში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ უზარმაზარი ფიზიკური და სულიერი ძალები შეინირა, შედეგები კი საწინააღმდეგო მოჰყვა, რადგან ეს იყო ბრძოლა ძირითადი ავადმყოფობის მეორეულ გამოვლინებებთან. ამ ბრძოლას შეეძლო მოეტანა მხოლოდ ერთჯერადი, დროებითი წარმატება. სრული წარმატებისთვის კი აუცილებელი იყო ძირითადი მიზეზის – საბჭოთა სოციალისტური წყობილების მოსპობა. ამ ნაბიჯის გადასადგმელად არც სურვილი და არც საკმარისი ძალები არ არსებობდა. საბჭოთა სოციალისტური სისტემის ლიკვიდაციისთვის ნიადაგი ჯერ მზად არ იყო.

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება რესპუბლიკის წინაშე მდგარი სოციალ-ეკონომიკური

ამოცანების გადაჭრას ძირითადად ორი გზით ცდილობდა: ერთი მხრივ, მასებში პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით; მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლით. ამ ღონისძიებებს განსაკუთრებული ეფექტი არ მოჰყოლია.

XX საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში კვლავ უპირატესად ვითარდებოდა **მძიმე მრეწველობის** პროდუქციის წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ელექტროენერგეტიკის, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის, რადიოტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, მანქანათმშენებლობის განვითარებას. რესპუბლიკის მანქანათმშენებელი საწარმოები უშვებდნენ ელმავლებს, უნიკალურ ჩარხებს, სხვადასხვა სახის ხელსაწყოებს და სხვა. საქართველოს სამრეწველო წარმოების ზრდა, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ძირითადად, ექსტენსიური განვითარებით ხდებოდა, განუწყვეტლივ გრძელდებოდა ახალი და ახალი ენერგეტიკული ბაზების, საწარმოების მშენებლობა. მრეწველობის ექსტენსიური განვითარება, ახალმშენებლობები შთანთქავდა საქართველოს ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს. მძიმე მრეწველობის სწრაფი განვითარების გამო მცირდებოდა კაპიტალდაბანდება მოხმარების საგნების მწარმოებელ დარგებში. როგორც შემდეგში გაირკვა, მოხმარების საგნების წარმოების განვითარებისთვის მხოლოდ „ნარჩენები" გამოიყენებოდა. ახალი საწარმოები შთანთქავდა აუარებელ მუშახელს, ხდებოდა სოფლის მეურნეობიდან მუშახელის მრეწველობაში გადაქაჩვა. სამრეწველო საწარმოები ივსებოდა არაკვალიფიციური მუშებით, რაც კიდევ უფრო სცემდა ისედაც დაბალ შრომის ნაყოფიერებას. აღარაფერს ვამბობთ მეორე უარყოფით შედეგზე – საქართველოში სხვა ეროვნების მუშათა ჩამოსახლებაზე.

საქართველოში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ნაწილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გადიოდა. მაგალითად, 1982 წელს საქართველოში დამზადებულ პროდუქციას იყენებდა სხვა რესპუბლიკების 82 დარგი, საქართველოში კი სხვა რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან შემოდიოდა და გამოიყენებოდა წარმოების დაახლოებით 100 დარგის პროდუქცია. საზღვარგარეთის, უმეტესწილად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გადიოდა საქართველოში დამზადებული 350-ზე მეტი სახეობის საქონელი. წარმოების ასეთი ურთიერთგადახლართვა საქართველოს სულ უფრო მეტად ართმევდა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ყოველივე ეს უნიტარიზმის კურსს ემსახურებოდა, რომელსაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ეროვნული რესპუბლიკების მიმართ მიზანდასახულად და დიდი ერთგულებით ახორციელებდა. საქართველოს ეკონომიკური დაწინაურება თვითონ საქართველოსთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. საქართველოს ეროვნული შემოსავალი ერთიან საკავშირო შემოსავალს ამდიდრებდა, ე. ი. საქართველოს ეკონომიკური დაწინაურება სინამდვილეში ნიშნავდა საკავშირო ეკონომიკაში საქართველოს ხვედრითი წილის ზრდას, საიდანაც შემდეგში საქართველოს უმნიშვნელო ოდენობის ბიუჯეტი გამოეყოფოდა.

მძიმე მდგომარეობა იყო **სოფლის მეურნეობაში.** XX საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა მხოლოდ 1,5-ჯერ. ყოველ ხუთწლედში იგეგმებოდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ისეთი გზები, როგორიც იყო სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, მინათმოქმედების ქიმიზაცია, მელიორაცია, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. ყველა ეს ღონისძიება სასურველ შედეგებს ვერ აღწევდა. მართალია, მანამდე არნახულად გადიდდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ამ სახსრების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი დაუყოვნებლივ გადაიქაჩებოდა უკან – სახელმწიფო ხაზინაში. უწინარეს ყოვლისა, ეს ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ფასების ხელოვნური გაზრდითა და სოფლად სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობით. საქმე ისეთ აბსურდამდეც კი მიდიოდა, რომ ზოგიერთ ფერმაში 1 სული ძროხის სადგომის მშენებლობა უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ერთოთახიანი კაპიტალური საცხოვრებელი ბინის. საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ იყო. სახსრების დიდი ნაწილი საქართველოშიც იხარჯებოდა ქიმიზაციის, მელიორაციის, ზოგჯერ სრულიად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი პროგრამების განხორციელებაზე.

საქართველოში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაგეგმილი შრომის შედეგით მატერიალური დაინტერესება არ იზრდება, ხოლო XX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს პირადი მეურნეობების შეზღუდვის დაწყებული პროცესი ფართოვდებოდა. სოფლის მეურნეობის განვითარება ფერხდებოდა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები რეალობას არ ასახავდა.

გეგმების „წარმატებით" შესრულების შესახებ საქართველოდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი წარდგენილ ცნობებს შედეგად ის მოსდევდა, რომ ყოველ წელს გეგმური დავალებები კიდევ უფრო იზრდებოდა. ცხადია, გაზრდილი გეგმები საქართველოს რეალურ შესაძლებლობებს არ შეესაბამებოდა. **გეგმების შეს-**

რულება ხდებოდა მრავალგვარი მაქინაციებითა და მიწერებით. არარეალური გეგმების შედეგად დაეცა ქართული ღვინის ხარისხი, დაეცა მისი ავტორიტეტი საკავშირო და საერთაშორისო ბაზარზე. იმავე მიზეზით დაეცა ქართული ჩაის ხარისხი, ხოლო რაოდენობის გამოდევნებამ ჩაის პლანტაციები განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა.

§4. სოციალური პოლიტიკა. მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების დონე

1965-1985 წლებში საქართველოს მოსახლეობა 814 ათასით გაიზარდა და 4 450 ათასის ნაცვლად 5.264 ათასს მიაღწია. შეიცვალა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის თანაფარდობაც. ქალაქის მოსახლეობამ სოფლის მოსახლეობას უკვე 1979 წელს გადააჭარბა, ხოლო 1985 წელს შეადგინა მთელი მოსახლეობის 53,8 პროცენტი. შესაბამისად, 727 ათასით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი და 1980 წელს 1 978 ათას კაცს მიაღწია. მსგავსი პროცესები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა. მაგრამ მსოფლიო პროცესებთან შედარებით განსხვავება ის იყო, რომ არანორმალურად იზრდებოდა მუშათა რაოდენობა. ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ეკონომიკის განვითარება ექსტენსიური გზით მიემართებოდა, რის გამოც სამრეწველო დარგები შთანთქავდნენ ძირითად შრომით რესურსებს.

XX საუკუნის 30-იან წლებთან და ომის შემდგომ ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა საქართველოს ეროვნული შემოსავალი, გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი პროდუქციის წარმოება, გაუმჯობესდა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა, შედარებით მონესრიგდა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, მოსახლეობა უკეთესად იცვამდა და უკეთესად იკვებებოდა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ცხოვრების დონის უმთავრესი მაჩვენებელი – რეალური შემოსავალი, ე. ი. მატერიალური და კულტურული დოვლათის ის რაოდენობა, რომელსაც მოსახლეობა უშუალოდ ღებულობდა შრომის ანაზღაურების, დახმარების, შელავათებისა და უფასო მომსახურების სახით, მაინც დაბალი იყო. ერთ სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რეალური შემოსავლის დონე ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის დონის 27 პროცენტს შეადგენდა. ერთ სულ მოსახლეზე წარმოებულ ერთობლივ პროდუქციასა და ერთ სულ მოსახლეზე რეალურ შემოსავალს შორის ასეთი დიდი დისპროპორცია იმისი მაჩვენებელი იყო, რომ საბჭოთა ეკონომიკის უდიდესი ნაწილი ხმარდებოდა არა ადამიანთა კეთილდღეობას, არამედ სახელმწიფო ინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ინტერესებს.

მოხმარების საგნების წარმოების დაბალი დონე, წარმოებული პროდუქციის მაღალი ღირებულება და ცუდი ხარისხი კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. ამ საგნების განაწილება, ან ლიმიტირებული გაყიდვა საბჭოთა კავშირის ქრონიკულ ავადმყოფობად იქცა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მთავარი წყაროა შრომის მიხედვით ანაზღაურება, რაც **ხელფასების ფორმით ხორციელდებოდა.** XX საუკუნის 70-80-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა ხელისუფლება უპირატესად ზრდიდა დაბალ და საშუალო ხელფასებს. საქართველოს სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1966-1980 წლებში 91-დან 145 მანეთამდე გადიდდა. გაიზარდა საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული შეღავათები და დახმარებები. მინიმალურმა ხელფასმა კი 1980 წელს 90 მანეთს მიაღწია. ხელფასების რეგულირება ხდებოდა აგრეთვე სხვადასხვაგვარი დახმარებებით. კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა ხორციელდებოდა გარანტირებული ფულადი ანაზღაურების დანიშვნით და სხვ. შემოსავლების ზრდის ასეთ გზას უარყოფითი მხარეებიც და სერიოზული წინააღმდეგობებიც გააჩნდა. ხდებოდა სხვადასხვაგვარი კატეგორიის მუშაკთა ანაზღაურების გათანაბრება,



რაც იწვევდა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მუშების, ინჟინრების, ექიმების, მასწავლებლების, მეცნიერ-მუშაკთა, ანაზღაურების შეფარდებით შემცირებას. მსგავსი გათანაბრება ხდებოდა პრემიების, სხვადასხვა შელავათების, ბინების განაწილებისას და სხვ. ასეთი მიდგომა არ ითვალისწინებდა დაბალ და მაღალ კვალიფიციურ შრომას შორის ანაზღაურე-

ბაში განსხვავებას. შედეგად, მატერიალურად დაუინტერესებელი მუშაკი გულგრილად იყო განწყობილი შრომის შედეგის მიმართ.

ანაზღაურებაში გათანაბრების ტენდენცია, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას, უარყოფითად მოქმედებდა ეკონომიკის განვითარებაზე. საქმე იქამდეც კი მიდ-

იოდა, რომ ქარხანაში ინჟინერი რიგითი მუშის თანაბარ, ზოგჯერ მასზე ნაკლებ ხელფასს იღებდა, ხოლო ექიმსა თუ მასწავლებელს გაცილებით დაბალი ხელფასი ეძლეოდა, ვიდრე არაკვალიფიციურ მუშას. კიდევ უფრო კურიოზული იყო ის, რომ კვალიფიკაცია და უმაღლესი განათლების დიპლომი სპეციალისტს სამუალებას არ აძლევდა, რომ გადაქცეულიყო უფრო მაღალხელფასიან რიგით მუშად. ყოველივე ამის შედეგად იკარგებოდა პროფესიული სრულყოფის სტიმული. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუშათა დიდი ნაწილი არაკვალიფიციურ, ხელით შრომას ეწეოდა, დაბლდებოდა შრომითი აქტივობა. წარმოებებში ინერგებოდა სხვადასხვა სახის „მინერები", მაქინაციების გზით მდიდრდებოდნენ ცალკეული პირები, რომელთა გაკონტროლება სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხერხდებოდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოში **ვითარდებოდა ბინათმშენებლობა.** 1966-1980 წლებში აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 26 მილიონ კვადრატულ მეტრს უდრიდა. მიუხედავად ამისა, საბინაო პრობლემა კვლავ მწვავე და გადაუჭრელი რჩებოდა. საბინაო პრობლემას ისიც ამწვავებდა, რომ ხდებოდა სოფლის მოსახლეობის არნახული მიგრაცია ქალაქში. ერთი მხრივ, ამას ხელს უწყობდა სოფლის მოსახლეობისთვის პასპორტების მიცემა და იმ უფლების აღიარება, რომ ემუშავათ იქ, სადაც მათ სურდათ. სოფლად ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მძიმე პირობები სოფლის მოსახლეობას აიძულებდა უკეთესი ცხოვრება ქალაქში ეძებნა. მეორე მხრივ, ქალაქებში სოფლის მოსახლეობა, ძირითადად ახალგაზრდობა, ჩამოჰყავდათ დამკვრელურ სამუშაოებზე, განსაკუთრებით ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც ქალაქის მოსახლეობაში არაპოპულარული იყო. მათ უფორმდებოდათ ქალაქში დროებითი ჩაწერა, მაგრამ შემდეგში, მათი უდიდესი ნაწილი ახერხებდა მუდმივად ქალაქში დარჩენას. ამ პროცესების წყალობით უზომოდ გაიზარდა თბილისისა და ქუთაისის მოსახლეობა.

სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მოსახლეობის **სოციალური უზრუნველყოფა.** 1965 წლიდან კოლმეურნეებს დაუნიშნეს პენსიები, ხოლო 70-იანი წლების დასაწყისიდან მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს გაუზარდეს მოხუცებულობის პენსია. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა **თავისუფალი დრო.** 1967 წლიდან შემოიღეს ხუთდღიანი სამუშაო კვირა, შაბათ-კვირის დასვენებით.

ხელფასები, საბინაო პრობლემა, საპენსიო უზრუნველყოფა, თავისუფალი დროის პრობლემა – სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთი მხარეა. მაგრამ ამით, საბოლოო ჯამში, არსებითად არ ამაღლებულა მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე, ეს იმიტომ, რომ არ ხორციელდებოდა სოციალური პოლიტიკის მეორე მხარე – **საინვესტიციო პოლიტიკა.** ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება შეუძლებელია ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდის, სურსათით მომარაგებით ორგანიზაციის სრულყოფის, მომსახურების სფეროს, ვაჭრობის, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების, კულტურული და სამედიცინო მომსახურების განვითარების გარეშე. ყველაფერი ეს კი ვერ ვითარდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილების დონეზე, რადგან ამ დარგების განვითარებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ „ნარჩენები" ხმარდებოდა. სახელმწიფო სახსრების უდიდეს ნაწილს შთანთქავდა მძიმე ინდუსტრია, განსაკუთრებით სამხედრო ინდუსტრია.

სოციალური სფეროს სრულყოფილ განვითარებას ობიექტურ მიზეზებთან ერთად აფერხებდა სუბიექტური მიზეზებიც. წლების განმავლობაში პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში დამკვიდრდა სოციალური სფეროსადმი გულგრილი დამოკიდებულება. ეს განწყობა გადაეცემოდა და მკვიდრდებოდა საწარმოთა ხელმძღვანელობაში. წარმოების ხელმძღვანელები უმთავრესად სამეურნეო გეგმების შესრულებით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესება მათთვის მეორეხარისხოვან საქმეს წარმოადგენდა. ეკონომიკის ყველა სფეროში ფეხს იკიდებდნენ მაფიოზური ჯგუფები, რომლებიც ითვისებდნენ სახელმწიფო დოვლათს და ფარული მილიონერები ხდებოდნენ. ხალხის მატერიალური მდგომარეობა კი განუხრელად უარესდებოდა.

საქართველო საბჭოთა უნიტარული სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა, ამიტომაც მხოლოდ საქართველოში ხალხის მატერიალური ცხოვრების ამაღლებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მოსკოვი ამას არასგზით არ დაუშვებდა.

§5. ეკონომიკური რეფორმების ჩაშლის მიზეზები

საბჭოთა კავშირის მმართველი ზედაფენა, „გონებასუსტი მოხუცების ოლიგარქია", ხელისუფლების მთავარ პრინციპად ინარჩუნებდა: არ შეეცვალათ უკვე არსებული სახელისუფლებო ურთიერთობები, დაეცვათ ბიუროკრატიული სტრუქტურები, შეენარჩუნებინათ კოლექტიური ხელმძღვანელობა, შემოკრებილნი ყოფილიყვნენ ერთი პირის გარშემო. ცხოვრება კი მმართველ ზედაფენას განუწყვეტლივ აყენებდა არჩევანის წინაშე. პოლიტიკური კონსერვატიზმი თუ ეკონომიკური რეფორმები; მკაცრი ადმინისტრირება თუ საბაზრო ეკონომიკის ელემენტების დაშვება; არსებული კადრების სტაბილურობა თუ ფუნქციონერთა ახალი თაობის დაწინაურება; პირადი, პარტიული თავდადება თუ კომპეტენტურობა; პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა თუ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ფართოდ გზის გახსნა და სხვ. ცხადია, ამ პრობლემების სწორად გადაჭრა მმართველ ოლიგარქიას არც შეეძლო და არც სურდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში დაირღვეოდა ის მთავარი შეთანხმება, რომლითაც ეს ზედაფენა არსებობას ინარჩუნებდა.

თუმცა ცხოვრება მმართველ ოლიგარქიას აიძულებდა დადგომოდა რეფორმების გზას. მაგრამ მათ მიერ წამოწყებული რეფორმები იმთავითვე განწირული იყო. ცხადია, რომ ეს რეფორმები იქნებოდა ცალმხრივი, ზედაპირული, მათი განხორციელება შეფერხდებოდა და, საბოლოო ჯამში, კრახით დამთავრდებოდა. ეს იმიტომ, რომ რეფორმები ვერ შეეხებოდა მთავარს – სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლებს.

რა იყო XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობის მიზეზები?

პირველი. უმთავრესი მიზეზი იყო საბჭოთა სოციალისტური წყობილების არსებობა, გაბატონებული სოციალისტური ეკონომიკური დოქტრინა. ეს დოქტრინა გულისხმობდა ეკონომიკის ერთიან სახელმწიფო დაგეგმვას, მმართველობის უმკაცრეს ცენტრალიზაციას, ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვას და სხვა. სოციალისტური ეკონომიკის დოქტრინა ადგილს არ ტოვებდა 60-იანი წლების ეკონომიკური რეფორმებისთვის. შესაძლებელი იყო მხოლოდ დროებითი წარმატების მოპოვება. საბოლოო ჯამში კრახი გარდაუვალი იყო.

ეპოქის დრამატიზმს ისიც განაპირობებდა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერობა წილად ხვდა და თვრამეტი წელი ამ ამპლუაში გაატარა პიროვნებამ, რომელიც ამ როლისთვის სრულიად შეუფერებელი იყო. გაუნათლებელი, გონებაშეზღუდული, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ პრობლემებში სრულიად გაუცნობიერებელი ლეონიდ ბრეჟნევი, რომელსაც სხვისი დაწერილი უბრალო მისასალმებელი სიტყვის ზეპირად წარმოთქმაც კი არ შეეძლო, ბუნებით კონსერვატორი იყო და, ცხადია, არ შეიძლებოდა რეფორმატორთა მომხრე ყოფილიყო. ამბობენ, 1965 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, სადაც ალექსი კოსიგინი მოხსენებით გამოვიდა გარდაქმნების აუცილებლობისა და გარდაქმნების არსის შესახებ, ლეონიდ ბრეჟნევს უთქვამს: „ეს რა მოიგონა? რეფორმა, რეფორმა... ვის სჭირდება, ან ვინ გაიგებს? მუშაობაა უკეთ საჭირო – აი, მთელი პრობლემა!" ცხადია, ქვეყნის ასეთი პოლიტიკური ლიდერის დროს რეფორმებს განხორციელება არ ეწერა. ასეც მოხდა.

ლეონიდ ბრეჟნევი
შვილიშვილთან ერთად

1965-1972 წლები „კოსიგინის რეფორმების" განხორციელებისთვის ბრძოლის წლები იყო. ეს იყო წლები, როცა ალექსი კოსიგინის გავლენით ტენდენცია მიმართული იყო სახალხო მოხმარების მწარმოებელი დარგების განვითარებისაკენ, ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციისაკენ, მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვისაკენ, მატერიალური დაინტერესების ზრდისაკენ. მაგრამ 1972-1973 წლებიდან უკვე იმძლავრა ეკონომიკაში ლეონიდ ბრეჟნევის მიერ წამოყენებულმა პრიორიტეტებმა: მძიმე მრეწველობა, თავდაცვა, სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით ციმბირის უსწრაფესი ათვისება. ეს კურსი საბოლოოდ განამტკიცა სკკპ XXV ყრილობამ (1976 წ.), რომელმაც დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების X ხუთწლიანი გეგმის (1976-1980 წწ.) დირექტივები.

რატომ მოხდა ასე? საქმე ისაა, რომ რეფორმების გაღრმავება უკვე სოციალისტური ეკონომიკური დოქტრინის ძირითადი პრინციპებისა და თვით საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლებისთვის საშიშ ხასიათს იღებდა. სწორედ ამიტომ ეკონომიკური რეფორმების შეჩერება ბრეჟნევის ხელისუფლებამ აუცილებლად ჩათვალა. გადაწყდა რეფორმებისთვის დაეპირისპირებინათ, ერთი მხრივ, კაპიტალდაბანდების ზრდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მათი სწრაფი განვითარება; მეორე მხრივ, ტექნიკის მასობრივი შესყიდვა საზღვარგარეთიდან, რაც მანქანათმშენებლობის უპირატეს განვითარებაზე უარის თქმას ნიშნავდა. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდების გაზრდას, საზღვარგარეთ ტექნიკის შესყიდვას, ცხადია, დიდძალი ფული სჭირდებოდა. ამ ფულის მიღებას კი გეგმავდნენ აღმოსავლეთ ციმბირის რაც შეიძლება სწრაფი და მაქსიმალური ათვისებით, აღმოსავლეთ ციმბირში მეტი და მეტი ნედლეულის (გაზი, ნავთობი) მოპოვებითა და მისი ექსპორტით.

ქართული დასახლება „ნია-გრუზინსკაია" აღმოსავლეთ ციმბირში ბამ-ზე (ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა)

ამრიგად, XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან წამოწყებულ ეკონომიკურ რეფორმებს 70-იანი წლებიდან ბრეჟნევის ხელისუფლებამ დაუპირისპირა ალტერნატივა – ნაცვლად ეკონომიკის ინტენსიური განვითარებისა, ეკონომიკის ექსტენსიური განვითარება. ამით აიხსნება ის, რომ ტექნოკრატებისა და რეფორმატორების საქმიანობა, რომლებიც გამოდიოდნენ „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის" ლოზუნგით, თანდათან შეიზღუდა (სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაყინვა, შეკვეცილი სამეურნეო ანგარიშები და სხვ.) და მათი ადგილი კვლავ ეკონომიკის მართვის ნაცადმა მეთოდებმა დაიკავა: სახელმწიფო დაგეგმვის მეტისმეტი ცენტრალიზაცია, მეურნეობის გაძღოლის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები და ა. შ. ყოველივე ამის განხორციელების გზად კი პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივი სააგიტაციო მუშაობის გაძლიერება, მასების მობილიზაცია, შრომითი დისციპლინის განმტკიცება დაისახა.

მეორე. ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობის მიზეზი იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ძალზე ნელი და მცირე მასშტაბებით დანერგვა. მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სტიმულს კლავდა თვით სოციალისტური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი დაგეგმვის მკაცრი ცენტრალიზაცია, მეურნეობის გეგმური მართვა. გეგმური ეკონომიკა აიძულებდა საწარმოებს განუწყვეტლივ ებრძოლათ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისთვის, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული მათი ხელფასებისა და პრემიების ბედიც. საწარმოთა კოლექტივები განუწყვეტლივ აბარებდნენ პატაკებს ზემდგომ ორგანოებს კვარტალური თუ წლიური გეგმების შესრულების შესახებ. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის განუწყვეტელი ბრძოლა ხელს უშლიდა საწარმოებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვართა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ტექნიკურ რეკონსტრუქციას. ყოველივე ამას დრო სჭირდებოდა, საწარმო კი გეგმას ვეღარ შეასრულებდა. საწარმოებს ერჩიათ ყოველკვარტალური, ყოველწლიური გეგმები შეესრულებინათ, ვიდრე მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის დანერგვაზე ეზრუნათ. ამგვარად, ეკონომიკის განვითარება ინტენსიფიკაციის გზით, შრომის ნაყოფიერების ზრდით კი არ ხდებოდა, არამედ ექსტენსიური განვითარების გზით. მეტიც, ფართოდ დაინერგა სიყალბე გეგმების შესრულებაში – ათასგვარი „მიწერები", ათასგვარი მაქინაციები. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა „არაწარმოებული" ღირებულება, ხოლო მის საფუძველზე გაიცემოდა „კანონიერი" ხელფასებიც, „კანონიერი" პრემიებიც. ეს სიყალბე უნდოდა მუშასაც და ხელმძღვანელობასაც. ამით ორივე იქმნიდა უნარიანი მეურნის სახელს და თანამდებობასაც სტაბილურად ინარჩუნებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოგების მიღება არაწარმოებული პროდუქციიდან („მიწერებით" გეგმების შესრულება) სახელმწიფოს მოტყუების ცუდად შენიღბული გზა იყო. ცხადია, იგი ვერ დაინერგებოდა, ამისი სურვილი თვით საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას რომ არ ჰქონოდა. სხვა შემთხვევაში საკითხი დადგებოდა იმ ბალანსის დარღვევის შესახებ, რომლითაც, როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის მმართველი ოლიგარქია ხელისუფლებას ინარჩუნებდა.

მესამე. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ერთ-ერთ შემაფერხებელ ბარიერად იქცა ხელისუფლებაში მძლავრად ფეხმოკიდებული ბიუროკრატიზმი. XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებულ რეფორმებს ეწინააღმდეგებოდა ბიუროკრატიული კონსერვატიზმი. მთავრობაში, სამინისტროებში, უწყებებში, საწარ-

საბჭოთა პარტიული ელიტა

მოებში მოკალათებულ ხელმძღვანელობაში ინერციით გრძელდებოდა ყოველდღიურ ინტერესებზე, მისწრაფებებზე ფიქრი, ცდილობდნენ თავიდან მოეცილებინათ ყველაფერი, რაც არღვევდა მათი ჩვეულებრივი რიტმით ცხოვრებას. ისინი მართვას აგრძელებდნენ ნაცადი ცენტრალიზებული, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით. მმართველ ფენას არა მარტო არ სურდა, არამედ არც შეეძლო ეკონომიკის მართვის ახლებურ ფორმებზე გადასვლა. ამიტომ იყო, რომ სამინისტროები და უწყებები კვლავ აგრძელებდნენ საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებებისათვის რეფორმით მინიჭებული სამეურნეო უფლებების უგულებელყოფას. მართვის ეკონომიკური მეთოდების ადგილას 70-იანი წლებიდან მასობრივად მკვიდრდებოდა ადმინისტრაციული მეთოდები.

იგივე პროცესები ვითარდებოდა საქართველოში, რადგან იგი, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი, მჭიდროდ იყო მასთან დაკავშირებული. ეს იყო ორმაგი სტანდარტების დამკვიდრების პერიოდი, როცა მოსკოვშიც და თბილისშიც ლაპარაკობდნენ ერთს და და აკეთებდნენ მეორეს.

მეოთხე. XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული რეფორმების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე ის, რომ რეფორმები დაიწყო მაშინ, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საამისოდ უკვე არახელსაყრელი იყო. კერძოდ, იოსებ სტალინის გარდაცვალების, განსაკუთრებით კი სკკპ XX ყრილობის შემდეგ დაწყებული პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, ვერ განვითარდა სიღრმისეულად, ხოლო 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფაქტობრივად, შეჩერდა. დემოკრატიული ტენდენციები შესუსტდა, ბიუროკრატიულმა და კონსერვატიულმა ძალებმა არა მარტო გაიმარჯვეს, არამედ კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიციები. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 70-იან წლებში, პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელ ნორმებად იქცა: სიტყვით დემოკრატიული პროცესების აუცილებლობის აღიარება, საქმით – ავტორიტარიზმი; ტრიბუნიდან სახალხო ხელისუფლების ქადაგება, პრაქტიკაში – სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი; სიტყვით იმისი მტკიცება, რომ არსებობენ დემოკრატიული ინსტიტუტები, სინამდვილეში – დემოკრატიული ცხოვრების ნორმების ფეხქვეშ გათელვა; სიტყვით კრიტიკისა და საჯაროობის აღიარება, ყოველდღიურ ცხოვრებაში კრიტიკის ჩახშობა და ყოველგვარი გადაწყვეტილების საიდუმლო ვითარებაში მიღება.

ცხადია, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესების შეჩერებამ შეაფერხა ეკონომიკის მართვის დემოკრატიული მეთოდების დამკვიდრება, შეაჩერა ეკონომიკის მართვაში მასების აქტიური ჩაბმის პროცესი. წარმოების ბატონპატრონად და შემოქმედად გახდომის ოცნების აუსრულებლობამ გამოიწვია საზოგადოებრივი საკუთრებისაგან ხალხის გაუცხოება. საზოგადოება დაიღალა, მას დაეუფლა აპათია, რეფორმებისგან დაღლილობის კომპლექსი, სტაბილურობისა და წესრიგისაკენ სწრაფვა. საზოგადოების ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობა რეფორმების შეფერხებისა და კონსერვატული ძალების გამარჯვების მიზეზი გახდა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკურმა რეფორმებმა დაიგვიანა. მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი დრო იყო XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარი და 60-იანი წლების დასაწყისი. ეს იყო დრო, როცა იმსხვრეოდა ძველი სტერეოტიპები, დემოკრატიული პროცესები სწრაფად იკაფავდნენ გზას. რეფორმები კი მაშინ გატარდა, როცა დაიწყო უკუპროცესი, როდესაც პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია მძლავრად იკიდებდა ფეხს.

§6. საბჭოთა წყობილების რღვევის მეორე ეტაპის დასასრული

1965-1985 წლები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში „უძრაობის" პერიოდითაა ცნობილი. ხელისუფლების ცდა – რეფორმებით მიეღწია ეკონომიკის სტაბილური განვითარებისა და აღმავლობისთვის, უშედეგოდ დამთავრდა. მთელმა რიგმა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმა რეფორმების სიღრმისეული განხორციელება შეუძლებელი გახადა. შენელდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების



საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პლენუმი (1981 წ.)

ტემპები. მართალია, ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ ერთგვარ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ოფიციალური სტატისტიკური მასალა სინამდვილეს არ შეეფერებოდა. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების ტემპი შენელდა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტემპების მიახლოება საშუალო საკავშირო დონესთან მაინცდამაინც დიდ მიღწევად არ უნდა ჩაითვალოს. საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა კვლავ **ექსტენსიური** განვითარების გზას ადგა, კვლავ დაბალი რჩებოდა შრომის ნაყოფიერება. ეკონომიკის სტრუქტურული განვითარების მოსკოვიდან დაგეგმვა იწვევდა საქართველოს ეკონომიკის სრულ გადახლართვას სხვა რესპუბლიკების, განსაკუთრებით რუსეთის ეკონომიკასთან და ამით მისი დამოუკიდებელი განვითარების პერსპექტივის მოსპობას. როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირი, ისე საქართველო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით კვლავ ძალზე ჩამორჩებოდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში მიღწეულ დონეს.

გადაუჭრელი და მწვავე იყო სოციალური პრობლემები: დაბალი ხელფასები, მძიმე საბინაო პირობები, სუსტი საპენსიო უზრუნველყოფა, ფართო მოხმარების საგნების დეფიციტი, მომსახურების დაბალი დონე. ყოველივე ამის გამო მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა კვლავ განუხრელად უარესდებოდა. **სრულიად აშკარად იგრძნობოდა, რომ მუშა ნარმოებისაგან გაუცხოვდა, გლეხი – მინისაგან.** საზოგადოებამ დაკარგა ხელისუფლების რწმენა, დაკარგა ყოველგვარი დაინტერესება. საზოგადოება სრულმა აპათიამ მოიცვა.

საბჭოთა კავშირი მძიმე პოლიტიკური კრიზისის წინაშე იდგა. რაც, ერთი მხრივ, იმაში გამოიხატა, რომ ხელისუფლება სრულიად უძლური აღმოჩნდა ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში; **მეორე მხრივ,** ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ფეხი მოიკიდა კორუფციამ, პროტექციონიზმმა და ამორალიზმმა. პარტიულ-სახელმწიფო ნომენკლატურა აშკარად ხელიხელჩაკიდებული იყო „ჩრდილოვანი ეკონომიკის" კლანებთან.

ცენტრში გავრცელებული სენის მეტასტაზები სწვდებოდა ყველა რესპუბლიკას, მათ შორის საქართველოს. პროტექციონიზმთან, კორუფციასთან, მომხვეჭელობასთან ბრძოლას შედეგები არ მოჰქონდა. არნახულ დონეს მიაღწია ბიუროკრატიზმმა ცენტრსა და ადგილებზე. უმაღლეს ნომენკლატურულ თანამდებობებს იკავებდნენ ახლობლობის, მეგობრობის, ნათესაობის მიხედვით. ტონს მათ თვით უმაღლესი ხელისუფალი – ლეონიდ ბრეჟნევი – აძლევდა, რომელსაც მაამებლები ყოველთვის გარს ეხვივნენ. მათგან ხოტბაშესხმული უზარმაზარი სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერი უხვად ურიგებდა თანამდებობებს არაკომპეტენტურებსაც, უნიჭოებსაც, უპრინციპოებსაც, სახელგატეხილებსაც. ასე თანდათან იფურჩქნებოდა ფუჭსიტყვაობა, უცოდინრობა, უსაქმურობა, ბიუროკრატიზმი. ასე ხდებოდა საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, რესპუბლიკებში. შედეგი კი იყო: **აზროვნების კონსერვატიზმი, პრაქტიკული**

ლეონიდ ბრეჟნევი მიესალმება საბჭოთა საქართველოს (თბილისის აეროპორტი, 1981 წ.)

მოქმედების კონსერვატიზმი, რომელიც შთანთქავდა და აფერხებდა ყოველგვარ სიახლეს.

გაუარესდა საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობაც. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას უაღრესად არასასურველი შედეგები მოჰყვა. „საერთაშორისო დაძაბულობის

შენელებით" მიღწეული ნაყოფი მათ, ფაქტობრივად, გააქარწყლეს. საბჭოთა კავშირის ხელსაყრელი პერიოდი საზღვარგარეთის ქვეყნებთან როგორც დიპლომატიური, ისე ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში დამთავრდა. განახლდა დაძაბულობა დასავლეთთან, პირველ რიგში კი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დაიწყო ატომური და ტექნოლოგიური უპირატესობისთვის შეჯიბრი. საბჭოთა სახელმწიფო ამ შეჯიბრების შედეგებით აშკარად ილუპებოდა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ წლების მანძილზე უდიდესი პროპაგანდისტული მუშაობით შექმნილი შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე „მშვიდობისმოყვარე", მშვიდობის „ერთგული დამცველი" იყო, ხელის ერთი დარტყმით გაქარწყლდა. 1979 წლის დეკემბერში საბჭოთა 200-ათასიანი არმია ავღანეთში შეიჭრა, ვითომდა, ავღანეთის დაცვის მიზნით. **სინამდვილეში ეს იყო საბჭოთა კავშირის ისტორიაში ყველაზე ბინძური, დამპყრობლური ომი.** მან უკიდურესად დაძაბა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა დაგმო საბჭოთა კავშირის აგრესია და მოითხოვა ავღანეთიდან მისი ჯარების გაყვანა. ეს იყო ყველაზე არაპოპულარული ომი თვით საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში. ომი განუწყვეტლივ შთანთქავდა ქვეყნის მატერიალურ რესურსებს, იწირავდა ათასობით ადამიანის სიცოცხლეს. ომი დაჭრილ და დასახიჩრებულ, უაზროდ განწირულ და გაბოროტებულ ადამიანთა არმიას სულ უფრო და უფრო ზრდიდა, განსაკუთრებით ნაციონალურ მხარეებში, მათ შორის საქართველოში. ავღანეთთან ომმა დააჩქარა საბჭოთა კავშირის აგონია. მის დაშლაში ეჭვი აღარც საქართველოში

საბჭოეთის ლიდერები: იოსებ სტალინი, ნიკიტა ხრუშჩოვი, ლეონიდ ბრეჟნევი, იური ანდროპოვი, კონსტანტინე ჩერნენკო

ეპარებოდათ. დადგა დრო, როცა საქართველოს საკუთარ თავზე უნდა ეზრუნა.

„მოხუცთა ოლიგარქიის" მმართველობის ბოლო ხუთწლედმა მოვლენების სწრაფი ცვლილებებით ჩაიარა, მას შეიძლება „სიკვდილიანობის ხუთწლედიც" ვუწოდოთ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ლიდერთა ჯგანმრთელობის მდგომარეობა საიდუმლოდ დაცულ სახელმწიფო საიდუმლოებათა რიგს მიეკუთვნებოდა, ლეონიდ ბრეჟნევის პროგრესირებადი დაუძლურება მაინც ყველასათვის ცნობილი იყო. მძიმედ დაავადებულმაც კი ვერ პოვა მან საკუთარ თავში ძალა, რომ გადამდ-

იური ანდროპოვი

გარიყო. ბუნების კანონმა მაინც თავისი სიტყვა თქვა: პოლიტიკური მოღვაწეობისათვის დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ლეონიდ ბრეჟნევი 1982 წლის ნოემბერში ფიზიკურადაც გარდაიცვალა.

1982 წლის ნოემბერშივე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს **იური ანდროპოვი,** პრეტენდენტთა შორის ყველაზე „ახალგაზრდა" – 68 წლის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე იური ანდროპოვმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ აპირებდა ძირეულ გარდაქმნებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, ეკონომიკაშიც. უწინარეს ყოვლისა, მან თავი გამოიჩინა იმით, რომ დაიწყო ე. წ. „საკადრო რევოლუცია" – საზოგადოების პოლიტიკური ზედაფენის რეფორმა. იური ანდროპოვმა ხელმძღვანელობას ჩამოაშორა ყველაზე ოდიოზური პირები, დაიწყო ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ხელმძღვანელთა როტაციის (მონაცვლეობის) დანერგვა, გააჩაღა შეურიგებელი ბრძოლა შრომითი დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. მოსკოვში დაწყებულ კამპანიას აქტიურად აუბა მხარი საქართველოს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ. ედუარდ შევარდნაძე გაზეთ „პრავდაში" დაბეჭდილ სპეციალურ წერილში იტყობინებოდა, რომ საქართველოში კორუფციისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისთვის თანამდებობიდან გათავისუფლდა 300-ზე მეტი ხელმძღვანელი პირი.

იური ანდროპოვმა საზოგადოებას თავი დაამახსოვრა აგრეთვე ოფიციალურად წარმოთქმული მეტად მოულოდნელი ფრაზით, რომელმაც თავზარი დასცა მეცნიერთა მთელ არმიას, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ სამეცნიერო ხარისხები და წოდებები იმის მტკიცებით, რომ საბჭოთა კავშირში არსებობდა „განვითარებული სოციალიზმი". ანდროპოვი ყველასათვის მოულოდნელად აცხადებდა:

„ჩვენ არ ვიცნობთ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ" და მოითხოვა სოციალიზმის შესახებ გაბატონებული შეხედულებებისა და სტერეოტიპების გადასინჯვა. საბჭოთა კავშირის ახალ პოლიტიკურ ლიდერს დასახული ჰქონდა ეკონომიკური რეფორმების გატარება, მაგრამ ვეღარ შეძლო. მისი ხანმოკლე მმართველობა მოულოდნელად შეწყდა. 1984 წლის თებერვალში იური ანდროპოვი გარდაიცვალა.

იური ანდროპოვის ადგილი, უკვე მძიმე ავადმყოფმა, 73 წლის **კონსტანტინე ჩერნენკომ** დაიკავა. მან მხოლოდ ის მოასწრო, რომ გაყინა ანდროპოვის მიერ წამოწყებული გარდაქმნები და დაიწყო ბრეჟნევისდროინდელი უძრაობის დაბრუნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იდეოლოგიასა თუ ეკონომიკაში. მეტი აღარც ჩერნენკოს დასცალდა. მისი მმართველობა კიდევ უფრო ხანმოკლე გამოდგა. 1985 წლის მარტში კონსტანტინე ჩერნენკო გარდაიცვალა.

დასრულდა „მოხუცთა ოლიგარქიის ხანა" – „უძრაობის" პერიოდი იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდგომი დროის საბჭოთა კავშირის ისტორიაში. სტალინის მემკვიდრეებმა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ურთიერთობების სფეროში ახალი ვერაფერი შექმნეს. იოსებ სტალინის განმქიქებელნი იმავდროულად განწირულივით ეჭიდებოდნენ ისევ მას, რაც სტალინმა მოიაზრა. ამ სახელმწიფო

მიხეილ გორბაჩოვი

მოღვაწეებს არც ნგრევის, არც გარდაქმნების, არც ახლის შენების ნიჭი არ აღმოაჩნდათ. ეს არც იყო მოულოდნელი. როცა მათ მოღვაწეობას აფასებ, უნებლიე გაგონდება ტალეირანის სიტყვები: „მრავალ ერს დაეცემოდა თავზარი, რომ გაეგოთ, როგორი უმნიშვნელო ხალხი მბრძანებლობდა მათზე". სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში მოქცეული საქართველოც „უმნიშვნელო ხალხის" მბრძანებლობით „ცხოვრობდა" და „ვითარდებოდა".

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებების ეპოქა, რომელმაც ისტორიაში მიიღო „გარდაქმნის" სახელწოდება. „გარდაქმნის არქიტექტორად" ითვლება **მიხეილ გორბაჩოვი,** რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად 1985 წლის მარტში აირჩიეს. ეს იყო საბჭოთა წყობილების რღვევის მესამე ეტაპის დასაწყისი.

მხოლოდ ექვსი წელიღა რჩებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ექვსი წელი და ცხრა თვე – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ოფიციალურ დაშლამდე.

§7. საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და ინტერესები

საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული სქემით სამ სოციალურ ფენად იყოფოდა: **მუშათა კლასი, გლეხობა** და **ინტელიგენცია.** საბჭოთა პროპაგანდის მიხედვით ამ სოციალურ ფენებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა სუფევდა. სინამდვილეში საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა ბევრად მრავალფეროვანი იყო. სოციალურ ფენათა ურთიერთდამოკიდებულება, ასევე მათი დამოკიდებულება არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის მიმართ ძალზე რთული ხასიათისა იყო.

მუშათა კლასის საერთო მასისაგან გამოიყოფოდა **მუშათა ელიტა,** რომელსაც შეადგენდნენ შედარებით მაღალი ანაზღაურების მქონე სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანინაურებული და ბიუროკრატიზებული მუშური ზედაფენა. მუშათა ეს ფენა ინტეგრირებული იყო ხელისუფლებასთან და ერთგულად ახორციელებდა მის მითითებებსა და პოლიტიკურ კურსს. სოფლის მოსახლეობაშიც გამოიყოფოდა **ე. წ. გლეხური ელიტა,** რომლის ინტერესები და მიზნებიც განსხვავებული იყო ძირითადი გლეხური მასისაგან (სოციალისტური შრომის გმირები, დეპუტატები, კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრები, ბრიგადირები და ა. შ.). ცალკე **სოციალურ** ფენას წარმოადგენდა საქართველოს **კომუნისტური** პარტიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიული აპარატი. XX საუკუნის 60-70-იან წლებში როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს ხელმძღვანელობაში ახალი თაობა მოვიდა. **ეს თაობა უფრო ნაკლებად დოგმატური და ფანატიზებული, სამაგიეროდ, უფრო მეტად კარიერისტული და პრაგმატულად განწყობილი იყო, ვიდრე წინა თაობები.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი თაობა ცდილობდა მუშურ-გლეხურ მასას დაყრდნობოდა. საქართველოს კომუნისტური ხელ-

მძღვანელობის ახალი თაობა და განსაკუთრებით მისი ლიდერი ედუარდ შევარდნაძე თავის სოციალურ დასაყრდენად ირჩევდა, ერთი მხრივ, **მუშურ-გლეხურ ზედაფენას,** ხოლო მეორე მხრივ, და უფრო მეტად – **ელიტარულ ინტელიგენციას.** ხელისუფლებასთან დაახლოებულ ინტელიგენციას აღარ მოეთხოვებოდა კომუნისტური იდეოლოგიის ბრმა ერთგულება, საკმარისი იყო ამ იდეოლოგიის გარეგნულ ფორმალური აღიარება. ამან გამოიწვია პატრიოტულ-ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოკრება რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობის გარშემო. ხელისუფლება ცდილობდა დაეახლოებინა ადრე მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი მოღვაწეებიც კი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირშიც და საქართველოშიც ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბდა – **მოსამსახურეთა** საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. მომსახურების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მრავალრიცხოვანი სოციალური ფენის ჩამოყალიბება დამახასიათებელი იყო ომისშემდგომი პერიოდის ინდუსტრიული მსოფლიოსთვის და საბჭოთა კავშირი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მოსამსახურეთა სოციალურ ფენას მუშურ-გლეხური სოციალური ფენისაგან განსხვავებული მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა და ინტერესები გააჩნდა.

კიდევ უფრო მრავალფეროვან და რთულ სტრუქტურას წარმოადგენდა ქართული და ზოგადად საქართველოს **ინტელიგენცია,** რომელშიც, ძირითადად, რამდენიმე ფენა გამოიყოფოდა. ძირითად შრეს წარმოადგენდა **რიგითი, საშუალო ინტელიგენცია** – მასწავლებლები, ინჟინრები, პროფესორ-მასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები და სხვ. XX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოს ინტელიგენციაში მოვიდა ახალი თაობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განთავისუფლებული იყო კომუნისტურ-ინტერნაციონალისტური დოგმებისაგან და პერმანენტულად იხრებოდა ეროვნული ღირებულებებისაკენ. სულ უფრო ნაკლებ ზეგავლენას ახდენდა საზოგადოებაზე **ინტელიგენციის პროკომუნისტურად მოაზროვნე ელიტარული ნაწილი,** რომელიც მთლიანად იყო ინტეგრირებული საბჭოთა ხელისუფლებასთან და ამ ხელისუფლების იდეოლოგიურ სამსახურში იმყოფებოდა. ეს იყო ე. წ. **„წითელი ინტელიგენცია“,** რომლის შექმნასაც დიდი ენერგია შეალია საბჭოთა ხელისუფლებამ და რომელსაც კომუნისტური იდეალის მიხედვით უნდა შეეცვალა XX საუკუნის 20-50-იან წლებში რეპრესიების დროს თითქმის განადგურებული **ეროვნული ინტელიგენცია.**

საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანი ვერ განახორციელა. ერთი მხრივ, **მაღალინტელექტუალურმა ქართველმა საზოგადოებამ „წითელი ინტელიგენცია“ არ იწამა თავის ჭეშმარიტ ლიდერად.** მეორე მხრივ, 60-70-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა **ქართული მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის ნარმომადგენელთა ახალი თაობა, რომელმაც შექმნა ქართული ინტელიგენციის ავანგარდი.** განსაკუთრებით ძლიერ ზეგავლენას ქართველ საზოგადოებაზე ახდენდა მწერლობა და კინოხელოვნება. სწორედ ამ სფეროებში მოვიდა საბჭოთა სისტემის მანკიერებისადმი კრიტიკულად განწყობილი და, რაც მთავარია, პატრიოტულად მოაზროვნე თაობა.

XX საუკუნის 70-იან წლებში ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ცალკე სოციალურ ფენად წარმოდგა ქართველი **სტუდენტი-ახალგაზრდობა.** მოსახლეობაში გაიზარდა სტუდენტობის ხვედრითი წილი. 1979 წლისათვის საქართველოს 19 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 80 000-ზე მეტი სტუდენტი, ხოლო პროფტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში – 85 000-მდე მოსწავლე. რაც მთავარია, ამ პერიოდში გაიზარდა სტუდენტი-ახალგაზრდობის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის აქტიური მონაწილის, სოციალური ფუნქცია. **XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობის ძირითად ნაწილში მიმდინარეობდა ღირებულებათა გადაფასების რთული და საინტერესო პროცესი. ერთი მხრივ, 70-იანი წლებისთვის ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგიური დოგმების უარყოფა, ძირითადად, მომხდარი ფაქტი იყო; მეორე მხრივ, ქართველი ახალგაზრდობა გაბედულად და დაუფარავად უბრუნდებოდა ეროვნულ ღირებულებებს და ცდილობდა აქტიურად დაეცვა იგი.** ამასთან ერთად, ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობის შეხედულებებზე გავლენას ახდენდა დასავლეთ ევროპის – ე. წ. თავისუფალი სამყაროს დემოკრატიული ინსტიტუტები, პოპკულტურა, სტუდენტური მოძრაობა, ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი „ხავერდოვანი რევოლუციის“ იდეები და სხვ.

რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო საბჭოთა წყობილებისადმი ცალკეული სოციალური ჯგუფების კრიტიკული დამოკიდებულება, იგი არ სცილდებოდა XX საუკუნის 70-იან წლებში ლიბერალური სულისკვეთებისა და პროტესტის ჩარჩოებს. ქართული საზოგადოების ძირითადი ნაწილი კონფორმისტულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ცალკეული ეპიზოდების გარდა, პროტესტანტული განწყობილება არ სცილდებოდა ინტელექტუალიზმის ფარგლებს და XX საუკუნის 70-იანი წლების შუა

ხანებამდე არ მიუღია პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი.

კონფორმიზმის დამკვიდრების მიზეზი იყო საბჭოთა ხელისუფლების, მისი ძალოვანი სტრუქტურების სიძლიერე. ეს იწვევდა საზოგადოებაში პოლიტიკური უძლურების, ურწმუნობის, გულგრილობის, კარიერიზმისა და სხვა მანკიერი განწყობილებების გაძლიერებას. კონფორმიზმის განმაპირობებელი მეორე ფაქტორი იყო ის გარემოებაც, რომ 70-იან წლებში ქვეყნის მოსახლეობამ მეტ-ნაკლებად მიაღწია მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობებისა და კეთილდღეობის დამაკმაყოფილებელ დონეს. შეიქმნა სოციალური წონასწორობის პირობები, რაც მოსახლეობისა და საზოგადოების ფართო ფენებს ანტისისტემური მოძრაობის შესაძლებლობის საფუძველს არ აძლევდა.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის ძლიერებას თითქოს საფრთხე არ მოელოდა. საბჭოთა საზოგადოების შიგნით არ ჩანდა ნონკონფორმისტული პოლიტიკური ბანაკი, რომელიც საბჭოთა სისტემას ღიად დაუპირისპირდებოდა.

§8. ეროვნული მოძრაობა

1975 წლის 30 ივლისიდან 1 აგვისტომდე ჰელსინკში მიმდინარეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოების მესამე ეტაპის თათბირი. ევროპის 33 ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს თათბირის დასკვნით აქტს. ამ დოკუმენტის პირველ კარში ჩამოყალიბებული იყო ათი პრინციპი, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობის დროს. ეს პრინციპებია: სუვერენული თანასწორობა, ძალის გამოუყენებლობა, საზღვრების ურღვევობა, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა, დავის მშვიდობიანი მოწესრიგება და სხვ.

საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოების ხელისუფალთათვის, რომლებმაც აგრეთვე ხელი მოაწერეს დასკვნით აქტს, განსაკუთრებით არასასურველი იყო ამ დოკუმენტის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების – აზრის, სინდისის, რელიგიის, რწმენის თავისუფლების – პატივისცემას, აგრეთვე ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლებას. როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ბოლომდე ვერ გაითვალისწინა ჰელსინკის დეკლარაციის აღნიშნული პრინციპის აღიარება რა შედეგების მომტანი აღმოჩნდებოდა საბჭოთა იმპერიისათვის.

ადამიანის უფლებებისა და მისი დაცვის ვალდებულებების აღიარებამ მსოფლიოს წინაშე **საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელისუფლება იძულებული გახადა შერიგებოდა პირველი არაკომუნისტური, ნონკონფორმისტული ორგანიზაციების შექმნას.** საბჭოთა კავშირის რიგ ქალაქებსა და რესპუბლიკებში წარმოიქმნა პირველი ე. წ. სხვაგვარად მოაზროვნეთა და ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები – ე. წ. **ჰელსინკის ჯგუფები.** ასე აღმოცენდა საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობა. ჰელსინკის ჯგუფები ინფორმაციას ავრცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ. ეს ინფორმაცია მსოფლიოს ქვეყნებში ვრცელდებოდა, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ერიდებოდა დისიდენტური მოძრაობის მიმართ ღია რეპრესიებს.

1976 წელს **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** თაოსნობით საქართველოში შეიქმნა **„ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი“**, რომელმაც იმავე წელს ოფიციალურად დააარსა **„ჰელსინკის ჯგუფი“**. ჰელსინკის ჯგუფში შედიოდნენ: **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე, ბეგო ბეჟუაშვილი** და სხვ. შემდგომში ჯგუფს **„ჰელსინკის კავშირი“** ეწოდა. უკვე პირველივე დოკუმენტიდან – საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის დეკლარაციიდან – ჩანდა, რომ ახალი დისიდენტური ორგანიზაცია თავიდანვე ეროვნულ ნიადაგზე დადგა. დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელმოწერის შემდეგ საბჭოთა კავშირს უნდა შეეწყვიტა საქართველოს ანექსია, გაეყვანა საოკუპაციო ჯარები და მიენიჭებინა ქვეყნისთვის სრული დამოუკიდებლობა.

1976 წლის დეკემბერში საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა **ზვიად გამსახურდიას** რედაქტორობით გამოსცა ჟურნალ **„საქართველოს მოამბის“** პირველი ნომერი. შემდგომში ჯგუფმა გამოსცა ხელნაწერი ჟურნალები **„ოქროს საწმისი“, „საღვთისმეტყველო კრებული“** და სხვ. ქართველი დისიდენტების წერილები იბეჭდებოდა რუსულ დისიდენტურ გამოცემებში, საზღვარგარეთულ პრესაში. აღნიშნულ გამოცემებში ჰელსინკის ჯგუფი ამხელდა საქართველოში მიმდინარე ანტიეროვნულ პროცესებს, საქართველოს ეკლესიაში არსებულ მანკიერებებს, იცავდა ქართველი ერის ინტერესებს, ენას, კულტურის ძეგლებს, აგრეთვე დევნილთა და პოლიტპატიმართა უფლებებს და სხვ.

ჰელსინკის ჯგუფის საქმიანობამ ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერი ინტელიგენციისა თუ საზოგადოების მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. 1978 წლის მაისში **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კო-**

სტავა დააპატიმრეს და გაასამართლეს. ხელისუფლების მითითებით ზვიად გამსახურდია გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან.

საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია იყო საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია მრავალრიცხოვანი არ ყოფილა, მისმა საქმიანობამ დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. **დისიდენტური მოძრაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა ქართველი ინტელიგენციისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის აზროვნებასა და ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებებზე.**

ქართველ ინტელიგენციასა და სტუდენტ-ახალგაზრდობაში პატრიოტული განწყობილების 'ინ-ძლიერე კარგად დაადასტურა 1978 წლის აპრილის მოვლენებმა.

1978 წელს უნდა მიეღოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. ხელისუფლება ცდილობდა კონსტიტუციის პროექტის განხილვისთვის სახალხო ხასიათის მიცემას. ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით საქართველოში, სხვადასხვა სოციალურ ფენებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ძირითადი შეხედულება: **ინტერნაციონალურ-კოსმოპოლიტური** და **ეროვნული.** საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მომწიფებულად მიიჩნევდა ეროვნული ბარიერების მოშლის, საბჭოთა იმპერიის სივრცეში მცხოვრები ერების ურთიერთშერწყმის და ერთი საერთო ეთნოსის ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებას. ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირების გზაზე, რაც ფაქტობრივად მცირე ერების გარუსებას ნიშნავდა, ყველაზე სერიოზულ ხელშემშლელ ბარიერს ეროვნული ენების არსებობა წარმოადგენდა. ამიტომ **საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტში ამოიღეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის აღმნიშვნელი მუხლი.** კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი ფორმალურად ცნობდა ქართული ენისადმი ზრუნვის საჭიროებას, მაგრამ ფაქტობრივად საფრთხეს უქმნიდა არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასაც, რადგან ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში უმცირესობების ენას ქართული ენის თანაბარ უფლებებს ანიჭებდა და მათ სრულ თანასწორუფლებიანობას აღიარებდა. ასეთ პირობებში ერთადერთი რეალური უპირატესობით ისარგებლებდა რუსული ენა, რომელიც არა მარტო კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფო აპარატის, არამედ რესპუბლიკათა და შიდარესპუბლიკური ეროვნებათაშორისო ურთიერთობების ენა იყო.

ზვიად გამსახურდია

მერაბ კოსტავა

ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად აღდგა ქართველი სტუდენტობა და ინტელიგენციის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი. 1978 წლის 12 აპრილიდან თბილისში დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. მასში მონაწილეობას იღებდნენ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და საშუალო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეები. დაიწყო დიდი მოძრაობა, რომელშიც წამყვან როლს ასრულებდა თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა.

ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ სტუდენტობის დარაზმვაში დიდი წვლილი შეიტანეს **გია ჭანტურიამ, თამარ ჩხეიძემ, მარიამ ბაღდავაძემ** და სხვებმა. ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, კონკრეტულად კი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნების მიზნით, ქართველი საზოგადოების დარაზმვაში დიდი წვლილი შეიტანა **აკაკი ბაქრაძემ.** აკაკი ბაქრაძე დიდი პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოების ყველა ფენაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის წინ თავი მოიყარა ათასობით სტუდენტმა. მათ შორის იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ დღეს საქართველოს უმაღლეს საბჭოს უნდა მიეღო ახალი კონსტიტუცია. დემონსტრაცია მთავრობის სასახლისაკენ დაიძრა. დემონსტრანტებს გზად სხვა სასწავლებლების ათასობით სტუდენტი და სკოლის მოს-

წავლე შეუერთდა. მთავრობის სასახლის წინ ათი-ათასობით დემონსტრანტმა მოიყარა თავი. **დემონსტრანტების მტკიცე მოთხოვნა იყო ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენა.** დემონსტრანტების მოთხოვნას ღიად თუ ფარულად მხარს უჭერდა დედაქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ენის დაცვის ლოზუნგმა, რომელიც სიმბოლურად განასახიერებდა ეროვნული ინტერესების დაცვას, ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენები გააერთიანა.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ლიდერმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ედუარდ შევარდნაძემ** უაღრესად რთულ ვითარებაში დიდი პოლიტიკური ტაქტი და პასუხისმგებლობა გამოიჩინა. ერთი მხრივ, იგი პასუხს აგებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, მეორე მხრივ კი, ქართველი ერის წინაშე. არ იყო გამორიცხული, რომ მოვლენები 1956 წლის 9 მარტის სცენარით განვითარებულიყო.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის მიმდინარეობის დროს ედუარდ შევარდნაძე არ მოერიდა დემონსტრანტებთან შეხვედრას და მათი მო-

აკაკი ბაქრაძე

თხოვნები მოისმინა. ამავე დროს, იგი მოსკოვს მდგომარეობის სირთულეს უხსნიდა და მის გადაწყვეტილებას ელოდა. ამჯერად, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დათმობა ამჯობინა და დათანხმდა საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლს პატრიოტული ძალებისთვის სასურველი სახე მიეცა. **ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი აღდგა.** ეს იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება.

1978 წლის 14 აპრილის მოვლენები არ იყო შემთხვევითი. იგი განაპირობა XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქართულ საზოგადოებაში მომხდარმა მორალურ-მსოფლმხედველობრივმა ტრანსფორმაციამ. რაც მთავარია, სწორედ ამ პერიოდში ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, განსაკუთრებით ინტელიგენციისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა, ღიად თუ ფარულად უარყო კომუნისტურ-ინტერნაციონალური იდეოლოგია და ზოგად-ეროვნულ ღირებულებებს დაუბრუნდა.

ქართველი საზოგადოების ეროვნული ღირებულებებისკენ შემობრუნება, რომელიც XX საუკუნის 60-70-იანი წლების მანძილზე მიმდინარეობდა,

საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქი ილია II

კიდევ უფრო გაღრმავდა 80-იანი წლების დასაწყისში. ამ პროცესის გავლენას განიცდიდნენ აგრეთვე საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის ცალკეული წარმომადგენლებიც. ისინი, ნებით თუ უნებლიეთ, ცდილობდნენ ანგარიში გაეწიათ ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის. 80-იანი წლების დასაწყისში საკავშირო განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კავშირის ყველა არარუსულ უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებელში ერთ-ერთი სპეციალური საგანი აუცილებლად რუსულ ენაზე უნდა ესწავლათ. ამგვარმა გადაწყვეტილებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვეს ქართული ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა: **მარიამ ლორთქიფანიძემ, გიორგი მელიქიშვილმა, ვახტანგ ბერიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, ნოდარ დუმბაძემ, მუხრან მაჭავარიანმა** და სხვ. მოსკოვი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სტუდენტ-ახალგაზრდობაზე, ინტელიგენციასა და, საერთოდ, ქართველ საზოგადოებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა ქართველ მწერალთა პატრიოტული ბირთვის შემოქმედება. ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა **მუხრან მაჭავარიანის** ლექსების კრებული „1832 წელი", რომელიც თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას. პოეტს აღფრთოვანებულ შეხვედრებს უწყობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი პოპულარობით სარგებლობდა **აკაკი ბაქრაძის** საჯარო ლექციები ქართული ლიტერატურის ისტორიაში. აკაკი ბაქრაძე ეროვნული პრობლემის მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა და

მწვავედ აკრიტიკებდა ტოტალიტარიზმს. ლექციები ხალხმრავალ მიტინგებს ჰგავდა. ეროვნული თვითშეგნების სულისკვეთებას უნერგავდა საზოგადოებას ოთარ ჭილაძის, გურამ გეგეშიძის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძისა და სხვათა შემოქმედება.

XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში მიმდინარეობდა ქართველი საზოგადოების შემობრუნება ეკლესიისაკენ. ეს დაკავშირებული იყო 1977 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევასთან. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ენერგიულად შეუდგა საქართველოს ეკლესიის განახლებას. კათოლიკოს-პატრიარქის პირველმა ნაბიჯებმა მორწმუნე მრევლის, პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის, სტუდენტობის დიდი მხარდაჭერა პოვა. საზოგადოება მკვეთრად შემობრუნდა ეკლესიისაკენ. ყოველივე ეს ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პირობებში დიდი სირთულეების წინაშე აყენებდა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებდა რეპრესიებს დისიდენტური მოძრაობის მოღვაწეების მიმართ. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგს დააპატიმრეს **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე, გია ჭანტურია, დავით ბერძენიშვილი** და სხვები.

მოსკოვისა და თბილისის ხელისუფლებას სულ უფრო უჭირდა მომძლავრებულ ეროვნულ-ოპოზიციურ სულისკვეთებასთან ბრძოლა, რაც საყოველთაო ხასიათს იღებდა. თავი იჩინა ტოტალიტარული სისტემისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა პრობლემებმაც. საზოგადოების ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა სულ უფრო აშკარად გამოხატავდა პროტესტს არსებული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. პროტესტის გამოხატვის ფორმები სხვადასხვა იყო. ამ პერიოდის ძალზე გახმაურებულ მოვლენას წარმოადგენდა ე. წ. „თვითმფრინავის გამტაცებელთა" საქმე. 1983 წლის 18 ნოემბერს რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ (გეგა კობახიძემ, ძმებმა კახა და პაატა ივერიელებმა, თინათინ ფეტვიაშვილმა, სოსო წერეთელმა, გიორგი ტაბიძემ და სხვებმა) სცადა თვითმფრინავის გატაცება, მაგრამ უშედეგოდ. თვითმფრინავი პილოტებმა ისევ თბილისში დასვეს. უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ – საბჭოთა სპეცდანიშნულების რაზმმა „ალფამ" შტურმით აიღო საჰაერო ხომალდი. ქართული საზოგადოებისათვის უკვე კარგად იყო ცნობილი იმ ახალგაზრდათა სახელები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად სცადეს თვითმფრინავის გატაცება. ცხრა თვის შემდეგ გამოძიებამ ე. წ. „თვითმფრინავის გამტაცებელთა" საქმე სასამართლოს გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ინტელიგენციამ საგანგებოდ სთხოვა ხელისუფლებას ლმობიერება გამოეჩინა და უმაღლესი სასჯელი არ მიესაჯა ახალგაზრდებისთვის, სასამართლომ მათ მაინც დახვრეტის განაჩენი გამოუტანა. სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა ასევე სრულიად უდანაშაულო მღვდელ თეიმურაზ ჩიხლაძეს.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური და მატერიალურ-ეკონომიკური პოტენციალი გამოფიტა ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ, რომელსაც იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აწარმოებდა სამხედრო გავლენის მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად. არ ჩანდა ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავის დაღწევის გზები. ყოველივე ეს თავისთავად აძლიერებდა ეროვნულ მოძრაობას საქართველოში.

თავი XIII

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1989-1991 წწ.)

§1. სოციალისტური სისტემის კრიზისი და ეროვნული მოძრაობის აღმავლობა

კრიზისი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში XX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან სულ უფრო აშკარა ხდებოდა. სოციალისტური ბანაკის რღვევა კი **პოლონეთიდან** დაიწყო. კომუნისტური რეჟიმის ანტიეროვნული პოლიტიკის, მმართველი ზედაფენის სულ უფრო მზარდი კორუმპირებულობისა და ეკონომიკის მკვეთრი დაცემის პირობებში ძალას იკრებდა პროფკავშირული მოძრაობა **„სოლიდარობა“**. ახალი მოძრაობა 1980 წლისათვის 10 მილიონ წევრს აერთიანებდა. ამავე წელს პოლონეთის მთავრობა იძულებული შეიქნა ხელშეკრულება დაედო „სოლიდარობასთან“, რითაც მოხდა ანტიკომუნისტური, ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა მოძრაობის ლეგალიზება. მომდევნო წლები პოლონეთის კომუნისტური ხელისუფლებისა და „სოლიდარობის“ დაუსრულებელი კონფრონტაციის პერიოდია. ქვეყანაში ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემასთან ერთად განუხრელად იზრდებოდა „სოლიდარობისა“ და მისი აღიარებული ლიდერის **ლეხ ვალენსას** ავტორიტეტი. „სოლიდარობის“ ტაქტიკა სახელმწიფო ხელისუფლების მშვიდობიანი გზით დაუფლებაში მდგომარეობდა. 1989 წლის ივნისში პოლონეთის სეიმის არჩევნებში „სოლიდარობამ“ დიდ გამარჯვებას მიაღწია. არჩევნების შედეგად უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმრავლესობაში, მართალია, კვლავ კომუნისტები რჩებოდნენ, პოლონეთის პრეზიდენტი გენერალი **ვოიცეხ იარუზელსკიც** კომუნისტი

ლეხ ვალენსა

იყო, მაგრამ „სოლიდარობის“ გავლენით ქვეყანაში დაიწყო სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ასე დაიწყო სოციალისტური წყობილების რღვევა პოლონეთში. ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა. 1990 წლის დეკემბერში პოლონეთის პრეზიდენტად ლეხ ვალენსა აირჩიეს. პოლონეთში ე. წ. **„ხავერდოვანმა რევოლუციამ“** გაიმარჯვა. კომუნისტური დიქტატურა დასრულდა.

კომუნისტურმა რეჟიმმა 80-იანი წლების შუა ხანებისათვის ღრმა კრიზისამდე მიიყვანა **უნგრეთის** ეკონომიკა. უნგრელმა კომუნისტებმა 1988 წელს ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის **იანოშ კადარის** თავიდან მოცილებით სცადეს პოლიტიკური სისტემის გადარჩენა. ახალმა ლიდერმა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **კაროლ გროსმა** ეფექტური ეკონომიკური რეფორმები ვერ გაატარა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1990 წლის მარტში გამართული არჩევნები უნგრელმა კომუნისტებმა წააგეს. ამრიგად, **„ხავერდოვანი რევოლუციით“** დასრულდა კომუნისტური დიქტატურა უნგრეთშიც.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტმა ლიდერმა **გუსტავ ჰუსაკმა** 80-იანი წლების ბოლოს რიგი ღონისძიებანი გაატარა, რათა თავიდან აეცილებინა პოლონეთსა და უნგრეთში მიმდინარე პროცესების გავრცელება ჩეხოსლოვაკიაში. მიუხედავად ამისა, კომუნისტური რეჟიმის გადარჩენა ჩეხოსლოვაკიაშიც შეუძლებელი გახდა. თავისი ხასიათით ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა მოძრაობა **„ქარტია-77,** რომლის სათავეში **ვაცლავ ჰაველი** იდგა, აერთიანებდა მთელ ოპოზიციურ ძალებს. 1989 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, პრაღაში, დიდი დემონსტრაციები გაიმართა. 1989 წლის დეკემბერში ვაცლავ ჰაველი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად აირჩიეს. კომუნისტური რეჟიმი ჩეხოსლოვაკიაშიც **„ხავერდოვანი რევოლუციის“** გზით დაემხო.

აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან კომუნისტური რეჟიმის დამხობას სერიოზული სისხლისღვრა მხოლოდ **რუმინეთში** მოჰყვა. 1989 წელს რუმინეთშიც დაიწყო ანტიკომუნისტური გამოსვლები. რუმინეთის კომუნისტმა ლიდერმა **ნიკოლაე ჩაუშესკუმ** საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ არმია გამოიყენა. დაილვარა სისხლი. კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი მოჰყვა 1989 წლის დეკემბერში ბუქარესტში არმიისა და დემონსტრანტების შეჯახებას. ნიკოლაე ჩაუშესკუს ვერ უშველა დედაქალაქიდან გაქცევამ. არმია ოპოზიცი-

ური ძალების მხარეზე გადავიდა. რუმინეთის კომუნისტი ლიდერი შეიპყრეს და 1989 წლის დეკემბერში სიკვდილით დასაჯეს. 1990 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერმა **იონ ილიესკუმ** გაიმარჯვა. კომუნისტური რეჟიმი ისტორიის კუთვნილება გახდა.

1989 წელი საბედისწერო აღმოჩნდა **ბულგარეთის** კომუნისტი ლიდერის **ტოდორ ჟივკოვისათვის**. თანაპარტიელებმა იგი ქვეყნის მმართველობას ჩამოაცილეს. ანტიკომუნისტური ოპოზიცია ბულგარეთში არ იყო სათანადოდ ორგანიზებული. სწორედ ამიტომ კომუნისტებმა 1990 წლის არჩევნებში აჯობეს პროდასავლური ორიენტაციის დემოკრატიულ ძალებს. სამაგიეროდ, 1992 წელს ბულგარეთის პრეზიდენტად ყოფილი დისიდენტი **ჟელიუ ჟელევი** აირჩიეს, რაც დემოკრატიული ძალების გამარჯვებას ნიშნავდა.

1992 წელს კომუნისტური დიქტატურა დასრულდა **ალბანეთშიც**. ამ წელს ალბანეთში აირჩიეს პირველი არაკომუნისტი პრეზიდენტი **სალი ბერიშა.**

კომუნისტური რეჟიმის მსხვრევას **ბულგარეთსა** და **ალბანეთში** თან ახლდა **ეთნიკური კონფლიქტები.** ამ კონფლიქტებმა ფართო მასშტაბი შეიძინა და დიდ სისხლისღვრაში გადაიზარდა **იუგოსლავიაში**. აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, იუგოსლავია არ იყო ჩაკეტილი დასავლეთის სამყაროსთვის, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკის აღმავლობას. მაგრამ XX საუკუნის 80-იან წლებში იუგოსლავიის ეკონომიკა ღრმა კრიზისის სტადიაში შევიდა. პარალელურად გამწვავდა ეროვნული საკითხი. 1990 წელს **სერბიაში, სლოვენიასა** და **ხორვატიაში** ჩატარდა არჩევნები, რის შედეგადაც შეიქმნა ადგილობრივი მთავრობები. 1991 წლიდან სლოვენია და ხორვატია აშკარად დაადგა სრული დამოუკიდებლობის გზას. შეიქმნა იმის საშიშროება, რომ სლოვენიისა და ხორვატიის ტერიტორიაზე განლაგებული იუგოსლავიის ფედერალურ არმიას, რომლის ოფიცერთა უმრავლესობა სერბები იყვნენ, შეჯახება მოუხდებოდა ადგილობრივ სახალხო ლაშქართან. 1992 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა **ბოსნიამ** და **ჰერცოგოვინამ**. შეიქმნა შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების საფრთხე აქ მცხოვრებ **მუსლიმებს, მართლმადიდებელ სერბებსა** და **კათოლიკე ხორვატებს** შორის. ამ საფრთხის მშვიდობიანი გზით თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა. იუგოსლავია მოიცვა ეთნიკურმა და რელიგიურმა კონფლიქტმა, რასაც თან დიდი სისხლისღვრა და გაუგონარი სისასტიკე მოჰყვა.

1989 წლის დამდეგი გერმანიის **დემოკრატიულ რესპუბლიკაში** კომუნისტურ რეჟიმს თითქოს არაფერს ცუდს არ უქადდა. პოლონეთსა და უნგრეთში მიმდინარე მოვლენების ფონზეც კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტი ლიდერი **ერიჰ ჰონეკერი** ჯიუტად უარყოფდა რეფორმების დაწყების აუცილებლობას. რეფორმების აუცილებლობაში იგი ვერც მოსკოვმა დაარწმუნა. 1989 წლის ივნისში **მიხეილ გორბაჩოვი** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ **ჰელმუტ კოლს** საბჭოთა კავშირისთვის ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლებას დაჰპირდა. ამ პერიოდისათვის მასიური ხასიათი მიიღო სხვადასხვა გზით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეების გადასვლამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. 1989 წლის ოქტომბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრ ქალაქში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები. ერიჰ ჰონეკერი დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიციის გამოყენებას აპირებდა. სისხლისღვრა თავიდან იმით იქნა აცილებული, რომ მოსკოვის ფარული მითითების თანახმად, 1989 წლის ოქტომბერში ერიჰ ჰონეკერი გერმანელმა კომუნისტებმა ხელისუფლებას ჩამოაცილეს. ახალი ლიდერი **ეგონ კრენცი** იძულებული გახდა 1989

რონალდ რეიგანი და
მიხეილ გორბაჩოვი

წლის ნოემბერში აღმოსავლეთ ბერლინიდან დასავლეთ ბერლინში გადასვლაზე მოეხსნა აკრძალვა. კომუნისტური რეჟიმის შენარჩუნება გერმანიაშიც შეუძლებელი შეიქმნა. 1990 წლის აგვისტოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციისა და აღმოსავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესვლის შესახებ. ასე უსისხლოდ გადაიჭრა 1990 წელს ურთულესი საკითხი – ორი გერმანიის გაერთიანება.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადაუჭრელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. გატარებული რეფორმები შედეგს ვერ იძლეოდა. საბჭოთა კავშირის ცალკეულ რესპუბლიკაში დაწყებული ეროვნული მოძრაობა სულ უფრო რადიკალური ხდებოდა. კომუნისტური რეჟიმი კრიზისის უკანასკნელ სტადიაში შევიდა. **აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების დაცემამ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში კომუნისტური**

რეჟიმის ლიკვიდაციას და თვით საბჭოთა კავშირის დაშლას.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან, როგორც აღვნიშნეთ, სულ უფრო რადიკალური გახდა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკაში დაწყებული ეროვნული მოძრაობა. ეს მოძრაობა აშკარად **ანტირუსულ** ხასიათს ატარებდა. 1986 წელს **ირკუტსკში** შეჯახება მოხდა რუს და იაკუტ ახალგაზრდებს შორის. 1986 წელს **ალმა-ატაში** ანტირუსული გამოსვლა ჯარის გამოყენებით ჩაახშვეს. 1987 წელს დიდი ანტირუსული გამოსვლები მოეწყო ბალტიის რესპუბლიკებში. 1989 წელს **ლიტვის, ესტონეთისა** და **ლატვიის** რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა მოითხოვეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების უკანონოდ ცნობა მისი ხელმოწერის მომენტიდანვე. ცნობილია, რომ სწორედ ამ ხელშეკრულების ძალით საბჭოთა კავშირმა გერმანიისაგან მიიღო ბალტიის რესპუბლიკების ოკუპაციის უფლება. საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების I ყრილობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამ მოთხოვნისათვის. ყრილობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა მოეხდინა 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებლივი შეფასება.

1987 წლიდან **აზერბაიჯანის** შემადგენლობაში შემავალ **მთიანი ყარაბაღის** ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიწყო **სომხებისა** და **აზერბაიჯანელების** შეიარაღებული შეჯახებები. სომხები ითხოვდნენ მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოსვლას. ამის საპასუხოდ 1990 წელს **ბაქოში** დაიწყო სომხების დარბევა.

მოლდავეთში დაწყებული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მოსკოვის წაქეზებით აქტიურად ამოქმედდნენ სეპარატისტული ძალები. 1990 წელს სეპარატისტებმა მოითხოვეს მოლდავეთის რესპუბლიკიდან გამოეყოთ **ტირასპოლი**.

1989 წელს ანტირუსული გამოსვლები აღინიშნა **უზბეკეთსა** და **ყაზახეთში**, რასაც თან სდევდა დარბევები და ადამიანთა მსხვერპლი. იგივე მდგომარეობა იყო **დუშანბეში** 1990 წელს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზული საფრთხე შეექმნა 1990 წლის გაზაფხულზე. 1990 წლის მარტში **ლიტვაში, ლატვიასა** და **ესტონეთში** გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს დამოუკიდებლობის მომხრე ძალებმა. ლიტვის ახალმა პარლამენტმა მიიღო აქტი „ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ". ამ აქტით ლიტვის ტერიტორიაზე შეჩერებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციების მოქმედება. 1990 წლის 16 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკრეტი რესპუბლიკის **სუვერენიტეტის გარანტიების** შესახებ. საქართველომ პირველმა მოახდინა 1922 წლის 30 დეკემბრის სამოკავშირეო ხელშეკრულების დენონსირება.

მოვლენების განვითარებას სრულიად ახალი მიმართულება მისცა **რუსეთის ფედერაციის** სახალხო დეპუტატების I ყრილობამ. 1990 წლის ივნისში ყრილობამ მიიღო დეკლარაცია რუსეთის **სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის** შესახებ. რუსეთის ფედერაციის კვალობაზე სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციები მიიღეს **უზბეკეთმა, მოლდავეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ, თურქმენეთმა, სომხეთმა, ტაჯიკეთმა** და **ყაზახეთმა**. ჯერჯერობით საქმე ეხებოდა სუვერენიტეტს საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ცხადი იყო, რომ ეროვნულ რესპუბლიკებში დაწყებული მოძრაობა ამით არ დამთავრდებოდა.

§2. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საქართველოში. 1989 წლის 9 აპრილი

საბჭოთა კავშირში დაწყებული **გარდაქმნის** პროცესი, უპირველეს ყოვლისა, **საჯაროობის** კურსის გატარებას ნიშნავდა. გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთებისათვის. სუსტდებოდა საბჭოთა ცენზურის როლი. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებას. დაიწყო სხვადასხვა მიზნებისა და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებსაც იმხანად არაფორმალებს, არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ.

ერთ-ერთი პირველი არაფორმალური გაერთიანების **„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების"** დამფუძნებელი კრება 1987 წლის დეკემბერში ჩატარდა თბილისში. საზოგადოების მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, დემოკრატია და კაპიტალისტური ეკონომიკა. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება თავდაპირველად თავს უყრიდა მომავალში არაერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ: **თამარ ჩხეიძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი შენგელაია, ირაკლი ნერეთელი** და სხვები. შემდგომში საზოგადოებაში შევიდნენ: **მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე** და სხვები. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას თითქოს უნდა გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობის ძალები. მოკლე ხანში, 1988-1989 წლებში, საზოგადოების ყოფილმა დამფუძნებლებმა დატოვეს საზოგადოება და რამდენიმე ახალი პოლიტიკური პარტია შექმნეს.

1988-1989 წლებში საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალპარტიულ სისტემას. არენაზე გამოვ-

იდნენ: **ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია** (ლიდერი ირაკლი წერეთელი); **სახალხო ფრონტი** (ნოდარ ნათაძე), **წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება** და სხვ. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ადრე იყო დაარსებული და ახლა შეექმნა ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა. მათ რიცხვს განეკუთვნებოდნენ: **რესპუბლიკური პარტია** (ვახტანგ ძაბირაძე), **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** (გიორგი ჭანტურია), და სხვ. საქართველოში საფუძველი ეყრებოდა მრავალპარტიულ სისტემას, რაც ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის თანამდევ პროცესს წარმოადგენდა.

ეროვნული მოძრაობის უმთავრეს ძალას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა წარმოადგენდა. უნივერსიტეტის სტუდენტებმა შექმნეს **პრესკლუბი**, რომლის მუშაობას უნარიანად ნარმართავდნენ: **დათო ტურაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, თედო ისაკაძე** და სხვები. ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში.

ეროვნულმა მოძრაობამ შედარებით მასშტაბური გამოსვლების ხასიათი 1988 წლიდან მიიღო. 1988 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების საარტილერიო პოლიგონის გადატანა მოითხოვეს. 1988 წლის ივლისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონსულტაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. აკადემიის შესასვლელთან მიტინგი მოეწყო, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შეწყვეტას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მიტინგის რამდენიმე მონაწილე დააკავეს, მათ შორის იყვნენ **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა**. საქართველოს ჰელსინკის კავშირის ლიდერების დაპატიმრებამ აღშფოთების უფრო დიდი ტალღა გამოიწვია, რის გამოც ხელისუფლებამ გაათავისუფლა დაპატიმრებულები.

თავისი მასშტაბით უპრეცედენტო იყო 1988 წლის ნოემბერ-დეკემბრის გამოსვლები. 1988 წელს მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები აესახა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესწორებებსა და დამატებებში. დემოკრატიული გარდაქმნების ამსახველ მუხლებთან ერთად დამატებები შეიცავდა აშკარა მიულებელ მუხლებსაც, რომელთა მიზანიც იყო არ დაეშვათ საბჭოთა იმპერიის დაშლა. კერძოდ, კონსტიტუციის 118-ე და 119-ე მუხლებს ფაქტობრივად არარაობამდე დაჰყავდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლება, გასულიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. კონსტიტუციის დამატებების განხილვამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვდა აღნიშნული მუხლების ფორმულირების შეცვლასა და რესპუბლიკების თავისუფალი არჩევანის უფლების აღდგენას, რასაც სტალინური კონსტიტუციაც კი აღიარებდა. საზოგადოების დარაზმვაში დიდი წვლილი შეიტანა **აკაკი ბაქრაძემ**. პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა საზოგადოების საპროტესტო განწყობილების გამოყენება სცადეს. 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში, იპოდრომის ტერიტორიაზე. **ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის** ინიციატივით შედგა მრავალათასიანი მანიფესტაცია. მთავარი მოთხოვნები იყო: ხელისუფლების იმ ბრძანებულების გაუქმება, რომელიც კრძალავდა ნებადაურთველ მანიფესტაციებს; საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის შემზღუდველი მუხლების გაუქმება და სვანეთში მიმდინარე გიგანტური წყალსაცავების მშენებლობის შეწყვეტა.



საპროტესტო გამოსვლები თბილისის ქუჩებში (1988 წ. ნოემბერი)

1988 წლის 22 ნოემბერს, თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, დაიწყო შიმშილობა. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია მოშიმშილეებისა და მათი მხარდამჭერი მრავალრიცხოვანი საზოგადოებისთვის, არაფორმალური ორგანიზაციებისთვის. 25 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოითხოვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან 118-ე და 119-ე მუხლების შესწორებების ამოღება. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკან დაიხია და შესწორებები უარყო. 1988 წლის 29 ნოემბერს მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე აქცია ორგანიზებულად შეწყდა.

1988 წლის ნოემბრის მიტინგებისა და მანიფესტაციების შემდგომი რამდენიმე თვე ქარიშხლის ამოვარდნის წინ დასადგურებულ სიმშვიდეს მოგვაგონებდა. ხელისუფლება გრძნობდა, რომ მასობრივი

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულები:
ადამია აზა, ბამალუიშვილი ნათია, ბეჟანიშვილი ეკა, გიორგაძე ნატო, დოლიძე თამუნა, ენუქიძე თინა, თოიძე ნინო, კიკვიძე ზაირა, ლოლაძე მანანა, მამულაშვილი თამარი, მელქაძე მანანა, ნოზაძე მამუკა, ქარსელაძე გია, სამარგულიანი ნანა, ქვასროლიაშვილი შალვა, ჯანგირაშვილი ნოდარი, ჯინჭარაძე მზია, ჭიპაშვილი ელისო, ჭოველიძე თამრიკო, ჭყონია-სამარგულიანი მარინა

მიტინგები და დემონსტრაციები მალე ისევ დაიწყებოდა.

1989 წლის 18 თებერვალს **ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ მასობრივი მიტინგის ჩატარება სცადა. ხელისუფლებამ და ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მიტინგი ჩაშალა. მომიტინგეებს ძალოვანი უწყებების გადაცმული თანამშრომლები და კომკავშირელი აქტივისტები შეესივნენ და რამდენიმე ადგილას პროვოკაციულად გამოიწვიეს ჩხუბი და არეულობა. საზოგადოების ზემოქმედების შედეგად ხელისუფლებამ კვლავ უკან დაიხია და მიტინგის ჩაშლის გარემოებათა დასადგენად შექმნა კომისია.

1989 წლის 4 აპრილს ისევ **ილია ჭავჭავაძის საზოგადოების** ინიციატივით მთავრობის სასახლის წინ პერმანენტული მიტინგი დაიწყო. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და მისმა არცთუ მრავალრიცხოვანმა მხარდამჭერმა მომიტინგეებმა მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება. ეს იყო რეაქცია აფხაზი სეპარატისტების მიერ 18 მარტს ლიხნის შეკრებაზე მიღებული ანტიქართული დოკუმენტის წინააღმდეგ. მომდევნო დღეებში მომიტინგეებს შეუერთდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებმაც აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა მეორეხარისხოვან მოთხოვნათა რიგში გადაიტანეს და წამოაყენეს **საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის** მოთხოვნა. თავდაპირველად მცირერიცხოვანი მიტინგი ხალხმრავალ პერმანენტულ მანიფესტაციად გადაიქცა. მომიტინგეთა რამდენიმე ათეული ადამიანისგან შემდგარმა ჯგუფმა შიმშილობის აქცია დაიწყო. მოშიმშილეები უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ.

პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაციამ ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს ხელისუფლების სრული დაპირისპირება გამოიწვია. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადამჭრელი ზომებისთვის მიემართა. საქართველოს ეროვნული მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ყველაზე მთავარ მონაპოვარს – იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრა. 1989 წლის 8 აპრილს კრემლის ზეგავლენით საქართველოს რესპუბლიკური აქტივის კრებამ მხარი დაუჭირა მომიტინგეთა მიმართ მკაცრი ზომების მიღების წინადადებას. აქტივის კრების მიმდინარეობის დროს მთავრობის სახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე, ტანკმა გაიარა, ხოლო იმავე დროს, თბილისის ცაზე სამხედრო შვეულმფრენები გამოჩნდნენ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის **ნიკოლსკის** ჩანაფიქრით, სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებას მომიტინგეთა დაშინება უნდა მოჰყოლოდა. პირიქით, მომიტინგეთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. მომიტინგეთა შორის იყო მოშიმშილეთა დიდი ჯგუფიც.

1989 წლის 8 აპრილს, გვიან ღამით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯუმბერ პატიაშვილმა**

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს გენერალ **როდიონოვს** სთხოვა, დემონსტრაციის დაშლა სხვა დროისთვის გადაეტანა. მაგრამ მოსკოვს სამხედრო ძალებით მიტინგის დაშლა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. თბილისში 7 აპრილს ჩამოსულ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **კოჩეტოვმა** საქართველოს ხელისუფლებას განუცხადა, რომ თუ სამხედრო ძალებით არ მოხდებოდა სასახლის მოედნის გაწმენდა, უფრო დიდი სისხლისღვრა იქნებოდა მოსალოდნელი.

მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ინგლისში იმყოფებოდა, თბილისის მოვლენების კურსში იყო.

1989 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობების გამკაცრების შესახებ, რომელიც უშუალოდ თბილისის მოვლენების ლიკვიდაციის საჭიროებამ განაპირობა. ასე შეიქმნა თბილისში მიმდინარე მიტინგის დარბევის იურიდიული საფუძველი.

თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, მიმდინარე მიტინგის დასაშლელად 1989 წლის 9 აპრილის დილ-

ყვავილები 9 აპრილის ტრაგედიის ადგილზე

ისთვის მზად იყვნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები. გარდა ამისა, მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადმოისროლეს საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გენერალ **ეფიმოვის** მეთაურობით. გენერალ ეფიმოვს სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად თავის გამგებლობაში 1900 ჯარისკაცი ჰყავდა. მიტინგის დაშლას უშუალოდ მეთაურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალი **იგორ როდიონოვი.**

მიტინგის ხელმძღვანელებმა ყურად არ იღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გაფრთხილება, რომელმაც მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს აქციის შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

1989 წლის 9 აპრილს, დილის 4 საათზე, მომიტინგეებს დამსჯელმა ნაწილებმა ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხელჯეტებით, ალესილი ნიჩბებით, მომწამვლელი გაზით. რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა მთავრობის სახლის წინ მოედანზე და შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა მომიტინგეებს, მოშიმშილე ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობას დასუსტებული ქალები და გოგონები ნარმოადგენდნენ. დამრბევთა სისასტიკემ მოლოდინს გადააჭარბა. რამდენიმე წუთში მოიერიშეებმა მოედანი გაწმინდეს. მოედანზე დარჩა 19 მოკლულის, აქედან 16 ქალის გვამი. არაერთმა დაჭრილმა გაქცევით უშველა თავს. 2000-ზე მეტი ადამიანი გაზით მოიწამლა. მოგვიანებით დაილუპა კიდევ 2.

ჯუმბერ პატიაშვილი

10 აპრილს დამსჯელებმა ალყა შემოარტყეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც იმჟამად თავი მოეყარა ეროვნულ-პატრიოტული ძალების მნიშვნელოვან ნაწილს. მოსალოდნელი პროვოკაცია და სისხლისღვრა თავიდან იქნა აცილებული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფის გააზრებული მოქმედების შედეგად.

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახა საბჭოთა იმპერიალიზმის სახე. **საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სცადა პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს ხელისუფლებისათვის დაეკისრებინა.** საბჭოთა კავშირის საბჭოების II ყრილობის დელეგატების უმრავლესობამ ოვაციებით დააჯილდოვა დამნაშვე გენერალი როდიონოვი. საქართველოს დელეგაციამ პროტესტის ნიშნად ყრილობა დატოვა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

§3. ეროვნული მოძრაობის შემდგომი რადიკალიზაცია და მრავალპარტიული არჩევნები

1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და ქართველი საზოგადოების რადიკალიზაცია გამოიწვია. **საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი.** საქართველოს კომუნის-

გივი გუმბარიძე

ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი გადამდგარი **ჯუმბერ პატიაშვილის** ნაცვლად **გივი გუმბარიძემ** დაიკავა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე დაკარგა მართვის სადავეები. ეროვნული მოძრაობის სათავეში რადიკალური პოლიტიკური ძალები მოექცნენ. ისინი მართავდნენ პოლიტიკურ პროცესებს. ხელისუფლება თითქმის მორჩილად ასრულებდა ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს. ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს **ეროვნული ხსნის კომიტეტი.** მასში გაერთიანდნენ: **ჰელსინკის კავშირი** (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია), **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** (გიორგი ჭანტურია), **ეროვნული სამართლიანობის კავშირი** (ირაკლი შენგელაია), **ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია** (ირაკლი წერეთელი), **ილია ჭავჭავაძის საზოგადოება** (ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვ. ეროვნული ხსნის კომიტეტის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. ეტაპობრივი ბრძოლა ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურების თანდათანობით გაუქმებას, ბრძოლის საშუალებად კი მიჩნეულ იქნა საპროტესტო მშვიდობიანი მოძრაობა (გაფიცვები, მიტინგები, შიმშილობა).

ეროვნული ხსნის კომიტეტის ინიციატივით 1989 წლის ოქტომბერში, თბილისში, სპორტის სასახლესთან, მიმდინარეობდა იმ ქართველი ახალგაზრდების მჯდომარე აქცია, რომელნიც უარს აცხადებდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე. ოქტომბერშივე ხელოვნების მუზეუმთან აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველები მჯდომარე აქციის გზით რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებას მოითხოვდნენ.

1989 წლის ოქტომბერ-ნოემბერში **ეროვნული ხსნის კომიტეტის** წევრები რამდენჯერმე შეხვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს და წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები. ეროვნული ხსნის კომიტეტი მოითხოვდა: საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, საერთაშორისო ფორუმებზე დასწრების უფლებას, იმ წევამდელების დაუსჯელობას, რომლებიც უარს ამბობდნენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე, სოხუმში 1989 წლის ივლისში მომხდარი სისხლიანი შეტაკების მოთავეების დასჯას, აფხაზეთის რამდენიმე რაიონში საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ნაცვლად ქართული მილიციის შეყვანას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელწოდების შეცვლას ცხინვალის ოლქით, როკის გვირაბის გაუქმებას, გარდაბნის, მარნეულის, დმანისის რაიონებსა და ფონიჭალაში უკანონოდ მიტაცებული მიწების დაბრუნებას კანონიერ მფლობელთათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლასა და მათ მიერ მიკუთვნებული მიწების გლეხობის ხელში გადაცემას, საეთერო დროს ტელევიზიაში, რადიოში, ალტერნატიულ ადგილს რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში და ა. შ.

ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა წამოაყენეს საერთო-სახალხო კენჭისყრის მოწყობის იდეა. ქართველ ერს უნდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეისადმი. **ოპოზიციური პოლიტიკური პარ-**

ტიების ზეგავლენით, 1990 წლის მარტში, საქართველოს უზენაესმა საბჭომ სპეციალური დადგენილებით 1921 წლის თებერვალში საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის სამხედრო მოქმედება შეაფასა, როგორც ქვეყნის ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

ეროვნული მოძრაობის ზეგავლენით საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის მარტში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარების შესახებ. არჩევნების მიმართ პოლიტიკურმა პარტიებმა არაერთგვაროვანი პოზიცია დაიკავეს. მას შემდეგ, რაც 1988 წლიდან ეროვნულმა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, საპროტესტო აქციებს პოლიტიკური პარტიები ხელმძღვანელობდნენ. ესენი იყვნენ, ერთი მხრივ, ჰელსინკის კავშირი და მისი აღიარებული მეთაურები **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა,** ამ

თანაარსებობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მერაბ კოსტავას პიროვნული ავტორიტეტი, რომელიც ყოველთვის ახერხებდა არაფორმალების ორ ბანაკს შორის შეთანხმებას კომპრომისის საფუძველზე. 1989 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში მერაბ კოსტავას დაღუპვით ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება გარდუვალი შეიქმნა. **„ჰელსინკელები", მიუხედავად რადიკალური ბუნებისა, უფრო ზომიერ პოლიტიკურ ბრძოლასა და ლოზუნგებს უჭერდნენ მხარს;** მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიები, ილია ქავქავაძის საზოგადოება (გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ზურაბ ჭავჭავაძე) და სხვ. **ამდენად, ეროვნული მოძრაობის სათავეში ორი თაობის პოლიტიკური მოღვაწეები აღმოჩნდნენ. მათ შორის თავიდანვე იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ეპიზოდური განხეთქილებების მიუხედავად, 1990 წლის გაზაფხულამდე ისინი მაინც ახერხებდნენ მშვიდობიან თანაარსებობას.**

ზვიად გამსახურდია

ქართველი საზოგადოების ზომიერმა ლიბერალურმა ძალებმაც სცადეს პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ამ ცდებს ხელისუფლებაც უჭერდა მხარს. 1989 წლის მარტში შეიქმნა **საქართველოს რუსთაველის სახელობის საზოგადოება,** რომელშიც მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდნენ. საზოგადოების თავმჯდომარედ ცნობილი საზოგადო მოღვაწე **აკაკი ბაქრაძე** აირჩიეს. რუსთაველის საზოგადოებას თავიდანვე დაჰყვა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი. მისი პროგრამა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ევოლუციური განვითარების გზას ითვალისწინებდა, ხოლო საზოგადოების თავმჯდომარე აკაკი ბაქრაძე ცდილობდა იდეოლოგიური საფუძველი შეექმნა ეროვნული მოძრაობისთვის. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უფრო სწრაფცვალებადი აღმოჩნდა და საზოგადოებამ ვერ შეძლო თავის გარშემო ზომიერი ლიბერალური ძალების შემოკრება.

მოსახლეობაში უფრო პოპულარობით სარგებლობდა მეორე ზომიერი მიმართულების ორგანიზაციის – **სახალხო ფრონტის** საქმიანობა. ამ ორგანიზაციის პირველადი უჯრედების ჩამოყალიბება დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონების წარმიება-დაწესებულებებში. სახალხო ფრონტს ჰქონდა პრეტენზია გაეერთიანებინა ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ეს მისია ვერ შეასრულა. ამ ორგანიზაციას მალე ჩამოსცილდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე ჯგუფები, ხოლო თვით სახალხო ფრონტი ჩვეულებრივ, რიგით პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. იყო სხვა ზომიერი ცენტრისტული ჯგუფებიც.

მერაბ კოსტავა

ზომიერი მიმართულების ძლიერი პოლიტიკური პარტიის ჩამოუყალიბებლობა ქართული პოლიტიკური სპექტრის სერიოზული ნაკლი იყო. ემოციურად განწყობილი ქართველი საზოგადოებისთვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა რადიკალური ხასიათის ლოზუნგები და მისი მქადაგებელი რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობები. რადიკალურმა ძალებმა მიიჩნიეს, რომ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული 1990 წლის 25 მარტის არჩევნები ერთპარტიული სისტემის პირობებში ტარდებოდა. სხვა პოლიტიკურ პარტიებს მასში გაუფორმებელი სახით უნდა მიეღოთ მონაწილეობა. 1990 წლის 13-15 მარტს რადიკალური ძალების ინიციატივით თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში, ჩატარდა ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენცია – **ეროვნული ფორუმი.** მასში ეროვნული მოძრაობის ყველა ძირითადი ძალა მონაწილეობდა. ფორუმმა ბოიკოტი გამოუცხადა 1990 წლის 25 მარტის არჩევნებს და, საერთოდ, უკანონოდ ცნო საბჭოთა სისტემა. ეროვნულმა ფორუმმა მაქსიმალისტური პოზიცია დაიკავა არსებული ხელისუფლების მიმართ. 1990 წლის აპრილში გამოქვეყნდა ფორუმის მიმართვა **„ქართველი ერისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი"**, სადაც იგი აცხადებდა, რომ ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც თავის მოქმედებას შეუხამებდა **„საბჭოურ კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, ვერ ჩაითვლებოდა ოპოზიციად".** არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად ეროვნული დაუმორჩილებლობა იქნა მიჩნეული.

ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ერთი მიზანი – **საქართველოს სრული დამოუკიდებლობა** – ჰქონდა, ფორმალურად და ფაქტობრივად 1990 წლის გაზაფხულამდე ერთიანი იყო, მაგრამ მის ორ და-



საბჭოთა საქართველოს დროშას ცვლის ეროვნული სამფეროვანი დროშა

ჯგუფებას შორის წინააღმდეგობა უკვე შეუძლებელს ხდიდა ერთიანობას. წინააღმდეგობას ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონიისთვის ბრძოლაც განაპირობებდა, მაგრამ იყო იდეურ-სტრატეგიული უთანხმოებანი, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. **ეროვნული მოძრაობის რადიკალური ახალგაზრდული ფრთა მაქსიმალისტურად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემასა და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს.** მაქსიმალისტების აზრით, ეროვნულ მოძრაობას უნდა მიეღწია საქართველოს კოლონიური მდგომარეობის აღიარებისათვის და დაუმორჩილებლობის გზით ებრძოლა დეკოლონიზაციისთვის, როგორც ეს მოხდა აფრიკა-აზიის რიგ ქვეყნებში.

ეროვნულ მოძრაობაში რადიკალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი **გიორგი ჭანტურია** მიიჩნევდა, რომ საბჭოური სტრუქტურების გამოყენების პოლიტიკამ ბალტიისპირეთის ქვეყნების ეროვნული მოძრაობანი თითქმის გამოუვალ ჩიხში მოაქცია. მისი აზრით, **აუცილებელი იყო ეროვნული მოძრაობის არა საბჭოურ, ძველ სტრუქტურებზე მორგება პროგრამა-მინიმუმის განხორციელების მიზნით, არამედ ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნის დაწყება პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებისათვის.** ახალი დემოკრატიული სტრუქტურა უნდა ყოფილიყო – **ეროვნული კონგრესი,** რომელიც ბოიკოტს გამოუცხადებდა ყოველგვარ საბჭოთა სტრუქტურასა და მის მიერ ორგანიზებული არჩევნებს.

მერაბ კოსტავას დაკრძალვა

უფრო რეალისტურ ნიადაგზე აღმოჩნდნენ **უფროსი თაობის რადიკალები (ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრენი).** მათი აზრით, დეკოლონიზაციის აფრიკულ-აზიური პრაქტიკა მიუღებელი იყო საქართველოსათვის. საქართველო ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით საბჭოთა კავშირის ფედერაციაში შემავალი სოციალისტური სახელმწიფო იყო. კონსტიტუციურადაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება ჰქონდა. **თუნდაც ეს ფორმალური უფლება საქართველოს შესაძლებლობას აძლევდა საბჭოური სტრუქტურების გამოყენებით, სამართლებრივი გზით ებრძოლა დამოუკიდებლობისათვის.**

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ ჰელსინკის კავშირი და მისი მხარდამჭერი ძალები ეროვნული ფორუმიდან გავიდნენ და ჩამოაყალიბეს ახალი პოლიტიკური ბლოკი **„მრგვალი მაგიდის“** სახელწოდებით. მასში შვიდი ორგანიზაცია გაერთიანდა. ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა ძალებმა **ეროვნული ყრილობა** მოიწვიეს და **ეროვნული კონგრესის** არჩევა გადაწყვიტეს.

ამრიგად, რადიკალური ძალები ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაითიშა და ეროვნულ მოძრაობაში ჰეგემონობისთვის დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა.

ლიბერალური ბანაკი, რომელიც საკმაოდ ჭრელი შემადგენლობის იყო და არსებითად საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მესამე მიმართულებას წარმოადგენდა, თავდაპირველად რადიკალების ურთიერთდაპირისპირებაში არ მონაწილეობდა. ისინი **საბჭოთა სისტემის ევოლუციური ტრანსფორმაციის მომხრენი იყვნენ.** ამ მიმართულების ყველაზე სერიოზულ ძალას **„ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“** პოლიტიკური ორგანიზაცია წარმოადგენდა (თავმჯდომარე ვალერიან ადვაძე). მის ბირთვს ეროვნულად განწყობილი პარტიულ-ბიუროკრატიული ნომენკლატურისა და ელიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

§4. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის დადგენილებით გადაწყდა უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების ჩატარება 1990 წლის ოქტომბერში. საქართველოს მოქმედ კონსტი-

ტუციაში შეტანილი შესწორებების თანახმად ახალი არჩევნები **მრავალპარტიული სისტემის** საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ჩატარდა. ეს იყო 1919 წლის შემდეგ პირველი თავისუფალი არჩევნები, რომელიც მრავალპარტიული სისტემის პირობებში განხორციელდა. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული მოძრაობის ყველაზე ძლიერმა ფრთამ, საარჩევნო ბლოკმა: **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“**, რომელმაც საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა (62%) მოიპოვა. საქართველოში ფაქტობრივად **„ხავერდოვანი რევოლუცია“** მოხდა. კომუნისტურმა ერთპარტიულმა დიქტატურამ საქართველოში სამოცდაათწლიანი არსებობა დაასრულა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლება აღმოჩნდა.

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლით იწყება იმ ღონისძიებებისა და მოვლენების სერია, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება. 1990 წლის 14

ნოემბერს საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა **რესპუბლიკად.** საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ მის პირველსავე სესიაზე არჩეულ იქნა **ზვიად გამსახურდია.**

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა რამდენადმე მოულოდნელიც იყო. გარდამავალი პერიოდის უქონლობამ ახალი ხელისუფლება დამატებითი სიძნელეების წინაშე დააყენა. **საქართველოს მართვა მოსკოვიდან ერთბაშად შეწყდა და ეროვნული ხელისუფლება მოზღვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა ხასიათის პრობლემებს მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეჭიდებოდა.** ეს, რა თქმა უნდა, სათანადო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მართვის გამოცდილების გარეშე ძნელი იყო.

ეროვნული ხელისუფლების პირველი ნაბიჯები მიზნად ისახავდა საბჭოთა ინსტიტუტების ადგილზე ახალი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ქვეყანაში დაიწყო წვრილი საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზაცია, თავისუფალი მეწარმეობის ჩასახვა, კომერციული ბანკების შექმნა, თავისუფალი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და სხვ.

საბჭოთა სისტემის შეცვლის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო 1990 წლის ნოემბერში მიღებული **კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ,** რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ახალი ინსტიტუტების შექმნა. კანონის თანახმად, უნდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები – **საკრებულოები** და **პრეფექტურები.** საკრებულოების დეპუტატთა არჩევნები 1991 წლის მარტში ჩატარდა. დამტკიცდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი წესი, რომლის თანახმადაც ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ: **რაიონი, ქალაქი** და **თემი.**

ახალი ხელისუფლების მოსკოვთან დამოკიდებულების კურსი უკომპრომისო იყო – **საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირისაგან სრული გამოყოფა.** 1991 წლის 31 მარტს ეროვნულმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატარა. მოსახლეობას თავისი ნება უნდა გამოეხატა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე და ამით დაედასტურებინა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის საერთო ნებაც. რეფერენდუმმა საყოველთაო მასშტაბით დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის სურვილი – რეფერენდუმში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 90%. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მხარი დაუჭირა რეფერენდუმში მონაწილეთა 97%. რაც მთავარია, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა ქვეყნის არაქართულმა მოსახლეობამაც.

რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა.

1991 წლის აპრილში საქართველოს უზენაესმა საბჭომ **ზვიად გამსახურდია** რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, რაც 26 მაისს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა. საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი **ზვიად გამსახურდიას** სახელთან აკავშირებდა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცების საუკუნოვან იდეას.

ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე სულ უფრო მეტად იყრიდა თავს გადაუჭრელი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და საერთაშორისო მასშტაბის პრობლემები. მათი გადაჭრა მარტოოდენ ხელისუფლების წრფელ ენთუზიაზმს არ ძალუძდა.



საქართველოს სახელმწიფო დროშა და გერბი

§5. საქართველო პროვოცირებული ეთნოკონფლიქტების რკალში



საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლა მტკივნეულად მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში აზვირთებულ ეროვნულ მოძრაობას მოსკოვი სხვადასხვა საშუალებებით ებრძოდა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა **სეპარატისტული ძალების ნაქეზება, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების პროვოცირება.** მოსკოვი იძულებული გახდა დაეთმო აღმოსავლეთ ევროპა, ხოლო უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან – **ლიტვა, ლატვია, ესტონეთი.** დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში გავლენის შესანარჩუნებლად საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ენერგიულად იბრძოდა. 1991 წლის 21 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ოფიციალურად დაიშალა. მის ადგილზე შეიქმნა 12 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც შევიდნენ სახელმწიფოთა ახალ გაერთიანებაში – **დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ).** დასავლეთი თავდაპირველად შეურიგდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში რუსეთის ლიდერობასა და სამხედრო-პოლიტიკურ გავლენას.

საქართველო ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა თორმეტთაგან, რომელიც არ შესულა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. **რუსეთის გავლენისაგან სრული თავდაღწევა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ოფიციალური საგარეო პოლიტიკური კურსი გახდა, რაც მაქსიმალიზმსა და რომანტიზმს ნიშნავდა პოლიტიკაში.** ამგვარი კურსი სრულიად მიუღებელი იყო რუსეთისათვის, რომელმაც დაუყოვნებლივ აამოქმედა პატარა ურჩი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მექანიზმი. პირველ რიგში რუსეთმა ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკებში სეპარატისტულ მოძრაობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ.) აფხაზური საზოგადოების ერთ ნაწილში **ანტიქართული** განწყობილება ყოველთვის შეიმჩნეოდა და თითქმის ყოველ ათწლეულში ერთხელ მსხვილ **ანტიქართულ** მოძრაობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. გორბაჩოვისეული გარდაქმნების პერიოდამდე უკანასკნელ ანტიქართულ გამოსვლებს 1978 წელს ჰქონდა ადგილი აფხაზეთში. 1978 წლის დასაწყისში აფხაზი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წერილი გაუგზავნა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელშიც საჩივარი იყო აღძრული საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებისა და ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ. აფხაზური წერილის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული იყო აფხაზი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ; მიმდინარეობდა აფხაზური ეთნოსის დემოგრაფიული შევიწროება; აფხაზთა ისტორიის გაყალბება, მათი კულტურისა და ტრადიციების დაკნინება და ა. შ. **საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, სამწუხაროდ, ანტიქართული მოძრაობის მიჩქმალვის, გარეგნული სტაბილიზაციისა და მასთან მუდმივი კომპრომისების, დათმობების გაუმართლებელ გზას დაადგა.** არამართებული იყო, რომ სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა უნივერსიტეტი, მაუწყებლობა დაიწყო აფხაზურმა ტელევიზიამ, ჩამოყალიბდა აფხაზური თეატრი, გაფართოვდა გამომცემლობა „ლაშარი" და ა. შ. ყოველივე ეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აბორიგენი ქართული მოსახლეობისა და საქართველოს მთლიანობის ინტერესების შელახვის ხარჯზე მიმდინარეობდა.

ანტიქართულმა ისტერიამ აფხაზეთში ახალი სიძლიერით XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იფეთქა. 1989 წლის 18 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა სოფ. **ლიხნში** მოაწყვეს დიდი თავყრილობა, რომელმაც მიმართვა გაუგზავნა იმჟამად მიმდინარე სკკპ XIX კონფერენციას. სეპარატისტები აცხადებდნენ, რომ აფხაზური ეთნოსი გაქრობის საფრთხის წინაშე იდგა და მას უშველიდა მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა –

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს შენობა

აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნა, ე. ი. საქართველოდან გამოყოფა. აფხაზი სეპარატისტების გამოსვლებს ავტონომიური რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის საპროტესტო აქციები მოჰყვა, რამაც მდგომარეობა დაძაბა. როგორც აფხაზი, ისე ქართველი მოსახლეობის მოთხოვნებში იყო ისეთი საკითხები, რომელიც ორივე ხალხის შეთანხმების გზით უნდა გადაჭრილიყო. ნაცვლად ამისა **მოსკოვმა მოახერხა, რომ აფხაზი მოსახლეობის მოძრაობისთვის სეპარატისტული მიმართულება მიეცა და ქართველი ერის ინტერესებისათვის დაეპირისპირებინა.**

1989 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისთვის გაგზავნილ წერილში ე. წ. აფხაზეთის მშრომელთა წარმომადგენლების კრება ისევ მოითხოვდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის „აღდგენას" და საქართველოს კომუნისტური პარტიიდან აფხაზეთის კომუნისტური ორგანიზაციის გამოყოფას, მის უშუალო დაქვემდებარებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი. წერილში გამოთქმული იყო უკმაყოფილება საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი, რომლებიც, ავტორთა აზრით, მიმართული იყო ვითომ აფხაზი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. მოსკოვის მიერ მხარგამაგრებული სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლებას კატეგორიულ მოთხოვნებს უყენებდნენ და იმუქრებოდნენ, რომ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო „შეტაკებათა უმართავი და სისხლიანი ჯაჭვი". 1989 წლის 16 ივლისს აფხაზმა ექსტრემისტებმა სოხუმში დაარბიეს საშუალო სკოლის შენობა, რომელშიც განლაგებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. პროვოკაციულად გამოწვეული შეტაკების დროს დაიღუპა 14 კაცი. დაპირისპირებისა და შეტაკების საბაბად გამოიყენეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული ნიშნით გაყოფის ფაქტი.

ანტიქართულ მოძრაობაში აქტიურ როლს ასრულებდა აფხაზური სეპარატისტული ორგანიზაცია **„აიდგილარა"**, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ზემოაღნიშნული „ლიხნის წერილი" და სხვა სეპარატისტული აქციები სწორედ „აიდგილარას" მეთაურობით ხორციელდებოდა.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზ დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია მოიწვია. კვორუმის უქონლობის გამო სესია არ იყო უფლებამოსილი. მიუხედავად ამისა, სესიამ ცალმხრივად მიიღო **„დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ"**.

1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ საბჭოს თავმჯდომარედ **ვლადისლავ არძინბა** აირჩია. თავდაპირველად საქართველოსა და აფხაზეთის ახალ ხელისუფალთა შორის საქმიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რაც ადრინდელ სისხლიან დაპირისპირებათა ფონზე თითქოს კონფლიქტისა და ორი ხალხის ურთიერთმოწყობის მშვიდობიან პერსპექტივას ქმნიდა.

ცალკეული ეპიზოდების მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და აფხაზეთის გამოყოფის სტრატეგიული მიზნით მიმდინარეობდა.

მოსკოვიდან იმართებოდა ე. წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესები, რომლებიც წმინდა ანტიქართული ისტერიის ხასიათს ატარებდა.

1989 წლის მაისში ოსი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ გენერალურ მდივანს წერილი გაუგზავნა. წერილში საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობასა და ქართველ საზოგადოებას ბრალი ედებოდა ოსი ხალხის სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ შევიწროებაში; ოსური ბოლშევიკური ინტელიგენციის განადგურებაში; ოსეთის ტოპონიმიკური სურათის შეცვლაში და ა. შ. წერილის ავტორები სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებასა და მის რუსეთის ფედერაციაში შესვლას მოითხოვდნენ.

1988 წლის აპრილში ცხინვალში პირველი მასობრივი დემონსტრაცია მოეწყო. დემონსტრანტები მოითხოვდნენ სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას. ანტიქართულ მოძრაობას მეთაურობდა ოსური სეპარატისტული ორგანიზაცია **„ადამონ ნიხასი"**, რომლის ლიდერი **ალან ჩოჩიევი** სოლიდარობას უცხადებდა სეპარატისტებს. 1989 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენად გამოცხადდა ოსური. ეს, რა თქმა უნდა,

ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეზღუდვის ხარჯზე მოხდა.

„ოსეთის მშრომელების“ და „ადამონ ნიხასის“ მიმართვაში (1989 წლის ოქტომბერი) საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი წამოყენებული იყო ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების მოთხოვნა, რომლის პირველ ეტაპზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რესპუბლიკად გარდაიქმნებოდა და მოსკოვს დაექვემდებარებოდა. 1989 წლის 10 ნოემბერს ზემოაღნიშნული და სხვა ანტიქართული მოთხოვნები ოფიციალურ სახეს იღებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა სახით. ქართველმა საზოგადოებრიობამ და ეროვნულმა მოძრაობამ ანტიქართული ისტერიის აღკვეთა მოითხოვა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ზემოაღნიშნული სესიის გადაწყვეტილებანი უკანონოდ ცნო, მაგრამ ამის იქით არ წასულა. სეპარატისტული მოძრაობის აღკვეთას სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის გზით, მოსკოვის ნებართვის გარეშე, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ვერ ბედავდა. ამგვარ ნებართვას კი მოსკოვი არც აფხაზი და არც ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ არ გასცემდა.

ამგვარ ვითარებაში ქართულმა საზოგადოებამ, საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა თავად სცადეს არ დაეშვათ სამხრეთ ოსეთში მოვლენების ანტიქართული მიმართულებით განვითარება. პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა ქართველ საზოგადოებას მოუწოდეს მონაწილეობა მიეღოთ 1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალში განზრახულ მიტინგში. საზოგადოება აქტიურად გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ცხინვალისკენ ათიათასობით ადამიანი დაიძრა, მაგრამ მათ გზა გადაუღობეს საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ბრძანებით მობილიზებულმა ძალოვანი სამსახურების ქვედანაყოფებმა.

ორივე მხრიდან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, სამხრეთ ოსეთში **ანტიქართულმა ექსტრემიზმმა გაიმარჯვა.** ოსურ სეპარატიზმს რომ რუსული იმპერიალიზმი ასაზრდოებდა, ეს კარგად იყო ცნობილი ქართული საზოგადოებრიობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** კონსტანტინოპოლის პატრიარქს დიმიტრიოს I-ს წერდა: „საბჭოთა კავშირი ატარებს ბარბაროსულ აქციებს საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნურად ამწვავებს ურთიერთობას ქართველ და ოს მოსახლეობას შორის, რითაც ქმნის მტრულ ურთიერთობას ამ ორ ქრისტიანულ ერს შორის... გთხოვთ აღიმაღლოთ ხმა“.

სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული პოლიტიკური პროცესები გეგმაზომიერად წარიმართა. 1990 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ; ნოემბერში – სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო დეკემბერში სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა ხანებში და აღდგენის შემდეგ სეპარატისტული მოძრაობა სულ უფრო ძლიერდებოდა.

თავი XIV

საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დამდეგს

§1. დამოუკიდებლობის პირველი წლების სიძნელეები

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე, უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულება **„საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“**, რომელსაც მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილება **„საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ“**, რომელშიც ვკითხულობთ:

„ვინაიდან 1921 წ. თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა წითელი არმიის – შეიარაღებული აგრესიის ძალის მეოხებით, რომელიც დღემდე იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ემორჩილება მხოლოდ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად.

2) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან საქართველოს ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.

3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგანაც მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში“.

ზემოთ აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება **„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ“** (1991 წლის 15 სექტემბერი), **„სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს წილის შესახებ“**, **„საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“**, **„საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის შესახებ“** კანონები (1991 წლის 15 სექტემბერი) და სხვა.

ამავე დღეებში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილებები: **„ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ“**, **ჰელსინკის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტთან“ და ვენის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან“ საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ** (1991 წლის 15 სექტემბერი).

აგონიაში მყოფი საბჭოთა იმპერია მტრულად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ცხადია, საქართველოს ხელისუფლებას გაუჭირდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლა. **ის ფაქტი, რომ საქართველოს საზღვრებს საბჭოთა კავშირის ჯარები იცავდნენ, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზები იყო განლაგებული, მრავალი სირთულის წინაშე აყენებდა საქართველოს ახალ ხელისუფლებას.** გარდა ამისა, მოსკოვს შეეძლო საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ხელოვნურად გამოწვევა. **საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ეფექტურად იყენებდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს.**

ურთულესი ვითარების მიუხედავად, საქართველოს უზენაესი საბჭო შეუდგა მუშაობას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით ყოფნის პერიოდში დანერგილი სახელმწიფო სისტემის შესაცვლელად. **შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია** (1990 წ. 15 ნოემბერი), **საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერდა სავალდებ-**

საქართველოს რესპუბლიკის პირველი
პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

ულო სამხედრო სამსახურის შესახებ საბჭოთა კავშირის კანონის მოქმედება (1990 წლის 15 ნოემბერი). მიღებულ იქნა **დადგენილება „შინაგან ჯარებში - ეროვნულ გვარდიაში გაწვევის დროებითი დებულების შესახებ“** (1991 წ. 29 იანვარი); კანონი „გარდამავალ პერიოდში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოს არჩევნების შესახებ“ (1991 წლის 29 იანვარი); კანონი **„რეფერენდუმის შესახებ“** (1991 წლის 29 იანვარი) და სხვ.

ეროვნული ხელისუფლება ცდილობდა მშვიდობიანი, სამართლებრივი ფორმების გამოყენებით მოეგვარებინა მოსკოვის მიერ ინსპირირებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

1990 წლის 22 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელით სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ“,** რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ და, აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის 2 დეკემბრისთვის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებსა და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ოსი ეროვნების მოქალაქეებს, მოწოდებით გამოიჩინონ კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფრთხილე და სწორად შეაფასონ სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ იგი განუხრელად იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის. ამასთან ერთად, იგი ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას, რომ კვლავაც დაიცავს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებებს საერთაშორისო საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად“.

ასეთი დადგენილების მიუხედავად, მოსკოვის მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტები აგრძელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებას, რასაც მოჰყვა იძულებითი ნაბიჯი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, მიიღეს - საქართველოს რესპუბლიკის კანონი **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“** და დადგენილება **„ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“** (1990 წლის 11 დეკემბერი).

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ოსი სეპარატისტების ნახალისების გზას დაადგა. 1991 წლის იანვარში გამოვიდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. ოსი სეპარატისტების ანტიქართული ქმედებების შედეგად დაიძაბა ურთიერთობა სამაჩაბლოს ქართველ და ოს მოსახლეობას შორის. დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები.

მოსკოვის მიერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ინსპირირებული საომარი მოქმედების შეჩერების მიზნით ზვიად გამსახურდიამ მოწოდებით მიმართა ოს მოსახლეობას, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ ... ქართველები და ოსები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ახლა ურთიერთს ხოცავენ, ეომებიან გარეშე ძალის წაქეზებით. ვინაიდან ეს ძმათამკვლელი ომი ვილაცის იმპერიული ამბიციების დასაყრდენია... სირცხვილი იქნება, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით არ აღდგება მშვიდობა და ძალისხმევა ჩვენს ხალხებს შორის. ამის უპირველესი და აუცილებელი პირობაა ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიერ იარაღის ჩაბარება შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, მათი სრული და უსიტყვო განიარაღება, რაც საქართვე-



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო (1990 წ.)

ლოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ცხინვალი გამონაკლისი არ უნდა იყოს. შეიარაღებული ჯგუფები უნდა განიარაღდნენ. სამაგიეროდ ჩვენ სრული ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევთ მათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება... ოსებისთვის შენარჩუნებული იქნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, რომელიც მათ ოლქის არსებობის პერიოდში ჰქონდათ. ის უფლებები კიდევაც გაიზრდება, გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით... ქართველები და ოსები თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ. გარანტირებული იქნება მათი ხელშეუხებლობა, შრომითი მოწყობა და მშვიდი ცხოვრება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე..."

მოსკოვის წაქეზებით თანდათან იძაბებოდა სიტუაცია აფხაზეთში. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, 1990 წლის აგვისტოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა ეს უკანონო დეკლარაცია. საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 თებერვლის დადგენილებაში **„აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ"** ვკითხულობთ:

„აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს არ გაუგრძელებია ვადა, არ მიუღია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი და შესაბამისადაც არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაუნიშნავს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1) წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს:

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს არა უგვიანეს 1991 წლის 1 ოქტომბრისა;

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად გააგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა ა. წ. 15 მარტამდე.

2) იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ორგანოების ვადა განსაზღვრულია ხუთი წლით, ხოლო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ექვს წელზე მეტია მოქმედებს, ამ დადგენილების პირველი მუხლის შეუსრულებლობა გამოიწვევს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას".

არსებული დაძაბული მდგომარეობის განმუხტვას ისახავდა მიზნად ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 12 მარტის **„მიმართვა აფხაზი ხალხისადმი"**, რომელშიც ვკითხულობთ:

„აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება... ჩვენ ერთ მინა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ურთიერთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით... ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გავუძელით, ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყიეს ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა და ვერც სხვებმა. მაგრამ, აი, XIX-XX საუკუნეში, ჩვენ დაგვიპირისპირდა იმპერიათა შორის უვერაგესი და უბოროტესი – რუსეთის იმპერია, რომელმაც არნახული უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხს... მიზნად დაისახა ჩვენი ხალხების სრული ასიმილაცია და მოსპობა. მან დაინახა, რომ ამას ვერ განახორციელებდა მხოლოდ რეპრესიებითა და გენოციდით, ამიტომ გამოიყენა ყველა იმპერიის ნაცადი ხერხი – გათიშე და იბატონე და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთდასაპირისპირებლად... დღევანდელმა მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ, საუბედუროდ, მიაღწია ამას თავისი აგენტურის მეშვეობით, რაც, მისი გეგმით, დასაწყისი უნდა გახდეს კავკასიის ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციისა, რათა ცენტრმა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები და ჰეგემონია კავკასიაში."

სამწუხაროდ, მოსკოვის მიერ წაქეზებული სეპარატისტული ძალები აფხაზეთში აგრძელებდნენ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. აი, რას წერდა 1991 წლის 29 მარტს ზვიად გამსახურდია ვლადისლავ არძინბას:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება, ხოლო 1991 წლის 29 იანვარს საერთოდ გაუქმდა ადგილობრივი საბჭოების სისტემა. საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ვალდებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, რაც შეუწყნარებლად ჭიანურდება და მრავალი უხერხულობის მიზეზად შეიძლება იქცეს..."

მიუხედავად მოსკოვის იმპერიული ძალების წინააღმდეგობისა, ქართული და აფხაზური მხარის ორმხრივი კონსენსუსის საფუძველზე მაინც მოხერხდა მდგომარეობის ნორმალიზება – მიღებულ იქნა საარჩევნო კანონი, რომელიც გარკვეული კვოტების პრინციპს ითვალისწინებდა. კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში იქნებოდა 65 დეპუტატი, მათ შორის – 28 აფხაზი ეროვნების, 26 – ქართველი და 11 – სხვა დანარჩენი ეროვნების დეპუტატი. **მიღწეული შეთანხმების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა აფხაზური დეპუტაციის წარმომადგენელი, მისი პირველი მოადგილე – ქართველი დეპუტაციის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე – ქართველი, ხოლო მისი პირველი მოადგილე – აფხაზი.** რაც მთავარია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც **ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (გარდა საპროცედუროსი) უნდა მიღებულიყო ხმების ორი მესამედით, რომლის მოსაგროვებლად (44 ხმა) აუცილებელი ხდებოდა ქართველ და აფხაზური მხარის დეპუტატთა ურთიერთკომპრომისი.**

ბორის ელცინი და მიხეილ გორბაჩოვი

საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქცა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. **მოსკოვი პრინციპულად არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ყველაფერს აკეთებდა საქართველოში ვითარების დაძაბვისათვის.**

საქართველოში, ისევე როგორც ბალტიის რესპუბლიკებში, მიმდინარე პროცესი დიდ წინააღმდეგობას უქმნიდა **ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების** დადებას. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების ინიციატივა რუსეთის ფედერაციას და, კერძოდ, **ბორის ელცინს** ეკუთვნოდა. ბორის ელცინმა წამოაყენა წინადადება სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების მიზნით დაწყებულიყო მოლაპარაკება ცალკეულ რესპუბლიკებთან ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირის ნაცვლად უნდა შექმნილიყო სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც **ფედერაციის, კონფედერაციისა** და **თანამეგობრობის** პრინციპებს დაემყარებოდა. 1990 წლის აგვისტოში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტები განხილვისათვის გადაიგზავნა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში. 1990 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოების IV ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება წარმოადგენდა ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ყრილობამ მიზანშეწონილად ჩათვალა ხელშეკრულების შემდგომი დამუშავების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი თანამდებობის პირებისაგან შექმნილიყო სპეციალური კომიტეტი („მოსამზადებელი კომიტეტი"). ამასთან ერთად, ყრილობამ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოსა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს დაავალა უზრუნველეყოთ ხელისუფლების ყველა საკავშირო ორგანოს ნორმალური ფუნქციონირება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე.

მრავალპარტიული არჩევნების (1990 წლის ოქტომბერი) შედეგად საქართველოში ხელისუფლების სათავეში მოსული ეროვნული ძალები აშკარად უარყოფითად იყვნენ განწყობილნი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისადმი. ეს დადასტურდა მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ 1990 წლის ნოემბერში გამართული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული დოკუმენტებით. ცხადია, საქართველოს უზენაესი საბჭოს ასეთ პოზიციას მოსკოვი მონონებით ვერ შეხვდებოდა. 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე ჩატარდა რეფერენდუმი **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნების მიზანშეწონილობის თაობაზე.** აღნიშნული რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებულა. საპირისპიროდ ამისა, 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის დამოუკიდებლობას. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, როგორც აღვნიშნეთ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მოსკოვში გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მოსამზადებლად. ცხადია, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ასეთი ნაბიჯები ძალზე აღიზიანებდა მოსკოვს.

1991 წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის რეზიდენციაში, **ნოვო ოგარევოში,** შედგა მიხეილ გორბაჩოვისა და ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა. **საქართველო ამ შეხვედრაში არ მონაწილეობდა.** ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ფორსირებული ტემპით ამზადებდნენ. ხელშეკრულებაზე ხელმოწერა დანიშნული იყო 1991 წლის 20 აგვისტოსათვის.

1990 წლის ნოემბრიდან 1991 წლის აგვისტომდე განვლილ პერიოდში ცხადი შეიქმნა, რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება მოსკოვის ნებას არ დაემორჩილებოდა. საქართველოს პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** სულ უფრო აშკარად უპირისპირდებოდა მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკურ კურსს. დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებდა. მოსკოვი აშკარად უჭერდა მხარს აფხაზ და ოს სეპარატისტებს. განსაკუთრებით დაიძაბა პოლიტიკური სიტუაცია 1991 წლის აგვისტოს ბოლოს.

მოსკოვის აგრესიულ ქმედებებს, აშკარა თუ ფარულ ანტიქართულ პოლიტიკას, უნდა დაპირისპირებოდა ქართველი ერის მტკიცე ერთობა. **სამწუხაროდ, საქართველოში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ეროვნული ძალები ვერ გაერთიანდნენ.** ხელისუფლების უმრავლესობაში მყოფ ბლოკს **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“** აშკარად დაუპირისპირდა **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია** და სხვა პარტიები და ორგანიზაციები, ასევე ორგანიზაცია **„მხედრიონი“.** ოპოზიციის ლიდერებს **გიორგი ჭანტურიას, ირაკლი წერეთელსა** და სხვებს თანადგომა გამოუცხადეს მხედრიონის ხელმძღვანელმა **ჯაბა იოსელიანმა,** გვარდიის სარდალმა **თენგიზ კიტოვანმა** და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ.** პარლამენტში ხელისუფლების აშკარა კრიტიკით გამოდიოდნენ სახალხო ფრონტის ლიდერი **ნოდარ ნათაძე** და სხვა დეპუტატები. თვით ხელისუფლების სათავეში მოსული ბლოკი **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“** გაითიშა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი დამაარსებელი **ვაჟა ადამია.**

წინააღმდეგობა გარდაქმნების მომხრე და მოწინააღმდეგე ძალებს შორის საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში საკმაო ხნის მანძილზე მწიფდებოდა. მიხეილ გორბაჩოვი აპირებდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში საკადრო ცვლილებების გატარებას. 1991 წლის 29 ივლისს ნოვო-ოგარევოში საიდუმლო ვითარებაში ერთმანეთს შეხვდნენ **მიხეილ გორბაჩოვი, ბორის ელცინი** და **ნურსულთან ნაზარბაევი.** შეხვედრაზე განიხილეს იმ საკადრო ცვლილებების საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელძღვანელობაში უნდა განხორციელებინათ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების (ე. ი. 20 აგვისტოს) შემდეგ. ამ შეხვედრის შემდეგ მიხეილ გორბაჩოვი მოსკოვიდან დასასვენებლად გაემგზავრა. 1991 წლის 19 აგვისტოს, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად დანიშნულ დროზე ერთი დღით ადრე მოსკოვში დაიწყო **პუტჩი.** პუტჩისტებმა ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გაავრცელეს განცხადება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ გორბაჩოვს აღარ შეუძლია საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება და ეს ფუნქცია დააკისრა ვიცე-პრეზიდენტ გენადი იანაევს. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ძალაუფლება გადავიდა **საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის ხელში,** რომელშიც შევიდნენ პუტჩის ორგანიზატორები და მათი მომხრეები, ანუ ის ძალები, რომლებიც დამლუპველად მიიჩნევდნენ საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, ასევე რესპუბლიკებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. პუტჩისტების მოქმედებას დაუპირისპირდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბორის ელცინი** და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მოსკოვში კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა. მართალია, მოსკოვის პუტჩი დამ-



ბორის ელცინი

არცხდა, მაგრამ იმ დღეებმა (19-23 აგვისტო) საქართველოში ვითარება ძალზე დაძაბა. **საქართველოს ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ძნელი იყო იმის პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები მოსკოვში.**

პუტჩის დღეებსა და მომდევნო ხანებში ისეთ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რომელთაც საფუძველი გამოაცალეს საბჭოთა კავშირის არსებობას. ჯერ კიდევ 1991 წლის 20 აგვისტოს **ესტონეთის** პარლამენტმა მიიღო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დადგენილება, 21 აგვისტოს კი **ლატვიის** პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი რესპუბლიკის სახელმწიფო სტატუსის შესა-

ხებ. 24 აგვისტოს **უკრაინის** უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 25 აგვისტოს გამოცხადდა **ბელორუსიის** დამოუკიდებლობა. 1991 წლის აგვისტოს ბოლომდე დამოუკიდებლობა გამოაცხადეს **მოლდოვამ, აზერბაიჯანმა, ყირგიზეთმა** და **უზბეკეთმა**.

საქართველოში არსებული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში (1991 წლის დეკემბერი) შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. პუტჩის დამარცხების შემდეგ შექმნილ ვითარებაში რუსეთის ფედერაციას ხელსაყრელი პირობები შეექმნა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცებისთვის. მთელი რიგი საკავშირო მნიშვნელობის უწყებები რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში გადავიდა. **მიხეილ გორბაჩოვი** ვეღარ მართავდა სიტუაციას. მან ისღა მოახერხა, რომ საბჭოთა კავშირის V რიგგარეშე ყრილობის დადგენილებით 1991 წლის სექტემბრის დამდეგს შექმნა **საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭო,** რომელსაც უნდა ემოქმედა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე და ახალი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებამდე. სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 1991 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ ადრე მიღებული კანონის საწინააღმდეგოდ **ლატვიის, ლიტვისა** და **ესტონეთის** დამოუკიდებლობის ცნობა. **საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საბჭოს მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არცნობა მძიმე დარტყმა იყო ეროვნული ხელისუფლებისათვის.**

მოსკოვში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მზადება მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა. საქართველო ამ პროცესში არ მონაწილეობდა, ამიტომ პროცესის წარმატებით დასრულება საქართველოსთვის არახელსაყრელი რომ იქნებოდა, ცხადი იყო.

1991 წლის 1 ოქტომბერს **ალმა-ატაში** შედგა საბჭოთა კავშირში შემავალი 13 რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების პროექტი. ამ ხელშეკრულების პარაფირება მოხდა 4 ოქტომბერს. 18 ოქტომბერს **ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულებას** ხელი მოაწერეს **მიხეილ გორბაჩოვმა** და 8 რესპუბლიკის ხელმძღვანელმა. ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა **საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა** და **მოლდოვამ**. 1991 წლის 5 ნოემბერს მიხეილ გორბაჩოვმა სახელმწიფო საბჭოს წევრებს დაუგზავნა სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის შესახებ ხელშეკრულების პროექტი. უკრაინამ, რომელმაც მოახდინა ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების პარაფირება, უარი განაცხადა ხელი მოეწერა: **სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის** შექმნის ხელშეკრულებაზე, სანამ უკრაინაში არ ჩატარდებოდა რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. ეს რეფერენდუმი 1991 წლის 1 დეკემბრისთვის იყო დანიშნული. 1991 წლის 25 ნოემბერს **ნოვოოგარევოში** დანიშნული იყო **სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის** შესახებ ხელშეკრულების პარაფირება. უკრაინის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო ხელშეკრულების პარაფირება არ შედგა. 1 დეკემბერს უკრაინაში გამართულმა რეფერენდუმმა ცხადყო, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა დამოუკიდებლობას. 2 დეკემბერს უკრაინის დამოუკიდებლობა ცნო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. ცხადი გახდა, რომ მიხეილ გორბაჩოვის კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა.

1991 წლის 8 დეკემბერს **ბელორუსიაში, ბელოვეჟში, რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის** პოლიტიკურმა ლიდერებმა **ბორის ელცინმა, ლეონიდ კრავჩუკმა და სერგეი შუშკევიჩმა განაცხადეს: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა და გეოპოლიტიკურმა რეალობამ, არსებობა შეწყვიტა.** 1991 წლის 10 დეკემბერს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს **უკრაინამ** და **ბელორუსიამ**. 11 დეკემბერს ამ ხელშეკრულებას შეუერთდა **სომხეთი** და **ყირგიზეთი**, 12 დეკემბერს ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა **რუსეთის ფედერაციის** უმაღლესმა საბჭომ.

1991 წლის 21 დეკემბერს **ალმა-ატაში** ბელოვეჟის შეთანხმების მხარდასაჭერად მიღებულ დეკლარაციას ხელი მოაწერა 11 დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურმა. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნით არსებობა შეწყვიტა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა საქართველოს გარეშე მოხდა. მოსკოვმა ვერ შეძლო საქართველოს ეროვნული ხელისუფლება კომპრომისზე დაეყოლიებინა. **ცხადია, თანამეგობრობის შექმნის შემდეგ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობას არ გამოიჩენდა.** ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში საქართველოს ხელისუფლება მხარდაჭერას ვერ მიიღებდა. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ძალით დამხობა მოსკოვში 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ დაიგეგმა.

1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სპეცნაწილებმა დაარბიეს ოპოზიცი-

თბილისის ომი

ის მიტინგი, რომელიც ქვეყნის გარედან იმართებოდა. ამ დღეს საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა. მზადდებოდა ჩვენი ქვეყნის ცნობა მრავალი უცხო სახელმწიფოს მიერ.

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „**1991 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში მიტინგის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ**", რომელშიც ვკითხულობთ:

„ა. წ. 2 სექტემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მოხდა შეტაკება მიტინგის მონაწილეებსა და მილიციის ნაწილს შორის, რომლის შედეგადაც დაშავდნენ როგორც მომიტინგეები, ასევე მილიციის მუშაკები.

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის აღიარებული პრინციპების მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამ ფაქტს მიიჩნევს ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და აქედან გამომდინარე ადგენს:

1) დაიგმოს ა. წ. 2 სექტემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის მოედანზე მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი.

2) მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ ფაქტის გამო თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და ანარმოებს გამოძიებას.

3) მომხდარი ფაქტის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4) კომისიამ თავისი დასკვნები წარუდგინოს უზენაეს საბჭოს".

1991 წლის 24 სექტემბერს გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „**ქ. თბილისში 1991 წლის 25 სექტემბრიდან საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ**", რომელშიც ვკითხულობთ":

„იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიმდინარეობს სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, შექმნილია ხუნტა, რომელსაც აქვს ძალა, ქ. თბილისში გააქტიურდნენ დესტრუქციული ძალები, რაც გამოიხატა უსანქციო მიტინგების მოწყობასა და კანონიერი ხელისუფლების ძალადური დამხობისათვის მოწოდებაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბლოკირებასა და სახელმწიფო დაწესებულებების შენობების დაკავებაში, საბრძოლო იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით შინაგან საქმეთა ორგანოებზე თავდასხმასა და სატრანსპორტო საშუალებების გატაცებაში. სავაჭრო და საზკვების ობიექტების ძარცვაში, მოქალაქეთა და მათი ავტომანქანების თვითნებურ დაკავებაში, ჩხრეკასა და ნივთების დათვალიერებაში:

1. გამოცხადდეს ქ. თბილისში საგანგებო წესები ა. წ. 25 სექტემბრიდან;

2. დაინიშნოს ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად პოლკოვნიკი ჯემალ ქუთათელაძე;

3. გამოცხადდეს საერთო მობილიზაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

4. დაევალოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შექმნან სამობილიზაციო პუნქტები, ჩამოაყალიბონ სახალხო რაზმები;

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები ქ. თბილისში სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა ყველაფერს აკეთებდა, რათა უმსხვერპლოდ მოეგვარებინათ ქვეყანაში შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობა.

ზვიად გამსახურდიას ოპოზიციამ გამოიყენა საგარეო გართულება – საქართველოს ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან. შეიარაღებული გამოსვლა დაიგეგმა 1991 წლის 22 დეკემბერს. **ოპოზიციას ეშინოდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნას (1991 წლის 21 დეკემბერი) მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, დამოუკიდებლობის ცნობა. ეს კი განამტკიცებდა ზვიად გამსახურდიას პოზიციებს. ოპოზიციას ამ მოვლენისთვის უნდა დაესწრო.** 1991 წლის 22 დეკემბერს ოპოზიციურმა ძალებმა, საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების მხარდაჭერითა და დახმარებით, დაიწყეს შეტევა პარლამენტის შენობაზე. პუტჩს მხარს უჭერდნენ რუსეთის რეაქციული წრეები. 1992 წლის 6 იანვრამდე თბილისში, მთავრო-

ბის სახლის მიდამოებში, მიმდინარეობდა ბრძოლები ოპოზიციასა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის. ამ ბრძოლებმა უამრავი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. 6 იანვარს **ზვიად გამსახურდიამ** თავის მომხრეებთან ერთად თბილისი დატოვა.

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო **კანონიერი ხელისუფლება.** პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჯერ სომხეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა თავი. ძალაუფლება ხელში აიღო **სამხედრო საბჭომ** (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა).

სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში.

§2. ღონისძიებანი ვითარების სტაბილიზაციის მიზნით

სამხედრო საბჭოს მმართველობის პერიოდში კრიზისი სულ უფრო მწვავდებოდა. დევნილ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას საქართველოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, რომლებიც აგრძელებდნენ ბრძოლას. ქვეყანა აშკარად გაითიშა ორ ნაწილად – ძველი ხელისუფლების მომხრეებად და სამხედრო საბჭოს მხარდამჭერებად. პოლიტიკური კრიზისი თბილისში, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს. სულ უფრო აუტანელი ხდებოდა ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (ცხინვალის რეგიონში).

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზად ქართულმა ინტელიგენციამ მოსკოვიდან **ედუარდ შევარდნაძის** ჩამოყვანა დასახა. სამხედრო საბჭომ ანგარიში გაუწია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის, ძირითადად, ინტელიგენციის მოთხოვნას. 1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა. ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ სამხედრო საბჭომ ძალაუფლება **სახელმწიფო საბჭოს** გადასცა. სახელმწიფო საბჭოში, განსხვავებით სამხედრო საბჭოსაგან, შევიდნენ პოლიტიკური პარტიების, ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო საბჭო მაინც ხელისუფლების არალეგიტიმური ორგანო იყო, რაც ართულებდა მრავალი გადაუდებელი პრობლემის მოგვარებას, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე გახდა. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის – არჩევნების ჩატარება. 1992 წლის 11 ოქტომბერს გამართული არჩევნების შედეგად პარლამენტში აღმოჩნდა თითქმის ყველა ძალა, რომელმაც ედუარდ შევარდნაძესთან თანამშრომლობა განიზრახა. პარლა-

ედუარდ შევარდნაძე

მენტის თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს **სახელმწიფოს მეთაურის** ფუნქციები მიენიჭა.

კრიზისი საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა. დასავლეთ საქართველოში ტერიტორიის ერთ ნაწილს კონტროლს უწევდნენ დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეები, აფხაზეთსა და შიდა ქართლში – სეპარატისტები. მთელი ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერით ამზადებდა აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსაგან. დაიწყო ადამიანთა გატაცება და თავდასხმები საქართველოში მომავალ სატვირთო მატარებლების შემადგენლობებზე მათი გაძარცვის მიზნით. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1992 წლის 14 აგვისტოს სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი, რაც **პოლიტიკური შეცდომა** იყო. ხელისუფლებას წინასწარ უნდა განეჭვრიტა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქ ჯარების შეყვანა ყოვლად გაუმართლებელი იყო. ანგარიში უნდა გაეწიათ იმისათვისაც, რომ იმხანად ჩვენთან სახელმწიფო მხოლოდ ყალიბდებოდა, ხელისუფლების სტრუქტურები ფაქტობრივად ან არ არსებობდა, ან მხოლოდ შექმნის პროცესში იმყოფებოდა, სუსტი და არაორგანიზებული ჯარი სათანადოდ არ იყო შეიარაღებული. პროვოკაციების შედეგად ჯარი ჩაბმუ-

აფხაზეთის ომი

ჟიული შარტავა

ლი აღმოჩნდა საბრძოლო მოქმედებებში. არაორგანიზებული და უდისციპლინო ჯარი ხშირად თვითნებურადაც მოქმედებდა, რისი მაგალითიც იყო სოხუმის დაკავება. ასე დაიწყო ომი აფხაზეთისათვის.

ქართული მხარე არ წყვეტდა მოქმედებას აფხაზეთში მშვიდობის დამყარების მიზნით. ამის დამადასტურებელია 1992 წლის სექტემბერში მოსკოვში და 1993 წლის ივლისში სოჭში ხელმოწერილი შეთანხმებები, რომლებიც დარღვეულ იქნა აფხაზი სეპარატისტების მიერ. საომარი მოქმედებები აფხაზეთში განახლდა. ომში აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ დაქირავებულები (კაზაკები, ჩრდ. კავკასიის კონფედერაციის მეომრები). მათ მხარს უჭერდა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის არმიის ნაწილები. გარეშე ძალების აქტიური დახმარებით სეპარატისტებმა აიღეს **გაგრა** (1992 წ. 2 ოქტომბერი), დიდი ბრძოლების შედეგად – **სოხუმი** (1993 წ. 27 ოქტომბერი), **ოჩამჩირე, გალი** და 1993 წლის სექტემბრის ბოლოს ენგურზე გაავლეს საზღვარი. სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ჟიული შარტავა.** მან საკუთარი სიცოცხლის ფასად ათასობით სოხუმელს აფხაზ სეპარატისტთა ტყვეობაში ჩავარდნა და სიკვდილი ააცილა თავიდან. აფხაზეთიდან გამოიდევნა დაახლოებით 300 000 ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქე. აფხაზეთში მარცხს ხელი შეუწყო საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ. ვერ მოხერხდა მთელი ძალების მობილიზება ომისათვის. კერძოდ, 1993 წლის შემოდგომაზე შექმნილ კრიტიკულ ვითარებაშიც კი შეუძლებელი გახდა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე სამხედრო ფორმირებებისა და სამთავრობო ჯარების გაერთიანება. უფრო მეტიც, ქვეყანაში ფაქტობრივად დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც ექსპრეზიდენტის მომხრეთა მარცხით დამთავრდა. **ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ფორმირებების დამარცხებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეულმა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა. 1993 წლის 31 დეკემბერს,** დღემდე დაუდგენელ ვითარებაში, დაილუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**. ეს იყო საქართველოს უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია.

1994 წელს ისევ გრძელდებოდა ანარქია და უწესრიგობა. სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა ღონისძიებანი ბრძოლისუნარიანი ქართული არმიის, პოლიციისა და უშიშროების ორგანოების შესაქმნელად. ვერ ხერხდებოდა საკუთარი თუ უცხოეთის მოქალაქეების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა. დაიძაბა კრიმინოგენური სიტუაცია, გახშირდა ტერორისტული აქტები. მათგან აღსანიშნავია თავდასხმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე **გიორგი ჭანტურიაზე**, რომლის დროსაც თვით გიორგი ჭანტურია დაიღუპა, ხოლო მისი მეუღლე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ირინა სარიშვილი, მძიმედ დაიჭრა. ეს ფაქტობრივად ნიშნავდა პოლიტიკური ტერორის დასაწყისს.

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, დაიწყო **სამოქალაქო ომი.** დაიწყო სხვადასხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და კრიმინალური ბანდების განუკითხავი თარეში. ასეთ რთულ ვითარებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ასლან აბაშიძის** ხელმძღვანელობით შეძლო აჭარაში სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება და დამლუპველი დაპირისპირების თავიდან აცილება. უფრო

გიორგი ჭანტურია

მეტიც, **1991-2001 წლებში აჭარაში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული სახელმწიფო აღმშენებლობის ყველა სფეროში, აღმავალი გზით ვითარდება აჭარის ეკონომიკა, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული პოსტსაბჭოთა პერიოდში შექმნილი სოციალური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით, დიდი წინსვლა შეინიშნება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის **ეკონომიკის აღმავლობაზე** მეტყველებს შემდეგი ციფრები. 1997 წელს 1996 წელთან შედარებით საქართველოს 11

ასლან აბაშიძე

ტერიტორიულმა ერთეულმა ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალი გაზარდა 28,5 მილიონი ლარით, მათ შორის აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ – 17,5 მილიონი ლარით, ანუ აჭარის ხვედრითი წილი საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაში უდრიდა 61,6 პროცენტს. 1997 წელს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ქვეყნის ტერიტორიულმა ერთეულებმა (ქ. თბილისის გარდა) შეიტანეს 77,2 მილიონი ლარი, მათ შორის აჭარამ შეიტანა 19 მილიონი ლარი, ანუ მთლიანი შენატანების 24,6 პროცენტი.

1991-2001 წლებში აშენდა მრავალი ისეთი ობიექტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს **ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის.** მათ რიცხვს განეკუთვნება: ბათუმის გემთსაშენი ქარხნის ახალი კომპლექსი, ბათუმის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი, ჩირუხი-სანალიას ჰიდროელექტროსადგური, ბათუმის მცირე საავიაციო ქარხანა და სხვ. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია გზებისა და ხიდების მშენებლობა. 1991-2001 წლებში აშენდა 119 ახალი ხიდი.

აჭარის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს **განათლების საქმეს.** 1991-2001 წლებში აჭარაში აშენდა 46 სკოლა, ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი გადაკეთდა საზღვაო აკადემიად, აშენდა

ბათუმის ბულვარი

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი. ბათუმისა და სხალთის ეპარქიაში გაიხსნა რამდენიმე სასულიერო სასწავლებელი: ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია, ჩაქვის დავით აღმაშენებლის სახელობის გიმნაზია, ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია და სხვ.

აჭარაში დიდი ყურადღება ეთმობა **მეცნიერების** განვითარებასა და უმაღლესი განათლების სრულყოფას. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 14 სამეცნიერო დაწესებულება, 6 სახელმწიფო და 8 არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. 1991-2001 წლებში დაარსდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო ცენტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო ცენტრი, ბიოტექნოლოგიისა და ბიოპროცესების მართვის

ბათუმის წმ. ბარბარეს ეკლესია

ცენტრი, მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი და სხვ.

1991-2001 წლებში აჭარაში ბევრი გაკეთდა **კულტურული მონაპოვრის დაცვისა და კულტურის აღმავლობისათვის.** დაარსდა ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია, ბათუმის სამხატვრო გალერეა, ბათუმის ბავშვთა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, აჭარის სახელმწიფო კაპელა, აჭარის ხელოვნების მუზეუმი, აჭარის არქეოლოგიური მუზეუმი, გონიო-აფსაროსის მუზეუმი-ნაკრძალი, კინოსტუდია „აჭარა", დიდი წარმატებები მოიპოვა აჭარის ტელევიზიამ, გამომცემლობა „აჭარამ" გამოსცა 405 დასახელების წიგნი.

აჭარის ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **ბათუმის კეთილმოწყობას.** უკანასკნელ წლებში ბათუმი კიდევ უფრო მომხიბლავი გახდება. დიდი სამუშაოები შესრულდა ბათუმის ზღვისპირა პარკის გამშვენიერებისათვის. ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს ზღვისპირა ზოლის კეთილმოწყობას, ასევე მთიანი აჭარის რაიონული ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობას.

ბათუმის ნავსადგური

აჭარის ხელისუფლება მხარში ამოუდგა **საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.** ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ძველი ეკლესიების აღდგენასა და ახალი ეკლესიების მშენებლობაში. 1991-2001 წლებში აჭარაში აიგო და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რამდენიმე ათეულ ეკლესიასა და ტაძარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდაზე მიუთითებს რესპუბლიკის განვრიანება საერთაშორისო ორგანიზაციებში. 1997 წლის 24 ოქტომბერს ევროპის რეგიონთა ასამბლეის ბიურომ აჭარა **ევროპის რეგიონთა ასამბლეის** სრულუფლებიან წევრად მიიღო. 1997 წლის 4 დეკემბერს ევროპის რეგიონთა ასამბლეამ მოახდინა აღნიშნული გადაწყვეტილების რატიფიკაცია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წინსვლის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სტაბილურობის დამადასტურებელი იყო 2001 წლის 4 ნოემბერს გამართული ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და რესპუბლიკის მეთაურის არჩევნები. ამ დღეს აჭარაში პირველად აირჩიეს ორპალატიანი პარლამენტი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურად არჩეულ იქნა ასლან აბაშიძე. ახლად არჩეული აჭარის პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან – რესპუბლიკური საბჭოსა და სენატისაგან.

ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევისთვის აუცილებელი იყო **კონსტიტუციის** მიღება. საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. კომისიამ შეიმუშავა პროექტი და იგი განსახილველად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. **1995 წლის 24 აგვისტოს** საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო დამოუკიდებელი, საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის კონსტიტუცია. კონსტიტუციის საფუძველზე დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები. ახალი კონსტიტუცია ძალაში უნდა შესულიყო ახლად არჩეული პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან. ქვეყნის დესტრუქციულ ძალებს ხელს არ აძლევდათ კონსტიტუციის მიღება და ვითარების სტაბილიზაცია. ამ მიზნით, 1995 წლის 29 აგვისტოს მათ მოაწყვეს ტერორისტული აქტი, რომლის შედეგად, შეთქმულთა გეგმით, ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მეთაური. ეს გეგმა ვერ განხორციელდა, ედუარდ შევარდნაძე გადარჩა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია მტკიცე საფუძველს უქმნის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის (სსრკ-ის დაშლის) მდგომარეობით. აღიარებულ იქნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპი.

საქართველოს პარლამენტში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ იქნება ორი პალატა – **ეროვნული საბჭო** და **სენატი.** პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

კონსტიტუციის ძალით საქართველოში დამყარდა საპრეზიდენტო მმართველობა, რომლის დროსაც პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და ამავე დროს მთავრობის მეთაური. პრეზიდენტი ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის, კონსტიტუციის დაცვისა და განხორციელების უმთავრესი გარანტია.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ პირველად განახორციელა ხელისუფლების დაყოფა და სათანადო ადგილი დაუთმო დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნას, რომელიც ხორციელდება უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოსა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

1995 წლის 5 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტი გახდა **ედუარდ შევარდნაძე.** პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა **საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა.**

1995 წლიდან დაიწყო უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ალაგმვა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნად მშვიდობის დამყარებას, სტაბილიზაციას.

1995-1997 წლებში მიმდინარეობდა ეკონომიკური რეფორმები. რეფორმების შედეგად დაიწყო გარკვეული ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც გრძელდებოდა 1998 წლის ზაფხულამდე. ამის შემდეგ ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა. ეკონომიკის დაქვეითება რამდენადმე განაპირობა რუსეთის 1998 წლის აგვისტოს **ფინანსურმა კრიზისმაც.** ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგო-

მარეობაში ჩააგდო არნახულმა კორუფციამ. ეკონომიკის დაქვეითებაზე გარკვეული გავლენა იქონია აგრეთვე საომარი მოქმედებების განახლებამ გალის რაიონში 1998 წლის მაისში, რომელსაც მოჰყვა ლტოლვილთა ახალი ნაკადის გადმოსვლა სამეგრელოს რეგიონში. ეკონომიკურმა კრიზისმა შეაფერხა ჯანდაცვის, სასამართლოსა და განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმები.

1999 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში გაიმართა მორიგი საპარლამენტო არჩევნები. არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო **საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა** (თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე). მოქალაქეთა კავშირის შემდეგ პარლამენტში ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო ბლოკმა **„საქართველოს აღორძინება“** (ბლოკის ლიდერი ასლან აბაშიძე). პარლამენტში მოხვდა აგრეთვე საარჩევნო ბლოკი **„მრწველობა გადაარჩენს საქართველოს“** (ბლოკის ლიდერი გოგი თოფაძე). საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩიეს **ზურაბ ჟვანია.** 2000 წლის 9 აპრილს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ **ედუარდ შევარდნაძემ** გაიმარჯვა.

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში გაგრძელდა ეკონომიკის დაქვეითება, გადაუჭრელი დარჩა მძიმე სოციალური პრობლემები (ხელფასებისა და პენსიების გაცემა და სხვ.). მოსახლეობის დიდი

ნინო ბურჯანაძე

ნაწილი სილატაკეში ცხოვრობს. რეალურ შედეგებს ვერ იძლევა კორუფციის აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებანი. ყოველივე ამან გამოიწვია ხელისუფლების კრიზისი. უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. ხელისუფლების კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა, მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის შემდეგ.

2001 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თბილისში, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარეობდა საპროტესტო დემონსტრაციები. დემონსტრაციები დაიწყო მასმედიის თავისუფლების დაცვის მოთხოვნით, მაგრამ მალე ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაიზარდა. ვითარების განმუხტვის მიზნით გადადგა

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ზურაბ ჟვანია,** პრეზიდენტმა დაითხოვა მთავრობა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს **ნინო ბურჯანაძე.**

უკანასკნელ ათწლეულში ქართულ სახელმწიფოებრიობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა ეროვნულ ღირებულებათა უგულებელყოფის ტენდენციამ. ცხადია, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური კულტურული წინსვლა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეეძლებთ საკაცობრიო ღირებულებების შეთვისებას. ამასთან, ცხადია ისიც, რომ ყოველივე უცხოურის გადმოღებას მაშინ აქვს აზრი, თუ იგი არ თრგუნავს ქართულს, არ ეწინააღმდეგება ეროვნულ ტრადიციებს, არ ლახავს ეროვნულ ღირსებას, არ უგულებელყოფს ქართულ ცნობიერებას. მიუხედავად ამისა, გარკვეული ძალები „ენის, მამულის, სარწმუნოების“ (ილია) დაცვას დემოკრატიის შელახვად მიიჩნევენ. ასე მკვიდრდება საქართველოში ე. წ. პროვინციული დემოკრატია, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოს, მის აწმყოსა და მომავალს. საქართველომ უნდა იარსებოს არა მხოლოდ როგორც სახელმწიფომ, არამედ როგორც ეროვნულმა სახელმწიფომ. სახელმწიფო საკაცობრიო ღირებულებების შეთვისებასთან ერთად თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს საუკუნეების მანძილზე დაგროვილ ეროვნულ ღირებულებებს.

§3. საქართველოს საგარეო პოლიტიკა

საბჭოთა კავშირის დაშლამ (1991 წლის 21 დეკემბერი) გააადვილა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისა, და მათ შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პირველ დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს 1992 წლის 31 ივლისს საქართველოს გაწევრიანება **გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.**

პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავება და მისი რეალიზაცია დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ცხადია, რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა დამოუკიდებელი საქართველო მისი გავლენის სფეროში დარჩენილიყო. მოსკოვს საქართველოზე ზეწოლის მრავალი საშუალება გააჩნდა. მართალია, ედუარდ შევარდნაძე პროდასავლური ორიენტაციის აშკარა მომხრე იყო, მაგრამ 1992-1993 წლებში საქართველოში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის პირობებში რუსეთის ფაქტორისთვის ანგარიშის განევა აუცილებელი გახდა. სწორედ ამიტომ 1993 წლის დეკემბერში საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვის ინიციატივით შექმნილ **დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში** გაერთიანდა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში რომ შედიოდა, საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების მიზნით უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, ასევე თანამეგობრობის ქვეყნებთან და, პირველ რიგში, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანების მიუხედავად, საქართველოს უარი არ უთქვამს პროდასავლურ ორიენტაციაზე. 1992 წელს საქართველო შევიდა **ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში.** 1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის (ნატოს) პროგრამას **„პარტნიორობა მშვიდობისათვის“.** 1999 წლის 27 იანვარს საქართველო **ევროპის საბჭოს (ევროსაბჭოს)** სრულუფლებიანი წევრი გახდა. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდის კიდევ ერთი დადასტურება იყო მისი გაწევრიანება **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.** საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული დიდი წარმატებების მაჩვენებელია ის, რომ 2000 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული ჰქონდა ას ათზე მეტ ქვეყანასთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან, გერმანიასთან, ინგლისთან, საფრანგეთთან, ესპანეთთან, თურქეთთან, იაპონიასთან, მექსიკასთან, რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, საბერძნეთთან, უკრაინასთან, ჩინეთთან, კანადასთან და სხვ. ამავე დროს, საქართველო ასზე მეტი საერთაშორისო თუ სამთავრობო ორგანიზაციის წევრია, მათ შორის აღსანიშნავია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია **(გაერო),** ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია **(ეუთო),** ევროპის საბჭო **(ევროსაბჭო),** მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა **(დსთ),** შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა **(BSEC).**

ბოლო წლებში საქართველო სერიოზულ ფინანსურ დახმარებას ღებულობდა ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორიცაა **საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი** და სხვ.

საქართველოსთვის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის იდეის რეალიზაცია. 1997 წელს ჰელსინკის შეხვედრაზე შავი ზღვის რეგიონი აღიარებულ იქნა **პანევროპული სატრანსპორტო არეალის** შემადგენელ ნაწილად. საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პანევროპულ სატრანსპორტო არეალში გაწევრიანებასა და საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციების ევროპის ინტეგრირებული სისტემის ნაწილად აღიარებას. დიდ პერსპექტივას უქმნის საქართველოს ისეთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, როგორიცაა **ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა)** და **„დიდი აბრეშუმის გზა“.** არანაკლებ პერსპექტიულია საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის მონაწილეობით რეგიონული თანამშრომლობის ჯგუფის შექმნა, რომელსაც უზბეკეთიც შეუერთდა. საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და უზბეკეთის **(სუუამი)** რეგიონული თანამშრომლობის ჯგუფი აქტიურად მუშაობს გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე.

საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული წარმატების პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს **ბაქო-სუფსის ნავთობსადენის** ამოქმედება (1999 წ.), კიდევ უფრო მნიშვნელოვანია **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.** ორივე ნავთობსადენს, ეკონომიკურის გარდა, ის მნიშვნელობაც აქვს, რომ იგი ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას. საქართველოსთვის ასევე დიდ მნიშვნელობას შეიძენს **თურქმენეთ-თურქეთის ტრანსკასპიური გაზსადენის** პროექტის განხორციელება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის დიდ მიღწევას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ ევროპის საბჭოს **სტამბოლის სამიტის** (1999 წ.) გადაწყვეტილება. 2001 წლის ივლისში რუსეთს უნდა დაემთავრებინა საქართველოდან (**ვაზიანისა** და **გუდაუთის**) სამხედრო ბაზების გაყვანა. რუსეთმა სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეასრულა – ვაზიანის სამხედრო ბაზა გაყვანილ იქნა. რუსეთის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო ჭიანურდება გუდაუთის სამხედრო ბაზის გაყვანა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაიძაბა 1999 წელს ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების განახლების შემდეგ. საქართველო იძულებული გახდა, **პანკისის ხეობაში** თავშესაფარი მიეცა ჩეჩნეთიდან


საქართველო
XXI საუკუნის დამდეგს
საქართველოს სამხარეო მოწყობა
XXI საუკუნის დამდეგისათვის
1. აფხაზეთის ა/რ . . . . . სოხუმი
2. აჭარის ა/რ . . . . . ბათუმი
3. თბილისი . . . . . თბილისი
4. სამეგრელო-ზემო სვანეთი . . . . ზუგდიდი
5. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი . ამბროლაური
6. გურია . . . . . ოზურგეთი
7. იმერეთი . . . . . ქუთაისი
8. სამცხე-ჯავახეთი . . . . . ახალციხე
9. შიდა ქართლი . . . . . გორი
10. ქვემო ქართლი . . . . . რუსთავი
11. მცხეთა-მთიანეთი . . . . . მცხეთა
12. კახეთი . . . . . თელავი
ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ
საქართველოს სახელმწიფო საზღვარი
საზღვარი საქ. მხარეებს შორის
საზღვრები მეზობელ ქვეყნებს შორის
სახელმწიფოებს შორის
რუსეთის ფედერაციის
პოლიტიკურ ერთეულებს შორის
დედაქალაქი
ავტ. რესპუბლიკის ცენტრი
მხარის ცენტრი
რაიონის ცენტრი
ნავთობსადენი
გაზსადენი
ოპტიკურ-ბოჭკოვანი
სატელეკომუნიკაციო მაგისტრალი
ᲨᲐᲕᲘ
ᲖᲦᲕᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ᲒᲣᲠᲘᲐ
ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲒᲝᲠᲘ
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ
ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘ
ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲐ
ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ
ᲗᲘᲗᲐᲠᲬᲧᲐᲠᲝ
ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ
ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ
ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ
ᲡᲘᲛᲐᲮᲔᲗᲘ
ᲙᲐᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
© M Shekiladze, 2003

ლტოლვილი მოსახლეობისათვის. ლტოლვილებთან ერთად პანკისის ხეობაში აღმოჩნდნენ კრიმინალური ბანდებიც, რომელთა წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მოგვიანებით განახორციელა ანტი-კრიმინალური ოპერაციები.

საქართველოს მთავრობას ტერორისტებისა და ბანდიტური ფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლაში **წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის** (2002 წ.) შესაბამისად დიდ დახმარებას უწევს ამერიკის შეერთებული შტატები.

ბოლო წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საერთაშორისო-დიპლომატიური უზრუნველყოფა.** გადაიდგა ნაბიჯები ცხინვალის რეგიონში (ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში) არსებული ვითარების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მიზნით. 1998 წლის გაზაფხულზე აფხაზი სეპარატისტების მიერ გალის რაიონში ქართული მოსახლეობის დარბევამ ცხადყო, რომ აფხაზეთში საერთაშორისო ეგიდით განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალები ვერ ასრულებენ დაკისრებულ მისიას – ვერ უზრუნველყოფენ მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისა და რუსეთის არაკონსტრუქციული პოზიციის მიუხედავად, ქართული მხარე კვლავ ეძიებს კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზებს.

თავი XV

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-2002

§1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა XX საუკუნის დამდეგს დაიწყო. ავტოკეფალიისთვის ბრძოლას სათავეში ედგნენ:

ეპისკოპოსი კირიონი

ეპისკოპოსი **კირიონი** (გიორგი საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი **ლეონიდი** (ლონგინოზ ოქროპირიძე), არქიმანდრიტი **ამბროსი** (ხელაია), დეკანოზი **კალისტრატე** (ცინცაძე). 1905 წლის ივნისში, თბილისში, მოინვიეს ქართველი სამღვდელოების კრება, რომლის გადაწყვეტილება ასეთი იყო: „მხოლოდ თავისუფალ თვითმმართველ ეკლესიას ძალუძს დაიცვას წმინდა რწმენა თავისთავში და მთლიანად ფლობდეს ხმას თავის მაღალ ღვთაებრივ ცნობასა, რომლისგანაც აალდება ადამიანთა გულები". ქართველი სამღვდელოების ასეთმა ერთსულოვნებამ მოთმინებიდან გამოიყვანა საქართველოს ეგზარქოსი **ალექსი.** ეგზარქოსმა გამოიძახა რუსი ჯარისკაცები და საშინელი ცემა-ტყეპით დააშლევინა საქართველოს სამღვდელოების კრება. ეს ამბავი იმდენად სამარცხვინო იყო და ისე გახმაურდა, რომ ოფიციალური ხელისუფლება იძულებული შეიქნა საქართველოდან გაენვია ეგზარქოსი. ახალი ეგზარქოსის **ნიკონის** დანიშვნას ქართული სასულიერო

საქართველოს ეგზარქოსი ალექსი

წოდება დაუფარავი პროტესტით შეხვდა. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული იყო 1906 წელს პეტერბურგში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხების განსახილველად დაენიშნა **„სინოდის წინარე სხდომა"**. კომისიის სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ეპისკოპოსები: **კირიონი, ლეონიდი,** პროფესორები: **ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარი.** კირიონის მოხსენების თემა შემდეგ საკითხებს ეხებოდა: 1. საქართველოს საეკლესიო საკითხი; 2. რა აიძულებს ქართველებს იბრძოლონ თავისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენი-

ეპისკოპოსი ლეონიდი

სათვის; 3. რომელ წელს მიენიჭა ივერიის ეკლესიას ავტოკეფალია; 4. ეროვნული პრინციპი ეკლესიაში".

ალექსანდრე ცაგარელის მოხსენება ეხებოდა XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ მიმოწერას. იგი ასაბუთებდა, რომ რუსეთის ეკლესიის სინოდსა და რუსეთის მთავრობას არავითარი უფლება არ ჰქონდა გაეუქმებინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ამისთვის საჭირო იყო საქართველოსა და მსოფლიოს საეკლესიო კრებების თანხმობა. ალექსანდრე ცაგარელმა თავის მოხსენებაში დაასაბუთა ის უარყოფითი შედეგები, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა.

ალექსანდრე ხახანაშვილის მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიისა და განათლების მდგომარეობას XVIII საუკუნეში, დასაბუთებული იყო ქართული ეროვნული შეგნების,

ალექსანდრე ცაგარელი

ქართული ენისა და, საერთოდ, განათლების განვითარებაში საქართველოს ეკლესიის როლი და მნიშვნელობა.

ნიკო მარის მოხსენებამ „საქართველოს ეკლესიის ისტორიული განხილვა ძველი დროიდან" განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სხდომაზე. ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, ნიკო მარმა „თავისი რიხიანი გამოსვლებით, ღრმა ცოდნით და უამრავი ფაქტების მოტანით ჩვენი ეკლესიის თვითმმართველობისა და მისი მამების უაღრესად განათლებული მოღვაწეობის აღნუსხვით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგენი ჩიხში მოამწყვდია".

სინოდის წინარე სხდომაზე ქართველი ერის მოთხოვნამ ასეთი სახე მიიღო:

1. ცნონ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც ივერიის ეკლესიას ებოძა VI მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით და, რომელიც ცნეს კონსტანტინოპოლისა და აღმოსავლეთის პატრიარქებმა.

2. აუცილებელია აღდგეს ქართლის, სამცხის, კახეთის, სამეგრელო-სამურზაყანოს, გურიის ეპარქიები. საქართველოს ეკლესიას მიეცეს წელიწადში ორჯერ საეკლესიო კრების მოწვევის უფლება.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეებმა უსაფუძვლო რეპლიკებითა და ქართველი ერის შეურაცხმყოფელი გამოსვლებით ჩაშალეს სხდომა. ქართველმა მეცნიერებმა და

ალექსანდრე ხახანაშვილი

ეპისკოპოსებმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს, მაგრამ ავტოკეფალიისთვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ეპისკოპოსმა **კირიონმა**, დეკანოზმა **კალისტრატე ცინცაძემ,** ისტორიკოსმა **თედო ჟორდანიამ, ნიკოლოზ დურნოვომ** 1905-1906 წლებში დაბეჭდეს ნაშრომები, რომლებშიც ასაბუთებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობას.

რუსეთის ხელისუფლება მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდა. მას „სინოდის წინარე სხდომა" თვალის ასახვევად სჭირდებოდა და არა საქმის ნამდვილი არსის გასარკვევად, ამიტომ ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა ავტოკეფალიის მომხრეთა წინააღმდეგ რეპრესიები დაეწყო. ასეთი მომენტიც დადგა. 1908 წლის 28 მაისს სოციალ-დემოკრატებმა თბილისში მოკლეს ეგზარქოსი **ნიკონი.** რუსმა ნაციონალისტებმა ნიკონი სამშობლოსათვის წამებულად გამოაცხადეს და მკვლელობაში დაადანაშაულეს ავტოკეფალისტი ეპისკოპოსები. განსაკუთრებული დევნა-შევიწროება განიცადა ეპისკოპოსმა **კირიონმა.** მას ჯერ უშუალოდ ნიკონის მკვლელობაში დასდეს ბრალი, მაგრამ როცა ეს ვერ დაამტკიცეს, მაშინ იმის მტკიცება დაიწყეს, რომ თითქოს კირიონი

თედო ჟორდანია

იცნობდა მკვლელებს. კირიონი ყოველგვარი გამოძიების გარეშე 1908 წელს კოვნოდან გადაასახლეს ტამბოვის გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში და ჩამოართვეს სასულიერო ხარისხი. იგი 1915 წლამდე პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი ავტოკეფალიისთვის მებრძოლი მღვდელმთავრისა და მეცნიერის განთავისუფლებისთვის იბრძოდა. რუსეთის იმპერატორის სახელზე იგზავნებოდა მრავალი თხოვნა. ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის თავმჯდომარემ **ჟორჟ ლორანმა** 1909 წლის 10 მარტს გამოგზავნილ წერილში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სთხოვა ეპისკოპოს კირიონის დაცვა გაუთავებელი დევნა-შევიწროებისგან.

გადასახლებაში მყოფი **კირიონი** აგრძელებდა ბრძოლას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის. იოსებ ჩიჯავაძისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „ავტოკეფალიას ნუ მოუყრუეთ ყური, მაგისთანა კითხვა სწრაფად არ წყდება, ხელსაყრელი გარემოებით უნდა ვისარგებლოთ".

1915 წელს, მართალია, ეპისკოპოს **კირიონს** დაუბრუნეს სასულიერო ნოდება, მაგრამ საქარ-

თველოში ჩამოსვლის უფლება არ მისცეს. მიუხედავად ამისა, საქართველოში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მედგრად აგრძელებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 12 მარტს, მცხეთის სვეტიცხოველში შეკრებილმა ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო საეკლესიო კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება „1) ამიერიდან, 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2) დროებით კათალიკოზ-პატრიარქის ამორჩევამდე ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოზი ლეონიდე; 3) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც საერო, ისე სასულიერო პირები". ქართველი მღვდელმთავრების ამ გადაწყვეტილებას მტრულად შეხვდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება. იყო მცდელობა, რომ **ტერიტორიული ავტოკეფალია** შეეცვალათ **ეროვნული ავტოკეფალიით,** რომლის თანახმადაც საქართველოს ეკ-

მიტროპოლიტი ლეონიდი და
ეპისკოპოსი კირიონი

ლესია კვლავ რუსეთის ეკლესიის სინოდს უნდა დამორჩილებოდა. ქართველი სამღვდელოება და მოწინავე საზოგადოება მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ამ გეგმის განხორციელებას. თბილისში ამ მიზნის მისაღწევად ჩამოსული პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი არც მუქარას მოერიდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

1917 წლის მარტიდან სექტემბრამდე საქართველოში დიდი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ასარჩევად. შემუშავდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, განისაზღვრა ეპარქიათა რაოდენობა. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ ეპისკოპოს **კირიონს** დიდი სიყვარულითა და პატივისცემით შეხვდნენ ისინი, ვინც ამ დიდებული მოღვაწის პიროვნების ფასი იცოდნენ.

1917 წლის 17 სექტემბერს დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები. კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი: მიტროპოლიტი **ლეონიდი** და ეპისკოპოსი **კირიონი.** კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი (გიორგი საძაგლიშვილი) **კირიონ II-ის** სახელწოდებით. განსაკუთრებული ზეიმით მოხდა კირიონ II-ის აღსაყდრება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში.

§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921 წლებში

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაეკავებინა, როგორც საქართველოს სულიერ ცხოვრებაში, ასევე მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროში. ამ ამოცანების შესასრულებლად დიდი შრომა, ინტელექტი და თავდადება იყო საჭირო. კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II სწორედ ის საჭეთმპყრობელი იყო, რომელიც ქართულ ეკლესიას გადაალახვინებდა იმ სიძნელეებს, რომელიც შექმნილი იყო როგორც მატერიალური, ასევე სულიერი ცხოვრების სფეროში.

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 27 მაისს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე კათოლიკოს-პატრიარქმა **კირიონ II-მ** სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა და ბრწყინვალე სიტყვით მიმართა საზოგადოებას.

საქართველოს ეკლესიამ რუსულენოვანი სასულიერო სასწავლებლები ქართულად გადააკეთა. კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის გახსნის ღონისძიებაში.

საქართველოს საპატრიარქომ ეპისტოლეები დაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქებს და სთხოვდა მათ აღედგინათ ძველი კავშირურთიერთობანი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება ვერ დაუთმო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. მიიღეს არაერთი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც შეზღუდეს ეკლესიის უფლებები. საქართველოს ეკლესია გაუთანაბრდა საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს.

საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის, ქართველი ერის სამსახური იმ დროს დიდ თავგანწირვასა და მსხვერპლს მოითხოვდა. პირველი ასეთი მსხვერპლი საქართველოს ეკლესიამ გაიღო 1918 წლის 27 ივნისს, როცა მარტყოფის მონასტერში დღემდე დაუდგენელ ვითარებაში მოკლეს კათოლიკოს-პატრიარქი **კირიონ II.**

1920 წელს თბილისში გაიმართა მეორე საეკლესიო კრება. განიხილეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან

საქართველოს
კათოლიკოს პატრიარქი
კირიონ II

გამოყოფის, სასულიერო სასწავლებელთა განათლების სამინისტროსადმი გადაცემის, ეკლესიის ბიუჯეტის, მცხეთა-თბილისის ეპარქიის გაერთიანების საკითხი. კრებამ მიტროპოლიტი **ლეონიდი** დაამტკიცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

საქართველოს ეკლესიას დიდ სირთულეებს უქმნიდა რუსეთის ეკლესია. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში აღდგა პატრიარქობა. ახალი პატრიარქი **ტიხონი** აგრძელებდა რუსეთის სინოდის პოლიტიკას ქართული ეკლესიის მიმართ. 1917 წლის 29 დეკემბერს პატრიარქმა ტიხონმა წერილით მიმართა საქართველოს ეკლესიას. ამ წერილში იგი უარყოფითად აფასებდა საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის აღდგენას და მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის მესვეურთა მიწვევას რუსეთის საეკლესიო კრებაზე და „ცთომილებათა მონანიებას". 1919 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებულ საპასუხო ეპისტოლეში კათოლიკოს-პატრიარქი **ლეონიდი** ასაბუთებდა, თუ რამდენად მცდარი და მედიდური იყო რუსეთის პატრიარქის მოთხოვნები.

1921 წლის 20 თებერვალს, როცა საბჭოთა რუსეთის ჯარები უტევდნენ საქართველოს დედაქალაქს, კათოლიკოს-პატრიარქმა **ლეონიდმა** სიტყვა წარმოთქვა სამხედრო ტაძრის ეზოში, რომელშიც ერს ხელისუფლებასთან მხარში დგომისაკენ მოუწოდა: „თვითოეულს აქ მდგომთაგან ნათლად და ცოცხლად გვეხატება თვალწინ ის ბნელი ჯოჯოხეთი და ზომას აღმატებული უბედურება, რომელიც თავს დასტრიალებდა ჩვენს სამშობლოს შაბათს განთიადისას ... დღესაც ისევ შეუწყვეტლივ გაისმის თბილისის მიდამოებში მტრების ზარბაზნების გრგვინვა, ამიტომ სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა გვიკარნახებს მთელი ჩვენი ენერგიის, ქონებისა და სიცოცხლის მიტანას მართლის სამსხვერპლოზე". სამწუხაროდ, „ზომას აღმატებული უბედურება" მაინც მოხდა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია თბილისში შემოვიდა და მალე მთელი საქართველო დაიპყრო. კათოლიკოს-პატრიარქმა **ლეონიდმა** ქართველი ერის თავს დამტყდარი უბედურება ველარ გადაიტანა. იმხანად თბილისში შექმნილი იყო უკიდურესად მძიმე ვითარება. წყალიც კი არ იშოვებოდა, ხალხი დასალევ წყალს მტკვრიდან ეზიდებოდა. როცა მორჩილებმა ლეონიდს შესთავაზეს წყალს წყაროდან მოგიტანთო, მან კატეგორიული უარი განაცხადა. კათოლიკოს-პატრიარქს შავი ჭირის ეპიდემია შეეყარა და 1921 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა.

§3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1977 წლებში

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს ეკლესიას მძიმე მდგომარეობაში აგდებდა, ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლება და, მეორე მხრივ, რუსეთის ეკლესია.

1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათში გაიმართა **მესამე საეკლესიო კრება,** რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი **ამბროსი (ხელაია).**

ამბროსი ხელაიამ ჯერ კიდევ ყაზანის უნივერსიტეტში სწავლის დროს მიიქცია საზოგადოების ყურადღება, როცა სრულიად ახალგაზრდამ დაწერა შესანიშნავი ნაშრომი – „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში". ამბროსი ხელაიას სახელთანაა დაკავშირებული „მოქცევაი ქართლისაჲს" ჭელიშური რედაქციის პოვნა და შესწავლა.

ამბროსი ხელაია იყო თავდადებული ავტოკეფალისტი, ამიტომაც განიცდიდა საშინელ დევნაშევიწროებას. 1908 წელს იგი საერთოდ გაასახლეს საქართველოდან. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ამბროსი ხელაია ჯერ **ჭყონდიდის,** ხოლო 1919 წლიდან **ცხუმ-აფხაზეთის** მიტროპოლიტი იყო.

1921 წლიდან მასობრივად იხურებოდა ეკლესია-მონასტრები. 1917 წელს საქართველოში იყო 1130 მოქმედი ეკლესია-მონასტერი, 2609 მღვდელი, 227 მთავარდიაკონი, 1606 დიაკონი, 29 მამათა მონასტერი 1188 ბერით, 6 ქალთა მონასტერი 280 მონაზვნით. 1921 წლიდან მათი რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. ბოლშევიკი აქტივისტები ეკლესია-მონასტრებიდან დაურიდებლად ეზიდებოდნენ საეკლესიო ქონებას, უძვირფასეს ხატებსა და საღვთისმსახურო წიგნებს ცეცხლის ალში სწვავდნენ. საჭირო იყო ამ ბარბაროსობის მხილება. ეს მისია თავს იდო კათოლიკოს-პატრიარქმა **ამბროსიმ,** რომელმაც 1922 წელს გენუის კონფერენციას მიმართა მემორანდუმით. ამბროსი ხელაია წერდა: „ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას, უბღალავენ წმინდათა-წმინდას სარწმუნოებრივ

გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება. მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია. მისი ეკლესია, ეს ძველისძველი ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა, დღეს უფლებააყრილია". კათოლიკოსი მოითხოვდა საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას. მემორანდუმს ხელს აწერდნენ საკათოლიკოსო საბჭოს წევრები: მიტროპოლიტი **ნაზარი ლეჟავა,** დეკანოზები **კალისტრატე ცინცაძე, იოსებ მირიანაშვილი, დიმიტრი ლაზარიშვილი, პავლე ქავთარაძე, ანტონ თოთიბაძე, ნიკოლოზ არჯევანიძე,** ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საკათოლიკოსო საბჭოს წევრი **ნიკოლოზ თავდგირიძე.**

ასეთმა გაბედულმა მხილებამ კიდევ უფრო გაამხეცა ბოლშევიკები, მათ ოფიციალურ გაზეთებში – „კომუნისტი", „კვანარახი", „მუშა", „ტარტაროზი" – დაიწყეს საქართველოს ეკლესიის ღირსეული წარმომადგენლების მიმართ ცილისმწამებლური წერილების ბეჭდვა. **ამბროსი ხელაია** დააპატიმრეს. მალე დაიწყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და სხვა სასულიერო პირების სასამართლო პროცესი. სასამართლომ უარი თქვა სასამართლო პროცესზე **პავლე ინგოროყვასა** და **ივანე ჯავახიშვილის** მოწმეებად გამოძახებაზე, სამაგიეროდ, „სულგრძელად დაუთმო" სასამართლოს „ტრიბუნა" პროლეტარიატის წარმომადგენლებს: ორზუმელოვს, ვარლამოვს, გუბლიევას, ოქიევს, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ქართველ სამღვდელოებას მრავალსაუკუნოვან ბოროტებად და „მშრომელი ხალხის" მტრად აცხადებენ და მოითხოვენ „ბნელეთის მოციქული" სასულიერო პირების სასტიკ დასჯას. სასამართლოს შენობის წინ იყვნენ მუშათა წარმომადგენლები ტრანსპარანტებით „ძირს ამბროსი", „ძირს უწმინდესი კონტრრევოლუცია". სასამართლოზე კათოლიკოს-პატრიარქმა **ამბროსიმ** წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა სათაურით: **„მე აღვასრულე ჩემი ვალი"**, რომელშიც დაასაბუთა, თუ როგორი უკანონო გზით შემოვიდა რუსის ჯარი საქართველოში, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არის მოსკოვის მარიონეტი, რომ მისთვის ყველანაირი სასჯელი, სამოციქულო ეკლესიისა და სახელმწიფოებრიობის დაცვისთვის მიღებული, იქნება: **„ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში. იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული".**

საბჭოთა სასამართლომ კათოლიკოს-პატრიარქ **ამბროსი ხელაიას** შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კიდევ უფრო მკაცრად დაისაჯნენ საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრები. ამბროსი ხელაია მეტეხის საპყრობილეში ჩასვეს.

1924 წელს საქართველოში მზადდებოდა აჯანყება. აჯანყებულთა გვერდით იდგა საქართველოს ეკლესია. აჯანყების ჩახშობის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა რეპრესიები. იმ დროს, როცა მასობრივად ხურავდნენ ეკლესია-მონასტრებს, ქუთათელმა მიტროპოლიტმა **ნაზარიმ (ლეჟავა)** მღვდელ **სიმონ მჭედლიძისა** და დიაკვან **ბესარიონ კუხიანიძის** მონაწილეობით აკურთხა **სვირის ეკლესია,** რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. 1924 წლის 2 აგვისტოს სამივე სასულიერო პირი დააპატიმრეს ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით. 28 აგვისტოს საგანგებო სამეულის განაჩენით სამივე სასულიერო პირი სიკვდილით დასაჯეს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი

ეკლესიის მიმართ რეპრესიები გრძელდებოდა. „საზეიმო ვითარებაში", ხალხის თანდასწრებით ხდებოდა სასულიერო პირთათვის ტანსაცმლის შემოხევა, წვერის გაკრეჭა. ეკლესია-მონასტრებისა და წინაპართა საძვალეების ადგილზე თანდათანობით იწყეს საქართველოს კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტების, რაიონების აღმასრულებელი კომიტეტებისა და სკოლების აშენება. ახალგაზრდობა ყოველდღე ფეხით თელავდა არა მარტო წინაპართა საფლავებს, არამედ ჩვენს წარსულსაც. ამის მაგალითები მრავლადაა. თბილისში მთავრობის სასახლე 1921 წელს დაღუპული კოჯრის გმირების საფლავებზეა აშენებული. ქუთაისის მერია იმ ეკლესიის ქვებითაა აშენებული, სადაც წირვას ატარებდა **გაბრიელ ეპისკოპოსი.** ასეა საქართველოს მრავალ სოფელსა და ქალაქში.

1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ეკლესია-მონასტრების გახსნის უფლებას მხოლოდ მაშინ მისცემდა ხალხს, თუ სოფელსა და ქალაქებში დაარსდებოდა „რელიგიური საზოგადოებები, რომლის დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შვიდზე ნაკლები არ იქნებოდა. ამასთანავე, მორწმუნენი ტაძრებს, სამლოცველო სახლებსა და ქონებას მიიღებდნენ უსასყიდლოდ, სათანადო ხელშეკრულე-

ბის საფუძველზე, რომელიც გაფორმდებოდა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და მორწმუნეთა შორის". მართალია, საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ასეთი დადგენილება გამოიტანა, მაგრამ მაინც გრძელდებოდა ღვთისმსახურთა შევიწროება, ეკლესია-მონასტრების დახურვა და ნგრევა. თბილისში საქართველოს საპატრიარქოს ჩამოართვეს **სამხედრო ტაძარი,** დახურეს **ანჩისხატი, გელათი, ალავერდი.** საქართველოს საპატრიარქო რეზიდენცია მიითვისეს და საპატრიარქო ქონების ნაწილი დაიტაცეს, ხოლო რაც არ მოეწონათ, ქუჩაში დაყარეს.

საქართველოს ეკლესიაში უმძიმესი ვითარება შეიქმნა კათოლიკოს-პატრიარქ **ამბროსის** დაპატიმრების შემდეგ. ხელისუფლებამ სცადა საეკლესიო კანონმდებლობის უხეში დარღვევით კათოლიკოს-პატრიარქად დაესვა მისთვის სასურველი პიროვნება, მაგრამ მორწმუნე მრევლმა და სამღვდელოებამ სიონის ტაძარში შესვლის უფლება არ მისცა ცრუ პატრიარქს. 1924 წლის აჯანყების ჩახშობისა და მასობრივი რეპრესიების შემდეგ ბოლშევიკებმა გამოსცეს ამნისტია, რომლის საფუძველზე საპატიმროდან გაათავისუფლეს უწმინდესი და უნეტარესი **ამბროსი,** რომელიც ფრიად დასუსტებული იყო. კათოლიკოს-პატრიარქმა მაინც მოინდომა წირვის ჩატარება სიონში, იგი ჯვარ-სანთლებით გავიდა ამბიონზე, დალოცა ერი და ჩაიკეცა, გული ცუდად შეექმნა. ამის შემდეგ ამბროსი ხელაიას დიდხანს აღარ უცოცხლია, იგი 1927 წლის 27 მარტს გარდაიცვალა. მიუხედავად დიდი რეპრესიებისა, რომელიც საქართველოში სუფევდა, კათოლიკოს-პატრიარქის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. ერისთვის თავდადებული მწყემსმთავარი გულმხურვალედ დაიტირა ქართულმა ემიგრაციამაც.

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით 1925 წლიდან თანამოსაყდრედ დანიშნული იყო ნინოწმინდელი მიტროპოლიტი **კალისტრატე ცინცაძე,** მაგრამ გარკვეული ძალების ზეწოლის გამო იგი იძულებული გახდა ოფიციალური განცხადებით უარი ეთქვა კათოლიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრეობაზე. **მეოთხე საეკლესიო კრებაზე,** რომელიც 1927 წელს გაიმართა თბილისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი **ქრისტეფორე III (ციცქიშვილი).**

საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ. ამის დასტური იყო ისიც, რომ 1929 წელს შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის სრულიად საქართველოს ცენტრალური საბჭო". მანამდე კი საქართველოს ყველა მაზრაში შეიქმნა „უღმერთოთა უჯრედები". უღმერთოთა კავშირი სამაზრო



ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი თბილისში

უჯრედებს სთხოვდა ყოველთვიურად წარმოედგინათ ინფორმაცია, თუ რამდენი ეკლესია დახურეს თავიანთ მაზრებში.

საქართველოს ეკლესია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. თუ ეკლესია კვლავ განაგრძობდა საბჭოთა ხელისუფლების არცნობის პოლიტიკას, კიდევ უფრო გაურთულდებოდა მდგომარეობა. კათოლიკოს-პატრიარქმა **ქრისტეფორე III-მ** შემრიგებლური ნაბიჯი გადადგა. მან ხელისუფლებისადმი ლოიალობის კურსი გამოაცხადა. ასეთმა პოლიტიკამ, მართალია, საქართველოს ეკლესია ფიზიკურად გადაარჩინა, მაგრამ სამაგიეროდ როგორც საქართველოში, ისე ქართულ ემიგრაციაში ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი გულისტკივილი და იმედგაცრუება გამოიწვია.

კათოლიკოს-პატრიარქმა **ქრისტეფორე III-მ** 1927 წელს საკათოლიკოსო საბჭოზე დააყენა საკითხი ახალ სტილზე გადასვლის შესახებ. საქართველოს ეკლესია 1927 წლიდან გადავიდა ახალ სტილზე, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ დიდი არევ-დარევა გამოიწვია ეკლესიაში. 1928 წელს მიიღეს გადაწყვეტილება კვლავ ძველი სტილის აღდგენის შესახებ. მიუხედავად ხელისუფლების რეპრესიული ღონისძიებებისა, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კათოლიკოს-პატრიარქ **ქრისტეფორე III-ის** დროს შეინარჩუნა რვა მოქმედი ეპარქია: **ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის, ქუთაისი-გელათის, ცხუმ-აფხაზეთის, წილკნის, ჭყონდიდის, მცხეთა-თბილისის.** ამ ეპარქიებს განაგებდნენ ეპისკოპოსნი და მთავარეპისკოპოსნი.

კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III 1932 წელს გარდაიცვალა.

1932 წელს ჩატარებულმა **მეექვსე საეკლესიო კრებამ** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი **კალისტრატე ცინცაძე.** იგი იყო განათლებული მღვდელმთავარი,

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის თავდადებული მებრძოლი და 1905 წლის თბილისის ქართველი სამღვდელოების შეკრების მონაწილე.

კათოლიკოს-პატრიარქმა **კალისტრატემ** მოახდინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია. მისი ინიციატივით მოწვეულ **მეშვიდე** (1934 წ.) და **მერვე** (1937 წ.) საეკლესიო კრებებზე **საკათოლიკოსო საბჭოს** ნაცვლად შეიქმნა **სინოდი,** რომლის წევრები მხოლოდ სასულიერო პირები უნდა ყოფილიყვნენ. შემოღებულ იქნა კათოლიკოს-პატრიარქის ერთპიროვნული მართვა-გამგეობა. **სინოდს** ეწოდა **კათოლიკოსის თანასინოდი.** უწმინდესი კალისტრატეს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნაკარნახევი იყო საქართველოს ეკლესიაში შექმნილი რთული ვითარებითა და იმ უთანხმოებებით, რომელიც არსებობდა ზოგიერთ მღვდელმთავარსა და კათოლიკოსს შორის.

კათოლიკოს-პატრიარქმა **კალისტრატემ** თავისი უდიდესი ავტორიტეტის წყალობით შეინარჩუნა საქართველოს ეკლესია. ცხადია, ხელისუფლება წინ ეღობებოდა კათოლიკოს-პატრიარქის ბევრი ჩანაფიქრის განხორციელებას. ვერ მოხერხდა **ალავერდის, ბათუმ-შემოქმედის, ბოდბისა** და **ჭყონდიდის** ეპარქიებში მღვდელმთავრების შეკრება. ეს ფაქტი მეტად დამაფიქრებელი იყო. სამაგიეროდ, კათოლიკოს-პატრიარქის დიდი მცდელობის შემდეგ მონამეთის ეკლესიიდან გადასვენებული წმ. დავითისა და კონსტანტინეს ნეშტები ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან კვლავ მოწამეთაში დააბრუნეს. კალისტრატე ცინცაძემ სცადა გელათის მონასტრის ამოქმედება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა. ამ პერიოდში ხელისუფლებამ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით შექმნა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა კომიტეტი, რომელსაც თავისი რწმუნებულები ჰყავდა ყველა რესპუბლიკაში. რწმუნებულის აპარატი იქცა საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ მეთვალყურედ, მისი ნებართვის გარეშე საქართველოს ვერც ერთ ეპარქიაში სასულიერო პირი ვერ დაინიშნებოდა.

კათოლიკოს-პატრიარქ **კალისტრატეს** სურვილითა და მოწადინებით 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში სტუმრად ჩამოვიდა რუსეთის პატრიარქის **სერგის** მიერ ოფიციალურად წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი **ანტონი.** მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის ეკლესიამ თავისი ისტორიის მანძილზე პირველად ოფიციალურად და ფორმალურ-კანონიკურად ცნო საქართველოს ეკლესიის თავისთავადობა და ამის შესახებ აცნობა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებს, რითაც ჩვენს ეკლესიას გზა გაეხსნა მსოფლიოს სხვა საპატრიარქოებთან ურთიერთობისათვის.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე

კათოლიკოს-პატრიარქმა **კალისტრატე ცინცაძემ** ქადაგებებითა თუ საქართველოს ეკლესიის ხელთ არსებული მატერიალური შესაძლებლობებით გარკვეული წვლილი შეიტანა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

კალისტრატე ცინცაძემ ვერ შეძლო საქართველოს საპატრიარქოსთვის ბეჭდვითი ორგანოს დაარსება და სასულიერო სასწავლებლის გახსნა.

1952 წელს კათოლიკოს-პატრიარქი **კალისტრატე** გარდაიცვალა. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, დაკრძალვას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

1952 წელს **მეცხრე საეკლესიო კრებამ** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ურბნელი მიტროპოლიტი **მელქისედეკ III (ფხალაძე).** კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის დროს, განსაკუთრებით სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი ლიბერალიზაცია დაიწყო, შესაძლებელი გახდა ზოგიერთი გაუქმებული ეკლესიის აღდგენა, მოქმედი გახდა **მოწამეთა, ბოდბე, ფოთის ეკლესია.** ახალი ეკლესია აიგო **ხაშურში.** მელქისედეკ III ზრუნავდა ქართული საეკლესიო გალობის ასაღორძინებლად. მელქისედეკ III-ის დროს საქართველოს ეკლესიის სინოდში იყო ხუთი მღვდელმთავარი. ღვთისმსახურთა ასაკობრივი მაჩვენებელი საგანგაშო იყო ეკლესიისთვის – ბევრი მღვდელმთავრის ასაკი 60 წელს აღემატებოდა. ეკლესიებში თითქმის აღარ იყო მრევლი. დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე, თუ ვინმე მაინც მივიდოდა ტაძარში, ისინი უმეტესად ასაკოვანი ადამიანები იყვნენ. თუ ახალგაზრდა გაბედავდა ეკლესიაში შესვლას, ოფიციალური ხელისუფლების პროპაგანდისტული მანქანაც მაშინვე ამუშავდებოდა. იწყებოდა იმის გარკვევა, თუ რატომ წავიდა ესა თუ ის ახალგაზრდა ეკლესიაში, იყო ზემოქმედება მშობლებზე, ახლობლებზე. 1962 წლისათვის საქართველოში მოქმედი იყო მხოლოდ 45 ეკლესია, რომელსაც 100-მდე ღვთისმსახური ჰყავდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრიზისის ფონზე საქართველოში გააქტიურდნენ

სხვადასხვა სექტები (განსაკუთრებით იელოველები) და სხვა რელიგიური ორგანიზაციები, ასევე სომხურ-მონოფიზიტური ეკლესია, რომელსაც მხარდაჭერა ეჩმიაძინიდან ჰქონდა.

1960 წელს გარდაიცვალა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **მელქისედეკ III.** გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მან თავისთან იხმო ქუთათელი მიტროპოლიტი **ნაუმ შავიანიძე** და სთხოვა მისი სიკვდილის შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ადგილი დაეკავებინა. მიტროპოლიტმა ნაუმმა პატრიარქს დაუფარავად მოახსენა, რომ ეს ადგილი მრავალნატანჯ მიტროპოლიტ **ეფრემს** ეკუთვნოდა. მართალია, კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ მოსაყდრედ მიტროპოლიტ ნაუმის უარის შემდეგ მიტროპოლიტი **დავით დევდარიანი** დატოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმაც მოსაყდრეობაზე უარი განაცხადა მიტროპოლიტ ეფრემის სასარგებლოდ.

1960 წელს თბილისში ჩატარებულმა **მეათე საეკლესიო კრებამ** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ჭყონდიდელ-ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი **ეფრემ II (სიდამონიძე).** უწმინდეს ეფრემ II-ს დიდი ცხოვრების გზა ჰქონდა გავლილი. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი გამოშვების კურსმოსმენილი. უნივერსიტეტში მისი მასწავლებლები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ნუცუბიძე და სხვები. მღვდელმთავრობის დროს ეფრემ სიდამონიძესაც მისწვდა საბჭოური რეპრესიული მანქანა. 1937-1944 წლებში იგი იმყოფებოდა გადასახლებაში. ტანჯვა-წამებამ ვერ გატეხა მტკიცე ნების სასულიერო მოღვაწე.

კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ 1963 წლის 26 აგვისტოს ქართული ეკლესიის მღვდელმთავართა თანამწირველობით არქიმანდრიტი **ილია (შიოლაშვილი-ღუდუშაური)** აიყვანა ეპისკოპოსის ხარისხში და ჩააბარა **ბათუმ-შემოქმედის** ეპარქია. ეფრემ II დიდი მონადინებით მცხეთაში 1963 წლის 14 ოქტომბერს გაიხსნა ორწლიანი **სამოძღვრო კურსები,** რომელიც **გაბრიელ ეპისკოპოსის** სახელს ატარებდა. სამოძღვრო კურსების პირველ რექტორად დაინიშნა ეპისკოპოსი **ილია შიოლაშვილი.** სასულიერო სასწავლებლის გახსნა დიდი მოვლენა იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. რექტორის მონადინებით სასწავლებელში მიიწვიეს საუკეთესო სპეციალისტები. სასწავლებელი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების მომზადებას საქართველოს ეკლესიაში ღვთისმსახურებისთვის. რამდენიმე წლის შემდეგ ორწლიანი სამოძღვრო კურსები გადაკეთდა სამწლიან **სასულიერო სემინარიად,** რომელიც **ანდრია პირველწოდებულის** სახელს ატარებდა. სემინარიას, გარდა პრაქტიკული მოღვაწეობისთვის საჭირო ცოდნისა, მომავალი სასულიერო პირებისათვის უნდა მიეცა გარკვეული განათლება ღვთისმეტყველებაში. მცხეთის სასულიერო სემინარიამ ეს მისია კარგად შეასრულა. უწმინდესი **ეფრემ II-ის** ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით 1963 წელს საქართველოს საპატრიარქომ გამოსცა **„ახალი აღთქმა“,** პერიოდულად იბეჭდებოდა **საეკლესიო კალენდარიც.** კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ საბჭოური სისტემის პირობებში, როცა ეკლესიას ყოველმხრივ ავიწროებდნენ, შეძლო მაქსიმუმის გაკეთება. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ეფრემ II 1972 წელს გარდაიცვალა.

საქართველოს ეკლესიაში წლების მანძილზე გროვდებოდა მრავალი პრობლემა. ამ პრობლემათა გადაჭრა საბჭოთა წყობილების არსებობის პირობებში ძალზე ძნელი იყო. ეკლესიაში არსებულმა სირთულეებმა განსაკუთრებით იჩინა თავი ახალი კათოლიკოს-პატრიარქის **დავით V (დევდარიანი)** (1972-1977) დროს. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა არა მარტო დედაქალაქში, სადაც მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში ახალგაზრდული თეატრი იყო, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ფოლკლორის საღამოები იმართებოდა, ანჩისხატი ერთ ცნობილ მოქანდაკეს საკუთარ სახელოსნოდ ჰქონდა გადაქცეული, არამედ ეპარქიებშიც. ფორმალურად მოქმედი 15 ეპარქიიდან პრაქტიკულად მოქმედი იყო 4, რომელსაც თავისი მღვდელმთავრები ჰყავდა. ბოდბელი ეპისკოპოსი წინამძღვრად იყო თბილისის სამების ეკლესიაში, მანგლელი – დიდუბის ეკლესიაში, თეთრიწყაროელი – თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მღვდელმთავართა უმრავლესობა ხანდაზმული იყო.

§4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1977-2002 წლებში

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო 1977 წლის ბოლოდან, როდესაც გარდაცვლილი კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის ნაცვლად **მეთორმეტე საკლესიო კრებამ** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი **ილია (შიოლაშვილი)** სახელწოდებით **ილია II.** მეთორმეტე საეკლესიო კრებას, რომელიც 1977 წლის 23 დეკემბერს გაიმართა თბილისში, დაესწრო 47 დელეგატი. კრებას ესწრებოდნენ უცხოეთის ეკლესიათა წარმომადგენლები, სრულიად რუსეთის პატრიარქი **პიმენი,** ბულგარეთის ეკლესიიდან არქიმანდრიტი **ნაუმი,** ალექსანდრიიდან არქიმანდრიტი **გრიგორიოსი.**

1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოხდა ახლად არჩეული

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრება. უწმინდესმა **ილია II-მ** სვეტიცხოველში წარმოთქმულ სიტყვაში განსაზღვრა საქართველოს ეკლესიის მომავალი სამოქმედო გეგმა და დასძინა: **„მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა“.**

საქართველოს ეკლესიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მეთაურობით ზუსტად განსაზღვრა თავისი ისტორიული მისია ქართველი ერის ცხოვრებაში. ილია II-მ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეკლესიებში წირვა-ლოცვის სრულყოფილად ჩატარების საქმეს, მგალობელთა გუნდები შეივსო პერსპექტიული ახალგაზრდებით, წირვა-ლოცვების დროს დიდი ყურადღება დაეთმო საეკლესიო ქადაგებებს, რომელთა თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ქართველი ერის ცხოვრების ყველა სფეროს. გააქტიურდა ურთიერთობა საზღვარგარეთ მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

საქართველოს ეკლესიის პირველმა თამამმა ნაბიჯებმა საზოგადოების დიდი ნაწილის მოწონება დაიმსახურა. კომუნისტური იდეოლოგიის სულისშემხუთველი ატმოსფეროდან თავის დაღწევის საშუალებად ეკლესია იქცა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ახალგაზრდობა მიაწყდა ეკლესიას, რამაც დააფრთხო და დააფიქრა ხელისუფლება.

1977-1994 წლებში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით გაიზარდა მღვდელმთავართა რიცხვი. თუ საქართველოს ეკლესიის 15 ეპარქიიდან წინათ პრაქტიკულად 4 ეპარქიას ჰყავდა თავისი მღვდელმთავარი, 1992 წლიდან ყველა ეპარქიას ჰყავს მმართველი ეპისკოპოსები, მთავარეპისკოპოსები და მიტროპოლიტები. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის ეკლესიებში მყოფი მღვდელმთავრები თავიანთ ეპარქიებში განაწესა. თბილისის სიონსა და მცხეთის სვეტიცხოველში დიდი ზეიმით ხდებოდა თითოეული ახალი მღვდელმთავრის კურთხევა. ასობით უმოქმედო ეკლესია გაიხსნა, აშენდა და შენდება ახალი ტაძრები. ერთი საუკუნის მანძილზე თითქმის უპატრონოდ მიტოვებული მონასტრები კვლავ ბერ-მონაზვნებით შეივსო.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების დელეგაციების ჩამოსვლას. საქართველოს ეკლესიას თავისი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) ამდენი საპატიო სტუმარი არ ახსოვს. საქართველოში სტუმრად იყვნენ მსოფლიო პატრიარქები: **დიმიტრიოს I, ბართლომეოსი,** ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი **ნიკოლოზ VI** და **პართენიოსი,** იერუსალიმის პატრიარქი **დიოდოროსი,** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი **პიმენი,** ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი **თეოდოსი** და სხვები. საქართველოს ეკლესიის დელეგაციაც არაერთხელ ეწვია მართლმადიდებელ ქვეყნებს. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ინიციატივით საქართველოს ეკლესიამ ურთიერთობა დაამყარა არამართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყნებთან. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დიდ საერთაშორისო ავტორიტეტზე მიუთითებს ის, რომ იგი იყო **ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს** ერთ-ერთი პრეზიდენტი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი საზრუნავი იყო მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ 1917 წლის 12 მარტს აღდგენილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ოფიციალურად დადასტურება. ამ მხრივ განსაკუთრებული თავდადება, შეუპოვრობა და უკომპრომისობა გამოიჩინა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, რომელმაც ქართველ სწავლულთა დახმარებითა და მხარდაჭერით მოამზადა ისტორიული საბუთები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის შესახებ. 1990 წლის 25 იანვარს მსოფლიო საპატრიარქომ გამოსცა **„საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“.** ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. პრობლემა – დიპტიქში ადგილის შესახებ, ჯერ არ გადაწყვეტილა. ისტორიულად



მშენებარე წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი

საქართველოს ეკლესიას დიპტიქში V ადგილი ჰქონდა. იმედია, მომავალში ეს საკითხიც მოგვარდება.

საქართველოს ეკლესიამ უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თავის საქმიანობაში დიდი ადგილი დაუთმო შემოქმედებითი ინტელიგენციის, მეცნიერების წარმომადგენლებთან ურთიერთობას. ამ ურთიერთობის შედეგი იყო **ათონის მონასტერში** (საბერძნეთი) დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფირების ჩამოტანა საქართველოში, რომელიც საპატრიარქომ გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს. საპატრიარქო პერიოდულად მასპინძლობს ქართველ ფილოსოფოსებს, ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, ხელოვნების ისტორიის სპეციალისტებს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდებთან ურთიერთობას. პატრიარქი დაინტერესებულია სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლა-განათლებისა და აღზრდის პრობლემებით. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებობს ახალგაზრდული ორგანიზაცია **„ძლევაი“**, რომელმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ეკლესიისა და ახალგაზრდობის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს ეკლესიამ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თამამად იწყო საქართველოში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობის მიღება. პირველი ასეთ ნაბიჯი გადაიდგა 1978 წლის შემოდგომაზე, როცა იტალიიდან საქართველოში გადმოასვენეს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი **მიხეილ თამარაშვილი**. უწმინდესი და უნეტარესი ილია II მონაწილეობდა სამგლოვიარო ცერემონიალში და დიდუბის პანთეონში სიტყვაც წარმოთქვა. ამის შემდეგ საქართველოში არ მომხდარა რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელშიც საქართველოს ეკლესიას მონაწილეობა არ მიეღო.

საქართველოს ეკლესიამ დიდი მუშაობა წამოიწყო საეკლესიო წიგნების დასაბეჭდად. ქართველი ერის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1989 წელს **„ბიბლიის“** დაბეჭდვა. ყოველწლიურად იბეჭდება სამი სახის **საეკლესიო კალენდარი** – ჯიბის, კედლისა და სამაგიდო. 1978 წლიდან გამოდის საპატრიარქოს ჟურნალი **„ჯვარი ვაზისა“**, **„საღვთისმეტყველო კრებული“**, საპატრიარქოს გაზეთი **„მადლი“**. ბოლო დროს დაარსდა ეპარქიათა გაზეთები და ჟურნალები, რომელთაგან გამოირჩევა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის ჟურნალი **„ნყარო“**. საპატრიარქოსთან არსებობს საგამომცემლო კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას უწევს მუშაობას. საქართველოს საპატრიარქომ დაბეჭდა **„ახალი აღთქმის“** წიგნები. საბერძნეთში გამომცემლობა **„ორთოდოქს კიპრელში“** იბეჭდება ქართული სასულიერო ლიტერატურა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა 1988 წლის 1 ოქტომბერს. ამ დღეს თბილისში გაიხსნა სასულიერო აკადემია. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღნიშნა: „აკადემია უნდა იქცეს დამაკავშირებელ ხიდად თანამედროვე მეცნიერებასა

ახლად კანონიზებულ წმინდანთა ხატი

და ღვთისმეტყველებას შორის... აკადემიაში უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო მომავალი განათლებული სასულიერო პირების მომზადება, არამედ ეს სასწავლებელი უნდა იქცეს კვლევის ცენტრად, რომელთანაც დაკავშირებულნი იქნებიან როგორც ჩვენი სასულიერო პირები, ასევე მეცნიერები“.

მცხეთიდან თბილისში გადმოვიდა სასულიერო სემინარიაც. აკადემიამ და სემინარიამ უკვე გამოუშვა პირველი კურსდამთავრებულები. აკადემიის პირველი რექტორი იყო წილკნელი ეპისკოპოსი **ზოსიმე,** მეორე რექტორი – პროტოპრესვიტერი **გიორგი გამრეკელი,** ხოლო ამჟამად რექტორია მთავარეპისკოპოსი **აბრაამი.** მიმდინარეობს აკადემიისა და სემინარიის სასწავლო პროცესის სრულყოფა. იქმნება ცალკეული ფაკულტეტები, კათედრები. აღდგა **გელათის აკადემიაც,** სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა **ახალციხეში, ბათუმში, ზესტაფონში, ბოდბის** ეპარქიაში და სხვ.

საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა საპატრიარქო რეზიდენცია. თბილისში დამთავრდა ახალი საპატრიარქო ტაძრის – **წმ. სამების** მშენებლობა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაიწყო მლოცველთა სვლა **წმინდა ნინოს** გზაზე. ილია II ბევრს მოგზაურობს და საქართველოს ეკლესიის ეპარქიებში, ადგილობრივ სამღვდელოებასთან ერთად ასრულებს წირვა-ლოცვას, ამხნევებს მრევლს და იღვწის რწმენის ასაღორძინებლად.

1996 წელს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ეპარქიათა რაოდენობა 15-დან 27-მდე გაიზარდა. 2002 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 30 მღვდელმთავარი ჰყავს.

1996 წელს საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა კათოლიკოს-პატრიარქი **ამბროსი ხელაია,** მიტროპოლიტი **ნაზარი,** მღვდელი **სვიმონ მჭედლიძე** და დიაკვანი **ბესარიონ კუხიანიძე.**

2002 წელს საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა კათოლიკოსი **პეტრე** (V ს.), კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკი (XI ს.), კათოლიკოს-პატრიარქი **კირიონ II,** დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა 2002 წლის 14 ოქტომბერს კონსტიტუციური შეთანხმების დადება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო-ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომლის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 22 ოქტომბერს მოახდინა. ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

2002 წლის დეკემბერში საქართველოში საზეიმოდ აღინიშნა კათოლიკოს-პატრიარქ ილია-II-ის აღსაყდრებიდან 25 წლისთავი.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მრავალი საინტერესო ღონისძიებით შეხვდა ქრისტეშობის 2000 წლის თავს.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ბევრი სიძნელეები აქვს გადასალახავი. ერთ-ერთი მათგანია მრევლის დაცვა სხვადასხვა სექტების გავლენისაგან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სულიერად ამხნევებს და მატერიალურ დახმარებას უწევს მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში ჩავარდნილ მრევლს.

თავი XVI

ქართული კულტურა XX საუკუნის მეორე ნახევარში

§1. განათლება

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა მსოფლიო მოიცვა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დადგა სახალხო განათლების წინაშე. ერთი შეხედვით, საბჭოთა კავშირი თითქოს მხარს უბამდა ამ მოთხოვნებს. იზრდებოდა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სასწავლებლების რიცხვი. უკვე 1971-1972 სასწავლო წელს ყველა ტიპის საშუალო სასწავლებელში განათლებას იღებდა 194 700 მოსწავლე. გაიზარდა ტექნიკუმებისა და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების რიცხვი. 1966-1980 წლებში მათ მოამზადეს 203 ათასზე მეტი სპეციალისტი. ფართო გაქანება მიიღო პროფესიულ-ტექნიკურმა განათლებამ. ამ სისტემაში 1980 წელს ამზადებდნენ 62 ათასზე მეტ მოსწავლეს.

სწავლების ხარისხზე ძალიან ცუდად მოქმედებდა ჯერ ხრუშჩოვის, ხოლო შემდეგ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში განათლების სფეროში გატარებული თითქმის განუწყვეტელი რეორგანიზაციები და რეფორმები. 1958 წელს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ იქნა სპეციალური კანონი სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ. საქართველოში მისი განხორციელება 1959 წლიდან დაიწყო. ამ რეფორმის **შვიდწლიანი** სკოლა **რვაწლიან**, ხოლო **ათწლიანი** სკოლა **თერთმეტწლიან** სკოლად გარდაიქმნა. ამასთან ერთად, როგორც რვაწლიან, ისე თერთმეტწლიან სკოლაში არასრული საშუალო და სრული საშუალო განათლების მიღება ხდებოდა „პოლიტექნიკურ" საფუძველზე, ე. ი. მიმდინარეობდა სკოლის შერწყმა საწარმოო სწავლებასთან. სკოლებში იხსნებოდა საამქროები და სახელოსნოები, ან სკოლებს ამაგრებდნენ სამრეწველო საწარმოებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე. კვირაში ორი დღე მოსწავლეებს იქ უნდა ემუშავათ, დაუფლებოდნენ სხვადასხვა პროფესიას. მოსწავლეები არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დამთავრებისას ატესტატებთან ერთად იღებდნენ ერთი ან რამდენიმე პროფესიის ცოდნის დამამტკიცებელ მოწმობას. 1963 წელს საწარმოო სწავლებაზე გადასვლა ძირითადად დამთავრდა. ამ რეფორმამ არაერთგვაროვანი შედეგი მოგვიტანა. სკოლის ცხოვრებასთან, წარმოებასთან დაკავშირებამ, სწავლების „პოლიტექნიზაციამ" უდავოდ დააჩქარა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შევსება მუშახელით. მოსწავლეთა ნაწილი, მიღებული პროფესიის შესაბამისად, იწყებდა მუშაობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ მათ განათლების სისტემაში გატარებული კიდევ ერთი ცვლილება უბიძგებდა. კერძოდ, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის უპირატესობა ეძლეოდათ აბიტურიენტებს, რომელთაც საწარმოში მუშაობის ორი ან სამი წლის სტაჟი ჰქონდათ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გარდაქმნისთვის სკოლები მზად არ აღმოჩნდნენ. სკოლების დიდ ნაწილს არ გააჩნდა სათანადო სახელოსნოები და საამქროები, ხოლო საწარმო-შეფები, რომლებზედაც მიმაგრებული იყვნენ სკოლები, სრულიადაც არ იყვნენ დაინტერესებული მოსწავლეთა შრომით. მათი უმთავრესი მიზანი საწარმოო გეგმების შესრულება იყო. სწორედ ამიტომ საწარმოო სწავლება ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა. გარდა ზემოთ თქმულისა, საწარმოო სწავლებაზე გადასვლას შედეგად მოჰყვა ის, რომ სკოლებში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა შემცირდა, დაეცა დისციპლინა და სწავლების ხარისხი. საწარმოო სტაჟის მქონე და არმიიდან დემობილიზებულთა შეღავათებით მიღებამ უმაღლეს სასწავლებლებშიც დასცა სტუდენტთა ცოდნის საერთო დონე.

სახალხო განათლების ამ რეფორმის აბსურდულობა სულ უფრო ცხადი ხდებოდა. ამით აიხსნება, რომ 1964 წლიდან კვლავ დაუბრუნდნენ ათწლიან სწავლებას, ხოლო 1966 წლიდან მიღებულ იქნა 1958 წლის კანონის დამატება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ მოსწავლეთა პოლიტექნიკური მომზადება შეეძლოთ მხოლოდ იმ სკოლებს, რომელთაც ამის შესაძლებლობა რეალურად ჰქონდათ. 1974 წლიდან კი 1958 წლის კანონი საერთოდ გაუქმდა.

განათლების დარგში XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გატარებული რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო **სკოლა-ინტერნატების** გახსნა ობოლი და ხელმოკლე მოსწავლეთათვის. 1958-1959 სასწავლო წელს საქართველოში მოქმედებდა 12 სკოლა-ინტერნატი, სადაც 2500-მდე მოსწავლე ირიცხებოდა, ხოლო 1971 წელს უკვე არსებობდა 71 სკოლა-ინტერნატი.

სასკოლო რეფორმის რეალური შედეგი იყო სავალდებულო რვაწლიან სწავლებაზე გადასვლა, რაც 1963 წელს ძირითადად დამთავრდა. **სავალდებუ-**

ლო რვაწლიანმა სწავლებამ ნიადაგი მოამზადა სავალდებულო საშუალო სწავლებაზე გადასვლისათვის, რომლის განხორციელება 1970-1971 სასწავლო წლიდან დაიწყო. მაგრამ ამ პროცესისთვის განათლების სისტემა მოუმზადებელი აღმოჩნდა. სკოლების დიდი ნაწილი უვარგის შენობებში იყო მოთავსებული. საშუალო სკოლებში იზრდებოდა მოსწავლეთა რიცხვი, სასკოლო შენობები კი არ კმაროდა. სკოლები იძულებულნი გახდნენ ორ, ზოგჯერ კი სამცვლიან სწავლებაზე გადასულიყვნენ.

სავალდებულო საშუალო სწავლების განხორციელების მიზნით დაჩქარდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ნაწილის გარდაქმნა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი პროფესიულ სწავლებასთან ერთად მოსწავლეებს ზოგად საშუალო განათლებასაც აძლევდა. ამან კიდევ უფრო დააჩქარეითა მოსწავლეთა მომზადების დონე. სავალდებულო საშუალო სწავლებაზე გადასვლის შედეგი ის იყო, რომ რვა კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ვალდებულნი იყვნენ სწავლა საშუალო სკოლებში გაეგრძელებინათ, რაც ქვეყნის ეკონომიკას საკმაოდ ძვირად უჯდებოდა.

ამრიგად, XX საუკუნის 60-70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი, გაიზარდა სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა, შესაბამისად, გაიზარდა საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობის რიცხვი. მაგრამ ამ ციფრების მიღმა მწარე სინამდვილე იდგა. კვლავ დაბალი იყო სწავლების დონე, რაზედაც საგრძნობ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისი.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება თითქმის განუწყვეტლივ ეძებდა სწავლების დონის ამაღლების გზებს. ერთ-ერთ ასეთ გზად მიაჩნდათ მაღალკვალიფიციური პედაგოგებით სკოლების უზრუნველყოფა. დაწყებული 50-იანი წლებიდან 30 წლის მანძილზე მთელ საბჭოთა კავშირში პედაგოგთა რიცხვი, რომელთაც უმაღლესი განათლება ჰქონდათ, 14%-დან 74%-მდე გაიზარდა. ფართოდ უწევდნენ პროპაგანდას პედაგოგ-ექსპერიმენტატორთა მიღწევებს. მაგრამ ეს ყველაფერი სწავლების გაუმჯობესებისთვის მოღვაწეობის მხოლოდ ერთი მხარე იყო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვერ აცნობიერებდა, რომ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრა, მისი აყვანა თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემების გადაჭრასთან ერთად შეიძლებოდა, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში განათლების სისტემის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ საბჭოთა სკოლებში სწავლების დონე ჩამორჩა ცხოვრების მოთხოვნებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს, ჩამორჩა სწავლების იმ სტანდარტებს, რომელსაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა მიაღწიეს.

განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები შეეხო უმაღლეს სასწავლებლებსაც. საქართველოში 1980 წელს მოქმედებდა 19 უმაღლესი სასწავლებელი 85 ათასი სტუდენტით. უკვე 1959 წელს საქართველოში ყოველი ათასი მოსახლიდან ოცდათვრამეტს უმაღლეს განათლება ჰქონდა. ეს მაჩვენებელი შემდეგ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა და საქართველო ამ თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებდა. გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო პოტენციალი, განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახალი სასწავლო კორპუსები შეემატა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ახალ შენობებში დაიდეს ბინა საქართველოს პოლიტექნიკურმა, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარულმა, სამედიცინო ინსტიტუტებმა, ქუთაისის, თელავის, სოხუმისა და სხვა ქალაქების უმაღლესმა სასწავლებლებმა. სამწუხაროდ, ისევე როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, **უმაღლეს სასწავლებლებშიც დაბალ დონეზე რჩებოდა სწავლების ხარისხი.** უმაღლეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლებლებს არ ჰყავდათ კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა საკმარისი კადრები, არ გააჩნდათ სახელმძღვანელოები, მით უფრო მშობლიურ ენაზე, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური დონის შესაბამისი სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები.

XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან უმაღლეს სასწავლებლებში ფართო გასაქანი მიეცა **საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებას.** სტუდენტები წარმოებისგან მოუწყვეტლივ ეუფლებოდნენ უმაღლეს განათლებას. უკვე 1964 წელს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა 60 პროცენტი საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებაზე ირიცხებოდა. 1970-1971 სასწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლებთან გაიხსნა მოსამზადებელი განყოფილებები

დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმაზე მისაღები კონტინგენტის შერჩევის მიზნით. ასეთი შერჩევის მიზანი იყო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა „სოციალური შემადგენლობის მოწესრიგება". ცხადია, აღნიშნული გადაწყვეტილება თავისი მიზანდასახულობით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მოსამზადებელი განყოფილებების მსმენელთათვის, ასევე 2-3 წლის მუშაობის სტაჟის მქონე და სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული აბიტურიენტებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას უპირატესობის მინიჭებამ (ეს მაშინ, როცა საშუალო სკოლის მედალოსნებს გაუუქმეს ყოველგვარი უპირატესობა), შედეგად ის გამოიღო, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობით ივსებოდა. ჩარიცხვაში ასეთმა უპირატესობებმა განაპირობა პირველკურსელ სტუდენტთა მომზადების დაბალი დონე. **ამავე მიზეზით გაძნელდა სწავლების ხარისხის ამაღლებაც. გაიზარდა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც ვერ ძლევდნენ უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამებს.**



ბათუმის უნივერსიტეტი

საბჭოთა განათლების სისტემაში თავიდანვე ჩამოყალიბდა ორი მიმართულება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება დიდი მონდომებით, დიდი თანმიმდევრობით და, შეიძლება ითქვას, დიდი წარმატებითაც ახორციელებდა.

პირველი მიმართულება მოზარდი თაობის იდეოლოგიურ დამუშავებას, „კომუნისტური სულისკვეთებით" მათ აღზრდას ითვალისწინებდა. უძლიერეს პროპაგანდასთან ერთად, სკოლებში წესად აქციეს, რომ მოსწავლეებს აუცილებლად უნდა გაევლოთ კომუნისტური აღზრდის ისეთი საფეხურები, როგორიც იყო: ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი, რათა იგი იდეურად მომზადებულ მოქალაქედ – კომუნისტად – ჩამოყალიბებულიყო. უმაღლეს სასწავლებლებში გაძლიერებით მიმდინარეობდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის – სწავლება. ამას ემატებოდა გაძლიერებული კომკავშირულ-პარტიული პროპაგანდა, კომკავშირულ-პარტიულ მუშაობაში სტუდენტთა ჩაბმა. კომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები საბჭოთა ხელისუფლებამ დიამეტრულად დაუპირისპირა ტრადიციულ საკაცობრიო ღირებულებებს, მოწყვიტა ისინი მსოფლიო განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას. ეს თაობები გაიწირა იმისთვის, რომ უდრტვინველად აეტანათ კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო რეპრესიები, ნორმალური ადამიანური პირობების გარეშე მორჩილად და ენთუზიაზმით ეშრომათ, მუდმივი შიშით დაკომპლექსებულებს უსიტყვოდ ეკეთებინათ ყველაფერი, რასაც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დააკისრებდა. ასე იყო მთელ საბჭოთა კავშირში, ასე იყო საქართველოშიც.

მეორე მიმართულება ითვალისწინებდა ეროვნული რესპუბლიკების განათლების სისტემაში რუსული ენის, როგორც საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული ე. წ. „ახალი ისტორიული ერთობის" – „საბჭოთა ხალხის" – საერთო ენის გაძლიერებულ სწავლებას. ჯერ იყო და 1946 წელს საქართველოს ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ ნება დაერთოთ საქართველოში ათწლიანი საშუალო სწავლებიდან გადასულიყვნენ თერთმეტწლიან სწავლებაზე. ამ თხოვნას იმით ამართლებდნენ, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 3 ათასი საათი ეთმობოდა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებას, რის გამოც რუსული ენის გაძლიერებული სწავლებისთვის დრო საკმარისი აღარ რჩებოდა. საფიქრებელია, რომ საქართველოს ხელისუფლების ეს ინიციატივა მოსკოვიდან იყო შეკვეთილი. ბუნებრივია, ეს თხოვნა მოსკოვმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა. 1946 წლიდან მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა და, შესაბამისად, გაიზარდა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა.

1947 წლიდან თბილისის ალექსანდრე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე დაიწყო – ინსტიტუტი რუსულენოვანი გახდა. უფრო მეტიც, პირველ კურსზე მიღებული 506 სტუდენტიდან 300 ჩაირიცხა რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში იზრდებოდა რუსულენოვანი სპეციალობების რიცხვი. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს დაეგზავნა საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს ბრძანება, რომლის თანახმადაც რესპუბლიკების უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში სტუდენტებს თითო სპეციალური საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლათ. ეს ღონისძიება უმაღლეს და

საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში სწავლების თანდათანობით რუსულ ენაზე გადაყვანას ისახავდა მიზნად.

1932 წლიდან სოხუმში დაარსებული მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი 1979 წლიდან გადაკეთდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად (ქართული და რუსული სექტორებით). 1989 წლიდან ქართული სექტორის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი.

საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრის ბრძანებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აღშფოთება მოჰყვა. ისინი პროტესტის მწვავე ფორმით იმუქრებოდნენ. მოსკოვი იძულებული გახდა „დათმობაზე" წასულიყო. აღნიშნული დადგენილება უკან გაითხოვეს და საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრს „თვითნებური" ნაბიჯის გადადგმა დაბრალდა. საზოგადოების მტკიცე პროტესტის გამო ჩაიშალა მოსკოვის გეგმა – განეხილათ საკითხი საქართველოს სკოლების მაღალ კლასებში ზოგიერთი საგნის რუსულ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ.

მოსწავლეთა იდეოლოგიურ დამუშავებასა თუ კომუნისტურ აღზრდას ემსახურებოდა ერთიანი დიდაქტიკური სისტემა და უნიფიცირებული სასკოლო სახელმძღვანელოები. თითქმის ყველა ძირითადი სახელმძღვანელო თარგმნილი იყო რუსულიდან. არ იბეჭდებოდა არც ერთი წიგნი უმკაცრესი ცენზურის გარეშე. სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული იყო საგამომცემლო საქმე. გამომცემლობა „განათლება", რომელიც 1957 წელს დაარსდა, ყოველწლიურად გამოსცემდა 300 დასახელების 7 მილიონ ეგზემპლარ წიგნს საშუალო და უმაღლესი სკოლისთვის.

XX საუკუნის ბოლოს, ცენზურისაგან განთავისუფლებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ფონზე, შეიქმნა კონკურენტუნარიანი გარემო საგამომცემლო საქმეში, რამაც განაპირობა გამოცემის შინაარსისა და ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. სკოლებში გაჩნდა ქართველ ავტორთა სახელმძღვანელოები, პედაგოგს მიეცა უფლება აერჩია ალტერნატიული სახელმძღვანელოებიდან ერთ-ერთი.

ახლად დაარსებულმა კერძო გამომცემლობებმა იპოვეს თავიანთი სახე. ასე მაგალითად, გამომცემლობა **„ინტელექტმა"** წარმატებული საქმიანობა დაიწყო არაქართული (აზერბაიჯანული, რუსული, სომხური) სკოლებისათვის ქართული – სახელმწიფო ენის სახელმძღვანელოების დასტამბვით. გამომცემლობა **„არტანუჯი"** ძირითადად საისტორიო ლიტერატურას გამოსცემს. საბავშვო, მხატვრული თუ საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოცემით არიან დაკავებულნი კერძო გამომცემლობები: **„აზრი", „დია", „დიოგენე", „ელფი", „კონა", „ლამპარი", „ლიტერა", „ლოგოსი", „მერიდიანი", „ნეკერი", „საარი"** და სხვ.

§2. მეცნიერება

XX საუკუნის მეორე ნახევარი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო საქართველოში მეცნიერების ორგანიზაციის თვალსაზრისით. ამ წლებში მრავალი ახალი მეცნიერული მიმართულება განვითარდა, არსებითი ორგანიზაციული ცვლილებები მოხდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ეს იყო პერიოდი, როდესაც მსოფლიოში გაშლილმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მოითხოვა ახალი მიდგომების ძიება მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერების საწარმოო ძალად გადაქცევის პროცესის დაჩქარებისთვის. აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა კავშირში ფართო განვითარება ჰპოვა მრენველობის ახალმა დარგებმა და მათმა შესაბამისმა მეცნიერების ისეთმა მიმართულებებმა, როგორიცაა: **ხელსაწყოთმშენებლობა, რადიოტექნიკა, ელექტრონიკა** და სხვ.

საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დარგში სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა სწრაფი განვითარების მიზნით საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1956 წელს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ახალი ინსტიტუტების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ქვედანაყოფების შექმნის თაობაზე. **ხელსაწყოთმშენებლობისა** და **ავტომატიზაციის** დარგში ინსტიტუტები შეიქმნა **თბილისში, გორში, რუსთავსა** და **ქუთაისში.** ამ დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსდა **ელექტრონიკის, ავტომატიკისა** და **ტელემექანიკის ინსტიტუტი** (ამჟამად ა. ელიაშვილის სახელობის

გიორგი წერეთელი

მართვის სისტემების ინსტიტუტი). ამავე წელს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა **გამოთვლითი ცენტრი** (ამჟამად ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი). 1960 წელს დაარსდა მეცნიერებათა აკადემიის **კიბერნეტიკის ინსტიტუტი.** ამავე წელს აკადემიის სისტემაში გაიხსნა **აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი** (ამჟამად გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი). უფრო ადრე – 1958 წელს

შეიქმნა **ხელნაწერთა ინსტიტუტი** (ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი). აკადემიაში შემავალ ტექნიკური განხრის მთელ რიგ ინსტიტუტებს დამოუკიდებელ დაწესებულებებად გამოეყო **გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, სამთო საქმის ინსტიტუტი, მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტი** და სხვ.

აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიჯნაზე ისეთი მიმართულებების განვითარება, როგორიცაა **ბიოქიმია, ბიოფიზიკა, ბიოკიბერნეტიკა** და სხვ.

XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში უკვე არსებობდა თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგი.

საქართველოს სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში დიდ მოვლენას წარმოადგენდა 1965

ირაკლი აბაშიძე

წლის 24 სექტემბერს მიღებული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან **„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“** სპეციალური სამეცნიერო რედაქციის შექმნის თაობაზე. ქართული ენციკლოპედიის (მთავარი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი აბაშიძე**) თორმეტი ძირითადი და ორი დამატებითი ტომი გამოიცა 1974-1987 წლებში. დიდი მოვლენა იყო **„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“** რვატომეულის (**არნოლდ ჩიქობავას** საერთო რედაქციით) გამოცემა 1950-1964 წლებში.

მეცნიერების განვითარება საქართველოში მიმდინარეობდა სამეურნეო და კულტურული მშენებ-

შოთა მესხია

ლობის ამოცანათა და წლების მანძილზე მეცნიერების ცალკეულ დარგებში დამკვიდრებულ ტრადიციათა შესაბამისად. საქართველოში ჩამოყალიბდა სამეცნიერო სკოლები ისეთ ტრადიციულ დარგებში,

შალვა ნუცუბიძე

როგორიცაა: **ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ფილოსოფია, ფსიქოლოგია.**

ქართველი ერის წარმოშობისა და ისტორიის, ქართული კულტურისა და კავკასიური ცივილიზაციის ისტორიის, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა დამუშავებაში ფუძემდებლური წვლილი შეიტანეს ახალი ქართული ისტორიოგრაფიის დამაარსებლის **ივანე ჯავახიშვილის** მოწაფეების – **სიმონ ჯანაშიასა** და **ნიკოლოზ ბერძენიშვილის** ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა. ივანე ჯავახიშვილის სკოლის ტრადიციები გააგრძელეს და ქართული ისტორიოგრაფია უმნიშვნელოვანესი ნაშრომებით გაამდიდრეს: **გიორგი ნიორაძემ, ალექსი რობაქიძემ, გიორგი ჩიტაიამ, ანდრია აფაქიძემ, გიორგი მელიქიშვილმა, შოთა მესხიამ, იური კაჭარავამ, აკაკი სურგულაძემ, ლეო გორგილაძემ, მარიამ ლორთქიფანიძემ, ზურაბ ან-**

აკაკი სურგულაძე

ჩაბაძემ, გიორგი ძიძარიამ, ოთარ ჯაფარიძემ, როინ მეტრეველმა, დავით მუსხელიშვილმა, ოთარ ლორთქიფანიძემ, ლევან ჭილაშვილმა და სხვებმა.

ქართული ფილოსოფიური სკოლის დიდი ტრადიციები, რომელსაც სათავე **შალვა ნუცუბიძემ** დაუდო, გააგრძელეს **კოტე ბაქრაძემ, სავლე წერეთელმა, ნიკო ჭავჭავაძემ, შალვა ხიდაშელმა, გურამ თევზაძემ** და სხვებმა.

ქართველ ფსიქოლოგთა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებმა, პირველ რიგში, **დიმიტრი უზნაძის** განწყობის თეორიამ მსოფლიო აღიარება მოუპოვა ქართველ ფსიქოლოგთა სკოლას. მნიშვნელოვანი გამოკვლევებია შესრულებული დიმიტრი უზნაძის მიერ დაარსებული ქართული ფსიქოლოგიის სკოლის წარმომადგენლების **ალექსანდრე ფრანგიშვილისა** და **შოთა ნადირაშვილის** მიერ.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულმა ფსიქიატრიულმა სკოლამ, რომლის სათავეშიც მსოფ-

სიმონ ყაუხჩიშვილი

ლიოში აღიარებული მეცნიერი **ავლიპ ზურაბაშვილი** იდგა.

საქართველოში ჩამოყალიბდა ქართველ ლინგვისტთა სკოლა, რომელსაც ჩვენი სასიქადულო მეცნიერები: **აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი** და **არნოლდ ჩიქობავა** ხელმძღვანელობდნენ. საყოველთაოდ ცნობილი გახდა ამ სკოლის კვლევის შედეგები იბერიულ-კავკასიური ენების, მათი გრამატიკული სტრუქტურებისა და პირვანდელი ნყობის შესწავლის დარგში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ენათმეცნიერების განვითარებაში ამ სკოლის წარმომადგენელმა **ვარლამ თოფურიამ.** თანამედროვე ქართული ენათმეცნიერების დიდი მიღწევები დაკავშირებულია **გივი მაჭავარიანისა** და **თამაზ გამყრელიძის** სახელებთან. ქართული ენათმეცნიერების სკოლის ტრადიციები ღირსეულად გააგრძელეს **ქეთევან ლომთათიძემ** და **ელენე მეტრეველმა.**

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის დიდი ტრადიციები, რომელსაც საფუძველი დაუდეს **კორნელი კეკელიძემ** და **პავლე ინგოროყვამ,** ღირსეულად გააგრძელეს **სიმონ ყაუხჩიშვილმა** და **ალექსანდრე ბარამიძემ.**

საქართველოში შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ძლიერი სკოლა, რომლის ფუძემდებელი იყო

ნიკო მუსხელიშვილი

გიორგი წერეთელი. აღმოსავლური ენებისა და ისტორიის კვლევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს **სერგი ჯიქიამ, კონსტანტინე წერეთელმა, გრიგოლ გიორგაძემ, ვალერიან გაბაშვილმა, ზაზა ალექსიძემ, ალექსანდრე გვახარიამ, ელიზბარ ჯაველიძემ** და სხვებმა.

ფუნდამენტური ნაშრომები შექმნეს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში: **შალვა ამირანაშვილმა, ვახტანგ ბერიძემ** და **პარმენ ზაქარაიამ.**

სამართალმცოდნეობის პრობლემების კვლევაში სერიოზული ნარმატებები მოიპოვეს: **ისიდორე დოლიძემ, თინათინ წერეთელმა, სერგო ჯორბენაძემ, თამაზ შავგულიძემ, ლევან ალექსიძემ, გივი ინწკირველმა** და სხვებმა.

მსოფლიოში გახდა ცნობილი ქართველ მათემატიკოსთა და მექანიკოსთა სკოლის ფუძემდებლური შრომები. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მათემატიკური სკოლის დამაარსებლის **ნიკო მუსხელიშვილის** ფუნდამენტურმა ნაშრომებმა დრეკადობის მათემატიკურ თეორიასა და სინგულარულ-ინტეგრალურ განტოლებათა დარგში. უმნიშვნელოვანესი წვლილი მათემატიკისა და მექანიკის განვითარებაში მიუძღვის მის მოწაფეს – **ილია ვეკუას.** ფუნდამენტური გამოკვლევებია შესრულებული მათემატიკური



არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია

მეცნიერების სხვადასხვა დარგში: **ვიქტორ კუპრაძის, ანდრია ბინაძის, შალვა მიქელაძის, რევაზ გამყრელიძისა** და სხვათა მიერ.

ქართველ ფიზიკოსთა კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფიზიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის მთელ რიგ მიმართლებათა შექმნა-განვითარებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს **ელეფთერ ანდრონიკაშვილმა, გიორგი ჩიქოვანმა, ირაკლი გვერდწითელმა, გივი ხუციშვილმა** და სხვებმა.

XX საუკუნის 60-იან წლებში გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა აკადემიკოსმა **ალეკო თავხელიძემ,** აკადემიკოს ნიკოლოზ ბოგოლიუბოვთან და პროფესორ ბორის სტრუმინსკისთან ერთად, თეორიულად დაასაბუთა მატერიისათვის დამახასიათებელი ფერადი მუხტის არსებობა.

საქართველოში ასტრონომიისა და თეორიული ასტროფიზიკის დარგში კვლევა-ძიების განვითარებას საფუძველი ჩაუყარა **ევგენი ხარაძემ,** რომლის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი დაკვირვებები და კვლევები შესრულდა მზის სისტემის პლანეტების ფიზიკაში, ვარსკვლავთა ასტრონომიაში, გალაქტიკის აგებულებაში და სხვ.

ალექსანდრე ჯავახიშვილი

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ქართველმა ქიმიკოსებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია **გიორგი ციციშვილის** ღვაწლი.

ფართო გაქანება მიიღო ისეთმა ტრადიციულმა დარგებმა, როგორიცაა **გეოლოგია, გეოგრაფია** და **გეოფიზიკა**.

საქართველოში გეოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებასა და ქართული გეოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ცნობილ ქართველ გეოლოგებს **ალექსანდრე ჯანელიძესა** და **ალექსანდრე თვალჭრელიძეს**. მნიშვნელოვანია გეოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში **გიორგი ძოწენიძის, ივანე კაჭარავას, პეტრე გამყრელიძის, არჩილ ცაგარელისა** და სხვების დამსახურება.

მრავალწლიანი ისტორია აქვს საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებას, რასაც საფუძველი ჩაუყარა ქართული გეოგრაფიული სკოლის დამაარსებელმა **ალექსანდრე ჯავახიშვილმა**. მაღალი შეფასება მიიღო ამ დარგში **თეოფანე დავითაიას** მიერ შესრულებულმა გამოკვლევებმა.

დიდია საქართველოში ტექნიკური დისციპლინების დამკვიდრებასა და განვითარებაში **გრიგოლ წულუკიძის, ალექსანდრე დიდებულიძის, კირიაკ ზავრიევის, დიმიტრი გედევანიშვილისა** და სხვა ცნობილ მეცნიერთა მიერ შეტანილი წვლილი. ტექნიკურ მეცნიერებათა ისეთ დარგებში, როგორიცაა მანქანათმცოდნეობა და მანქანათმშენებლობა, სამშენებლო მექანიკა, სამთო მექანიკა და ენერგეტიკა, მნიშვნელოვანი შრომები აქვთ შესრულებული: **ვახტანგ მახალდიანს, რაფიელ დვალს, დავით თავხელიძეს, ოთარ ონიაშვილს, არჩილ ძიძიგურს, ვახტანგ გომელაურსა** და სხვებს.

მნიშვნელოვანია **რაფიელ აგლაძის** წვლილი ელექტროქიმიის განვითარებაში. ფართო განვითარება მიიღო კვლევა-ძიებამ მეტალურგიისა და ფიზიკური და ორგანული ქიმიის მთელ რიგ მეცნიერულ მიმართულებათა მიხედვით.

საქართველოში განვითარდა ბიოლოგიის ისეთი ტრადიციული და ახალი დისციპლინები, როგორიცაა **ბოტანიკა, პალეობიოლოგია, მცენარეთა ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია** და ბიოლოგიურ მეცნიერებათა სხვა დარგები. ქართველმა ბოტანიკოსებმა **ნიკო კეცხოველის** ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის ბუნებრივი მცენარეული რესურსების **გამოკვლევასა** და პრაქტიკული გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავებაში. პირველ პალეობიოლოგიურ გამოკვლევებს საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა **ლეო დავითაშვილმა. სერგი დურმიშიძის** ხელმძღვანელობით სწრაფად განვითარდა მცენარეთა ბიოქიმიის მთელი რიგი აქტუალური მიმართულებები. საერთო აღიარება მოიპოვა **ლეონიდე გაბუნიას** აღმოჩენამ პალეოანთროპოლოგიის დარგში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული **ფიზიოლოგიური** სკოლის გამოკვლევები, რომლის დამაარსებელი იყო გამოჩენილი მეცნიერი **ივანე ბერიტაშვილი**. განვითარდა კვლევა-ძიება ექსპერიმენტული მორფოლოგიის დარგში, რასაც საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა **ალექსანდრე ნათიშვილმა.**

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობის მეცნიერულ პრობლემათა დამუშავებაში. მაღალი შეფასება დაიმსახურა ჩაის ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოსაყვანად **ქსენია ბახტაძის** მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებმა. საქართველოს ნიადაგების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **მიხეილ დარასელიამ.**

მაღალი შეფასება დაიმსახურა თეორიული და პრაქტიკული მედიცინის დარგში: **ეგნატე ფიფიას, კონსტანტინე ჩაჩავას, ნიკოლოზ ანთელავას, ოთარ ლუდუშაურისა** და სხვათა მიღწევებმა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მეცნიერებისა და ტექნიკის მართვაში არაერთი სიახლე განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებასა და მისი როლის გაძლიერებას ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად საქართველოშიც იქნა გატარებული მთელი რიგი ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო სამეცნიერო მიმართულებათა განვითარებასა და სრულყოფას. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც ჰქონდა ადგილი.

ალექსანდრე ჯანელიძე

ნიკო კეცხოველი

XX საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდიდან 70-იანი წლების დასაწყისამდე მთავარ ნაკლოვანებად მიჩნეული იყო ჩამორჩენა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში, რის გამოც წინა პერიოდთან შედარებით სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენება რაოდენობრივად და ხარისხობრივად იყო შემცირებული.

საქართველოში, 1972-1985 წლებში, ეკონომიკის განვითარების ტემპების ასამაღლებლად განხორციელებულმა ღონისძიებებმა აუცილებელი გახადა რესპუბლიკის მეცნიერული და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენება.

ეკონომიკის განვითარების პროგრამის ცხოვრებაში გატარების საქმეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (პრეზიდენტი აკადემიკოსი **ალეკო თავხელიძე**) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (რექტორი აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**) და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შემუშავდა მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემა.

სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის შედეგიანობის გადიდებამ, მეცნიერებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფამ და მეცნიერების წარმოებასთან ინტეგრაციის ფორმების დამკვიდრებისთვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად გააძლიერეს საქართველოს სამრეწველო პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ პოზიტიური ძვრები საქართველოს ეკონომიკაში მოპოვებული იყო საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული უძრაობისა და ნეგატიური მოვლენების პირობებში.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ყოფილ საბჭოთა კავშირში მეცნიერების სფეროშიც გავრცელებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სტილი, კვლევა-ძიების შედეგებისა და ტექნიკურ სიახლეთა გამოყენებისას წარმოშობილი უწყებრივი ბარიერები და ბიუროკრატიული დაბრკოლებები, მატერიალური სტიმულირების არაეფექტური სისტემა მნიშვნელოვნად ამუხრუჭებდა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას, სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ შექმნილ რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში გაძნელდა მეცნიერების ფუნდამენტური დარგების განვითარება, რთულია სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დაფინანსება. მიუხედავად ამისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

§3. ლიტერატურა

XX საუკუნის 50-იანი წლების რეფორმებმა, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ დაწყებულმა „დესტალინიზაციის" პროცესმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს გარკვეული იმედი ჩაუსახა. ერთი შეხედვით, წარსულს ბარდებოდა უმკაცრესი ცენზურა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, შემოქმედებითი ინტელიგენცია თავისუფლებას გრძნობდა. საქართველოში დაიწყო დიდი ხნით ტაბუდადებულ ავტორთა ნაწარმოებების გამოცემა. გამოიცა **მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა** და სხვათა ქმნილებები. მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, რომ „დათბობა" სრულიადაც არ ნიშნავდა სოციალისტურ საზოგადოებაში ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულების შესახებ დამკვიდრებული შეხედულების გადასინჯვას, ლიტერატურისა და ხელოვნების როლი კვლავ განსაზღვრული იყო ხელისუფლების მიერ.

XX საუკუნის 50-80-იან წლებში პატიოსნების, სინდისის, ღირსების, სამართლიანობის ცნებები უზომო დევალვაციას განიცდიდა. ბუნებრივია, მწერ-

კონსტანტინე გამსახურდია

ლები თავიანთ რეალისტურ ქმნილებებს დიდი ხნის მანძილზე საგანგებოდ, საიდუმლოდ ინახავდნენ უკეთესი მომავლის მოლოდინში. ბევრი ნაწარმოებისთვის დღის სინათლის ხილვა ჯერ ნაადრევი იყო.

საქართველოში მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ოფიციალური იდეოლოგიით საქართველო თავისუფალი და სუვერენული რესპუბლიკა იყო. ამ მიმართულებით განუწყვეტლივ წარმოებდა უდიდე-

გიორგი ლეონიძე

სი პროპაგანდისტული მუშაობა. ასეთ შემთხვევაში ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის ყოველგვარი გამოხატულება ფასდებოდა, როგორც „ნაციონალიზმი", როგორც თავისუფალი საქართველოს მიმართ მტრული ქმედება. ასეთ რთულ ვითარებაში ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დიდი ნაწილი მაინც ახერხებდა ეროვნული პოზიციის დაკავებას. ისინი ხან ფარულად, ხან აშკარად ცდილობდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ეროვნულ ძალთა შემჭიდროებას, უფრო მძლავრი ეროვნული მოძრაობისთვის მომზადებას.

XX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი წარმატებები მოიპოვა **ქართულმა პროზამ** თავისი უაღრესად მრავალმხრივი და მდიდარი თემატიკით. განსაკუთრებული ადგილი კვლავ ისტორიულ თემატიკას ეკავა. ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში მაღალი მხატვრული ოსტატობითაა გაშუქებული საქართველოს სხვადასხვა ისტორიული ეპოქების, დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა თუ ისტორიულ პირთა ცხოვრება, მათი გმირობა, ერისა და სარწმუნოებისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება. ამ მიმართულებით ქართველ პროზაიკოსებს ჭეშმარიტად უდიდეს მაგალითს აძლევდა **კონსტანტინე გამ-**

ლევან გოთუა

სახურდია. ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი" სამი ათეული წლის მანძილზე იწერებოდა. ეპოქის ენციკლოპედიურმა ცოდნამ ავტორს შესაძლებლობა მისცა სრულად წარმოეჩინა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ეპოქა, ქართველი ერის ამაღლებული სული. სწორედ ეს ახდენდა უდიდეს გავლენას თანამედროვეობაზე, აღვივებდა ეროვნულ სიამაყეს, ლტოლვას თავისუფლებისაკენ.

საისტორიო პროზაში კ. გამსახურდიას ტრადიციები გააგრძელა და მასშტაბური ისტრიული ტილო შექმნა ლევან გოთუამ ოთხნაწილიანი ისტორიული რომანით: **„გმირთა ვარამი"**

საქართველოს ისტორიულ წარსულს ეძღვნება ასევე **რევაზ ჯაფარიძის** „მძიმე ჯვარი", **ნოდარ წულეისკირის** „ღვანლი და წამება აბოსი და იოანესი", **ლევან სანიკიძის** „უქარქაშო ხმლები", **ვახტანგ ჭელიძის** „ქართლის ცხოვრების ქრონიკები" და სხვა.

ქართული პროზა ახალი თემატიკითა და შინაარსით გაამდიდრეს: **გურამ რჩეულიშვილმა, ნოდარ დუმბაძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა, თამაზ ჭილაძემ, ოთარ ჭილაძემ, რევაზ ინანიშვილმა, ოთარ ჩხეიძემ, ოტია იოსელიანმა, რევაზ მიშველაძემ, გურამ დოჩანაშვილმა, გურამ ფანჯიკიძემ, რევაზ ჭეიშვილმა** და სხვებმა.

XX საუკუნის 80-90-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდა პროზაიკოსები, რომელთაც ღირსეულად გააგრძელეს ქართული მწერლობის ტრადიციები. მათ შორის პირველ რიგში

ნოდარ დუმბაძე

უნდა მოვიხსენიოთ: **გოდერძი ჩოხელი, ნუგზარ შატაიძე, გიორგი ახვლედიანი (აკა მორჩილაძე)** და სხვები.

დიდ წარმატებებს აღწევდა ქართული პოეზია. XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: **გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე.** მათ კარგად ესმოდათ, რომ თანამედროვე ქართული პოეზია წარმოუდგენელი იყო ქართული კლასიკური მწერლობის დიდი ტრადიციების გარეშე. ამიტომაა, რომ მათ შემოქმედებაში უპირველესი ადგილი უკავია იმ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს, რომელიც წარმოადგენდა ქართული პოეზიის ქვაკუთხედს უძველესი დროიდან დღემდე. ესაა ჰუმანიზმი, თავისუფლების დიდი სიყვარული, უზომოდ გამახვილებული ეროვნულ-პატრიოტული გრძნობა, ისტორიული წარსულისა და დღევანდელობის შეხამება და სხვა.

ქართული პოეზიის დიდ წინაპართა ნაკვალევზე დგებიან: **ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარ-**

მუხრან მაჭავარიანი

იანი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ფრიდონ ხალვაში, ლია სტურუა, ოთარ ჭელიძე და სხვები. მათ შემოქმედებაში უმთავრესი ერის სამსახურში დგომაა. მათთვის უცხო არ არის თანამედროვე მსოფლიო პოეზიაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესები, მათი თემატიკა და რთული მხატვრული მოვლენები.

ვითარდებოდა ქართული დრამატურგია. განუზომლად დიდია ქართული ლიტერატურის ამ დარგში **პოლიკარპე კაკაბაძის** დამსახურება. იგი თანამედროვე ქართული დრამატურგიის ფუძემდებელია. პოლიკარპე კაკაბაძის კალამს ეკუთვნის კლასიკური

იოსებ გრიშაშვილი

ნაწარმოები „ყვარყვარე თუთაბერი". ქართული დრამატურგიის შესანიშნავი ნიმუშები შექმნეს: **თამაზ ჭილაძემ, ოთარ ჩხეიძემ, რეზო გაბრიაძემ, ლაშა თაბუკაშვილმა, შადიმან შამანაძემ** და სხვებმა.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული **მთარგმნელობით საქმიანობაში.** საქართველოში მოღვაწეობდა მწერალთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ქართულ ენაზე თარგმნიდნენ რუსული, უკრაინული და საბჭოთა კავშირის სხვა ერების, დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების საუკეთესო ლიტერატურულ ქმნილებებს.

§4. ხელოვნება

დიდ წარმატებებს მიაღწია ქართულმა ხელოვნებამ. შეიქმნა ისეთი შედევრები, რომელთაც მსოფლიო აღიარება პოვეს.

1. თეატრი. ქართული თეატრის სახეს თბილისის შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრები ქმნიდნენ. განვლილი ხუთი ათწლეულის მანძილზე **შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი** სულ უფრო და უფრო დიდ წარმატებებს აღწევდა. თეატრის გმირულ-რომანტიკულ საწყისებს ერწყმოდა ლირიკულ-ფსიქოლოგიური ნაკადი. რუსთაველის თეატრის კოლექტივი ამ წლების მანძილზე, ერთი მხრივ, გვერდს არ უვლიდა თანამედროვე მსოფლიო დრამატურგიის მნიშვნელოვან მოვლენებს, მეორე მხრივ, თეატრი გაბედულად წარმოაჩენდა თანადროულობის მტკივნეულ საკითხებს. ეს კი თეატრის მიერ განუწყვეტლივ ახლის ძიებასა და სოციალური პრობლემებისკენ შემობრუნებას ნიშნავდა. ყოველივე ამან რუსთაველის თეატრს დიდი წარმატება მოუტანა, საშუალება მისცა უფრო გაბედულად ექადაგა ეროვნული და პიროვნული თავისუფლების, სამართლიანობის ზოგადსაკაცობრიო იდეები. რუსთაველის თეატრში დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან რეჟისორები: **დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გიზო ჟორდანია** და სხვები. სწორედ მათმა დაუღალავმა და მაღალპროფესიულმა მოღვაწეობამ განაპირობა თეატრის წინაშე დასახული რთული ამოცანების წარმატებით გადაჭრა. XX საუკუნის 50-60-იან წლებში თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა **მიხეილ თუმანიშვილის** „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!" „ესპანელი მღვდელი", „ჭინჭრაქა", „ანტიგონე", **დიმიტრი ალექსიძის** – „ოიდიპოს მეფე", „ბახტრიონი" „ფიროსმანი", „სამგროშიანი ოპერა" და სხვა. 70-იანი წლებიდან რუსთაველის თეატრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს **თემურ ჩხეიძის** სპექტაკლებმა: „გუშინდელნი", „ოიდიპოს მეფე", „ბერნარდა ალბას სახლი", „სამანიშვილის დედინაცვალი" (რობერტ სტურუასთან ერთად). ამავე პერიოდიდან თეატრის დიდი მიღწევები დაკავშირებულია **რობერტ სტურუას** სახელთან. მისი სპექტაკლები – „ყვარყვარე", „კავკასიური ცარცის

მიხეილ თუმანიშვილი

წრე", „მეფე ლირი", „რიჩარდ მესამე" და სხვები ქმნიდნენ რუსთაველის თეატრის სახეს. რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე რეჟისორ **გიზო ჟორდანიას** მიერ შექმნილმა ახალგაზრდულმა დასმა წარმოადგინა რამდენიმე სპექტაკლი, რომელთაგან აღსანიშნავია: „სამანიშვილის დედინაცვალი", „ჰამლეტი", „ანნა ფრანკის დღიური" და სხვ. რუსთაველის თეატრმა დიდი წარმატებით ჩაატარა გასტროლები მოსკოვში, ლენინგრადში, ინგლისში, გერმანიაში,

საფრანგეთში, იტალიაში, იუგოსლავიაში, რუმინეთში, საბერძნეთში, პოლონეთში, შვეიცარიაში, მექსიკაში და სხვ. თეატრის სამსახიობო ხელოვნების დონესა და მის შემოქმედებით წარმატებებს განსაზღვრავდნენ შესანიშნავი მსახიობები: **აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი გეგეჭკორი, მედეა ჩახავა, მარინე თბილელი, ზინა კვერენჩხილაძე, გურამ საღარაძე** და სხვები.

ეროსი მანჯგალაძე

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრს ღირსეულ მეტოქეობას უწევდა **კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი.** 50-იანი წლებიდან დაწყებული სხვადასხვა წლებში მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორები და ხელმძღვანელები იყვნენ: **არჩილ ჩხარტიშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, დიმიტრი ალექსიძე, გიგა ლორთქიფანიძე, თემურ ჩხეიძე.** ამავე დროიდან თეატრში მოვიდნენ და მის წამყვან ძალას წარმოადგენდნენ მსახიობები: **ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, მედეა ჯაფარიძე, ელენე ყიფშიძე, მარინე თბილელი, იაკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, ვახტანგ ნინუა, ედიშერ მაღალაშვილი, გიორგი ტატიშვილი, ზურაბ ლაფერაძე.** 70-80-იან წლებში თეატრის დიდ ტრადიციებს აგრძელებდნენ **ოთარ მეღვინეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ლეო ანთაძე, გოგი გელოვანი, ნოდარ მგალობლიშვილი, გივი ბერიკაშვილი, თენგიზ მაისურაძე** და სხვები. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: **გიგა ლორთქიფანიძის** „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „შთამომავლობა", „კახაბერის ხმალი", „ესკადრის დაღუპვა", „ოიდიპოს მეფე"; **არჩილ ჩხარტიშვილის** – „მოკვეთილი", „გმირთა ვარამი",

სესილია თაყაიშვილი

სერგო ზაქარიაძე

„მედეა"; **დიმიტრი ალექსიძის** – „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ტალანტები და თაყვანისმცემლები", „ხსოვნა გულისა", „დონ კარლოსი"; **ვასო ყუშიტაშვილის** – „მასკარადი", „რიჩარდ III", „კეისარი და კლეოპატრა"; **ვახტანგ ტაბლიაშვილის** – „მაია წყნეთელი", „მოძღვარი", „რომეო და ჯულიეტა"; **ლილი იოსელიანის** – „ფსკერზე", „პიგმალიონი"; **თემურ ჩხეიძის** – „პაკი აძბა", „თავადის ასული მაია", „მოჩვენებანი", „ოტელო" და სხვები. მარჯანიშვილის თეატრს გასტროლები ჰქონდა რიგაში, ლენინგრადში, ბაქოში, იტალიაში და სხვაგან.

ქართული თეატრის განვითარებაში დიდია **ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის, გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატული თეატრის, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის, მეტეხის თეატრის წვლილი.** თეატრალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა **პანტომიმის ქართული თეატრის** (სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი), ასევე თბილისში **მარიონეტებისა** (სამხატვრო ხელმძღვანელი რეზო გაბრიაძე) და **მინიატურების** (სამხატვრო ხელმძღვანელი თენგიზ ჩანტლაძე) **თეატრების** დაარსება.

მედეა ჯაფარიძე

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი **აკაკი ბაქრაძემ,** რომლის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიკავა თანამედროვე თეატრის პრობლემებისადმი მიძღვნილმა ნერილებმა.

ქართული თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს რესპუბლიკის საბავშვო თეატრებმა: **თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა და რუსულმა თეატრებმა, თბილისისა და ქუთაისის თოჯინების თეატრებმა,** რომელთა პროფესიონალიზმი სულ უფრო იზრდებოდა და უდიდეს როლს ასრულებდა მოზარდი თაობის აღზრდის

საქმეში. ქართული თეატრის ისტორია წარმოუდგენელია რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული თეატრების: **ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, მესხეთის, გორის, ჭიათურის, ფოთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავისა და რუსთავის თეატრების გარეშე.** ამ თეატრთა სცენაზე მოღვაწეობდნენ სხვადასხვა თაობის ცნობილი რეჟისორები და მსახიობები.

სოხუმის თეატრი დაარსდა ჯერ კიდევ 1928 წელს, მუდმივმოქმედი ქართული და აფხაზური დასებით. 1979 წლიდან ამ დასების ბაზაზე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი თეატრი: აფხაზური (სამსონ ჭანბას სახელობის) და ქართული (კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის).

2. კინო. საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქართული კინო ცდილობდა გამოეხატა პროტესტი არსებული პოლიტიკური რეჟიმის, უსამართლობის, ნეგატიური პროცესების წინააღმდეგ. **ოთარ იოსელიანის** წმინდა ფორმალისტური ხერხებით გადაწყვეტილი ფილმის „აპრილის" გამოსვლა სწორედ იმ დროს დაემთხვა, როცა **ნიკიტა ხრუშჩოვი** აწარმოებდა ცნობილ კამპანიას აბსტრაქციონისტებისა და ფორმალისტების წინააღმდეგ. მოსკოველმა ცენზორებმა „დაარწმუნეს" საქართველოს ხელმძღვანელობა, რომ ფილმის ეკრანზე გაშვება არ შეიძლებოდა. დიდი წინააღმდეგობები ხვდა წილად **ოთარ იოსელიანის** ფილმს „გიორგობისთვე", რომელიც იმ პერიოდში დამკვიდრებულ ნეგატიურ მოვლენებს ეხებოდა. ხელისუფლება უარყოფითად შეხვდა ფილმს. გარკვეულმა ძალებმა ამ ფილმში დაინახეს „ცილისწამება" და „სინამდვილის გაყალბება". არადა ამ ფილმში სრულად არ იყო ასახული ის ნეგატიური მოვლენები, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. მოსკოვს ასევე არ უნდოდა ვიზის მიცემა ახალგაზრდა რეჟისორების **თენგიზ აბულაძისა** და **რეზო ჩხეიძის** ფილმისთვის „მაგდანას ლურჯა". ეს მაშინ, როცა 1956 წელს ფილმმა კანისა და ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალებზე პრემიები დაიმსახურა.

ქართული კინოს განახლების ეტაპი სწორედ ზემოხსენებული ფილმებით დაიწყო. ქართულ კინოში მოვიდა რეჟისორთა ახალი თაობა, რომელთა სახელებთან არის დაკავშირებული XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კინოს დიდი აღმავლობა. სხვადასხვაგვარია მათ მიერ შექმნილი ფილმების ჟანრობრივი თავისებურებები და პროფესიული დონე. მაგრამ, საერთოა ის, რომ ყოველ მათგანში გამოსჭვივის ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მაღალი ზნეობრივი პრინციპები, უკომპრომისობა, სულიერი კეთილშობილება, თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენებული წარსულის ეკრანული განსახიერება, თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება **თენგიზ აბულაძის** რეჟისორობით გადაღებული ფილმები: „სხვისი შვილები", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „ვედრება", „ნატვრის ხე", „მონანიება"; **ელდარ შენგელაიას** „სამანიშვილის დედინაცვალი", „არაჩვეულებრივი გამოფენა", „ცისფერი მთები", „შერეკილები", „თეთრი ქარავანი" (რეჟისორ თამაზ მელიავასთან ერთად); **გიორგი შენგელაიას** „ფიროსმანი", „ვერის უბნის მელოდიები" (პირველი ქართული მიუზიკლი), „ალავერდობა"; **რეზო ჩხეიძის** „ჯარისკაცის მამა", „ღიმილის ბიჭები", „ნერგები",„მშობლიურო ჩემო მინავ!"; **ოთარ იოსელიანის** „გიორგობისთვე", „პასტორალი", „იყო შაშვი მგალობელი"; **ქართლოს** და **ბუბა ხოტივარების** „ლაზარე", **მერაბ კოკოჩაშვილის** „დიდი მწვანე ველი", „არდადეგები"; **მიხეილ კობახიძის** „ქორწილი", „ბაკურხეველი ხევსური", „ლუკას სახარება", „ქოლგა"; **ნანა მჭედლიძის** „პირველი მერცხალი", „იმერული ესკიზები"; **ლანა ღოღობერიძის** „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", **ოთარ აბესაძის** „მალე გაზაფხული მოვა"; **შოთა** და **ნოდარ მანაგაძეების** „ჯვარცმული კუნძული", **რეზო ესაძის**

თენგიზ აბულაძე

„ქალაქი ანარა", „ნეილონის ნაძვის ხე"; **გოდერძი ჩოხელის** „ადამიანთა სევდა", „ცოდვის შვილები", **გიორგი მატარაძის** „მოკვეთილი" და სხვ. ქართული ფილმის დიდი გამარჯვება იყო **გიგა ლორთქიფანიძის** პირველი შვიდსერიანი სატელევიზიო ფილმი – „დათა თუთაშხია". რეზო ჩხეიძის ცხრასერიანი ტელეფილმი „დონ კიხოტი".

ქართული კინოს დიდი წარმატებები დაკავშირებულია მსახიობების: **სერგო ზაქარიაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ხორავას, მედეა ჯაფარიძის, მედეა ჩახავას, ლია ელიავას, ოთარ კობერიძის, დოდო აბაშიძის, თენგიზ არჩვაძის, რამაზ ჩხიკვაძის, სოფიკო ჭიაურელის, ოთარ მეღვინეთუხუცესისა** და სხვათა სახელებთან.

ქართული ტელეფილმებიდან აღსანიშნავია: **ირაკლი კვირიკაძის** „ქვევრი", **გურამ პატარაიას** „კუჩხი ბედინერი", „რეკორდი", **ქართლოს ხოტივარის** „სერენადა", **იოსებ რაჭველიშვილის** „ხაბაზები", **სოსო ჩხაიძის** „თუში მეცხვარე".

ქართული დოკუმენტური კინოს მიღწევები დაკავშირებულია **რეზო თაბუკაშვილის, გურამ პატარაიასა** და სხვათა სახელებთან. რეზო თაბუ-

რეზო თაბუკაშვილი

კაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა საზღვარგარეთის ქართული კულტურული კერებისა და იქ მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების ღვაწლის წარმოჩენაში.

ქართული კინოხელოვნების, ისე როგორც თეატრალური ხელოვნების, განვითარებას ხელი შეუწყვეს **აკაკი ბაქრაძისა** და **ვასილ კიკნაძის** წერილებმა, მიძღვნილმა თანამედროვე ქართული კინოს პრობლემებისადმი.

3. მუსიკა. მნიშვნელოვნად განვითარდა ქართული ეროვნული მუსიკა. ქართული მუსიკის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო უმდიდრესი ხალხური სასიმღერო შემოქმედება, ხალხური მრავალხმიანობის ტრადიციებზე აღმოცენებული ეროვნული საოპერო მუსიკა. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა XX საუკუნის მსოფლიო მუსიკალურ მიღწევათა გაცნობა-შესწავლა, ხდებოდა ქართული ეროვნული ტრადიციებისა და მსოფლიო მუსიკის მიღწევათა შერწყმა. სწორედ ამ საფუძველზე ქართულმა მუსიკამ აითვისა თანამედროვე მუსიკის ყველა ჟანრი, გაფართოვდა მისი თემატური წრე.

სიმფონიური და ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის განვითარებაში ძალზე მრავალმხრივი და მნიშვნელოვანია **ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, გრიგოლ კილაძის, აკაკი ანდრიაშვილის, ალექსანდრე ბუკიას, სულხან ცინცაძის, დავით თორაძის, რევაზ გაბიჩვაძის, ალექსანდრე შავერზაშვილის, ალექსი მაჭავარიანის, რევაზ ლაღიძის, სულხან ნასიძის, ბიძინა კვერნაძის, გია ყანჩელის, ვაჟა აზარაშვილის, ოთარ გორდელის, ოთარ თაქთაქიშვილისა** და სხვათა შემოქმედება. მათ შექმნეს ქართული სიმფონიური მუსიკის მრავალი შესანიშნავი ქმნილება, მათ შორის აღსანიშნავია: **ანდრია ბალანჩივაძის** I, II და III სიმფონია, **შალვა მშველიძის** სიმფონიური პოემები „ზვიადაური“, „მინდია“, **რევაზ ლაღიძის** საორკესტრო პოემა „საჭიდაო“, **ბიძინა კვერნაძის** „ცეკვა-ფანტაზია“, **დავით თორაძის** II სიმფონია „ქებათა ქება ნიკორწმინდისა“ და სხვა.

რევაზ ლაღიძე

წარმატებებს აღწევს ქართული **საოპერო ხელოვნება.** XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწერა და დაიდგა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი არაერთი საოპერო სპექტაკლი, მათ შორის: **ოთარ თაქთაქიშვილის** „მინდია“, „სამი ნოველა“, „მთვარის მოტაცება“; **შალვა მშველიძის** „დიდოსტატის მარჯვენა“, **რევაზ ლაღიძის** „ლელა“, **სულხან ცინცაძის** „განდეგილი“. ქართულ ოპერებთან ერთად თბილისში იდგმებოდა მსოფლიო საოპერო კლასიკის შედევრები – **ვერდის** „აიდა“, „ოტელო“, „ტრუბადური“, **ბოროდინის** „თავადი იგორი“, **ჩაიკოვსკის** „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“ და სხვ.

რეჟისორ **გიზო ჟორდანიას** ხელმძღვანელობით საქართველოში ფეხი აიდგა საბავშვო ოპერამ. ბათუმის თეატრის სცენაზე გიზო ჟორდანიამ მოზარდი შემსრულებლების მონაწილეობით დადგა „პრინცესა ტურანდოტი“. სპეკტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

4.ქორეოგრაფია. დიდია ქართველ ხელოვანთა მიღწევები **საბალეტო ჟანრში.** XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საბალეტო ჟანრს ბრწყინვალე დასაბამი მისცეს **დავით თორაძის** „გორდამ“ და **ალექსი მაჭავარიანის** „ოტელომ“. ორივეს დადგმა **ვახტანგ ჭაბუკიანს** ეკუთვნის. ისევე როგორც ქართული კულტურის ყველა დარგში, ქართულ საბალეტო ხელოვნებაშიც მტკივნეულად, მაგრამ მაინც ინტენსიურად მიმდინარეობდა გმირულ-რომანტიკულ საწყისებთან ლირიკულ-ფსიქოლოგიური საწყისების შერწყმა. **ალექსი მაჭავარიანის** „ოტელო“ სწორედ ამის დადასტურებაა. „ოტელოს“ დადგმა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ტრიუმფად იქცა. „ოტელო“ თბილისის გარდა დაიდგა ლენინგრადში, ოდესაში, კიევში, ტოკიოში, ჰელსინკში, ბუენოს-აირესში. „ოტელოს“ წარმატება, ისევე როგორც მთლიანად ქართული ეროვნული საბალეტო ხელოვნების ნამდვილი აყვავება, **ვახტანგ ჭაბუკიანის** სახელთანაა დაკავშირებული. იგი ითვლება მამაკაცის კლასიკური ცეკვის გმირული, ვაჟკაცური სტილის ერთ-ერთ ფუძემდებლად მსოფლიოში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ ხორცშესხმულ ოტელოს პარტიას. შეიძლება ითქვას, რომ შექსპირისეული ტრაგედიის გრძნობებისა და აზრის სიღრმის ისეთი სრულყოფილი გამოსახვა და გადმოცემა, როგორც ამას ვახტანგ ჭაბუკიანი ახერხებდა, არავის შეეძლო. საბალეტო კლასიკასთან ქართული ხალხური ცეკვის შერწყმით ვახტანგ ჭაბუკიანმა შექმნა ეროვნული კლასიკური ბალეტის თავისებური სახეობა. ვახტანგ ჭაბუკიან-

ვახტანგ ჭაბუკიანი

თან ერთად ქართული ბალეტის სახეს ქმნიდნენ მისივე ხელმძღვანელობით აღზრდილი ცეკვის ხელოვნების ოსტატები: **ვერა ნიგნაძე, ზურაბ კიკალეიშვილი, ირინე ალექსიძე, ვახტანგ გიუნაშვილი, რევაზ მაღალაშვილი, ლიანა მითაიშვილი, ირინე ჯანდიერი** და სხვები.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ქართული **საესტრადო მუსიკა.** ხდება ამ ჟანრში არსებული პროფესიული ტრადიციების დახვეწა და ახლებური, ეროვნული სასიმღერო შემოქმედებითი და საშემსრულებლო სტილის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია **ჯანსუღ კახიძის, გიორგი ცაბაძის, შოთა მილორავას, არჩილ კერესელიძის, სულხან ნასიძის, ბიძინა კვერნაძის, გია ყანჩელის, ვაჟა აზარაშვილის, ოთარ გორდელისა** და სხვათა შემოქმედება.

ქართული მუსიკალური კულტურის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა დირიჟორებმა: **ოდისეი დიმიტრიადიმ, ვახტანგ ფალიაშვილმა, შალვა და გივი აზმაიფარაშვილებმა, დიდიმ მირცხულავამ, ჯემალ გოკიელმა, ჯანსუღ კახიძემ, გრიგოლ და ლილე კილაძეებმა** და სხვებმა, რომელთაც ღირსეულად განაგრძეს ქართული სადირიჟორო სკოლის ფუძემდებლების **ივანე ფალიაშვილისა** და **ევგენი მიქელაძის** მიერ დაწყებული საქმე.

ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოში მოქმედებდა მრავალი სამუსიკო სასწავლებელი, ხოლო უმაღლესი სამუსიკო კადრების ღირსეულ სამჭედლოს

ელენე ახვლედიანი

წარმოადგენს **ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია** – რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელი.

ქართულ სამუსიკო კულტურას მსოფლიო აღიარება მოუტანა მრავალრიცხოვან საერთაშორისო ფესტივალებში ქართველ შემსრულებელთა მონაწილეობამ და მათ მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა. მათ შორის აღსანიშნავია: პიანისტები **ელისო ვირსალაძე, მანანა დოიჯაშვილი** და **მარინე მდივანი;** მევიოლინეები: **მარინე იაშვილი** და **ლიანა ისაკაძე;** მომღერლები: **ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია, ცისანა ტატიშვილი, ნოდარ ანდღულაძე, მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა** და სხვები; ვაჟთა ვოკალური ანსამბლები **„შვიდკაცა“, „გორდა“, „რუსთავი“.**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში წარმატებით იმართებოდა **ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის** (ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი), **ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა** (ხელმძღვანელი ანზორ კავსაძე) და სხვათა გასტროლები. მათ ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას მსოფლიო აღიარება მოუტანეს. ბევრი ქვეყნისთვის ქართული ხელოვნების ესოდენ მაღალი დონე მოულოდნელიც კი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ქართული მუსიკის მსოფ-

ლადო გუდიაშვილი

ლიო აღიარება თავისებური ბიძგი გახდა ქართული სამუსიკო კულტურის შემდგომი განვითარებისთვის.

5. სახვითი ხელოვნება. დიდ წარმატებას მიაღწია ქართულმა **სახვითმა ხელოვნებამ.** ქართველი მხატვრების უფროსი თაობის წარმომადგენლების: **მოსე თოიძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, დავით კაკაბაძის, სერგო ქობულაძის, აპოლონ ქუთათელაძის, უჩა ჯაფარიძის, თამარ აბაკელიას** და სხვათა გვერდით დადგნენ და მათი ტრადიციები განაგრძეს მხატვართა და მოქანდაკეთა ახალმა თაობამ: **გიორგი თოთიბაძემ, ზურაბ ნიჟარაძემ, ავთო ვარაზმა, ზურაბ წერეთელმა, მერაბ ბერძენიშვილმა, ელგუჯა ამაშუკელმა, კობა გურულმა, გიორგი** და **ირაკლი ოჩიაურებმა, კოკი მახარაძემ, კოკა იგნატოვმა, თენგიზ მირზაშვილმა, ნათელა იანქოშვილმა, ჯიბსონ ხუნდაძემ, მამია ახობაძემ, თემო გოცაძემ, რადიშ თორდიამ** და სხვებმა.

განსაკუთრებით განვითარდა **მონუმენტური ქანდაკება.** ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: **ელგუჯა ამაშუკელის** „ქართლის დედა“,

„ვახტანგ გორგასალი", **მერაბ ბერძენიშვილის** „კიდევაც დაიზრდებიან", „გიორგი საკაძე", „დიდგორის მემორიალი" და სხვა. მსოფლიო აღიარება მოიპოვა **ზურაბ წერეთელმა,** რომელმაც მონუმენტური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები დადგა თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში,

ელგუჯა ამაშუკელი

მოსკოვში, ლენინგრადში (პეტერბურგში), ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრაზილიასა და იაპონიაში.

ჭედური ხელოვნების აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას სათავე დაუდეს **ირაკლი ოჩიაურმა** და **კობა გურულმა. ირაკლი ოჩიაურის** „ალექსანდრე ყაზბეგი", „სამაია", „თბილისის შემოდგომა" და სხვა გამოირჩევა მაღალი პროფესიული ოსტატობით, სახეთა ფსიქოლოგიური სიღრმით და პოეტური განწყობით. **კობა გურულის** „მედეას მოტაცება", „სინაზე", „ინდუსტრია", „სიჭაბუკე", „შრომა" და სხვა მის ინტერესთა მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

6. ხუროთმოძღვრება. ქართულმა ხუროთმოძღვრებამ მხარი აუბა კულტურის საერთო მიღწევებს. ქალაქმშენებლობის ფართოდ განვითარებამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ანსამბლური დაგეგმარების, ხუროთმოძღვრული კომპლექსების შექმნას, ასევე მხატვრობის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სინთეზსა და ბუნებრივ გარემოსთან მათ დაკავშირებას. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხუროთმოძღვრები ამ ამოცანების გადაჭრას, ძირითადად, წარმატებით ართმევენ თავს. არქიტექტურის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა ქართველმა არქიტექტორებმა: **არჩილ ქურდიანმა, ზაქარია ქურდიანმა, ივანე ჩხენკელმა, შოთა ყავლაშვილმა** და სხვებმა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თბილისის არქიტექტურა: სპორტის სასახლე, სასტუმროები „ივერია", „აჭარა", ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, ცენტრალური ტელეგრაფი და სხვა. ქართული ხუროთმოძღვრების დიდი შენაძენია თბილისის მეტროპოლიტენი თავისი შესანიშნავი სადგურებით.

ქართული ხუროთმოძღვრების არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შეიქმნა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში.

ამრიგად, საბჭოთა იდეოლოგიამ, მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ ვერ შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება. მდიდარ ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, მსოფლიო კულტურასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ქართული კულტურა XX საუკუნის მეორე ნახევარში კვლავაც აღმავალი გზით მიემართებოდა.

§5. სპორტი

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულმა სპორტმა დიდი აღმავლობა განიცადა. ქართველი სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ როგორც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ქართველმა სპორტსმენებმა ღირსშესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვეს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში (1952 წ.).

საბჭოთა კავშირის ჩაბმამ საერთაშორისო ასპარეზობებში ქართველ სპორტსმენებსაც გაუხსნა გზა დიდი მიღწევებისკენ, მაგრამ ქართველ სპორტსმენთა ადგილები საერთაშორისო ასპარეზობისთვის გამიზნულ ნაკრებ გუნდებში მკაცრად იყო შეზღუდული. უპირატესობა ეძლეოდა რუსი ეროვნების სპორტსმენებს. მსაჯთა და მწვრთნელთა აშკარა მიკერძოების გამო ბევრმა ღირსეულმა ქართველმა სპორტსმენმა ვერ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ასპარეზობებში (ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ოლიმპიური თამაშები). ამის მიუხედავად, ძალზე დიდი იყო ქართველ სპორტსმენთა ხვედრითი წილი საბჭოთა სპორტსმენთა მიერ საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ წარმატებებში.

ფეხბურთი. პოპულარობისა და მასობრიობის თვალსაზრისით საქართველოში სპორტის პირველ სახეობად ფეხბურთი ითვლებოდა. **ბორის პაიჭაძისა** და **გაიოზ ჯეჯელავას** თაობის ბრწყინვალე ფეხბურთელების შემდგომ ასპარეზზე გამოვიდა ფეხბურთელთა ახალი თაობა **ავთანდილ ღოღობერიძის** თავკაცობით. XX საუკუნის 50-60-იან წლებში გაიბრწყინეს ისეთმა ცნობილმა ფეხბურთელებმა როგორებიც იყვნენ: **მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, ილია დათუნაშ-**

ავთანდილ ღოღობერიძე და ბორის პაიჭაძე

ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი

ვილი, ვლადიმერ ბარქაია და მრავალი სხვა. მოგვიანებით მათი რიგებს შეემატნენ: **კახი ასათიანი, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე.** ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი მიღწევაა ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში თბილისის „დინამოს" მიერ 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში იენის „კარლ-ცაისის" დამარცხება და ევროპის თასების მფლობელთა თასის დასაკუთრება. იმ ხანად თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდნენ მსოფლიო კლასის ფეხბურთელები: დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია. გუნდის მწვრთნელი იყო ასევე მსოფლიო კლასის მწვრთნელი **ნოდარ ახალაცი.**

თბილისის „დინამო" საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლებოდა. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების მანძილზე გუნდი 20-ჯერ შევიდა უძლიერესთა სამეულში, 2-ჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1964 წ., 1978 წ.,), 2-ჯერ საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი (1976 წ., 1979 წ.,). თბილისის „დინამოს" ქართველი ფეხბურთელები **მიხეილ მესხი** და **გივი ჩოხელი** ევროპის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო **მურთაზ ხურცილავა** და **რევაზ ძოძუაშვილი** – ევროპის ვიცე-ჩემპიონები. **სლავა მეტრეველმა** 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

თბილისის „დინამო" (1981 წ.)

თბილისის გარდა ფეხბურთი დიდ აღმავლობას განიცდიდა ქუთაისში, ლანჩხუთში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის კვალობაზე 1990 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის არსებობის პირობებში ჩაატარა პირველი ეროვნული ჩემპიონატი.

ნოდარ ახალაცი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გახდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (ფიფა) და ევროპის ფეხბურთის ფედერაციის (უეფა) წევრი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართულმა ფეხბურთმა დათმო პოზიციები. მიუხედავად ამისა, ბევრი ქართველი ფეხბურთელი წარმატებით გამოდის ევროპის პრესტიჟული გუნდების შემადგენლობაში.

კალათბურთი. საქართველოში დიდი ტრადიციები გააჩნია კალათბურთს. თბილისის **„დინამოს"** კალათბურთელთა გუნდი 2-ჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და 2-ჯერ დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს. 1962 წელი აღინიშნა ქართული კალათბურთის დიდი გამარჯვებით – თბილისის „დინამომ" ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ქართული კალათბურთის მიღწევები დაკავშირებულია: **გურამ მინაშვილის, ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან მოსეშვილის, ვლადიმერ უგრეხელიძის, ზურაბ საკანდელიძის, მიხეილ ქორქიას** სახელებთან.

ხელბურთი. სპორტის ეს სახეობა შედარებით ახალია საქართველოში. მიუხედავად ამისა, უკვე 1962 და 1964 წლებში თბილისის **„ბურევესტნიკის"** ხელბურთელებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო 1978 წელს საბჭოთა კავშირის თასსაც დაეუფლნენ. ქართული ხელბურთის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით: **ჯემალ ცერცვაძეს, თამაზ ანთაძეს, ანზორ ექსეულიძეს, ალექსანდრე ანპილოგოვსა** და სხვებს.

რაგბი. ქართული რაგბის ისტორია დაკავშირებულია თბილისის **„ლოკომოტივისა"** და ქუთაისის **„აიას"** მორაგბეთა გუნდებთან. ქუთაისის **„აია"** 1986-1989 წლებში 3-ჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო გუნდის კაპიტანი **ნუგზარ ძაგნიძე** საუკეთესო მოთამაშე.

დიდ აღმავლობას განიცდის ქართული რაგბი ბოლო ათწლეულში. ამის დამადასტურებელია სა-

ქართველოს მორაგბეთა ნაკრების გამარჯვებები საერთაშორისო ასპარეზობებზე და ქართველ რაგბისტთა მიწვევა მსოფლიოს წამყვან გუნდებში. საქართველოს რაგბისტთა ნაკრებმა მოიპოვა 2003 წლის მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება, რაც დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში, გუნდურ სახეობებში უდიდეს მიღწევას წარმოადგენს. ქართველ „ბორჯღალოსანთა" ამ დიდ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით: **ლევან ცაბაძეს, პავლე ჯიმშელაძეს, გია ლაბაძეს** და სხვებს.

წყალბურთი. ქართველი წყალბურთელები დიდი წარმატებით გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ასევე საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. ქართველ წყალბურთელთა წარმატებები დაკავშირებულია: **გივი ჩიქვანაიას, ლერი გოგოლაძის, ნოდარ გვახარიას, ოთარ მიმინოშვილის, მიხეილ გიორგაძის, ვლადიმერ ისელიძის** სახელებთან.

ჭიდაობა. ჭიდაობა ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში. XX საუკუნის 50-იან წლებში საჭიდაო არენაზე ქუხდა **არსენ მეკოკიშვილისა** და **დავით ციმაკურიძის** სახელები.

ქართველმა ფალავნებმა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ოლიმპიური თამაშების მრავალგზის გამარჯვებულებმა: **ვახტანგ ბალავაძემ, გურამ კარტოზიამ, რომან რურუამ, ლევან თედიაშვილმა, დავით გობეჯიშვილმა** და სხვებმა წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული სპორტის ისტორიაში.

ალპინიზმი. ალპინიზმი სწრაფად დამკვიდრდა და განვითარდა საქართველოში. ქართული ალპინიზმის ისტორიაში ლეგენდად დარჩება ტრაგიკულად დაღუპული **მიხეილ ხერგიანი.** 1999 წელი უდიდესი მიღწევებით აღინიშნა ქართული ალპინიზმის ისტორიაში. ქართველი ალპინისტების: **ბენო ქაშაკაშვილისა** და **ბიძინა გუჯაბიძის** ექსპედიციამ დაიპყრო ევერესტი. სულ მალე ევერესტზე ავიდა მეორე ქართული ჯგუფი – **გია თორთლაძისა** და **ირაკლი უგულავას** მონაწილეობით.

ქართული სპორტის ისტორიას ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორიცაა: **ომარ ფხაკაძე** (ველოსპორტი), **რობერტ შავლაყაძე** (სიმაღლეზე ხტომა), **ნინო დუმბაძე** (ბადროს ტყორცნა), **გიორგი კანდელაკი** (კრივი), **ალექსანდრე მეტრეველი** (ჩოგბურთი), **გურამ კოსტავა** (ფარიკაობა), **ნუგზარ ასათიანი** (ფარიკაობა), **ქეთევან ლოსაბერიძე** (მშვილ-

ლევან თედიაშვილი

მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნანა ალექსანდრია, ნონა გაფრინდაშვილი

დოსნობა), **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **დიტო შანიძე** (ძალოსნობა), **კახი კახიაშვილი** (ძალოსნობა) და სხვა.

ჭადრაკი. მსოფლიო გააოცა ქართველ მოჭადრაკე ქალთა მიღწევებმა. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება ჭადრაკის დიდი აღმავლობა საქართველოში. **ნონა გაფრინდაშვილმა** და **მაია ჩიბურდანიძემ** 5-5-ჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 1980, 1982 და 1986 წლებში საბჭოთა კავშირის ქალთა ოლიმპიური ნაკრები ჭადრაკში მთლიანად ქართველებით იყო დაკომპლექტებული.

აღსანიშნავია, რომ 1992, 1994 და 1996 წლებში საქართველოს ქალთა ნაკრებმა ზედიზედ 3-ჯერ მოიპოვა საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედლები. ქართველ მოჭადრაკე ქალთა დიდ წარმატებებზე მიუთითებს ისიც, რომ ნონა გაფრინდაშვილი 11-ჯერ იყო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი, მაია ჩიბურდანიძე – 8-ჯერ, ნანა ალექსანდრია – 6-ჯერ, ნანა იოსელიანი – 5-ჯერ.

ოლიმპიური საქართველო. ქართული სპორტის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ოლიმპიურ თამაშებს. 1952-2000 წლებში ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე გამართულ 12 ოლიმპიადაზე ქარ-

გურამ კარტოზია

თველმა სპორტსმენებმა სპორტის 26 სახეობაში მოიპოვეს 31 ოქროს, 23 ვერცხლისა და 31 ბრინჯაოს მედალი. მედალთა საერთო რაოდენობიდან 48 მედალი მოჭიდავეებმა მოიპოვეს. ოლიმპიურ თამაშებში 2 ოქროს მედალი მოიპოვა **ლევან თედიაშვილმა,** ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **გურამ კარტოზიამ, რომან რურუამ, დავით გობეჯიშვილმა.**

ინდივიდუალური შედეგებით ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარგზავნილთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს **ვიქტორ სანეევს** (სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი).

სარჩევი

რედაქტორისაგან 3

თავი I

საქართველო XX საუკუნის დამდეგს (1900-1904 წწ.) (დ. შველიძე) 5

§ 1. საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა XX საუკუნის დასაწყისისათვის. 5

§ 2. ეკონომიკური განვითარება 6

§ 3. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში 9

§ 4. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. სოციალური მოძრაობა 16

§ 5. ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი 19

თავი II

საქართველო 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში (დ. შველიძე) 23

§1. რევოლუციის დასაწყისი და მიმდინარეობა 23

§2. ხელისუფლება და რევოლუცია 24

§3. პოლიტიკური პარტიები რევოლუციაში 27

§4. საქართველოს ავტონომიის საკითხი რევოლუციაში 30

§5. ქართველი დეპუტატები რუსეთის I და II სახელმწიფო სათათბიროებში 34

თავი III

საქართველო 1907-1917 წლებში (მ. ვაჩნაძე) 37

§1. პოლიტიკური რეაქცია საქართველოში (1907-1910 წწ.) 37

§2. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება (1907-1914წწ.) 38

§3. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა განლაგება რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ეროვნული მოძრაობა (1907-1914 წწ.) 40

§4. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი და საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე (1914-1916 წწ.) 42

§5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა პირველი მსოფლიო ომის წლებში. ეროვნული საკითხი 43

თავი IV

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918 წწ.) (მ. ვაჩნაძე) 45

§1. პოლიტიკური ვითარება საქართველოში რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ 45

§2. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მომზადება 48

§3. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 55

თავი V

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) (ვ. გურული, ნ. კირთაძე) 61

§1. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა (ვ. გურული) 61

§2. ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (ვ. გურული) 66

§3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა (ვ. გურული) 71

§4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა (ნ. კირთაძე) 74

§5. ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები საქართველოში (ვ. გურული) 80

§6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ (ვ. გურული) 81

თავი VI
ქართული კულტურა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში (პ. ფირანიშვილი) **86**
§1. განათლება 86
§2. მეცნიერება 90
§3. პრესა და და პუბლიცისტიკა 92
§4. ლიტერატურა 93
§5. ხელოვნება 100
§ 6. სპორტი 106

თავი VII
საქართველო XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში (ვ. გურული, ნ. კირთაძე) **108**
§1. რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარება (ვ. გურული) 108
§2. ავტონომიების შექმნა (ვ. გურული) 112
§3. საქართველოს გაერთიანება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (ვ. გურული) 115
§4. სოციალური და ეკონომიკური ვითარება (ვ. გურული) 119
§5. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს (ვ. გურული) 121
§6. ეროვნული მოძრაობა 20-იანი წლების პირველ ნახევარში. 1924 წლის აჯანყება (ნ. კირთაძე) 125

თავი VIII
საქართველოს XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან 40-იანი წლების დამდეგამდე (ვ. გურული) **131**
§1. სოციალური და ეკონომიკური სისტემა 131
§2. პოლიტიკური სისტემა 134
§3. პოლიტიკური რეპრესიები 136
§4. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია 139
§5. ქართული კულტურა 1921-1941 წლებში 142

თავი IX
საქართველო 1941-1945 წლებში (ვ. გურული) **150**
§1. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დასაწყისი. საქართველო ომის საწყის ეტაპზე 151
§2. ქართველები გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ფრონტებზე, პარტიზანულ მოძრაობასა და ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობაში 152
§3. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ომის წლებში. ქართველები გერმანიის სამხედრო ფორმირებებში 154
§4. ეროვნული მოძრაობა ომის წლებში 156
§5. ომის შედეგები საქართველოსათვის 156

თავი X
საქართველო 1945-1953 წლებში (ა. ნონკოლაური) **158**
§1. ეკონომიკის აღდგენა და განვითარება (1945-1953 წწ.) 158
§2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება (1945-1953 წწ.) 166
§3. XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრისა და 50-იანი წლების დამდეგის იდეოლოგიური რეპრესიები 171
§4. XX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულისა და 50-იანი წლების დამდეგის პოლიტიკური რეპრესიები. 174

თავი XI
საქართველო 1953-1964 წლებში (ა. წოწკოლაური) 177
§1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და ეროვნული მოძრაობის აღმავლობა 177
§2. აგრარული პოლიტიკა. სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენის დაძლევის უშედეგო ცდა 183
§3. მრეწველობის აღმავლობის წარუმატებელი ცდა 187
§4. სოციალური პოლიტიკა. მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა 190

თავი XII
საქართველო 1965-1985 წლებში (ა. წოწკოლაური, დ. შველიძე) 193
§1. სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნა. პოლიტიკური ლიბერალიზაციიდან პოლიტიკური კონსერვატიზმისკენ შემობრუნება (ა. წოწკოლაური) 193
§2. საქართველოს ეკონომიკური განვითარება 1965-1970 წლებში (ა. წოწკოლაური) 194
§3. საქართველო XX საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში. ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება (ა. წოწკოლაური) 197
§4. სოციალური პოლიტიკა. მოსახლეობის მატერიალური ცხოვრების დონე (ა. წოწკოლაური) 202
§5. ეკონომიკური რეფორმების ჩაშლის მიზეზები (ა. წოწკოლაური) 204
§6. საბჭოთა წყობილების რღვევის მეორე ეტაპის დასასრული (ა. წოწკოლაური) 206
§7. საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და ინტერესები (დ. შველიძე) 209
§8. ეროვნული მოძრაობა (დ. შველიძე) 211

თავი XIII
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1989-1991 წწ.) (ვ. გურული, დ. შველიძე) 215
§1. სოციალისტური სისტემის კრიზისი და ეროვნული მოძრაობის აღმავლობა (ვ. გურული) 215
§2. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საქართველოში. 1989 წლის 9 აპრილი (დ. შველიძე) 217
§3. ეროვნული მოძრაობის შემდგომი რადიკალიზაცია და მრავალპარტიული არჩევნები (დ. შველიძე) 220
§4. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (დ. შველიძე) 223
§5. საქართველო პროვოცირებული ეთნოკონფლიქტების რკალში (დ. შველიძე) 225

თავი XIV
საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დამდეგს (მ. ვაჩნაძე, ვ. გურული) 228
§1. დამოუკიდებლობის პირველი წლების სიძნელეები 228
§2. ღონისძიებანი ვითარების სტაბილიზაციის მიზნით 235
§3. საქართველოს საგარეო პოლიტიკა 239

თავი XV
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-2002 (ვ. გურული) 242
§1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 242
§2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921 წლებში 244
§3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1921-1977 წლებში 245
§4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1977-2002 წლებში 249

თავი XVI
ქართული კულტურა XX საუკუნის მეორე ნახევარში (ა. წოწკოლაური) 253
§1. განათლება 253
§2. მეცნიერება 256
§3. ლიტერატურა 260
§4. ხელოვნება 262
§5. სპორტი 267

HISTORY OF GEORGIA

20 TH CENTURY

Textbook for the students of History Faculty

Tbilisi University Press
Artanuji Publishers
2003

გამომცემლობის რედაქტორი	ნ. ელიზბარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი	თ. ფირცხელანი
კორექტორი	ლ. თორდუა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:	მაია გურაბანიძე
	ილია ხელაია
	ალეკო ჯიქურიძე

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 0128, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14.

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 17 ბ. 25-05-22, (899) 25-05-22, (893) 25-05-22. artanuji@ip.osgl.ge